

114
1929



მნათობი

11-12

სახელმწიფო გამომცემლობა
ცვილიხი 1929

პტილუგათუნთ ყველა ქვეყანას, შუქთიღობა!

პარტისტული
ბიბლიოთეკა


მნათობი

11-12

ყოველთვიური შხაწვრულ ღიწერაცურული
შეწნიერულ ჰაბღიწიწყური უყრნადი

წელიწადი შიქვსე

თეშტვარ-ღაკეშბარღი



სახალმწიფო ტაშთმწეაღღიღა

შეღიღისი 1929

სახალმწიფო
სახალმწიფო
სახალმწიფო
სახალმწიფო

19864



ი. შ. სვალანი - ჟურნალისტი
საქ. კომ. პარტ. (ბ.) ბ ე ლ ა დ ი



მარქს-ენგელსი, პროლეტარული რევოლუციის ეს პირველი მსოფლიო, მეცხრამეტე საუკუნეს ეკუთვნიან. მათ ისტორიულად მისდევს ლენინი, რომელიც მეოცე საუკუნეში ავტორიტეტებს მათ საქმეს უდიდესი მნიშვნელობის ოქტომბრის რევოლუციით. მათი დროშა დღეს ხელთ უპყრია სტალინს, რომელიც ხელმძღვანელობს შეუდარებელ, ისტორიაში არანახულ, სოციალისტურ შშენებლობას, რომელმაც შედეგად უნდა მოგვცეს არა მარტო ძველის დანგრევა, არამედ, ამავ დროს, ახალი ქვეყნის შექმნა.

ამაირად, საერთაშორისო პროლეტარიატის უდიდესი ბელადების—მარქსის, ენგელსის და ლენინის—შარავანდებით მოსილ სახელს, ორგანიზულად და განუყრელად დაუკავშირდა სტალინის სახელი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით და დაამხეთ კაპიტალისტების და შემაშულეების ბატონობა; ამ ბრძოლაში თქვენ არაფერს დაჰკარგავთ, გარდა საკუთარი ბოროტებისა, შეიძენთ კი მთელ ქვეყანას;—ამ ცეცხლის სიტყვებით ანთებენ მარქსი და ენგელსი მსოფლიო რევოლუციის კოკონს.

დავამყაროთ პროლეტარიატის დიქტატურა თუნდაც ერთ, თუნდაც ჩამორჩენილ ქვეყანაში და მით მივცეთ დასაწყისი სოციალისტურ შშენებლობას—ამზობდა და თან აზმორკოვლებდა მათ უდიდესი მოწაფე ლენინი.

არავითარი დაყოვნება, არავითარი ყოყმანი; მიედივართ წინ სოციალისტური შშენებლობის გზით, დაეწვიოთ და ვავასწროთ ევროპას და ამერიკას და მით სამუდამოთ განუამტკიცოთ სოციალიზმის საქმე მთელ მსოფლიოში,—შეუდარებელი რწმენით ამზობს სტალინი და ამ რწმენით იმსჯელება ლენინის პარტია, რომელსაც უკვე, რამდენი ხანია, ულენინოდ ხელმძღვანელობს ლენინის მოწაფე და ამზანავი სტალინი.

ასეთი გზა აირჩია პროლეტარულმა რევოლუციამ, გზა ძნელი და მიხვეულ-მოხვეული, დიდ დროსა და სივრცეში გაშლილი, უამრავი დაბრკოლებით ვარშემორტყმული, მაგრამ იქნებ სწორედ ამიტომ მანვე გამოსჭედა უდიდესი ინტელექტის შეუდარებელი ნებისყოფის და უსაზღვრო აღფრთოვანების მატარებელი ბელადები—დასავლეთში მარქს-ენგელსი, აღმოსავლეთში ლენინ-სტალინი.

დღეს სტალინი 50 წლისაა. ვინც მშრალი ციფრებით ზომავს დროს და დროის ხანგრძლივობის მიხედვით აფასებს ისტორიულ მოვლენებს, მან შეიძლება სთქვას, რომ სტალინს ანებიერებს ისტორია, რომელსაც ასეთ მოკლე დროში, ასეთი დიდი სახელი არავისთვის მიუნიჭებია. მაგრამ ამ მცირე დროში თავმოყრილია განუზომელი ენერჯია, დაუღალავი შრომა და განუწყვეტილი ბრძოლა. ეპოქა ქმნის პიროვნებას და სტალინი საუკეთესო შეილია თავისი ეპოქის, მაგრამ მასში იმ თავითვე ჩანასახად მოიპოვებოდა ის სულიერი თვისებები, რომელიც გაშალა, გააფართოვა და უმაღლეს წერტილამდე აიყვანა გარეშე პირობებში და მისმა საკუთარმა მხნობამ. ძნელია ამ განვითარების სურათის წარმოდგენა, რადგან ეს არის სურათი არა მარტო პიროვნების, არამედ მთელი რევოლუციის, რომელსაც ეს პიროვნება შესისხლბოროტებია. მე არც ვისახავ მიზნად ასეთი სურათის დახატვას. ამ წერალის ფარგლებში ისიც კმარა თუ ცალკე

ნაკვეთების სახით მე შევტელი აღნიშვნა ზოგიერთი მხარეებისა, რომლებიც ახასიათებენ ამხ. სტალინს, და რომლებიც, შესაძლოა, ფართო მასშტაბის ძნე არ არის ცნობილი, როგორც მისი ძველი ამხანაგ-მეგობრებისათვის.

დიდი, თვალწინდელი ზღვარია დღევანდელ სტალინსა და ამ პატარა, ჯერ კიდევ სრულიად ბავშვ სოსო ჯულაშვილის შორის, ვინაა იმ დროს ჩამჯდარა და არსენას ლექსს უკითხავს მათ. გლეხებს უყვართ ყაჩაღი არსენა, ის მათი გმირია. არსენა ლალობს, კისკისობს, თავად-აზნაურებს აწიოებს და მით გულის ჯავრს იყრის; გლეხებს ახარებს, ახალისებს ეს ამბავი, გულში რაღაც შეუღარებულ იმედებს უღვიძებს. მაგრამ, აგერ, არსენას ლალატობენ, იჭერენ, ხელფებს უბორკავენ, ციხეში ავადებენ, საციმბიროთ აწესებენ და სოსოს მამუნელები ოხრავენ, კენესიან, ბოღმით იხრჩობიან. კიდევ გაიკიაფებს ნათელი სხივი—არსენა ციხეს ვაუსხლტება, ბობოლა მოხელეებზე ნავარდობს, „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“, ჭეიფობს; მაგრამ თენდება საბედისწერო დღე და არსენა ხდება მსხვერპლი მისი ღმობიერებისა, დიდსულოვნებისა; ის კვდება მუხანათის ხელით და სოსოს ეს პირველი აუდიტორია, პირველი მასა უკვე ცხარე ცრემლით სტირის, მდუღარებათ იცლება. დიდი ზღვარია-მეთქი დღევანდელ სტალინსა და ამ პატარა ავტატორის შორის, მაგრამ უკვე აქ გადაწყდა მისი ცხოვრების საველი გზა. ის დაჩაგრულთა მხარეზეა, არსენასავით მათი ჯავრის ამომყრელია. რას იფიქრებდენ ეს გლეხები, თუ მათი პატარა დეკლამატორი მთელი ქვეყნის თავად-აზნაურობას ერთხელ და სამუდამოდ დაანიავებდა!

კაბუკი სოსო ჯულაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ამზადებენ „კადრებს“ სამღვდლოთ და საეპისკოპოსოდ! ალბად სხვა პირობებში სტალინიც ვერ შესძლებდა ასე გულის სიღრმემდე შეეჭულება იყვლაფერი, რასაც კი კავშირი აქვს რელიგიასთან, ცრუ-რწმენებთან, ფარისევლობასთან, სამღვდლოებასთან და ყოველგვარ სულიერ-ზნეობრივ გათახსირებასთან. აქ საკუთარ ზურგზე იწვინა მან, რა არის უსამართლობა, ჩაგვრა, დევნა და შევიწროება. სამაგიეროდ, აქვე შეუღდა ის საკუთარი ნებისყოფის განმტკიცებას, ვასალ-კვებებას, რაც შემდეგში ასე ახასიათებს მთელ მის ცხოვრებას. აქ ყველა სცნობს, რომ ის განირჩევა იშვიათი ნიჭით, თან გული მოსდით, რომ გაკვეთილებს არ ამზადებს, რადგან იციან, რომ ის მას მოსდის არა სიზარმაცით, არამედ სასწავლო საგნებისადმი უსაზღვრო ზიზღით. თვითგანვითარება, მოწაფეთა წრეები. არალეგალური ხელნაწერი ჟურნალები, არალეგალური ლიტერატურა—აი მისი სარბიელი. ის თამამია, კადნიერია, უფროსი კლასის მოწაფეებს ცალს არ უგდება, მთ პროგრამას სწუწობს, თავისას ადგენს, საკუთარ წრეებს ქმნის, ემზადება თვითონ და ამზადებს სხვებს. მაგრამ სემინარიის შემუშთველი ატმოსფერა აუტანელი ხდება. თუ დარჩა ვინმე იმ დროიდან ცოცხალი, ალბათ არასოდეს არ დააფიწყდება ინსპექტორი დიმიტრი აბაშიძე, ქართველი თავადი ანაფორაში. ეს ჯოჯობეთიდან მოვლენილი ცოცხალი ტარტაროზი, რომელმაც გაიზინა ჯაშუშები მოწაფეთა შორის და თვითონ კი ჯაშუშობდა ეანდარმთა სამართველოში და რომელმაც ჩარკვა ერთ დღეს შენიშნული მოწაფეები ოთახში, სადაც მათი გაჩხრეკა უნდა მოეხდინა. სოსოც მოყვა აქ, როგორც ყველაზე შემწიეული; მას თან ჰქონდა რვეული, რაც წარმოადგენდა ფართულად დიდი წვალებით დაწერილ საერთო სტატეიას, რომელიც ჩხრეკის მსხვერპლი გახდებოდა. მოულოდნელი შეურაცყოფის გრძობა მოაწვა მას, სისხლი თავში აუვარდა და გადასწყვიტა უსწორო ბრძოლა გაემართა ამ ანაფორიანი ეანდარმებისათვის. აღარ

მივიდა საქმე იქამდე, რომ მას თავისი ჯიბის დანის სიმახვილე ეზინჯა ამ დეგენერატების ძვალ-რბილზე. ამის შემდეგ მალე გააშორეს ის სემინარიის კედლებს და შეუერთეს იმ სტიქიას, რომელსაც ის უკვე დიდი ხანია დაუახლოვდა.

აქედან მან წაიღო უკიდურესი შეურიგებლობის გრძობა თავის მტრების მიმართ, რომელნიც ამ დროს სავსებით ჩამოყალიბდნენ მისი თვალში როგორც რევოლიუციის მტრები, ის მთელი არსებით გადაეშვა რევოლიუციის ტალღებში, რომელიც საკმაოდ ძლიერი იყო, რომ საფუძვლიანად განემტკიცებია მასში მასიურ (და არა ინდივიდუალური) მოქმედების ტაქტიკა და სტრატეგია. მასში შეუწყვეტელ წყაროდ სჩქეფდა აღფრთოვანება, მაგრამ ეს უკანასკნელი ვერასოდეს ვერ ჩრდილაედა გონიერებას. ის საუცხოოდ ათავსებდა თავის თავში ამ ორ მომენტს. მასიური მოძრაობის თაყვანისმცემელი, იგი არასოდეს არ ერიდებოდა კონკრეტულ შემთხვევებში მისი სუსტი მხარეების მხილებას და გამომტლავნებას. დროშის სიწმინდე და პრინციპების შეუბღალველობა—ი რა ახსოვდა მას მუდამ მთელ თავის საქმიანობაში. დემაგოგია მან სავსებით დაუთმო თავის მოწინააღმდეგეებს, რომელნიც ხშირად იაფ გამარჯვებას იმკიდენ ამით.

მინდა მოვიყვანო ერთი შემთხვევა, რომელიც ნათქვამს საკმაოდ დაასურათებს. 1905 წლის მანიფესტის გამოცხადების დღეა. ნაძალადევი მიტინგი იწყება. ცნობილი მენშევიკი ნოე რამიშვილი ტრიბუნაზე სდგას და „გამარჯვებით“ გაბრუებული სადღესასწაულო კილოთი ღილაღებს:—„ამიერიდან თვითმპყრობელობა აღარ არსებობს, თვითმპყრობელობა მოკვდა. რუსეთი შედის კონსტიტუციონურ-მონარქიულ სახელმწიფოთა რიგში. ამიერიდან ჩვენი ლოზუნგი იქნება არა „ძირს თვითმპყრობელობა“, არამედ „ძირს მონარქია“! ამას მოჰყვება რამდენიმე ორატორი, რომლებიც ამასვე იმეორებენ. ხალხი ყველას ვაცხარებით ტაშს უკრავს. ბოლოს ერთი ორატორი ასე აბოლოებს თავის სიტყვას: „ჩვენ არ გვინდა იარაღი, ძირს იარაღი“! ხალხი ამასაც ვაცხარებით ტაშს უკრავს. იტყობა მეტად მოსწონს, რომ უიარაღოთ, უსისხლოდ „გამოვიდა თავისუფლება“. ამ დროს ტრიბუნაზე გამოდის კობა (სტალინი): „თქვენ ერთი ცუდი ჩვეულება გაქვთ, რომელიც პირში უნდა გითხრათ,—იწყებს ის,—ვინც უნდა გამოვიდეს, და რაც უნდა გითხრათ, ყველას სიხარულით და ტაშის ცემით ხელებით. თქვენ გეუბნებიან „გაუმარჯოს თავისუფლებას“, ტაშს უკრავთ, „გაუმარჯოს რევოლიუციასო“, ტაშს უკრავთ, ეს კარგია, მაგრამ როცა გეუბნებიან: „ძირს იარაღიო“ ამასაც ტაშს უკრავთ. აბა რა რევოლიუცია იქნება, რომ უიარაღოთ გაუმარჯოს? ის რა რევოლიუციონერია ვინც იტყვის: „ძირს იარაღიო“: ამის მთქმელი ორატორი აღბათ ტოლსტოის მიმდევარია და არა რევოლიუციონერი, და ვინც უნდა იყოს ამის მთქმელი, ის რევოლიუციის, თავისუფლების, ხალხის მტერია“.

შეიქნა ჩოქოლი... ვინ არის? რა შხამიანად ლაპარაკობს? არ მოგეწონათ განა, რაკობინელის ენა?!

კობა განავრძობს: „რა გვესაჭიროება ჩვენ, რომ მართლა გავიმარჯვოთ? ამისათვის გვესაჭიროება საში რამ. კარვად დაიხსოვეთ და, ვაიგეთ: პირველი, ჩვენ გვესაჭიროება შეიარაღება. მეორე შე-ი-არა-ღე-ბა! მესამე კიდევ და კიდევ შეიარაღება, შეიარაღება, შეიარაღება.“

გაისმის მქუხარე ტაში და ორატორიც ჩამოდის ტრიბუნიდან. მან შეასრულა თავისი საქმე, შეიტანა დისონანსი რევოლიუციონური ფრაზეოლოგიით შეზავებულ, არსებითად ოპორტუნისტულ სულიერ განწყობაში და დასაწყისი

შისცა ახალ სულიერ განწყობილებას, რევოლუციამაც ზრუნვას. მას აქვთ შეიარაღებული აჯანყების საკითხები დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. **კობა** თავის სიტყვას არ გაამრუდებდა, ძალიანაც რომ სწყენოდა იგი მთელ მიტინგს.

ამხ. სტალინის დამახასიათებლად მაჩინიათ სისასტიკე. **რევოლუციის** საკითხებში ის მართლა სასტიკია, მაგრამ სასტიკია როგორც **სსრკ-ის** ისე და კიდევ მეტად თავისთავისადმი. სისასტიკე მასში ვერასოდეს ვერ ბლაღაეს სამართლიანობას. თუ პირველი თვისებით ის უღმრთელი ჩანს, მეორე თვისებით ის მომხიბლავია. მას მუდამ ერთნება მასა, რომელიც მასდამი გრძნობს არა მართო პატივისცემას, არამედ უღრმეს სიყვარულსაც. ერთი ფაქტიც.

კობა ბათუმის ციხეში ზის და მასთან ერთად სხედან 1902 წლის დიდი რევოლუციონური გამოსვლების მისი თანამებრძოლნი. გარედ მზადება არის, რომ წლის თავზე (1903 წლის მარტში) შესაფერი დემონსტრაცია მოეწყოს. მუშები ფიცს აძლევენ ერთმანეთს, რომ უკლებლად დაესწრებიან.—თუ დამიჭერენ, რა შიშაეს: სოსოს შინაც ენახავ ციხეში, ამბობს ერთი მუშა.—კი მაგრამ, სოსოს ის უფრო გაეხარდება, ერთი კვირის დემონსტრაცია რომ მოვაწყლოთ,—უბნებდა მეორე. ასეთი ლაპარაკი ისმის მუშათა ყველა უბანში. ველიარ ითმენენ და ერთი კვირით ადრე ციხეში მიდიან, რომ სოსოს შეატყობინონ,—რა მზადებაა. მისი ნახვა არ შეიძლება. ამიტომ ვალაქანის გარედან გადასძახებენ:—სოსო! კვირას გამაიდვართ, კვირას! სოსოც ეხმაურება და თან აფრთხილებს, რომ მალე წავიდენ იქიდან. ეტყობა, ციხის ადმინისტრაცია დაფაკურდა. მეორე კვირას მართლა იმართება დიდებული დემონსტრაცია. გეგმაში არ შედის ციხის ახლო გავლა, სამაგიეროდ დემონსტრანტები (მთელი ბათუმის მუშები) ქალაქს გაივლიან და ისე დაიშლებიან, რომ არც ერთი კაცი არ ჩავარდება. ყველას უხარია ეს, მაგრამ საწყენათ აქვთ, რომ სოსოს ვერ გაავიწყნეს „მარსელიეზა“ და რევოლუციების სროლის ხმა. ასეთი სულიერი განწყობილება სუფევდა იქ. მიუხედავად იმისა, რომ ამხ. სტალინის პირად მტრებს (ასეთები ჰყავდა მას მაშინ) არ დაუხოვავათ ძალი და ღონე მისი სახელის გასატეხად. მხედველობაში უნდა მიიღოთ, რომ 1902 წლის გამოსვლებს ადამიანთა მსხვერპლიც ბევრი მოჰყვა. ამხ. სტალინის მტრები არ თაკილობდენ სპეკულიაცია გაეწიათ ამ გარემოებაზე და ხმა-მალა გაევიროდნენ: იმან (სტალინმა) ხალხი დაახოცინაო. მუშებმა ზიზლით უარჰყვეს ასეთი უშეგავსო დემაგოგია და პირიქით გააძლიერეს თავისი პატივისცემა თავისი წინამძღოლისადმი, როგორც მაშინ ამხ. სტალინს უწოდებდნენ.

ყველაზე უფრო შესანიშნავი და ძვირფასი ამხ. სტალინის ხასიათში არის მისი შილიანობა, ის თვისება, რომლის წყალობით ის არასოდეს არ განიცდის გაოჩნებას, სულის შექცევაც სინანულს. მისი გადაწყვეტილება ყოველმხრივ აწონდაწონილია და ამის გამო სალი კლდესავით მტკიცე. ცნობილი თქმულება „გული, გრძობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდებიან“—შეიძლება ამხ. სტალინის მიმართ ისე გამოიხატოს, რომ ყველა მისი ემოციები საყვებით დამოკიდებული არიან მას გონებაზე. ამიტომ მის სულიერ განცდაში ადგილი არა აქვს სინიდიანთან ვაჭრობას და გაროგებას, რასაც რუსები *сделка с совестью*-ს უწოდებენ. ყველა სხვაშიც ამ თვისებას, *деланка с совестью*-ს არქონას აუასებს ის ყველაზე მეტად.

ქვემარტად ღირსეული ბელადი ჰყავს საერთაშორისო პროლეტარიატს, რომელსაც უდადესი ბრძოლები მოელოს ახლო მიმავალში. დღეს ამ ბელადს 50 წელიწადი შეუსრულდა. ვესურვოთ მას დღეგრძელი ცხოვრება მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის საკეთილდღეოთ.

მხატვრული ლიბრარიუმი

თბილისის
მუნიციპალიტეტი

ო ქ თ ო მ ბ ე რ ი

ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი

- პაროლი!...
- ესროლე!....
- საიდანი!...
- პაროლი!

.....
 როყო ტყეის მსხვერპლი
 მოსკდა როგორც ხე
 ვაგაკი-წიფელა.
 სისხლიანი ვინტოვკა,
 სისხლიანი ხელი...
 ქარში და წყუდიადში თოვის ბმას
 ებო უპასუხებს:
 — ააახ...
 დაცემულს არავენ იცოდებს.
 ...საიდამმ...
 აინ...
 რრო...ლიი...
 ყრუ ქუჩის ნანგრევი აზოდებს.

* * *

ქალაქს მოედო შიში,
 გაცოფებულა რკინა.
 ხმალი ხმალს შეხვდა
 შიშელად
 და ქვაფენილზე სისხლი
 ბროწეულივით ბრწყინავს.
 ბროწეულის წვენი
 ნეტა ვინ დაღვარა?!..
 გადმოდის ნიაღვარი,
 სისხლი გადმოდის მღვრია,
 სიუკუნეთა ბრაზმა
 ჯემბირი გაარღვია.
 ჰყოდენ მასსები:

გრიგელ წერეთელი
გრიგელ წერეთელი

— გაგვიძეხი...
გამოგვეყვიეთი!...
ჰყოოდენ მასსენი:
— ჩვენ ვიძიებთ შურსს...
და ბარიკადებზე
მუშათა რაზმები
იზოგაედენ ტყვიებს
როგორც საგზალს,
როგორც პურს.
უფროთხილდებოდენ
მაგრამ
ტყვია იწოდა
ბევრი.
ხეალ რა მოელოდა
არაეინ იცოდა,
ხეალ ვინ დარჩებოდა
კოცხალთა წვერი.
ძველი კომუნარი,
რაზმის მეთაური
შწყობრს ნოუწოდებდა:
— დღეს ამხანაგებო,
ჩვენ გვმართებს სიმაგრე,
თუ მარჯვედ ვიქნებით
შტრის ძალას დაეანგრევთ!..”

* * *

პბორგაეს ჯაგუნოსანი,
ფილაჰინს მიარღვეეს,
ძალა და იმედი
შეამბოხეთა.
შვერმეტყველ ორატორს
ტყვიამფრქვეეს
სიტყვის ნებას აძლევს
ბოძი
ზარბაზანი.

* * *

ქვეყანა შეირყა
და ძველი საშუარო
გრძნობდა
სახსრების დაშლას...
ეს ოქტომბერი იყო
აბრიალებდა დაზნას;
ეს ოქტომბერი იყო
დიდ ლაშქრობათა
ბჭესთან,
დროშები ფრიალებდენ
და ზარბაზანი სჭექდა.

ახალი სოფლის სურათი

ახალ სოფელში შევიტანე ახალი თვალი,
მაგრამ აქ ვნახე ძველი სახეც, ნახევრად შექდარი,
და იმ ქანდრის ქვეშ, სადაც ერთხელ რეკავდა ზარი,
ჩამოვუკეპე ქვაზე და გაეზომე აღსაელის კარი.

— — —

აქ ვკლესია, მათე მღვდელი რომ ლოცულობდა,
იდგა მოწყენით. არ ამკობდა შაღალი ჯვარი.
დუმბლით სავსე მისი არე და მოცულობა,
სიცილიერეს დაეტვირთა და სცემდა ქარი.

— — —

შორს გუგუნებდა ტრაქტორი და პურის საღეწი...
და ცაცხვის ძირში კოლექტივზე მსჯელობდა ხალხი.
ხოლო ერთი კი იდგა განზე, გულდაღეწილი,
ტვინის უჯრედში უბრუნავდა ზრახვები თაღხი.

— — —

დაღამდა. ცაში აციმციმდა ვარსკვლავის თვალი
და, ვიდრე ქაში შუალამის იორმეტს დაჰკრავდა,
მოულოდნელად უმაღლესი ავიარდა აღი —
და კლასთა შორის ღრმა უფსკრული უფრო გაღრმავდა.

ლექსი ჯორჯიაშვილზე

შენზე ლექსები ითქვა მრავალი,
ბევრმა გაქო და ბევრმა გადიდა,
მაგრამ ქანდაკი, ცეცხლის ჯაფარით,
ერთმაც ვერ დადგა, ვფიქრობ, ათიდან!

შენ იყავ კაცი მართლად მღვდი,
 მოუღრეკელი და სასახლო...
 და, მახსოვს, ერთხელ ხაძალადევით
 რომ გადასერე გზა სასახლემდე.



გაგვირგვინებდა ალღო მუშური,
 ეტრფოდი საქმეს ჯერ გაუგონარს:
 და ბოშბი, როგორც ყველი თუშური,
 მტარვალ გრიაზნოვს ქვეშ გაუგორე!

თავისუფლეზის დიდი მაყარი,
 სახრზობელაზე დინჯად ახველი,
 რომ გეხსნა ხალხი, ბორკილ ნაყარი,
 ათას კირის და ტანჯვის მნახველი.

ეს დიდი საქმე შენ რომ არ გეღვა,
 შრომის უბნები აოხრდებოდა,
 მოიბურავდა ცრემლთა ნისლს ხედვა,
 მრავალი გული აოხვრდებოდა.

მაგრამ გასრიხე ჟეტრად გველი,
 პესუხმგებლობის შესეი ფიალაც...
 და დღეს, როს მოჰყვდა რეეიმი ძველი,
 შენმა სახელმაც ცამდე იალა!

და ეს დიდება ყველა დიდებას
 ჩრდილაეს, რაც დღემდე თქჰოლა ოდებით;
 საქშობლო ქვეყნის საზღვრებს სცილდება
 და ტვირთავს მგოსნებს განცდის ზოდებით.

და შენზე ლექსი ითქვა მრავალი,
 ბევრმა გაჰო და ბევრმა გადიდა,
 მაგრამ ქანდაკი, ცეცხლის ჯაფარით,
 ერთმაც ვერ დადგა, ეფიქრობ, ათიდან!

ო რ ი შ ი ს ა მ ა რ თ ი

(ნარკვევი)

ფიქრობს კერაზე, დახვასთან მდგარი
(ბოემა სხვა და სხვა საკითხებზე).

ნედლეული და ბაქოს ბენზინის
უბეი დოკლათი მუდამ სწყურია
ქაღაჭს, რომელსაც „ენ“ ფაბრიკების
მონაცრისფერო ცა ახურია.
„ენ“ ფაბრიკების შავი უბანი
მუდამ ნახშირით არის შესუქანი.
დღეა თუ ღამე შეუჩერებლავ,
მწყობრად მოქმედობს ითასი დაზგი
და საყვირების გრიალს ამოყავს
განთიადი და მზე ახალგაზრდა.
ყველგან მაზუთის მანე სუნია
და ყვაილების ბაღი არ არის,
მაინც ცხოვრება გახლავთ შალალი,
მიწა მაზუთით არის მაძღარი,
მიწა, შავია ვით ორთქლმავალი.
უბანს გარშემო შემოვლებული
კაცზე შალალი გალაქანია,
შავნით შესული ბაქოელები
ეს, ცისტერნების ქარაქანია.
ერთხელ ხარობდა ტყე გაფული,
ვაშლი, ატამიც და ალუბალი,—
მოსპო რკინის გზამ,
მათი ცხოვრება
ეხლა მოხუცებს ემახსოვრება.
სად მიმოიჭებს ტყეთა წყებანი,—
ფეთქავს ქარხნების შავი უბანი,
უელის რკინის გზა,
დაჯახებანი,
სადაც ყოფილა ნშირად ჩვენს დროშიც...
და ორთქლმავალი მძიმედ დაჭრილი,



მოუყვანიათ სახელოსნოში—
დგას ერთფეროეან მოძრაობაში
კაცი, მალელი და ჯანიანი,
და ორთქლმავალის მძიმე კრილობა
სჰედავს ჭალარა,
მკერდბაღნიანი.

მისი გაცნობა თქვენთან მწადია,
მის ცხოვრებაში მინდა შევიდე,
უბანი იცნობს, დიდი ხანია,
შუშა, გიორგი დარაშელიძეს,
პოემის გმირმა ცხრამეტი წელი
მძიმე შრომაში აქ გაატარა,
ბევრი რამ ახსოვს,
მისი ჭალარას,
განვლოლ ბრძოლების
სცემდა ნალარა.

ბრძოლის შუაგული იყო უბანი,
მღელვარებებზე მღელვარებანი,
ჰკიოდა როგორც ღამით ნაგანი,
ხმა ცხრაას-ხუთელ გრიგალთიგანის.

რა „გაეციანი“ ეთხოვე გიორგის:
თუ საამისო დრო გეშოეებათ,
მიამბეთ,
რაც კი ვემახსოვრებათ,
მინდა ავწერო თქვენი ცხოვრება.

„მე დავიბადე 18...
ასე მოგვითხრობს დარაშელიძე,
მამა გასტეხა
დღე და ღამ შრომამ,
სოფელს უკვირდა
ჯაფა მამისა,
მიუხედავით ამისა—
მან სიტესატე ვერ მოიშორა.
ულარიბესი გლეხის ოჯახი,
სადაც ვიყავით თოთხნეტი სული,—
ხალამოობით კერიის ირგვლივ
იყო ჩოჩქოლი წრეს გადასული.
რამდენი ღამე დალონებულებს
უპურმაროლოთ გაგეთენებია,
თერთმეტ ქალ-ვაყებს



შემოკუროდენ

ჩემი მშობლები და ყრუ ბებიი.

თერთმეტს შოაკლდა მალე სამი,—და

ჩვენი ოჯახი ქელეხმა წაილო,

ორი, დებს შორის ქმრებთან წავიდა,—

ჩვენი ოჯახი მზითევმა აიკლო.

მესამე და ხელთ შემოგვამბერდა

გაუთხოვრობით დამწვარი,

და წლოვანებით ჩემზე უფროსი

დარჩა ბოლომდის ქალწული.

ნურას დამძრახავით, ახირებული

ხუთ წელში ერთხელ ტან განაბანი,

მოკვდა ბებიაც, დამწვირებული

მის ასწლოვანი დარჩა საბანი.

ჩვენი დღეები

იყო სხვაგვარი,

უბედურება ზეცამ გვაწვიმა;

მამამ

გვასწავლა ვაეებს ანბანი,

შემდეგ

ამ რიგად დაგვიანწილა:

ერთი სახლშივე მამას შეეღიდა,

მე მიმიბარა მკედელს შეგირდად.

მესამე ხარაზს,

მერთხე დურგალს,

მებუთე მეშად—პორტში შევიდა.

ჩვენში, რომელიც გახდა დურგალი

დადგა სამთვალის სახლი ფიცრული,

შუბლ შეკრული და გაუღიმარი

წააბალოსა

მან მამის გული.

მა კი, რომელიც გახდა ხარაზი

„მასწავლებელმა“ ძლივსღა დალოცა,

დედამ ხალისით ცრემლი ლამაზი

ჩამოყარა და წულგებს აკოცა.

ეზო მოერკალეთ მალალ კედლით,

სოფელს ეფარა

ჩრდილი სახლისა.

მე კი, როდესაც გავხდი მკედელი

ჩამოუტანე მამას სახნისი.

ასე დღითი დღე ჩვენ ვიზრდებოდით,



წყალმა ძველი გზა ისევ მონახა,
 აი სოფელი,
 სად ვითვლებოდით
 ჩვენ შეძლებული გლეხის ოჯახად.
 მაგრამ როდესაც მამის ქონება
 როგორც სოფელურ ცხოვრებამ იცის.
 ხუთათ გავეყავით,
 მე მერგო რაღაც
 ათი ფიცარი და ქცევა მიწის.
 გახრიოკებულ
 ფიტრებს უქპერდი,
 ცოლიან ძმებმა
 მხოლოდ ეს მარგეს,
 მე ქცევა მიწას ვერ გაუჩერდი
 და ოჯახიდან გადავიკარგე.

— შემდეგ სოფელს არ დაბრუნებიხართ?

— დიდხანს ერთმანეთს

გადავაფიწყვდით,
 არც ძმა, დედ-მამა,
 აქ არ მწვევია
 არ მიმიღია მათი ბარათი,
 არც მე.

იმათთთვის მიმიწერია.

— მეუვის დროს
 ომში წაუყვანიხართ?

— ერზერუმამდე ამოვლეთილთა
 ვანუწყვეტელი სისხლის ზოლია,
 და მოფენილი მათი ლეშითა,
 ერზერუმამდე მე მიბრძოლია.
 როცა მაზარა

დაჭრილ-დახოცილთ
 სისხლის ნაკადით
 დამსველებია
 მე უპატრონოთ მიტოვებული
 ჩემი ცოლ-შვილი
 გამხსენებია...

— მაშინ სად იყო თქვენი ცოლშვილი?

— ერზერუმიდან

ცოლს შეუთვალე,
 მე მისამართი მივიწყებულნი,



სახლშიც წერილი მიმიწერია.
 როცა დამჭირდა მამის კერია
 „რა საქროა შავი მელანი,
 მოკითხვის წერა სისხლით მიხდება,
 ამხანაგები გვერდით მიკვდება.
 სკდება,
 ჭიხინებს როგორც მერანი
 ყუმბარები და,
 სისხლი იღვრება...
 ცუდი ამბავი მოაქვს შენდამი
 წერილს, იტირე ჩემზე ახია,
 ათი წელია ძვირფასო მამი,
 მე შენი სახე არ მინახია;
 გადაკარგულს ნუ დამემღურები,
 ტალაქს დაეტოვებ უბედურები,
 იყოს ცოტა ხანს
 შენთან მდგმურებად
 ჩემი ცოლშვილი
 თუ გესტუმრება.
 თუ დედ მამის მზე გადაეციანი
 გადამეყაროს თათრის მიწა მე,
 სახლში ხომ მერგო ათი ფიციანი,
 და ნოყიერი ქცევა მიწისა ..
 ყუმბარა მოდის ჩემსკენ ნაგწმი,
 სკდება, სიკვდილი...
 სინათლე შეაქვს
 მას ბნულ სანგრებში
 გულ შემზარავი
 დაჭრილთ ხმებია...
 ჭუხს ქვენივები,
 მე შეეცხები,
 ჩენი მკერდები
 ერზერუმს როგორ დაჯახებია...
 — ნუ გააგრძელებთ,
 შეგწყვიტოთ ომი,
 ამ მოსხრობების
 არა ვარ მდომი,
 მე ის მინდოდა...
 თქვენთვის მეკითხა...
 ამხანაგო დარაშედიდე!
 სოფელში ცოლ-შვილს დაბრუნებინათ?



— შემდეგ...

ომიდან დაბრუნებული,
თუმცა ცოტა ხანს ვთოხნიდი ყანებს,
ვერ შეეჩვიე ლობეებს გული,
ქალაქს ცოლ-შვილი ჩამოვიყვანე,
ვერ მოვიმარჯვე ნიშგალი, ცელი,
სხვა პრიმიტიულ იარაღთა გროვა;
ქალაქში დიპყო ცხრაშეტი წელი,
მეტად შიშვე და,
ხანგრძლივი დროა;

ცხრაშეტი წელის სიყაირათე,

სხვა მზე, სხვა ცა, და ქალაქის ფონი.

გამოგვეცვლება კაცს ხასიათი,

შეხედულება და ლექსიკონი,

გადაგივიწყებს

შენი თაობა

ტოლ-ამხანაგი და მეგობარი,

გშორდება

სოფლის ნათესაობა,

ნაცნობი შთა და ნაცნობი ბარი;

აქ სხვანაირი მზეს ეგებები,

სხვაგვარი დილა და საღამოა,

გშორდება

ძველი მოგონებები,

სხვა სიტყვები და გრძნობები მოვა.

— ეხლა ვიამბეთ

თქვენი დროება,

თქვენი ბრძოლები,

და თუ შევიძელ—

შენზე დავწერო მინდა პოემა,

მე, ამხანაგო დარაშელოძე!

—

ჩემი ბრძოლები?

იგი აგრძელებს,

— არის წაშლილი

და დაგმოხილი,

მაგრამ შემთხვევა და ერთად ერთი

ჩემთვის მშესავით არის ბრწყინვალე,

გადავარჩინე დახვრეტას მე თვით

კაცი მებრძოლი, და მოწინავე;


ჩემთვის ძმა-კაცი და მეგობარი,



ჩვენს ფაბრიკებში
 კარგად ცნობილმა,
 როგორც საშიში,
 კაცი მავარი
 აჯანყებისთვის
 მუშებს ამზადებს...
 მის მოსასპობად ძალებს რაზმავენ,
 იგი ფარულად მაინც აგროძელებს,
 ხელისუფლება დღე-ღამე დაეძებს
 გაუსწორებელ შეუმრავლესელს;
 აჰა ეს არის,
 ქურქვეშელთ ბინა
 ეანდარმერიამ აღმოაჩინა...
 უბანს გარშემო პოლიციელთა
 გამხეცებული რაზმი არტყია,—
 ასეთ მომენტში გადავარჩინე,
 მე უღალატე მაშინ პარტიას,—
 მე გაფაპარე გრიგორიევი...

— ძალიან კარგი,
 სიაშკარავე
 პოლიტიკური თქვენში ხომ არი,
 მე თქვენ მიაბნეთ
 დაუფარავად
 წარსული,
 ცუდათ მოსაგონარი...
 ეხლო იმაზე ვილაპარაკოთ...
 «ათი ფიცარი» მსურს გაგახსენოთ,
 ხომ არ მიიწევთ «ქვევა მიწისკენ»,
 ხომ არ იღვიძებს
 თქვენს ხასიათში
 სოფლის სიმწვანე?
 იგი ჩაფიქრდა,
 დაუნაოჭდა სახის ღიმილი...

უკვე თორმეტი დაკრა საათმა,
 დარაშეღიძეს ვემშვიდობები,
 მე ჩამიწერა
 მან მისამართი:
 (ფუნჯეს ქუჩა,
 მებუთე №, ოთახი 13





სართული შესამე)
 — შეროიარეთ
 და დაბეჭვდამდის,
 თქვენი პოემა გამიზიარეთ.
 რაც მოგიყვებით გამომიცილია:
 ზოგის მომკმედი,
 ზოგის მნახველი,
 ჩემზე თუ დაწერთ, როგორც იციან
 არ შემიცვალთ გვარი, სახელი.
 უკვე გამოველ,
 ტრამვაის უკდი,
 ამა მოდის და მოედანს უვლის,
 ქუჩაზე იდგა დეკემბრის სუსხი,
 ცა იყო სუფთა და გასარკული.
 გზაზე თავის თავს ვეუბნებოდი:
 მეთაურები მისი წარსულის
 ვაქციეთ მტვერად,
 ჩვენმა მკლიებმა
 ისე მოსპო და დაანგრია,
 რა უყოთ ძველათ
 თუ იყო მტერი,
 ეტლა ხომ ჩენი ანხანაგია.
 იგი მაძღვედა
 ცნობებს ეკლიანს
 მშობლებისაკენ ხელგაშვერილი,
 მე გადავწყვიტე
 გამოშერკვია
 ნამდვილი სახე
 დარაშელიძის.

დადგა ოცდა ცხრის აბალი წელი,
 მიღის ზამთარი და გაზაფხული,
 მე სხვა პოემის სტრიქონებს ვწერდი...
 უკანასკნელი დღეა ზაფხულის,—
 დარაშელიძის ყოფა-ცხოვრება
 დაუმთავრებლად ნიჭს შენახული.
 შასაძლო ირის
 მისი ნათქვამი
 არაა სრული,
 ანდა ყალბია,
 და მეც ამიტომ



შაქვს განზრახული
გრიგორიევიან
გამოვარკევიო
მისი ნამდვილი ბიოგრაფია.

**ბიოგრაფიული დაკავშირების ვინაობის
ბიოგრაფიული ნაკვეთი**


— კვდება,
მორიგი გმირის ბადალი
ძირს ეცემა და სული ელვება,
გავა წლები და ძველი სარდალი
ჯარს აგერ-ეგერ გამოვრევა.
წიგნში მიკითხავს გამბედაობა
მე, ბოლშევიკურ ქერქვეშელების,
მიდის ქალარა ძველი თაობა
როცა ეპოქა არის შენების...
მოდის ოქტომბრის შემოქმედება:
პიონერების დიდი არმია,
მათ ისტორიის ცეცხლი ედება,
რევოლუცია მათ უსწავლია,
მე თქვენთან მოველ იმათაგანი,
თქვენი დღეები,
სისხლით ნაბანი,
ვისაც ლექსებად დაურაზმია,—
თქვენი ბრძოლა და
თქვენი ნაგანი
მისი პოემის დედააზრია.

**ამხ. გრიგორიევი თავის ვინაობის
შესახებ**

ჩემი ბაბუა
ჩემს უნახავად
კრიის პირზე დაბერდა მოკვდა,
მამაჩემი კი, სიკაბუკეში
აქ. ქარხანაში მუშად დამდგარა
სოფლიდან თუ რამ მოყვა გლეხური,
შემდეგ დიდია სხვადასხვაობა:
მამა პირველი,
მე ვარ მეორე,
შვილი, მესამე თაობა.
აქ დავიბადე,

გვ. „მნათობი“ № 11—12

516
6108. 1986





ქალაქის ცის შვეშ
 მითამაშია და მიმღერია,
 მამა უკან არ დაბრუნებულა,
 არც მე მინახავს „მისი“ კეროია,
 დიდი ხანია გადავიცანით,
 არ ვართ ძმები და
 არ ვართ ბიძანი,
 ნათესაობა გაჭრა საესებით,
 სახით ერამანეთს არ ვემსგავსებით.

ამხ. გრიგორიძეში გიორგი დარაშელაძის უხახახა

წარშან ზაფხულში დასასვენებლად
 ერთად იგიღეთ ჩვენ შვებულები,
 ქალაქელი ვარ მოგეხსენებათ,
 მე აგარაკი შორს მეგულები.
 მივალ იქ, სადაც შრომით დალილინი
 მოსვენებაში დროს ატარებენ.
 ის ჩამომცილდა
 და შუა ღამით
 გაყვა ნამდვილად
 სხვა მატარებელს.
 ძლივს ორთქლმავალი
 მიგუგუნებდა
 დაბლობებიდან,
 მალლობზე ხენეშით.
 ირგვლივ ცაა და სუფთა ბუნება
 და მე შევიღივარ ფიჭვნარის ტყეში.
 ჩვეულებრივად ადრე ვდგებოდი,
 გამიჯანსაღდა დალილის მე გული,
 საუზმის შემდეგ მზეზე ვწვებოდი
 და მე დავბრუნდი დასვენებული.
 ჩვენი გიორგი?
 ჯან შეძლებული,
 ძველი ზეშაა
 კიდევ ეტყობა,
 სწორედ ამიტომ
 დარაშელიძე
 წამოვაყენეთ
 ჩვენ დირექტორად.
 რამდენი წელი, ოფლით უღებავს
 დაზგა და ჯაფა ძალლონეს აცლის,



შესაფერისად საქმეს უძღვება
ჩვენი ფაბრიკის ქალარა კაცი.
რა უყვით, თუმცა მისი დროება
ბოლშევიკურად აღარ ელვარებს,
ჩვენი წარსულის
ერცხელი ამბავი
ოკეანეა წყნარი, მღელვარე,
სადაც წარსული დარაშელოძის
ჩაძირულია
როგორც მტრის გემი.
თუმც კაპიტანი ის არ ყოფილა,
მაინც ამბზე ვინც შედავება,
ახასიათებს უარყოფითად
დარაშელოძის დაწინავეებს.
„ენ“ ფაბრიკებმა როგორ გარბიოს,
ჩვენთან ამდენ ხანს შრომობს ერთგულად,
ძველი მუშაა რაგინდ არ იყოს
კაცი დახვასთან დაბერებულა.

ქვეყანამ იცის,
წარმოებებში
რამდენი სპეცი
ჩვენი მტერია,
დავილუპებით
თუ არ აყავდა
ჩვენი მუშათა
ინჟინერია.
აღმშენებლობა
გავაძლიეროთ
ძველი კერპების
დღითი დღე შეცვლით,
მუშა მოვიდა,
სამაგიეროთ
უნდა მოგვეხსნა
საეჭვო სპეცი;
დარაშელოძეს უნდა ეთავა,
მისადმი ექვიც აქ იზადება,
შემოიტანა გაუბედავით
მან კომფრაქციის წინადადება.
ამხანაგი (გვარს ასახელებს)
როგორც ერთ-ერთი მომყავს ნიმუშად.



ჩვენი ფაბრიკის ყოფილი მუშა
 ჩვენ დაგვიბრუნდა როგორც ინჟინერი.
 დარაშელიძემ მიმოიხედა,
 ააწყრილა მაგიდის ზარი,
 საეკვო სპეცი,
 პირდაპირ მჯდარი,
 მას უყურებდა „ამხანაგურად.“
 დარაშელიძე იყო ცნობილი
 ჩვენ შორის
 მუდამ მკერმეტყველობით.
 ჩვენ საამისო
 სიტყვას ველოდით
 და მით უმეტეს
 იყო ვალდებული.
 მაშინ წამოღდა ერთ-ერთი სპეცი,
 ლაპარაკობდა ენაწყლიანი:
 „შემდეგ ვინანოთ
 იქნება გვიანი,
 ახალ ინჟინერს
 მოყვეს ზარალი.
 მან „დაამტკიცა“—
 დაწინაგებას
 ჩემებრ ხალისით
 ვერ ხედება კაცი,
 მაგრამ აქ თქვენებრ
 ეკენები მკაცრი
 ჩვენი ქარხნების
 საკეთილდღეოთ.
 ამ „უპარტიო“ მკერმეტყველობამ
 ლამის შესცვალა განწყობილება,
 და კომტრაქციის დადგენილება
 ლამის ვერ იქნა გატარებული.
 დარაშელიძეს უნდა ეთავა,
 მისადმი ეკვი აქ იბადება:
 ჩვენს წინააღმდეგ გაუბედავით
 მიემხრო სპეციის წინადადებას.

გიორგი დარაშელიძის საკითხი
კომპუჯ რიღის დახურულ სხდომაზე

აცხადებს თავმჯდომარე:

ამხანაგებო! დარაშელიძე,
 როგორც ფრაქციის
 ერთ-ერთი წევრი



და ხელმძღვანელი
 გუშინდელ კრების,
 დგას თქვენს წინაშე
 ვით ბრალდებული,
 ამხანაგებო, დარაშელიძემ,
 მოულოდნელათ
 შესცვალა გეზი...
 მისცა საჯაროთ
 ხმა კომფრაქციის
 საპირდაპირო წინადადებას.

„მას მერყეობა ახასიათებს,
 ხშირად კრებებზე თავს შერიკავენს,
 გუშინ კი, უცებ ნამდვილი სახე
 გამოამჟღავნა
 ყოფილ მენშევიკმა.

დარაშელიძე თავჩალუნული
 კრებას ქურდულათ ათვლიერებს;
 იწერს რალაკებს და ემზადება,
 დამშვიდებულად თქვას საბოლოოდ.
 დარაშელიძე კრების წინაშე
 ზის გაბეული თამბაქოს ბოლში.
 „მენშევიკიო“ ეს ბნელი სიტყვა
 სისხლში დარბოდა ვით ელექტრონი,
 მაგრამ ვერ ნახა, ვერ შეამჩნია
 ეინ იძაზოდა ასეთი ტონით.
 ფრაქციის წესი თუ დაარღვია,
 ამის შესახებ პასუხს აგებდა...
 ის დაიჭირეს თითქოს პირველად
 ქურდობაში ამხანაგებმა.

კრებას თამამად
 ის ვერ შეხედავს,
 კრების თვალები
 მხოლოდ მას უმზერს...

„მენშევიკიო“
 ის სიტყვა სცემდა
 როგორც ჩაქუჩი
 მას, ბელატ შუბლზე.
 ისე ესხმიან
 თითქოს ამ კაცში
 აღმოაჩინეს რალაკ მტერიო,
 დარაშელიძე წამოდგა, მკაცრი



შეურაცყოფა მოიგერიოს.
 წამოიძახა; „ნუ მიყვირით!!!
 მე მენშევიკებს სასტიკად ვწყველი,
 ტყვიამ გააპო მათი გამწენი,
 მე კომპარტიის ერთგული წევრი—
 მორიგ ბრძოლაში თქვენთან დავრჩები.

მე მომერიდა
 ინჟინერ სპეცის,
 თვალს ჩამაცივდა
 პირდაპირ მჯდარი.
 არ ვიცი, თუმცა მგონია შევეცი...
 მე კომფრაქციის დადგენილება
 თუ დავარღვიე...“
 (კრებამ გააშავა დარაშელიძე).

ამხ. ზარიშვილის „განმარტლვა“ დაკავშირებით

„ყოველ ჩვენთაგანს ნების სიმტკიცე
 გასულ ბრძოლებით აქვს დაპყრობილი,
 ამ ბრძოლებშია ჩვენი გრძნობები
 ბოლშევიკურათ გამოწრთობილი.
 ხან ამხანაგი გვერდით გვეგულვის,
 მას შენებურათ ცეცხლი ედება;
 მისი გრძნობები მიძინებულნი
 მენშევიკურად ამეტყველდება.
 დარაშელიძეს ვიცნობთ ყველანი,
 საზიზღარ წარსულს ზურგი აქცია.
 მაგრამ ქალაქს ვადმოყოლია
 მენშევიკური „გრძნობის ფრაქცია“.
 მეც თქვენებურად მოვიტყეოდი,
 გამოვიდოდი თქვენებურ აზრით,
 მისი გარდაქმნას, რომ უშველოდეს
 სამართლიანი წყველა და ბრახი...
 მსურს ეპატოის დარაშელიძეს
 არ გატარება მუშური ხაზის.
 ათეულ წლოებით დაზვასთან მდგარი
 იგი უთუოდ ჩვენი კაცია,
 ბნელი წარსულის სიმავრეები
 მან ნანგრევებათ გადააქცია...“



გრიგორიევს
 მე ვეთანხმები
 პოემის გმირის
 შეფასებაში,
 მაგრამ ვერ არის
 ჩემთვის ნათელი
 ბნელით მოცული
 მისი ცხოვრება.
 მე, გადავწყვიტე
 სხვანაირად გიორგ დარაშელიძეს.
 მე ვეკითხები გრიგორიევს:
 დარაშელიძეს სოფელი აქვს?
 — მგონია არა!
 დარაშელიძეს, დიდი ხანია
 მე ვიცნობ
 როგორც ქალაქის მკვიდრს.
 რათ ჩააცივდით
 ამ მუშას მართლაც
 ხომ არ უპირებთ
 გადასახლებას?
 — განზრახული მაქვს,
 თქვენთვის დავხატო
 დარაშელიძის
 ნამდვილი სახე.
 თქვენ ხომ არ იცით
 მისი მისამართი?
 — ვიცი,
 ხშირად ვყოფილვარ
 ის ცხოვრობს
 ფრუნზეს ქუჩაზე,—
 ეს არის,
 როგორც მგონია
 ერთად ერთი.
 მისი მისამართი...

მე და ანხ. ზარიგორიძე
მეგობრად მხოლოდ მისამართის გამორკვევის მიზნით
დარაშელიძის სოფელში

მე თქვენ,
 გუშინდელ გეუბნებოდით:
 — „რ“ ჩამომცილდა,
 და შეუღამით



გაყვა ნამდვილად
სხვა მატარებელს“.
შეებულების დროს,
როგორც დაღლილი
დასვენებაში
თქვენ ატარებდით—
ის კი?

დასასვენებელ სახლში წავიდა,
თუ სამუშაოდ
საკუთარ სახლში?!

— ..აი რა არის გამოსარკვევი!!!

მომწყვდეული ვართ
საბჭოთა ეზოში,
ჩვენ ვემზადებით
ყვითელი ფრონტის
დღეს თუ ხვალისზეგ
შემოსარღვევად,
რომ წაიშალოს საერთოდ ეზო,
კერძოთ:

საბჭოთა ეზოში

კერძო ცხოვრება და ეზოები.

დინჯათ ავრძელებს გრიგორიევი,
სოფლად ჩაყარეთ, მყარი ძლიერი,
კომუნისტური საფუძველები,
სოფლის ძველ ყოფას სახე უცვლია,
და ჩვენი ქვეყნის მწვანე ველები
განიცდის შედგარ რეკონსტრუქციას...

იშლება გრძელი და ამ რიგადა
ჩვენი ქარხნების ხელმძღვანელობით,
სოფელში მიდის ჩვენი ბრიგადა,
არა იმიტომ, რომ განამტკიცოს
დარაშელიძის „მიწის მეობა“—
უნდა გარდაქმნას კომუნისტურად
ძველი, გლეხური მეურნეობა...

ჩვენ შეუხვეით ფრუნხეს ქუჩაზე,
გვინდა გავიგოთ დანამდვილებით
დარაშელიძის სოფლის მისამართი...
ჩვენ წინ დგას სახლი № ხუთი,
ავდივართ

მესამე სართულზე,
აი ეს არის ბინა 13,



აქ ცხოვრობს დარაშელიძე.
 კარს უკაკუნებთ.
 — ვინ არის?!
 განმეორებით კარს უკაკუნებთ.
 — ვინ არის?!
 ისმის ქალის ხმა.
 კარი გაიღო.
 ქალი მაკვირდება.
 თითქოს მცნობს.
 კიდევაც მიცნო.
 — რა გნებავთ?
 — ბოდიშს ვიხდი,
 მე და გრიგორიეც
 გვინდა ვესტუმროთ
 ამხანაგ გიორგის
 სოფლად, საკუთარ სახლში.
 თუ შეიძლება!
 გვითხრათ მისამართი!
 ქალს გაეღიმა...
 — დაგაგვიანდათ,
 ქმარი სოფელიდან.
 დღეს ჩამოვიდა.
 — აქ არის
 — დიახ! აქ არის.
 — ვინ მკითხულობს?
 (ისმის ბოხი ხმა).
 — ის... მწერალი,
 შარშან რომ იყო!
 — მობრძანდით!
 (გვეპატიება პოემის გმირი).
 ჰა, გრიგორიევიც?
 მობრძანდით!

დარაშელიძეს ესიამოვნა
 ჩვენი სტუმრობა მოულოდნელი.
 — ამას ვნატრობდი,
 კიდევაც მნახეთ,
 ჩამოვიტანე მთელი სოფელი,
 მე, თქვენთან ერთად
 მსურს მთელი ღამე



დაუცხრომელად ვიმზიარულო.
თქვენ!?

— მომიბრუნდა დარაშელიძე,
— ტყუილი გცოდნიათ,
წელიწადია აღარ მოსულხართ,
ხომ არ დაკარგეთ
ჩემი მისამართი?

მე თქვენ პოემას დამპირდით, *
თქვენზე დაეწერო...
დაგავიწყდათ?
— აი ეს არის,
ამზანაგო დარაშელიძე,
თქვენზე პოემა დღეს დავამთავრო.

პუბ-მარტილი

...როცა გიორჯის სახე აშწენდა,
ღვინომ თვალეში
აუთამაშა და გაუღიმა,
ოდნაე დამთვრალი
გადმოიხარა
ჩვენსკენ ქალარა
და ინტიმურად
გვეთხრა მართალი:

„სოფელი არ გაქვს?!

რა გეშველება!
პირი სოფლისკენ
ხომ კანონია,
მოგვიარეთ,
სუფრის დასამშვენებლად
ნაყოფი ჩემი კალონიის!

„თუ დაივიწყე შენა ოჯახი,
შენი ბავშობის სიზმარი მუქი,
წამოგეწევა საღმე ქარბუქი—
გაგანადგურებს,
დედმამის კერას
დაუბრუნდები
შუბლ შერცხენილი.

როცა ქალაქში იდგა გრიჯალი,
და თავს ესხმოდა ქუჩებს ქუჩები,
მე, ბავშვიანათ მომსდევდა ქალი,
უნდა ცოლშვილი გადაამერჩინა,



უნდა მენახა თავშესაფარი ..
 მოგაგონდება მაშინ სოფელი
 და მით უმეტეს თუ გაქვს სახლკარი.
 „მე ქალაქშიაც ვრჩები გულლია,
 მიყვარს სუფრული თქვენთან ქებითა,
 ეს ტკბილი ღვინო ამომიღია
 საკუთარ მარნის ცივ ქვევრებიდან.
 ხშირად ვიმღერი და მიმღერია
 სოფლური გრძნობა რა ძლიერია!
 ჩემი სამშობლო სახელქებული
 არის სადგურის ახლო მდებარე,
 * მის უკეთესი არსად მეგულვის
 ან უკეთესი რა მყვარებია;
 ამ სოფლის ცა არის ჩემი ცა
 და ვარსკვლავებიც
 ჩემი ვარსკვლავებია...
 — სოფელი?
 — დიახ, სოფელი!
 სოფლად, ოჯახში
 შვებულებების დრო გავატარე
 ისევ და ისევ მძიმე შრომაში.
 წუთს, მოსვენებით ვერ გააპარებ
 სოფლურ ცხოვრებას გადაჩვეული —
 ხელმარჯვე გლეხები
 სიმდიდრის ლოდინში,
 მინდვრად ღამეებს
 ათენენ უძილოთ,
 მძიმეა ოჯახი,
 ღრმა და უძირო,
 თუ მოსაყალი გაუხეავდება —
 ბელღებით,
 ზეარებით,
 ბაღებით დატვირთულს,
 მოხუცი მამა ვერ უმკლავდება.
 სხვა ამის გარდა —
 მდგომარეობა ხასიათს ავირევს,
 მე არ მცალია.
 ქალაქში ვარ და
 საჭირო იქნა
 მოჯამაგირიც.



მოერჩი ყველაფერს.
 ეზოს გარეშე
 ჩაღა თუ დამრჩა.
 შემოვიკრიფე
 წლიური სარჩო,
 ოქრო მოსავლის,
 ზეავით ავიყე,
 არ ვარ ამაყი,
 რა კაცობაა სიუკადრისე—
 სოფელურ ხორავით აქ გვახელი,
 მშვიდათ დაეტოვე,
 ეზო და სახლი,
 ჩამოვიტანე
 ტკბილი მაკარი
 და ჩემი სახით,
 ფეხი შემოდგა

აქ შემოდგომამ.
 გრიგორიევმა
 სახე შეიკმუხა.
 (დარაშელიძე გახდა ნათელი)
 — მოგიტანიათ სოფელი უხვად,
 მაგრამ არა ვარ თქვენი დამცველი...
 „ენ“ ფაბრიკების ყველა დაზგები
 ხმას აიმაღლებს,
 დავირაზმებით,
 რომ ვაწარმოთ: სასტიკი ბრძოლა
 ორმისამართიან ყოფის წინააღმდეგ.
 მოქალაქე დარაშელიძე!
 თქვენ არც მუშა ხართ,
 თქვენ არც გლეხი ხართ,
 მაგრამ ამავე დროს კიდევ ორივე!!!
 ჩემთვის მზესავეით არის ნათელი
 შენში, რომ კიდევ გლეხის ძელებია,
 მისამართები შენი წარსულის
 და მერყეობის საფუძველია.
 სხვა გზა არ არის,
 თუ წარსული გინდათ უარყოთ—
 უნდა უარყოთ ორი მისამართი.
 პირველი:
 აი, ეს სახლი ფრუნზეს ქუჩაზე.
 მეორე:



სოფელი, სადაც სადგურის ახლოს,
 სადაც გქონიათ:
 მიწა, ბაღი და ზეარები,
 სახლი, ეზო და კარი...
 სადაც გყოლიათ მოჯამაგირე...
 და ყოველ წლებით, შემოდგომისას
 შეგებულებაში მიემგზავრებით.

ქალაქში გიცნობენ,
 ქედმაღალ მუშად,
 სოფელში ყოფილხართ
 გლეხი და ისიც
 თურმე ბობოლა.
 სხვა ვზა არ არის,
 უნდა მოწორდეთ
 ერთს ან მეორეს:
 საქმეს აფუქებს
 აქაც და იქაც
 ორგვარი ხელი.
 მე კი მგონია,
 ჭარხნებს აირჩევთ,
 ისე მძიმეა ცხრამეტი წელი—
 ცხრამეტ სართულებს,
 ისე ალაგებს—
 გძლიოს სოფელის
 ღობემ და ალაგემ?!
 აქამდე გული გლესურად გერჩისთ,
 სოფლის სიმწვანეს
 და საკუთრებას დაუმონიხართ.
 მე კი, ქალაქის მკვიდრი მგონიხართ.
 დიდ ხანს არჩევანს ნუ მოუწოდებთ,
 მუშური ხაზი უნდა გამართოთ:
 ა მ ო ი რ ჩ ი ე თ მ ტ კ ი ც ე, მ უ დ მ ი ვ ი
 ს ა ბ ო ლ ო ო თ ე რ თ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი.

პუბლიკის დასაბუთი

ავტორისაგან მოქ. დარაშვილიძეს

ვააშკარავებ,
 ძმომ ვინცა ხარ.
 სოფლის სიმწვანეს,
 რამ შეგათვისა.
 ნურას მიძრახავ,

თუ საიდუმლოთ
 არ შემიწახავს
 პატივისცემა
 თქვენი სულრისა,
 ვანხორციელებ ჩემს დაპირებას
 ორგვარ ცხოვრების
 გამომსახველი,
 თქვენთ თქმისამებრ როგორც, იციან
 პოემისათვის არ შემიცვლია
 თქვენი გვარი და თქვენი სახელი.

მკითხველებიხალში

დიად სამუშაოს გმირულად ეწევა
 კაცი რომელიც არის მისაბაძი,
 ნე, მიზნათ მჭონდა თქვენთვის დამეწერა
 პოემა სათაურით: „ერთი მისამართი“.
 რასაც ველოდი ის არ მეღიბსა,
 მეგონა მუდამ ის „აქაური“—
 და მე პოემა დამთავრებისას,
 გადავასწორე სხვა სათაურით.



დაფანტული ფურცლები

— აი, შე გლახა, შენ! არა გრცხენიან, რამ წაგახდინა ავრე მწარედ? ეს ცაცის ხმაა, ის ჩემს სასთუმალთან ზის.

მე ლოვინში ვწვეარ, რალაც არ მომდის ჭკუაში, რატომ ვწვეარ მე, ამ უცხო ბინაზე რა მინდა!

— ოჰ, მოიცა, ეხლა ნუ დაიწყებ ცმუტვას! ყველაფერს გეტყვი. თედო, ხომ იცი, დაიჭირეს. დღეს მესამე დღეა. უკვე შეტეხში წაუყვანიათ. შენ იქ არ დარჩი მის სარდაფში?

გამახსენდა ყველაფერი! ეს, კეთილი, ასე მოხდა, მაგრამ აქ სად ვარ?

— თედო დაიჭირეს, შენ შიგ დარჩი. მე ეს გეტუქ-ალამ მითხრა...

— მერე მერე?

— მერე და მერე, მოვედით შუალამზე მე და ის, ბოქლომი გავტეხეთ და გამოგოყვანეთ, მაგრამ შენ იდამიანს აღარ ჰგავდი. ძლივს მოკაბრუნეთ. აგერ მეოთხე დღეა და არ იქნა შენი მოპრუნება. ეხლა, რალაი თვალი გამოახილე აღარაფერი გიჭირს. ეს ბინა ისეთია, რომ რამოდენიმე კვირას შეიძლება თავის შენახვა, მაგრამ მე ჩქარა შემოვალ და ახალ ბინაზე გადავიყვან. შეიძლება სხვა რამეც მოვხებრზოთ, მაგრამ მაგაზე არ ღირს ლაპარაკი. ერთი სიტყვით, შენ აქ უნდა დარჩე, გამოშუშდი და მერე ვნახოთ, რა და როგორ.

— კი, მაგრამ ის მაინც მითხარი, სადა ვარ, ვისას?

— მაგას არაფერი თხრობა არ უნდა. ამ ხალხს შენც კარგად იცნობ. ეხლა სახლში არავინაა; ერთი, ორი საათის შემდეგ მოვა შენი მასპინძლები, მანამდე კი შეგიძლია ისევ დაიძინო.

ცაცა ჯიბეში რევოლვერს ისწორებს, ღვედს მაგრათ სკიმაეს და კარები-საკენ მიდის.

— ისევ მარტო ვრჩები.

არა, მე ამ სახლში არასოდეს არ ვყოფილვარ. არ ვიცი, სადა ვარ, ვისას!

საბანის გასასწორებლად ხელი ამოვიღე ზევით, უნებლიეთ სახელოზე დავიხედე. პერანგი სხვისი მაცვია. მე ასეთი პერანგი კარგა ხანია, რაც აღარ მცმია.

მახსოვს ის საშინელი ღამე თედოს სარდაფში. ტანში ერთგანტელი მივლის. მახსოვს მაშინ ძალიან მშვიოდა. ეხლა სიმშლის ვეძებ ჩემს თავს.

— მოსულა მოუტანია, დამჯდარა შეუტამია, ხომ შეუტამია, ხომ?! გრივლივით შემოვარდა ამ ოთახში... ეს ხომ ჩენი კოსტაა, ხუშტურიანს რომ ვეძახით, მაგრამ იმას აქ რა უნდა? აქი ამბობდენ, რომ ის გასცილდა საქმეს, ამხანაგებს, ყველაფერს თავი მიანებაო. კოსტა მართლაც, ხუშტურიანი კაცია, უყვარს ახირებულ მომიზეზება, ამოჩემება. ჯინიანია, მაგრამ ჯინიც ახირებულ იცის. ამოჩემებს ხოლმე რალაცას უხიავსა და უცნაურს, ფებს ვერ მონაცვლებივტ. კოსტას ხუშტურიანს ვეძახით, მაგრამ ის მეტის-მეტად მხიარული და გულკეთილი ადამიანია. სადაც ისაა, იქ მუდამ ხარხარი დაოხუნჯობაა, ვერ წიოი ვენებს, ხტის, კედელ-ყურეს ეხეთქება. აჯანყების დროს კოსტა ავით იყო, საქმეში არ გარეულა. ის აქაურია—ჭალაჭელი, იქ დროებით ჩამოსული იყო, ამიტომ მას აქ თავისუფლად შეუძლია ცხოვრება. იქ მას თითქმის არაფერი იცნობდა. აჯანყების დროსაც სადღაც სააეთომყოფოში იწვა და ამიტომ ვერც სტრანეციები, ვერც სალდათები, ვერც კახაყები მას აჯანყების მონაწილეთ ვერ ჩასთვლიან.

ეს ყველაფერი ასე—მაშასადამე, მე კოსტას ბინაზე ვარ. ბინა ჩინებულია.

— კარგათ გეძინა, შე პირძაღლო, შენა, კინალამ შაბზე არ წაიღე წერილი.

კოსტა ლოგინთან დგას, მუჯღუგუნებს შთაეაზობს, იცინის კოსტა, მხიარულია,

— მაშ, მე... შენ აქ ცხოვრობ, არა?

— არა, მამო, მე აქ რა მიწდა, აქ მე კი არა ვცხოვრობ, აქ ჩემი სიმაში და ცოლის-და ცხოვრობს.

— როგორ, განა შენ...?

— განა მე რატომ არ უნდა მყავდეს ცოლი, მე რა სხვაზე ნაკლები ვინმე გეგულები? მოგიკედეს სიშონა.

— ეინ სიშონა, რომელს ამბობ?

— რომელსა და ნიშანიკორას! მე სიშონა არ მჭვია, თუ?

— სიშონა, თუ კოსტა?

— კოსტა მე იმერლების ქვეყანაში მერტვა. აქ მე ჩემს ტეტოების ქვეყანაში ვარ, აქ ნათლიის სახელი მპირდება. მე რომ მონათლეს მამო, სიშონა დამარტვებს.

— მოიცა, შე ოჯახაშენებულო, გამაგებზე ყველაფერი რიგიანად.

— მა, რაღა უნდა გვაგებინო?

— შენ ცოლი ვითხოვია, ხომ?

— ვითხოვია და მაშ აგრე, იმისთანა გოგო ვითხოვე, რომ შენი მოწონებული, მაგრამ მე ჩემ ცოლს შენ არ გაჩენებ. ცოლი-და კი აქ ბძანდებია იქ ეხლავე შემოვა და შენთვის დამილოცნია, ცოლი კი ძია-ჯან შე ჩემთვის მინდა.

— კარგი, მაგებს თავი დაანებე, დიდი ხანია, რაც ცოლი შეერთე?

— დიდი ხანი საიდან იქნება, აი იქედან რომ ამოვედრე მაშინ ვიფიქროვე. სიმონას რალაც ქალაღდებში გახეული პარკი ჰქონდა, ნელსეი ვინემა ვაგი-დაზე დასდო, მერე ისევ მე მომიბრუნდა.

— ასეა ძამია, ეს ცხოვრება მოწყობილი. დრო მიდის, წელიწადი წელიწადს მისდევს.

— რომელი წელიწადი, რას ლაპარაკობ?

— იმას ვლაპარაკობ, რომ ჩვენმა საქმემ, ჩემო კარგო, ორივე ფეხებით ჩაიჩოქა. სანამ კიდევ ხელახლა შემოტრიალდებოდეს ყველაფერი. წელიწადებო გაივლის. ეხლა ჩვენ დავმარცხდით. დამარცხების დროს კი მოცდა და მოლოდინია საჭირო. მოლოდინი კი ცოლიანი კაცისათვის უფრო სარდაა, ხელსაყრელი.

ვუკვირდები კოსტას, თუ გინდ სიმონს, ვერ გამოვიდა ის ამას ოხუნჯობითა და ხუმრობის ენის მოსაკლავათ ლაპარაკობს, თუ სერიოზულად.

— მოიცა, მოიცა, შენი მშეთუნახავიც განიოცივანო და გაჩვენო.— გარეთ გავარდა.

— ოჰ, ნუ ოჩნობ ცხოვრებული მამა-ჩემის ჯორივით; ისმის კოსტას ხმა. ამ ლაპარაკითა და ხმაურობით იმ ოთახში, სადაც მე ვაწვევი თითქმის ძალით შემოიყვანა ვილაც ქალიშვილი. ვერც კი მოვასწარი შენებედა, თვალი მომეკრა მის იერისა და მოყვანილობისათვის, რომ სიმონამ კვლავ ამოუშვა კორიანტული.

— აი თვალი დაუდგა სიბერეს, თორემ მე ის კი არა, ეს უნდა მეთხოვა, მაგრამ შენი იღბალი ყოფილა, ჩემო ალექსი, შენთვის დამილოცნია. ოჰ, ნუ მორცხვობ, მიდი, ხელი ჩამოართვი, გაიციანი, მიუბრუნდა ის ქალიშვილს. ნუ გეშინია მე ვეტყვი, ამ მანდილოსანს ჰქვია ელისაბედი, ახალგაზრდა კავალრები, ანუ თედო სახოკიას ლექსიკონის მიხედვით ვაყები, ელიზავეტა პეტროვნას ეძახიან. ეს შენ არ გეხება, შენ შეგიძლია ელო დაუძახო, ისე როგორც მე ვუძახი, თორემ, აბა, რა სახელია ელისაბედი! ელისაბედი ბებია ჩემს ერქვა. ელისაბედი ბებრების სახელია.

ელოს ხელი ჩამოვართვი. ის მორცხვით სკამზე ჩამოჯდა, თავი არც კი აუღია ზევით, სადღაც მაგიდაზე წიგნი აიღო და იმას აღარ იშორებს ხელიდან.

— შენ დარდი ნუ გექნება, ამ ბარისნას მამა ჰყავს, რა გითხრა, იესო ქრისტე რომ რიკ ტაფელას თამაშობდა, აი სწორედ იმ დროს, ის თავისიგებრად რევოლუციონერობას ეწეოდა, ეხლა კი სამსახურის კაცია. მსახურობს, გროშებს ღებულობს, ააშენა ლებრთმა, ქალიშვილები ნაინც გამოზარდა. ერთი აგერ მე ვითხოვე და მეორეს, შენ ითხოვე, თუ მარჯვეთ იქენი. ოჰ იმარჯვე თორემ დიდი გართული ვინმეა, მაგ ჩენი ელო და შენ ჰე დამრჩები ცარიელ ტარიელი.

სიმონა წამოხტა, დაავლო თავის პარკს ხელი და გარედ გაუდგა. არც კი უთქვამს, სად მიდიოდა, აპირობდა, თუ არა აქ მოსვლას და როდის.

ელო მარტო დარჩა ჩემთან ოთახში.

შხოლოდ ეხლა შევაცოლე იქეთკენ თვალი. ალბათ, იმანაც შენცა უხერხულობა.

— სიმონი, ალბათ, ჩქარა მოვა, ის გადაღმა ქუჩაზე ცხვარობდა.

— აქ თქვენ ცხოვრობთ, არა? რაღაც სულელური კითხვა მომივიდა, მევე შევატყვე. ელოს ოდნავ გაელიმა, მაგრამ თავდაპირილად მითხრა.

— ოპ, დიად აქა ცხოვრობთ. მამა და მე. ჩემი ძმა ეხლა აქ არ არის, რუსეთში წავიდა სასწავლებლად. მე და მამა ვცხოვრობთ ერთად. ელო პატარა ხანს იჯდა ზრდილობის გულისათვის, შემდეგ ადგა, მოიბოდიშა რაღაც, დი შერე ოთახისაკენ წავიდა.

შხოლოდ მას უკან, როცა ელო გავიდა ოთახიდან, მას უკან უფრო თამამად გავიხედე მე იქითკენ, სადაც ის იჯდა და მე ეხლა თითქოს ნათლად დაეინახე მისი სახე. ელო არ იყო მთლად ბავში, ოცი წლისათვის თუ გადაბიჯებული არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ბევრი აღარ უნდა ჰქვებოდა.

იყო, თუ არა ელო ლამაზი? შავგვრიანი, მალალი და სქელი წარბები, მაგრამ ჩვეულებრივზე უფრო მეტი სიფართის თვალები. ამ თვლებს რაღაც ზედმეტი ფიქრები დასწოლოდა, სიხარული არ კრთოდა ამ თვლებიდან. წინ წამოწეულ ნიკაპს გამაზარი ცხვირი გადმოჰყურებდა, რომელიც არ ვიცი რომელიღაც ჩიტის ნისკარტს უფრო ჰგავდა. ერთი სიტყვით, ელოს ისეთი სახე ჰქონდა, რომ თითქოს ასო ამ სახეზე რაღაც სულ სხვადასხვა კონიდან იყო ამოღებული. ერთმანეთის შესაფერისი რომ ჰქონებოდა პირის სახის ყველა ნაწილები, მაშინ ის შეიძლება ლამაზი ყოფილიყო, მაგრამ ეს ერთი მეორესთან მიუდგომელი თვალები და წარბები, ცხვირი და ნიკაპი, რაღაც მთლიან სილამაზის იერს უკარგავდნენ ელოს სახეს. მაგრამ მე რა მრჯის, რომ ელოს სახის ყოველივე წერილმანი მინდა გავიხსენო, ვინ არის ის ჩემთვის, უფრო კი მე მისთვის? ჩემთვის ის დიდი რამეა. მასპინძელი და მომვლელია, მისთვისათვის კი მე ზედმეტი ბარგი, საზიფათო სტუმარი და მეტი არაფერი.

სალამომდე ელო რამოდენჯერმე შემოვიდა ჩემთან, დიდ ხანს არასოდეს არ გაჩერებულა, მომიტანა საქმელი, მკითხა.

— ხომ არაფერი გპირდებათ, დაურიდებლად დამასაქმეთ, დაუხარებლად გაგაკეთებ ყველაფერსო და წავიდა.

სალამოზე შემოვიდა პეტრე, ელოს მოხუცი მამა. თითქოს დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყოს, მოვიდა, ჩამოჯდა და ნელ-ნელა გამოაკითხა ჩემი ამბავი და თავდადასავალი.

— მეცოდება და გულიც მომდის ეხლანდელ ახალგაზრდობაზე, — ბუნდუნით ჩაილაპარაკა მან. რატომ იღუპავთ თავს? რატომ?! განა პირველია თქვენი თაობა, რამდენი თაობა დაიღუპა, რამდენმა ჩასტოვა ტყავი?! მერე რა გამოვიდა? რა გამოვიდა? საუკეთესო ახალგაზრდობა ციხეში იხოცება და ოხრები კი განცხრომისა და ფეფუნებაში ცხოვრობს.

პეტრე მთლად ჰალარა, თმა-წვერში ჩაეჯდარი, საშველო ტანის მოხუცია, ნელა აბიჯებს ჩემი ლოგინის ახლოს და ნელი ხმით ლაპარაკობს.

მისი მიხვრა-მოხვრა ნელია, აუნქარებელი, მისი ხმაც ნელი და აუნქარებელი, თითქოს მას თან დააქვს სიწყნარე და დამშვიდება.

— ჩემსომახს განა არ იყო მაგეები?! რამდენი ჩენი ახადგაქმნა და მისხვერპლა მაგ საქმემ. მერე რა გამოვიდა? არაფერი! შეუძლებელია რევოლუციის მოხდენა იმ ქვეყანაში, სადაც ხალხს, შეისმინოთ უნდა ეს თქვენ, ხალხს უყვარს ხელმწიფე, ისე უყვარს როგორც ღმერთი.

— სულ ავრე ხომ არ იქნება. ხალხიც სხვადასხვაა, თქვენ რომ ხალხს იცნობდით ის ხალხი ეხლა სადღაა.

ვიცი რასაც ამბობთ. ვითომ მუშებს გულისხმობ არა, ჩვენ პირდაპირ ხალხთან, სოფლის ხალხთან გვექონდა საქმე. ხალხი, თუა სოფელშია, გაურყენელი, ქალაქის ქუქუსა და სიბინძურეს მოკლებული.

— მაგრამ მეტი-მეტად ყრუ და გაუგებარი, დავუმატე მე.

— ყრუ და გაუგებარი კი, მაგრამ გულწრფელი და გულუბრყვილო, როგორც ბავშვი. ქალაქის ხალხი ხომ გაფუქსავატებული და გაეშმაკებულია.

ასე ლაპარაკობს პეტრე მოხუცი, ნელა დადის ძირს დადენილ პატარა ნოხზე, რამოდენიმე ნაბიჯს ერთი მხრით გადადგამს, მერე აუნქარებლად ისევ უკან შემოტრიალდება. ის მე კი არ მელაპარაკება, ის უფრო თავისთვის მსჯელობს, ბუზღუნებს. ეტყობა, მას დიდი და კეთილი გული აქვს, მაგრამ საიმისო არ ყოფილა რევოლუციონერობა თავიდანვე. მით უმეტეს ეხლა, როცა ამ საშინელებას უყურებს, მშიშარა და მხდალი არ უნდა იყოს. ვატყობ, რომ ჩენი აქ ყოფნა მას არ აღუღვებს, თითქოს ამ გარემოებას სრულებით არაეითარ ყურადღებასაც არ აქცევს. შეუმჩინებლად შემოვიდა, შეუმჩნევლად გასულიყო, მე ვერც შევაცხვე.

უკანასკნელად შემოიხედა ელომ.

— წიგნი ხომ არაფერი გინდათ, იქნებ წაიკითხოთ რამე, თუ რომ არ გეძინებათ? მკითხა.

მადლობა გადავუხადე.

— არა, წიგნის კითხვა ჯერ კიდევ არ შემიძლია, აჯობებს დავიძინებ. მიუღუგე მე...

მაგრამ რომ არ მეძინება! სისუსტეს ვგრძნობ დიდს. ტანი თითქოს დაბეჭილი მაქვს. თითოეული სახსარი მტკივა. ეს კარგი, რამოდენიმე დღე რომ კიდევ გადავურჩი, მაგრამ როდემდის? ცაქა და გურქ-ალა, კიდევ რამოდენიმე ამხანაგი სანამ იზოგინებს, სანამ ჩვენ ერთი-მეორის დახმარების საშვალება არ მოგვესპობა? შემდეგ? შემდეგ, უმჯობესია ისევ ჩემი დეხით მივიდე და გამოვეცხადო. ციხე ხომ პირველი არაა ჩემთვის! ასეთი ფიქრები მოქანცვის ბრალა, ვიცი, მაგრამ რათი წავართვა თავი დალილობას, რითი მოვიკრიფო ძალა? მქანცავს კიდევ უფრო ის, რომ გარშემო სულ უფრო და უფრო ვიწროვდება ჩენიანების წრე. როსტომმა გვილაღატა, როსტომი მოჰკლეს. ვინ იცის კიდევ რამდენს აქვს გულში ლალატი და გაცემა გადაწყვეტილი? ვინ იცის, იქნებ მართალია სიმონი რომ ლაპარაკობს, იქნებ სჯობს მოფარება, თავის გადარჩენა. წყნარი ცხოვრება, თბილი ოთახი, მარტო ერთი ოთახი—მეტი არ

მინდა. ერთი დიდი... არა არც დიდი—საშეალო ოთახი, წიგნებით სავსე, იკითხე, იმეცადინე, შეიძინე ცოდნა... ცოდნაც ხომ საჭიროა, უცუდედნადაა მისი ან რევოლუციის რათ გამოადგება? რასაკვირველია, საჭიროა. საწავლის შეძენა კარგია, განა? მაგრამ შენ არ იყავი, რომ საყვედურს ეუბნებოდი იმათ, ვინც უცხოეთს მიაშურენ?

ისინიც იმას არ ამბობდენ.

— სწავლას შევიძინებ, უკან დაებრუნდებით სწავლით შეიარაღებული და უფრო მეტს წავადგებით საქმესო. ხომ ასე იყო, ხომ? გახსოვს რას ეუბნებოდი შენ მაშინ გრიშას.

— მიღიხარ, მაშ? ასე ადრე და მალე შეუშინდი გაქირვებასა და ხიფათს?

— არა, მე არაფერსაც არ შეუშინდი, მაგრამ ტყულა ჭებრალთ თაგის დაკარგვას ვისთვის რა სასარგებლოა?! რევოლუცია ეს სარგებლობას არ მოუტანს. აქ ჩემს გარდა სხვებიც ბევრია. უმჯობესია მე წავიდე, გავეცნო იქაურ ცხოვრებას, დავუახლოვდე იქაურ მუშათა მოძრაობას და მერე...

— მერე იქნება ის, რომ ან იქ, ან და, აქ ოჯახს მოეკიდები, ბავშვების მამა გახდები, ცოლის ქმარი და ოჯახის პატრონი. შეხვალ სამსახურში და ჩვენ ისე შორი-ახლოდან დაგვიწყებ ცეკრას.

გრიშას ამ ლაპარაკით ძალიან ვაწყენიე. კარგი ბიჭი იყო, თავდაპირველად დაუბოგავიდ მუშაობდა ჩვენთან, არაფერს სახიფათოს არ ერიდებოდა, მაგრამ რაღაც უცბად მოტყდა. ეს იმის შემდეგ, როცა ის დაქვრივი მოჰყავდათ, მაგრამ სახამ ციხემდე მიიყვანდნენ, გზაში რამოდენიმე ამაზნავი დაბედა და გაანთავისუფლეს ის და მასთან ერთად ორი თუ სამი კიდევ სხვებიც.

სროლა იყო, ერთი დამსთურთაგანი დაკრეს, მაგრამ მოასწრო გაკლა და თავის მოფარება, მეორე იქვე მოჰკლეს. გრიშა მაშინ გედარჩა, მაგრამ მის შემდეგ გადაკრით უარი სთქვა მუშაობაზე. გრიშას შეძლებული მშობლები ჰყავდა, მამა მისი ფულს არ იზოგავდა, ეხვეწებოდა.

— წადი აქაურობას თავი მოარიდე და შემდეგ, როცა ყველაფერი მიწყნარდება, მაშინ ჩამოდიო.

გრიშა მაშინ წავიდა უცხოეთში. ეს რამდენი ხნის ამბავია. ეხლა, როცა მე ჩემს გულში ვიხედები, ვამბობ, რომ იქნებ მეც არ მეთქვა უარი წასვლაზე, მაგრამ უცხოეთში წასასვლელი ფულები არც მე და არც ჩემს მშობლებს არ გააჩნდათ.

— ვერაფერი ბიკობაა, როდესაც რევოლუციაში მხოლოდ იმიტომ შერგავ თავს, რომ სხვა გამოსავალი არ მოგეპოვება. გრიშა წავიდა, ჰქონდა წასვლის საშუალება და წავიდა, შენ კი აგერ ვილაც მოხუცის კარზე გდიხარ და ერთი წყვილი საცვლებიც არა გაქვს, რომ... სხვისი პერანგი გაცვია; თითქოს ვალდებული იყოს ვინმე რომ შენ გარჩინოს და ეხლა ხომ იმავე ოთახზე, მუდრო ბინაზე? ოცნებობ? არა, ჩემო ძმაო, ეგრე არ ვარგა. ეგრე არც მოხდება—ვისაც შეუძლია თავის გადაარჩენა, ის წავა, მოშორდება, როგორც წავიდა სიმონა, როგორც უფრო ადრე წავიდა გრიშა... ვინ იცის კიდევ სხვა რამდენი, ჩვენ კი, ჩვენი ბედი და იღბალი ამ საქმესთან არის გადაბმული...

ვერ ვისვენებ, თვალს ძილი არ ეკარება. ცაცა, სად არის ეხლა ცაცა, იქნებ, ვინ იცის, რა დაემართა? კარები გაიღო, ნელა, თითქოს, ღუნდოდა: შემო-
ცურდა ოთახში პეტრეს თეთრი წვერი და თბი. თითქოს ბატონის მსგავსად მე
ყურადღებას.

— აი იმას ვაზნობდი, ტყელა იღუპავთ მეტეი თავს. მე ვიყავი მაგ საქ-
მეში განა არა! თავი დაეანებე, დაეანებე არა იმიტომ, რომ ციხისა და სხვა
რამ ასეთების შემეშინდა. ვინ იცის, რამდენ ციხეში მე ვყოფილვარ, რამდენი
მივლია რუსეთისა და ციხიბირის თვალუწყდენელ გზებში ჯაკვეზის რახა-რუხით,
ამას მე არ ვაფუტებივარ. პირიქით, რაც უფრო მეტი იყო ტანჯვა, მით უფრო
მეტი იყო ჩემი გაკერპება. მაგრამ ერთმა სრულებით უბრალო ამავემა გამიტება
გული, ისე გამიტება, რომ მისი მობრუნება, მისი გამართლება ვეღარაფერმა
შესძლო.

— ეხლა სიბერეში წავედი, ორიოდ დღის სიცოცხლე კიდევ მიწერია,
მაშინ კი მე ახალგაზრდა ვიყავი, არც გმირობას ვიკვებდი, მაგრამ მაშინდელ
ახალგაზრდებში ერთის ოდენა მეც შემქმლო. დამიკირეს, რასაკვირველია ცი-
ხეში ჩამაჯინეს. ასეთი იყო ჩვენი ბედი, აუცილებელი და გარდაუვალი. ადა-
მიანი საზოგადოთ ბედის წერა ხარ, ეს ყველაფერი ასე უნდა მომხდარაყო.

— სიხარულით არ მივსულვარ ციხეში—სასიხარულო და სახარბიელო ცი-
ხეში, ჩემო კარგო, არაფერია. გიყი უნდა იყო, რომ დაპურა გაგებარდეს, მაგრამ
არც შავებში ჩაემჯღარვარ. ჩვენ მთელი ოცი კაცი ვიყავით ერთს საქმეზე და-
კერილი. დიდ ხანს გვათრიეს სხვადასხვა ციხეებში, სადაც კი ფეხი გვქონდა-
დადგმული, ყველაფერს მიაგნეს. ის გლეხები, რომლებიც ჩვენ ჩვენიანად გვე-
გულუბოდა, მოიყვანეს ჩვენთან ციხეში და თითოეული მათგანი გამოტყდა, ხელი
დაგვაღვია. მე ეს არც მწყენია, არც გამკვირვია.

გადაგვისახლეს. გადაგვისახლეს და სულ სხვადასხვა ალაგას, დაგვეან-
ტეს, რომ ერთმანეთთან კავშირი არ გვქონებოდა. ციხიბირში ადგილი ბევ-
რია, რას გაუჭირდებოდათ ჩვენი სხვადასხვა მივარდნილ კუთხეებში დაქაქვა.
მე ერთი ყრუ სოფელი შემხვდა წილად. ამ სოფელში ისეთი არაფერი იყო, რომ
კაცს რაიმე ან სამუშაო ან დროს ვასატარებელი ეშოვა. სოფელი მდინარის ნა-
პირას იყო გაშენებული, გამწყრივებული ქოხები ერთმანეთზე იყო მიდგმული.
თითქოს ეშინოდათ ერთი-მეორის მოშორება. მე ერთ გლეხისას ავიჩინე ბინა.
გაფურავდი, ქირას ვიხდიდი.

ციხიბირის ზამთარი იქაური აქაურს როდი ჰგავს. შემოუჭირებს ხოლმე
30—40 გრადუსი, გარედ ცხვირის გამოყოფა სჭირს. ვარ ამ ჩემს პატარა სარ-
კმელში. ათასში ერთხელ თუ გამოვალ გარედ, ვიყიდი სადმე ნეზობლებში გა-
ყინული რძის კვერს, მოვალლობ ცეცხლზე და ასე თავი გამაქვს. მინდა ზამთარი
როგორმე გაეათრიო. ერთავად სახლში ვზივარ.

ჩემი სახლის პატრონი ერთი ბედოვლათი ობერი ვინმეა. ცხენები ჰყავს.
საქონელს ეზიდება. ამ ცხენის ქირით გააქვს თავი. ოჯახურ საქმეებს შორი-ახ-
ლოს არ ეკარება. გზათ მიშავალი, ამ სოფელს თუ ჩაფელის ხოლმე, მაშინ ერ-
თი ორი დღით შემოივლის დასასვენებლად სახლში, შემდეგ ისევ ცხენებს გაუ-

ბამს და გზას გაუდგება. ასე შიღის მისი დღე და წუთი-სოფელი. ეს ჩემი სახლის პატრონი, სილანტი ერქვა, სახელიც რომ რაღაც უშიშარს დასწავლით ვინმე იყო. მოვა, გამოძლება, გამობრუნდება, — შემდეგ წამოდგება სულ ახლა შენე უსათუოდ თავის ცოლს მისწვდება თმებში. მე იმისას რამოდენიმე თვე ვიყავი, მაგრამ არ მახსოვს, რომ ამ კანონისათვის გადაებიჯებინოს. უსათუოდ უნდა შედგეს წიბლებით ამ საცოდავ ქალს და უნდა აკიელოს, დასტოვებს დამტვრეულს, დასახორბულს, თვალემა ამოლილავებული აქვს, პირისსახე დაკაწრული. მკვდარი არ არის, მაგრამ აღარც ცოცხლებში სწვრია.

უხედავ ამ საცოდაობას, გული მისკდება. მერე ეს უბედური ქალი — ქალს მაინც ჰგავდეს, ერთი რაღაც დაღუული არსებობა, ისეთი — სული რომ წაუბერო, წაიქცევა. ქმარი არასოდეს სახლში არაა; როცა მოვა, მაშინაც ამ უზომო რტყმევით სიკვდილის პირას ნიაყენებს ხოლმე. მერე რისთვის? ეს ერთი მუჭის-სისხო დედაკაცზეა მთელი ოჯახი. ოთხი ბავში ჰყავს, ყველა ერთი-მეორეზე პატარაა. თვითონ დაიარება ტყეში, შეშას მოზიდავს. ყველაფერს მოიმარაგებს საქონელს უვლის, ერთი სიტყვით, ყველაფერი მის კისერზეა.

ერთხელ, მახსოვს, ასე და ამრიგათ რომ შეიქნა კიდევ კვილი, ვეღარ მოვიტონი და გავეარდი იმათ ოთახში, შუაში ჩავდექი და გაზავება დაუწყებ. ჩემმა მისვლამ ის უბედური ქალი სწორედ სიკვდილს გადაარჩინა. თურმე იმ მხეც ნაჯახისათვის წამოველო ხელი და, ერთი წუთით რომ დამგვიანებოდა, წიწილასავით წააგდებინებდა თავს. გაღეშილ, გამხეცებულ სილანტის ნაჯახი წავართვი. არ ნებდებოდა, შემომიტია, მეც თავი არ მივეცი გასალახავად. როგორც იქნა დავაწყნარე.

იქვე მივგდო და ხვრინი ამოუშვა. შევხედე, მაგრამ რაღას შეხედავ, საწყალ ჩემ დიასახლისს: სახე მთლად აღარ უჩანს: სისხლიანთ ხორკის ნაჭერი და მეტი აღარაფერი. წამოიწია, რაღაცას ლულულღღებს. აღბათ, მადლობას მეუბნება გადარჩენისათვის, მაგრამ რაღათ ღირს მისი გადარჩენა, აღამიანს აღარა ჰყავს.

მეორე დღეს სილანტი გზას გაუდგა. დავრჩით ისევე მე და ჩემი დიასახლისი და მისი წერილი ბავშვები. ამის შემდეგ, ერთი ცენახით, ერთხელ მე ჩემ დიასახლისთან ვავედი, რაღაც სათხოვარი მჭონდა, მგონი დანა მინდოდა, თუ აღარ მახსოვს სხვა რაღაც გამოსართმევი. ჩემი იქეთ გასვლა და იმ დედაკაცის გააფთრებული შემოტევა ერთი იყო.

— „შე ოხერო, შე გზადაკარგულო, ვინ გრჯის, ვინ გკითხავს, რომ ჩემსა და ჩემი ქმრის ჩხუბში ერევი, რა შენი საქმეა? ვინ გამოგიწვია? ქმარია ის ჩემი, თუ სხვა და გარეშე ვინმე?!

ბევრი ილაპარაკა, ბევრი მღანძღა. მე სიტყვა ვერ შევუბრუნე. ჩემი ყურების არ მეტროდა. აღამიანი სიკვდილს გადავარჩინე, ის კი მე მღანძღავს. ეს კიდევ არაფერი — ჯანი გავარდნია, გამოღანძღოს. ამ ყრუ დედა-კაცისაგან არ მეწუინება, მაგრამ გასაკვირველი და გასაშტერებელი იყო სულ სხვა. მე სრულებით გამაშტერა ამ ქალის მსჯელობამ.

— ის ჩემი ქმარია, ქმარს უფლება აქვს, როგორც უნდა ისე მოიქცეს, ამბობს ის.

— კი, ადამიანო, მივრამ რომ მოეკალი — ეგვიტებო ამ დღეებში.

— მისი საქმეა, მას უფლება აქვს მომკლას, თუ კი უნდა. ალბათ, მე ასე მეწერა ბედისაგან, რომ მაშინ უნდა მომკვდარიყავი, უნდა გაენთავისუფლებულიყავი ამ სატანჯველისაგან, შენ კი რა მიქენი? ჩემს სიცოცხლეს სიკვდილი არ სჯობია? ღმერთმა შე ქმარი გამოიგზავნა მხსნელათ, შენ კი ჩამოერიყ ამ საქმეში. ვინ გკითხავდა, შე წუპაკო, შე ოხერო, შე...

ვინ იცის, როგორ არ გამლანძღა, რა არ მითხრა, რა სახელი არ დაამარკვა.

აი, ჩემო კეთილო, აი ამან გამიტება გული ერთხელა და სამუდამოთ. არ უნდა ამ ხალხს შენი თავისუფლება, რატომ უნდა მიძალო? ასეთია იმ ხალხის უმრავლესობა, რომელსაც იმ დროს ჩვენ, ეხლა კი თქვენ, ჩვენსა და თქვენს შუა, ვინ იცის, კიდევ რამდენმა შესწირა თავი. ხალხისაგან კი წყვეცროლვის მეტი არაფერი გაგვიგონია!!

დიდხანს ილაპარაკა მოხუცმა, ბევრი მარწმუნა, რომ ხალხს არ უნდა თავისუფლება და ძალათი შიტანილი თავისუფლება მას არ გამოადგება და სხვა რამ ასეთები.

ისე ჩამძინებოდა ამ ნელ ბუზღუნში, რომ არც კი გამიგია, როგორ წასულაყო.

გარიფრატზე გამომეღვიძა. ალბათ, გამოძაღვიძა რამემ. ერთ ხანს ვერ გავიფრეკვიე. დავაყურე, გირედან რაღაც ხმაურობა და ჩოქოლი ისმის. ფეხბარეფით მოვედი ღანჯარასთან. მთელი ქუჩა გავსილია სალდათებით, ცხენოსანი ჯარით, პოლიციით. ჩბრეკენ ჩვენ პირდაპირ რომ სახლია, იმას. ქუჩის პირად ქვაფენილზე ზის ვიღაც, აქედან ხეირიანად არ მოსხანს ვინაა, ვერ ვარჩევ ქალია, თუ კაცი, მას გარშემო სალდათები ახვევია. კიბეებზე აღიან და ჩამოდიან.

მთელი ქუჩა ვაკაგებულია, როგორც ჭავეს.

— აბა, აღეჭმი ჩემო, უშველე თავს, თორემ გლახათაა შენი საქმე, თითქოს შემომძახა ვიღაცამ იქედან სალდაც სიღრმიდან. მე გარკვევით გავიგონე ეს ხმა, ასე მეგონა ვინმე ჩემს გვერდში დგას და ლაპარაკობსო. მოვიხედე — კარებთან ელო იდგა.

— დაინახეთ, ჩემათ მკითხა მან, მგონი არც კი უთქვამს — თვალებით მანიშნა. მე ლოგინისაკენ ვავექანე. საცვლებსამარა უცხოსთან და ისიც ქალთან შემრცხვა.

— ეხლავე ტანისამოსს მოგიტანთ... აქ გაჩერება საშიში იქნება თქვენთვის, მითხრა ელომ.

გაბრუნდა, გამომიტანა ტანისამოსი.

— ეს მაშა-ჩემის სამსახურის ფორმის ტანისამოსია, ჩაიცვით მაღე!

გავიდა, კარები გაიბურა. რაღაც, თითქოს სულ სხვაგან ყოფილიყოს ყოველივე ის, რაც ჩემს გარშემო ხდებდა ამ წამს, აუქარებლად შევუღდე ტანისამოსის ჩაცმის, სასამართლოს უწყების ჩინოვნიკი გავხდი. ელომ კარები შემოა-

ლო. სწორედ ამ დროს გარედან ჩენი სახლის შემოსასვლელ კარებს დაეწყეს რაბუნნი.

— წამოდით, აქ არის მეორე გასასვლელი. აქედან უკან გაქვითვით. იქ ალაყაფის კარებია, იქ არ გახვიდეთ, ალაყაფის კარების გვერდზე მარცხნივ ლობის კუთხისაკენ წახვალთ. იქ ქვის მოაჯირში პატარა კარებია დატანებული. იმ კარებს მიაწვეით, გაიღება, მეორე ეზოში გახვალთ, იქედან კი კიდევ მარცხნივ დაიკავეთ და წვრილ ბილიკს შეუყვებით გორაკისაკენ. ის ბილიკი ხევს მიჰყვება და ეკლესიის ეზოს მიადგებით. ეკლესიის აფურის გაღვაწი არტყია, იქ შეგიძლიათ თავი შეაფაროთ. მერე ენახოთ, რა იქნება.

ამას ის ყურში შეაფარებდა, ხმა ცოტა არ იყოს უკრთის, ფართედ გახელილი თვალები სადღაც გაურკვეველ სივრცეში მიუშტერებია. გამოვედი, ეზომდის ჩამომყვია, აქ ხელი ჩამოვართვი და დაეშორდი. ვერა, ვერა ვარ ჯერ კიდევ მაგრად ფეხზე, ბარბაცით მივდივარ.

— სად შიდის ნეტავ ეს სასამართლოს მოხელე ასე უთინია და ისიც ამ უკანა ეზოს მივარდნილ კუნძულებს რათ ეხეთქება? მე თვითონ ვეკითხები ამას ჩემს თავს. გავიარე ისე, როგორც დამარიგა ელომ. ჩემში ვარ. გარედან აღარაფერი ხმა და ჩაჩქალი აღარ აღწევს ჩემს ყურამდე. მივადექი, როგორც იქნა, ეკლესიის ეზოს.

აქნამდე კარგი იყო ჩემთვის ეს მოხელე-ჩინოვნის ტანისამოსი, მაგრამ ამ დილა-ადრინათ რომელია ჩინოვნის მივა ეკლესიის ეზოში. ეხლა საუცხოვოა, რომ ბოსიაკის დახეული და დაფლეთილი ძონძები მომცა.

— ეჰ, რა დროს მაგახე ფიქრია. მგლის ფეხი გამოიბი ჩემო თავო უბედურო, რომ ამ განსაცდელიდან თავი დაიხსნა, ან კი რა შინდა. ამ ეკლესიის რას ვეძალეები? წავიდე, მოვშორდე ამ უბედურ ქალაქს... წავიდე, ვიარო, ვიარო! იქნებ შორს გავცილდე ამ უბედურებას!!! მაგრამ საით წავიდე, რომელ მხარეს და როდემდე ვიარო??? სჯობს იმ ადამიანს დაუჯერო და მართლაც ამ სასაფლაოზე მოეძებნო მუფდრო ბინა. ახირებულია ბედი ადამიანის. ცოცხალი ადამიანი, გაგონილია, თავის ფეხით მიდიოდა სასაფლაოზე? გაღვაწი მალალია, გადასვლა არც ისე ადვილია ჩემთვის, ამ სისუსტით დაჯაბნებულ ადამიანისათვის.

გარს უფლი გაღვაწის. ამ სიარულში დარაჯის პატარა ლამის-სათევს მივადექი. ფეხები პირდაპირ იქეთ წავიდა, კარებზე მივაკაკუნე.

მთავარ ანგელოზი, მიქელ-გამბრიელი რომ გამოცხადებოდა მაშინ იმ საწყალ დარაჯს ისე არ განცვიფრდებოდა. კარებში საბტად იღვა და მოხუცებულ თვალებს იფშვნიტდა.

— ნუ გეშინია, მეგობარო, მართალია უდროო დროა, მაგრამ გაქირვება სად არ მიიყვანს ადამიანს... მე, ერთი სიტყვით, საქმე მაქვს შენთან. უბედურება მეწვია, მომიკვდა... არ ვიცი რომელი ვუთხრა: ძმა, შვილი, დედა თუ სხვა რა?.. ერთი კარგი მეგობარი. საფლავის ვათხრა შინდა ვთხოვო, აქ მესაფლავე იქნება ვიმე.

— არიან, როგორ არა ბატონო, მაგრამ ეხლა ყველა თავ-თავიანთ ბინაზე არის წასული. გათენდება ხეირიანათ და მაშინ მოვლენ, ^{მანამდე მათთან} ათზე. მანამდე კი ვერავის ვერ იშოვიო.

— ეგ მეც ვიცი, მაგრამ მანამდე, მოცდა არ შემოძლია, მეჩქარება. დღეს დილის მატარებლით უნდა წავიდე, მინდა თქვენ გთხოვოთ.

— ბატონი ბრძანდებით, მაგრამ სამარხის გაკრას ნებართვა უნდა,— ეს ერთი, მერე ზომია საჭირო.

— ოჰ, მაგეები სრულებით დამაფიწყდა. ამასობაში მეც შევიწიე ოთახი-საკენ და შიგ შევედი მთლად. მინდა რამოდენიმე ხანი დრო წავეთარიო ამ ლაპარაკში და მერე გზას გაუღდებო.

დარაჯბა პატარა სამფეხა სკამი შემომთავაზა. ჩამოვეგეკი, არ ვიცი, რას ფიქრობს ეს მოხუცი თავის გუნებაში. ასეთი უთავბოლო მნახველი მას, ალბათ, იშვიათად ჰყავს. მახლობელი ადამიანის სიკვდილით გაბოროტებულ ადამიანს ხომ არ მოეკითხება დიდი დამწვიდებული და დალაგებული მუსაიფი, მაშ მეც... მე ხომ ჩემი თავი ქირისუფლად მინდა დავანახო.

— დამაფიწყდა, დამაფიწყდა, მეგონა უბრალოდ მოეწყობოდა. მინდა მშობლებს შეეატყობინო, აქედან ორი სამი სადგურის მოშორებით ცხოვრობენ.

ლამის სათევში დარაჯს პატარა ჭრაქი უნთია. ჭრაქი იმდენს სინათლეს არ იძლევა, რამდენსაც ბოლავს. გარედან შემოსული დილის სიო აქანებს ჭრაქის წითელ ენას.

— ბოდიშს ვიხდი, რომ უდროვო დროს შეგაწუხეთ, მაგრამ ძალიან შეწუხებული ვარ, პატარას დავისვენებ და ყველაფერს მოვიტან თავის დროზე.

— ბატონი მზანდებით.

— სანთელი შეგიძლიათ დააქროთ. მე სულ ცოტა ხანს ჩამოვედები, სულს მოვითქვამ და ეხლავე წავალ.

— ბატონი ბრძანდებით, მოსასვენებელი ალაგი არ გამაჩნია, თორემ ლოგინზე მოვისვენებდით.

— არა, ნუ წუხდებით, ნუ წუხდებით.

ვზივარ, წყუთებს ვითვლი, რა ნელა მიდის დრო. აქედან გაბრუნება არაფრად მეჩქარება. აქედან ჩასასვლელი მარტო ის ქუჩაა, რომელზედაც ეხლა ჩხრევაა გაჩაღებული.

— ვაი თუ ჩემი მასპინძელი ხიფათში გაგვიცი! თუ მიაგნენ ჩემს კვალს!!

— დიდ ხანს აქ გაჩერება არ შეიძლება, მივაკუნებს ვიღაც შიგნიდან თავში.

— არა, მე სულ ცოტაოდენ ხანს დავიცდი აქ და ისევ გზას გაუღდები.

— რა კარგია ერთს ალაგზე ყოფნა. რა ბედნიერია ვთქვათ ეს საფლავისა და ეკლესიის დარაჯი. აქვს თავისი კუთხე: აქ არავინ შემოუხტება, არავინ მოსდევს უკან დასაქურად. მე კი... და განა მე ადამიანი არა ვარ, ნუ თუ მე არ მეკუთვნის, თუნდა, სულ უკანასკნელი რამ ბინა, სორო იყოს, ბნელი და ნოტიო, სარდაფის კუთხე! ნუ თუ არ უნდა მქონდეს უფლება გარედ გავიდე, ვავიარო და...? რატომ, ვინ მისცა ამ სხეებს უფლება, რომ დავგვევენ??

ზარმაცად მილოღავს დამძიმებულ თავში შავი ფიჭვების სქელი ნოლი.

დარაჯი გარედ გავიდა, ისევ შემობრუნდა, პატარა ხენს რაბუცებს იბრუნებდა კუთხეში, ისევ გარედ გავიდა, შემდეგ ისევ შემობრუნდა.

— აი დაგლახვროთ, ჩემმა გამჩენმა, აქეთ სად მოეთრევიან, ლაპარაკობს ის თავისთვის.

— ვინ? უცბათ შევეკითხე მე.

-- მთელი ეს სერი გადაფარულია სალდათებითა და კაზაკებით. რაღაცის ეძებენ. წუხელის-წინ ღამ ამ ვადაღმა ხევის იქით ერთი საწყობი უნახავთ, თურმე, სულ ზომზეთი იყო საესე. ეხლაც ეძებენ.

აედექი, გავიხედე, მართლაც მთელი ფერდობები სალდათების ხიშტების წვეროებითაა ავსილი, თითქოს ღობე გაუვლია ვიღაცას და ღობისათვის წვერო-წამახვილი მარგილები დაუტანებიაო.

— ღირს კიდე აქედან წასვლა?—ეფიჭრობ გუნებაში.

— არა, წასვლა სჯობს, რა თქმა უნდა.

აედექი.

— მე, ჩემო კეთილა, შემდეგ თავის დროზე შემოვივლი, ეხლა კი სჯობია წავიდე, თორემ მატარებელზე დამიგვიანდება.

— როგორც გენებოთ, მაგრამ უმჯობესია, რომ პატარა ხანს კიდე მოიცდიდეთ. იმ ურჯულოებს არ ჩაუვარდეთ ხელში.

— იმათ ჩემთან რა ესაქმებათ?

— კი არ ესაქმებათ კი, მაგრამ იმათ ვარჩევა, ვინ მისცათ? იქნებ არ დაგიჯერონ, რომ თქვენ აქ საქმზე მოხვედით. თქვენთვისაც არ იქნება კარგი და, ვინ იცის იქნება, მეც რამე უბედურება შემამთხვიონ.

არა, როგორც ვატყობ, არც ისე შეუსმენელი ვინმეა ეს დარაჯი, როგორც მე მეგონა. აშკარაა, ჩინებულად მარყობს, ვინცა ვარ, მაგრამ არ შემამჩნევია.

— არა, სჯობს წავიდე.

— დამიჯერეთ, მოიცადეთ, უმჯობესია. უკან თუ არავინ გამოგყოლიათ, ისე აქ ვერ შემოვლენ. მოხუცი კიდე გავიდა გარეთ, ისევ ჩქარა შემობრუნდა.—არა, ჰგავს ჩვენსკენ მოდიან. აი იქ ჩემი მზარა ჰკილია, ჩაიკვი, ხელში ფანარი და ჯოხი დაიკავე და სასაფლაოს შორეულ კუთხისაკენ გასწი. თუ აქ ვინმე მოვიდა, მე დავხვდები. თუ სასაფლაოზე დაიწყეს სიარული და ძებნა, წინ შემოხვდით, ჩემი მომხმარე ღამის დარაჯი ხართ, სასაფლაოს შემოსავლელად იყავით წასული. მორჩა და გათივდა!

ერთხელ კიდე დამქირდა ტანისამოსის გამოცვლა. მოხუცმა ჯოხი და ფანარი ჩამაბარა და მეც გავეშურე სასაფლაოს შორეულ კუთხეს, რომელიც აქედან მოფარებულია ამოზურგულბული გორაკით.

ერთს ალაგზე არ გაჩერდე, იცოდე არ ივარგებს, გამომავლა სიტყვა დარაჯმა.

მივდივარ, მივაბიჯებ და თან გულში მეცინება. საზღაპროა ჩემი ამბავი. საზოგადოთ საზღაპრო დროა. თვითველ ფეხის ნაბიჯზე საფრთხე და უათერაკი მოვლის იდამიანს. პირდაპირ ფეხდა-ფეხ მოგვლევენ.

— ოი, შე პირშავო, ჩემო ბედო, ამის ფასი რა დაგიშავე, რას მებღაღებო, რატომ გინდა უსათუოდ წრევეანდელი წლის წერა შევიქნე? ^{მეცაქნა მწაღებო} მწაღებო ვარ, ცხოვრება არ მინახავს. არ ვიცი, რა გემო აქვს სიტყვებს. მაკალე, სულ ცოტა დრო მაკალე, მერე თავნი იხალე ყველაფერი. შე თვითონ აღარ გამოფეკიდები ამას, ამ სისულელეს, სიცოცხლე რომ ეწოდება. მაგრამ ვერ ის რალაც უენაური და მეტად რთული ამოცანაა ჩემთვის. არ მინდა ისე წავიდდე ამ ქვეყნიდან, რომ ამ ამოცანას ხელი არ შეეხასო. პირისპირ არ მივადგე იმ სატუბოვო სანახაობას, მინდა ძირამდე გავსქვრიტო ამა ქვეყნის არსი, მის შუაგულში ჩავიხედო, მის სიგარტე სიგანეს თვალი გაუსწორო.

ელოს სახე გამახსენდა, რა სიღრმეში იყურებოდა მისი განიერი თვალები. ხმა ათრთოლებული ჰქონდა, ყურში რომ სიტყვებს მიზურჩულებდა, მისი თმა ჩემს სახეს შეებო, სითბო და სუსხიანი ტრუანტელი დაარბენია ჩემს ძარღვებში. იქნებ ელოს ეხლა კახაკები... მაგრამ არა, კახაკები ეხლა აქეთ შემოსულან... ვინ იცის, განა ეს მაინცა და მაინც ის კახაკებია, რომელნიც იქაურობას ჩხრეკდენ. მივიღვიარ, მივაქნე ჩემს დამქრალს ფანარს, საბიჯი ჯოხი ილღიაში მაქვს ამოზრილი. გორაკს მივეფარე. საფლავის ქვაზე ჩამოვჯექი.

ლევე საქმათ ინათლა.

ჩემს წინაშე რკინის მოაჯირია, მოაჯირის შიგნით მალალი წოწოლიცა ქვაა დაღებული, თალებითაა და მორთულობით გამოყვანილი. მოვარაყებულო ღარებითაა დასერილი ამ ქვის ის ყუთზე, რომელიც მე მომჩერებია. უაზროთ მიფერებია ამ ნაწიერს: „ჩვიდმეტი წლის ვაჟი ვიყავე—ჩემი მშობლების ბურჯი და იმედი“, ქვევით ცოტა მოშორებით „შე უწყალო სიკვდილო, რა უდროოდროს მომისპე სიცოცხლე!“ კიდევ უფრო ქვევით „წამკითხველო, გთხოვ შენდობას!“

რა უკუნურია ადამიანი, მკვდარი კი არა—ცოცხალი ადამიანი. რათ უნდა მიცვალებულებს ეს ლობეები, ეს მოაჯირით შემოფარგული ოთხკუთხედები, მით უმეტეს, რათ უნდათ ეს წარწერები??

„მას რა უჭირს, ვინც საფლავში სამუდამოდ განისვენებს.“

„მან იკითხოს, ვინც ამ სოფლად იტანჯება, ვერ ისვენებს!“

რამდენჯერ გამიგონია ეს სიმღერა, გიტარაზე რომ უკრავდენ ბოლმე ქალიშვილები ჩვენში სოფლად, გიტარას ჰქუა ვინ მისცა, ან მის დამკვრელს რა ჰქუა მოგკითხება, მაგრამ ამ სიტყვებს უსათუოდ დიდი და ღრმა აზრი აქვს. აგერ ჩემს გვერდით მეორე მოაჯირი აქვს შემოვლებული თეთრი მარმარილოს ანგელოზს, რომელიც ქვის ქიშხე დგას. ანგელოზი ცივი, მკვდარი თვალებით იყურება სივრცეში, ხელები შევითყენ აუპყრია, ცალი ფრთა ჩამოტეხილი აქვს. ასე ჰგავს, თითქოს გაფრენას აპირებს და ეს მოტეხილი ფრთა უშლისო, რა კარგია, ადამიანი რომ დასტურ გამოიხსამიდეს ფრთებს, მაგრამ არც გაფრენილს მოგისვენებენ.

არის რკალი შენს გარშემო და ამ რკალის გარღვევას მხოლოდ ის მოახერხებს, ვისაც ბედით უწერია ეს. ბედი, შემთხვევა, უკაბედი რამ—აი რახეა

ებლა ჩემი და ასეთი ჩემისთანას სიცოცხლე დაკიდებული. არავეითარ სხვა კანონი აქ არ შეშაობს.

— „მდგომარეობა ქმნის შეგნებას, ხომ? ხომ ასეა? არავეითარ სხვა
კანონი
აქ არ შეშაობს

— დიდი მდგომარეობა, რატომ არ გჯერათ თქვენ ეს დებულება?

— არ მჯერა, დიხაბც არ მჯერა, ჩემი მდგომარეობა სრულებითაც არ არის ისეთი, რომ ჩემი შეგნება რევოლუციისაკებ იყოს მიმართული, მაგრამ მე მიიხსენებ, მიუხედავად ჩემი მდგომარეობისა...

— კანონი ერთეულებისათვის არ არის დაწერილი, ეს ერთი, მეორეც ის, რომ ერთეულები რევოლუციის არ ჰქმნიან.

— აბა ვინ ჰქმნის?

— ვინ და ხალხი!

— რომელი ხალხი?

— პირველ ყოვლისა მუშები.

— მუშები, მუშები?! რატომ მუშები შექმნიან რევოლუციის და არა მე და ჩემისთანებები?

— თქვენ ცოტანი ხართ, ისინი კი ბევრი არიან, გარდა ამისა...

— მაშ გულმარჯოს ბრბოს, ასე ხომ?! რაღა საჭიროა სწავლა, ცოდნა. საჭიროა და საქმარისი მუშა იყო, მხოლოდ მუშა, მეტი არაფერი და ეს უკვე საქმარისია, რომ წახვიდე. ჩემი მოკამათე გულმოსული მოდის ჩემსკენ, ხელს მყოფებს და იმეორებს:

— წავიდენ, წავიდენ! თვალი გამოვიხილე.

— წავიდენ, ადგილთ, შეგიძლიათ, თქვენ გზას ეწიოთ. შობუცი დარაჯი მადგია თავზე.

— შეგნით არ შემოსულან, გალავანის გარშემო შემოუარეს, მაგ მხარეზე სულაც არ წამოსულან. ალბათ, ვინმემ მოასწავლა აქეთკენ, მაგრამ აქ რა უნდა ნახონ. ეს მკვდრების ბინაა და არა ცოცხლების... ასეა ადამიანის ცხოვრება, სანამ ცოცხალია, ადამიანზე უფრო საძაგელი არაფერია, მოკვდება და მოისვენებს, დაგელოცა ღმერთო სამართალი. საიქიოს ყველა გათანასწორებულია. იქ არ არის არც მდიდარი, არც ღარიბი, არც წარჩინებული, არცა მდაბიო.

შევეყვი ღამის სათევში, მაზარა გავიხადე და ისევ მოსამართლის მოხელე გამოვიდა ეკლესიის გალავანიდან. ჩავიარე იმ ქუჩაზე, სადაც ელო ცხოვრობს. აღარავინაა, ცარიელია ქუჩა. იმ ალაგას, სადაც ვილაც იჯდა წუხელის რომ გადმოვიხვიდე—სისხლის გუბე სდგას. მინდოდა ელოსთან შევსულიყავი, ვერ შევებდე, ჩქარი ნაბიჯით ჩავიარე, გავშორდი იმ მიდამოს.

მე ხომ სასამართლოს მოხელე ვარ, სამსახურში მერქარება. ვინქარა, თუმცა ძალიან მიჭირს ჩქარა სიარული. ან კი რას ვაკლავ თავს, ამ ხრიკებით ვის ვატყუებ? ძალიან მინდოდა იმ საწყალი დარაჯის მოტყუება, მაგრამ უცბათ მიმოხვდა ყველაფერს, ისე მიმიხვდა, რომ ვერცკი შევატყუებ.

გალმისაკენ უნდა წავიდე. იქ ნაძალადევეში შეგულება რამოდენიმე ძველი მგვობრის ბინა. დილიან სჯობს სიარული ქუჩებში. ჯარები საჩხრეკად დაახლოებით ათზე და ათის შემდეგ გამოეფინებიან ხოლმე. აქჟალის ქუჩას რკინის-

გზის ხიდის ქვეშ ნაძალადევისაკენ ერთი გასახვევი აქვს. სწორედ ამ ალაგას წინ შემომეფეთა მთელი ხროვა კახაკები, რამოდენიმე კაცი მოჭყვეთი დაშერილები.

მუხლები მომეცეცა... დაჭერილებს შორის ცაცა დავინახე. ისაა, არ უნდა ლაპარაკი. სახე ვერ ვიცანი სახე, დასისხლიანებული აქვს, მაგრამ მისი ღების გადგმა, მისი მიხერა-მოხერა, სიარული ჩემს თვალს არ გამოეპარება. შეეატყვი, მანაც შევნიშნა.

— უკან დაბრუნდი ეხლავე, იქით არ გაბედო გასვლა, ეს ცაცა ლაპარაკობს, ვითომც თავის გიერღში მიმავალი ამზანაგებს ეუბნება, პირი იმისაკენ აქვს, მაგრამ ვიცი, რომ ეს ჩემი გაფრთხილებაა.

საწყალი ცაცა. დაიჭირეს ცაცა, გამოვეთხოვე ცაცას, პატარა მანძილზე თვალი გავაყოლე...

გულიდან უნდა ამოვიგლიჯო მისი სახე. ცაცა დაიჭირეს, ეს იმასა ნიშნავს, რომ ცაცას დღეს თუ არა, ხვალ დახვრეტენ. მისი გადარჩენა შეუძლებელია. ალბათ უცაბედათ ჩაიგდეს ხელში, თორემ ასე ვაგლახათ ცაცას ვერ დაიჭერდნენ. პატარა მანძილი გავიარე, უკან გამობრუნებას ვაპირებდი—ხედ პირდაპირ შევეჩვებე გეურქ-ალას, ცაცას ერთგულსა და განუკრულ მეგობარს.

გეურქ-ალა ქალაქელი ბიჭია. ხელობით ზეინკალი ყოფილა, მაგრამ აგერ რამოდენიმე წელიწადია მუშაობა მიტოვებული აქვს. მას დასდევენ, ისიც დასდევს თავის საკბილოს. ჯავრი სჭირს ჯაშუშებთან. დარწმუნებულია, რომ ჯაშუშების სინსილა სანამ არ გაწყვეტა, მანამ რევოლიუცია არ მოხდება.

— შე ღმერთს ვეხმარები, რომ რაც შეიძლება მალე დაიბაროს და ჩიბაროს ამ პატროსანი ხალხის სული, ოხუნჯობს ხოლმე ასეთ შემთხვევაში გეურქ ალა. ვიცი, რომ მას არც გეურქა ჰქვია და არც არაფერი ალია, მაგრამ მას სხვა სახელს არაფერს უძახის.

— სად მიხეტები? ვერ უყურებ განა, რა ამზავია ნაძალადევში. წუხელი ერთი ასი კაცი მიინც დაიჭირეს.

— ცაცა დაუჭერიათ, ეხლა შევხვდი, ვერ ვარ კარგი მხარობელი.

— ვიცი, ვიცი ძმობილო, მეც იქ არ ვიყავი ისიც ვიცი, ვისი ბრალიცაა ცაცას დაჭერა. ღმერთი ილოცოს, რომ მეც ჩქარა დამიჭირონ, თორემ სანამ ცაცას დასახვრეტად წაიყვანდნენ, მე იმით წირვასა და პანაშვიდს ორთავეს ერთად გადავუხდი!

— საიდან გაიგე, ან როგორ იყო?

— გეტყვი ყველაფერს, მაგრამ ამ ქუჩაში ნუ გაერბრდები. მე წინ წავალ, შენ უკან გამოჰყე, თვალადან არ გამოიშვა, გესმის? მე ერთს პადვალში შევალ, შენც იქ შემომყე. თუ ამდგარი მნახო, ახლოს არ გაშეკარო, თუ არა კუთხეში განაპირა სტოლთან ვიქნები დამჯდარი.

გეურქ-ალა დაწინაურდა, მიდის უკან არ იხედება. შეუხვია, თავი დაღუნა და სარდაფში ჩავიდა. მეც იქ შეველ. გეურქა სტოლთან ზის, როცა თვალი მომკრა ადგა და სარდაფის შუაგულისაკენ კარებს მიასწორა. მეც უკან გავედევნე. ცალკე, პატარა ოთახში შეველით.

— ზურმუხტ-ჯან, აქ ზომ ვერაფერს უნდა ვთქვათ, როგორც აქაურები შეეკითხა გეტურქა დახლიდარს, რომელიც საინებითა და „სახაყუსკო“ მწიგნობარად, შემოდის.

— დარდი ნუ გაქვს გეტურქ-ჯან. ჩვენი უბნის გარადავოი, აქალოდონიკი სულ ჩემ პურ-მარილს ხეთქავენ, თუ ეგეთი რამე იქნება, მე თავიდანვე შემატყობინებენ.

— რომ არ შეგატყობინონ?

— როგორ იქნება გეტურქა-ჯან, მაგისტანა უპურ-მარილობა, არ შეიძლება, რომ არ მაცობონ. ერთიც ვითხრა, გეტურქ, არა სჯობს, თუ რაიმე მაგისტანა გაქვს გუნებაში, რომ აქ ჩემს საკუთარ ბინაზე მოისვენოთ თქვენა და თქვენა ამხანაგმა?

— მე არაფერიც არა მაქვს გუნებაში. მე ერთი ზაკუსკა მინდა ვქამო, ორი დღეა პური არ მიჭამია.

— ალალი იყოს შენზე დედის ძეძუ. მე შენ ისეთი რამეები მოგართო რომა. ოჰ, იმას არ ვამბობ, აქ საშიში არაფერიც არაა, მაგრამ თუ ვინცობაა, რამე ისეთი მოხდეს, მე სანამ იმით შევიყოლიებ, შენ აი ამ ფანჯარიდან გადისხვალ და იქით ისეთი-მიხვეულ-მოხვეული პერეულკებია, რომ დღეა შეიღს ვერ მიავნებს.

დახლიდარი გავიდა.

— ჩვენ იქ ერთი ბინა გქონდა მე და ცაცას აჩენილი. ერთი ისეთი ვინმე არის რალა ნაძალადევში, იქ დავიდიოდით, ერთი ბაიყუში უკოლ-შვილო ადამიანია. რამდენიმე ღამე ერთად ვაუთენეთ მისას მეცა და ცაცამც. სხვამ ჩვენი ბინა არავინ იცოდა. მეც წუბულ იქ უნდა მივსულიყავი, მაგრამ სხვა საქმეები შემხვდა, მისვლა დამიგვიანდა. რომ მივდივარ ერთიც ვნახოთ, კაზაკები და სალდათები გამოეფინენ მოსახვევიდან. მე მივეუარე. ნაძალადევში განა კაცი დაიჭირება, თუ რომ ზედ თავზე არ წაგაწყდნენ. მინდა ერთი ცაცას ბინაზე მივასწრო, გამოვიყვანო. ეზოდან ეზოში გადავიდივარ. აი აგერ მეც მიველი და ის ოხრებიც, თურმე და იქ არ მოდიან?! ლობეს ამოვეფარე, საფარი კარგი მაქვს, მინდა სროლა ატეხო, ვფიქრობ, ცაცა სროლას გაიგონებს, თავს უშველის მეთქი. გავიხედოთ, რას ვხედავ! ის შიმა-სულ წაწყმენილი, ის ჩვენი ბინის ხაზენი არ მოუძღვის ამ კაზაკებს! რალაც ძველი მაზარა წამოუსხამს, მაგრამ მე კარგათ შევიცანი რომ ის იყო. ფანარის ახლოს რომ შეჩერდნენ და ზღკი სახეში სცემდა, ამკარად დაეინახე რომ სწორედ ის იყო. არ მეგონა, თუ ის ამ საქმეს იხამდა. ვაოცებული ვაჩერდი, რამოდენიმე წუთი დამაკარგვინა, დრო გაუშვი. უკვე ერთი წყება შესული იყო ეზოში. მაინც მოვისვი ხელი, მაღბერი შევმართე და რამოდენიმე მივაყოლე. დაიჭრა, ალბათ რამოდენიმე, იქნებ კიდევაც ჩაძალდა, მაგრამ, რათ გინდა. ცაცამ ველარ მოასწრო ადგომა. მე სროლით და დავიდარაბით გზა გამოვივლიე, ცაცა დაიჭირეს. წუბული მაინც ნაძალადევში დიდი ჩხრეკა იყო. ბევრი დაიჭირეს.

— შენ?



— მე რა? ლამე და ისიც ნახალოვკაში გეურქა ვინემ დაიჭირას, მაშინ ეს ბიჭი მოკედეს, აი ეს ასე, მაგრამ მე მაინც ვერ ვარ დარწმუნებული რომ სახლის პატრონმა გვიჯაშუშა. აი ეს მინდა რომ გავიგო. ვიცი რასა, გული ჰმას მეუბნება, მაგრამ არ შემძლია დავიჯერო. უნდა გამოვცადო როგორმე. ეხლა ფიჭრის თავი არა მაქვს. საღამოზე გამოდი დიდუბეში, გეტყვი ქუჩას და სახლის ნომერს, ზეპირად დაიმახსოვრე. ეზოში შეხვალ, ჩოფურა მეგზოვე დაგხვდება, იმას უთხარი, — ვანიჩკას ნახვა მინდათქო, ის შემოგიყვანს. მეც იქ ვიქნები. საათის ხუთისათვის, იცოდე არ დავიგვიანო, ეხლა კი ამ პატიოსანი კაცის მოტანილს პურსა და ლეინოს შევექცყო. გეურქა სკამს გამალბით.

— სკამე შენც, ერთი ორი დღის ზაპასი ყოველთვის უნდა გქონდეს მუცელში, თორემ, ვინ იცის კიდევ როდის შეგხვდება პურის ქამა. გეურქა მადინათ ილუქმება.

— პატიოსანი კაციტყო, გითხარი, ეშმაკა იცის მავის თავი და ტანი. იქნებ მაგეც ისეთ მახეს გვიგებს, რომ შენი მოწონებული, მავათ მდგომარეობაშიადა უნდა შევიდეს კაცი. ჩვენიც ეშინია, იმათიც ეშინია, მაგრამ ჭკვიანი ოხერი ვინმეა. ჩინებულად იცის, რომ პოლიციას ქრთამით მოიმადილიერებს, ჩვენთან კი ქრთამი არ გაუვა. ისე კი ყველას რომ ერთ დღეს დაგვიქერდენ და მოგვსაზობდენ, მაგაზე უფრო ბედნიერი კაცი არ იქნება. ჩვენგან მავას რა ხერი აქვს, გულის ფრიალისა და მუდამ ზიფათის მეტი..

მე გული არ მიშვება ქამას. თვალ-წინ მიდვას ცაცა. გეურქასთვის ის მხოლოდ მარჯვე ბიჭი იყო. ჩემთვის კი ცაცა ძველი მეგობარი იყო, ვინ იცის რამდენ უბედურებაში და ფათერაკში ერთად გამოგვივლია. ცაცა, რომელიც ამ საბედისწერო წუთს ჩემზე უფრო მეტს ფიქრობდა, მე გამაფრთხილა ნაძალადევისაკენ ნუ წახვალ, საშიშიაო. თითქოს მიცვალეზულის ცხედარი იღვას ჩემს წინაშე. თვალგებს, ვატყობ, ცრემლები აწვება. რა გასაკვირალია, ადამიანი ვარ, ადამიანის მომდგამს ყველაფერი. გეურქა-აღა თვალს მარიდებს. არც ისაა კარგ გუნებაზე, მაგრამ ის სულ სხვა რამეს ფიქრობს. აქაური მთის შვილია, მას სისხლში აქვს ვამჯდარი შურისძიების ალღო. ამზანაგის სისხლს არ შეაწევს არავის. ჯაშუსი ვინ არის, სანამ არ გაიგებს დაბეჯითებით — ვერ მოისვენებს. მისი პირველი ტყვია ამ ჯაშუსს მოხვდება, შემდეგ მიადგება ამ ქუჩაზე და სანამ ორ-სამ პოლიციელს მაინც არ გაისტუმრებს საიქიოსკენ, ვადარეულივით ირბენს. გეურქ ან კი სიდაური გეურქ, მთიელია, რაღაც შემთხვევით ქალაქში ჩარჩენილი, მოკლე ტანის ბიჭია. შუბლი დაბალი, ჯაგარა მსხვილი დი მაგარი. ნიკაპთან ეხლაც აჩნია ჭრილობის ნიშანი.

ეს უწინდელი ამბავია, დაქერილი ჰყავდათ, სიკვდილის პირამდე მიიყვანეს ცემით. ლამით ციხეში უნდოდათ გაეგზავნათ, უსულ-გულთ ეგდო, ეტლში ჩასდგეს. გეურქა გზაში გაეტყა დარაჯებს. ეს ჭრილობა მასუკან აქვს დარჩენილი. მაშინ გეურქა რაღაც უბერხულად მოიქცა, უბრალო გოროდოვოვი დაიჭირა. ამ შემთხვევას ის დიდ ხანს უსაყვედურებდა თავის თავს; სამავიეროთ დაიხსნა თუ არა თავი ტყვეობიდან, მთელი რამოდენიმე თვე მარტო გოროდოვოვებზე ნადირობდა.

— წუნკალი ხალხია, თვეში რაღაც 15 მანეთს ღებულობენ და ამ ორი გროშის გულისათვის არავის ინდობს, არა, მაგათი სინსილა უნდა მოესპო ძირიან-ბუდიანათ. რა ხალხია, ადამიანი კი არა ბრაზიანი ძალღმობდა ვეურქა და თავის მათურში ტყვიებს მალი-მალ უმატებდა.

— მაშ ასე, ეხლა შე წაეღალ. თუ ვინმეა გარეთ მოდარაჯებული, შე გამეცემა, შე ვიცოდე მაგათი პატივისცემა. შენ პატარა შეიცადე და თუ არაფერი ხმაურობა და დავიდარება შეიქნეს ქუჩაზე, გამოჰყევი. იქ თავის დროზე მოდი.

წაიდა გეურქ-ალა. მეც დიდ ხანს აღარ მომიცდია. ვხას გაეფუყევი.

შუა-ღღეა, მაგრამ ქუჩებზე რაღაც სიწყნარეა. ჩემს წინ ნემწყვანილე მიდის, ჩვეულებრივ მიმღერის, ნწყვანილისა და ხილის სახელებს იძახის, თავის საქონელს აქებს. ავედენენ შორიხლოს, მიდის მემწყვანილე, მივყვები მე. ჩვენ შორის სულ ათიოდე ნაბიჯი და თუ არის, მეტი არა.

— გიყვია ეს ოხერი, რა გაღრიალებს. ქვეყანამ გაიგო, შენ ვერ გაგიგია. მემწყვანილეს ვიღაც, ნაცნობი კაცი შემოეყარა წინ.

— რა ვერ გამიგია, კაცო, რის ამბობ?

— რასა და იმას, რომ გაღმა გალაყინსკზე იმ სისხო ღორი დაუგორებიათ, რომ, თურმე მთელი ქუჩა სისხლითაა შეღებილი.

— ვაჰ, ეს რა ამბავი მოსულა!

— რაც მოსულა, ის მოსულა, შენ ამ ქუჩაში ნუ ღრიალებ, თორემ გლახა დღე დაგადგება, ხარბახნები გამოუტანიათ ქუჩებში, სადაცაა სროლას დაიწყებენ.

— ვაჰ, კაცო, გოროდში სროლა გავონილა!

მე უკვე კარვა მანძილით მოვშორდი მოლაპარაკებებს, აღარ მესმის მათი ხმა. მაშ ეს სიწყნარე ქარიშხალის წინამორბედი. ფებს ავუქქარე, მიწა რაც შეიძლება ჩქარა მივიდე, მაგრამ სად მივიდე, სად არის თავშესაფარი? იქ ხომ არა, იმ სასაფლაოზე, ამ დილაზე რომ ვიყავი, იმ მოხუცთან, დღეს რომ ვადამარჩინა?

რაც დრო მიდის, მით უფრო და უფრო მწვავედება რეაქციის სუსხი. მოძრაობის ტალღა მაღლა შემართული ერთბაშათ დაეშვა ძირს. აღარ ისმის მუშათა უბანში ბრძოლის ყიყინა და იმედიანი ხმაურობა. თითქოს რაღაც რუხიფერი გადაეფარა ყველაფერს.

ამ რამოდენიმე დღის წინად ერთ მუშას შევხვდი. მინახავს უწინაც, მოძრაობაში თუ პირველი არ იყო, ერთი პირველთაგანი იყო. შორიდან თვალი მოეკარი, შევატყვე თვალი ამარიდა. გვერდში ვიღაც მიჰყვებოდა, განგებ მას თვალი აღარ მოაცილა, განუწყვეტლივ ელაპარაკებოდა. თითქოს ვეღარც კი შემაჩნია. გვერდი ჩაუფარე, სახეს თვალი გადაეკარი. მიწის ფერი ედო, თმაც თითქოს უფერული და ქუჭკვიანი მომჩვენა. მოელი ეს კაცი რაღაც თითქოს რუხვ, უფერულ რაღაც სიმოსელში იყო გახვეული. ასეა ყველა, ასეა უმეტესობა. დარჩა თითო-ოროლა, რომელსაც არ შეუძლია უცბათ ფერი იცვალოს და, შეიძლება, არც უნდა ფერის გამოცვლა. იმათი გამოკრეფა ძნელი არ არის.

მაგრამ, რომ არც ადვილი ყოფილა? ყოველ დღე აქარებელ ხალხს იტყვინ. რუხვი ფერი უფრო მეტათ აწვება ჩაბნელებულ ქუჩებს. უკეთესი ვერაფერა მხნეობა უფრო ჯიუტათ და უკმეხათ უტევს. შემართული მკვლავის საძირკველში მაგრად ჩამჯდარი გრდემლი, შუაში-კი ეს თავგანწირულთა საბედისწრეო ფართხალი.

წეროსავით გამოეწყაპენ განის ქუჩიდან სალდათები. მე სასამართლოს მოხელე ვარ, ცოლაქებიანი ტანისამოსი მაქვია. იქნებ ამან მიხსნას გაქირვებისაგან. პასპორტი აღარა მაქვს—იმ ტანისამოსში დამრჩა. კიდევ ერთი შეხვედრა მომელის. მივდივარ, არ ვინჩნევ, რომ მე მათი შეხვედრა არაფრად მომწონს. მივდივარ და ისინიც ჩემსკენ მოდიან. უცბათ სალდათები შეტერდენ, რკალი შემოარტყეს ვიღაც ახალგაზრდას. აღბათ, იარალი უნახეს გაჩხრეკის დროს. რამდენია ასეთი მაგალითი. ცუდი დღე დაადგება მაგ უბედურს, მაგრამ მისმა უბედურებამ იქნებ მე გადამარჩინოს! სალდათები შუაქუჩაში შეჯგუფდნენ, ეხლა შესაძლებელია ისე გავიარო, რომ აეცდე გაჩხრეკას. ასეთი წუნკალი რამაა ადამიანი. სხვისი ჭირი, სხვისი უბედურება მისთვის ხშირად ხსნა და საშველია. ამ რკალიდან გავედი, მაგრამ მეორეს, შესამეს სად აეცდები? ქუჩებზე ახალი განცხადებებიც გამოკრული. გეპირდებიან:—ქუჩაში, თუ ვინიცობაა, რაიმე უწყესობა მოხდა, უსათუოდ იარალს ვიხმართო. კეთილი, განა უმავისოთ არ ვიცით, რომ იარალს იხმართ და აკი ხმარობთ კიდევ. ტრამეის ვაგონი გაჩერდა, მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით, ვაგონებს ყოველთვის როდი აჩერებენ, მაგრამ ჯიბეში რომ ფული არა მაქვს. გეურტ-ალასთვის მაინც გამოიმერთობა რაშე. ჯიბისაკენ ხელი წავიღე, ხელში რალაც წერილი გროშები მომყვა ამოვიღე. რამოდენიმე ვერცხლის ფული ამომყვა. გააახსენდა ელო, ვინ იცის, იქნება მან... ვიყიდე შაურისანი ბილეთი და ჩავეგეკი ვიღაც მოხუცებული ქალისა და ახალგაზრდა ყმაწვილის შუა, მივდივართ.

უცბათ ვაგონი გაჩერდა. ქუჩა გაკეცებულია უკან და წინ სალდათები დგანან.

ამ წრეში თავისუფლად შეიძლება შესვლა, მაგრამ აქედან კი აღარავის აღარ უშვებენ.

ჩამოსვლა გეიბძანეს. ჩამოველით. ჩვენს წინ კიდევ რამოდენიმე ვაგონი გაუჩერებიათ, ხალხს ბლომათ მოუყრია თავი. გაუმწკრივებიათ ქუჩის გასწვრივ და ყველას ჩხრეკენ.

ეხლა მაინც ვეღარ აეცდები. აღარც მივივარ, არც ვწუხვარ. რაც მოსახდენია ბარემღა მოხდეს. ეს უკვე ახლოსაა იმ ადგილიდან, სადაც გეურტამ დამიბარა, მაგრამ... ხალხი ბლომათაა შეკუჩებული. მე ერთი სახლის კარებთან ვდგევარ. მდიდრული სახლის შესავალია. ნელა მივაწვევი კარებს, კარები იღება. უცბათ გავიღე ეს კარები და იმ წამსვე მოვიხურე. გასაღების ბუდეში კლიტე ყოფილა, ვადაკეცტე. გარეთ ჩოჩქოლი შეიქნა. მე სწრაფით მოვშორდი იმ ალაგს, მინდა ეზოში გასასვლელი კარები მივიგნო. ვიჩქარი, მაგრამ, როგორც ჰგავს, გარედანაც იჩქარიან შემოსვლას.

გარეთ გავედო, უცბათ შემოვავლე თვალი იქაურობას. ამ სახლს დიდი ბალი ჰქონია. აჩქარებით მივდივარ. მივალწივ ლობეს, გადმვტყნნ წმინდორე ქუჩაში გაველი. იქედან სხვა ქუჩას შევუბვიე, კიდევ გავტყნნ წმინდორე. მდივართა კვალი დავკარგე. არა, აღარ შეიძლება ქუჩაში ყოფნა, ბარემ-ლა მივალ იქ. სადაც დაბარებული ვარ. ჩემი იღბალია—ვინ იცის, იქნებ ვნახო ის მეგობრე. შორიდან მოვნიშნე თვალით ის ნომერი, სადაც ხსნასა და შევლას ველი. ალაყაფი ღია დამხვდა. ის მეგობრეც, ის ჩოფურა ადამიანიც იქვე არის ეზოში, კრანიდან წყალს ასხამს, ხელში სარწყავი უკავია. მივედი და რაც გეურქ-ალამ მასწავლა, ის კითხვა მივეცი.

— კეთილი, ჩემო კარგო, მაგრამ ცოტა ადრეა, ეხლა სახლში არავინაა.

— არა უშავს რა მოვიციდი. ჩოფურამ თვალი შემავლო. ალბათ, შემატყრო და სიტყვის შეუბრუნებლად წამიძღვა ბინისაკენ...

ჩოფურამ მეორე საართლისაკენ წამიყვანა. კიბის მოსახვევში გაჩერდა და ჩემათ მითხრა: — აი ამ კიბეს აპყევით, მერე მარჯვნივ წითელ-ფერად შელებილ კარებთან ორხელ მიაბაკუნეთ, გავიღებენ.

ავიარე კიბეზე, როგორც დამარბია ისე მივაკაქუნე, კარი დაბალი ტანის ქალმა გაშიღო. ეხლა, როცა მე ამ ფურცლებს ვწერ, ძალიან მინდა ამ ქალის სახე და მოყვანალობა, მისი გამომეტყველება, მისი იერი გავიხსენო, მაგრამ მეხსიერებაში არაფერი ჩარჩენილა. არის ისეთი ადამიანი, რომელიც გადაღესილ სპილენძის ფულსა პავს, არაფერი ზედ არ აჩნია, არაფერი ისეთი, რომ თვალი შეჩერდეს; მეხსიერებამ ქანგი მოკიდოს.

ქალმა მოზრდილა ოთახისაკენ მიმითითა, არც კი უთქვამს რამე, თერთონ საღდაც მიიმალა. ალბათ, სადმე კიდევ იყო მახლობლად ოთახი და იქ შევიდა.

ოთახი, რომელშიაც მე შევედი, ფართე იყო, მაგრამ ქერი დაბალი ჰქონდა. კედელზე რუხი ფერის გახუნებული შპალერი ჰქონდა ვაკრული. ერთ კუთხეში მიდგმული იყო ხის ტახტი და საბნათ გადაფარებული გაშლილი ლოგინი. ორ ფანჯარის შუა კედელთან მიდგმულ ფიცრულ უბრალო მაგიდაზე გახეთი იყო გადაფარებული და ზედ რამოდენიმე წიგნი იდგა.

ეს იყო მთელი ამ ოთახის მორთულება.

აი ამ პატარა სივრცეზე მე თავისუფალი ვარ, აქ არც სალდათები გამჩხრევენ, არც არავინ გამოემკიდება. რა კარგია თავისუფლება, თუნდაც დაკეტულში, ოღონდ იცოდე, რომ ამ დაკეტულ ალაგიდან შენ შეგპოლია გარედ გასულა, როცა მოინდომებ. წუბანდელს აქეთ ამდენი ხეტიალი შემხვდა. სანამ საფრთხე და ფათერაკი უკან მომდევდა, არავითარ დაღლილობას და მოჭანკვას არ ვკარნობდი, მაგრამ ეხლა თითქმის ერთბაშათ მთელი ამ გამოვლილი დავიდარბის სიძმიე ერთად დამაწეა მხრებზე.

რა კარგია ეხლა ამ ლოგინზე მიწოლა და წაყვინთება.

მე არც კი ვიცი, ვინ ცხოვრობს აქ, მეხატრება და ამიტომ ვერ ვხედავ ლოგინზე წამოწოლას. სჯობს ისევე წიგნი წაკეითხო. ხელში რაღაც პატარა წიგნაკი მოხევა, საინედო ყდაში ჩასმული „ი ზ მ რ ის ა ხ ს ნ ა“ გამოძვა, სა-

თაურის ფურცელზე ასე ეწერა. ჩვენსა, მახსოვს, იყო ერთი ~~ფურცელი~~ და დედა-ჩემი ხშირად მაკითხებდა ხოლმე სიხმრის გამოსაცნობად: ~~სიხმრისა~~

— შეილო, ერთი წამიკითხე, წუხელი დიდი ტბა ვნახე, ამ ტბაში, შეილო, ვითომ დიდი უშველელბელი ხარი ჩამდგარიყო...

— რომელზე ვნახო, დედა, ტბა ვნახო, თუ ხარი?

— ორივე ნახე შეილო, ორივე, რომელიც ჯობდეს ის ნახე.

— მაინც რომელი უფრო უდგება, შენს სიხმარს?

— რა ვატი, შეილო, რომელი უფრო უდგება?! ალბათ, ფარცავი რამე არ დამემართება ამ წელიწადს, მე უმაგისოდაც დაცდილი მაქვს, ტბა, წყალი საზოგადოთ და ისიც მღერიე წყალი უსათუოდ ავადმყოფობას ნიშნავს...

ბავშობისასაც არ მიკვარდა ამ წიგნის კითხვა, ეხლა კი რაღა ჯანდაბათ მინდა ეს სისულელე. უგულოდ დაფუწყე ფურცლა. თავდაპირველად არც კი დავეკირვებოვარ, შემდეგ, როცა შემთხვევით ჩამოდენიშე სტრიქონს ზერეღეთ თვალი გადავავლე, აღვილად მივხვდი, რომ ის წიგნი სიხმრის ახსნა სრულებითაც არ ყოფილა. თურმე „თხი ძმის“ ზღაპარი იყო და წინა გვერდით ეს თვალის ასახვევი ფურცელი ჰქონებოდა დატანებული...

არ გაუვლია დიდ ხანს, რომ ილიკო შემოვიდა—ჩემი ძველი მეგობარი. მას ეამსა შინა, ჩვენ ერთად ესწავლობდით, ერთად დავანებეთ სწავლას თავი, ერთად ჩავდექით მუშაობაში, მაგრამ უკანასკნელ დროს ის აქ, ქალაქში მუშაობდა, მე კი სხვაგან.

სრულებით არ მოველოდით მის აქ მოსვლას. გამეხარდა მისი ნახვა. ილიკო თითქმის არ გამოცვლილა, იგივეა, რაც სასწავლებელში იყო. მის სახეზე ლიმილს ვერ დაინახავს ადამიანი, მაგრამ მეტი-მეტად გულკეთილი ადამიანია. ვისთვისაც არ უნდა გეკითხათ, ყველა იმას გეჩუოდათ:

— ილიკო ჩინებული ბიჭია, მაგრამ მერალი ენა აქვსო! ენა, მართლაც, დაუნდობელი და დაურიდებელი ჰქონდა ილიკოს.

— შენც აქ მოდი, ამ დიდებული ხალხის კრებულს დაესწრები? რა კარგია, რომ იცოდე! შენ აქაურებს ვერ იცნობ, მე კი აქაური კაცი ვარ, ყველას ვიცნობ, ყველა მიცნობს, მაგრამ ბევრს არავის ვუყვარვარ, და, გამოტეხილი გითხრა, ბევრი მეც არაფრათ მიყვარს. მარტო პარტიაში ყოფნა და რევოლუციონური მუშაობა არაა საყმარისი, რომ ადამიანს ადამიანი შეუყვარდეს.

— შენ, სულ მაგრე იცი, ვუსაყვედურე მე, თუმცა ძალიან მაინტერესებს, რას იტყვის ილიკო, საინტერესოა მისი ყურის დაგდება.

— არა გრცხვენია, ალექსი, შენც რომ მაგას მეუბნები. ნუ თუ შენ მაინც არ იცი ჩემი ამბავი?!

— ვიცი და მოტომ გეუბნები კიდევაც. მაგრამ მაგას ეხლა თავი დავანებოთ. აგერ ამდენი ხანია ქალაქში ვარ, აქ რომ არ შეგხვედროდი, ისიც ასე შენთხვევით, იქნებ, სრულებით ვერ მენახე. ესაა საქმე?! ამდენი ხალხია ჩამოცვნილი აქ სხვადასხვა ადგილიდან... სოფლათ, ხომ იცი, ეხლა აღარავის დაგდგომება. აქ კი არაფინაა ჩვენი არც პატრონი, არც ყურის მგდებელი. ნუ თუ

აღარ არსებობს აქ არაერთი ორგანიზაცია, რომ ვისაც გვესაქიროება, დახმარება რამე აღმოგვიჩინონ, ზოგი კი ისევე საქმეზე გამოგვიყენებენ...

— ყველაფერი არის, ჩემო ალექსი, ყველაფერი, მაგრამ უნდა გავაქვს ვერც ჩვენ ამანად ხეირიანი და დაწყობილი მუშაობა.

— რატომ, რა გიშლით ხელს?

— განა საკითხავია ეხლანდელი ამბავი?

— მართალია, არ არის საკითხავი, მაგრამ სწორედ ამ დროს უნდა გამოიჩინოს ორგანიზაციამ ფხა და უნარი, თორემ ჩვენ რომ აქ სათითაოდ ყველა ციხეში ამოვყოფთ თავს, მაშინ, ვის რას არგებს მაგათი...

— მაშინ, როცა დავიჭირავენ, „წითელი ჯვარი“ გვაქვს მოწყობილი, იქედან ყოველ თვე სამი მანეთი გექნება, სანამ...

— სანამ საიქიოს არ გაგვაგზავნიან. ხომ?

— ზოგს, ალბათ, კიდევაც გაგვაგზავნიან, შენ კი რა გაქვს საიქიოს წასასვლელი?

— შე ჩემს თავზე არ ვლაპარაკობ, თუმცა შეიძლება არც მე ამცდეს მაგ ბედი...

— კეთილი, კეთილი! რაღაი ჩემამდე მოაღწიე, აწი აღარაფერი გიჭირს, აწი მე ვიცოდე და შენ.

— მე ხომ მარტო და საკუთრად ჩემს თავზე არ ვლაპარაკობ. აგერ, წუხელი-ღამ ერთი ჩვენებური ბიჭი დაიჭირეს ისეთი, რომ...

— მერე, რა ვლყოთ, იჭნება გამოუშვან, თუ არა და საქმეს სასამართლოში გადასცემენ, ისეთი ვეჭარი დაუჭირაოთ, რომ სულ ზღვეური აადინოს ნაცარში.

— ნეტავი შენ, რომ სულ მაგისტანების ლაპარაკი არ მოგწყინდება!

კარგა ხანს ვიშუსაიფეთ, ბერი რომ ახალი და ჩემთვის უცნობი გავიგე ილიკოსაგან.

თანდათან და ნელ-ნელა თითო-თითოთ დაიწყო მოსასვლელმა ხალხმა თავის მოყრა. კარგი დიასახლისივით, ილიკო სათითაოდ ყველას შესახებ ვრცლად და დაწერილებით მიუყვებოდა ყველაფერს.

— ეს იცი, ვინ არის, წვერები რომ პეტრე მოციქულს მიუგავს?

— პეტრე მოციქულს, რაღა, წვერები, მართლა, მაგნაირი ჰქონდა თუ?

— თუ ჰქონდა სწორეთ მაგნაირი ეჭნებოდა... ოჰ, მაგ გახლავს, მაგ გახლავს აქაური მენშევიკების ბელადი და მეთაური. საწყალი მოხუცებაშია წასული, ასე ეგონა, ალბათ, რუსეთში რევოლუცია მოხდა, ამიერიდან მე საღმე სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატად ამირჩევენო. ლაპარაკი ისეთი იცის, ვერ მოლალავ ლაპარაკით. ერთ კვირეს შეუძლია ლაპარაკი. თორმეტი სახარება, რომ იკითხება ის რა დღეა, თუ იცი?

— რა ვიცი სახარების, შენც ერთი მოგცლია.

— კი არ მომცლია, შე ოხერო, მაგ მოხუცი მღვდლად ეშხადებოდა, მაგრამ რალაც ბუნების, თუ ბედის ცელქობამ რევოლუციონურ მუშაობის გზაზე დააყენა. ებლა მაგ მამაცხონებულს, ჩვენზე უნდა ჯავრის ამოყრა, რამდენს-

დაიწყებს ლაპარაკს, იმდენი უნდა ილაპარაკოს, რომ ორჯერ მოთავსდება თორმეტი სახარების კითხვა. მაგას აქ ჩვენები—თორმეტ სახარებას ეძახდები.

— ტყულა ახარებინარ, მაგ მოხუცს, ვერ უყურებ რეცხვას? აქამდები გარეთ, ის კი აქ მოსულა?

— სული ტკბილია, ჩემო კარგო, იცი რატომ მოვიდა? დღეს მაგი აქ გადაგვყურებს, ეს მეორე კრებაა, ამ ორი დღის წინათ ვიყავით კიდევ, ასეთივე კრება გვქონდა. იცი, რა უნდა მაგ წვერ-ცამეტას?—ჭადაგობს—ებლა ბრძოლაზე ხელი უნდა ავიღოთ, ჩქარა დუმა შეიკრიბება, ამნისტიის გამოცემის, სიტყვის, ბეჭდვის და სხვადასხვა ნაირ-ნაირ თავისუფლებას მოგვანიჭებსო.

— როგორ, შენ არ გაქვს მაგის იმედი თუ?

— მე?! მე რასაკვირველია ყველაფრის იმედი მაქვს, მაგრამ იმის იმედი არა მაქვს, რომ მაგ წავა სათათბიროში, რომ იქ თავის თორმეტ სახარების სიგძე სიტყვებს წარმოსთქვამს და ჩვენ აქ [თავისუფლებასა და ყოველ სიკეთეს გვიბოძებნ.

— ჩვენებიც ხომ დაესწრებიან ამ კრებას?

— როგორ არა! დიდი ჩხუბი გვაქვს მაგათთან, მაგრამ მე რომ მკითხოს კაცმა, ეს ჩხუბი სრულებით უქმი და ფუჭია. რაც დრო მიღის, მით უფრო და უფრო აშკარაა, რომ ჩვენ და მაგ ხალხს ერთად სიარული, ერთად მუშაობა და ერთსა და იმავე პარტიაში მოთავსება არ შეგვიძლია.

— როგორ შეიძლება ებლა ძალების დაქსაქსვა?

— კი არ შეიძლება, მაგრამ ერთად ყოფნაც, მე ამაში დარწმუნებული ვარ, არავითარ ძალას არ შეგვმატებს.—ხი ესაა ჩვენი არქიელი. ჩვენც გვაყავს, განა ხნიერი ხალხი. სულთ ცოდვილო, ლაპარაკი არც მაგას ეზარება, მაგრამ ხანდახან მაინც გამოიღრევის ხოლმე რამეს; უფრო მოსასვლელს.

შემოგვემატა კიდევ რამოდენიმე კაცი.

— უბედურება ისაა, მეუბნება ილიკო, რომ ამ სასტიკმა რეაქციამ სრულებით გამოაშკარავა ჩვენი ხელმძღვანელების სისუსტე და უძლურება. ორგანიზაციაში მენშევიკები ჭარბობენ. გაბედული რევოლუციონერი ნაბიჯის გადადგმა მათ არ შეუძლიათ. ერთ ალაგზე გაჩერებულან და ტყეპნიან მიწას. რეაქციის მთელი სიმწვავე მუშებს დაატყდათ. ლაპარაკში დახელოვნებული ბელადები საქმის გაკეთებაში ნამეტანი უსუსურები გამოჩნდნ. ისინი ავითაა, თუ კარგათ თავს აუარებენ. მუშების უბნებში კი ყოველ დღე სისხლის წვიმებია. დიდი ნაწილი მიყურებელია და ხმა გაკმენდილი. მოწინავე მუშებში უკმაყოფილება ისმის, ერთი წყება კი აშკარად გამოსთქვამს ამ უკმაყოფილებას და, შენ წარმოიდგინე, ეს მე დანამდილებით გავიგე, ჯგუფ-ჯგუფად იყრიან თავს და პარტიას შორდებიან. გაბედულება ამ ბიჭებს არ აკლიათ, მაგრამ ისინი საშიშ გზაზე აპრობენ დადგომას. მოიცა, აქაც მოვლენ რამოდენიმე მათგანი. დღეს, ერთი სიტყვით, თუ თავზე არავინ წამოგვადგა, კრება მეტად საინტერესო და საგულისხმო გვექნება. მე ერთთავად თვალი კარებისაკენ მაქვს, ვუცდი გეურქაიას მოსულას, მაგრამ ის არ გამოჩნილა.

ბოლოს დაახლოებით 25-30 კაცმა მოიყარა თავი. ერთი, თუ ორი ქალიც იყო. შეიქნა ლაპარაკი თავმჯდომარის არჩევანზე. ზოგმა ვინ დაასახელა, ზოგმა ვინ. ერთი წყება იმ ქალთა მენშევიკს ასახელებს.

— მე არ შემიძლია, ამხანაგებო, დაიწყო მან, მე თვითონ მოხსენება მაქვს, მე უნდა ვილაპარაკო და, ვინაიდან მე უნდა ვილაპარაკო, ამიტომ ეს კრება ვინმემ სხვამ უნდა...

— დაიწყო, დაიწყო, წამჩურჩულა ყურში ილიკომ. ეხლავე, თუ არავეინ გააჩერა, ისე ილაპარაკებს გათენებამდე, მაგრამ მე ვარ მაგის კბილის მატლი. მაგას ეხლავე გავაკმენდივებ ხმას.

ილიკო ადგა და აოავისთვის ლაპარაკის უფლება არ უთხოვია, ისე დაიწყო იპანაც.

— ამხანაგებო, მე წინააღმდეგი ვარ რომ ამხანაგი თედორე ავირჩიოთ, ვინაიდან ჩვენ არ გვაქვს იმდენი დრო, რომ აქ თორმეტი (სიტყვა თორმეტი მან რიაც განსაკუთრებული განომეტყველებით გააქიანურა) დიღ ჩვენ არა გვაქვს დრო რომ თორმეტი ს...ათამდე დავრჩეთ, მე წინადადებას ვიძღვეი...

მეტი აღარაფერი უთქვამს, თედორემ რაღაი ეს სიტყვა თორმეტი გათგონა, უცნაურად გაიღმიქა, თითქოს მწარე რამ დააღვეინესო და ჩაჯდა.

— ხომ უყურებ, გასქრა თუ ირა?! მეუბნებოდა ილიკო. თავმჯდომარეთ ერთი ვილაც მუშა აირჩიეს.

— ჩენია, გადმომილაპარაკა ილიკომ, ისეთი ქკვიანი ბიჭია, რომ მეტი არ შეიძლება. მაგის უბედურება მხოლოდ ისაა რომ ენა ებმის და გაბზულად ლაპარაკი არ შეუძლია. მოხსენებისათვის სიტყვა თედორეს მისცეს.

— მე ამხანაგებო, დაიწყო თედორემ, დღეს უნდა გავიკვიოთ, თუ როგორი გზით გემართებზ ჩვენ—ჩვენს პარტიას სიარული, ამ შექმნილ პირობებში, დიღ სიარული.

— სიარული, თუ კი გემართებს, ამას რაღა სჯობია, ჯდომი არ ვარგა ოღონდ ერთ ალაგას, ჩაურთო კუთხეში კედლისკენ პირმიბრუნებულმა მუშამ, რომელიც ტახტზე ჩანომჯდარიყო და განალეებით პაპიროსს ამოღებდა.

— აი იმათათგანია, რომ ვითხარი, ჯგუფების შედგენას აპირობენთქო, მანიშნა ილიკომ.

— ამხანაგებო, კვლავ დაიწყო, თედორემ, მე დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ სიტყვის თქმის საშუალებას მომცემთ, უამისოდ ჩვენს აქ გამოსვლას არავითარი აზრი და წინშენელობა არ ექნება, ამიტომ მე მინდა ვთხოვო იმ ამხანაგს, რომელსაც პირი იქეთ მიუბრუნებია, როცა მე გავეთავებ სიტყვას, აქ გამოვიდეს და სთქვას, რისი თქმაც საჭიროთ ნიანია.

თედორემ ერთ ხანს თითქოს შეისვენა, ამასობაში ზოგიერთებმა წამოაწიეს.

— განაგრძეთ, განაგრძეთო და თედორენაც განაგრძო.

ეს, მართლაც, რიაც გძელი, რიაც დაუთავებელი წილა-დობილო იყო.

— აზრი თუ რამეა მაგ თორმეტი სახარების ლაპარაკში, მეკითხება ხოლმე დრო გამოშვებით ილიკო, ხმამაღლათ ამოიხენეშებს და პაპიროსს ეწევა გულ-

მოსული, თედორე მისკენ მრისხანე შემობღვერილ თვალბს გამოაქნეს და კელავ განაგრძობს და... განაგრძობს. დასასრული არ უჩანს ამ კლავებზე, სათქმელი კი სულ უბრალო რამ აქვს. ის ამტკიცებს შემდეგ დღეებში...

— დეკემბერში ჩვენ ვცადეთ აჯანყება, იარაღით გამოვედით, მაგრამ თვითმპყრობელობას-ეერ მოვერიეთ, დაეძარცხდით. ეს გამოსვლა ნაადრევი და მოუფიქრებელი იყო. იარაღის სუსტობით ჩვენ უფრო გავამოროტეთ მტერი, სხვა ხარგებლობა ამ გამოსვლას არ მოჰყოლია. გაცილებით მეტს და უკეთესს შედეგებს მივიღწევდით ჩვენ, რომ მუშათა ფართო მასიური მოძრაობის გაღვივებისათვის ხელი შეგვეწყო, რომ არ გავგეწვიტა კავშირი იმ კლასებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან თვითმპყრობელობის მოსპობით. ეს რევოლიუცია ბურჟუაზიული რევოლიუცია უნდა ყოფილიყო და უნდა იყოს, როცა შემდეგში კვლავ მოიწიფდება საამისო პირობები, ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ამ მოძრაობის სიმამის დიდნი ნაწილი ბურჟუაზიას ვაკისრებინოთ. ეს დაკისრება კი მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც ჩვენ მოძრაობას ისეთს ფორმებსა და შინაარსს მივცემთ, რომლებიც მისაღები იქნება ბურჟუაზიასთვის.

შთავარი მის სიტყვებში ეს იყო, მაგრამ ამის თქმას ის შთელ ორ საათს მოუნდა.

— რა გლახაა, კაცი სახუცრათ რომ იქნები მომზადებული და რევოლიუციონერობას დაიწებ, გესლიანად ჩაილაპარაკებს ხოლმე ილიკო. თედორე კი თავის მჭერმუტყველობის უნარით დანთვრალი იბრჩობა ამ სიტყვების მარჯვში.

— რატომ უნდა დავხარჯოთ ჩვენ მეტი, რატომ არ უნდა დავიფასოთ, რატომ არ უნდა დავხოგოთ მუშათა კლასის სისბლი??

იტყვის ის ასეთს ცბიერებით გატენილ სიტყვებს, თავს მალდა ასწევს, მობერებულ თვალბზე სათვალეებს გაისწორებს და თითქოს მზათ არის ებლავე თავი შეაკლას, თუ ამის წინააღმდეგ ვინმე რაიმე სთქვაო. შემდეგ ეს მიმლავინწასავით წამოჭორჩილი მოხუცი უსათუოთ მედიდური კნაყოფილებით ჩაახველებს, თითქოს ეს ესაა ნოიგერა. და დაამარცხა უთვალავი მტრის ჯარიო, განაგრძობს, მიდის და მიყვება ამ დახლართული სიტყვებით თავიანთი უბადრუკობის უმაღლეს რევოლიუციონერ დამსახურების სამოსელში გამოწყობის ამბავს.

დამსწრებზე, ვისზე რა შთაბეჭდილებას ახდენს ეს სიტყვები, არ ვიცი. მე ცოტა მოშორებით ვხივარ, ჩემს ახლოს მხოლოდ ილიკო მის. როგორც რჩა, ჩათავა, ჩაჯდა. მის გარშემო რკალი შენოურტყამს რამოდენიმე პირს, რალაცას ვებტუნებიან. თედორეც თავდაბალი დინილით პასუხს აძლევს, თითონაც ეტბნება რალაცას.

— მეტის მეტი ჩურჩეტია მაკ ოჯახ-აშენებელი, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ზოგიერთებს მაგის სიტყვა კანონათ მიანით, ეს სთქვი შენ-და! შემდეგ ისაა კიდევ საგულისხმო, რომ მაგის ტაქტიკა ებლა ბევრ მუშებსაც მოსწონს. მოსწონს იმიტომ რომ ხალხი მოიქანცა, დაიღალა. არივის აღარ ებლისება თავის გაბეტება, თავის შეწირვა, მით უმეტეს, რომ აშკარაა, ამ ახლო მომავალში თვითმპყრობელობა არ წაიქცევა. ხელახალი ძალების გროვება, ხელახალი

ფათერაკი და შიშის ქვეშ ცხოვრება... ბევრი აღარავინაა, რომ ეს ინტერესებდეს.

— მაგ არის ის „ხეოსტიზმი“ სხვა კი არაფერი.

— ოღონდაც! სწორედ მაგ არის და არასოდეს ასეთი სიამოვნებით არ გაპკოლიან მენშევიკები კულში მუშების საერთო განწყობილებას, როგორც ეხლა. უწინ მუშები წინ მიათრევდნენ მაგათ, მიჰყებოდნენ მენშევიკები ამ ტალღას, მაგრამ სტლილობდნენ წინ გაქანებული მოძრაობის უკან წამოთრევას. ეხლა მოძრაობის ტალღა დაეშვა და მენშევიკებიც დღეა სიამოვნებით აკანონიბენ ასეთ სულიერ განწყობილებას. თუ ვისმეს კიდევ შერჩენია რევოლიუციონერის სინდისი და სურვილი, რომ მთლად გულ-ხელდაკრეფილი არ დაჯდეს, აი ეს თედორე და მისი მეგობრები, ტყავში ძვრებიან, რომ უთხრან, დააჯერონ, და არწმუნონ რომ უქმათ ყოფნა სჯობს.

— ეს სჯობია, ეხლა რევოლიუციისათვის უკეთესი იქნება, რომ ჩვენ სრულებით და სავსებით დაემუხჯდეთ, ხელი არ გავანძროთო.

ამასობაში თავმჯდომარემ სიტყვა მისცა სწორედ იმ მუშას, რომელიც თავიდან შეცქანათა თედორეს.

— მე ამხანაგებო, დაიწყო მან, სიტყვის ოსტატი არა ვარ. არ ნემარჯვება ისე დაწყობილად ლაპარაკი, როგორც ჩვენ პატივცემულ და დამსახურებულ ამხანაგ თედორეს, მაგრამ როგორმე მაინც ვიტყვი. აქ მუშები ბევრია, და იმედი მაქვს იმათ ამ ჩემი უბრალო სიტყვით გაავებინებ ჩემს და ჩემთან ერთად მრავალი სხვა მუშების გულის ნადებს. ჩვენ, მართალია, ამხანაგებო, დავმარცხდით, მაგრამ ან კი როგორ შეიძლება, რომ არ დავმარცხებულიყავით. ჩვენმა მეთაურებმა რა დახმარება, რა ხელმძღვანელობა გავგვიწიეს? ბრძოლის დროს ხელმძღვანელობა ხომ არ იყო და არა—ამას ვინ და სჩივა! არ იყო წინასწარი თედაროვი, არ იყო მომზადება. უდარდელი აზნაურივით დავგვმართა: მათ შესახებ ლაპარაკობენ, ძალის კმევა მაშინ გაახსენდებათ, როცა სანადიროთ წასვლას დააპირებენო. ჩვენც, როცა გავგიჟირდა, მხოლოდ მაშინ გავვახსენდა, რომ ცარიელი ხელით ბრძოლა არ შეიძლებაო. აი, სწორედ მაშინ იყო, რომ მენშევიკებმა შემოგვძღვენეს ის ბრძნული აზრი,—ფული გვაქვს, ჩვენებში კაცი გავაგზავნოთ, იქ იარაღი ბევრს აქვს. ის შეიარაღებული ხალხი დავიჭირავოთ, ისენი იბრძოლებენ, ჩვენ ჯამაგირი მივცეთო. მე ცოდნა ხელს არ მიწყობს, მაგრამ არა მგონია, რომ ასეთი საქმის გამკეთებელ პარტიას ბრძოლის მოგება შეეძლოს, ჩვენებს ჩვენში მანთაშევი, სარაჯიშეილი და სხვა ასეთი ფულის პატრონი ხალხი ქირაობდა. ჩვენები სტრატეგიკებით, მართალია, გამოდგება, მაგრამ სად სტრატეგიკი, სად რევოლიუციონერი? მერე რომელი რევოლიუციონერი იყო, რომ სხვას ქირაობდა, და ეუბნებოდა „—შენ იბრძოლე და მე ავტო ჩრდილში წამოვწვებით!“ რომელი სტრატეგიკი იყო, რომ მთავრობის წინააღმდეგ იბრძოდა? მე ასეთები არ მინახავს, არც ვამიგონია და მართალი ვიფიქრობ, არც წარმომიდგენია. ამხანაგმა თედომ ბევრი დრო დახარჯა. გვიტკიცებდა, რომ სჯობდა მუშათა ფართე მოძრაობის გაღვივება და განვითარებაო. მართალია, მაგრამ როგორი სახის უნდა იყოს მუშათა ფართო მოძრაობა რევო-

ლიტუკის ხანაში? ისეთიო, გველებნება ამხანაგი თედორე, რომ ბურჯუაზია არ დაფრთხეს, მოძრაობას არ ჩამოცილდესო. მე ეს არ მესმის, ვერაფერც ვერაფრატომ ეცდება ბურჯუაზია თვითმპყრობელობასთან ბრძოლას, რაც კაცსა და ქვეყნის მოსახლეობას მოლაპარაკებით, შეთანხმებით გაათავოს საქმე? ჩვენ?! ჩვენც გავცვეთ ბურჯუაზიას და ვევაკროთ თვითმპყრობელობას? შეიძლება ეს, თუ არა?

მეტა ლაპარაკი აღარ დასცალდა. გარედან ქუჩებში დაყენებულმა მზევრაცებმა, ხიფათის მოახლოება გვანიშნეს.

შეიქნა ჩოჩქოლი. პირველი ის იყო, რომ თედორე და რანოდენიმი მისი მახლობელი წაეიდა კრებიდან.

— ისინი რომ დაიკვირონ მოძრაობა დაიღუპება, გესლიანად მიაყოლა მიმავალ მეთაურებს ილიკომ.

— დაღუპულია, ძმაო, ეხლაც ყველაფერი და რაც ჩქარა ჩამოგვეცილდებიან მაგ ძველი ყორნები, მით უკეთესი, ყველას გასაგონათ სთქვა იმავე მუშაშ, რომელიც თედორეს ეკამათებოდა.

დავიშალეთ. თითო ოროლა გავდიოდით ქუჩაში და ფეხაკრებით მივეყვებით ბნელ მოხვეულ-მიხვეულ ოღრო-ჩოღროებს.

მე ილიკოს გავყვევი. ილიკო ერთს მოფარებულს ალაგას სცხოვრობდა, ვიღაც მუშისას. ისეთი ყრუ ქუჩაა, რომ მისი მიგნება, მართლაც ძნელია, თუ რომ კაცმა პირდაპირ და საგულდაგულოდ არ იცის გზა და მისადგომი.

იმ ღამეს ბევრი ვიშუსაიფეთ, გათენებისას დაწვევით. ილიკო დილიდანვე წავიდა საქმეებზე. მე სახლში დამტოვა და დამიბარა სადილობაზე უსათუოთ უკან დაებრუნდებო. ილიკო მართლაც დაბრუნდა, მაგრამ ძალიან მოგვიანებით.

— რა ამბავი მოხდა რომ იცოდეს? პირდაპირ ჩვენი ხელით დასახოცავია ხაგ მენშევიკები... მაგათი სისხლი დალია ძალღებმა, იგინება ილიკო. შევკითხე, მაგრამ ვერაფერ პასუხს ვეღარსე. ილიკო ისე იყო გულამღვრეული, რომ სიტყვის თქმას ვეღარ ახერხებდა. ბოლოს, როგორც იყო შედარებით ცოტათი მაინც რომ დაწყნარდა, ხელახლა ვკითხე.

— დღეს საშინელი ამბავი დატრიალდა, მითხრა ილიკომ. დილიდან, რომ წავედი, ერთს ალაგას შევიარე, იქ ჩვენი, როგორ გითხრა, ორგანიზაცია არ ეთქმის, იმიტომ, რომ ჩვენ და მენშევიკები ასეა, თუ ისე ვითომც ერთს ორგანიზაციაში ვართ ჯერჯერობით, მაგრამ ჩვენ ამ საერთო ორგანიზაციის გარდა კიდევ ვაქვს ჩვენთვის საკუთარი ორგანიზაციისებური რაღაც. ერთი სიტყვით, იქ შევიარე. არ გაუვლია დიდ ხანს, იქვე შემოვიდა ერთი ტერორისტა, მუშაა აქაური. შეგნების ბევრი არაფერი აცხია, მაგრამ ერთგული ბიჭა და თანაც გაბედული, საარაკო საქმეების გამკეთებელი. მენშევიკ-ბოლშევიკობაში ის არ ერკვევა და არც იცის, ვინ რა გზას ადგია, მაგრამ ატყობს, რომ მენშევიკები ეხლა აღარ არიან ბრძოლის გუნებაზე, ამიტომ ის ჩვენ ბიჭებთან უფრო დაახლოვებულია. ამხანაგებს ჩემთან მოესწავლებიან და მე მომადგა პირდაპირ. მითხოს.

— ერთი ბიჭი ვინმე გაშატანეთ თქვენებიდან, ერთი საქმე მიჯნა გასაკეთებელი, ისეთი საქმე, რომ თქვენც გაგებარდებათო. მე ვაპირებ ვამოუკითხო მითხრა.

— აქ ერთი ჩანოსული რევოლუციონერი ამხანაგი დაიჭირეს, დღეს საფურცელი ციხეში უპირობენ გაგზავნას და გზაში როგორმე უნდა გავანთავისუფლოთო. ვინ არის მეთქი? მითხრა--თქვენგანთაგან უნდა იყოს, რაღაც უცნაური სახელი მითხრა.

— ცაცა, არა?

— ჰო, ცაცა!

— ვიცი, მე მაგ ტერორისტაც ვიცნობ გეურქ-ალა, ხომ?

ილიკომ უსიტყვოთ თავი დამიჩნია.

— მართლაც ერთი ასეთი ბიჭი ვუშოვე და გაუშვი. თან შიკრიკიც გავაყოლე ამბავის ნოსატანად, შორი-ახლოს თვალ-უჭრი უნდა ედევნებია და ამბავი ნოეტანა ჩვენთვის. წავიდენ, ერთი ბომბა წაიღეს და რევოლვერები. ჩვენ აქ ისეთი რევოლვერები გვაქვს-- შემთხვევით ხელში ჩავივარდა, რომ შენი მოწონებულნი. კარგა ხანმა და დრომ გაიარა, არც შიკრიკი მოდის, არც ის ბიჭები ბრუნდებიან, გვაგზავნენ კიდევ ერთი სხვა, იმასაც დაავიანდა, ბოლოს ორივე ერთად დაბრუნდა, მოიტანეს ასეთი ამბავი: გეურქ-ალა დახვედრია სალდათებს, სროლაში გეურქა დაუჭრიათ და მგონი კიდევაც მოუვლათ. დაჭერილი რომელიც იყო, ის გასხლტომია მცველებს. მეორე, რომელიც ჩვენ გავაყოლეთ დამხმარეთ ისიც გადარჩენილა. ძალიან ბიჭი იყო ის გეურქა, მწყინს მისი დაკარგვა, ძალიან მწყინს. ასეთია ეს დრო... ეს ხალხი რაც გვაყავს, ყველა ამ რეაქციის წერა გახდება. მენშევიკები, უაურე ხომ, რას ქადაგობენ?! მაგათი, მაგათი სარჯულაყი.

— გადარჩენილები, სად არიან? შევეკითხო ილიკოს.

— არ ვიცი, დაუბინავებით სადღაც.

— ის, რომელიც გაუნთავისუფლებით, ჩემი კარგი მეგობარია, ძალიან მინდა მისი ნახვა, ხომ ვერ მომიწყობ, რომ როგორმე მე მას შევხვედ.

ილიკო შემპირდა.

მეორე დღეს ილიკომ ერთი ამხანაგი გამაყოლა. ბევრი ვიარეთ მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში, ბოლოს ქალაქის გარეთ გავედით და ქალაქის ერთ მახლობელ სოფელში წავადექით თავზე ერთ განაპირა ქოხს. ამ ქოხში ვნახეთ ცაცა.

გადავებვიე, თითქოს საიქიოდან დაბრუნებული მენახოს. ერთ ხანს სიტყვის თქმა ვერც კი ნოვახერხე. ცაცა ვერ იყო ჯანზე: ჯერ სალდათების ნაცემი დაჭერის დროს, შემდეგ განთავისუფლების დროს, ბომბა რომ უსროლია გეურქას, მასაც კოტაოდენი ზიანი მიუყენებია ცაცასთვის.

— გეურქა, გეურქ-ალა? თითქოს მე მკითხავდა ცაცა მის ამბავს. ნოჰკლეს, ბიჭო, გეურქა! ისევე თვითონ მითხრა, თავი ველარ შეიმავრა, კრემლები აღრჩობდა ცაცას.

— ან რა ქვეაში მოუვიდა იმ უბედურს ჩემი განთავისუფლება. ღირდა ასეთ მსხვერპლად ჩემი განთავისუფლება! ნანობდა ცაცა გეურქას დაკარგვას.

დიდხანს ჩვენი იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა. პირობა დავდევით, რომ ქალაქში გვენახა ერთმანეთი, მისიანართს ის შემომითვლიდა თითქონ ამ ჩემი გამყოლის პირობით.

მძიმე ფიქრებით დატვირთული ებრუნდებოდი ქალაქში, აქ-იქა ბეჭეტავს ქალაქის განაპირა უბნის სანათურები. მე და ჩემი გამყოლი ერთი-მეორეს დავცილდით. ის წინ მიდის, მან კარგაით იცის მიხვეულ-მოხვეულები, გზა მან უნდა მიხვეწოს.

როგორც იქნა, დიდი წვალებით მივალწიეთ ღამის გასათევამდე. მეორე დღეს ილიკო ვინახულე.

ქალაქში გაჩერება აღარ ღირს, მითხრა მან. თუ შესაძლებელია სადმე მუშაობა, ისევ ქართლ-კახეთის სოფლებში. აქ რეაქცია არ არის ისე გამძვინვარებული. სჯობს შენ სადმე წახვიდე, თავსაც მოაუარებ და საქმესაც გააკეთებ. ჯერ ახრე რევოლუციონისათვის წესის აგება, როგორც ამას მენშევიკებია სჩხავიან. რუსეთში, როგორც ეტყობა, ეხლა თანდათან ძლიერდება გლეხობის მოძრაობა, შესაძლებელია ჯერ კიდევ რევოლუციონური ტალღის წამოწევა. ჩვენ ყოველ შემთხვევაში, არ გვმართებს გულ-ხელ დაკრეფილი გაჩერება. თუ შენ თანახმა იქნები, ამ რამოდენიმე დღის შემდეგ, გაუდექი გზას. გაგაგზავნით ხ-ში. იქ მუშებიც არის და ახლო-მახლო სოფლებშიაც გახვალ, იმუშაებ. იქ გვიარიანი ორგანიზაცია გვჭონდა ერთ დროს. ახლა იმისი ნაშესტრევები მაინც იქნება. მე დავეთანხმე, მაგრამ ერთი პირობა დავადებინე, რომ წასვლის უმალ ერთხელ კიდევ ენახეინებია ჩემთვის ცაცა, რომ მისთვისაც განზიარებია ჩემი სურვილი.

— შესაძლებელია ისიც იქეთ გამოვავზავნოთ. მითხრა ილიკომ. იმ რაიონში ბევრია სოფლად დარჩენილი წითელრაზმელები. უბატრონოთ არიან. თუ არ მიუხედავთ, გაქირვების გავლენით ყაჩაღობის დაიწყებენ, გლეხობას შეაწუხებენ და სულ მთლად გაუტყვენ მოძრაობას სახელს.

კიდევ გაიარა რანოდენიმე დღემ. მე თითქმის გარეთ გამოუსვლელიდ ვიჯექი ერთს ალაგას. შემდეგ ერთხელ კიდევ ენახე ცაცა და გადავწყვიტეთ, ორთავენი ერთად წავიდეთ სანუშაოთ.

მარტო მივდივარ. აღარ მოხერხდა ცაცას წამოსვლა, ვეღარც ნახვა მოვახერხე და ეხლა ვაგონის მიბნედილ სინათლეზე მის წერილს ვკითხულობ.

— ხშირად დავფიქრებულვარ, სწერს ცაცა, ერთ, თითქოს უბრალო საკითხის შესახებ.

— არის თუ არა, ან და კიდევ უფრო აჯობებს, რომ ვთქვათ, უნდა იყოს, თუ არა განსხვავება ამხანაგსა და მეგობარს შორის?

ჩვენ დაღ საქმეს შევებით. ხელი მოვკიდეთ იმ წესწყობილების ამოგდებას, რასაც ჩვენამდე მრავალი თაობა ებრძოდა; თვითთული მათგანი არყევდა მეფის ტახტს, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეარყია ისე მაგრაით, რომ ეს საშინელი და საზიზღარი წესი და კანონი მოსპობილიყო.

ბევრი იყო გატაცება და თავგანწირვა უწინდელ თაობათა ბრძოლაში, მაგრამ შედარებით ნაკლები იყო ნაყოფი. ერთი რამ მაინც შეგვიწინდელმა მით მუშაობაში. იმ დროინდელი ბრძოლა მე წარმოდგენილი მქონდა მხოლოდ თავეგანწირულთა მკლავ და მკლავ კიდილში გამოწვევა ამ ვეებერთელა ახმახი საზინულების, რომელსაც ამაგრებდა აუარებელი ჯარი, პოლიცია, დაქირავებული და მომადრიელებული: წარჩინებული წოდება, ჩინოვნიკები და კიდევ მრავალი სხვადასხვა.

ამ საბედისწერო შებმის შედეგი თითქოს ყოველთვის ერთი და იგივე იყო. ერთეულები იხოკებოდნენ, მაგრამ ეს პატარა წრე, ეს პატარა ჯგუფები კირივით იყო შედუღებული ერთმანეთში. ერთი საქმის ხალხი ერთმანეთისათვის თავს დადებდნენ, ერთმანეთისათვის ტყვიას და არაერთარ განსაცდელს არ დაერიდებოდნენ.

ეხლა კი ამ ჩვენ დროს, როცა პარტიაში გაცილებით უფრო მეტმა ხალხმა მოიყარა თავი, გაჭკრა მეგობრობა, დარჩა მხოლოდ ამხანაგობა.

ჩვენ ერთმანეთში ამ სიტყვას ეხმარობთ, ყველა, ვინც პარტიის წევრია—ყველა ამხანაგია. ეს რალაც საერთო სახელი შეიქნა, ეს ჯოგის ნიშანია და არა ჩვენი ერთმანეთისადმი დამოკიდებულების გამოშატავი სიტყვა. უწინ მეგობრები იყრიდნენ ერთად თავს, ეხლა მხოლოდ ამხანაგები. გორკიმ ერთხელ ამ სიტყვას დიდად-დიდი ალტაცებული წერილი უძღვნა. ნეც წამიკითხავს ეს წერილი, მაგრამ დღეს დღესავით მახსოვს, როცა ეს წერილი წავიკითხე. კიდევ უფრო ნათლად და აშკარად დაეინახე, რომ ამხანაგი—თვით ეს სიტყვა—არ იძლევა იმ სიტბოს, იმ სიყვარულს, რასაც მეგობარი. მიკიტანი, ხომ მიკიტანია და, თუ რომ, მას მარტოდ არა აქვს იმდენი ფული, რომ სამიკიტნო გაალოს, ფულიან კაცს ეძებს, ნაწილს თანხას ეს მეორე ვინმე გამოიღებს და ორთავე ამხანაგები გახდებიან. მათი ურთიერთობა ფულზე და ანგარიშზეა დამოკიდებული. პარტიაში, რასაკვირველია, ფულის მოსაგებათ არავინ წამოევა, მაგრამ აქაც მოგვების თვალსაზრისი მუშაობს. პარტიაში იციან ადამიანის გამოყენება. არ ფასობს კაცი, ადამიანი,—ფასი აქვს მხოლოდ მის სამუშაო და სასარგებლო ძალას. ეთქვამთ, რომ შენ დღეს სხვადასხვა გარემოების გამო დაქვარგე ეს ძალა, ეს უნარი, მაშინ? მაშინ შენ აღარაეის არ სჭირდები!!! არ არის მეგობარი, ამხანაგს კი შენი საქმე არაფრად ეკითხება...

მატარებელი ნელა მიჩოჩავს. ლამეა, მე მალლა, სულ მალლა შევეხიზნე, გამოტოლი ვარ, პირი კედლისაკენ მაქვს მიბრუნებული. იქ, სადაც ჩვენ პარტიის უბრალო წევრებს გვანაწილებენ, ასე განსაჯეს, რომ ჩვენი გამოყენება უკეთესი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ მე ცალკე წავალ კ-ში, ხოლო ცაცა ხ-ში უნდა წავიდეს.

ასე გადაწყვიტეს და ჩვენც ამახ ენმორჩილებით.

მე უკვე გამოველი, ჩემი ახალი დანიშნულების აღავისაყენ მივემგზავრებრი, ცაცა კი ისევ ქალაქშია ჯერ-ჯერობით. როდის წამოევა არ ვიცი. ან წამოევა თუ არა, ისიც არ ვიცი.



მატარებელი წელა მიდის. მე ასე მგონია.

უნდა გავიარო ნაცნობი ადგილები, მაგრამ საბიუროს მისამართზე წავსული და ხალხში გამოჩენა, მიცნობს ვინმე, და გათავდა მაშინ ჩემი წიკვა.

არა, უნდა ვიწვე და ფხიზლათ ვიყვე, თუმცა თავი მძინარად უნდა მოვაჩვენო ყველას.

ვაგონში ხალხი ზომაზე მეტია. გზაში თანდათან გვემატება მგზავრები. კიდევ კარგი რომ ზევით ბინა ვიწოვე, თორემ ქვევით ვინმე შემომეზიარებოდა, ამაცენებდა.

პატარა სადგურებზე ერთბაშით, გაჩერებისთანავე დარეკს ხოლმე მეორე ზარი, მეორეს მესამეს მოაყოლებენ და მატარებელიც ხენწით, უგულოდ, ზანტი საქონელივით აიდგამს ხოლმე ფეხს.

მოზრდილა სადგურებზე მატარებელი დიდ ხანს ჩერდება და ამ დროს უსათუოდ ჩამოივლის ვაგონებში დეზებიანი სულდგმული—ქანდაკი. მგზავრებს ათვალეირებს, მე შედარებით კარგათა ვარ მოუფარებელი. ზურგიდან ადამიანის ცნობა ძნელია, პირი კი კედლისაკენ მაქვს მიბრუნებული.

კორტოხს გადავშორდით.

მე პირი მიბრუნებული მაქვს, მაგრამ ჩემზე ფხიზლად არავინაა ამ ვაგონში, მესმის თვითყული გაფაჩუნება და უბრალო რამ ხმაც. ჩემს საწოლის ქვედა სკამზე, როგორც ეტყობა, ვილაყ მოხუცებული ქალი უნდა იჯდეს. ხშირად ახველებს და მწარეთ ამოიხვნეშებს ხოლმე. ხანდახან მოკლედ ვილაყას პასუხს აძლევს, ეს მეორე კი ვილაყაა, მამაკაცია, შუა-ხნის უნდა იყოს, ხმაზე ასე ეტყობა. დაბალი ხმით ემუსაიფება ამ მოხუცებულ დედაკაცს.

ხალხი მილიგდა, შუალამეა გადასული, ვაგონში სიწყნარე ჩამოვარდა, ისმის მხოლოდ ორთქლმავალის ხენწმა, გოგრების რაბა-რუხი და ამ ორი ადამიანის ხმა-დაბალი მუსაიფი.

ყური შევაჩვიე ამ ხმაურს. ის, თითქმის, აღარ მიშლის ხელს რომ ლაპარაკი გავიგონო.

— თუ რაზე გისაშუალებს მაინც ქალაქის აქიმებმა, ბატონო? მესმის მამაკაცის ხმა.

— მეტი არ ეშველა შენ მტერსა და აეს. ტყულა ამდენი ფული გადაეყარე წყალში, აძლევს ქალის ხმა პასუხს.

— მაინც ბატონო, რა გითხრეს, რა ავთმყოფობა დაგისახელეს?

— რა ვიცი, შენი კირიმე, ზოგმა ეს თქვა, ზოგმა ის. მაგათ ნათქვამს ასე ვაგლაბათ გაიგებს ადამიანი!

— წამლობის რა გითხრეს?

— რას მეტყოდენ, შენი კირიმე, საწყენს ნურაფერს შეიხვედრებო, გულს ნუ მოიყვან, ნურაფერს იჯავრებ, და წამალი არაფერი არ გპირდებო.

— კი, მაგრამ უწამლოდ რომ ადამიანი მორჩა, ვაგიგონია?!



— ასე კი მითხრეს.

ერთ ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ისევ მამა-კაცმა

— თუ რაზე ამბავია, ბატონო, თქვენსკეს იმის შესახებ უნდა გინდათ, რომ შეგვაწერეს? ჩვენში ერთი გზობა ხმა გამოვიდა, რომ იმ ფულს ისევ უკან აბრუნებენო.

— რომელ ფულს, ჩემო ბატონო?

— რომელსა და იმ ფულს, აღიხანოვმა რომ გადაგვახდევია, ქე არ გავაწერეს ახალთაობის ფულები...

— არა, შენი ჭირივე, იმის ჩვენში არაფერი უთქვამთ. მეტი არაა, შენი მტერი, ფულს ვინ დაგვიბრუნებს, ის ამოგვთხარეს კისრიდან და ის იყო. იმაზე მეტს არაფერს გადაგვახდევინებდენ, თორემ იმას კი ვინღა ჩივის?! ის კი არა, ჩვენ ღვდილს ამ გადაღმა კვირაში საბაძელი დაეწვა. არ იცის კაცია; ამბობენ, თვითონ დაწვაო. იქნება მართლაც ასე ქნა იმ სულ-წაწყმენდილმა. ეხლა ხმა გავარდა რომ, კანცელარიაზე ქალადი წოსულა და ბძანება არისო, ამბობენ, რომ ის ფული სოფელს უნდა გააწერონო. მერე ნეტავი რამეთ ვარგებულის ის საბაძელი, სალორზე ვარესი იყო, თქვენ ნუ მომიკვდებით.

— რავე, სოფელს რას ემართლებიან?

— სოფელს იმას ემართლებიან, რომ, რაზმელებს ინაბავთო, ახალ თაობის ხალხს ხელს უწყობთო.

— კი მაგრამ, იოსება ხუცესის საბაძელის დაწვა რა შეაშია?

—თავი დამანებე, შენ გენაცვალე, იმ მღვდელს ახალთაობის დროს ბოიკოტი ქონდა გამოცხადებული. წისქვილში არავინ უფეკვავა და სატირალში არავინ პატივობდა. ჩენი სოფლის ხალხს მეორე სოფლიდან მოჰყავდა ღვდილი. ისე გაცდა მთელი ორი წელიწადი, რომ ერთი ტაბლა არ შესულა მის ოჯახში. ახლა აპირობს ის პირშივე, ბელის გამობრუნებას, ალბათ.

— ღმერთმა დააქციოს და ამოაგდოს მაგისთანა მღვდელიცა და დიაკონიც. ტყულს კი არ ამბობდა ის ახალთაობის ხალხი, სასულიერო წოდება ხალხის შემაწუბებელიაო.

— ჩუ, ქე არავინ ვაიგონოს, თორემ, ხომ უყურებ, რაწირი დრო დადვა.

— გჯეროდეს შენ ნუ მომიკვდე. ეხლასულ აღარ არის აღამიანის გარჩევა.

— ნეტავი, მე ამ ავანთყოფობას არ დავებრიყვებე, ასე მწარეთ, თორემ კიდევ გაუძლებდა აღამიანი ამ გაჭირვებას. შენ ქე იცი, ჩემო ბატონო, ერთი საწყალი ქვრივი ოხერი ვარ, ჩემს სახლში შემომტანი და შემომხედავი არავინაა. ისევ მე თვითონ ვცოდვილობდი რაღაცას, ეხლა კი, ქე დავარდი და ესაა.

— ხო, რა მოგახსენოთ, მაგ ამბების თაობაზე გამახსენდა... ამის შემდეგ მამა-კაცი კარგა ხანს დაბალი ხმით ეფუჭუნებოდა თავის შესაუბრეს და მე აღარაფერი გამიგონია. მხოლოდ ხანდახან გამოერეოდა ხოლმე ქალის წამოძახილი.

— „დაგელოცა ღმერთო სამართალი“, ან და კიდევ:

— „ბეჩა, ნუ შეტყვი მაგას!“ და სხე.

მე ვწვევარ და დროს ვითვლი. ჩემი ანგარიშით ბევრი დრო ავიარ უნდა ჩემს მისვლას იმ სადგურამდე, სადაც უნდა ვადმოვბტე.

— სად ყოფილა, ბატონო, მაგ ამბავი? ცოტა უფროსი ხარ, ვიდრე ჩემი ქალმა.

— აგერ, ბატონო... და სწორეთ ის სადგური დაუხაბელა, სადაც მე უნდა ჩამოვიდე. შემდეგ კიდევ იფუჭუნეს ერთ ხანს.

— აი შეკრა ხელი ვილაცამ, მაგ მოუწყო—გავიგონე მამა-კაცის ხმა. ამის შემდეგ კიდევ გაწყდა ჩემთვის მათი შესაითვის ძაფი, ჩურჩული ისმოდა, მაგრამ ცალკე სიტყვები ვერ ვაგარკვიე.

— ბომბი, აბა, ისეთი დიდი ბომბი... კვლავ აუწია კაცმა ხმა.

მატარებელი შეჩერდა.

მოზრდილა სადგურია.

კვლავ შემოიარა დეზებიანმა, მას, ეტყობოდა ვილაცა სხვებიც შემოჰყვენ. გაიარეს, ხმაზე შევატყვე.

— ისეა, მასუკან ამ სტანციაზე ყოველთვის ასე შევბიან, ყველა მგზავრებს ათვლიერებენ, გავიგონე სხვა ხმა, ეს არ ჰგავდა ჩემი საწოლის დაბლა მოლაპარაკე კაცისა და ქალის ხმას.

მატარებელს მაინც ძალიან შეეგვიანდა. რამოდენიმე ახალი მგზავრი შემოემატა ვაგონს. შეიქნა ახალ შემოსულების ხმაძალი ლაპარაკი.

— არა, მაგათ, თუ ის ჰგონიათ, რომ მაინცა და მაინც ალაგზე არიან დაკერებული ის ხალხი, გამოელაპარაკა პირველის მთქველს ვილაც კიდევ სხვა.

— შენ გვიგებ, რალაცა მაგათ ჰგონიათ, ქე კი დადიან და ხალხს აწუხებენ. ის კი არა, ვახსოვს ჩვენ სოფელში რაო დეიარებოდა, რახმელების მეთაური რომ იყო, ცაცას რომ უჭახოდენ, იმის რა ამბავი ჩამოიტანეს, იცი? აგერ გუშინ წინაზე ერთი ჩემი ნაცნობი კაცი ჩამოვიდა ქალაქიდან.

— რაი, რა თქვი, ერთი გამაგებიე, თუ ძმა ხარ.

— გაგაგებოა კი არა, ძმაო, იმას საქმე უქნია. აქედან, თურმე ცაცა ქალაქში გაპარულა. მღვდლის ტანისამოსით გამოწყობილა და ისე ჩამჯდარა ვაგონში. წიფას რომ აცილებია, თურმე ერთი ჯანდარი შემოსულა და ქე არ შეუტყენია ეს შენი ცაცა.

— მერე, მერე, ერთი მითხარი, აჩქარის მეორე.

— თურმე, ეს ჯანდარში აჩერდება ამ მღვდელს, ხან აქედან აუვლის, ხან იქედან... ის კი, თურმე ზის, ისე ზის, რომ ვერაფერს ვერ შეატყობ. მღვდელია და მღვდელი შენი მოწონებული, გულზე გვარი კიდია, თმა და წვერი მოშვებული აქვს. პოეზი ისე წასულა, რომ ამ ჯანდარს ვერ გადაუწყვეტია მისთვის ხელის ხლება. მაგრამ ქალაქში უფერნია დაშწვევისათ ტელეგრამა, რომ აბა, ესა და ეს კაცი მოდის, აწნაირათაა გამოწყობილი და დახვდათ, დეიქარეთო.

— მერე, მერე, შენი კირიშე, დაუქერიათ?

— მაკალე, შე კაცო, გეტყვი, კი, დახვედრიან და გაუქანავთ.

— ოი, მაგ ურჯულოები, მაგენი, რა ბიკი დაკარგულა!!

— მაკალე, არ იკითხავ შემიდეგ, რა მომბდარა! თურმე, ჩაუყვანიტ შენი ცაცა უჩასკაში, მოუყვანიათ მთელი როტა სალდათი და ციხეში უბარებენ თურმე გაგზავნას...

გენჯილიყთიქა

— მერე, მერე?

— მერე და მერე. შუაგზაზე რო მისულა, ბიდზე რომ შემდგარან, აუწყვია და პირდაპირ წყალში გადამხტარა. დაუშენაათ თოფები.

— ქე არ მოკლავდენ?!

— ვერა, ვერ მოუკლავთ. გამოსულა! გამოსულა, გადარჩენილა.

— არა, მეტი არაა ჩემი მტერი, ისე ვერ გადარჩებოდა, ან ტყვია მოკლავდა და ან წყალი დაახრზობდა.

— არა მეტკი. ჩვენ ბიჭებს უნახავს, თურმე ქალაქში დეიარება, აფიცრის ფორმაშია გამოწყობილი და ისე დადის.

მესმის ეს ამბავი, მინდა მივიდე იმ ახალგაზრდებთან, ცაცის ამბავიც უთხრა და მათგანაც გავიგო აქაური ამბები, მაგრამ ჩასვლა და გამოჩენა მაინც სახიფათოთ ნიმაჩნია.

არა, მე უფლება არა მაქვს, რომ თავს არ მოუფრთხილდე, მე აქეთყენ საშუაოთ გამოგზავნენს. რომ დამიჭირონ, ამით, რასაკვირველია, ქვეყანა არ დაილუპება, მაგრამ ეს ერთი პატარა ჩემი გასაკეთებელი საქმე წახდება.

— ნუ იხამ, მოიცადე! ვუბრძანე ჩემს თავს და ისევე განვაგრძე „ძილი“.

ქვევით მოლაპარაკე ქალი და კაცი, ეტყობა, წასულან. აღარ იხმის მათი ხმა. სამაგიეროთ ახლები შემოგვემატენ.

მატარებელი მირბის. თავდაღმართია და იჩქარის, არ უშძიმს დაღმართში დაქანება. ხანდახან, როდესაც ნამეტანი აუჩქარებს, მემანქანე ორთქლის მუხრუქს უჭერს, გოგორები გულმოსული ძაგდაგებენ, ეაგონი ტორტმანობს, ხან ერთ მხარეს გადაწეება, ხან მეორეს. გოგორების რახუნი, მატარებლის ქშენა, თითქოს რალაც ტლანქათ-შეწყობილ მოძახილს არბევს ამ ვიწრო ხევებში.

— და-ვი-მტვრე-ვი, და-ვიმტვრე-ვი! მე აშკარად მესმის ეს სიტყვა.

— და-ვი-მტვრე-ვი!!!

და-ვი-მტვრე-ვი!!!! მირბის და იძახის ეს რკინის ურევი.

— დაიმტვრევი და კისერი გიტეხია.

— მეხოხელო, კეთილო, თუ შეიძლებოდეს, იქნებ მაგ ადგილი დამითმოოთ, ავითმყოფი მყავს, ეს მე ველაპარაკება ვილაც. ერთ ხანს ხმას არ ვილუბ. „ძინავს“, მე „ღრმა ძილში“ ვარ.

— არ იღებს ხმას, მაგ მამა-ცხოხებული ვილაცაა?!

— დასაძინებელი წამალი დაუღეცია, ისე ეტყობა, ამბობს ვილაც კუთხიდან.

— ადამიანო, რას ალუიძებ, რას ერჩი მაგ კაცს? ავითმყოფს მაგ სიმაღლეზე რათი დააწვენ? შემოაწია ვილაცამ მეორე ალაგიდან.

მე მაინც ვარჩიე ადგომა. ღამე, ვინ უნდა დამიკვირდეს მაინცა და მაინც სადმე ბნელ კუთხეში მივდგები. თანაც იქნებ საიშედლო ნაცნობს ვინმეს გადავეყარო, ამბავს მაინც გამოვკითხავ.

ვარჩიე ადგომა, რამოდენიჯერმე გავაზმორე, და, თითქოს, ძლიერ წავიარ-
თვი ძილს თავი, წამოვიწიე.

ვაგონში სანახევროდ ბნელა.

— შენ აგაშენა ლმერთმა, იქნებ ეს ავითმყოფი დავაწვინო მაგ თქვენ ალა-
გზე, მიუღწება ვილაც მოხუცი. ხმა არ გამიცია, ჩამოვედი ძირს და ბნელ კუთ-
ხისკენ მივდექი.

— რითია ავით? ეკითხება მოხუცებულს კონდუქტორი.

— არაფერი, ბატონო, ვადამდეები კი არაფერია, ისე შეშინებულა, შეშინე-
ბულზე ელდასავით მოიჭრა რილაც. ბნელა ემართება, ვეღარ ვაკაევებთ.

— რატომ დაემართა?

— მტრისას და ავისას, მაგას და მაგის ქირისუფალს რომ დაემართა, ჩე-
მო ბატონო, რალა საკითხავია, ჩვენი ანბავი! კონდუქტორმა ხელის ფარანში სა-
ნთელი გაასწორა და გზას გაუდგა.

— არ ვადმოგივარდესთ ქემინც, დაარიგა მოხუცი წასვლისას.

— არა, ბატონო, მაგრე ხშირად კი არ უვლის, დღედაღამეში ერთხელ
დაემართება ხოლმე, მაგრამ ისე მოაქცევს ამ დღევიით ვაჭკაცს, რომ დანარ-
ჩენს დროს ენის ანოღების თავი აღარ აქვს. მირჩიეს, აქეთკენ ერთი გამომლო-
ცავი ქალი არის, იმის გამოალაცვიეო. მყავდა, მაგრამ ვერაფერს უკეთესობას
ვერ ვატყობ. როგორც იყო, ისეე ისეა.

რაზე დევმართა, ბაბუა, მაგ ავითმყოფობა, ჰკითხა ხელმეორეთ მოხუცს
ასალგაზრდამ, რომელსაც რკინისგზელის ფორმის ზედაწელი ეცვა ფოლაკებით
გაბჭუქირილებული.

— შენი ქირიმე, ჩამომეხენი, რა მაგისი მცხელა, ერთი დამაბინავებია
ნეტავი... ბოლოს, როგორც იქნა, ავითმყოფისათვის ქვედა სკამზე გაანთავისუ-
ფლეს დასაწოლი ადგილი.

— ტყულა შევაწუხე, ის ვილაც პატიოსანი ადამიანი იყო, პუტუნობს მო-
ხუცი. ავითმყოფი წამოაწვინეს, თვითონაც გვერდში მიუჯდა. ავითმყოფი სრუ-
ლებით არ იღუბს ხმას.

მატარებელი მიდის, ირბევა, ირწევა აკვანივით.

— მომდევენ მამა ჩემო, მომდევენ, დახობას მიპირობენ!!

— არა შეილო, არა მამა, არაფერი კაცი არ გერჩის, არავინ ხმას არ
გცემს, უჯავებს მოხუცებულს.

— მომკლავენ ეს ურჯულოები!!! კენისის და მისუტებული ხმით ოხრავს
ავითმყოფი.

— ვაი მარჯვენი შეახმა, შენ მაგნიართ მომკცევს. მამა-ზეციერო, ნუ
გაუთენებ იმას ნურაფერ ბედნიერ დღეს, ნუ აღირსებ იმის შეილსა და
ნაშიერს ბედნიერებას, როგორც მე ერთი შეილი მყავდა და ისიც ასე მო-
მიქცია.

მოხუცის გარშემო რამოდენიმე მგზავრმა მოიყარა თავი. ყველა თითქოს
რალაცას შეკლის, რალაცას ეხმარება.

მატარებელი კი თავ-ქუდ გადავლეჯილი მიპქრის თავდაღმართურ და უწინ-
დებურად მიიძახის:

— და-ვი-მტერე-ვი!

— და-ვი-მტერე-ვი!!!

ძიძგინობს კედლები, უჭერს მუხრუჭი, ვეგონი ირწევა, ქანაობს, ფარანში
ზანტათ იწვის და იცრემლება ქონის სანთელი. ფანარის შუშას, ვინ იცის, რამ-
დენი ხანია არ შეხებია ადამიანის ხელი, არაფის გაუწმენდია.

— რალა, რა მომივიდა, ასეთი ამბავი ნუ მოაკლოს ჩემმა გაზნემა და ჩე-
მმა სალოცავმა იმას, ვინც ჩემი ნოსრევანი ამ მდგომარეობაში ჩამიყენა.

მოხუცი გულმოდგინეთ სწყველის „იმას, ვინც“ მაგრამ, ვინაა, ეს „ვინც“,
ამას არ ასახელებს. ბოლას ჩიბუხი ამოიღო ახალბობის ჯიბიდან, ქისაში ჩაუყო,
შიგნით ქისაშივე დატენა თუთუნით, მოუკიდა, გააბოლა, ერთი ორჯერ ნერწყვი
ჩაყლაბა და თვითონ, უკითხავად, მოჰყვა თავის გაჭირვებას.

— არ დამიჯერა შეილო, არ დამიჯერა. ასე იცით ახალგაზრდებმა. სამ-
სახურში მყავდა, სტანციაში მსახურობდა, ჯამაგირი დიდი არა ჰქონდა, მაგრამ
ჩემთვის ისიც დიდი შესაფარისი იყო, მარტოხელა ადამიანისათვის. მე ჭე დაე-
ბერდი და ესაა. ასე იცით შეილო ახალგაზრდებმა, არ დამიჯერა!! ახალთაობის
ხალხში ვაერია. მერე საწყალი, ისეთი კუიანი და უწყონარი ბავში მყავდა, რამ
გადაჰკიდა ამ ღვთის ფეხის მუამელებს. დასდევდა იმათ, წითელი ბაირახებით
სიარული არ მოიშალეს. ეხლა კი, იმათ რა უჭირს, იმ ხაზინაში, რომ ფული
გამოიტანეს, თურმე ყველას ჩამოურიგებია, თვითეულს რამოდენიმე ასი თუმანი
რგებია, ყველამ ხელი გაჰკრა და მიიწალა....

მე მოშორებით ვარ, დერეფანში გასასვლელ კარებთან ატუზული. ჩემთვის
ეს ალაგი სჯობია.

ჩემს აბლოს სდვას ის რკინისგზელი, მოხუცს რომ ეკითხებოდა ავადმყოფის
ამბავს. მას გვერდში ახალგაზრდა სოფელურად ჩაცმულე ყმაწვილი უდგას.

— მე ვიცნობ, მაგ ჩვენებურია, ერთი სოფლიდან ვართ..

— რა დამართია მაინც ასეთი? ეკითხება რკინისგზელი.

— მაგას რაზმელების შენახვას სწამებდნენ. იქნება, მართლაც ჭე ინახავდა
რაზმელებს, იქნებ, მართლაც, ჭე ჰქონდა საჭმე, იქნება არც კი იყო რამე.
რაც არ ვიცო, ვერ გეტყვი. მაგრამ საჭმე ასე იყო. დეიბარეს მაგ მოხუცებული
დაბაში და იქ ის, რომაა, შე კაცო, უწინ რევოლიუციონერებთან რომ იყო
რაზმში, კოტია ბენუაშვილი, ის ზომ იცი, ეხლა სტრატეგიების აფიქრობა მის-
ცეს—იმან დეიბარა, თურმე და უთბრა.

— მე ვიცი, რომ შენი შეილი რაზმელებთან დაიარება. მომეცი ამდენი
და ამდენი, თორემ დაეიჭირავ და არ გადამიჩიებაო. მაგ მოხუცებულს, რომ
უყურებ—ოი, დიდი ღჯუ და ჯუშტი კაცია. თითით რომ დაჰკიდო, კაპიქს ვერ
გაავდებებ ხელიდან. არ მისცა ფული...

— რომელი ფული?

— რომელი და კრთამი არ მისცა ბენუაშვილს, მერე ის იყო, რომ მაგ
საწყალი ბიჭი დაიჭირეს. ეწვალეზბიათ, ურტყეს, თურმე, იმდენი, რომ ცოცხალ-



მკვდარი გამოუშვეს ერთი თუ ორი კვირის შემდეგ. მამას ქე უნდოდა ეჩივლა სადმე, მაგრამ ყველამ ტუჩზე ხელი მიათარა, არაფერი არ ვაგვრტყნავს! უკნვე ბრალდებულს გამოგიყვანებენო. თავი მიანება. მასუკან არ იქნა დამჯეროწმარბტო. მაგ საწყალმა წელი!

— და ვი-მტვრე-ვი.

— და ვინტვრე-ვი!!! იძახის მატარებელი. მოსახვევებში ვაგონის გოგორე-ბი მქახეთ აკრიჭანებენ კბილებს, თითქოს სიბრაზისაგან მოთმინება დაჰკარგვიათ და მართლაც ეჩქარებათ ამ მატარებლის დაშტერევა.

თურმე ფეხზედაც შესაძლებელი ყოფილა ძილი. ფიზიკად „ძილმა“ ისე მომქანცა, რომ აქ დასტურ შეძინება.....

უცბათ მატარებელი ერთი მაგრათ შეტორტმანდა, შემდეგ გოგორები აით-რია, ჰაერი ვასერა ლითონზე დადგმული სინძიმის ზრიალმა. ვაგონი მაგრათ შეტორტმანდა, წინ გაქანებული უკან დაქანდა, სხვა ვაგონებიც ერთი მეორეს დაეჯახა და მატარებელი გაჩერდა.

ვაგონში ჩოჩქოლი შეიქნა.

— რა ამბავია?

— გადავარდა, ალბათ.

— დაგეამტვრია ამ ოჯახ-ქორმა და ეს არის.

— არაუფროც არ დაუმტვრევივართ. ალბათ სემეფორი იქნება დაკტილი, ამბობს რკინისგზელი.

ერთბაშათ გაისმა თოფის ხმა, სადღაც კენტათ გაიზოლა ტყვიამ. იმავე წამს რამოდენიმე ტყვია ერთად გავარდა და ამის შემდეგ ატყდა ხშირი სროლა. წარმოუდგენელი ამბავი შეიქნა ვაგონში.

— დაწვიეთ, ყველა დაწვიეთ, ტყვიამ არაფერი მოგწიოთ.

ზოგი იქვე გაწვა იატაკზე, ზოგს დასაწოლი რომ ველარ ეშოვა ცხრათ მო-კეცილი მაინცა და მაინც თავის დამალვას სცდილობდა.

— ფოსტას დაეცენ, უამველია ფოსტას დაეცენ! ისმის სადღაც სიბნელი-დან ხმა.

ქონის სანთელს, ალბათ ეწყინა უდრო-დროს მატარებლის გაჩერება და სრულებით დახუჭა თვალები.

ვაგონში სიბნელე ჩამოწვა.

მე გასანძრევი არ მაქვს. მარტო თავის დამალვა რა ჰქვია, იატაკზე კი ნემსის ჩასატევი ალაგი აღარსად არის.

გარშემო უმთვარო ღამის წყედიადი სუფევს, ამ ჩამოწოლილ ხეებისა და კლდეების რკალში მომწვედელი მატარებელი უძრავათ არის ერთ ალავს გა-ჩერებული, თოფის ხმა ხან შეწყნარდება, ხან კი ერთბაშათ მოუხშირებს. ჰაერს სერავს წითელი ზოლები.

— გააღეთ, მაგ მკვდარ-ძაღლის ვაკეთებულის! ვილაც აწვევა კარებს.

კარებზე მე ვარ გაკრული, ძალიანაც რომ მინდოდეს, მაინც ვერ ვუტევე, ფეხის მოსანაცლებელი ალაგი არსადაა. ბოლოს კარები მაინც გაიღო.

— შეუძლებელია, მანდ არ იქნება, ტყუილა რაზე ვეპარგავთ დროს.

— აქ, თუ არ იქნება, ამას იქეთა ვიგონში იქნება. *ვარკნიშული*

— შენ ნახავ ეხლა იმას, კიდევაც რომ იყოს ამ *კუნამუტი* *კამეში*? მიბაღული იქნება, სადმე კუთხეში.

ორი, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულს რომ იტყვიან, ისეთი ახალგაზრდა არღვევს გზას, აბიჯებს დაფრიდებლად იატაკზე განთხზულ ხალხს. სახე არც ერთის არ დამინახავს. ხმა ვიცანი. ჩვენი ყოფილი რაზმელებია. ერთს მაინც მე საგულდაგულოდ ვიცნობ.

— ხალხო, ნუ გეშინიათ, თქვენ არაფერს არ მოგწევთ, ჩვენ ვეძებთ ხალხის ჯალათს პრისტავს... დაასახელა მართლაც ჯალათის, მართლაც კვეყნის შემწვლებელისა და ამწიოკებელის გვარი.

— იმას ვეძებთ, იმის ნახვა გვინდა, იმის კვალს მივდევთ.

— ამ მატარებელშია სადღაც.

— კარის გაღებისა და დაგდების დროს ვაგონის შემოსასვლელ დერეფანში მოვხვდი. შეიარაღებულები წავიდნენ, კარები ვიღაცამ შეიხურა. სროლა თითქმის შეჩერდა.

— ჩავეარდი საგონებელში.

— ღირს, თუ არა აქ ჩემი გაჩერება, სადაცაა ჯარი და სტრანეიკები მოაწყდება აქაურობას. დამცემლების დადევნება მათ არაფრად ემარჯვებათ, არც ეხალისებათ. ამ მატარებელს კი გადმოანგრევენ თავიდან ბოლომდე.

— არა, სჯობს თავს ვუშველო, ბევრი აღარ მიფიქრია. დავეშვი ძირს. სროლა შეწყდა. მე გზის პირას ბუჩქთან ჩავჯექი.

— ეხლა, წაიყვანე, მაგრამ იცოდე ნელა იარე, თორემ შენ ოხტში ანთვალთ, ორთქლმავლიდან შავი ლანდი ჩამოცურდა... მატარებელი ნელა დაიძრა და მძიმედ გაუღდა გზას.

ჩემი მდგომარეობა კიდევ უფრო რთული და სახიფათო შეიქნა. კარგი, თუ რომ დამცემლები სხვა გზით წავიდნენ და აქეთ არ გამოიარეს, მაგრამ, თუ რომ აქ შემამჩნიეს, უსათუოთ ასტეხენ სროლას და სანამ შემიცნობდნენ, მანამდე, ვინ იცის, რამდენჯერ მოასწრებენ ჩემს საიჭიოსაკენ ვასტუმრებას. ყოფილი რაზმელებია, ამას თქმა არ უნდა, მაგრამ ამ შუალამისას, ასეთს აღავას და ასეთი შემთხვევის შემდეგ გამოცნაურება და მუსაიფი რომ ვერაფერი მოხერხებული საქმეა.

შეკეშული, ბნელი ლანდები მიდი-მოდიან, ხმაბალა ეძახიან ერთმანეთს. ერთად თავი მოიყარეს. გზას გაუდგნენ.

იქვე პირდაპირ ჩაეშვენ ხევისაკენ. აღბათ გზა ისაა, მეც იქითკენ უნდა ვქნა თავი. თუ რომელიმე სოფლამდე მივატანე, გადარჩენილი ვარ.

მატარებელი შორსაა, სადღაც შორიდან მოაქვს გარიერაჟის სიოს მისი მძიმე ხენეშა.

წავიდა მატარებელი, მიიმალნენ თავდამსხმელებიც, მე კი მარტო კაკალა ვზივარ ბუჩქის ძირას. განა არა სჯობდა, მეც იმ მატარებელს გავყოლოდი. ან

რა ვიცი, რა სჯობდა და რა არ სჯობდა. ყველაფერს ეხლა სავარძელში /ჯდო-
მა სჯობს, ლაპარაკობს ვილაც შემოჩენილი და თითქოს ყურში ჩაქექსება.

— აბა, უნდა დაიძრე ადგილიდან, კვლავ იძლევა განკარგულებულია
იდუმალი ჩემს არსებაში დამალული, ჩემს არსებასთან შებოროტებული, ის, ვინც
მუდამ თავის გადაარჩენასა და გასაჭირიდან გამოსვლაზე ფიქრობს და ზრუნავს.
ვემოჩილები ამ ხმას.

მივდივარ, მაგრამ მეც არ ვიცი საით.

განთიადის წინ ასე იცის, ამ ხვესა ჭედა კლდეებში ისეთი სქელი ნისლი
ჩამოწევა, რომ რამდენიმე ნაბიჯს იქით არაფერი მოსჩანს. ლიანდაგი ცალი
მხრით კლდეს მიჰკერია, მეორე მხარეს ვეებერთელა ხრამია, ქვევით მდინარე
მიშხის.

— ლიანდაგით სიარული არ შეიძლება, კვლავ მესმის იმ ახირებული ვინმეს
ხმა, რომელიც ასე მოწყურებულია, რომ მე ამ განსაცდელსაც გადამარჩინოს.

— მაშ უნდა გადაუხვიო სადმე, მაგრამ სად? ალბათ, იქვე, სადაც იმით
გადაუხვიეს.

ჩასასვლელი არსად სჩანს, მაინც ისევ იმ ლიანდაგს მივყვები და გზას ვუ-
კვირდები. მოვინახე როგორც იქნა ისეთი ალაგი, რომ გაჭირვებული კაცი გა-
ბედავს ფეხის დადგმას. ჩაყევი ამ კლდესა და ღრეს.

— მაგრამ იქ რომ მდინარეა გასასვლელი, იქ როგორ აპირობ გასვლას?
ან იქნებ უკან დაბრუნება გნებავთ? ვეკითხები იმ ჩემ მზრუნველს, თან თითქოს
დაფცინი მას.

— „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“, ხომ ასეა ჩემო კარგო?! ეს კი ვი-
ლაც კიდევ სხვაა, ეს ის გახლავთ, რომელსაც ფეხებზე ჰქიდი ყველაფერი!

ახირებული რამ არსებაა ადამიანი. აგერ თითქოს ერთი ვილაც მარტო-
კაკლა ადამიანი მიეხეტება სადღაც უგზო-უკვლო ადგილას, თვითონაც არ
იცის სად. არაფინაა მისი მშველელი, მისი დამხმარე, ასე ჰგონია სხვებს, ასე
ჰგონია ალბათ, ყველას, მაგრამ არა! მე თან მიმყევა რამოდენიმე, ერთი მეო-
რესთან რომ ვერ მორიგებულან, ისეთი არსება, რომელნიც ერთმანეთში ჩხუბო-
ბენ, ერთმანეთს ეკამათებიან, ყველას და თვითელს მათგანს უნდა თავისი
გზით წამიყვანოს, თავისი დარიგების ხმა გამაგონოს.

— რომელი ხარ, გავათავე, გაჩნდი თორემ!!

სრულებით მოულოდნელი იყო ჩემთვის ეს ხმა. ჩემი მრჩეველები ჩაჩუბდნენ.

— გაჩნდი. ადგილიდან არ დაინძრე!! ისმის ხელახლა.

გაჩერებული ვარ.

— ზურა, მოდი, ნახე ვინ არის. ჩემსკენ ვილაც მოდის. ნისლიდან გამო-
ჩნდა მისი სამოსელი, თოფი და ნახევრათ პირ-ახეული სახე.

— შენ აქ რა გინდა?—მელაპარაკება ის, როცა დამიხალოვდა.

— შენ, შენ კი აქ რას აკეთებ??

— სხვა დროს ვილაპარაკოთ. აბა აქეთყენ გამოიარე. გავყევი მის კვალს.

შეუცნობელ არიან განგებავ გზანი შენნი! საით მიმავალი, საითკენ მოხედები, სად ვის წააწყდები თავზე. ეს ზურა ჩვენი წითელურა ჩვედღე-ღამეო, ნასილდათევი ბიჭი. ტყვიას ტყვიასი აჯენს.

შენსაღიროთიან

მივეყვები ზურას.— რა ერცახეზება ადამიანის სიცოცხლე— ამბობს ის. ზურა წინ მიაბიჯებს ფრთხილად, ფეხაკრფით, თითქო ვინმეს ეპარება.— კინალამ არ გაგაფუძე კაცი. მერე, რას ვიფიქრებდი შენ აქ ნახვას. მაინც რომელმა ქარმა გადმოგაგდო აქ, შევითხება ზურა.

— გეტყვი ყველაფერს, მაგრამ ჯერ არ მცალია მაგისათვის. იქნებ ამ ჯოჯოხეთიდან გაიყვანო, ვერაფერს ვერ ვხედავ, ვეუბნები მე.

ძირს, ხევის დაბლობში მივდივართ, მარცხენა კედაროს მდინარე მიჭშის, აწყდება კლდის გამოშვერილ კონცხს, გულმოსული ჯურღმლისაკენ მიეჭანება და შემდგომ მოშორებით ამოვარდნილი ქვევით ეხეთქება კიდევ ახალ კონცხს, იქაც ისევ უტრიალებს გარშემო და კიდევ ქვევით მირბის. მან არც შესვენება იცის, არც შებრალება. მიენდობი— მორევში ჩაგითრევს, არ მოგეშვება სანამ არ გაგვუღდას.

კალაპოტი ზოგან ფართოა, ზოგან ვიწრო, ნაპირზე საცალფეხო გაველც სჭირს. გავიარეთ რამდენიმე ვიწრო ალაგი და ფართოთ გაშლილ ნარიყალს მივადექით.

— აქ ფონია, აქ უნდა გავიდეთ, მალალი არ არის, თუმცა წყალი ეხლა ცივია. არ გირჩევ ფეხზე გახდას.

ზურას ამხანაგი, რომელიც იქვე იყო მიფარებული, ეხლა წინ მიდის, ჩვენ მას თითქმის ველარ ვხედავთ.

წყალი მართლაც ცივია, მაგრამ გავსლა საჭიროა, ჩვენც მივდივართ.

— ეს სერი უნდა ავიაროთ სანამდი კარგად ინათლებდეს, მერე არაფერი გვიჭირს, შეუბნება ზურა. შეუდექი აღმართს. აყალო მიწა თითქოს განგებ მოუშვლია ვინმესო, ნაწვიმარს შემდეგ ფეხზე გვეკვრის, ვიებერთელა დაგუნდავებული ბელტები მოსდევს ფეხსაცმელებს. ძნელია ამ აღმართზე ასვლა, მაგრამ გაჩერება და მახეში თავის გაყოფა კიდევ უფრო ძნელი იქნება.

— არა, გასწი, ვაიარე, უკან ნუ იხედები, ნულარაფერს ფიქრობ— მირჩევს ჩემი მზრუნველი, იქ სადღაც ჩემი არსების შიგნით რომაა მოკალათებული. მეც მივდივარ, აკი მივდივარ.

— ზურა აქა გყავს, მეორე მისი ამხანაგიც, ალბათ, აქვეა სადმე. მატარებელი ჯერ არ იქნება დაბაში ჩასული, აქ კი ამ პატარა სადგურებზე ჯარი და პოლიცია არ არის. შეიძლება იყოს თითო-ოროლა სტრანეიცი, მაგრამ ისინი რას გაბედავენ წამოსვლას!

მივეყვებით აღმართს. მალა სერზე მოსჩანს განმარტოებით გადმოდგმული სახლი. ფიქრული კედელი ხის ბოძებზეა დაბჯენილი, პირი იქეთ აქვს შებრუნებული, ამ ვიწრო საცალფეხოსაკენ ზურგი მოუშვერია. ბუხრიდან კვამლი ამოდის.



— რა კარგია ეხლა ცეცხლის პირას ბუხართან ჩამოჯდომა. ზურამ სწორედ ამ სახლისკენ მიასწორა.

— მასპინძელო, ერთი გარეთ გამოგვბედე, მიაწვდინა ჩანჩანს. ერთ ხანს მოიცადა, შემდეგ კიდევ დაუძაბა. უკანა კარები გაიღო და კარებთან გამოჩნდა ვიღაც. დილის ბურუსში მე ვერც კი ვარჩევ, ვინაა, ქალი, თუ კაცი.

— ელპიტე, დომენტი სახლშია? კითხა ზურამ.

— არა, როდია სახლში, წუხელი დაბაში წავიდა და არ დაბრუნებულა, სადილობისას მოველი.

ჩვენ უკვე ეზოში ვართ და პირისპირ მივადექით კარებს.

— რა გითხრა იცი, როცა ამოვიდეს, მაშინათვე გამიკეთოს ის საქმე, მე რომ მაქვს მისთვის ნათქვამი. რა საქმეა, ის იმან თითონ იცის.

— სახლში ხომ არ შემოხვალთ? თითქოს გკითხა და თითქოს მიგვიპატივა დიასახლისმა.

— არა, ვერ შემოვალთ, ჩვენ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასაელელი. გადაღმა სოფელში ხომ არავინ არის, თუ იცი?

— არავინ არ უნდა იყოს, იქ ეხლა გახურებულ სამზადისში არიან, ხომ იცი, დღეობას მოვლიან.

— ვიცი, ვიცი. მაშ ასე, ელპიტე, თუ ქალი ხარ არ დაგვიწყდეს, დომენტის უთხარი ისე, როგორც დავიბარე.

— ვეტყვი, როგორ არა!

— აბა, წავიდეთ ეხლა.

ელპიტემ კიდევ ერთხელ შემოგვთავაზა და ისიც სათუოდ, სახლში შესვლა. ზურამ ყური ააეღო, აღარ მიუცია პასუხი, ღობეს გადასაბიჯს მოველო და ჩვენ ისევ ბილიკს გავეყვით.

ამოვივაცეთ. ბილიკს საურმე გზა წამოეწია, ჩვენ გვერდით მივაწვევით, ავიარეთ ერთი დაბალი სერი და ტყეში შევედით.

კარგა ხანს მივეყვებოდით ტყის ბილიკებს. მზე ამოსულია, უხარია მზეს, ეხალისება ტყის ფოთლებზე დაკიდებულ ნაშში თავის სხივების ამოვლება და შეთამაშება. უხარია ბალახს მზის დანახვა, მწვანეთ ბიბინებს და თითქოს სიხარულით მზათაა ყალუხე დადგეს, იქ მზის კამარას ასწვდეს და მაგრათ ჩაეკონოს მას.

კარგია დიდი ტყე, კარგია იმ ბილიკზე ჩამოჯდომა, დასვენება, მზის მშრვალე სხივისათვის ეს დასველებული და გაცივებული ტანის მიფიცება, მაგრამ ზურა ფეხს ძალას ატანს, სრულეზობითაც არ იხედება ბილიკსაგენ—ტყპარება. ეტყობა ჯერ კიდევ ვერ გავსულვართ სამშვიდობოს.

— კიდევ პატარა გზა გვაქვს, იმას შევათავებთ, და ისაა, მისული ვართ ჩვენს ადგილას, დამაიმედებს ხოლმე ზურა და კიდევ უფრო მარდი ნაბიჯით მიდის წინ. მე ვერ ვხედავ მის სახეს, მივჩერებივარ მხოლოდ მის წახრილ ზურგს, შალის პაჭიკებით შემოკრულ კუნთებს, დახეულს ხარახის წულეებს და ჯვარედინად გადასალტულ ტყეების სატარებელ ღვედებს. თოფი მხარზე როდი

აქვს გადებული, ხელში უკავია, მომარჯვებული აქვს სასროლად. ეტყობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოელის საფრთხეს, თავ-დასხმას.

ნამეტანს ფრთხილობს ზურა, ნამეტანს ეკვიანობს. განსწავლეს, ამ მშვენიერ დილაზე ადამიანი ადამიანი სასიკვდილოთ გაიმეტოს?! ზურა მაინც ფრთხილობს და, ვინ იცის, იქნებ ის უფრო მოსაზრებულად იქცევა.

ზურა უცბათ შესდგა, ტალახიანი წულღები ერთმანეთს დაუახლოვდა, ჩემსკენ არც კი შემოუხედავს, ნიდაყვი ჩაიქნია, ხანიშნა უკან ამოქეფარო და თვითონაც იქვე ფართეთ გაშლილ ხეს ამოეფარა. მე ვერაფერს ვამჩნევ, არავითარი ხმა არ არღევეს სინამდის.

— თვალი მოვკარი, ჩვენსკენ მოდის ვიღაცა, მოკლეთ და ჩემი ხმით გადმომცა ხან. იქეთ მიდექი, აქ არაფერი მოგწიოს ტყვიამ, რომ ვინიკობაა, რამე აშავი მოხდეს.

ზურა ხეს აეკრა, მეც მეორე ხეს ამოვეფარე და ვუკლით. დავაყურე, ეტლამეც მესმის რაღაც ზედმეტი ხმაურობა. შეიძლება ადამიანის ფეხის ხმა იყოს, შეიძლება ნადირია რომელიმე. ზურას თოფი შეჩართული აქვს, ტყვიების სატარებელი ღვედები წინ წამოიწია. ალბათ კარგა ხანს ვიყავით ასე გაჩერებული, შემდეგ ხელი დამიქნია.

— ჩენი ბიჭები, ვიცანი, აგერ მოდიან, ჩვენსკენ თუ გამოგზავნა ოტიამ. ზურა მოშორდა საფარს და უხმოთ ხელი დაუქნია მომაელტებს.

სერგო ამოვიდა კარგა ხანია, თქვენი ამბავი ამოიტანა, ოტიამ გამოგვაგზავნა, ნახეთ, ხომ არაფერი შეეშთხვით გზაშიო, ამბობს ახალგაზრდა მორჩილი ტანის ყაწვილი, პარისახეზე პირველი ღინღლი, არც კი აჩნია ხეირიანად. მეორე უფრო ხნიერია, ოცდაათს გადაბიჯებული. შავ წვერ-ულვაშში აქო-იქ თეთრი ვერცხლის ფერი ძაფები გამორევია. სახე გამხდარი აქვს, მიწის ფერი ამეფს, თვალები დაწითლებული. იქნებ დიდი ხანია არ უძინია.

ახალგაზრდას შინაური შალის ბლუზა აცვია, მეორეს ფოლაკებ აგლეჯილი რაღაც ფორმის ტანისამოსის ზედაწელი-ტუფურკა, სარტყლის მაგივრად ორთავს ტყვების ღვედები არტყია.

— მართალია, სერგო წინ წამოვიდა, ჩვენ კი ვერ ვიარეთ ისე ჩქარა, ზურამ ჩემსკენ განოხედა და თითქოს ანიშნა, ამის ბრალია, ამან ვერ იარა, თორემ ამდენ ხანს რა დამაგვიანებდაო.

— ახლა რა ვქნათ იცი, სევასტი, მიუბრუნდა ზურა ახალგაზრდას. მე და ბესარიონი პირდაპირ წავალთ, ესეც ჩვენთან წამოვა, ანიშნა ჩემზე. შენ კი მაგ იარალი მოიხსენი, ჩემ ნაგანას მოგკემ, ის ჩეიდვეი ჯიბეში და დომენტისას გადადი. ოლონდ, გესმის, ფრთხილად იყავი. წუხელი დაბაში წასულა და სადაცაა ამოვა. ხომ იცი, იმან რა ამბავი უნდა ამოგვიტანოს და ის, მაშინ რომ დავებარეთ. ნუკი ვინმეს გამოუჩნდები. იცოდე ფრთხილად იარე, როგორც ამოვადეს, მაშინათვე შენი საქმე გააკეთე, გამოართვი, რაც მოგკეს, დეიმახსოვრე, რაც დავებაროს და ნუ დეგვიანებ, ისე ამოირბინე. ჩვენ იქავე ვიქნებით, ხომ? მიუბრუნდა ის ბესარიონს.



— იქ ვიქნებით, აბა სად წავალთ!
 — ხო, და ყოველ შემთხვევისათვის, თუ იქ აღარ ვიქნებით, მოვ-
 ცემთ და გავაგებინებთ, სადაც ვიქნებით.
 ერთმანეთს დაეშორდით.

სივსტიმ იარალი შემოიხსნა, რეკოლვერი ჩაიღვა ჯიბეში და თავქვე და-
 ეშვა. ჩვენ ისევ აღმართს მივეციით თავი.

— რაღა წავიდა წუხანდელი საქმე, იკითხა ბესარიონმა.

— ვერ წავიდა ჩვენ რომ გვინდოდა ისე. ის სულ-ძალი მანც ვერ ჩვეი-
 გდეთ ზელში, მთლად გადმოვანგრეთ ყველაფერი, მაგრამ ვერ წავადექით თა-
 ვზე.

— იმის რა ქენით?

— იმის ისე ვქენით, როგორც უნდა გვექნა.

— მაინც?

— მივიდეთ თავის ადგილას და იქ ვილაპარაკოთ, რა დროის მაგია ამ
 შუა-გზაზე!

თავშესაფარს რომ დაუხლოვდით, ზურამ თოფი ჩამოუშვა, მხარზე გადა-
 იკიდა და უკლო სიფრთხილეს.

— მივედით, მოთხრა მან. ისეთს ალაგზე ვართ, რომ აქ მთელი პოლკი
 სალდათი ვერ შემოგვბედავს, კიდევაც რომ მოგვაკლიონ. მაინც ვერაფერს
 დაგვაკლებენ.

— დიდი ხანია აქა ხართ? შევეკითხე მე.

— ებ, ჩემო ალექსი, ჩვენს ამბავს ნულარ იკითხავ, რაც ჩვენ ვაპირებთ
 გამოვიართ, რაც ჩვენ უბედურება გადაგვბდა თავზე! ეხლა კიდევ რა გვიკირს.
 მაგრამ ამ ზამთარში დაეწყდით პირდაპირ. აწი რაღა გვიკირს! ტყე ნეშოს
 გამოიღებს, ხე შეიფოთლებს, სითბო დადგება. შენ ის თქვი, რაც აქამდე და-
 გვემართა, თვარა ეხლა საშოთხეა!

რაზმელების ბანაკი, მართლაც, მიუვალ ადგილასაა მოწყობილი. ტყით
 შემოსილ ფერდობს, თითქოს განგებ შემოუნახავს ეს ერთი ვიწრო ნაპრალი,
 რომელიც ყოველ მხრივ დაფარულია ისეთი ტყით, რომ ადამიანის ფეხი მას ჯერ,
 იქნება, არც კი დაჰკარებია.

— ჩვენ აქ მხოლოდ დამეს ვითვით, იქ კი, მიმითითა მთის კენწეროზე,
 იქ მუდამ გამოუღველათ გვყავს დარაჯები დაყენებული, თუ რაღე შეაჩნია,
 ერთი დაფშტეენის მეტი არაფერი უნდა, მაშინათვე იქ ავალთ, იქ კი რწყილს
 არ აუშვებთ. ისე გვაქს იქაურობა გამაგრებული.

ბინაზე ჩავედით.

— ოტია სად არის? იკითხა ზურამ.

— სადარაჯოზე ავიდა მალა, მიუგო ცუცხლის პირათ მჯდომმა რაზმელმა,
 რომელსაც ორივე ხელი ტანისამოსის შიგნით შეეყო და გუნებიერად იქმე-
 შოდა.

— ნიშანია რამე, თუ?

— არაფერი არ უნდა იყოს, ისე წავიდა.



- სხვები სად არიან?
- სხვებიც აგერ არიან, ზოგს ძინავს, ზოგი წყალის მოსვენებას უყვარს, ორი ბიჭი გუშინ გაგზავნა ოტიამ, ჯერ არ დაბრუნებულან.
- შენ რას შევები?
- მე რას ვიზამ, მაციებს ყოველ დღევათმომეხებით, გუშინ არ გაუცივე-ბია, დღეს გამაცივებს სადაცაა, მაგანაც თაეისი ალო იცის...
- ზარასპი, მაგ ყველაფერი კარგი, მაგრამ, თუ რამე გეგულებია, იქნება, მოგეცი საქმელი, თორემ ჩვენს უცოდველესი ძალი არაა, იგერ შემოგვადამდა და ჩვენს პირში ნერწყვის მეტი არაფერი ჩასულა. ზარასპი გამოქვაბულისაკენ წავიდა, გამოიტანა იქედან გულა.
- მარჯვეთ ყოვლხართ, შეებურა ზურა, გულა გამოართვა და ნელ-ნელე ამოაღა იქიდან ჯერ ორი-სამი თორნული, მერე ერთი წველა ყველი.
- ლენის ხომ არაფერი კყავა თქვენს ნიადაგზე? კითხა მან ისევე ზარასპის.
- არა, ძმაო, ლენის ამბავი, ხომ იცი, ოტიასთან ლენის გამხელა არ შეიძლება.
- იქნება ოტკა მაინც იყოს სადმე?
- ოტკა კი არის იმ კუთხეში, მე ნულარ ამაყენებ, თუ ძმა ხარ, შემაცი-ვა და მთლად რომ შევძერე ამ ცეცხლში, მაინც ვეღარ გავთბებოტკვა, ასე მგონია.
- კარგი, მე ენახავ, მოუგო ზურამ.
- პატარა ტიკპორაშია, იმ გვერდზეა ნაბდებთან. კანწი ქე იცი, სადაც უმალ იყო, იქავე არის დაკიდებულა... დააწია ზარასპიმ.
- დაენაყრდით, არაყი დავლიეთ, ფეხსაცმელები გავიძვრეთ და ცეცხლს მივე-ფიცებთ.
- აქ დარდი ნუ გაქვს, იქედან თუ არაფერი ნიშანი არ მოგეცეს, აღ-ხეინად შეგვიძლია მოსვენება.
- ზარასპის ძიკძივი დაწყებინა. ზურამ ურჩია დაწოლილიყო, ისიც სიტყვის უთქმელად, თითქოს ამ თქმას უცდიდაო წავიდა გამოქვაბულისაკენ, გამოიღო ნაბადი, გამოეხვია შიგ და მიწყა.
- აბა ახლა მაინც მომიყევით თქვენს ამბავს, ვუთხარი ზურას, როცა ცოტათი შიმშილი მოვიკალი.
- ჩენი ამბავი რა საკითხავია, როგორც დავგტოვე ისე ვართ, დავრბი-ვართ ამ ტყესა და ღრეში, დავედევნ ბრაზიანი ძალებივით და, თუ სადმე მოგვისწრეს, არ დავგინდობენ.
- წუხანდელი ამბავი რა იყო, გამაგებინე!
- წუხანდელი ამბავი რა იყო, და ცოტაოდენი ფული გვინდოდა გვემოვა. სულ ასე ტყეში ხომ ვერ ვეყრებით, თუ ფული გვექნება გავალთ სადმე. ქვა-ყანა დიდია, სხვა ქვეყანაში სადმე გადავალთ და იქ იცხოვრებს აღმიანი. მერე ტანს ჩვენ აღარ გვაცვია და ფეხს. დეიხოცა ხალხი ამდენი თრევითა და ზეტი-ალით.

— ეს ზარასკი და ეს ახალი რომ შემოგმატებიათ, ესენი ვინ არიან?

— ეს ქართლიდან გადმოსული რაზმელებია, აქეთ ჩვენ ჩვენი უფლებებისათვის ვართ, ზოგი აქეთ გადმოვიდა, იქეთ რომ გაუჭირდათ თავი, შენაშენებელი კი სხვადასხვა ადგილას ვართ დაფანტული. ერთი წყება გაღმისკენ არიან, იქ მარტო აქაურები არიან. ერთი წყება კიდევ უფრო მოშორებით არიან—აი იმ ადგილებში, შენდა ცაცა რომ იყავით, მარტო ერთ რომელიმე ალაგას ძნელია თავის შენახვა და საზიფათოცაა. ჩვენ ერთმანეთში კავშირი გვაქვს გაბმული. არიან საიმედო გლეხები, მიდიან, მოდიან ამბები მოიქვით, მოაქვით, მერე ოტიაც დაიარება; თვეს ისე არ გაუშვებს, რომ ყველა ადგილები არ შემოიაროს სათითაოდ. ხომ იცი, ბიჭებს უჭირთ და ზოგიერთები ხელს გადაჰყვან, გამოგვერია ისეთი წუნქალი თითო-ორთლა, რომ სოფელს დაუწყო შეწუხება. ჩვენ იმას ჩვენით ვასამართლებთ.

— წამოიღეთ წუხელი მაინც რამე?

— კი, ბლომათ უნდა ყოფილიყო, ისეთი ცნობა გეჭონდა მოცემული, მაგრამ ჩვენ იქ მეორე საქმე გეჭონდა გასაკეთებელი, ის რომ ისე დაგვრჩა, ეს თქვეი შენ... პრისტავე გვინდოდა ჩაგვეგდო ხელში. ვაი, გვენახა, იმას იქ კი არ მოკლავდით, გადაწყვეტილი გეჭონდა, აქ ამოგვეყვანა და აქ მოვხდით ჩვენ იმას სასჯელს ისეთს, რომლის ღირსიცაა.

ზურას ჩემი ამბავი ბინტურესებს, გამოშვითა ყველაფერი დაწერილებით, მოუწყვი, ისიც ვუთხარი, თუ საით მივიდოდი ამ მატარებლით.

— რაეა, არის კიდევ იმედი, რომ მაგ საქმე გამობრუნდება? მკითხა მან გაკვირებით და ეჭვიანი კილოთი.

— რატომაც არა, რა დღეშლის? განა ბრძოლა შენ წაგებულად მიგანია?

— მიმანია რას ჰქვია, წაგებული რომ არ იყოს, აქ ამ ტყეში რა გვინდა, ნადირივით რომ დავბრუნდეთ...

— მერე, მაგ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საბოლოოთ დავმარცხდით? ჩვენ ყოველ დღე ძალა გვემატება, თვითმპყრობელობას კი აკლდება. მოვა დრო, ჩვენ კვლავ შევებებით ერთმანეთს, შეიძლება ჩვენ ერთხელ და ორჯერაც კიდევ დავმარცხდეთ, მაგრამ საბოლოოთ გამარჯვება მაინც ჩვენია.

— კი, მაგრამ ამდენ ბრძოლას, რამდენი ხალხი უნდა, ვინ გაუძლებს ამას, ვინ მოესწრება?

— ჩვენ არ მოვესწრებით, სხვა მოესწრება.

— შე მინდოდა, ბეჩა, ალექსი, ჩემი თვალთ მენახა ყველაფერი, თვარა ჩემს შემდეგ, რა მოხდება, იმისას მე ვინ რას გამაგებინებს.

— ბრძოლამ ასე იცის, ერთი მოკვდება, მეორე დარჩება, ჩვენს ალაგს სხვა დაიჭერს და ის განაგრძობს ჩვენს დაწყებულ საქმეს.

— მაგას ყველაფერს კარგს ამბობ, მაგრამ ეს ნასწავლი ხალხი რომ იყო, ხომ ბევრი იყო ამ საქმეში, ეხლა სად არიან ისინი?

— რომელი ნასწავლი ხალხი?

— აი სოფლა-სოფლა რომ დაიარებოდნენ და ქადაგობდნენ, ესლა რატომ აღარაინ აღარ ეკარება ამ საქმეს??

მენიშნა ზურას ნათქვამი, განა, მართლაც კოტამ იბრუნენ კარგად? კოტა მიდგა გვერდზე? აკი სიმონი არ იყო, აგერ ამ რამოდენამე დღის წინად, რომ მელაპარაკებოდა ქალაქში.

— „ჩვენმა საქმემ რამოდენიმე წლით მიიძინა და ამ ხნის განმავლობაში კოლ-შვილის მოკიდება და თავის მოფარება სჯობიაო“. მერე სიმონა ზომ არაა არც პირველი, არც უკანასკნელი?

— რა ვუყოთ ჩემო ზურა, ზოგი დაინებებს თავს, ზოგი არ დაინებებს, ეს იდამიანზე არის დამოკიდებული. ბრძოლა თვითმპყრობელობასთან ძნელი საქმეა, ყველას არ შესწევს გამძლეობა, რომ ყოველგვარი გაქირვება იტანოს. დიდ ხანს ვილაპარაკეთ.

— მართალი ხარ, მართალს ამბობ, მითხრა ბოლოს ზურამ. ეს ბრძოლა, მართლაც რომ წელში გამტეხი რამე ყოფილა. მე ამას წინად ერთ ამბავს შევესწარი, მის შემდეგ, მივირს, რატომ არ შევიშალე. აგერ ორი თვის წინ მოხდა ეს ამბავი. ჩვენ მაშინ აქ როდი ვყოფილვართ, ესე იგი ერთი წყება ამ-ხანაგები ქე იყვენ აქ, მიგრამ მე და ოტია ქვევით წავედით. ერთი საქმე გვექონდა გასაკეთებელი. ოტიას ამბავი შენ კარგიდ იცი, იმას ვაგლახად ხელს ვერაინ მოჰკიდებს, ჩემი კი რა ვითხრა, სროლა და გაბედვა მეც შემარჯვება.

ახლა არ იკითხავ, რაზე ვიყავით? ამბავი ამოგეიტანეს, რომ სოფლის ხალხი ნამეტნავათ შეწუხებულია. სოფელში დაცემა და ყაჩაღობა გახშირდა და ამ საქმეს რაზმელებს აბრალებნო. ოტიას ექვი შეეპარა, მართლა, იქნებ, ჩვენს ბიჭებში გაბრიყვდა ვინმე და, ვაი-თუ, ვინმე მართლა გადაცდა გზასო.

წავიდა, მე წამიყოლია და წავედით.

მოვინახულეთ ჩვენი ბიჭები, არ შეგვამოს კირმა, თურმე, რაზმელები კი არ შევბიან ამ საქმეს, სოფლის ქურდები და ბაცაცები დარევიან ისევ თავისი-ანებში და, თუ ვინმეს ორიოდ გროში შეაგულეს, მაშინათვე დაეცემიან და ააწიოცენ. ერთი, სულა კოდელო, ქე იყო მართლა რაზმელად ნამყოფი ბიჭი, მაგრამ ის მაშინათვე ჩამოვიცილეთ თავიდან. იარაღი ჩვენეე ჩამოვართვით. თურმე, ის მეთაურობს ამ საქმეს. ვისაც არ დაეცემიან, ეს წუნკლები, ყველგან იმას ლაპარაკობენ:

— „ჩვენ რაზმელები ვართ, ოტიამ გამოგვაგზავნა, და ვაი თქვენი ბრალი, თუ პოლიციისათვის გაგვიხელია რამეო!

ეს ყველაფერი გავიგეთ და ეხლა ჩვენ ამ ჯიბგირ-ოხრების ამოკრეფა გვინდა სოფლიდან, რომ ჩვენი ხელით მოვესპოთ მათ სიცოცხლე. მერე არ იკითხავ, რა დროა, პოლიცია, ჯარი, სტრატეგიები ბუზებივით ირევიან სოფ-ლებში.

ზგონია ისიც გაიგეს, რომ ჩვენ ჩამოვედით და ერთი ორათ უფრო მოუ-კირეს სოფელს ხელი. ერთიც ვნახათ, ჩვენ რომ აგერ ამ სოფელში ვართ და გადაღმა სერზე ნახევარი ვერსის მოშორებით მეორე სოფელია, ერთი უცბათ

ამ გადაღმა სოფელში საშინელი სროლა და უბედურება არ ატყდა! ჩვენ/ტყეში ვართ მოფარებულნი. ადგილობრივი რაზმელები გვყავს კიდევ, ერთდღე ერთიოდნე ბიჭი. ვატყობთ, რომ რალაც ამბავია, მაგრამ არ გინდა გვივლოთ? შუალამე გადასული იყო სროლა რომ შეწყნარდა. ოტიას გულმა აღარ მოუთმინა. ბიჭები იქ დატოვა და დაბრუნდა:

— „თუ რომ ასეთი და ასეთი ნიშანი მოგვკეთ, გამოჩნდით და დამეხმარეთ, თორემ და აქ იყავითო. მოვისხით ნაბადი მე და იმან, უმთავრო ღამე იყო და ფეხბაკრეთით გავეყვით სოფლის ორლობებს. მივდივართ იქითკენ, სადაც სროლის ხმა ისმის. ვხედავთ მთელი სოფლის ხალხს ერთ ეზოში მოწყობილი თავი. უზარო ტირილით რომ იტყვიან, ისეთი ამბავია. ჩვენც ამ ხალხში შევევრეთ. ხალხი შედის სახლში და გამოცის. არის ისეთი საშინელი ამბავი, რომ მისი აწერა შეუძლებელია. წინ ოტია მიდის. ერიდება, არაფერს შეიცნოს, უკან მე მივყავი. შეველით სახლში. კარები, ფანჯრები მთლად ჩალეწილია. კარგი ოდა სახლია, კედლები სულ დაცხრილულია ტყვიით. თურმე, ნუ იტყვი, ვიღაც ღვთის პირიდან გადავარდნილს პრისტავისათვის უთხოვობია:

— „ამ და ამ სახლში ოტია არის თავის რაზმელებითო, ისიც მისულა, მიუყვანია ჯარი და დაუწყიათ სროლა. სახლში, თურმე, მარტო ერთი მოხუცი იყო, და მისი დაოჯახებული შვილის ცოლი და ბავშვები. ისე ამოუწყვეტიათ ამ ურჯულოებს მთელი ეს ოჯახი, რომ არც ერთი აღარ გადაარჩენილა, არც დიდი არც პატარა. ყველა იქვე ყრია. მარა საცოდაობა ის იყო რომ დედას აკნინა ბავში რომ ჰყოლია, აუღია ამ გამწარებულ ქალს და ზედ გადაფარება აკვანს. დედა ქე მოუკლავთ, ბავშს კი ტყვია აცდენია. ჩვენ რომ შევედით, ის ბავში პირდაპირ მუცელზე იხეოდა ტირილით, დედა ზედ დაკვდომია ამ აკვანს. თვალეში დამბინდდა ეს რომ ვნახე. მოხუცს რამოდენიმე ალაგს ჰქონდა ტყვია მოხვედრილი, მარა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, სულთმობსავი, ხროტინობდა.

გამოებრუნდით იქედან. აღბათ კიდევაც გვიცნო ვიღაც-ვიღაცეებმა, შეიქნა ფუზუნნი. ჩვენ ყურადღება აღარ მიგვიტყვევია არაფრისათვის. ჩამოვედით ჩვენ ბიჭებთან. ოტია ისეთია, რომ დანა კბილს არ უხსნის.

— მე იმისთანა საქმეზე მივდივარ ამდღამო, გვიტხრა ბოლოს ოტიამ, რომ მობრუნების იმედი არა მაქვსო. დაგეაროვა, მე თუ რამე გამიკირდეს, ასე და ასე მოიქცეითო და თვითონ დააპირა წასვლა. ჩვენ, ბავშვები რომ დედას შემოვხვევა, ისე შემოვხვევით, არც ერთს არ გვინდა რომ დავარჩეთ, ყველა მივყავით. ოტია თავს იკლავს, არ შეება. არ მოვეშვით, სანამ სამი ბიჭი არ წავიყვალა; სამი ჩვენ და მეოთხე ოტია თვითონ. შევევქით ცხენებზე და უნდა დავედევნათ წასულ ჯარსა და პრისტავს.

არის იქ ერთი მოკრით მოსავლელი გზა, შემდეგ ერთი ყელია, თუ იქ ჩავასწართ, ერთს არ გავუშვებთ ცოცხალს. აღბათ, ამის მთქმელიც თუ გამოჩნდა ვინმე—არ ვიცი, იქნებ კვალში გამოგვეყვა ვინმე, მაგრამ საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. ჩვენ ისევ იქ ვიყავით, რომ დაგვესხენ თავზე.

— „აბა, ბიჭებო, მგონია, ალარც მგზავრობა დაგვიკრიდეს, ჩვენ იმათ უნდა დაედევნებოდით და ისინი თვითონ მოვიდნენ ჩვენთანაო. კაცებიც უნდა იყოს. საუარები კარგი გექონდა, სროლაში ისინი ჩვენ რას გვაჯობებდნენ? მამებმა ერთობ ბევრი მოვიდა ის ურჯულოები. ხალხს, ზომ იცი, ისინი არაფერად ზოგავენ. ბევრი გააფუჭა ჩვენმა გასროლილმა ტყვიამ, ოტიას თოფი კი უკავია ხელში, მაგრამ თითქმის არ გაუსვრია. შევატყვე, ის მხოლოდ პრისტაეის დანახვას ცდილობდა. უკვე რიერაი იყო, ილბად ნაბადში იყო, როგორც უბრალო სტრატეგიკი გამობვეული, მაგრამ ამ დროს ოტიას, ეხედავ, სახე გაუბრწყინდა, დიუნახავს თურმე იმ სალდათების აფიკერი.

— „ზურა, ნითხრა მაშინ, ბიჭო, შენ ჩემზე უკეთესი სროლა იცი. მინდა იმ, თეთრი რომ აცვია, იმას ვრეხვო შუბლში. დაუმიზნე შენც, მე ვესვრი და, თუ ვინიცობაა, აფაცილო, შენ მაინც ნულა გაუშვებ მოუკლავსო. დაუმიზნა, ესროლა. იქვე ჩაიკეცა. მე ალარ დამპირებია იმაზე მეორე ტყვიის დახარჯვა.

სროლამ ისე გაგვიყოლია, რომ ვერც კი შევატყვეთ, თურმე—იმ ურჯულოებს თავი არ მოუვლიათ ჩვენთვის. მოგვიმწყვდიეს რკალში. შევატყვეთ, რომ საქმე გლახათ იყო. მთელი ნახევარი დღე სროლა გექონდა, სამი ბიჭი მოგვიკლეს, დანარჩენებმა გამოვარდვიეთ წრე და გამოუვდით სამშვიდობოზე.

სროლა და ბრძოლა არაფერია, როცა შენც იარაღი გაქვს ხელში, შეგიძლია პასუხის გაცემა, მაშინ ადამიანი შესაბრალისი არ არის. ან შენ მოკლავ, ან ის მოგკლავს, მაგრამ იმ საშინელ ამბავს რომ გავიხსენებ, ერთნატილი დამივლის ხოლმე ტანში. დედა, რომ ტყვიებით იყო დახვრეტილი და ბავში კი აკვანში სხრიაპობდა.

გადაწყვეტილი შაქვს მასტყან, სანამ იმ პრისტაეს საიქიოს არ გავისტუმრებ, ისე ჩემი მოსვენება არ იქნება.

— შიტომ ეძებდით წუხელი იმას ისე გულმოდგინეთ?

— ეძებდით და გითქვამს, სამარეში ჩაეყვები, თუ თავისი დღით მოკვდა; საფლავიდან ამოვიღებ და ძაღლებს გადალყრი მის ძელებს, ამბობს ზურა. ამბობს ამას უბრალოთ. მის ლაპარაკში არ არის არც თავის მოწონება, არც დაკვივნა.

— კი, მართალი ხარ, ზურა, ის პრისტაეი საძაგელი ვინმეა, მისი მოკვლა არავისათვის არ იქნება საწყენი, მაგრამ, არ ღირს, დამიჯერე, იმის მოკვლისათვის თავის განწირვა. მეუფის მთავრობას მაგისტანა ოხრები ბევრი ჰყავს და ბევრი ეყოლება. მაგის მზგავსი ხალხის დახოცვით ჩვენ ჩვენს მიზანს ვერ მივალწევთ.

— მაგას როდი გედავები, ამ ჩემს გულს ხომ მოვიფხან და იმის მეტს მე არაფერს დაეძებ...
ამასობაში რამოდენიმე რაზმელი შემოემატა ჩვენს ბანაკს. მე არც ერთს მათგანს არ ვიცნობ.

— ზურა, ოტიამ შემოგითვალა, მე ამაღამ ბანაკში ვერ ჩამოვალ, შენ თავდარიგი გეპიროსო, უთხრა ერთმა ახლად მოსულთაგანმა.

— კეთილი ლეკსოჯანი! ხომ არ იცი, სად წაივია?

— არც კი ვიცი წავიდა, თუ არა, ოღონდ ჩვენ ამ სიტყვით გამოგვი-სტუმრა. ეხლა ლამეა, დილით კი უთენია გამოგზავნე სადარჯულზე ბეჭეტიო.

მოსულები იქვე გამოქვამულთან მიწვენ, ზურა ადგა და საფლავს მოუყვარა. მოსული რაზმელები ნაბადში გახვეული, შორიდან ისე მოსჩანს, თითქოს ორი ცეცხლის ალით შელანჯული ხის მორები ჰყრია.

— ილო, ბიჭო, რა კარგია ეხლა ის, შენ რომ იცი, შე პირ-ძაღლო შენა!!!

— ვა დედასა, ლექსოჯან, რომ კარგია, მაგრამ ჩვენ ვინ მოგვაშავა. ჩემი ქალი იქნებ ვინ იცის, ვის უგორავს საბანს ქვეშ.

— შენ ქალს, ბიჭო, ჩვენებიანთ ხუცესის ფოფოღია არა სჯობს, ისე გარ-გვაღებულა, როგორც ნასუქა დეკეული.

— ოღონდაც რომ სჯობია, მერე მე რაო.

— ისაო, რომ, თუ ინატრებ, კარგი მაინც უნდა ინატრო შეილოსა.

— ნატერას, ძმობილო, რა ჭეუა აქვს, შენ ისეთი რამ ინატრე, რომ ხელში მოგყვეს, თორემ ცაში რომ წერო მიფრინაედეს, ჩემს ქუქს იმითი რა ქონი მიეკვრება?

პატარა ხანს გაუჭებული იყვენ, შემდეგ ილომ ისე დაიწყო.

— ეპ ვერანა, რა კარგი ამინდი დგება, ეხლა ჩვენი გლეხისათვის ერთი ვაჭ-კაცი მუშა ერთ რამეთა ღირს, ჩვენ კი აქა ვართ, ტყეში. ვაპ, ერთი ჩემი ნიშა ხარო მომცა აქა!!

— შე ოხერო შენა, აქ ხარო რათ გინდა. ამ ტყეს ხომ არ მოხნაე?

— მეც აკი ვთქვი, რალა, ენამ მოიტანა, აქ კი რათ მინდა, ნეტავი მე იქ მწაა!!

— მერე რაო, წადი და ის იქნება!

— სად წაიღე?

— სოფელში!

— წაიღე, რაეა იქ შაქრუინულს მაქმევენ? შენ გგონია იმ ტრაქინიკების ამოხოცვის ფასად არ დაგისვამენ, თუ?

— თუ დაგისვამენ და რაღას კრუსუნობ, შე ოხერო შენა!

— აკი არა ვკრუსუნობ, მარა ხელის გულები მეჭაფება, მუშაობა მინდა. აქ კი ამ ტყეში ისე ვართ ტყულა გაჩერებული ეს საღ-საღამათი ვაჭაკები და...

მეც მიეწევი, მაგრამ ღამის სიგრილე ისეთი მწვავეთ იკბინებოდა, რომ ძილის ნებას არ მაძლევდა. ცეცხლს ფიჩხები შევუმატე და იქვე ხის კუნძზე მიგ-დევი თავი.

ზურამ გამომაღვიძა.

— ოტია ვნახე—მითხრა მან—ძალიან გაეზარდა შენი მოსვლა. დამიბარა, ამაღამვე გადმომგვარე, თუ ძალიან დაღალული არ არისო.

— მისი ნახვა მეც ძალიან მინდა, მაგრამ სად არის, რომ არ ვიცი!

— აგერ ჩვენ ილო ბიჭსა გაგაყოლებ, აქ რამოდენიმე ვერსის მანძილზე კიდევ გვაქვს მეორე თავშესაფარებელი ალაგი, იქ არის, თუ არ გეზარება, ილო გაგყვება და ნახავ. დავეთანხმე. ილოს არაფრად ესიაზოვნა ძილის გატება, მა-გრამ მაინც ადგა.

— წესიერი ადამიანი ამ დროს ლოგინში უნდა იწვევს და ახალგაზრდა ცოლს უნდა ეხვეოდეს, ჩვენ კი ამ ვერანა ტყეში დაეხეტიალებს. ^{იქნებ} ^{სხუ-} ^{რობს,} მგონი კი ნამდვილათ უთელის ვილაცის სამდურავს ილღო, რომელსაც რაც მართალია-მართალი ულოგინოთაც კარგათ ეძინა ამ ტყის წიაღში.

— ოი, შე ტმტია, შენ, სულ მაგრე რომ კუკუენობ, შეუტია ხუმრობითვე ზურამ.

— ტმტია, თორემ იმერლები გვეჯობნიან ბიჭობაში, აი!

— ბიჭო, მაგდენს ნუ ლაპარაკობ, თორემ ღმერთი გიწყენს, არ ეშეება ზურამ.

— ღმერთი, მე ჩემო ზურამაშინ გამიწყრა, იმერელ ხოხონიკებს რომ აყევი, სიტყვას არ აწევს ილო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

თ ე ლ*)

XV

საშუალო მინისტრათ ექიმი დანიშნეს და ოფიცრები შეურაცყოფილად გრძობდნენ თავს.

ეს ვასაკვირიც არ იყო, რადგან ისინი მეფის სამსახურში ნამყოფნი იყვნენ და ამპარტავენება ჯერ კიდევ არ ქონდათ მოშლილი.

საერთოდ ჯარს არ ექცეოდა დიდი ყურადღება.

მთავრობას საიმედო ძალათ გვარდია მიაჩნდა და მისთვის არაფერს შურავდა. იმ გაჭირვებულ დროში გვარდიელებს მშვენივრად ეცვათ, სურსათს თავზე საყრელად ეშოვებოდათ და ჯამაგირებიც იმდენი ეძლეოდათ, რომ ოჯახები უზრუნველი ყოლოდათ.

ამიტომ გვარდიელები აჯანყებულ გლეხებთან ბრძოლაში სიმამაცეს იჩენდნენ და არც დროსტარების შინა აკლდათ.

სამაგიტროდ ჯარი მოუვლელი იყო და ბრბოს გავდა.

ჯარისკაცებს ხორცი უჩანდათ ჩურებში და „ბორში“ ენატრებოდათ.

აღლუმზე, რომელიც ხშირ მოვლენას წარმოადგენდა მაშინ, თუ ჩააცმულდნენ ხერიდან სამოსს, რასაც ყაზარმაში დაბრუნებისას ისევ ხდიდნენ და საწყობებში ინახავდნენ.

მეორე აღლუმისათვის ტანისამოსს სათვალავში აკლდებოდა, რადგან ქურდობა სასირცხოთ აღარ ითვლებოდა და თანამდებობის კაცებს უსჯარდათ კარგათ ცხოვრება.

ამავე კეთილათ ცხოვრების სურვილს უნდა მიეწეროს ის გარემოებაც რომ თანხები ხაზინიდან რამდენიმე ათეული ითასი ჯარისკაცის შესანახათ გადიოდა, ხოლო ნამდვილად ჯარი შეტად მცირე რიცხვისაგან შესდგებოდა.

კავალერიას არ თვლიდნენ საჭიროთ და ცხენებით მარტო გვარდიის შტაბის წევრები დადიოდნენ.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკა მაინც არსებობდა და მენშევიკები „საქართველოს დამოუკიდებლობას“ გაათურებით იცავდნენ ტრიბუნიდან.

მართალია, ერთ დროს „ავტონომია“ კირივით სძულდათ და ამ სიტყვის ხსენებისათვის ბევრი ნაციონალისტისტი ჩაუქოლავთ, მაგრამ ეს იყო წინათ.

*) დასასრული, იხ. მნათობი, № 10.

ფურ. „მნათობი“ № 11—12.

ეხლა საქართველოს სიყვარულში არაეის უღებდნენ წილს და სოციალისტური იდეები, თუ მუშეთა საკითხები იმდენათ აინტერესებდათ, რამდენათაც ეს საქიროებას წარმოადგენდა იმისათვის, რომ სხვა ლეგალურ პარტიები-საგან განსხვავებულათ ეგრძნოთ თავი.

ყველა ეს და კიდევ სხვა მრავალი შეცდომა ბოლოს წინ დაუხვდათ, მაგრამ გვიანდა იყო თითოეუ კბენანი.

აგრეთვე მეტად შემცდარი გამოდგა თელსაზრისი: არც მარცხნივ, არც მარჯვნივ, რადგან შუა გზა მალე დამოკლდა და დაილია.

და როცა ორწოხებს მიადგნენ, თებერვალი ბერავდა.

მარჯვნივ მოსახვევს იქით ზღვა იყო და მარცხნივ ბოლშევიკები.

გული ზღვისაკენ იწვევდა და ვიდრე უცხო ქვეყნებს ნახავდნენ, გადასწყვიტეს ბედი ეცადათ.

ბევრჯერ არ გაუზომავთ, თუმცა პარტიაში ნოქრები ავანგარდათ ითვლებოდა, ისე შეუღდნენ თავდარიგს.

პირველ ყოვლისა საპროტესტო მიტინგები მოაწყვეს.

მიტინგები მაინცდამაინც არ იყო მასიური, მაგრამ სამაგიეროთ ორატორების ქადილი შორს ისმოდა,

გვარდიამ ვერ გააპართლა იმედი და შეშინებულმა ბურჟუებმა დაიწყეს ჯარისათვის ტანისამოსის და სანოვავის უხვათ შეგროვება, რომ ჯარისკაცებს ბოლშევიკები არ შემოეშვათ.

მაგამ ბოლშევიკები მაინც შეშოვიდნენ.

ვორც კვინიტაქემ უშველა საქმეს და მთავრობა გაიქცა.

სხვადასხვა პარტიის ლიდერები, ბურჟუები და ბოლშევიკების „ველურობით“ დამურთხალი მოქალაქეებიც გაიხიზნენ.

უკანასკნელი დამე თბილისში მთვარიანი იყო და მშრალათ თოვდა.

შეშინებულ თეოს ენანებოდა თბილისი და უფრო თავის თავი.

ამიტომ როცა ლტოლვილებით საესე ვაგონში შევიდა, მეორეთ დაბადება იგრძნო, თუმცა არ გახარებია.

თეო დაქანცული იყო და ფიქრის ძალა აღარ ჰქონდა.

არც შეიძლებოდა, რადგან როგორც ვაგონებში, ისე სადგურში საშინელი ზმაური იდგა. ბავშვები ცივი ხმით ჰკიოდნენ, ხოლო გზაბნეული ქალი და კაცი ფრთიშეორეს აჯირგალებდა.

მატარებელი ზანტად დაიძრა და თანდათან უკან რჩებოდა თბილისი.

მატარებლის ბორბლები რალაც უცნაურათ ხმაურობდნენ, რაც თეოს წინათ არ შეუმჩნევია.

მათ დგანდვარში თეომ ნაცნობი სახელი გაიგონა და შეკრთა.

ბორბლები თანდათან მკაფიოდ გამოსთქვამდნენ:

— მირზა. მირზა.

თეო ცახცახმა იტანა.

ბორბლები კვლავ მწყობრათ ხმაურობდნენ.

— მირზა. მირზა. მირზამ გაიმარჯვა.

თეომ ყურებში თითები დაიცო და მამას გულზე მიეცრუნო.

ყაფლანი გაქვავებული იღვა და არც კი შენძრეულა.

თეომ იგრძნო, რომ მამამისი უძლური იყო, რომ ყაფლანს მარტო შეეკლო მირზასათვის თავხედობა შეენანებია და გასწორდა.

— მე გვეცემ პასუხს.

გაიფიქრა თეომ და შური თ იეისო.

— მირზა ძლიერი ია. მირზასთანა მრავალია...

იმეორებდნენ ბორბლები და თეო კვლავ ღუნდებოდა.

მატარებელს მცხეთაში დაათენდა, ყაფლანმა და თეომ დასაჯდომი ადგილი იშოვეს. უკვე შუადღე დადგა და მატარებელი არ იძროდა—ლტოლვილებსათვის გზას არ ეცალა.

ჯერ საბარგო და მთავრობის საგანგებო მატარებლებს უშვებდნენ ერთ-მეორეზე მიყოლებით.

საბარგო მატარებლის ფაგონებში თავებამდე ელაგა თეთრი ფქვილის ტომრები, ძვირფასი ნივთები, კონსერვები, შაქარი და ბევრი ისეთი რამე, რაც თბილისში უმრავლესობისათვის მიუწვდომი იყო.

ყაფლანს ფანჯარაშიაც არ გადუხედავს.

მარტო თეომ გაბედა რამდენჯერმე გარეთ გასულა.

მცხეთის მიდამოები საეყ იყო გვარდიელებით და ჯარისკაცებით, რომლებიც ყოველ მიმავალ მატარებელს ფუტკრებივით ესეოდენ და პირიქითურები თან მიყეებოდენ.

ზოგიერთები ქვეითად მიიჩქაროდენ და მახლობელ ბილიკებზე თოული გამდნარიყო.

ტყუილი განოდგა თბილისში დარბეული ხმები მცხეთამდე სტრატეგიულად დახვეის შესახებ.

ის რაც თეომ ნახა, სრულებით არ გავდა ომისათვის ახალ სამზადისს.

ლტოლვილების მატარებელმა, როგორც იქნა საღამოს აიდგა ფეხი.

ყაფლანი და თეო რამდენიმე დღე დარჩნენ სოფელში.

სახლში არაეინ დახედათ. დამწყვდეული საქონელი შიმშილისა და წყურვილისაგან ძირს ეფინა. ძროხებს ჯიქნები გაქვავებოდათ და საცოდავად ბლოდნენ, ხოლო შწევარ-მეძებრები წკაოდნენ და შვეარდენი გაფრენილიყო.

თეომ მარტო ის მოახერხა, რომ საქონელი გამოუშვა და ეზოს გადაღმა გადარეკა. შემდეგ ძაღლებს გაულო სამწყდური, ცხენებს დიდი გაჭირვებით ბზე დაუყარა და წყალი დააღეცინა.

ყაფლანი ხშირად აკითხავდა ხაშურს, მაგრამ ყოველთვის უხალისოთ ბრუნდებოდა. ერთ დღეს გიყვივით მოაგელვა ცხენი—სასწრაფოთ აკიდა თეოს ცხენსაც ძვირფასი და აუცილებელი ნივთები, შემდეგ სახლი, მარანი, საჯალაბო სადგომი, საჯინბოც დაკეტა და თეოსთან ერთად დასტოვა ფუქე.

იმ ღამეს მთავრობა წიფის გვირაბში ჯავიდა.

XVI



ზამთარი გათავდა.

ბარში უკვე სითბო იდგა და მთაზე თოვლი ღზევბოდ და
ამოხეთქილ ბალახს მიწა ზურმუხტად ექცია.

ბურქებთან იათა ჩითები ეფინა და ხეები იფოთლებოდა.

მზე ცხოველი იყო და საქმარშილო გოგოებს, რომ სითეთრე არ დაკარგოდათ, თითებზე წითული ძაფა შეებათ, ვარდებიან თავსაფრებით სახეებით დაეფარათ და ყმაწვილებს მალულ უცქეროდნენ.

ღია კარებიდან ქოცებში მზე უხვად შცდიოდა და ზამთარში დამდგარ შმორს აშრობდა.

ეზოებში ახალი ხბოები და უნიფხო ბაეშები დარბოდნენ, იქვე პატარა პალოებზე დაბმული კრუბების ირგვლივ ოქროსფერი წიწილები დარბოდნენ და ორღობებში კრულ გოქებიანი ღორები ღრუტუნებდნენ.

მოხუცებულნი მზის ყურეში ხარდნებს მახვავდნენ, ზოგი ვაზებს და ხეხილს სხლავდა, უფრო ჯანიანები მოსტნებს ბარადნენ, ხოლო ნეტუნებანდე დაკაპიწებული ქალები კვალებს აკეთებდნენ, რის დროსაც წელში წახროლებს თეძობი გაგანიერებოდათ, მზისაგან დანწეარ, საცხე თითისტარებოვით ნსხვილწვიეებს ზეით თეთრი ხორცი მოუწნდათ და ძეძუები კვახებოვით ეკიდათ.

ოჯახის ბურჯი მამაკაცები და ჯეელები ყანებში გუთნულს ერკვებოდნენ და ბელტი-ბელ უზე წვებოდა. ხნულებს მზე აცხუნებდა დანოყიერ მიწის ოხშივარი გუთნის დედას უნარს მატებდა.

მალე ატანილი სერელები, დაუხნაეი აღაგები და შარშან შემოდგომაზე ნათესი ჯეჯრელები ერთმანეთში ერია და მთელი ვაკე თვალწყედენ ზღაპრულ ხალიჩას გავდა.

მიწა ეხლა გლეხების იყო და მუშაობას მცტი ბარაჟა ჰქონდა.

ყველგან სიკოცხლე ჩქეუდა და ხალისი იფრქეეოდა.

ზაოტო ყოფილ გვარდიელებს, სოფლის გუშინხდელ მესვეურებს და ბოლშევიკების მოსელათ გუნება წამხდართ არ უხაროდათ მზე და გახაფხული.

არც ყაფლანს განუსდია ჩეეული აღფრთოვანება, როცა ვეგონიდან გადმოვიდა და სოფელს გახედა.

ყაფლანი თითქო იმ სოფელში კი არ მიდიოდა, რომელოც აღრე მას ეკუთვნოდა, სადაც მისი შიში და რიდი ქონდათ, სადაც იშვა და დაკაცდა, მოხუცდა კიდევ, სადაც მშობლების აკლდამები ეგულეებოდა, სადაც ემარხა ყაფლანის სიყვარული და სიამის ტყუბი თინათინი, არანედ მას ეგონა უცხო მხარეში მოხედა უნებურათ და ძალდატანებით.

ყაფლანი ეხლა უფრო ვიგანდარასავით გრძნობდა თავს, ვიდრე მაშინ, როცა ოცე წლის ქაბეკი რუსეთში პირველად ჩავიდა.

თეოც ფრთებ დაცენილი იყო.

სხვა დოოს გული წინ უსწრებდა, ახარებდა სადგურის წინ ჩამონწკრიეებულ აღვის ხეთა შრიალი და ღიხიდან დაქროლილი მორჩია, რომელიც კულულებს უწეწავდა. მაგრამ ამ ჟამად მისთვის აქაურობას დაკარგული ქონდა მიმზიდველობა.



მამა-შვილს არაეინ შეგვებია, არც არაეინ მისალმებიათ, *მყოფი მუწუწებით*. რატომღაც თვითონაც თვალს არიდებდენ ყველას. *მისაღობისა* მატარებლის წასვლისთანავე ისინი თავდაბრილი დაადგენ ქვიშხეთის გზას და გულებმა ცემას უმატა.

ერთად ერთი ჩემოდანი, რომელიც ბათუმიდან ჩამოყვავთ, ყაფლანს ეჭორა ხელში და რამდენათაც გზა მოკლდებოდა, ჩემოდანს თანდათან სიმძიმე ემატებოდა.

უხმოთ შევიდნენ სოფელში.

წინ შემხედურები უბრაო უვლიდენ გვერდს.

ეზობებში გამრჯე ქალი და კაცი თვალებს ხელებით იწრდილავდენ და გაკვირვებულნი ისე იტკირებოდენ მგზავრებისაყენ, შეკვდევ ერთმანეთს რალაცას ეტყოდენ და კვლავ საქმეს უბრუნდებოდენ.

მიმავალთა დანახვაზე მარტო ძაღლები გამოჩნდნენ ყეფით, ძაღლებს ბევრები მისდევდენ და ლაბებზე შეკვდვარნი იღამებოდენ.

ნაბატონარნი ისე იყვნენ გამოცვილინი, რომ ბევრს უჭირდა მათი ცნობა.

აღმართზე ყაფლანმა ჩემოდანი მხარზე შეიდგა და თეოს არ გაკვირვებია მამის ქკევა. მხოლოდ მწარე ღივილია შეურხია ტუნის კიდურები.

თეოს ქოლგის გაშლა დააეიწყა, თუკა შეადლის მზე აცხუნებდა.

ის თითქმის სირბილით მიყვებოდა ფეხაქარებულ ყაფლანს, რომელსაც დაწვებზე აცურებული ოფლი ცვარ-ცვარათ ეცეპოდა მოშვებულ და უკვე სულ გათეთრებულ წვერზე.

ყაფლანმა სწრაფად შეაღო კიშკარი და აიეინზე თეოს აასწრო, მაგრამ კლიტისათვის ჯიბეში ჩაყოფილი ხელი შეახა. ტანზე ოფლი შეაცივდა და თვალებიდან გამსჭვირვალე რგოლება გამოუციენდა.

კიბის უკანასკრელ საფეხურზე შემდგარ თეოს მამის უმოძრაობა ეოცა და ვიდრე ნაბიჯს მოინაცვლებდა, ყაფლანი დაბარბაცდა, ჩემოდანი მხარიდან გადმოუფარდა და კარებს შუბლით მიეყრდნო.

შიშით საზე ჩათეთქვილმა თეომ მაშინვე მამასთან მიიხრბინა და ფრთხილად შეეხო.

ყაფლანმა მძიმედ აიღო თავი.

მას თვალები სავსე ქონდა ცრემლებით და თეოს გული ეჭკინა, მაგრამ როცა კარებზე ლუქი დაინახა, მიხვდა მამის ცრემლების მიზეზს და თვითონაც ატირდა.

ყაფლანი გამოერკვა და აცახცახებული თეო გულზე მიიკრა.

დიდხანს იყვენ ასე.

თეო კვლავ ქვითინებდა, ხოლო ყაფლანი კარებს უტკეროდა და კარებს შიგნით გატარებულ ცხოვრების სურათები ერთი-მეორეს ცვლიდა.

თეო დაწნარდა. მამის უბეში თავჩარგულს ღამე ეგონა.

— წაეიდეთ შეილო!

დაეყვილი ხმით წარმოსთქვა ყაფლანმა და ჩემოდანი აიღო, შემდევ თეოს ცალი ხელი მოხვია და კიბისაყენ წაიყვანა.

ყაფლანმა ზეარში ვილაყეები დაინახა და შუა კიბეზე შეჩერდა.

მემარნე მიტო და ნამოჯამაგირალი გაბოვენახს სხლაედნენ ^{ქვენელნი} ყაფლანმა იცნო ისინი და კიბე ფეხქვეშ შეერყა, მაგრამ თავი შეიმაგრად და ძირს ჩამოსვლისთანავე ძელქვას ქვეშ ქვის სკამზე ჩამოჯდა, თეო გვერდით ახლო მოისვა და გაინახა.

ერთ დროს ამდენი ქონების პატრონს, ეხლა ხის ქვეშ უნდა შეეფარებია თავი.

— სად წავედით?!

ფიქრობდა ყაფლანი და ყველა გზა დაბნული მოსჩანდა.

ყაფლანს მალე ფიქრის უნარი დაეკარგა და სივრცეში უაზროთ დაიწყო ცქერა.

უკვე შზე გადაიხარა და ცოცმა ქარმა დაბერა.

სოფელში ხმაური შეიქნა და ძალღებე აყევდნენ.

ყანებიდან დაბრუნებული გლეხები ეშურებოდნენ თავიანთ სახლებსაკენ და ყაფლანმა თვის სიციცხლეში პირველად ინატრა მათი ბედი.

სამოვრებიდან მორეკილი ჯიქნებ საესე ძროხები ქიშკრებთან ბლაოდნენ და ბოსლებთან დაბმული ხბოები ლამობდენ აწყვეტას.

ქათმები იბუღრებდენ და ხეებზე შეფურენის დროს შორს ისმოდა მათი ფრთათა ფათქუნნი.

მეოჯახე ქალები ვახშმის მზადებაში იყვნენ ვართულნი და აკვნებში ჩაკრული ძუძუნწოვარა ბავშვები ფიჩინდებოდნენ.

ვილაყა მინდორში დარჩენილს ეძახოდა და ძახილს მთები იმეორებდა.

მარტო ყაფლანისეულ გარემოში იყო სიჩუმე.

ყაფლანი კვლავ უძრავად იჯდა და ლეკვით მოკუნტულ თეოს მის კალთაში ეძინა.

ყაფლანი მხოლოდ მაშინ შეირბა, როცა მთვარის სხივები ძელქვის ტოტებს სირმებივით დაეკიდა და ეზოში უცნობის ლანდი გაიწვა.

ყაფლანმა მთვარის შექზე ქალი დაინახა, თმა გაჩეჩილი და ძონძებიანი.

უცნობი ჯერ აივანზე აფოფბდა, მერე ძირს ჩამოვიდა, საჯალბო სახლეების ფანჯრებში შეიქვრიტა და გამობრუნებულმა მთვარეს გაუცინა.

ქალი დიდბანს უტკეროდა ეარსკვლავებით მოქედელ ცას და მთვარეს. ბოლოს ძელქვასაკენ გაიხედა და ყაფლანისაკენ წელში მოხრილი ფეხბარეფით გაეშურა.

ყაფლანი შიშმა აიტანა და სუნთქვა შეეკრა.

მიახლოებისთანავე ქალმა ჰკითხა:

— ბატონის სტუმარი ხარ, ხოო! ბატონი სხვაგან ბრძანდება. მეც იმას ველი. ეს ვინ გიწევს კალთაში? ავადმყოფია? ძინავს? ზუ! იძინოს, ძილი წამალია. მე კი არ მეძინება...

ქალი იქვე დეჯდა მინდორზე და დაბალი, ჩახლენილი ხმით განაგრძო:

— იძინოს, იძინოს. ძილი კარგია. სიხმრებს ნახავს. ნეტავი მეც დამაძინა, სიზმარში გიორგასთან ვიქნები, რამდენი ხანიღ არ მინახავს... ხომ არ შეხვედ-

რინბარ სადმე ჩემ გიორგას? არა? იპ, ვერ ყოფილხარ კარგი სტუმარი... ბატონი ჩამოვა და ის მომიტანს ჩემი გიორგას ამბავს.. არ იცი? მესტყავებრათდა წასული, მაშ! კარგი ბატონია ყაფლანი. სხვები კი ამაგებენ მარხა...
 ქალი შეჩერდა და ყაფლანთან უფრო ახლო მიჩოჩდა.

— ვინაა კალთათი რო ვიწვევს? შეილია?.. მეც მყავდა შეილი... გიორგი ერქვა... შორსაა წასული... შორს... დიდიხანია წავეიდა... უი, იქნება კიდევ მოვიდა... უნდა გავიქცე, ეშვივება ჩემ ბიქა! შენც წამოდი, არ გინდა? შენხ შეილს არ შია? მშვიდობით ბრძანდებოდე. ბატონს უთხარი გიორგას დედა იყო, თებროითქო. არ დაგავიწყდება? გიორგას დაეაძინებ და ისევ მოვალ. სულ მილე დაებრუნდები.

თებრო წამოდგა და ძუნძულით ვაიქცა.

ყაფლანმა სიცივე იგრძნო და მოიკაკვა.

ტყიდან მოისმოდა წოიას ხმა.

მთავარე ძელქვას გასწორებოდა და მისი შუქი ეხლა ტოტებში რძესავით ჩამოდირდა.

XVII

ბოლშევიკები დღე და ღამე მუშაობდენ.

აახლებდენ გაქცეულ მთავრობის მიერ დანგრეულ ხილებს, გაფუჭებულ გზებს.

გლებებს აძლიერდენ მემამულეთა მიწებს და მუშებს ასახლებდენ ზდიდრების ბინებში.

წითელარმიელები ცხვრებივით დადიოდნენ და ეხლა არავის ეშინოდა მათი.

ქალაქში გამრავლდა ვარსკვლავები და თმა შგკრეკილი ქალები, რომელთაც ვაფურათ ეცვათ და ამაყი ღიმილი უკრპოდათ.

პაპიროსებს ტყუილა არიგებდენ ყვითელ შაქართან ერთად და თუთუნის წვეს ქალებიც მიეჩვიენ.

ზოგს ეს კაცებთან გატოლების სურვილით მოსდიოდა, ზოგს წამხედურობით და ზოგს კიდევ უსაქმურობით, რადგან წითელი სასადილოები ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყო გახსნილი და სახლში ინჯრას არავინ ამზადებდა.

ძვირფას მორთულობას ჩვეულნი განგებ იცვამდენ სადათ და ცდილობდენ მზიარული სახე ქონოდათ.

მენშევიკური და სხვა გაპარაკებულ პარტიის ის ბელადები და გამოჩენილი წევრები, რომლებიც უცხოეთში გამგზავრებულ ქარაიანს ჩამორჩენ, მწერალთა კავშირში ეწერებოდნენ, რომ ბოლშევიკების თვალში ძველი ცოდვები ხელოვნების შარავანდედით დაეფარათ, აგრეთვე იმიტომ, რომ ბინები არ წაერთმიათ და „პაიოკი“ მიეღოთ.

ახალი ხელისუფლება დიდათ აფასებდა ხელოვნებას და კერძოდ მწერლებს.

მთავრობაში მწერლებს გადასცა ზოშტარიასეული სახლი თავის მდიდრულ მოწყობილობით.

ეს სახლი შემდეგ გადააქცა ხელოვნების სასახლეთ.

შენშევეყებს კი მწერლების სახელზე გახსნილი ქონდათ ქვეყნის წესდებანი „ქიმერიონი“, სადაც საეხსმით დადიოდნენ ისინი, რომელნიც შეეწრაღათა კავშირის მანდატს ეძებდენ და რაც რამე ოდესმე შემთხვევით დაეწერათ ავგაროზიანით ატარებდნენ.

თვით მწერლები სურათების დასათვალერებლად თუ ჩავიდოდნენ „ქიმერიონში“, რომლის კედლები მოხატული იყო გუდიაშვილის, კაკაბაძის, სუღვიკინის და სხვა მხატვრების მიერ.

შეტ წილად მწერლები კაფე „დარბაზის“ სტუმრები იყვნენ.

იქ ერთ ჭიქა ლიმონიან ჩაიზედაც შეიძლებოდა მთელი საღამოს გატარება და მუსაიფი.

ბოლშევიკებმა „ქიმერიონში“ წითელი სასადლო გახსნეს და მოხარაკულების მაგიერ სელიოტკას სუნ იღვა შიგ.

პროსპექტზე ნაირი ხალხი ირეოდა და ძველი ნაცნობები შიშით ჟრთიჯრთს საღამოსაც აღარ აძლევდენ.

საღამოობით კი მოფარებულ ადგილას, ჩუპათ ლაპარაკობდენ გულის მოსაფხან ამბებს და ხმაშალა აქებდენ ბოლშევიკებს.

ლაპარაკობდენ ჭორებს, წინასწარმეტყველებდენ ბოლშევიკების დიქტატურის მალე დაშობას და ამხნეებდენ ერთმანეთს.

ერთ საღამოს ყაფლანი ასეთ ზავსმოკიდებულთა შორის იყო და შინ წელგამართული დაბრუნდა.

ყაფლანი თეოთი თავის დასთან ცხოვრობდა და მისეგლისთანავე დამბლით დაეარდნილ აეთანდილს გადაქარბებით მოუყვა ქუჩაში გავონილი, მაგრამ აეთანდილის გაბოლშევიკებულმა შეიღმა ირაკლიმ ლაპარაკში ჩარევით გაუფუჭა ხანიათი.

— არა, რომ ვაგიგდიათ ენა და თვითონაც არ იცით რასა ბოდაეთ, როგორ გგონია, ეს დრო თქვენ კი შეგარჩებათ! მალე ვნახავ, სხვა ჰანგზე დაიწყო შღერა, მალე.

გაცხარდა ყაფლანი.

— ბოლშევიკებს „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნი რომ ქონდეთ წაკითხული, მაშინ დარწმუნდებოდნენ, რომ ყვეფით და ყვილით ქვეყანა არ შენდება.

— ავაშენებთ ბიძა ჩემო, ავაშენებთ, მაგრამ არა თქვენთვის, არამედ მშროშელი ხალხისათვის.

ლიმილით უთხრა ირაკლიმ წამოქარხალებულ ყაფლანს.

— აშენებული დაანგრით და თქვენ ახალ ქვეყანას ააგებთ? მეტი არაა ჭეჭი მტერი. როცა ააშენოთ, მაშინ დაიკვებეთ, მაშინ. საქმე ის კი არაა, მე წამართვა და შენ იცხოვრო კარგათ. ეს ბოლოს იმავე შედეგს გამოიღებს—გუშინ შე ვიყავი კარგ მდგომარეობაში, ეხლა შენ ხარ, გუშინდელი მშვიერი გაძღა, მაძღარი დაიშმა, სიმშლი და სიღარიბე კი ისევ დარჩა. ასე რომ ხეალ მე ვავხდები იძულებული ვიბრძოლო პურისათვის. რატომ მამბრძოლებთ ბიძია, რატომ ამდენი მაინც დამიტოვეთ, რომ ლუქა პური არ მიჭირდეს.



— თუ გაპროლეტარდები და მარჯვენას მოიხმარ, მაშინ არაფერ გეჩიხის. პურსაც მოგცემენ და თავშესაფარსაც. მაგრამ, ქანებრივად რამის მოლოცვლად — დე, ეს როდი ემარა, სულით უნდა იყო პროლეტარი, სულით!

— ბიჭო თქვენ რა იცით რა სული აქვს იმ მეუზოვეს, გუშინ რომ მესამე სართულში წამოქიმიეთ, ამ გულთაშიხილავები ხართ თუ! თქვენ სულს კი არა, სუნს ეძებთ. დასტურ ასეა თორემ რა დროს ჩემი გადასხეაფურებაა; ზღვის გოჭი ზომ არა ვარ ცდებისათვის გამოვდგე. ამას რომ თავი დავანებოთ, ბოლშევიკები მარტო იმიტომ არიან თვალზე დასათბრელნი, რომ საქართველო ისევ რუსეთს დაუმონეს.

— სუნთან ერთად სული ქონდათ იმ გლეხებს, რომლებაც შენთვის დღე-ღამეს ასწორებდნენ, მაგრამ ერთხელაც არ მოგსვლია აზრათ მათი მდგომარეობა შეგეშსუბუქებია. მონადირე ძაღლებს უფრო კარგად ეპყრობოდი, ვიდრე მათ. ჰო და ეხლა ნუ გიკვირს საზაგიერო. ეს შურისძიება კი არაა, არამედ აღამიანურ უფლებებისათვის ბრძოლა — არც მეტო, არც ნაკლები. გაისარჯე და იპავე პარობებში ჩაგაყენებენ, როგორც სხვა მშრომელს. იბრძოლე არა მარტო შენთვის და შენისთანებებისათვის, არამედ ხალხისათვის, საერთო კეთილდღეობისათვის და გულზე არაფერ გკრავს ხელს. ოფლის სუნი ნუ გეზარება. რაც შეეხება საქართველოს, მისთვის რატომ ეხლა იტკივებ თავს, ან მენშევიკების დროს უფრო „დამოუკიდებელი“ იყო საქართველო ვიდრე ეხლა! საქართველოს დამოუკიდებლობა მენშევიზმს არ ნიშნავს და არც თქვენს ბატონობას. ქართველი მშრომელი ხალხი უფრო კარგათ მოველის მას, ვიდრე უკლიდენ.

ირაკლის კილოს სიმკაცრე დაკრავდა და მის სიტყვას მოკრძალება აღარ ეტყობოდა.

ყაფლანი გაფითრებული წამოდგა:

— როდის იყო შენ უროს ცეკვი, როდის იყო თოხი გეკავა ხელში! რა უფლებით მსჯელობ ასე! თუ მარტო ბოლშევიკობა ემარა საერთო საქონისათვის, ვაგებატონო... სადა გაქვს დღეს საქართველო, სახელმწიფო, ვერა ხედავ რუსის ჯარი თბილისში ვედარ ეტევა, რომ ქართული ისევ საშინაო ენათ იტყა? აფსუსს, მართლა აღარ ღირს ცხოვრება, შენისთანა ლაწირაკები რომ დაემატრონენ ქვეყანას.

ბრაზით წარმოსთქვა ყაფლანმა და ქელს ხელი დააყო.

კარებისაკენ გაშურიბულს წინ რუსუდანი გადაელოზა, მაგრამ ყაფლანმა დას ხელი ჰკრა და კარი მრისხანეთ გიშოალა.

შეუწუხებულმა რუსუდანმა შკილს უზრდელობათ ჩამოართვა ყაფლანთან დაობა და დატუქსა.

ირაკლი თავის ოთახში გავიდა.

ათანდილს ამ ამბის შემდეგ უფრო დაება ენა და მარტო ცრუკლების გადმოყრა შესძლო.

ათანდილი წუხდა რომ ერთად ერთი ძე ყავდა და ისიც უკუღმართი გამოადგა.

სხვაგან მყოფმა თეომ დაბრუნებისას როცა გაიგო მამის და ირაკლის შორის მომხდარი უსიამოვნება, გაშრა და დაქინდა.

ყაფლანი სამი დღე არ გამოჩენილა.

მესამე დღეს მოვიდა და შინ დანხდურთა მიუსალმებლად დივანს უთხრა:

— მოემზადე შეილო. წავიდეთ. სამადლო არაფერი მინდა.

— რა მოგივიდა კაცო, რადაცის ბაეში წამოაყრანტალეებს, იმას როგორ გავივლებ გულში! ხომ არ გავიყებულხარ?!

შეუტია რუსუდანიმა.

ყაფლანს ხმა არ ამოუღია.

ამ სამ დღეში უფრო დაბერებულიყო და გამხდარიყო.

რუსუდანს გული დაეჭქეჭა და დაუყვავია:

— თუ ძმა ხარ დამშვიდდი. აპატიე იმ სულელს თავბუღობა. საცაა ირაკლიც მოვა და ბოდისს მოიხდის. ისიც შეწუხებულა ღმერთიანი. არ გამოგიცდია ახალგაზრდობა? რა უყოთ შერე!

თეო აბუზული იდგა.

— არ გესმის! წავიდეთ მეთქო. ლამის გასათევს ვიშოვით სადმე.

თეომ იგრძნო, რომ ყაფლანი ნათქვამზე არ გადავიდოდა და ცრემლის ყლაპვით დაიწყო ჩემოდანში თავის ტანისამოსის ჩალაგება.

— უი, ჩემს მოსწრებას, ეს რა მეხის ტეხაა. სად მიხვალ ადამიანო თქვი მინც, ეს მოწიფული ქალი ქუჩა-ქუჩა ხომ არ გინდა ატარო!

— დამეხსენი თუ ღმერთი გწამს. აწი აქ ყოფნას მირჩენია თავზე მაწვიმდეს.

რუსუდანი მოთქმითა და მუხლებზე ხელების ცემით დაჯდა.

თეო რუსუდანის გაზრდილი იყო და უყვარდა, გულს წვაკდა მისი მოშორება.

თეო ქვითინით გადაეხვია კიდევ უფრო ხმამაღლა მოტირალ დედის მაგიერს.

ყაფლანმა ჩემოდანი აიღო და კარებში ათრეული ნაბიჯით გავიდა.

რუსუდანიმა როგორც იყო სისუსტეს დასძლია და თეოს დამშვიდება დაუწყო, თან გაამხნევა და დაირიგა.

თეომ უმწეოთ მწოლარე აეთანდილს აკოცა და ცრემლების წმენდით მამას გაყუდა.

გარეთ შემოდგომის წვიმა ცრიდა.

XVIII

ყაფლანი და თეო აელაბრის ბაზრის ახალ სარდაფში დაბინადნენ.

სარდაფში ჩასვლა მხოლოდ ქუჩიდან შეიძლებოდა. ამავე მხარეს დატანებული ქონდა ორი პატარა სარკმელი.

სარკმლები შიგნიდან ქერთან იყო და სქელ, გამტვერულ მინებიდან სინათლე ძლიერ ატანდა.

გარედან, სარკმლების გასწვრივ ქვაფენილი მიდიოდა და რომ ვინმეს მინები არ გაეტეხა, საფრათ ჩარჩოებისათვის რკინის ხლართები გაეკეთებიათ. რაც კიდევ უფრო აბნელებდა სარდაფს.

ამიტომ მაშინაც კი, როცა მოკრიალებულ ცაზე მზე დადრახდებოდა, სარდაფში უსანთლოთ რაიმეს დანახვა ძნელდებოდა.

სარდაფის მარცხენა და უკანა კედელი მუდამ სველი იყო, რის გამო შიგნესტი იღვა და სუნთქვა სჭირდა.

იატაკის მივიერი ძირს ავური ეგო. ალაგ-ალაგ ავური აკლდა და თეო ხიფათს სიფრთხილით იცდენდა.

სარდაფში ორი ძველი ტახტი იდგა, რომელთა წინ ნაპირებ დაგლეჯილი კილოფები ეყინა. ტახტებს შუა, ფეხებ მორყეულ მაგიდის პირდაპირ კედელზე ექსტის ლამფა დღე და ღამე ენთო.

მამა-შვილი სკამების ნაცვლად, ტახტებზე ჯდებოდნენ.

კუთხეში მაყალაზე გვერდებ შექცეული ჩაიდან ჩუჩუნებდა და როცა კართოფილი არ ეშოვებოდათ, ჩაიზე იოლათ გადადიოდნენ.

მაყალისა თუ ნესტისაგან თეოს ყოველთვის თავი სტკიოდა და დილას პირი მწარე ყვებოდა.

ყაფლანი ალიონზე მიდიოდა სადღაც და საღამოს გვიან ბრუნდებოდა.

ხანდახან პურის გარდა მოიტანდა ძეხვს, ყველს, ან ცხერის მოხარშულ თავ-ფეხს და ხელდაუბანელი დაიწყებდა კამას.

თეო მამის ხათრისათვის თუ აიღებდა ლუკმას, ისე ჭონდა დაკარგული შადა. მას ჩაი ერჩია, რადგან ცხელი წყალის სმის დროს მეტ სითფოს გრძნობდა დანორტივებულ სხეულში.

საერთოდ თეო ძლიერ მოეშო. მუდამ მოწყენილი იყო და სვედიანი. ის აღარ ჰგავდა ორი-სამი წლის წინათ ცქრიალა და მოკისკისე თეოს. აღარც სიამაყე ეტყობოდა, არც სიკვალუცე.

ხშირათ რამდენიმე დღე ისე გაივლიდა, რომ არ მოიკაზმებოდა, სარკვეში არ ჩაიხედავდა.

იჯდა დანალღვიანებული და უცქეროდა სარკმლებს, საიდანაც ბუნდოვანათ მოსწინდა გამვლელთა ფეხები, პატარა ბავშვები და სარდაფის თავზე არსებულ საყასბოს შეჩვეული ძაღლები.

ამ ჭეყანას მოწყვეტილი ხან ყურს უგდებდა, თუ საყასბოში როგორ ჩებდნენ კუნძზე ხარის ბეჭებს და როგორ ეკაპასებოდნენ ქალები უვარგის ნაქრებისათვის ყასაბ ტიგრანას.

საყასბოში ჩანგლებზე ეკიდა გატყაული ცხერები, ხმოები და ხარის აქნილი ნაწილები.

სარფიან მუშტრებს ტიგრანა არ ილაპარაკებდა. იცოდა მათი გემო და რჩეულ ნაქრებს თავაზობდა, ხოლო კვირაობით და სხვა უქმე დღეებში მოსულ ხელეწრო მყიდველებს უწონდა მკლეს, ბებერ საქონლის ხორცს.

ტიგრანა მეტად გაქნილი და მარიფათიანი კაცი ჩანდა, ტანათ შალალი და მუცლიანი.

ტუფები ჩანგალზე დაკიდებულ ხორცივით წითელი და ისეთი დიდრონი ჰქონდა, რომ პირველათ მნახველს ბზიკისაგან დაკბენილი ეგონებოდა, რასაც

ოდნავათაც ვერ უფარავდა ბაღით სავსე, გაბუმტულ ნესტოებიან ცხვირთან შებუტვლი უღვაშები, რომელთა კულდები ხარაბუასავით ყურნამდე წვედებოდა. წვერს ხშირად იპარსავდა და ბატის კვერცხების მსგავს ლოყებზე სტაფილოს ფერი სჭარბობდა.

სისხლამდგარ თვალებს, რომლებიც სიძულქანისაგან დაპატარავებოდა, შიგნით ჩაუკილივით აპარპალებდა და ჯაგარ წაწამებზე წირპლი შეხმობოდა, ხოლო სქელი და გრძელ ბეწვიანი წარბები ვიწრო, დაბალ შებლზე შავ არშიათ მოვლდებოდა.

კუთხებიან ნიკაბთან, რომლის ქვეშ ყაპო ჩიყვივით ეკიდა, დატოვებულ ხალს ტიგრანა უღვაშებზე უფრო უფრთხილდებოდა და ყოველთვის გულდაგულ იკვარჩნიდა.

კეთზე და ბაღითვე ამოშაებულ ყურების გაყოლებით შერჩენილ თმას ტიგრანა წვერთან ერთად იხობნიდა და აფუქებული კისერი უშლიდა გვერდზე სწრაფად მიხედვას.

თავის მალა აწვეის დროს კი კისერი შუა ილაგას ქიპის ნაირათ უღრმავდებოდა და რამდენიმე დიდი ნაოკი უჩნდებოდა.

მიუხედავად ზორბა ტანისა და საბესთან შედარებით, მისი თავი პატარა და ნესვის მოყვანილობის იყო.

შავი ხალათით და შარვლით მოსიღს რუმბებივით რგვალ ფეხებზე მოკლე ყელიანი ჩექმები ეცვა და გამოზინულ გულ-მუცელზე სისხლნარევ ქონისაგან გაჭერჭებული თეთრი ფეშტემალი ეფარა.

ვაკრობის დროს ფეშტემალზე უბრალო ტყავის ქამარი ერტყა და ცალმხარზე შიგნით ხის დიდ ქარქაშიან და ორპირიან დანას ირჭობდა მეორე კედაროს ქამარზევე წერილი ჯაქვით ეკიდა დანის პირის ასაწყობი რკინა და დამკლავებული ხან დახლში იდგა, ხან ბიჭებს ეხმარებოდა მუშტრების მალე გასტუმრებაში.

ტონტოლა მკლავები, ხელის ზურგი და გამაძლარ წურბელების მსგავსი თითები მთლიანად ბაღით ქონდა დაფარული.

სალამობით იფარებდა უფრო სუფთა ფეშტემალს, ირტყამდა ხაზვის მაგვარ ბაღთიან ვერცხლის ქამარს და ფეშტემალის საგულეში ხელზე გაყრილი დგებოდა კარებში, ხანდახან თუ შეინძროდა მხერხავებისათვის დარჩენილ ღვირძლის, ღორის თავის, ან ნარჩენ მდარე ნაჭრების ასაწონად, ვინაიდან ბიჭები წასული იყვნენ ხვალის საჭირო ახალი ხორცის მოსატანათ.

ტიგრანა ბოლო ხანებში ხშირად იცინოდა და კარგ ხასიათზე ხედებოდა სანისიოთ მისულ მხერხავებსაც.

ის განსაკუთრებით გულთბილათ უცქეროდა ყაფლანს, რომელსაც ყოველთვის თავდახრილობის გამო შეუმჩნეველი რჩებოდა მეზობლის თანაგრძნობა.

ყაფლანს ალაგ-ალაგ სირმებ აწყვეტილი ძველი ჩაბალახი ეხურა და გახუნებულ ფარაჯას შიგნით ეცვა ყავარივით დახეთქილი შავი ატლასის ახალუბი.

ახალუბს მხოლოდ სარჩული იმაგრებდა და იმავე დროს ნათავადარს პერანგის მაგიერობასაც უწყედა.

სალამობით კარებში ფეხებ გაბაჯრიანებული ტიგრანა ხედავდა და როგორ მიძვრებოდა ყაფლანი სარდაფში, სადაც წინათ, ის მალეულად დაკლულ საქონლის ტყავეებს ინახავდა და გულში ამბობდა:

— ჰაი გიდი ბრწყინვალე თავადო!

მერე წარბოიღგენდა იმავე სარდაფში მყოფ თეოს და ლაფშებზე სისველე მოადგებოდა.

ტიგრანას პირველ დანახვისთანავე თეოს ეშხმა და ნატიფობამ თვალები გადმოუცვინა.

მას აქეთ იყო ტიგრანა შინ ხელცარიელ დაბრუნებულ მებრახავების და გაჭირვებულების შემბრალებ გახდა, თუმცა დღემდე ვერ მოახერხა ეს ეგრძობინებინა თვით თეოსათვის.

ტიგრანას არ გამოეპარებოდა თეოს ზევით ამოსვლა და გახურებულ ვაჭრობის დროსაც კი დიდხანს უხიაგათ აადევნებდა თვალს ნელა მომავალ ქალს. შენდევ შედიოდა საყასბოში და ყველას საუკეთესო ხორცს უწონიდა.

ბევრი იფიქრა ტიგრანამ, მაგრამ ვერაფერი არჩია ისეთი, რითაც შესაძლო ყოფილაყო თეოს ყურადღება მიექცია.

ასე გაივიდა რამდენიმე თვე.

ერთ საღამოს, როცა ტიგრანა საყასბოს დარბაზს ბოქლომს ადებდა, დანახა სადგომისაკენ წელში მოხრით მდოღავე ყაფლანი და მაშინვე ახალმა აზრმა გაუქვლა.

ტიგრანამ ცოტა შეიცადა საყასბოსთან და მოახლოებულ ყაფლანს გზ გადაუჭრა.

— თავადო ყაფლან, ბოდიშს ვიხდი შეჭერებისათვის, მაგრამ ეს გამაბედენა თქვენი გაცნობის სურვილია. პირდაპირ დანაშაულათ მიმაჩნია, რომ ამდენი ხანი მეზობლები ვართ და ერთიმეორის საღამო არ ვიცით.

გაკვირვებულმა ყაფლანმა აღმატკრათ შეხედა პირისპირ ზეინივით ამართულს.

— ეუდ დროში ვცხოვრობთ ბატონო, წინათ სხვანაირათ ვიციდით მეზობლობა და ნაცნობობაც, მაგრამ ეხლა გიჭირს კაცს. საშუალება არაა, არც ხალისი.

ტიგრანა ცდილობდა ბაზრული კილო არ ქონოდა და ნელა ლაპარაკობდა. ყაფლანს არაფერი უთქვამს სანაგეორო, მაგრამ ცოტა ეაშა ასე მორიდებოლი და შემატყივარი შეხვედრა, რაც შეატყო ტიგრანამ და განზრახული მოეწონა.

— წამობრძანდით ბატონო, ერთად ვივახშმოთ. მარტო პურის ჭამა არ მიყვარს. ნუ დამამადლით.

და ტიგრანამ პასუხს აღარ დაუცადა, ყაფლანს მკლავში ხელი ჩასჭიდა და ქუჩის იქითა ზხარცს ხალხით სავსე სამიკიტნოში შევიდნენ.

სამიკიტნოში ბოლი და ღრიანცელი იდგა.

თითქმის ყველა მაგიდაზე იჯდა ოთხი-ხუთი კაცი. უმრავლესობა ღვინოს ხმელა პურს და წვანილს ატანდა, ღვინოს კი დაუზოგველად სვამდნენ.

ზოგნი დახლთან იდგნენ და ღვინით სავსე ჩაის კიბეები ექირათ ხელში. ენის მოტებით ამზობდნენ სადღეგრძელოს, კაცნიდნენ ცრემლმუხტს და ოგინებოდნენ.

მიკიტნის ბიჭები ციბრუტყვით ტრიალებდნენ. მაგიდებზე სწორადად დგამდნენ ახალ კვარტებს და ცარიელები მიჭინდათ.

ახალ მოსულებს მიკიტნის ბრძანებით ფიცრის პატარა ორ კედელს შუა გაუშალეს სუფრა.

ამ „კაბინეტს“ წინ ჩითის ფარდა ეფარა და პირდაპირ გამუდმებით უკრავდა კედლის არღანი, რაც მეტ ხალისს და წყურვილს იწვევდა მოქიფვებში.

ყაფლანს სითბომ და ღორის წვედის სუნმა ზრდილობა დაავიწყა.

ის დაფეთებული შეუდგა ქამას და დანაჩანგალი მაშინ ვაახსენდა, როცა გაძღა.

ტიგრანა თავიდანვე დანაჩანგალს ვანგებ აჩხარუნებდა და აქამდე ჩუმად მყოფმა ყაფლანი მოწიწებით ადღეგრძელა:

— მე ბატონო ყაფლან, გაგებულნი მაქვსა ვინც ბრძანდებით. ამიტომ გცემ პატივს. რა უკოთ თუ ეხლა ისე ვერ ცხოვრობთ, როგორც შეგფერით, როგორც გეკადრებათ. ამან არ უნდა გაგიტეხოთ გული. ეს ბრმა შემსახვევის ბრალია. ბოლშევიკების დღეები დათვლილია ბატონო (აქ ხმას დაუწია ტიგრანამ). მანამდე გისურვებთ მხნეობას და ჯანმრთელობას თქვენი ძვირფასი ასულით.

უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმის დროს ტიგრანა უკნაურათ შეირყა სკამზე და კიჭა ერთბაშით დაცალა.

ყაფლანს გულში უხაროდა, რომ ასეთი კარგი მეგობარი იშოვა და სტომაქ ამოვსებული ღვინოს ხშირათ სვამდა.

ღვინოს მის პირში ზედაშეს გემო ქონდა და თანდათან ღონე ემატებოდა. ბოლოს ყაფლანმაც ამოიღვა ენა.

ბევრი იმუსაიფეს მეზობლებმა, ზოგი თავიანთ შესახებ, ზოგი სხვაზე და შუალამე იქნებოდა, როცა გარეთ გამოვიდნენ.

ალარ თოვდა. მარტო სუსხიანი ქარი ქროდა და ყინავდა, მაგრამ ყაფლანს არ ციოდა—ღვინოს მისი სოველი წინდებიც გაეშრო.

ტიგრანამ ყაფლანი სარდაფამდე მიაკილა და გამომშვიდობებისას ბონების დასტა გადასცა.

— ბატონო ყაფლან, თუ არ მიწყენთ, ეს ნიცირე თანხა მიიღეთ ვალათ. როცა გეტნეთ დამიბრუნეთ. მე ჯერ-ჯერობით საშუალება მაქვს და მინდა დაგეხმაროთ. ეხლა ისეთი დროა, თუ ჩვენ ერთმანეთს არ ვაუშართ თუ ხელი, ბოლშევიკები სულს ამოგვხდიან შიმშილით. ნუ გერიდებათ, გამომართვით. ხვალ შეიძლება მე დამჭირდეს თქვენი მზრუნველობა და კიდევაც უნდა დამეხმაროთ რითაც შეგეძლება. ასე უნდა შევიჩინოთ ერთმანეთი, თორემ ზომხედავით ბატონო, თანდათან როგორ გვაიწროვებენ...

ყაფლანს პირველად ეუცხოვა ტიგრანის გულუხვობა, მაგრამ მალე და-
წმუნდა მის სიტყვების კეშმარიტებაში და ფული დიდი მადლობით ჩამოართვა.
ტიგრანამ ჭურჭზე ფართეთ მოვლებული კარაჯლის საყვედროს წაწია და
ყაფლანს დაემშვიდობა.

ყაფლანმა კვლავ მადლობა გადაუხადა და გახარებულმა სარდაფის კარებზე
დააკაჟენა.

მეორე დღეს ყაფლანმა იყიდა ეესტის ფეჩი და გულურა. შეშა ტიგრან ას-
გან ნათხოვარ ნაჯახით სარდაფშივე დანება და ცეცხლს დაანთო. მალე სარდაფში
დადგა სითბო და ფეჩზე გადაჩაჩხული ყაფლანი ხელუბის სავსაყვით თეოს ელაპა-
რაკებოდა:

— აი, ხომ ხედავ, შვილო, კიდევ არიან ისეთები, რომელნიც პატივს გვცე-
მენ, გვაფასებენ, მალე გადაუხდი ორ წილად, თუ კაცი ვყოფილვარ.

უკანასკნელი ნათქვამი თვით ყაფლანს არა სარწმუნოდ მოეჩვენა და გა-
ჩუმდა. შემდეგ წამოდგა და გარეთ უბოთ გავიდა.

თეოს, სითბოსაგან ლოყები აუკვისკვისდა და ტანში საამო ქრუნტელი
ფელიდა, მაგრამ გულში რაღაც ხინჯს გრძნობდა.

მას უკვირდა ყასაბ ტიგრანის სიბრალოული მათდამი და გაურკვევი, მძიმე
ფიქრები იპყრობდა.

— იქნება მართლა კეთილია? რა უყოთ, რომ ყასაბია, განა მის კი არა
აქვს გული?!

მაგრამ ეს აზრი ბინდში ეხვეოდა და თეო წუხდა.

იმ საღამოსაც ყაფლანი მთვრალი და გვიან მოვიდა. მის ლოდინში თეოს
თვალი არ მოუხუტავს, რაღაც აწვალეზდა და ბორგავდა.

მამის დანახვამ თეო შეაკროთ: ყაფლანს თითქმის სულ ახალი პალტო და
დახეულ ჩუსტების მაგიერ ჯარისკაცის მალალ ყელიანი ჩექმები ეცვა.

წვერიც შეეკრიქა და გაჯელებულიყო. ღვინისა და ყინვისაგან ფერი მო-
სკლოდა.

სარდაფში ჩასვლისთანავე ყაფლანმა თეოს მოზრდილი ფუთა გადასცა და
კისერზე მოეხვია.

— ქეშმარიტად ღვთის რჩეული კაცია. დიდი გვარიშვილივით იქცევა.
სირცხელია ის ყასაბი იყოს!

ლულულღებდა ყაფლანი და თან თეოს კოცნიდა.

ყაფლანი ბარბაცით გაეშურა ტახტისაკენ.

— გახსენი, გახსენი ჩემო ვოგონი, ნახე რა ძვირფასი რაგინდ ნაირებია ში-
გა. მაშ როგორ გეგონა, ჩვენც ხალხი ვართ, კიდევ გვყავს თაყვანისმცემლები.
არც დაგველევა. დარდი ნუ გაქვს.

— „ვა სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ რა ზნე გვირისა...“

...მაგრამ ღმერთი არ გაწირავს, კაცსა შენგნით განაწირსა...“

გაიხსენა რუსთაველი ყაფლანმა და შვილს მიმართა:

— აბა, გეთავაზობი ერთი ფეტი დააგუგუნე, თორემ ამ სამარეში ვაცო გაიყინება. ცოტა ხანი კიდევ და შეიძლება ისევ ავიდეთ მზის სინათლეზე, შეიძლება კი არა უსათუოთ ავალთ. უბრალოდ.

თუ კვლავ კარებთან იდგა, ფუთა ჩამოვარდნილ ხელებში უხალისოთ ეკავა და ნირ გამოცვლილ მამას მიშტერებოდა.

— რა მოგივიდა, მოთხარი შენს გაზრდას! ანუ ხომ არ ხარ!

შიშნარევი ხმით შეეკიოხა ყაფლანი და წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვერ შესძლო.

— არა.

ცოვით წარმოსთქვა თვომ, ფუთა თავის ლოგინზე დააგდო და ფეჩის ანთებას შეუდგა.

— მაშ რა მოგივიდა. ძღვენი რომ ვინმეს სწყინდეს, პირველად მესმის, ახირებულა შენ ნუ მომიკვდი!

ყაფლანი დაიფიქრა შეილის უგუნებობამ, მაგრამ მალე ხელი ჩაიქნია და ლილინით წარმოსთქვა:

— იყო არაბეთს როსტევიან, მეფე ღვთისაგან სეიანი,

„მილალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ მრავალი ყმი...ნი...ნი...“

თეოს ბეერი ნავთის ჩასხმა მოუვიდა და ფეჩი ერთბაშად გახურდა.

ყაფლანი სიტომ მოტეხა და გაუხდელი მიწვა.

თუ ეხლა მოუსვენრობათან ერთად იკვებმა შებოჭა, მაგრამ მაინც ვერ შესძლო ტიგრანას განზრახვებისათვის სარკელის ახდა.

თუ დიდხანს იყო ფიქრების კორიანტელში და დიდი ყოყმანის შემდეგ იმ აზრს მოეჭიდა, რომ ტიგრანას ყველაფერი ეს ალბათ მოსდიოდა ზედმეტ გულკეთილობით და იმ იმედით, რომ ოდესმე ყაფლანი მას სამაგიეროს ორმაგათ გადაუხდიდა.

ამ დაცენამ თუ ცოტა დაამშვიდა.

დილას, მამის გაღვიძებამდე თუ ფუთა გახსნა და თვალები აუჭრელდა— მან სათითაოდ გასინჯა ბეირფასი სანამთრო მანტო, კაბა, ლაქის ფეხსაცმელები, მოსასხამი შალი, არწივებ მოვლებული საცვლები და სიხარულმა აიტაცა.

მას დაავიწყდა თუ ვისგან იყო ისინი გამოგზავნილი და მაშინვე შეუდგა ნაცვას.

როცა ყაფლანმა თვალი გაახილა, თუ უფე მორთული იყო და სარკის ნატებსში იქტირებოდა.

ყაფლანი გაოცებული იყო და თავი სიზმარში ეგონა. მერე ყველაფერი თანდათან ნორმალურად და გულზე რაღაცამ უკბინა. წუხანდელი ხალისის ნაცვლად მწუხარებით აივსო.

ეს რომ თეოს არ შეემჩნია, წამოდგა, კვლავ სარკის ნატებსში მაკურალ შეიღს თავი გადმოუწია და აკოცა.

გამობრუნებულმა რატომღაც გადასწყვიტა ტიგრანასთან იღარ გაეცლო და არც რაიმე კავშირი დაეკირა მასთან.

მართლაც, ერთი კვირის განმავლობაში ყაფლანი გაურბოდა ტიგრანასთან შეხვედრას.



ტიგრანა გრძნობდა ამას და თვითონაც განგებ არიდებდა თვალს.

ფული და შეშაც მალე გაქრა.

სარდაფში კვლავ სიცივე დასკვიდრდა.

მალე გახსნილეს პურიც აღარ ქონდათ საყოფი.

ყაფლანმა ნაჩუქარი პალტო გაყიდა და ისევ ძველი ფარაჯა ჩაიცვა.

— მამა, რატომ ემალები იმ კაცს, უზრდელობაში ჩამოგვართმევს. ეხეც არ იყოს, შეიძლება კიდევ გაეწვია დახმარება, თორემ გინდა შიმშილს შეუწუხებივართ და გინდა სიშიშველეს.

თეოს ეშინოდა მის ახალ ტანისამოსსაც მამის პალტოს ბედი არ წვეოდა. ასე ლამაზათ გამოწყობილს ერთხელაც არ მიეცა საშუალება, გაეცლო ქაჩაში, ენახა მამიდა და ნაცნობები.

— მაინც რომ აღარ გამოკეთდა ამინდი!

ფიქრობდა თეო და რადგან კალაშები არ ქონდა, ენანებოდა ლაქის ფეხსაცმელები თოვლ-ქვაპში დაესველებია.

ყაფლანი ამოათ ეძებდა რაიმე სამუშაო ეშოვნა.

არც არაფერი ეხერხებოდა დღემდე უზრუნველს.

ახალწლისათვის ყველა ემზადებოდა.

ქალაქში ფუსფუსი იყო და ხორავი ბაზარში აღარ ეტეოდა.

ახალწლის წინა საღამოს ყაფლანი ხელცარიელი ბრუნდებოდა თავის ციფს სარდაფში.

გზაში შემთხვევით შეეფეთა გადარაჯებულ ტიგრანას და საქციელს წაუხდა.

ტიგრანა ჩვეულებრივით მიესალმა და შკლავში ხელგაყრილი სამიკიტროსაკენ წაიყვანა.

ყაფლანს ფეხები უკან რჩებოდა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევის თავი არ ქონდა.

მეზობლები კვლავ ჩვეულ ალაგას დასხდნენ. სამიკიტროში ეხლა ცოტა იყო ხალხი. სუფრა მალე ნაირი საქმელებით აივსო.

ტიგრანა მოშაქრული ენით ემუსაიფებოდა მეზობელს და ღვინოს აძალელებდა.

ბოლოს სიტყვა ჩამოუგდო თავის სიმდიდრეზე და ჯიბისაკენ ხელი წაიღო. ხელს უამარი ბონები ამოყვა და ყაფლანმა თვალეები გააბეცა.

ტიგრანას კი ქლოშინი აუღარდა და ცხვირის ნესტოები უფრო დაებერა. მან უკრ ბონები ყაფლანის წინ დაყარა და მერე ყურთან დაბალი ხმით რაღაც უთხრა.

უცებ გაფითრებული ყაფლანი ზეზე წამოიჭრა და კვარტიანს ხელი დაავლო.

ტიგრანა არ შენძრეულა, ბონები ისევ ჯიბეში ჩაიწყო და ყაფლანს მშველათ მიმართა:

— დაბრძანდი ბატონო ყაფლან, ასეთი სიფიცხე რომ არ შეგფერიოთ! შე ისე გითხარი, თანხმობა თქვეხი საქმეა. მოძალე არა ვარ. ვახშამს ნუ წავიმწარებთ უბრალოთ.

ტიგრანამ ბოთლი ხელიდან გამოაცალა და ჭიქები აავსო,
ყაფლანი მოსხლეტით დაეშო სკამზე.

თვალეზში ნისლი ედგა და სამიკიტრო კარუსელივით ტრიალებდა. მან ათრთოლებული ხელით ჭიქა სწრაფად აიღო და სულმოუთქმელად დაცალა.

ტიგრანამ მაშინვე ბოთლს თავი მოუქცია და ლეინის შხეფები ყაფლანს თვალეზში შოხვდა.

ყაფლანმა მოღრეცილი სახით ტიგრანას შეხედა და ტიგრანა მიკიტანთან გავიდა.

წინასწარ მომზადებულ კალათით მიკიტნის ბიჭი სადღაც გაიქცა.

შემობრუნებულმა ტიგრანამ მაგიდაზე დამზობილი ყაფლანი წამოაყენა, ბონები ხელეზში ჩაუჭმუჭნა და ორთავე უხმოთ გარეთ გავიდა.

ყინვისაგან თოვლი ჭიქათ ქვეუღიყო და მოფანდალე ყაფლანი ტიგრანას ოთქქმის ხელში აყვანილი მიყავდა.

სარდაფის კარები მალე გაიღო და ტიგრანას, დანახეზე შეშინებული თეო კედელს მიეყრდნო. ტიგრანამ ყაფლანი ტახტზე დასვა და ქუდმოხდილი თეოსთან მივიდა:

— ბოდიშს ვიხდი, იქნებ უკმაყოფილო ხართ ჩემი სტუმრობით, მაგრამ დღეს სხვა დღეა და შეპატიება. მამითქვენსაც და მეც სურვილი გვაქვს ახალწელიწადს თქვენთან ერთად შევხედეთ.

— თეოს სახეზე წამოანათა და უკმეზი პასუხი კბილებით დაიჭირა.

ყაფლანს თავი გულზე ეკიდა.

მაგიდაზე იდგა მიკიტნის ბიჭის მიერ მოტანილი კალათი, სავსე სანოვავით და ხილით. შიგვე ეწყო რამდენიმე ბოთლი ტკბილი ღვინო.

— თეო!

უსიცოცხლოთ დაუძაბა შვილს და ცოტა ხნის შემდეგ აკანკალებული ხმით დაუმატა:

— ახალი წელიწადი მოდის, ხვალ ახალი წელიწადია. გაშალე შვილო სუფრა.

— ჩვენ თვითონ გავისარჯოთ ბატონო ყაფლან, ქალბატონ თეოს ნუ შეგაწუხებთ.

უწმაწური ღიმილით წარმოსთქვა ტიგრანამ და კალათი დაცალა.

თეო კვლავ იმავე ალაგას იდგა.

— რა მოვიციდა, რას გაშეშებულხარ! ასე ვიცოდით ჩვენ ახალი წლის შეხვედრა, სტუმრების პატივისცემა? გინძერი მეთქი!

სიავე მორეული ხმით შესძაბა ყაფლანმა თეოს და თავი ასწია.

თეომ თვალეზზე ხელი მოისვა და გასწორდა.

მერე ნელი, მაგრამ მკტაკე ნაბიჯით მივიდა ტიგრანასგან გაწუბილ მაგიდასთან

ტიგრანა თეოს მოსაზღვრეთ, ყაფლანის გვერდით დაჯდა ტახტზე, რომელიც ყოველ მის შენძრევასე საცოდავით ჭრიალებდა.

მალე ტიგრანამ თამადობა დაიწყო.

მსხვილთვლებიანი ბეჭდები ყველა თითზე ჰქონდა და ჭეჭეს უღებებს დროს ცდილობდა ისინი თეოს დაენახა.

პირველად თეო ადღევრძელა, შემდეგ ყაფლანი, მესამეთ მაშა-შვილი ერთად და ბოლოს დალია სიყვარულის სადღევრძელო, რამაც ქანდაკებათ ქცეულ თეოს ზიზღი მოგვარა და ნაჩუქარმა ტანისამოსმა სხეული დასწვა.

ტიგრანამ საათს დახედა.

თორმეტი იყო.

ის უბეშათი შეიშმუნა და მსუნაგ სურვილით ბრუ დახვეულმა, ახალი წლის დადგომის გამო, თეოს ხელ-ახალი სადღევრძელო შესვა, თან მისი ხელი აიღო და აკოცა.

თეოს წინააღმდეგობა არ გაუწყვია, რამაც ტიგრანა გაათამამა და ეინ-მორეულმა ეხლა ხელის გულზე დაახოცა თავის ლეზვიანი ლაფშები.

ტიგრანამ ქალს თვინიერება თანხმობით ჩასთვალა და ფრთები გამოესხა. წარმოიდგინა თეოს შიშველი ტანი, მისი შეხებით გამოწყვეული ბედნიერება და ყაფლანს მოუთმენლად ფეხი ფეხზე მაგრათ დააჭირა.

ყაფლანი ცივ წყალ გადასხმულივით შეტოკდა.

ის თითქო გამოუხიზლდა, მაგრამ ქედის გამართვა მაინც ვერ გაბედა.

ერიდებოდა თეოსი, რომელსაც ამ საღამოს ერთხელაც ვერ გაუსწორა თვალი.

ეშინოდა მისი დანახვის და ეგონა ტიგრანას მოცემული ფულის მაგიერ გულის ჯიბეში გველი ყავდა.

სტუმარმა მეორეთ ანიშნა ყაფლანს, რომელმაც ისე გააღჭრიალა კბილები, რომ ტიგრანა შეხტა, ხოლო თეოს თვალები ნალვერდლებათ ექცა.

ყაფლანმა კიდევ ერთხელ დაავლო ჭიქას ხელი და ღვინო გიჟივით გადაჰკრა. ცარიელი ჭიქა კედელს მიაფშვნა და წამოდგომა დააპირა, მაგრამ თეომ, რომელიც თვალს ადევნებდა მამას, ინსტიქტიურათ იგრძნო მოახლოებული საშინელება და ელვის სისწრაფით წამოხტა.

ვიდრე ყაფლანი ფეხზე დადგებოდა, ან ტიგრანა გაინძრეოდა, თეო უკვე ვარეთ იყო.

ყაფლანს ცა გაეხსნა, თავის სიცოცხლეში განუცდიელი შვემა იგრძნო და თვისუნებურათ შვილს დაედევნა.

ტიგრანა კარებისაკენ მიბრუნებული ერთხანს პირდაღებული იჯდა. მერე ზღაბენით აიშართა და დოინჯებით წარმოსთქვა:

— ეა, ე რა ქაჯი ვინმე ყოფილა, კაცო? როგორ ჩიტვივით გამიფრინდა თვალსა და ხელს შუა? ჰმ, ნამდვილი ოინი კი მიყვეს ამ მასაფხადლეზმმა აი, მთელი ახალი წელი გამიფუჭეს რაღა.

ტიგრანამ თვალი მოავლო იქაურობას და ქადილით ქურჭი ჩაიკვა:

— ჩემი ფული და დანახარჯი მაინც დამიბრუნეთ, თორემ დედას გიტორებით...

მან ერთხელ კიდევ შეუკურთხა გაქცეულ მასპინძლებს და წაეიდა.

XIX

საქართველოს გასაბჭოებისთანავე პარტიამ მირზა ბორჩაღოშინ გაგზავნა. ორ წელზე მეტია, რაც მირზა სამაზრო ხელისუფლებას „ხანაბეშტ“ სდგას და უკვე ღარიბთა უზადო ნდობა და სიყვარული მოიპოვა.

სამაგიეროთ სამკვდროთ გადაიკიდა ბეგები და მოლები, რომლებიც, რაცდრო გადიოდა, უფრო და უფრო გრძობდნენ ფრთა შეკვეცილობას.

სოფლის მზუთაეების გავლენისათვის რომ ნიადაგი გამოეცალა, მირზა პირველ რიგში შეუდგა ბოგანოების დარაზნებას, მათში კლასიური ინსტიქტის გამახვილებას და მაზრაში აღმშენებლობის გაძლიერებას.

ძნელი იყო მირზას ნაკისრი, მისი მოვალეობა, მაგრამ ის არ უშინდებოდა საუკუნოებით შექმნილ დაბრკოლებებს, რომ დაეძლია თანამოძმეთა ჯიუტობა და სიბენავე, გამოწვეული როგორც სილატაკით, ისე ადითით, ყურანის ბანგინი ქადაგით და შიშით.

მირზამ იცოდა თუ რა პირობებში უხდებოდა ბრძოლა და ამიტომ პარტიის და ხელისუფლების ღირებულებებს უფარდებდა ხალხის სულისკვეთებას და ყოფას.

ჯერ კიდევ იხტიბარ გაუტეხავ ბეგების, მოლების და ყადების წინააღმდეგაც ზოგჯერ ბირზა არ იღებდა აშკარა და სასტიკ ზომებს, არც მიზანშეწონილად მიაჩნდა, რადგან მთელი პარტიის და კერძოდ მისი მუშაობა თავისთავად მიმართული იყო მათ განადგურებისაკენ.

მეტ სიმკაცრეს კი შეიძლებოდა მდგომარეობა გაერთულებია და ხელი შეეშალა ახალ წესწუბილების განმტკიცებისათვის.

იმ სეიანებს, რომელნიც გასაბჭოების პირველ ხანებში გადაურჩნენ სტიქიას, მირზა რევოლუციონური კანონიერების გზით აიძულებდა ქედი მოედრკათ და დაყაბულებოდნენ ხალხის ნებას, ხოლო თუ რომელიმე მათგანი გაბედავდა ურჩობას და შეეცდებოდა ახალი ცხოვრების კალაპოტის გარღვევას, მისდამი მირზა განუკითხავი იყო.

მირზა გატაცებული იყო და ვაათმაგებული ენერგიით მუშაობდა:

აკეთებდა გზებს, ხიდებს.

ანაწალებდა მიწებს.

მიყრუებულ სოფლებში აარსებდა საკირო პუნქტებს.

გაყავდა არხები.

აწესრიგებდა საძოვრების გულისათვის ატეხილ დევას და ხალხს აგონებდა სისხლის აღების და სხვა საადათო წესების შეწინებლობას.

მისი თაოსნობით აგრეთვე შესაძლებელი გახდა კომკავშირის დაარსებაც და სკოლების გახსნაც.

ხალხი თვალნათლივ ხედავდა ამ ღვაწლს და მადლიერი იყო.

მხოლოდ მოლები, ბეგები და მათი დანქაშები მალულათ ცდილობდნენ ყველაფრის გაქაჩვებას და მირზას წესახებ აერცვლებდნენ, თითქო ის იმიტომ ებრძოდა მტკეთს და მამაპაპულ ზნეს, რომ მონათლული იყო, მაგრამ ამ მხაკრობას არაფერ აქცევდა ყურადღებას.

მუდამ მოუცლელს და ზრუნვით საეხეს იშვიათად აგონდებოდა თივის გუ-
ლი, თეოსაგან ნატკენი.

ხანდახან მძაჱრი სურვილი აღძვროდა, გაეგო მინც როგორ, ან სად
ცხოვრობდა ის აღაშიანი, რომელზედაც ფაქრა მირზას, შეუპოვარს და ბევრ
ფათერაქში გამოვლილს, მარტოობისას ასე უნიათოდ ზდიდა.

მირზა მარტო თეოს გახსენების დროს გრანობდა ერთგვარ სიცალიერეს
და სევდას, რასაც მალე სძლევდა და მუშაობაში იქარგებდა.

ის თეოს დაკარგულად სთვლიდა და გადაწყვეტილი ჭონდა არც ოდესმე
ეძია მისი კვალი.

მირზას თეოსთან შეხვედრის წარმოდგენაც უძძიმდა და ამიტომ იყო თბი-
ლისში ძვირად და მხოლოდ აუცილებელ საქარობას დროს ჩამოდიოდა.

ეხლაც, მირზას თბილისში ჩამოსვლა გამოწყვეული იყო აუცილებლობით—
პარტიულ ყრილობას უნდა დასწრებოდა როგორც დელეგატი და პასუხისმგებე-
ლი მუშაკი.

ყრილობა ახალ წლის სწორზე გაიხსნა რუსთაველის თეატრში.

სტდომის დამთავრების შემდეგ მირზა ფოიეში მოულოდნელად ირაკლის
შეხვდა და გვერდის ავლა განიზრახა.

მაგრამ ირაკლი ძმასავით გადაეხვია წლის მოზიარეს და გადაყოცნა.

მირზასაც გუნება მოუბრუნდა და ეხლა უხაროდა, რომ ირაკლი ნახა.

გარეთ გამოსულებმა გზა ერთად განაგრძეს და ირაკლი მომღიმარე მირ-
ზას ესაყვედურებოდა დავიწყებისათვის და იმისათვის, რომ გამოცნაურებასაც
არ აპირებდა.

ამბის გამოკითხვის შერე ირაკლი ელაპარაკებოდა პარტყრილობაზე მოსმე-
ნილ მოხსენების ირგვლივ.

მირზა რატომღაც ვერ ახერხებდა მხარის ამბვას და სიტყვებს ნაწყვეტად
ისროდა.

ზემელის აფთიაქთან მირზა შეჩერდა დაცილების მიზნით, რამაც ირაკლი
გააკვირვა და თან გაანაწყენა.

— რას ამბობ! აქ სადღაც სასტუმროში ღამის გათევას, ჩემთან წამოხვიდე
არ გირჩენია? აჰ, არ მოთხრა ძმობას გაფიცებ, შენ ჩემი სტუმარი ხარ. კრინტი!
ბევრი იუარა მირზამ, მაგრამ ირაკლიმ მაინც თავისი გაიტანა.

როცა სახლს მიუახლოვდნენ, მირზა პატრუქით აენთო და ძარღვებში
უჭველო სისხლის ჩქოროლა იგრძნო.

მირზას უნდოდა რაჱე ეკათბა თეოს შესახებ, მაგრამ ვერ გაბედა და ამან
კიდევ უფრო დაცხრილა მისი გონება.

— რომ იქ დამხვდეს თეო! ხომ მოსალოდნელია?!

ფიქრობდა მირზა და ფეხები თოვლში რჩებოდა.

— ასე რამ დგავგლახაკა. დასამალი რა გაქ!

შეეღდა თავს მირზა და გატაცებით მოლაპარაკე ირაკლის საუბარში
შეება.

სტუმარ-მასპინძელი აივანზე მუსაიფით ავიდნენ.

ირაკლი უცბათ შეჩერდა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა და კარების ზღვებისთანავე შინ მყოფთ შესძახა:

— ხელეზი ასწით, თან ყაჩაღი მახლავს!

შეფოცებული რუსუდანი მაშინვე ფეხზე წამოდგა და შეიღს შეეგება:

— როგორი ხუმრობა იცო, შემაშინე, შემოდი შეილო, რაეა შუა კარებში გაჩერებულხარ, ვაიციედა ოთახი.

ირაკლი შინ შემოსვლის მაგიერ, გატრიალდა და მირზა კარებში შემოაგდო.

— იცნობდეთ! ზელიმხანი!

ფესტის ფეხთან მჯდომ თეოს უცხოს დანახვაზე თვალეზი გაუფართოვდა-რუსუდანიმა მართლა ვერ იცნო ახალი მოსული და დაიბნა.

თეოს დაღინებული მზერით ენა დაბმულმა მირზამ ფეხებზე დახედა.

— თეო, როგორ შოშიასავით დაგიფრენია პირი, მირზაა, ვერ იცანი?

— უა, შენ გაგახარა შეილო ღმერთმა, რაფერ დავაეკაცებულხარ!

შეიცხადა რუსუდანიმა და მირზას შუბლზე აყოცა.

— გაუშვი ხელი, ნუ გატეხე ეს კაცი წელში!

გაეხუმრა დედის ირაკლი და პალტო გაიძრო.

— მობრძანდი, მობრძანდი გენაცვალე. შეციებული იქნები, ფეხთან მოდი-

ახლო.

საქციელ წამხდარი თეო კვლავ შეურხველად იჯდა.

— ოპო, ამფერუმ შენ ქალობას! გეწყინა ამ კაცის სტუმრობა თუ, რაშია შენი ქორონიკონი?!

ირაკლიმ შეანჯღრია თეო, რომელსაც ეხლა სახე აღმურად ექცა და ირე-ვით წარმოსთქვა:

— რატომ უნდა მწყენოდა...

შემდეგ ადგა და ხელი გაუწოდა.

მირზამ იგრძნო თუ არა თავის ტორში მისი პატარა ხელი, ხშიანი სალამი ველიარ მოახერხა და სუნთქვა შეეკრა.

ხელის ჩამორთმევის დროს უმცრათ ერთმანეთს თვალეზში შეხედეს და ორთავეს ბავშვბივით გაელიმათ.

რუსუდანი ფუსფუსით მეორე ოთახში გავიდა, ხოლო ირაკლი ფეხში შე-შის შესალაგებლად დაიხარა.

— სად გადაიკარგე, მირზა, სადა ხარ აქამდე!

რბილათ და საყვედურნარევი ხმით შეეკითხა თეო.

— დასაკარგავი რა აქვს, ბორჩალოს მეფეთაი კაცი. დედოფალი აკლია თორემ...

მირზას მაგიერ ირაკლი თავიუღებლად გამოეხმაურა თეოს და ცეცხლის გასაღვივებლად ფეხს შეუბერა, რის დროსაც გამოცვენილი ნაცარი თვალეზში ჩაუტყინდა და ბრმასავით ადგა.

— ბიჭოს, დაებრუციანდი მგონია.

თეოს ხმაშალა გაეცინა.



— რა გაცინებს მათხოჯო, მეფის მიინც არ გერიდება? მაგას არ უყვარს, როცა ქალები იცინიან.

— ხოოო.

— ხო კი არა, ხბო. არ გავს მეფეს თუ!

კვლავ იხუმრა ირაკლიმ და თვალების სრესით ფეხის კარი ჩაკეტა, შემდეგ მირზას მიმართა:

— კაცო, როგორ ხარ გადაყლაპულივით ჯგაბარ. გაიძვრე პალტო. ეს მთელი ცხვარი თავზე რომ ჩამოვიცვამს, არ გააძაშებს?

და ირაკლიმ თვითონ მოხადა პალტო და ბოხობი.

მირზას ლაპარაკი ეძნელებოდა და ერთივად სულ იღიმებოდა.

ამასობაში რუსუდანი გამოვიდა და ყველანი ფეხს მოუსხდენ.

შეიქმნა გამოკითხვა, მუსაფი და მირზა ცოტა მოთვინიერდა, გათამამდა.

რუსუდანი კმარი მოიგონა და აცრემლდა.

თეო ქურდულად უცქეროდა მირზას და ბავშობა წინ ეხატებოდა.

მირზა ეხლა წვერ გაპარსული იყო და უღვაშები მოკლეთ ჭონდა დაყენებული.

— სულ არ გამოცვლილა. ისევ ისეთია, კბილებიც კვლავ ბროლივით უღლავს. ცოტა დადინჯებული ჩანს.

ფიქრობდა თეო და გული კვლავ უტოკავდა.

თვით თეო გამხდარიყო, დაწვეები გაცრემოდა და მოელვარე თვალები ამოლილავებოდა.

თეო ახალი ნაავადმყოფი იყო.

სარდაფიდან გამოქვეულმა გათენებისას მოაღწია მამიდასთან და იმავე დღეს გააცივა. სამი დღე იწვა.

გარდა ამისა თეოს სტანჯავდა მამისაგან ისეთი მოპყრობა და ამან უფრო დაატყო დაღი.

მირზამ რამდენჯერნე შეაპარა თეოს თვალი და იქვები აწვალებდა.

— გათხოვდა ალბათ. ვინ იცის, შვილიცა ყავს—გაუელვა თავში და აიშლვრა.

— ეს ფესტის ფეხი პირდაპირ მისწრებაა. ტყუილია ნათქვამი, რომ იაფს ვემო არა აქვსო.

წარმოსთქვა ფეხზე მიფიცებულმა ირაკლიმ და თეოს მიუბრუნდა:

— თეოჯან. ერთი შენებურათ დაკვიწილდი და სუფრა გაშალე. სტუმარიც, რომ არ იყოს, გავლა მოგიხდება. სასიკვდილო აღარაფერი გიჭირს. ჰე!

— ავით იყო?

უეცრათ იკითხა მირზამ და თავის ხმამ თვითონვე გააოცა.

თეოს სიხარულმა კოჭებამდე დაუარა.

— ავით იყო შეილო, ავით, მაგას მოუტკვა მამიდა...

აწუწუნდა რუსუდანი.

თეოს შეეშინდა მირზას არ გაეგო მისი ავადობის მიზეზი და მამიდას ვედრებით შეხედა.

— ახა რა დროს ვალალია დედი, შენც წამოდექი ჰო, არც რანე ბებერი ხარ, რამდენადაც თავს იკატუნებ. როცა რძალი მოგიყვანო, მაშინ მოეფრთხი ფები, ესლა კი გაისარჯე და თეოს გაუძებ, თორემ ხომ ეცტა: ჩუკაჩუკა კვიშატია, სუფრაზე მოტანამდე ყველაფერს გზაში დააბნეეს.

— კი შეილო, ნეტავი შენს ცოლშვილს მოვესწრებოდე და მერე თქვენ სანაცვალოდ წავსულავარ.

თუ და რუსულდანი ვახშმის თავდარიგს შეუდგენ.

მირზამ პაპიროსი ამოილო და ირაკლის მიაწოდა.

ირაკლიმ მირზას გამოკითხა ბორჩალოში პარტმუშაობის შედეგები, ხალხის მდგომარეობა და დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი, იმშენებლობა, და შესაიფი თეოს მიწვევამ შეაწყვეტინათ.

— უი, დედიჯან, წაილე, წაილე, ეგ რა მოგიტანია, ღორის თავი და თათარი! წაილე მეთქი, თორემ გაგვეტყუა ეს კაცი!

მირზას სიცილო აუვიარდა.

— ჯერ კიდე ახალი წელია შეილო! გოზინაყსაც გაქპეეთ.

მზიარულათ ივახშმეს.

ირაკლი ხუმრობდა, მაგრამ გულგახსნილი თეოც არ უგდებდა ცალს.

მირზ.საც გაუარა რიღმა.

ნავახშმევს ირაკლიმ სტუმარი თავის ოთახში წაიყვანა.

მირზას დიდხანობამდე არ მოუხუქავს თვალი შეფთავდა: თეო ხან უცოდველი ეგონა, ხან მოლაღატე და ფარისეველი.

დიღას ირაკლი სამსახურში წავიდა.

ყრილობის სხდომები ხალამოს იმართებოდა და მირზა არ გაუღვიძებია.

რუსულდანი ზვეულებრივ ბაზარში წაბაჯბაჯდა.

თეო აწრივდა. ადგილს ვერ პოულობდა. რამდენჯერმე დააყურა ირაკლის ოთახის კარებს, მაგრამ შეღება ვერ გაბედა.

მაღე მირზა ადგა.

ღარბაზში გამოსულს მარტო თეო დახედა და შედრკა.

თეო უკვე გაწმენდილ ჩაის ჭიქებს ყასიდათ ასუფთავებდა.

— ირაკლი წავიდა?

რალაც მწუხარებათ იკითხა მირზამ.

— დიახ. გთხოვათ სადილობამდე დაუცადოთ. ყრილობაზე ერთად წავიდეთო... ზობრძადით ჩაი მიირთვიო!

მირზას ეუცხოვა თეოს კილო და მაგიდას დამნაშავესავით მიუჯდა.

სინემეს სამოვარის შიშინი არღვედა.

წინა თანჯარიდან მოსჩანდა, თუ როგორ უხვათ ცეივოდა თოვლის ფარატინები.

მირზას ჩაი პირს თუთქაუდა, მაგრამ მაინც შეუსვენებლად სვამდა.

— მირზა!

წყნარათ დაუძახა თეომ და მირზამ საკირეში იგრძნო თავი. თეო მაგიდის იქითა მხარეს, მირზას პირისპირ დაჯდა.

— მირზა, გახსოვს, უკანასკნელი შეხვედრა ფიქრის გორაზე? მაშინ შენი შიკეიმული პირობა მეორეთ ნახვის შესახებ, რატომ ვადათქვი?



მირზამ კიკაში ჩაიძახა მოკვეთით:

— დამიჭირეს.

— მართლაც?.. მე კი...

მირზამ თავი ასწია და ცრემლებით საეცე თეოს თვალებს შეეჩება.

მირზა მოიღვენთა, დალბა.

იმის ეჭვი, რომ მასწინ თეომ გასცა, ან მისი გაუფრთხილებლობით დაიჭირეს, ერთბაშით გაიფანტა.

— დამიჭირეს და ვერ კი შეგატყობინე. ვერ მოეახერხე. მონანიებით წარმოსთქვა მირზამ.

თეოს ტუჩები აუთროლდა, მაგრამ სისუსტეს დასძლია:

— მე სხვაფრივ ვიფიქრე...

— მეც მეგონა რომ... კედის მეზობლობამ იმოქმედა შენზე, დაგცდა რამე. ზნირი მიმოსვლა გქონდათ, კარგი განწყობილება და მიტომ...

ღიმილით წარმოსთქვა მირზამ.

თეო აპილბილდა:

— რას შემართლები მირზა, ასე მიუსანდოთ როგორ ჩამთვალე!

— არა, ეს მეტი... იმით მომივიდა...

დაება მირზას ენა.

ცოტა სიჩუმის შემდეგ მირზამ თეოს უამბო დაქერის პირველ დღეებში ციხეში განცდილი მწუხარება. იქებები. საქართველოდან გადასახლება. დაბრუნება და ბორჩალოში წასვლა.

თეომაც მოუთხოო თეისი თავგადასავალი.

უკანასკნელი ამბის დროს თავი ველარ შეიმაგრა და ჭვითინმა დააბრწო.

მირზა გულში ტუქსაედა თავის თავს, რომ ერთხელაც არ ცდილა გავეო თეოს ამბავი, მისი მდგომარეობა, ან დარწმუნებულებო აღძრულ იქებებში.

მირზა გულწრფელათ შეაშფოთა ახალწლის ღამეს თეოს თავზე დატეხილმა უბედურებამ.

მაღე მათ შორის ჩატეხილი ხიდი გამთელდა და ერთმანეთისათვის არაფერი დაუშალათ.

ისინი რამდენიმე დღის განმელობაში ყოველ დღლას მარტო რჩებოდნენ და ეს დრო მათთვის ისევე ძვირუასი გაბდა, როგორც მთაზე და ფიქრის გორაზე ერთად ყოენა.

ყრილობის დაბურვის შემდეგ, სახლში მისვლამდე მირზამ ირაკლის გაანდო თავის განზრახვა და ამზანაგური რჩეა თხოვა...

ირაკლიმ სიხარულით ჩამოართვა ხელი მირზას და გამეღელათა გასაოცათ მაყრული შემოსძახა.

შინ მისვლისთანავე, მოუთმენლად მათ მომილოდინე თეოს მივარდა, ერთბაშით ჰაერში აიტაცა და ააბურთავა.

— მომილოცაეს, მომილოცაეს დედოფლობა.

შემდეგ თეოს ხელი გაუშვა და დარბაისელის კილოთი წარმოსთქვა:

— მზე და მთვარესავით შეგაბეროთ... შეგაბეროთ ღმ... უპ, რა გვეშეულება, ღმერთის მაგიერ რაღაცა სხვა სიტყვა უნდა გამოვიძებნოთ, უფრო მეტი დახარაკი ჰქონდეს.

რუსულადნი გაოცებული იყო და შვილის ნათქვამი ვერ გაეგო.

— რას უღოცავ ბიჭო ამ ბაეშს! მთვარალი ხომ არა ხარ, რაეა ციყვივით ხტი ამოდენა კაცი.

— რას უღოცავ! არ იცი დედი, თათარი და თეო უნდა ვაგვირგვინოთ. რუსულადნი კიდევ უფრო გაკვირდა და მირზასა და თეოს მცდელი თვალთ შეხედა.

ორივე დარცხვნილი იდგა.

რუსულადნი დარჩნულ და, რომ ირაკლი აღარ ზუმრობდა და ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია და სიტყვა აუკრა:

— გვირგვინი, თვარა ეხლა რომ იმას ფასი აქვს!

ირაკლიმ კვლავ ზუმრობა დაიწყო და ჩამოვარდნილი უხერხულობა გაქრა. ვახშმის შემდეგ, როცა ირაკლი და მირზა დასაძინებლად გავიდნენ, რუსულადნი თეოს უსაყვედურა:

— შვილო, რატომ შე არ გამენდე პირველად, რა იქნებოდა გეკითხა ჩემთვის, გათხოვება ზუმრობა ხომ არაა.

თეო გრძობდა, რომ მისი არჩევანი მაინც და მაინც არაფრათ მოწონდა რუსულადნს და შეწუხდა, თუცა გადაწყვეტილება და მირზასთან შეუღლების სურვილი ოდნავადაც არ შერყევია.

— არ ვიცი შვილო, ღმერთმა ბედნიერი გამყოფოს, მარა ყაფლანის ვაუგებლად მკ საჭრეს ვერ გირჩევ. თუ ქალი ხარ, მის ყბაში არ ჩამაგდო.

ამ სიტყვებით რუსულადნი ადგა და თავის ლოგინის ვაშლა დაიწყო.

თეო კი დიდხანს იჯდა დაფიქრებული.

მეორე დღეს რუსულადნი მეზოვეს ხელით ყაფლანს წერილი გაუგზავნა, სწერდა აუცილებლად მოსულიყო.

მართლაც, ყაფლანი, შებინდებისას მოვიდა.

წინ მარტო რუსულადნი შეხვდა.

ირაკლი და თეო ოთახში ჩაიკეტენ.

მირზა განგებ გავიდა ქალაქში.

ყაფლანი მუნჯივით ფეხს მიუჯდა.

შესაბრალო შესახედი იყო—სახე სულ გაფითრებოდა, ყბები შევარდნოდა. ცხვირი გათხელებოდა და თვალები კუკუნახში ჩაცვენოდა.

ცოტა სიჩუმის შემდეგ რუსულადნი განზე წამოსთქვა:

— ყაფლან, გასახარელი ამბავი უნდა გითხრა.

ყაფლანმა პასუხის ნაცვლად დას შეხვდა.

— ჰო, მე მგონია არ გეწყინება... თეო თხოვდება...

ყაფლანი გაცოცხლდა, სახეზე ნუგეშის სხივმა გადაურბინა და გულთ ინატრა:



— ნეტავი მართლა...

— მართლა, და-ძმობას გეფიცები. თხოვდება, თუ შენი სურვილია...
სიტუმი ჩამოვარდა. მერე ყაფლანმა იკითხა:

— ვის მიყვება?

რუსუდანს ფერი ეცვალა და პასუხი შეაგვიანა, ფეჩის კარი გამოაღო და შიგ ნაპობის შედების დროს უთხრა:

— შირზას უნდა გაყვეს, აი შენს გაზრდილ შირზას.

ყაფლანს სახე მოექცა. სკამზე გველნაკბენივით აწმარდებდა და თვალები კიდევ უფრო ამოუქვევრდა.

ყაფლანი თავის ყურებს არ უჯეროდა და კვლავ მკვახეთ იკითხა:

— ვის მიყვებაო?!

რუსუდანი შიშით დაიღია, მაგრამ მაინც ვაბედა:

— დაჯრუდდი შე კაცო! შირზა ხო იცი, იმაზე აპირებს წაყოლას.

— ჩემს ნამოჯამიგირალზე? მებუმრები თუ!..

— საქმე ჯერ არ გაუთავებიათ, ისე ლაპარაკია...

— უწინამც სიკვდილი ღირსებია, ვიდრე მისი ცოლი გახდებოდეს. კარგი სიძე კი ამოგირჩევია. დაც შენისთანა უნდა. ამისათვის დამიბარე? შეგირცხვა ქალობა!

ყაფლანი გააღმასებული წამოდგა. ის მზად იყო თავისი დის სისხლი შეესვა.

რუსუდანმა თავშალის ყურს დაუწყო ჩეჩვა.

— მოიცა, შე კაცო, რა ხშირად შენ დადიხარ! მართლა, როგორ მოვიქცეთ?

— რას მეკითხები შე სულწაწყმედილო! არ იცი, რომ თეოს-მე იმას არ გავატან! თუ კარგ სამაჰანკლოსაა შეპირებული და შიტომ იწვევ კუქს.

რუსუდანმა შეურაცყოფა იგრძნო და ხმას აუწია:

— რამ ჯანდაბამ გავაშხამა ასე, რაფა, თეოს გლახა შენზე ნაკლებ მეწყინება?

— ერთხელ გითქვამს და მეორეთ აღარ გამაგონო. თეოს ზვარაკივით დაგკლავ და ჩემს ნამოჯამიგირალს არ გავატან. არ გავატან, გესმის! შვილს ნუ მომაკვლევინებთ.

— მე ჩემი ვალი მოვიხადე და ახლა როგორც გერჩიოს.

— კი წაებდი, მაგრამ სული ისევ მიდგას. შენ მაინც ნუ გადაივლი ჩემს გულზე. სხეებიც მეყოფა.

— კაცო, ისე მელაპარაკები, თითქო მე ვათხოვებდე ძალით შენს ქალი-შვილს. მისი წადილია და მოციქულობას ეასრულებ. არ გინდა და ჩოხის კალთებს არავენ გაგლეჯს. მარა ქალს პატრონობა უნდა, ნუ დაგავიწყდება...

ეს სიტყვები ისარივით მოხვდა გულზე ყაფლანს, შეტორტმანდა, ერთი მძულვარებით დას გადაჰხედა და წასვლა დააპირა.

ამ დროს გაიღო ოთახის კარები და ირაკლი გამოვიდა.

— გამარჯობა ბიძაჩემო. სად მიიჩქარი, კიდევ ხომ არ მემდღრო! დროა შევრიგდეთ.

ყაფლანი ისე იყო აღელვებული, რომ ხმის ამოღება გაუჭირდა.

— მოდი, მოდი, დიდიხანია აღარ გვიმუსაიფია ერთად... *მამაქაძე*, როგორც კაცი.

ამ სიტყვებით ირაკლიმ ყაფლანი კვლავ მოაბრუნა და დასვა.

— ბიძია გულმოსული ხარ გეტყობა. ალბათ დედაჩემმა გაწყენინა ხომ! დიდი ახირებულია ეს შენი და.

ირაკლის უნდოდა ხუმრობით გადაეხიროებია ყაფლანი, მაგრამ ენა ებორძიებოდა, არ გამოუდიოდა.

ბოლოს კვლავ ხუმრობის კილოთი სცადა:

— არაფერი გითხრა დედაჩემმა თეოს შესახებ? ერთი რჯულზე ვიქვიფოთ, ა, რას იტყვი ბიძია!

— დამკინით თუ რა ამბავია.

იყვირა ყაფლანმა.

— რატომ, უსინძისო ვიყო, თუ კარგი არ გვინდოდეს როგორც თეოსთვის, ისე შენთვის.

— მაღლობელი ვარ. ამისთანა სიკეთე არ გამოგილიოთ ღმერთმა.

— რაზე ხარ ბიძია ასე გაბეღებული, რა მოცივიდა!

— რა მომივიდა! ამაზე მეტი რაღა მომივა, ამაზე მეტი რა უნდა დამემართოს: მამული მქონდა, წამართვით; სიმდიდრე მომტაცეთ, საკუთარ სახლიდან გამომაგდეთ, კაცი ვიყავი, მათხოვრათ მაქციეთ, ერთი შვილი-ღა დამრჩა და ისიც გინდათ მომგლიჯოთ!

რუსუდანს თვალები ცრემლებით ავესო.

— ვინ გატანს ძალას, ვინ გართმევს შვილს, გყავდეს, მაგრამ ქუქას კი იზამდი რომ...

— რომ ჩემს ნამოჯამაგირალს, თათარს, ვიგინდარას, ჩემს მტერს მივცემდე ერთად-ერთ შვილს, არა! მანამდე უკეთესია დავმიწდეთ მეც და ჩემი შვილიც.

ირაკლის სიფიცხე იპყრობდა, მაგრამ თავს იკავებდა.

— ნამოჯამაგირალი კაცი არაა შენის აზრით? არ ვარგა ასე კერპობა ბიძაჩემო, მირზა ის მირზა კი აღარაა, ნახირს რომ ამწყვესვინებდი. აღარც ბავშვია. ეხლა გონება გახსნილია და ქვიანი. მთელი მანრა აბარია კაცს.

— ხელმწივე რომ გახდეს, მაინც არ მინდა სიძეთ ჩემი ნამოჯამაგირალი, გესმით თუ არა!

ირაკლიმ იფეთქა:

— როგორ, მაშ ყასბებს ჩაუგდებ ხელში? მეძავათ აქცევ, არა? ეს უკეთესია და უფრო შეეფერება შენს ღირსებას ხომ! სულელები ჩვენ ვართ რომ გებოდიშებით.

ირაკლი ფეხზე წამობტა.

რუსუდანი აკანკალდა და შვილს შეკნაელა:

— ირაკლი... შვილო...

— თავი დამანებე, თუ გიყვარდე.



ცივად შესძახა დედას და კვლავ ყაფლანს მიუბრუნდა:

— მაგ ყოყლოჩინობამ ჩაგაგდო ამ დღეში. ახია, თვითონ რავე მოგივია. მაგრამ ნურას უკაცრავათ თუ აწი თეო ყასბებეს საჯიჯგნათი აჩრდილგანგებოთ. შენ როგორც გინდა, სადაც გინდა იქ გამოიჩინე შენი გვარიშვილობა, ბიჭოს! ყაფლანი დიდხან იყო უბოთ და უძრავათ.

შემდეგ ნაღველა ჩაქცეულივით მოკაქული წამოდგა, ლასლასით კარებთან მივიდა და კარებში ფეხი ძლივს გადადგა.

მოყურებელი თეო ოთახიდან განწარებული გამოვარდა და ქვითინით მიიძახა:

— მამა... მამა... მამა...

ყაფლანმა უკან მოუხედავით და მშვიდათ მიიხურა კარი.

... ორი დღის შემდეგ ნაბდებში გახვეული თეო და მირზა ცხენებით ბორჩალოსაკენ მიდიოდნენ.

ყაფლანმა როგორც გაიგო თეოს და მირზას გამგზავრება, შვილი მკედრათ ჩასთვალა.

მთელი სამი დღე სარდაფიდან არ ამოსულა.

შემდეგ, ტიგრანას ნამალევიად გაყიდა სარდაფში თუ რამე ჰქონდა და იჭაურობა მიატოვა.

ყაფლანი ხშირად უსაქმოდ დაეხეტებოდა ქუჩებში.

ხან მშვიერი იყო, ხან სამადლოთ სამიკიტნობეში აქმევენენ ლუკმას, სამი-გვიროთ ახეხინებდნენ ჭვებებს და იატაკს.

შემთხვევით ნაშოგნ ორ გროშს გულმოდგინეთ ახვევდა ჩვარში და წინ-დის ყელში ინახავდა.

ღამეს ხან ნაცნობ მიკიტნის სამზარეულოში ათევედა, მეტ წილად კი მე-თორნეებთან, რომლებსაც ყაფლანი შეშას უბობდა, თუმცა ძლიერ უჭარდა, რადგან ნაჯახის ტარისაგან ხელის გულელებზე ფუთქები უზნდებოდა და ეწოდა.

ასე გაატარა ზამთარი.

გაზაფხულზე დაიწყო რკინისგზის სადგურზე სიარული, რომ ვინმესათვის ბარგი წაეღო, მაგრამ მატარებლის დროს ყაფლანივით მოსული ჯეელები მუ-დამ ფეხის ცერებზე იდგნენ და ხშირად მუნტარს პირდაპირ ხელიდან აცლი-დნენ.

ყაფლანმა ისევ მათხოვრობა არჩია.

სირცხილის ასაცდენათ და მეტო თამამობისათვის გაიპარსა წვერ-ულვაში და პირველად გარუებანში სცადა ბედი.

მერე თანდათან შუაგულ ქალაქში გადმოვიდა.

თუმცა აქ ხშირათ ამგუნებდნენ, მაგრამ ვიღაცა გამოერეოდა ისეთი, რომელიც დანაკლისს შეუვსებდა.

ერთ შაბათს მეკუბოვე როსტომოვს, რომელიც თავის დეგნას კარებში იდგა ახალი ნასადილევი და ჩაშავებულ კბილებს იჩიბებდა, ყაფლანმა ხელი გაუწოდა.



ჩასუტებულმა და თმიან-სახიანათ წითელმა როსტომოვმა ჯერ გამოხრულ კბილიდან ასანთის ღერით ფინჩა გამოიღო, დაუნოსა და ძველ „მანში“-ჩაიღვა. შემდეგ პირის წყლაპუნით გლახას აგდებულათ შეხედა და წარღმულენა!

— გაიარე, გაიარე.

ყაფლანი უკმაყოფილოდ გაუდგა გზას.

უკებ როსტომოვის ძაბილი შეესმა და მობრუნდა.

— მოდი აქ. შენ შეგიძლია ცხენების მოვლა, ან ბალდახინის გაყოლა?

ყაფლანი დაფიქრდა.

— გამომცადეთ ბატონო.

როსტომოვმა ერთი კიდევ ჩაათვალიერა ყაფლანი, ასანთის ღერიანათ გადააფურთხა და დუქანში შევიდა.

ყაფლანი თან შეჰყვა.

ვეება თუქანი სავსე იყო დიდი და პატარა ზომის კუბოებით.

ზოგი ლამაზით და მაგარი ხისგან იყო გაკეთებული, ზოგი ხერიანათ გაუსალაშინებელ ფიცრებისაგან ზერელეთ შეეკრათ.

კუბლებზე ეკიდა სხვადასხვა ფერისა და მოყვანილობის ტესტის გვირგვინები. ამ გვირგვინებს ცოცხლები ყიდულობდნენ მიცვალებულთა პატარსაცემად, მაგრამ მალე ისევ როსტომოვის დუქანში ბრუნდებოდნენ. მეკუბოვე მათ სხვაინაირათ ღებავდა და კვლავ ყიდიდა. ამ რიგათ როსტომოვს ერთი გვირგვინი ასჯერ მიიწვქენებოდა გაყიდული.

წასაღებათ გამზადებული გვირგვინები წარწერილი ლენტებით გამოკიდებული იყო ვიტრინაში.

აქვე ელაგა ყველა ჰასაქისათვის სარგო მკვდრის ფეხსაცმელები.

ამ სამი დღის წინათ როსტომოვს ერთი მებალდახინე არაყმა დაუხრწო და ყაფლანი მის მაგიერ უნდოდა აეყვანა.

ყაფლანს თავისი გვარი არ გაუხმელია, არც ფასზე მორიგებია წინასწარ როსტომოვს, ისე შეუდგა სამსახურს.

ყაფლანმა თავიდანვე დიდი მუყაითობა გამოიჩინა და როსტომოვი კმაყოფილი დარჩა.

ამგვარად ყაფლანმა იშოვა მუდმივი და იოლი საქმე.

უვლიდა ცხენებს და დაყვებოდა ბალდახინს.

უწვერულვაშო ყაფლანი, როცა ბალდახინის გასაყოლათ მოირთვებოდა, უცბოდ გრძნობდა თავს.

ის გულმოდგინეთ იცვამდა ფრაკის მსგავს ზედატანს, რომელსაც სილამაზეს მზოლოდ საყულოზე, საბელოებზე და მერცხლის ბოლოსავით მოყვანილ უკანა ნაწილზე შემოვლებული თეთრი ლენტი უკარგავდა, სამაგიეროთ ცილინდრი არაფრით არ განსხვავდებოდა ნამღვილისაგან.

ასე მოკაზმული ყაფლანი უფრო ბალისიანად იყო და ამყად იცქირებოდა, რისთვისაც ხშირათ უნდოდა ყოფილიყო ვასვენებაში.

ვანსაკუთრებით უხაროდა როცა რომელიმე კომუნისტი მოკვდებოდა და მის ვასვენებაში, როგორც ქორწილში, ისე მიდიოდა.

კირისუფლის სახლამდე და სასაფლაოდან დაბრუნებული, ბაღდახინის ნაპირზე ისეთი სახით იჯდა, თითქო საუკეთესო ცელი მიაქროლვებდა და ყველაფერი დაეშალა. ყაფლანი თავის ახალ ამბანაგებაც შეეგუა და მათთან ერთად ჩაბრუნდა. ბით სვამდა არაყს.

ღამე კი იძინებდა ბაღდახინის ყუთში.

ყაფლანისეულ მამულში შარშან წინ მოეწყო უღარიბეს გლეხთა დიდი კოლექტივი და ეზლა თვალწუვდენელ მინდვრებს ტრაქტორებით ხნავენ.

უფრო ადრე მის ნაქონ სახლში გახსნეს კლუბი, სამკითხველო და კრეკრეის სკოლა, ხოლო ქვედა სართულში მოაწყვეს კოოპერატივი.

დანარჩენი საჯილაბო ხის სახლები სოფელმა გადასცა უსახლკაროებს.

დასავლეთის ფრენსი უხვლელი*)

IV

ჩვენ სანგრებისაკენ უნდა დავწინაურდეთ.— შებინდებისას საბარგო ავტომობილები ჩამოდგნენ. ზედ ავტოკლით. თფილი სალამოა და ბინდი გვევლინება როგორც ზეწარი, რომლის კალთებს ქვეშ ჩვენ მყუდრო განსვენებას ვპოულობთ. თავით ძუნწი ტიადენიც კი პაპიროსს და ცეცხლს მთავაზობს.

ზეზე ვდგავართ კაცი კაცზე მკიდროდ მიჯრილი, ჯდომა არაეის ძალუმს. არც ისე მიჩვეული ვართ ჯდომას. მაულღერი, როგორც იქნა, კარგ გუნებაზე დადგა; მას თავისი ახალი ფეხსაცმელები აცვია.

მორტორები თუხთუხებენ, ავტოები რაზრაზებენ, ცახცახებენ. თემშარებზე იმდენი უგლიათ მანქანებს, რომ ყველგან ორმოგებია ამოთხრილი. სინათლის გაჩაღება შეუძლებელია. ამიტომაც ისე გვანჯღრევს მანქანა, ლამისაა ძირს არ ჩაწოგეყაროს. ეს არც ისე გვალბენს. ბოლოსდაბოლოს რა შეიძლება შეგვემთხვრეს; ხელის მოტეხა ხომ შორს უჯდესია, ვიდრე მუცლის გამოფატვრა, და ბევრს კიდევაც ენატრება ასეთი ხიფათი, რათა ამ გზით შინ წასვლა მოახერხოს.

ჩვენს გვერდით საარტილერიო ხელსაწყოთი დატვირთული საბარგულები შიშიმართებიან. შათ ძლიერ ეჩქარებათ, წამდაუწუმ წინ გვისწრებენ. ჩვენ აქედან ვცხუნრებით საბარგულებში მსხდართ, ისინი პასუხს ვცაძლევენ.

კედელი გამოკრთის შორიდან, იგი ეკუთვნის ერთ სახლს ქუჩის გადაღამ მდებარეს. უცებ ყური ვცქვიტებ. ხომ არ ვცდები? ისევე მკაფიოდ მომესმის ბატების ყოყბი. კატინისკის ვადაუხედვ. მანაც ვაღმოვხედა; ჩვენ ერთმანეთს გავუხვეთ.

— კატ, მე მანდ კარდალის კანდიტატის ხმა მესმის.

კატ თავს მიჩვენეს.

— როცა უკან მოგბრუნდებით საქმეს შევეუდგები, მანდაურობის ავანზავანი კარვად ვიცი.

რა თქმა უნდა, კატს არაფერი გამოეპარება. მას ამ 20 კილომეტრის მანძილზე ყოველი ბატის ქუკიც აღრიცხვაზე ჰყავს აყვანილი.

მინჯანგმა არტილერიის ნისადეგარს მიადწიეს. მფრინავების თვალის ასახვევად, ქვეშებები ნოშოსა და ბუჩქების ნილაბებით შეუმოსავთ, ისეთი შთაბეჭდი-

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 10.

ლება იქმნება, თითქოს აქ სამხედრო დღესასწაული გაუმართავთო. ეს შწვანე ტალავერები დიხაბაც მშვიდსა და სანუკველ სანახაობას წარმოგვადგენდნენ, მათში ზარბაზნები რომ არ ჩასაფრულიყვნენ.

ჰაერი ნისლისა და ქვემეხების კვამლს დაუზრქველბია. დენტის კვამლის სიმწარე ენაზე გვადგას. გრუხუნებენ ზარბაზნები, ზანზარებენ ავტოები, ეხოს გრიალი გაისმის გარშემო, ყოველივე ირყევა. შეუძნელოდ სახე გვეცვლება ჩვენ. თხრილებში ჩასვლა არა გვჭირია, არამედ ხანდაკვამდის მიღწევა, მიუხედავად ამისა ამჟამად ყველას სახეზე ატყვია შეგნება იმისა, რომ ჩვენ ფრონტის პირისპირ ვდგავართ, რომ ჩვენ ფრონტის წიაღში ვართ.

შიში ჯერ კიდევ შორს არის. ვინც ჩვენსავით ხშირად წინ წაწეულა ფრონტისაკენ, იგი სქელკანიანი გახდება. მხოლოდ გამოუცდილი ახალწვეულები ღელავენ. კატმა მათი განსწავლა იქისრა:

— ეს 30,5 მილიმეტრიანი იყო. ჰეე, მან დაიღრიალა ახლა, საცაა ყუმბარაც დაეცემა.

ამ ყუმბარების კვამლი ჩვენამდის ვერ აღწევს. მათი გრიალი ფრონტის საერთო გრუხუნში ინთქება.

კატმა ყურზე ხელი მიიღო. გარემოს ათვალთვრებს.

— ამაღამ დიდი რია-რია იქნება.

ჩვენ ყურ დაცქვეტილნი ვისმენთ. კრაპი ამბობს:

— ინგლისელებმა სროლა დაიწყეს.

ზარბაზნების სროლა სავსებით მკაფიოდ გვესმის. ეს ინგლისელების ბატარეებია, ჩვენი მისადგვარის მარჯვნივ. ისინი აქ ერთი საათით აღრე იწყებენ. ჩვენთან მუდამ სრულ ათ საათზე იწყებდნენ.

— რა მოუვიდათ ნეტა, წამოიძახა მელულერმა, — მათი საათები ნამეტანს იჩქარიან!

— მე თქვენ გეუბნებით ამაღამ დიდი რია-რია იქნება, მე უკვე ძვლებში ვგრძნობ ამას. ამბობს კატი და მბრებს იჩქავს.

ჩვენს გვერდით სამჯერ გაეარდა. ცეცხლის ზოლი ირიბად შეიჭრა ნისლში, ქვემეხები აღრინდნენ და აღრიალდნენ. ჩვენ ტანში ქრწოლა გვივლის და თანაც გვიხარია, რომ ხვალ უთენია ბარაკებში ვიქნებით.

ჩვენ სახეებს არც სინათლე მომატებია, არც სიმკრთალე, არც დაძაბვა იხატება მათზე, არც თუ მოღუნება. მიუხედავად ამისა ყოველ ჩვენგანს სახე ეცვლება. ცხადად ვგრძნობთ რომ ჩვენს სისხლში კონტაქტი მოიშალა, ეს ცარიელი სიტყვა როდია, არამედ ფაქტი.

ეს გახლავთ ფრონტი და მისი სიახლოვის შეგნება. ყოველივე ამან მოშალა კონტაქტი. როგორც კი პირველი გრანატები გაიჭუხუნებენ, როგორც კი ცეცხლის ზოლები ჰაერს დასერავენ, წამსვე ჩაწევა ჩვენს ძარღვებში, ჩვენს ხელებში, ჩვენს თვალებში იდუმალი ლოდინი, თრთოლა; გამძაფრებული სიფხიზლე გახშიანდება ჩვენში და ჩვენი გრძნობები საოცრად დაიძაბებიან, ერთბაშად მთელი სხეული მზადყოფნისთვის მოიპართება.

ხან და ხან მგონია საცაა შეზარველი, აჭოთქოთებული პაირო დაძვრება და უბო რიალით თავს დაგვესხმება. ან და ეს იყოს ეგეტიკური ფუნქციონტი, რომლის პირიდან ელექტროს ზიმშიმი გვეფინება, რომელმაც კანქვეშა მტკიცების წვეტიებს ყალბზე აყენებს და ძაბავს.

ყოველთვის ერთი და იგივე მეორდება: ჩვენ ბრძოლის ველზე გამოვდივართ როგორც ერთილი ან ბუზღუნა ჯარისკაცები, როგორც კი პირველ საარტილერიო პოზიციებს მიუახლოვდებით, ჩვენი საღბრის ყოველ სიტყვას ბგერა ეტყლება წამსვე.

როცა მარაგების წინ მდგარი კატი იტყვის: რია-რია იქნებაო, ეს მისი პირადი აზრია და სხვა არაფერი.—მაგრამ როცა იგი ამავე სიტყვას აქ გაიმეორებს, მაშინ ეს წინადადება ისევე სჭრის და ვარაუარებს, როგორც, მოვართან ღამეში ამოწედილი ხიშტი.

ეს სიტყვა გონებას გაბურღავს ხოლმე და იგი ეხმაურება ჩვენს არსებაში გამოფხიზლებულ ქვეშეცნეულს, ამ შემთხვევაში მის ნათქვამს რაღაც ბნელი სარჩული თან ახლავს. რია-რია იქნება—ვინ იცის ეგებ ეს იყოს ჩვენი უადუ-მალესი და უადრევი სიცოცხლე, უკვე შემკრთალი და თავდაცვისათვის გამზადებული.



ფრონტი, პირადად ჩემთვის, შეზარველი ორომტრიალია და სხვა არაფერი. როცა აღამიანი მის შუავულს დაშორებული მდორე წყალში დამორდლავ, გრძობ კლდეაც ამ ორი მტრიალის შემსრუტავ ძალას. ეს ბედითი ძალა უნებლიედ გიზიდავს და შენც წინაღუდგომლად მიილტვი მისკენ. მაგრამ მიწისა და ცის წიალიდან ჩვენ გვემატება ხოლმე მოსაგერაიებელი ძალების ფლუიდები. ეს ფლუიდები მეტ წილად მიწის წიალიდან გვიგზავნიან ჩვენ შენაკადებს. და ქვეყანაზე არავისათვის იმდენს არ ნიშნავს მიწა, რამდენსაც იგი ჯარისკაცისათვის მოასწავებს.

როცა ჯარისკაცი მიწას ჩაეკონება, ხანგრძლივად მიეკვრება, მიეტმასნება მის უშეს და მის კალთას, როცა იგი სახესა და სახსრებს მიწის ღრუებში ჩამალავს ცეცხლის შიშით თავზარდაცემული, მაშინ მიწაა ჯარისკაცის ერთად ერთი მეგობარი, მისი ღვიძლი ძმა, მისი მშობელი დედა და მიწის ღუმილი და გარინდება დაუფლებია მეომრის ცახცახს და მისი სულის შეფხვეულკვილს, მიწავე შეაწყნარებს მას, აჩუქებს მას სიცოცხლის ახალს ათიოდ წამს, იგი კვლავ მკერდზე მიიკრავს მეომარს, მაგრამ მახლას, ხანდახან მკერდში ჩაიხუტებს სანარადეამოდ!

მიწაო,

მიწაო,

მიწაო!

შენს მრავალგზის დაკეცილ, ღრუებიან კალთებში ეახერხებდით ჩვენ თავის დამალვას და ჩაცუქვას, ჩვენო დედა მიწაო!

თავზარდამცემელ შიშის ქარცეცხლში, გამანადგურებელ ალისქარში, აფეთქებულ ყუმბარების გულშემშარავ ღრიბაში ეს შენ მოგვანიჭე ჩვენ მხარისათვის-
 ცოცხლო ენერჯიის ფლუიდები, შენ დედა მიწა!

შენი წიაღიდან დაძრული აფორიაქებული გრიგალი დაფლეთილი ყოფნისა ისევ ჩვენს მაცემში შემოიჭრებოდა და ჩვენ სუთქვაშერჩენილები ისევ შენს უბეში გავიანაბებოდით, მღუმარედ ვითვლიდით გადარჩენილ სიცოცხლის წუთებს და გკბენდით შენ დედაო მიწა!

როგორც კი პირველი გრანატები აგრუხუნდებოდნენ, ჩვენი არსობის ერთი ნაწილი ათასეული წლების მანძილზე უკუ იქცეოდა.

• ეს არის ჩვენი გაღვიძებული ცხოველური ინსტიქტი, რომელიც ჩვენ მიმართებას გვაძლევს და გვიფარავს.

ეს ქვეშეცნეული ძალა უფრო სწრაფია და უფრო მარჯვე, ვიდრე შეგნება. შეუძლებელია მისი განმარტება.

ვაქციათ შენ უსაზნოდ მიდიხარ, უცებ რომელიმე ღრუში ამოჰყოფ თავს და ამ წუთში შრაპნელმა ზედ გადაგიჭროლა, ვერც კი მოიგონებ როგორ მოხდა ეს? გრანატის ხმა გაიგონე და იმიტომ ჩასწყვი თუ ისე უსაზნოდ წაიქციე?

ეს რომ არა, შენ რა იქნებოდი ახლა? მიწაზე გაბნეული ხორცის ნაფლეთები. ეს გაბლაგეთ ჩვენს ბუნებაში მიჩვეული ნათელმხილველი ინსტიქტი, რომელმაც ჩვენ წაგვაქცია და გვისხნა, მაგრამ ჩვენ ეს არ ვიცით რა იყო და როგორ მოხდა? ეს რომ არ ყოფილიყო, მაშინ ფლანდრიიდან მოკიდებული ვოგეზებამდის არც ერთი კაცი ცოცხალი აღარ დარჩებოდა.

ჩვენ გავდივართ ბრძოლის ველზე როგორც კეთილი ან ბუზღუნა ჯარისკაცები და როგორც კი ფრონტის მისადგვრანდის მივალწევთ, უკვე გამბედავულ ადამიანებად ვიქცევით.

მარჩხა ტყეში შევიდით. საღაშქრო სამზარეულოებს გვერდით ჩაუფარეთ. ტყეს რომ გავედით, საბარგო ავტომობილებიდან ჩამოგვსხეს. ავტოები უკან გაბრუნდნენ. ისინი იალონზე კვლავ ბარაკებისკენ წავიყვანენ.

ველზე გამდგარი ნისლი და ქვემეხების ბოლი მკერდამდის მოსწვდება კაცს. მთვარე დაჰყურებს მიდამოს. თემშარაზე ჯარები მიდიან. თავების აღნაგობა მკაფიოდ მოსჩანს. მუნდირები, ძიქვები და ჩექმები ისე გამოეყენნენ ნისლს, თითქოს რძის ტბიდან გამოსცურესო. მწკრივი მწკრივს მისდევს. მწკრივი მიიზღაზნება. ადამიანების ფეგურები შედედდნენ, ეს მასხა უშველებელ სოლივით ებჯინება ბნელს, აქედან თითოეული ადამიანის აღნაგობას ვერ უწევს თვალი, მხოლოდ ბნელი და გრძელი სოლი მიიმართება შორს, სოლი წინ მიიწევს მაგრამ არ მოკლდება, რადგან ნისლის ზღვისგან გამოყოფილი თავები და თოფები აფეხებენ მიმცურავ კოლონას. მოსჩანს უზარმაზარი, გრძელი და ბნელი სოლი.

ჯვარედინ გზაზე მცირე ქვემეხები და საარტილერიო ხელსაწყოთი დატვირთული საბარგულები შემოგვეყარა. ცხენების გავა მთვარის შუქზე კაშკაშებს.

თვალწარმტაცია მათი მოძრაობა, ცხენებმ თავს აჭნევენ, აქედან ვხედავთ თუ როგორ ბზინავენ მათი თვალეები, ზარბაზნები და საბარგულეები მთელი განათებულ ლანდშაფტის ფონს ეყრებიან, ფოლადის მუხარადიანი მჭიდრობით წარსულთა დროთა რაინდებს მოგაგონებენ და ეს სურათი საუცხოვოა და თვალწარმტაცი.

ჩვენ საპიორების პარკისკენ მივიწვეთ. ზოგი ჩვენთაგანს მოდრეკილ, წიეტთან რკინის ჯოხს მიათრევს, ზოგსაც ბრტყელი რკინის ფირფიტებზე დახვეული მავთულის გორგალი გაუღვეს მხარზე. ეს ტვირთი უხერხულია და მძიმე.

ნიადაგი უფროდაუფრო ოღროზოლო ხდება. წინიდან ცნობას გვაძლევენ წამდაუწყვთ: ფრთხილად... მარცხნით ყუმბარის ღრუა, ერიდეთ თბრილს.

ჩვენი თვალეები დამაბულია, ფეხებითა და ჯოხებით გზას ვიკვლევთ. უცებ მწყრივი შესდგება. ჯარისკაცი დაწინაურებული ამხანაგის მხარზე დებულ მავთულის გორგალს ეხეჩება და თანაც იგინება.

რამოდენიმე დამხვერეულ საბარგულს შეუკრავს გზა.

ახალი ბრძანება მოდის: ყალიონები და ჰაპიროსები დამალეთ. უკვე სანგრებამდის მივსულვართ.

ამასობაში მთლად ჩამობნელდა. მომცრო ტყეს გარს შემოუარეთ და ჩვენს წინაშე ფრონტის უბანია.

გამოურკვეველი, მოწითანო სინათლე მისდევს კიდიდან კიდიმდის ცისკიდურს. იგი დაუცხრომლად ფარფატებს, ბატარეების დინგებიდან ამონახროლიცეცხლით შეტოკებული. მოვარვარე ბურთულეები ცეკვავენ ჰაერში, ვერცხლისა და აღისფერი ბურთულეები; ისინი მალი-მალ სქდებიან და მაშინ უამრავი თეთრი, მწვანე და წითელი ვარსკვლავი იფრქვევა მიწაზე.

ფრანგული მაშხალეები ცას აეჭრებიან, აბრეშუმის ქოლგისებურ კალთებს გაშლიან და ნელა, სულ ნელა ძირს დაეშვებიან. ისინი გარემოს გაანათებენ უცებ, მათი შუქი ჩვენამდის აღწევს, ასე რომ ჩვენ ჩვენს ლანდს ეხედავთ მიწაზე ამოქარგულს. ხანდახან ერთი წამის განმავლობაში ჰაერში ფარფატებენ ისინი, ვიდრე ძირს დაეშვებოდენ. ახლა ახალი და ახალი მაშხალეები ავარდებიან ცაში და მოეფინება ჰაერს ისევ მწვანე, წითელი და ცისფერი ვარსკვლავები.

— ციციანთელებია! იტყვიან კატი.

ქვემეხების გრიალ-გრიალი ერთბაშად მდორე და განუწყვეტელ გრუხუნად იქცევა, გაივლის მცირე ხანი და ისევ ჯგუფ-ჯგუფად მოისმის მათი ღრიალი დარაბრაბი.

ტყვიამურქვევების ხმელი რატრატი გაიმართება. ჩვენს ზევით ჰაერი უხილავი რიალით, ღრიალით, სისინითა და შიშინით აივსება. ეს გახლავთ მომცრო ქვემეხები, ხანდახან მძიმე მაჯლაჯუნებიც აბუბუნდებიან, მათი ყუმბარები ღამეს გახლეჩენ და ჩვენს უკან მოადენენ ბრავუნს. ისინი ისე ყრულ, ხმაჩახლეჩილად ბლავიან, როგორც ხაირიმები გაგრილებების ეამს და ჰაერში გამდგარ მცირე ყალიბიანი ქვემეხების ღრიალსა და წივილს დასრდილავს ხოლმე მათი მედგარი, ზოზანხარე ბუბუნი.

პროექტორები უბეებს უსინჯავენ ჩამოხენლებულ ზეცას. ისინი გლავენ ცაზე როგორც უხარმახარი, ბოლოში წაწვეტებული სახაზევე მსგავსი მდუმარე ცახცახით მიებჯინება ცას. წამსვე მეორეც მასთან განიხილება, ისინი ერთიმეორეს გადაეჯვარადინებიან, გაეხლართება მათ შორის შავი ობობა და შორთავს ლასლას: ეს მფრინავია. იგი ყოყმანობს, იბნიდება და ფარფატებს.

* *

ჩვენ თანასწორ მანძილზე ვარჭობთ მიწაში რკინის სარებს. ორ კაცს გორგალი უჭირავს, სხვები გლიან მავთულს სთიშავენ. ამ სახიზლარ მავთულს მკიდრო ეკლები ასხია. მე გაწაფული არა ვარ ამ საქმეში და ხელი მისისხლიანდება.

რამდენიმე საათის შემდეგ გავათავეთ, მაგრამ ჯერაც საბარგო ავტოები არ მოსულან. ჯარისკაცები იქვე წაწვევენ დასაძინებლად. მეც მოვიკეცე მიწაზე, წაძინება ვეცადე.

ძლიერ ვრილა. ეტყობა: ზღვის მახლობლად ვართ, ჩასთვლინავ და სიცივე ისევ გაგაღვიძებს.

როგორც იყო მაგრად ჩამძინებოდა. უცებ მიღლა შემტყორცნა რაღაცამ, არც კი ვიცი სადა ვარ. ვხედავ ვარსკვლავებს, მაშხალებს და ისეთი შთაბეჭდილება შემექნა, თითქოს რომელიღაც დღეასწაულზე, სადღაც ბალში დამძინებოდეს. აღარ ვიცი დილაა თუ საღამო, ვწვევარ მწუხრის რბილ უბეში და გელოდები თვილსა და ტბილ სიტყვებს, ხომ არა ვსტორი? თვალები მოვიფშვინტე, საოცარია, ბავშვი ხომ არა ვარ?

გულჩვილო ყრმაო!

სულ ერთ წუთს გაგრძელდა ეს ანბავი და შემდეგ კი კატჩინსკის სილუეტე შევიცანი.

დაწჯდარა ჩემს გვერდით ძველი მეომარი. ზის თავისთვის მშვიდად და ყალიონს ამოღებს, რა თქმა უნდა სარტველიან ყალიონს.

როგორც კი შენიშნა, რომ მე გამოზღვდი, კატჩინსკი მიუბნება.

— რამ შეგაერთო. ეს უბრალო შექმფენი იყო, აქვე ზუჭებში გაიზუზუნა.

წამოედექი. საოცარ მარტოობას განვიცდი. კიდევ კარგი რომ კატჩ ჩემს გვერდითაა. იგი დაფიქრებული შესცქერის ფრონტს და ამბობს: „რა მშვენიერი ილაუნინაციაა, ასე საშიში რომ არ იყოს.“

კიდევ ჩამოვარდა ჩვენს უკან შექმფენი. ახალწვეულები დაფრთხნენ. რამოდენიმე წუთის შემდეგ ისევ იელვა, მაგრამ ახლა უფრო ახლოს. კატჩმა ხელისგულზე დაიფერთხა ყალიონი.

— შექმფენებია.

იწყება. იწყება. ჩვენ ხოხვით გავეცალეთ იქაურობას.

უცებ პირდაპირ ჩვენს შორის დაეცა ნასროლი.

რამდენიმე ჯარისკაცი აყვირდა. მწვანე მაშხალები აიჭრენ ცაში. ტალახი ზვეით ავარდა, ნამსხვრევები ხშულით გაიბნენ. კარგად გვესმის, თუ როგორ ეცემიან ძირს ნამსხვრევები, მას შემდეგ რაც გრანატის ზუზუნი მიყრუვდება.

ჩვენს გვერდით დამფრთხალი, ჭერა ახალწვეული წევს. სახე ხელუბნით დაუფარავს, მუზარადი თავიდან გადასცლია.

მე დავითრიე მისი მუზარადი და მინდა თავზე გადაეყვანა. შვეიცარიის პატრონს მან ზევით აიხედა, მუზარადი ხელიდან გამიგდებინა, წამოჩოჩდა და ბავშსავით ილიაში ჩამირგო თავი. მისი ვიწრო ბეჭები ტოკავენ. მას ისეთივე ბეჭები აქვს, როგორც კემშერისს ჰქონდა.

მე ნებას ვაძლევ თავი შემადაროს. მისი მუზარადი რომ უქმად არ გდებულყო, ავიღე და უკანალზე წაეიფარე და ეს ჩაეიდინე არა დამფრთხალი უსაზნობის წყალობით, არამედ სავსებით მიზანშეწონილად, რადგანაც უკანალი ადამიანის სხეულის უმაღლესი პუნქტია. მართალია, უკანალზე უზრკელესი კუნთებია, მაგრამ იქ მოხვედრილი ტყვია ყველაზე მეტად მწვავეა, ლაზარეთში მთელი თვე მუცელზე უნდა იწვე და თუ ასე იოლად გადაიჩი, დაკოჭლება ხელში გეჭიროს.

სადღაც ყუმბარა გასქდა, ძლიერი გრუხუნი მოგვესმა. ეს მრავალგზის გამოვრდა. ინტერვალებში ყვირილი გვესმის.

როგორც იქნა სიხუმე ჩამოვარდა.

მე წამოვდექი. ახალწვეული შევანჯღრიე და ვეუბნები: „გაიარა პატარავ, კარგად გადავრჩით.“

იგი თავბრუდარსხმულსავით გამოიყურება.

მე ვამშვიდებ: არაფერია, მიეჩევი.

მან თვალი ჰკიდა თავის მუზარადს, აიღო იგი და თავზე დაიხურა. ნელ-ნელა გონს მოდის. უცებ მთლად გაწითლდა და დარცხენილი გამომეტყველება მიიღო. ფრთხილად წაივლო ხელი უკანალზე და შეწუბებული შემომტკეპრის. მე წამსვე მიუხედი: ეს ზარბაზნის ციებ-ცხელება უნდა ყოფილიყო.

სწორედ იმიტომაც არ დავადევი მე მას მუზარადი იმ ადგილზე—მიუხედავად ამისა ვანუგეშებ: „სასირცხეო აქ არაფერია; პირველი ცეცხლის დანახავზე შენზე უფრო დიდ ვაეკაცებს დაუსერიათ ნიფხავი. წა, ამოეფარე იმ ბუჩქს და გადააგდე პერანგის ამხანაგი. მორჩა და გათავდა.“

იგი მიიმალა. ოდნავ მიწყნარდა გარემო, მაგრამ ყვილი მაინც მოისმის:

— რა მოხდა ალბერტ? — ვეკითხები.

— ვალმა რამოდენიმე კოლონას ყუმბარა მოხვედრია.

ყვირილი გრძელდება. შეუძლებელია ეს ადამიანები იყვნენ, ასეთი საზარელი ყვირილი ადამიანს არ ძალუძს.

კატი ამბობს: — დაპრილი ცხენებია.

მე ჯერაც დაპრილი ცხენების ყვირილი არ გამეგონა და არ მეჯეროდა. ეს იყო თავზადამცემი ურვა გაწამებული არსებისა, ველური ჭრეოლვის მომგვრელი ყვილი. ზენ ვფითრდებით. დეტერინგი წელში გასწორდა.

— კაციკამიებო, მხეცებო, ბარემ მოჰკალით.

იგი სოფლის მეურნეა და ცხენები უყვარს. ამიტომაც აღშფოთდა ასეთითქოს წინასწარის განზრახვით—ცეცბლი მიყურდა, ცხოველების ყვირილი უფრო მკაფიოდ მოგვესმის. აღარც კი ვიცით საიდან მოდის ეს ყვილი ამ

მყუდრო ლანდშაფტში, ეს ძაბილი მოჩვენების ხმასავით უბილავია და საოცარი, იგი ცასა და მიწას შორის დაკიდებულია და წამდაუწუმ განუახლებელი იზრდება და ძლიერდება. დეტერინგი ცოფდება და ყვირის:

— ესროლეთ, მოჰკალით, მოჰკალით თქვე წყეულებო, ესროლეთ, ესროლეთ.

— კაცო ჯერ ადამიანები უნდა გამოიყვანონ იქიდან.

ეუბნება კატ.

ჩვენ ფეხზე წამოვდგით და ვეძებთ იმ ადგილს, საიდანაც ყვირილი მოისმის, როცა ცხოველებს თვალს მოვჰკრავთ, აღბად მათე ყოვილის სქენა ისე სამძიმო არ იქნება. მაგერს ბინოკლი თანა აქვს. ჩვენ აქედან ვებრუნდებით და ვაბრუნდებით სანიტარების ბნელ ლანდებს და მოძრავსა და შავს ფიგურებს.

ეს არიან თავათ ცხენები. მაგრამ ყველანი კი არა, ზოგი მათგანი მოშორებით მიჰქნებენ, ეცემიან, ისევ გარბიან. ერთ მათგანისათვის მუცელი გამოუფატრავთ, გრძელ ნაწლავებს მიწაზე მიათრევს. ცხენს საკუთარი შვიანი ფეხებში ებორკება, ფორხიალობს, სდგება, ისევ გარბის.

დეტერინგმა თოფი გადმოიღო. უმიზნებს. ჰაერში ისვრის.

— შენ ხომ არ გავიყდი?

დეტერინგი ცახცახებს, შაშხანას მიწაზე დაანარცხებს.

ჩვენ ვსხდებით, თითებით ყურებს ვივამინავთ, მაგრამ ეს შემზარავი კენესა, ყვირილი და ჭრვა მაინც სწედება ჩვენს სმენას.

ჩვენ მრავალი რამ აგვიტანია, ამ შემთხვევაში კი სიმწრის ოფლმა დაგვეცვარა. გინდა ადგე და გაიქცე, სულ ერთია საითკენ, ოღონდ ეს შემზარავი ყვირილი არ გაიფრო. თუმცა ესენი ცხენებია და არა ადამიანები.

ისევ გამოეთიშნენ საკაცები ბნელ სილუეტებს. კანტი-კენტი სროლა გაისმის. მრავალი სილუეტები ტოკავენ, უფრო და უფრო ბრტყელდებიან. გათავდა, მაგრამ ყველაფერი არა. ადამიანები ვეღარ გვარბიან დაკოდილ ცხენებს, ტყიელისგან ხახადაბნენილი ცხოველები დაშინებული გარბიან. ერთერთმა ლანდმა წამოიჩოქა, ესროლა. ერთი ცხენი წაიქცა, წაიქცა შეორცე. უკანასკნელი წინა ფეხებს დაეყრდნო და კარუსელსავით ტრიალი მოართო, სხეულის უკანა ნაწილით წამომჯდარა და წინა ფეხების გარშემო ბრუნავს, როგორც სჩანს ტყვიას ხერხემალი დაუღეწია. ჯარისკაცი მიეჭრა და უკანასკნელი სროლით წააქცია იგი. ცხენი თავს ჩაჰქინდრავს და ნელ-ნელა ეშვება მიწაზე.

ჩვენ ხელები ჩამოვუშვით. მისწყდა ყვირილი. მხოლოდ გრძელი, გაქიანურებული, მიმვდარებული ზეუილი თუ კენესა ტრიალებს ჰაერში. მერე ისევ აელვარდენ მამხალები, გრანატების ზუზუნი გაისმის, აქა იქ ვარსკვლავები კიანთობენ და ყოველივე ეს საოცარ შთაბეჭდილებას სტოვებს.

დეტერინგ მიდის და გზადაგზა ბუზღუნებს:

— ნეტავ ვიკრდე რა დანაშაული მიუძღვის მივ საცოდავებს?— შემდეგ ისევ გვიხლოვდება. აღელებისაგან ხმა უცახცახებს და თითქმის პათეთიურად მოგვმართავს:

— შე თქვენ გეუბნებით, ეს უდიდესი საძაგლობაა ცხოველებიც რომ ომში არიან.



უკან ვბრუნდებით. დროა ჩვენს საბარგო ავტოებს დასაწყისში წასვლა მოთხოვრო დიმი გადაეკრა. დილის 3 საათია. გრილი ქარი მობახლოვებისას სახეები ცისფერ იერს გადაიკრავენ.

გზადაგზა თხრილებს და ღრუებს ეხედებით, ნელ-ნელა გზას ვიკვლიეთ, წინ მივიწვიეთ. ისევ ნისლიან მიდამოდის მოვალწიეთ.

კატინსკი რატომღაც შეოთავს. ეს ცუდი ნიშანია.

— რა მოგივიდა კატ?

ეკითხება კროპკ.

— ახ, ნეტავ შინ ვიყოთ.— „შინ“ — მისი აზრით ბარაკები იგულისხმება.

— მალე მივალთ კატ.

კატინსკი ისევ ლეღავს.

— ასე არ ვიცი რა მომდის, რა მემართება?

სანგრები გადვირბინეთ, ველზე გავედით.

ტყვე გამოჩნდა, აქ ჩვენ ყოველ ბურქს ვიცნობთ. აქ არის ეგრედ წოდებული „მონადირეთა სასაფლაო“. სერზე შავი ჯვრები მოსჩანან.

სწორედ ამ ადგილას უცებ ზუზუნი გაიხსიხს, ზუზუნს ტარციალი, გრიალი თან მოჰყვა. ძირს დაეხარეთ. ასიოდე მეტრის მანძილზე ცეცხლის ღრუბელი ამოტივტივდა.

მეორეჯერ გავარდა, ტყის ერთი კიდე თითქოს ჰაერში აფარდაო, რამოდენიმე ნაიცილა და ტარციალით დაეშვა. გერმეტიულ ქვაბების ვენტილატორებსავეთ აწუშუნდენ შემდეგი ყუმბარები. სასტიკი ცეცხლი დაგვიშინეს.

— საფარებს მოაშურეთ, საფარებს.— წამოიყვია ვიღაცამ.

ველები მოტვლენოლია. ტყე შორსაა, სხვა საფარი არსად არის. ერთად ერთი ხსნაა: სასაფლაოსკენ გაქცევა და სერს გადაღმა ჩასაფრება. მიერბივართ. მოჩვენებებსავეთ მიელასლასებთ, ყოველი ჩვენგანი სასაფლაოს ბორცვს ამოეფარა.

ყოველი წუთი ძვირფასია. გაცოჟდა ღამე. ყოველივე ტორტმანობს, ყოველივე ირყევა. ღამეზე უფრო ბნელი, კუზიანი მაჯლაჯუნები ჩვენს თავზე დაძქროლავენ. აფეთქებული ყუმბარების ცეცხლი ანათებს სასაფლაოს.

გამოსავალი არსად სჩანს. მე ვხედავ განატების ილაპლაპებისას ველუბისკენ გადახედვას. ნამდვილი ამორგებული ცეცხლის ზღვა ტორტმანობს ჩემს თვალწინ. გამსქდარი ყუმბარების ალის ენები შადრევანებსავეთ ხტიან და ცეკვავენ ამ ზღვაზე. ამ მინდვრებზე გასვლა შეუძლებელი საქმეა.

ტყე განადგურდა, ტყე გადაჯავეს, ჩვენ ის და დაგვრჩენია, რომ ამ სასაფლაოზე დაერჩეთ.

მიწა იფხრიწება ჩვენ თვალწინ. უცებ რაღაცამ შემანჯღრია. გრანატის ნამსხვრევმა სახელო გამიხია. მუშტი შევკუმშე. ტკივილს არა ვგრძნობ; კრილობის ტკივილებს გვიან იგრძნობს იღამიანი. ხელს ვკიდებ მაჯას. მაჯა ოღნავ გაბზანქნილია, მაგრამ სისხლი არ მოდის. უცებ თავში მომხედა რაღაც, ღამისაა

ცნობიერება არ დაგვარგო. თავში აზრმა გამიელვა: გული არ წაგივიდეს! მნელი ფლასი გარს შემომეფლო, ისევ გამოეფიზღი. გრანატის ნაშვარებზე მუზარადს მოჰხვედრია, მაგრამ უკუქცეულა.

თვლიდან ტალახი ამოვიწმინდე. ჩემს წინ უშველებელი ღრუ გაჩენილა. გრანატები ერთსადანიმავე ღრუში იშვიითად ჩაეარდებიან ხოლმე, ამიტომაც შიგ ჩაბრომას ვაპირებ. ერთი ვისკებე, მიწის პირს გავეკარი, ხოხვით დავწინაურდი და ამავე წუთში გაიზუზუნა, მე გავიტრუნე, საფარს ვეძებ, მარცხნიდან რალაც წამომედო, ზედ მივეტმასნე, მისაყრდენი შექანდა, კენესა ამოიხდა, მიწა სქდება, ჩემს ყურებში ჰაერის წნევა გვრკვიანავს, ისე მივხუტე იმ შეტოკებულ საგანს, მის ქვეშ შევძვერი. არ ვიცო შეშაა, კინკებიია თუ რა. მინც შევძვერი და ზედ წავიფარე ეს საფარი, გრანატების მერეხისაგან თავდასაცავი უბირი საფარი.

თვალი გავახილვე: ხელში სახელური მიჭირავს, სახელური კი არა მთელი ხელი, მკლავი, ადამიანის მკლავი. დაჭრილი ხარ? ვუყვი. პასუხს არ იძლევა— მკედარია. განვაგრძობ ხელის ფათურს. ნაფოტები, მის ნაქრები. გამაზნენდა რომ ჩვენ სასაფლაოზე ვართ.

მაგრამ ცეცხლი უფრო ძლიერია, ვიდრე სხვა რამე. იგი ყოველივე მოსაზრებას გიხშობს, მე უფრო და უფრო ღრმად მივძვრები კუბოს ქვეშ, აქ უნდა ვიპოვნო თავშესაფარი, დე. თუ გინდ საკვდილიც მანდ იწვეს.

უშველებელმა ღრუმ ხახა დააბჩინა ჩემს თვალწინ. თვალი და ხელი შემომავლო და ესეცაა შიგ ჩახტომას ვაპირებ, უცებ ვილაკამ სახეზე შემომკრა, ცალი ხელიც მზრებზე მეპოტიენბა— ვაი თუ მკედარი გაცოცხლდა?

უცნობმა ხელმა შემანჯღრია, კისერი მოვიღრივე და წუთიერ სინათლეში კატჩინსკის სახე გავარჩიე. კატს პირი დაუბჩინია და ბლავის. იგი ბლავის და მე არაფერი მესმის, იგი მანჯღრევს და ჩემსკენ მოიწვევს. ძლიერდება მისი ღრიალი და ახლა მესმის: გაააზი, გაააზი, გადაეცი სხეებსაც.

მე გაზთამრიდეს წამოვავლე ხელი. ჩემგან მოშორებით ვილაც წევს. მე სხვა არაფერზე ვფიქრობ თუ არა და ერთ რამეზე: იმ კაცს უნდა შევატყობინო: გააზი, გააზი.

ვექახი, მისკენ მივიწვევ, გაზთამრიდეს კოლოფს ვამზარუნებ, იგი არ გამომეზაურა; კიდევ რამოდენჯერმე შევეხვინანე. იგი მიწაზე გართხმულა. ეს ახალწვეულია. აფორიაქებული შვესკვერი კატს. მას ნილაბი აუფარებია. მე ჩემიც გამოვართიე. მუზარადი განზე გადავადდე, გაზთამრიდე სახეზე მოვარგე. მეზობლისკენ მზიწვევ. უწინარეს ყოვლისა ხელი დაეავლე მის გაზთამრიდეს, ნილაბი თავზე წამოვაცვი, მეზობელმა ხელი დაავლო თავის ნილაბს და მეც ჩემს ადგილზე წაეწვი.

ახლა გაზის გრანატების ყრუ ფითქინ-ფითქინი ყუმბარების გრიალ-გრიალს უფრთდება.

ინტერვალებში გუგუნებს ზარი, მეტალიურ დაფდაფებს აქლარუნებენ, ყველას, ყველას ატყობინებენ: გააზი, გააზი, გააზი.

ჩენს უკან ერთი ორჯერ გაფანტუნდა. ჩემი ნიღაბის სათვალურ ნასუნთქის ოხშივარისგან გაფშვინდუ: კაცი, კროპკი და კიდევ ვიღაცა. ერთხელე-სულღანა-ბულნი, ნერვებდაძაბულნი ეწვივართ.

ეს პირველი წამები სამკედრო-სასიკოცხლო მნიშვნელობით აღსაცხვა: ჰაერი თუ გაატანს ამ ნიღაბში. ვიგონებ ლაზარეთის ცხოვრების საშინელ სურათებს: გაზისგან მოწამლულლები ნელ-ნელა კედებიან, თანდათანობით არწყვევენ პირიდან ღამწვიარ, დაკუწულ ფილტვებს.

ვახნა პირთან მიმაქვს, ფრთხილად, ფრთხილად ვსუნთქავ. ამ წუთში მიწაზე მოშხამული ოხშივარია გამდგარი და იგი ნელა, ნელა ეშვება ძირს და თანდათანობით აესებს თბრილებს, ღრუებს და ორმოებს. კატს მუჯღღუგუნო ეპკარი: სჯობს აქედნ ამოეცოდეთ თორემ ჩალრმავებულ ადგილებში უფრო მეტი გაზი იქნება ახლა დაგროვილი. მაგრამ ჩვენ ეს არ დაგვეკალდა, ხელახლა დაიწყო ცეცხლის გრიგალი, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს ეს საარტილერიო ცეცხლი კა არ იყოს, არამედ თავით მიწა გაცოფებულაო.

გრიალით, ტარკიალით ჩამოვარდა რაღაცა შივი და უხარმახარი. იგი სწორედ ჩვენს გვერდით დაეცა: მიღლა ავარდნილი კლბო.

მე შევნიშნე, კატი გაინძრა და მისკენ წავხოჩდი. კლბო ჩვენ შორის მეოთხეს დაეცა მკლავზე. იგი ცდილობს მეორე ხელით გაზთამრიდე ჩამოიცილოს სახრიდან. კროპკმა მყისვე ხელი მკლავზე წაავლო და მოუგრინა.

მე და კატი მივსწვდით და დაჭრილი ხელი გავუნთავისუფლეთ. კლბოს სახურავი გამსქდარა და მისი აძრობა ადვილია, მიცვალებული გარედ გამოვადეთ, შენდევ კი კლბოს ქვედა ნაწილის გაფართოებას შევეუდეკით.

საბედნიეროდ, დაკოდილიმა ცნობიერება დაჰკარგა და ალბერტიც ჩვენ წამოგვეხმარა. ახლა ჩვენ განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა აღარ გვკვირია და ჩვენ მუშაობა განვაგრძეთ, ეიდრემდის კლბო არ აქრიალდა და მის ფსკერში შერჭობილ რკინის ნიშბებს არ დაემორჩილა.

ინათა. კატმა კლბოს სახურავს ტყეჩები ააძრო და დაკოდილ ჯარისკაცის ხელს ამოუდო, ჩვენ მოვეხმარეთ და მკლავი შევუხვიეთ ამხანაგს. ამ წუთში მეტი დახმარების აღმოჩენა შეუძლებელია.

გაზთამრიდეფარებულს თავი მისქდება ტკივილისაგან. ფილტვები დაძაბული მაქვს; ათასჯისი ნასუნთქ ცხელ ჰაერსა ისუნთქავებ ისინი. სული მეზუთება, სუნთქვა მიძინს.

ნაცროსფერი ჰაერი სწვდება ჩვენს ორმოს. სასაფლაოზე ქარი დაფარფატებს. ორმოდან თავი ამოეყავი. მურეთიანი იალონის ტრელ სინათლეში სხეულიდან მოგლევილ ფებს მოვკარი თვალი. ფებსაცმელი მიფელია, ლანდის სისწრაფეზე გავარჩიე ეს ყოველივე. ახლა კი რამოდენიმე მეტრის სიშორეზე ვიღაც წამოდგა, გაზთამრიდეს სათვალეს ვასუფთავებ; ვხედავ: ამ კაცს გაზთამრიდე არ აქვს სახეზე.

რამოდენიმე წუთის განმავლობაში ვიცდი — ეს კაცი არ იქცევა, იგი გარშემო იხედება, რამოდენიმე ნაბიჯსაც გადადგამს, — აა, ქარს გაზი გო-

ფანტავს. ჰაერი განთავისუფლებულა, მეც ჩამოვიგლიჯე გახტამიდან და წავი-
ტეცი. ცივ წყალსავით ჩამესხა პირში ჰაერი, ლამისა თვალმეტყველებულიცვი-
დეს, ჰაერის ტალღამ წამლეკა და ბნელმა წარმოცა.

* *

სროლა შესწყდა. ორმოსკენ მივბრუნდი. ამხანაგებს ექმახი. ისინიც ზევით
ამოჩოჩდნენ, გახტამრიდევები მოიხსნეს. წამსვე დაკოდილ ამხანაგს გარს შემოვე-
ხვიეთ. ერთმა შეხვეულ მკლავში წაიკლო ხელი. ბორძიკ-ბორძიკით მივდივართ.

სასათლაო საესებით გაუნადგურებია ცეცხლს. ირველივ კუმბოები და ცხე-
დრები ყრია. ესენი კიდევ ერთხელ დაუხოციათ. უოველ დაკლუჯილ ცხედარს
ჩვენს გადარჩენაში წილი დაუღვეს.

მესრები დაულეწიათ. საველე რკინისგზის რონები ყუმბარებს აუგლეჯია.
ზოგი მათგანი მრავალგზის დაღვარბნილა და ისე აღანძულა ჰაერში. ვიღაც
მიწაზე გაშვართულა. ჩვენ შეესდევით, კროპი დაქრილ ამხანაგს მიჰყვება.

მიწაზე მწოლარე ახალწყველია. მას თეძოებზე სისხლი მოსცხებიან. იგი
სავსებით ქანცვილელია. ჩემი მათარა ამოვიღე, შიგ ცოტათოდენი რომინი ჩაი
მქონდა. კატმა ხელი გამაიკავა და მწოლარეს ეკითხება:

— ეს სად შეგემთხვა ამხანაგო?

მან თვალი გაასავსავე, სჩანს უილაჯობისგან პასუხი ვერ მოუხერხებია.

შარვალი ფრთხილად გავუხსენით. იგი კენისას:

— წყნარა, წყნარა, ახლავე გამოვეჯობინდები.

— თუ მას მუცელში აქვს ტყვია, წყალი არ ესმის. თეძო გავეშვიშე-
ლეთ. თეძო მთლად დაუნაყავს ყუმბარას. აქა იქ დამსხვრეული ძვლები მოს-
ჩანს. სახსარში მოხვედრია. ეს ყმაწვილი სიარულს უნდა გამოეთხოვოს.

სოველი თითი საფეთქელზე გადავსვი და ცოტა ჩაი დავალეინე. თვა-
ლის გუფი აიხანხამა. ახლა ვამჩნევთ: მარჯვენა ხელზედაც სისხლი სცხია.

კატმა ხელი შეუხვია. მე სახევე მასალას დავუწყე ძებნა, ხელმეორედ შე-
სახვევად. მინდა დაკოდილის ნიფხავიდან ამოვჭრა ბინტი, მაგრამ ბედშავს
ნიფხავი არ ცმია თურმე. ვაკვირდები: ეს არის ის ქერა ყმაწვილი.

კატმა ამასობაში ერთ-ერთ მკედარს სახევეი მასალის პაკეტი ამოაცალა
ჯიბიდან და ამით შეეუხვიეთ ქრილობა დაკოდილს.

მე ვეუბნები: ახლა ჩვენ საკაცეს მოვიტანთ.

იგი ისე შემოგვეკეპრის, როგორც უცხოთ.

მან პირი გახსნა: აქ დარჩით.

კატი ამბობს: ჩვენ ახლავე მოგაკითხავთ. საკაცე უნდა მოვიტანოთ.

ვერ ვხვდებით, ვაიგო თუ არა. დაჭრილი ბავშური დაფინებით ჩურჩულებს:
არ წახვიდეთ.

კატ გარშემო იყურება, თანაც ჩურჩულებს: უმჯობესი არ იქნებოდა,
რეცოლვერით მოგველო ბოლო?

ეს ყმაწვილი საკაცით წაღებას ვეღარც კი გადაიტანს. დიდი, დიდი, კი-
დეგ რამოდენიმე დღე გასძლოს. ახლა იგი გაბრუებულია და არაფერს გრძნობს.

ერთი საათის შემდეგ მას აუტანელი წამება შეხვდება. ის რამოდენიმე დღე, რომელიც მას დარჩენია ჟღერის ტანჯვის მეტს არაფერს მისცემს. ეს ვისთვის რა საჭიროა ამ რამოდენიმე დღით მისი სიცოცხლის განსარჩევად?!

მე ვუდასტურებ: მართალია ჩემო კატ, სჯობდა რევოლვერით მოგველო ბოლო.

— მოიტა, მეუბნება კატ, თანაც შესდგება. მას გადაწყვეტილი აქვს ასე მოიქცეს, ამას კარგად ვხედავ. მაგრამ ჩვენ უკვე მარტო ალბა ვართ. თბრილებისა და ორმოების წილიდან ამომძვრალი ჯარისკაცები გარს გვახვევია.

საკაცე მოვიტანეთ.

კატ თავს აქნევს: ასე ახალგაზრდა ბიჭები!..

კატ იმეორებს: ასე ახალგაზრდა ბიჭები!..

ჩვენ გაცილებით ნაკლები ზიანი მოგვესვლია ვიდრე ჩვენ ეს გვეგონა: ხუთი მოუქლავთ და რვა დაუჭრიათ. ეს იყო მხოლოდ ხანმოკლე თავდასხმა. დაბოცილთაგან ორი გათხრილ სამარეში წვეს. ასე რომ მხოლოდ მიწის წაყრა დაგვიკირდება.

უკან ვბრუნდებით. ნელ-ნელა, მწყრივ-მწყრივად მივიზღაზნებით. დაჭრილები სამკურნალო სადგურებისკენ მიჰყავთ, მოლუმული დილაა. ნომრებათა და ბარათებით აღჭურვილი სანიტარები დაფსფუსებენ, მსუბუქად დაჭრილები კენსიან. გაწვიმდა.

იძალა წვიმაჲ. კარვის ტილოები გაგშალეთ, თავზე გადავიფარეთ და ისე მიედივართ. წვიმას ტაკა-ტუკი გაუღის. თემშარის გაყოლებით ნაწვიმარა წყლის რუბი მიზარიალებენ. საბარგო ავტო გვიანჯღრევს, გვარწევს და გვატოკებს.

მანქანის კოფოსთან ორ ჯარისკაცს თითო-თითო ორკაპიანი ჯოხი უჭირავს. ამ ჯოხებით ისინი ძირს დაშვებულ, ფომფედ გაბმულ ტელეფონის მავთულებს მალა სწევენ, რათა ამ ქსელმა თავები არ გადაავალოს. მათი ძახილი წამ-და-უწუმ მოგვესმის: ერიდეთ მავთულებს. მთვლეშარენი ვიჩოქებთ, ისევე წელში ვიმართებთ.

მონოტონურად მირაზრაზებენ მანქანები, მონოტონურად ჰყვირიან ორკაპიანი ჯოხებით აღჭურვილები, მონოტონურად მოთქრიალებს წვიმაჲ. წვიმა მოთხლიშინებს ჩვენს თავებზე, წვიმა მოთხლიშინებს დაბოცილების თავებზე, წვიმა ეცემა ახალგაზრდა ახალწვეულის კრილობას, რომელიც მის დამსხვრეულ თედოსთვის ზომაზე მეტია, ასევე აწვიმს კემბერიხის სამარეს, ასევე გვაწვიმს გულზედაც ჩვენ.

სადღაც ყუმბარამ დაიგრილა. ჩვენ შეგტოკდით. კვლავ დიგვეძაბა თვალისა და ხელის სახსრები, ჩვენ მზადა ვართ თვალის დახამხამებაზე ავტომობილიდან თემშარის თბრილებში გადასაცენად.

ისევე მონოტონურად იძახიან ორკაპიანი ჯოხებით აღჭურვილი მოწინავე ჯარისკაცები: ერიდეთ მავთულებს, ისევე ვიჩოქებთ ან ისევე ვთვლებთ.

V

უსაზნოა ერთი ტილის მოკლეა, როცა ადამიანს ასობით მოეძევა იგი. ეს ცხოველი საკმაოდ მაგარკანიანია და გამუდმებული ფრჩხილებით ტაკუნთ მოსაწეენი ხდება. ტიადენმა საამისოდ სივანგებო მანქანაც კი გამოიგონა: სანთ-

ლის შანდალზე ფეხსაცმელის კრემის კოლოფის სახურავი მიიმაგრე მეთუღით. ამ პატარა ტუფაზე დაყრიან ტიღებს. ტიღები წამსვე შუშუნს მუღუღიან. მორჩა და მოისვენა.

ჩვენ ირგვლივ ჩამოწკრივებულნი ვზივართ, პერანგები მუზღზე გვიდევს. ზემო ტანს გამთბარი ჰაერი ეალერსება. ხელებით ვმუშაობთ. ჰაიეს საგანგებოდ ნაზი ჯიშის ტიღები ჰყავს: ამ ცხოველებს თავზე ჯვარი აქვთ განოსახული. ამიტომაც ჰაიე დაბეჯითებით გვარწმუნებს, ეს ტიღები ტურპეტელ ლაზარეთიდან წამოვიყვანე და ისინი ერთ დროს ერთ ერთ უფროსი ექიმის კუთვნილებას შეადგენდნო.

ამასობაში ჭრემის კოლოფში ტიღების ქონი გროვდება ნელ-ნელა. მას გადაწყვეტილი აქვს ეს ცხოველი ნიეთიერება ფეხსაცმელების საწმენდად გამოიყენოს. დამჯდარა ჰაიე და ნახევარი საათის განმავლობაში თავად ხარხარებს საკუთარ გონებამახვილობით აღტაცებული.

დღეს კი ჰაიეს ამბებისათვის არავის ცხელა: ჩვენ სულ სხვა რამე გვიან ტერესებს ამეამად.

გამართლდა ნათქვამი. ჰიმმელშტოსი ჩამოსულა. გუშინ გამოგვეცხადა, ჩვენც მოვისმინეთ მისი უკვე ნაცნობი ხმა.

თურმე ჰიმმელშტოსს რომოდენიმე ახალწვეული ძლიერ გაუჯახირებია სავარჯიშო მოედანზე. ერთ ერთ ახალწვეულთაგანი ვინმე დიდი ბობოლის ვაფი ყოფილა. ჰიმმელშტოსს ეს არა ცოდნია, მითმაც მოსტეხეს კისერი. აქ შრავალი რამ მას გააოცებს კიდევაც.

მთელი საათის განმავლობაში მოგვითხრობს ტიადენი თუ როგორ უპასუხებს იგი ჰიმმელშტოსს სხვადასხვა შემთხვევაში. ჰაიე ჩათკრებულა, ხანდახან თავის უშველებელ სათვალთან გამომხედავს და თვალს ჩაიკრავს. ჰიმმელშტოსის შობრეგვა უბრწყინვალესი მონენტი იყო მის ცხოვრებაში; მე მიამბობდა ამას წინად: ხანდახან იმ დროზე კიდევაც ვოცნებობო.

*

კროპპი და მძულლერი საუბრობენ. კროპპს საიდგანლაც ოსპით საცხე კარდალი გამოუჩნრიკავს, აღბად საპიორების საშხარელოში. მძულლერი ნერწყუმორეული კარდალში იყურება, მაგრამ მაინც თავს იკავებს და ეუბნება:

- აღბერტ, უცებ რომ ზავი ჩამოვიარდეს, შენ რას იზამდი?
- ზავი? ზავი არასოდეს არ იქნება. მოკლედ მოტკრა სიტყვა აღბერტნი.
- ვთქვათ ჩამოვიარდა, მაშინ?—შიეძალა მძულლერი.—მაშინ რალას იზამდი? დემობილიზაცია და მისი ჯანი.
- ეს ცხადია, მაგრამ შემდეგ?..
- გავიღეშებოდი.
- ნუ სულელობ. მე სერიოზულად გეუბნები.
- მეც ასე გეუბნები, ამა სხვა რა უნდა გავაკეთოთ?!

კატი დააინტერესა ამ საკითხმა. მაგრამ ვიდრე ამ პრობლემის გარჩევაში ჩაერგვოდა, მან ერთი კერძი ოსპი მოსთხოვა ხარკად კროპპს. როგორც იქნა მიიღო კიდევაც, დიდ ხანს იფიქრა და ამბობს:

გაღეშვით, დიახაც გაველევებოდი, მაგრამ წამსვე უახლოესს სადღურს მივაშურებდი და ჰერი ჰა, გავესწევი დედისთან, რას ამბობ ელბერტე...
 კატ თთვის ჩანთაში დაეძებს რალიცას, ფოტოგრაფიულ სურათებს და ყველას აჩვენებს:—ჩემი დედაკაცი გახლავთ, მალე სურათს ისევ შეინახავს და იგინება: ღმერთმა დასწყევლოს ეს ტილიანი ომი.

— შენ რა გიშავს, ვეუბნები მე. შენ ცოლი გყავს და შეილი...

— დიახაც, მე უნდა ვიზრუნო, შიმშილით არ დამეხოცონ ისინი.

ყველანი ვიცინით—საკმეფლი შენ არ დაგაკლდება კატ, თუ გაქირდა რეკვიზიციებს შოახდენ.

მალულერს შია და ამიტომაც აღრენილია. მის „გაბრეგვის“ ოცნება გაუფანტა ჰაიე ვესტუსში.

— ჰაიე, ზავი რომ ჩამოვარდეს შენ რაღას იზამდი?

— ჰაიე მაშინ შენ გაგაპანლურებდა, რადგან შენ ასეთ რამეებზე ბოდვას მოყოლობარ.—ვეუბნები—როგორ გებადება ამგვარი აზრები თავში?

— როგორ მოხდება ხოლმე ძროხის ფუნა სხეენზე? ლაქანიურად მიპასუხა მან და ისევ ჰაიე ვესტუსს მიუბრუნდა.

ჰაიეს ძლიერ უმძიმს ასეთ რამეზე პასუხის გაცემა. მან ჭორპლიანი სახე ძირს ჩაქინდრა:—როგორ, როცა ომი სრულიად არ იქნება?

— სწორია. შენ გულთმისანი ხარ.

— მერმე ისევ ქალებზე მიდგება ჯერი.

ჰაიე დინგს ილოკავს.

— ო, ეს ასეც უნდა.

— ეშმაკია მოწმე,—ამბობს ჰაიე და სახე უბრწყინავს.—მაშინ სკელგავიან დედაკაცს მოვიყვან და ეს იქნება ნამდვილი სამზარეულოს დრაგუნი, ხელმოსაკიდი ნასალები ზორბად უნდა ექნეს ჩემს ცოლს და არც ვაციებ, არც ეაკხელებ პირდაპირ ლოკინში... ხომ წარმოდგენილი გაქვს მაღალი ბუმბული, ზამბარებიანი საწოლი, იცოდე მთელი კვირის განმავლობაში ახლოს არ გავიკარებ ძიქვას.

ყველანი ესდუმვართ, საოცარი სურათი. ერეკოლამ დაგვიარა სხეულში. მალულერი ისევ გამოფხიზლდა და ეკითხება:

— მერმე?

პაუზა. ამის შემდეგ ჰაიე ოდნავ გულნაწყენი განაგრძობს: მე რომ უნტეროფიცერი ვიყო, პრუსსიელებთან დავრჩებოდი სამსახურში.

— შენ თავქარიანი ყოფილხარ ჰაიე, ვეუბნები მე.

იგი აუღელვებლად მგკითხება:

— შენ ტორფზე თუ გიმუშავნია ოდესმე?—თანაც ჩექმის ყელიდან კოვზს იღებს და ალბერტის ჯამს მისწვდება.

— შამპანის სანგრებში წოლაზე უარესი რაღა იქნება?

ვეპასუხე მე.

ჰაიე იღეჭება და იღრიჭება:—სამაგიეროდ იქ უფრო ხანგრძლივი ამბავია და ვერც სადმე გაიქცევი.



კაცო შინ ხომ სჯობია?

— ნაწილობრივ ჰო და პირდაპირი ჩემი ფიქრში ჩავარდნილი მის ზედვე ეტყობა თუ რას ფიქრობს.

აქ იხატება ქაობიან ნიადაგზე აგებული ქოზი, პაპანებაში დაუცხრომელი მუშაობა, ნივრის ნაფეკვენიის საფასი გასამრჯელო, ბოგანოს ტანთსაცმელი. მშვიდობიანობის დროს სამხედრო სამსახურში არც ისე ბევრი საქმე გაქვს, ყოველდღიური საზრდო საძებნელი არა გაქვს, შენა ქვეშაგები გაქვს, საცვლები და სუფთა ტანისამოსიც, უნტერ-ოფიცრის მოვალეობას არხეინად ასრულებ, საღამოს თავისუფალი კაცი ხარ და დუქანში წახვალ როცა გინდა.

ჩემი ძლიერ ამყობს ამ აზრებით. სიანს შეყვარებულია ამ საქმეზე.

— და როცა 12 წლის სამსახურს შეასრულებ, საენსიო მოწმობას მიიღებ და ენდარში გამოხვალ. მთელი დღე ისეირნე რამდენი გნებავს.

ჩემი მომავლის შესიკით სტკებება.

— ახლა ისიც წარმოიდგინეთ, თუ როგორ გაგმასპინძლებიან. აქ კონიაკს მოგართმევენ, იქ ნახევარ ლიტრა ლუდს ვაახლებენ. ცხადია ყოველ კაცს ენდარშიან დამეგობრება სწადია.

ეჰ, ჩემო ჩემო, შენ უნტერ-ოფიცერი ვერასოდეს გახდები. უსაყველურებს კატ.

ჩემი სახე არეული შემოგვხედავს და სდუმს. ახლა აღბად მის გონებაში ერთმანეთში ირევა: შემოდგომის წყნარი საღამოები, ტრამალზე გატარებული კვირა დღეები, სოფლის ეკლესიის ზარების ჯღარუნნი, სოფლის გოგონებთან გატარებული ღამეები, ლუდის ბოთლების გარშემო გამართული მუდროო საუბრები.

იგი ველარ ერევა თავის ფანტაზიას; ამიტომაც გაჯავრებული ბუზღუნებს:

— ეჰ, თქვენ ასე გჩვევიათ სისულელეებზე ყბედობა. კატმა პერანგი თავზე წამოიცივა, დასასრულ ჯუბის ლილები შეიზნია.

— შენ რალას იზამდი ტიანდენ? გაეზნაურა ტიანდენს კროპს.

ტიანდენს მუდამ ერთი და იგივე ახსოვს: როგორმე ჰიმმელშტოსი არ დაგვიძვრეს ხელიდან.

ცხადია, მას ერჩია ჰიმმელშტოსი გალიაში ჰყოლოდა და ყოველ დილას რიგიან პირიანად გაეპანლურებინა.

კროპს პირდაპირ შეჰნატრის ტიანდენი:

— შენს ალაგას თავს არ დაეიზოგავდი და ლოატენანტობას მოვიგდებდი. მერმე მივსდგებოდი ჰიმმელშტოსს და უკანალიდან ძმარს გაეადენდი.

— შენ რას იტყვი დეტერინგ? განაგრძობს მჯულღერი დაკითხვას, მჯულღერს ისე უყვარს დაკითხვა, იგი ტიპიური მასწავლებელია.

დეტერინგი სიტყვაზე ძენწია. ამ კითხვებზე იგი მაინც იძლევა პასუხს. იგი სივრცეს შეაშტერდება და მხოლოდ ერთ წინადადებას გასწირავს:

— მე სწორედ რთველს მივუსწრებდი.

ესა სთქვა დეტერინგმა. აღვა და წავიდა.

დეტერინგი ძლიერ დაღონებულია. მთელი მისი მეტერინობა მის/ კოლს აქვს დაკისრებული. ყოველივე უბედობას ისიც მიემატა, რომ დეტერინგისათვის ორი ცხენი ჩამოუერთმევიათ რეკვიზიტის წესით. იგი ყოველ შემთხვევაში კითხულობს და ამ გაზეთებით იმის გამორკვევა უნდა, ოლდენბურგის მხარეში ავდარი თუ ტაროსი? თუ ავდარი იქნა, ცხადია, გლეხები თივის დაზვიანებას ვერ მოასწრებენ.

სწორედ ამ წუთში ჰიმმელშტოსი შეშობის. იგი პირდაპირ ჩვენ ჯგუფთან მოვიდა. ტიადენს სახე აუტრულდა. იგი თივაზე წამოწვა და აღუღებინს გამოთვლი ნოხუკა.

— ჰიმმელშტოსი ოდნავ აირია, ნელი ნაბიჯით მოემართება.

ზედწამოდგომა არავის აგონდება. კროპი ცნობისმოყვარეობით სავსე თვალებით შესცქერის.

აგერ ჩვენს თვალწინ შემდგარა ჰიმმელშტოსი და იცდის. და რადგანაც არავის სწადია მღუშარების დარღვევა, ჰიმმელშტოსი თავით ამბობს:

— ჰა...

რამოდენიმე წუთი გადის; ჰიმმელშტოსს საქციელი წაუხდა. უთუოდ მას ერჩია აქედან მოექუსლა. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უცილოდ ცხადია: ჰიმმელშტოსს შეუგნია, რომ ფრონტი და ყაზარმის ეზო ერთი და იგივე ამბავი არ უნდა იყოს.

ჰიმმელშტოსმა კიდევ ერთხელ სკადა ბედი. ახლა ერთ-ერთი ჩვენგანი ამოირჩია და იმას შეესიტყვა, ესეც იმ იმედით, ეგებ ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი პასუხი მიეღო. კროპი მისკენ ყველაზე უფრო ახლოს იჯდა, ამიტომაც ეკითხება კროპს:

— ჰა, შენც აქა ხარ?

მაგრამ ალბერტს არც ისე ეპიტნავენა მისი სიახლოვე, კიდევაც მოკლედ მოუჭრა კროპსა სიტყვა.

— მე მგონია თქვენზე უფრო ხანგრძლივად...

მოწითანო უღვაშები აცანცარდენ:

— თქვენ, როგორც სჩანს, ველარა მცნობთ ვინცა ვარ.

ტიადენმა თვალი გაახილა:—ჰო, როგორ არა.

— ჰიმმელშტოსი მას მიუბრუნდა:

— ეს ტიადენია, არა?

ტიადენმა თავი ზე ასწია.

— და შენ იცი თავად ვინა ხარ?

ჰიმმელშტოსი შეკრთა.

— რამდენი ხანია რაც მე და შენ შენობით ვლაპარაკობთ? ჩვენ ხომ ერთი ჯამიდან არაოდეს გვიკამია?

ჰიმმელშტოსი ისე დაიბნა, აღარც კი იცის თუ როგორ გამოძერგს ამ მდგომარეობიდან. იგი არ მოელოდა რომ ასეთ აშკარა მტრობას თუ შეაგებებდნენ. იგი ყოველ შემთხვევისათვის თავდაპირილობას იჩენს. ტიადენი ძლიერ გააცეცხლა საერთო ჯამის ამბავმა.

— შენი ჯამიდან ვინა სკამს?

ჰიმმელშტოსი უარესად გაფიცდა. ტიადენმა დაასწრო:

— იცი რა ხარ შენ? შენ, შენ ძაღლის პირი ხარ, იცი, ძაღლებს, როგორ ეძინებათ ხანია ეს მინდოდა შენთვის მეთქვა.

მრავალი თვის განმავლობაში ნანატრ გინებისგან მიღებულმა სიამოვნებამ გაიყვანა ტიადენის ღორის თვალეზზე, როცა მან პირიდან ამოუწვია: „ძაღლის-პირი“.

— შენ რაღა გინდა შე ძაღლის გაგდებულო, შე გათხუნულო ტორფის კინკავე. ადექით და წელში გასწორდით როცა უფროსი გელაპარაკებათ.

— ჰიმმელშტოს, ნაბიჯით იარ, გაეთრიეთ აქედან!

გახელებული ჰიმმელშტოსი ხორცშესხმულ კანონიერებას წარმოადგენდა ამ წუთში.

ალბად თავით გერმანიის კაიზერი ვერ გახელებოდა ასე.

ჰიმმელშტოსი ღრიალებს:

— ტიადენ, შე თქვენ გიბრძანებთ, ადექით ახლავე.

— გინდათ თუ არა ჩემს ბრძანებას დაემორჩილოთ?

ტიადენი უნებლიედ ფრიად გულგრილ პასუხს აძლევს და კლასიკურ გინებით უმასპინძლებს. ამასთანავე გაშვებულ უკანას მრუშვერს ჰიმმელშტოსს.

ჰიმმელშტოსი გარბის. მისი უკანასკნელი პასუხი ეს იყო:

— თქვენ საველე სასამართლოში მოხედებით.

ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ შევარდა იგი კინცელარიაში.

ჰაიე და ტიადენმა ხარხარი მორთეს. ისე გულიანად იცინის რომ ყბა მოექცა და რამოდენიმე წუთს ხახადამჩენილი იდგა. ალბერტმა ნიკაპზე მუჯღუნე შემოკრა და ნორმალურ მდგომარეობაში ჩაუგდო ყბა.

კატ შედიქრიანდა: — თუ დაგასწინა, ცუდი ამბავი დატრიალდება.

— შენ გგონია რომ ის გაამხელს?

— შე შენ გეუბნები, იგი უთუოდ იზამს ამას.

— სულ მცირე, ხუთი დღის სასტიკ იზოლიაციას მიიღებ.

აცხადებს კატ.

— ხუთი დღის კარცერი ხუთ დღეს მოსვენებას ნიშნავს და სხვას არაფერს.

— თუ ციხეში გიკრეს თავი?

ეკითხება მაჟულერი ტიადენს.

— მაშინ ჩემთვის დროებით მაინც შესწყდება ომი.

ტიადენი ბედნიერი კაცია. მას საზრუნავი არც ისე ბევრი აქვს.

მან ჰაიე და ლეერი აიყოლია და გარედ გავიდა, რათა ცხელ გულზე ხელში არ ჩავარდნოდა უფროსებს.

* * *

მაჟულერის ჯერაც არ გაუთავებია დაკითხვა. იგი ისევ კროპს ჩასცივბია.

— ალბერტ, მართლაც შინ წასვლას რომ ეღირსო რას იზამ?

კროპს უკვე რიგინად გაძღა, ამიტომაც დათმობაზეა.

— მაშინ რამდენი კაცი ვიქნებით კლასში?

ჩვენ ვთვლით: ოციდან შეიღი მოკვდა, ოთხი დაიჭრა, ასე რომ სულ თორმეტი.

— აქედან სამი ლოატენანტი გახდა, შენიშნა მახულლერმა.

— შენ რა გგონია ახლა ისინი კანტორეკის ღრილს ველარ აიტანენ.

ჩვენ ეს არ გვგონია; არც ჩვენ აეიტანდით კანტორეკის ზუზუნს.

—ახლა შენ რას იტყვი ვილეჰლმ-ტელის დრაჰის ადგილის, მოქმედებისა და დროის ერთიანობის შესახებ?

იგონებს იჩქითად კროპი, თანაც ხარხარებს.

— რა მიზანი ჰქონდა გოტინგენის კავშირს?

კითხულობს მახულლერი ძლიერ დარბაისილურად.

— რამდენი შეილი ჰყავდა კარლოს გამბედავს? შეიღიშნე მე.

— თქვენგან არასოდეს არაფერი გამოვა, ბოამერ, დამჩნავლა მახულლერმა.

— როდის მოხდა ზამასთან ბრძოლა? კითხულობს კროპი.

— თქვენ მორალური პრინციპები არ გავაჩნიათ, დაჯექით, მინუსიანი საპი. ვეუბნები მე.

— რომელი ამოცანა მიაჩნდა ლიკურგს სახელმწიფოსათვის უპირატესად? წრებიანებს მახულლერი და ისეთ გამომეტყველებას ლეზულობს, თითქოს პენსნეებს ისწორებსო.

— ხომ დაწერილა: მხოლოდ ჩვენ—გერმანელებს მოგვეპოვება რიდი უფლისა, ჩვენ—გერმანელებს... ვამბობ მე.

— რამდენი მცხოვრებია მელბურნში?

გვეკითხება მახულლერი.

— რა უნდა გააკეთო შენ ამ ცხოვრებაში, თუ ეს არ იცი? ვიკითხები ალბერტს განრისხებული.

— რაში გამოიხატება მიტმასნების კანონი?

ეს აბდა-უბდა სანახევროდ დაგვიწყებია. არც თავის დროზე გვკვიროდა ეს ყველაფერი. სკოლაში ყოფნის დროს არავის უსწავლებია ჩვენთვის თუ როგორ უნდა მოეკიდოს კაცმა პაპიროსს ქარბუქში? თან ცეცხლი როგორ უნდა გააჩალოს სოველი შეშისგან, ან ხიშტი როგორ უნდა იტაკო ადამიანს მუცელში, ვინაიდან თუ ხიშტი ფურღებში აძგერე მტერს შესაძლოა იგი იჭავე გაეხიროს.

მახულლერი გულდარდიანი ამბობს;—ემ ვისთვის რა საქიროა ეს, ალბად ჩვენ ისევ სკოლის მერბებზე მოვხედებით.

ჩემის აზრით ეს შეუძლებელი რამ არის.—შესაძლოა ჩვენ სახელდახელო გამოცდები დაგვეირდეს.

— საამისოდ მომზადება გინდა, მერმე გამოცდაც რომ დაიჭირო, სადღა მიზალ? სტუდენტობა რა ბედენაა. ფული თუ არ გვექნა ისევ უნდა იმუშაო ვირიეთ.

— მაინც ოდნავ უყეთესია, მაგრამ მანდ მაინც სისულელეებით გაგვიყვადვენ თავს.

კროპმა გჭლის ნადები გაგვიგო:

— ეჰ, ყველაფერი ეს მასხრობად მოგვეჩვენება, როცა ფრონტიდან დაებრუნდებით.



— ეიცო, პროფესია მაინც საჭიროა. შენიშნავს მაუღლური იმე ღინჯად თითქოს კანტორეკის სული გვაშში ჩასვლიათ.

ალბერტი დანიით იწმენდს ფრჩხილებს. მან დაანაგადააგებდა (ან) მამბობს: ეს ასე იქნება. კატი, დიტერინგი და ჰაიე თავიანთ ძველ ხელობას მიუბრუნდებიან. ჰიმმელშტოსიც ასევე მოიჭკვია. ჩვენ კი? ვისაც ხელობა არა გეჭონია, — ამ დროს იგი ფრონტისკენ ხელს იშვერს, — ჩვენ ამ ამბებს უნდა შევეგუოთ.

— ეჰ, ყველაფერს სჯობს რენტის პატრონი იყვე, სადმე ტუშში დასახლდე და მარტო იცხოვრო. — ვამბობ მე და ცოტა ხნის შემდეგ თავად მარტო ხეწის ეგზომ თავაწყვეტილი ოცნება.

— რა უნდა ვქნათ, როცა შინ დაებრუნდებით? ამბობს ამ სიტყვებისგან დამფრთხალი მაუღლური.

- კროპპ მხრებს იჩეჩავს:
- ეჰ, რა ვიცი. ჯერ მივალწყოთ და მერმე ნახავს კაცი.
- არსებითად ჩვენ ყველა დამნეული ვართ.
- რა უნდა ვქნათ? ვკითხულობ მე.

— შე არაფრის ხალისი არა მაქვს, გვეუბნება მოქანკული კროპპი. — ერთ მშვენიერ დღეს გადატრიალდები და სული ამოგხდება. მეტი რა დაგრჩება. მე საერთოდ არა მგონია შინ ცოცხალი თუ დაებრუნდებით.

მე რომ ამ საგნებს დაუფიქრდები, ალბერტ, — ვამბობ მე ცოტა ხნის შემდეგ, საკმარისია სიტყვა ზავი გავიგონო, წამსვე რალაც გაუგონარი საქმის ჩადენა მომინდებდა, ისეთი რამ რაც ამ დამყაყებულ ქაობში გდებად მაინც ღირდეს. მაგრამ მაგარი ის არის, ეს ყოველივე ძლიერ ბუნდოვანად მაქვს წარმოადგენილი. ხოლო ის შესაძლებლობანი, რომელნიც პროფესიის, სწავლის და ჯამაგირის სახით გამოიხატება ყოველივე ეს გულს შირებს. ეს ამბები მუდამ ხელთან ახლოს იყო და მუდამ გულის ამრევი. მე ველარაფერი მომიგონია, ვერაფერი, ალბერტ.

ამ წუთში ყოველივე პერსპექტივა და უნარი მეტშობა.
კროპპიც ჩაფიქრდა ამ საკითხზე.

— საერთოდ ჩვენ ყველანი დიდ გასაქარში ჩაეყვივით, არა მგონია სამშობლოში ვინმე თავს იტყუდეს ამაზე. ორი წლის განმავლობაში მაშანისა და ხელის გრანატების სროლას გამოცვლილ წინდასაერთ ვერ გადაავდებ.

ჩვენ ერთი მეორეს საესებით ვეთანხმებით, რომ ყველანი ერთსა და იმავე ტაფაში ვიწვით. არა მარტო აქ მყოფნი, ყველა ვინც ჩვენებრ მდგომარეობაშია. ეს ჩვენი თაობის საყოველთაო სვეა.

ალბერტი ამბობს: — ოჰმა ჩვენ ისე მოგვაქცია, რომ არაურისათვის გამოსადეგი აღარა ვართ.

იგი პართალია. ჩვენ უკვე სიჭაბუკე გავვეცალა. ჩვენ აღარ გვენატრება ქვეყანაზე იეროშების მიტანა. ჩვენ გაქცეულები ვართ. ჩვენ საკუთარ „მე“-ს გავიქეციეთ. ჩვენს საკუთარ ცხოვრებისაგან ვიჯვნივით. ჩვენ სულ 18 წლის ვიყავით როცა ცხოვრება შეგვიყვარდა პირველად. მერმე სროლას მიგვაჩვიეს. პირველი უშობარა ჩვენს გულებს დაინარცხა. ჩვენ მოქმედების, წინსვლისა და ნდომის სურვილები შეგვაკვიცეს. ჩვენ უკვე ეს ამბები აღარა გერწამს; ჩვენ გერწამს მხოლოდ ოში.

(გაგრძელება შემდეგში)
გერმანულიდან სთარგმნა: უ. ურდუელმა.



საქართველოს ენციკლოპედია და ფსიქოლოგია

მეორე ნაწილი

ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება სუბიექტურ განცდათა შესახებ.

ფსიქოლოგიის განმარტება. უძველესი, ყველაზე უფრო გავრცელებული და შეიძლება ითქვას ყველაზე უფრო სწორი განმარტება ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, არის ის განმარტება, რომელიც საბაზის მას სუბიექტურ განცდათა ან ცნობიერების მდგომარეობის შესახებ მომღერებად. ასეთი განმარტებით ეს მეცნიერება, ატარებს რა ემპირიულ ფსიქოლოგიის სახელწოდებას, სხვაგვარად ექსპერიმენტული ფსიქოლოგიისაგან, რომელიც არ შემოიფარგვლის მხოლოდ სუბიექტურ განცდებით, არამედ აგრეთვე გარეგან რეაქციებსაც შეისწავლის.

ფსიქოგენური ნერვული ელემენტების ლოკალიზაცია. გაბატონებული აზრის მიხედვით სუბიექტურ განცდათა უნარიანობა უმაღლესად ორგანიზირებული მატერიის თვისებაა. როდესაც ამ ნივთიერებაში განსაზღვრული ფიზიკო-ქიმიური პროცესი მიმდინარეობს, რომლის შესწავლა შესაძლოა ფიზიკო-ქიმიური კვლევის მეთოდებით, ამ დროს სუბიექტი ერთგვარ ფსიქიკურ მდგომარეობას განიცდის. ეს ფსიქოგენური მატერია ც. ნ. ს. ნერვულ ელემენტებში უნდა არსებობდეს. მაგრამ ამასთანავე დღეს უკვე ეჭვს გარეშეა, რომ ფსიქიკური თვისებით დაჯილდოებულია ც. ნ. ს. არა ყველა ელემენტები, არამედ მხოლოდ ისინი, რომელნიც მოთავსებულნი არიან დიდი ტვინის ქერქში. ასეთი დასკვნას საბუთებს ტვინის ჰემისფეროვან დაზიანებულ ადამიანებზე დაკვირვებანი იძლევიან. მაგალითად, განსაზღვრულ ნაწილთა დაზიანების ადამიანს ეკარგვის უნარი სიტყვათა გახსენებისა, ან ნახულ საგანთა მოგონებისა, ან შეხებით საგნის ცნობისა და სხ. ნაშასადამე, უნდა დაუშვათ, რომ დიდი ტვინის ქერქის ერთ ნაწილში ლოკალიზირებულია უნარი სიტყვათა გახსენების, მეორე ნაწილში — ნახულ საგანთა მოგონების, მესამეში — შეხებით გაღიზიანებათა მიმღებლობის და ასე.

უკანასკნელ ხანებში ფსიქიკურ უნარიანობათა ზუსტი ლოკალიზაცია სადაო შეიქნა, ვინაიდან დაკვირვებამ ნათლყო ფსიქიკის ვრცელი აშლილობა დიდ ჰემისფეროვან ერთ ნაწილის დაზიანების ნიადაგზე. ნევროპათოლოგთა აზრით, ტვინის განსაზღვრულ ნაწილთა დაზიანება ან ამოკლა, ევრედ წოდებულ ქერ

ქის პერიფერიის—მამოძრავებელ და მგრძნობიარე არის განსაზღვრულ ნაწილთა გამოკლებით—არასოდეს არ იწვევს ფსიქიკის განსაზღვრულ ცვლილებას შრომად ერთ რომელიმე სფეროში, არამედ კოტად თუ ბევრად მთელ ფსიქიკას მოიცავს. ამ ბოლო დროს სათანადო ფაქტიური საბუთებია წარმოდგენილ იქნა ხიდის, ბაუშმანის და გრუნბაუმის და სხვ. მიერ (გოლდშტეინის მონოგრაფიიდან¹). ამ ახალი მიმართულების აზრით, ალბებულ შემთხვევებში ადგილი აქვს გარეგანი სამყაროს კომპლექსური გამალიზიანებელის განცდათა ერთ შალიზიანობაში გაერთიანების უნარის აშლას. ამასთანავე დიდ ჰემისფეროთა ქერქის ფიზიოლოგიიდან ცნობილია, რომ ქერქის მიმღებ არეში მოხდენილი ნაწილობრივი დაზიანებით ისპობა არა განსაზღვრულ გარეგან გალიზიანებათა მიმღებლობის უნარი, არამედ სუსტდება ამ გალიზიანებათა ანალიზისა და სინთეზის უნარიანობა. ეს სისუსტე მით უფრო მეტია, რაც უფრო ფართოა დიდ ჰემისფეროთა ქერქში წარმოებული დაზიანება (პავლოვი²). ამასთანავე ჩვენ პირველ წერილში (იხ. ამავე ქერნალის წინა ნომერი) გავეცანიით, რომ დღეს ფიზიოლოგიაც არ სცნობს შესაძლებლად ც. ნ. ს. წმინდა ლოკალურ აგზნებას. აგზნება მუდამ ირადიაციას განიცდის მთელ ც. ნ. ს.-ში და მოყავს მოქმედებაში მისი სხვადასხვა განყოფილების ნერვულ ელემენტთა რთული კომპლექსი. ამიტომ, დღეს უკვე ფაქტიურ მონაცემთა ნიადაგზე აღარ შეიძლება თუ გინდ პერიფერიულ გამალიზიანებელთა მიერ გამოწვეულ ფიზიოლოგიურ პროცესთა ზუსტი ლოკალიზაციის აღიარებაც კი.

მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, დიდ ჰემისფეროთა ქერქი წარმოდგენს ადამიანის ფსიქიური უნარიანობის ჩატარებელს, ეინაიდან ცნობილია, რომ ადამიანის ფსიქიური მოვლენები სავსებით სწყდებიან მთელი ქერქის დაზიანებისას ან ნარკოტიულ ნიეთიერებათა ზემოქმედებით მასში აგზნებულების დაწვეით. ცხადია, რათა რაიმე გარეგანმა გამალიზიანებელმა ფსიქიური მოვლენა გამოიწვიოს, ნან უნდა იმოქმედოს დიდ ჰემისფეროთა ქერქზე, მაგალითად, რომ რაიმე საგნის გარეგანი სახე იქნას ალქმული, საჭიროა რომ ამ საგანმა იმოქმედოს ქერქზე თვალის საშვალებით.

ქერქის რომელი ელემენტია ფსიქოგენური და რომელი არა. აგზნების პროცესი ან ის ფიზიოქიმიური პროცესი, რომელიც იწვევს რეცეპტორში გალიზიანების გამო, მგრძნობიარე ნერვული გზებით გადაეცემა ც. ნ. ს. და ბოლოს აღწევს დიდ ჰემისფეროთა ქერქს. აქ ქერქის ნერვულ ელემენტებში იგი აგზნების სახითვე ვრცელდება; მასთან თითოეულ რეცეპტორს დიდჰემისფეროთა ქერქში საკუთარი მიმღები არე აქვს. ასე მაგალითად, თვალის რეცეპტორის ქერქული პროცესია იმყოფება კუფის წილში. მაშასადამე, აგზნება თვალის რეცეპტორიდან უპირველესად ამ წილში მოვა. მაგრამ აგზნების პროცესი არა მარტო იმ ქერქული ნაწილით შემოიფარგვის, სადაც იგი პერიფერიიდან მოვიდა, არამედ იგი მოიცავს ფართო არეს მის იქითაც. შედეგად ამისა ადგილი აქვს საორიენტაციო რეაქციას. ასე მაგალითად, თვალის რეცეპტორის გალიზიანებისას ადგილი აქვს თვალის გამალიზიანებლისაკენ თავისა და თვალუბნის მიმართვას. ცხადია, აგზნება ქერქულ მიმღებ ნაწილებიდან ვადალის მიმო-

ძრავებელ ნაწილებზე, რომელნიც იქვე კეფის წილში არიან მოთავსებული, და აქედან კი თავისა ან ზურგის ტვინის საკოორდინაციო აპარატის მეშვეობით იწვევს საორიენტაციო მოძრაობას. მიმღებ არედან აგზნება ვრცელდება არა მარტო საორიენტაციო რეაქციათა მამოძრავებელ ნაწილებსაკენ, არამედ საერთოდ ღიდ პეისფეროთა ქერქში. სწორედ ამაზეა დაფუძნებული მხედველობით გალიზიანებაზე ინდივიდური რეფლექსის გამომუშავება. მაგალითად, თუ კი თვალის რომელიმე გალიზიანება იქცა რომელიმე მოძრაობითი რეაქციის სიგნალად, მაგ. ფეხის აწევისა ან ნერწყვის გამოყოფის, ეს უნდა ადასტურებდეს, რომ ღიდი ტვინის ქერქში გამოწვეული აგზნება აღწევს ქერქის სხვადასხვა მამოძრავებელ და სერეგორულ ნაწილებს, რომელთა შემწეობით ზორციელდება ყოველივე ქერქული რეაქცია.

წარმოუდგენელია, რომ პერიფერიული მიმღები ორგანოს გალიზიანების ნიადაგზე ქერქში გარეშე აგზნებისა სხვა რაიმე პროცესს ქონდეს ადგილი. ამრიგად შეიძლება მტკიცება, რომ ქერქული აგზნება არის ის ფიზიკოქიმიური პროცესი, რომელსაც თანსდევს ფსიქიური მოვლენა. დაუშვათ, რომ თვალის გალიზიანებისა მივიღეთ სინათლის შეგრძნება. ისმის კითხვა, რომელ ნერვულ ელემენტებში სდევს აგზნების პროცესს ეს შეგრძნება? პათოლოგიურ მოვლენათა შესწავლა საესებით ნათელს ფენს ამ საკითხს. დანახვის უნარით აღჭურვილი ის ელემენტები აღმოჩნდნენ, რომელთაგან შესდგება თვალის რეცეპტორის მიმღები ფარგალი, ე. ი. ღიდი ტვინის კეფის წილი. თუ მაგალითად, ჩვენი მხედველობის არეში რაიმე საგანი გატარდა, ჩვეულებრივ ამ საგნის აღქმას მივიღებთ. თვალის აღნიშნულ გალიზიანებაზე ცნობიერების სხვა რაიმე მოვლენას შესაძლოა ადგილი არ ექნეს. მაშასადამე, თუ კი ამ დროს თავისა და თვალების საორიენტაციო მოძრაობა იწვევა და ამასთანავე სრულიად არაცნობიერად, ე. ი. დამატებითი სუბიექტურ მოვლენათა გარეშე, ეს იმას მოწმობს, რომ ფსიქიური მოვლენა ამ შემთხვევაში მხოლოდ ქერქულ მიმღებ ელემენტთა აგზნების პროცესის თანმხლებია. რაც შეეხება ყველა დანარჩენ ნერვულ გზათა აგზნების პროცესს, როგორც პერიფერიული რეცეპტორიდან ქერქულ მიმღებ ელემენტებამდე, აგრეთვე ამ ელემენტებიდან ქერქულ მამოძრავებელ ნაწილებამდე და ამ უკანასკნელთაგან ზურგისა და თავის ტვინის მამოძრავებელ ნეირონებამდე, — მთელი ამ ნერვული გზის და მისი რთულ ნერვულ ცენტრთა აგზნების პროცესს — ფსიქიურა მოვლენანი თან არ სდევნენ.

საკუთარ სუბიექტურ განცდათა ოდნავი ანალიზიც კი ცხადყოფს, რომ მთელი ჩვენი ფსიქიკის რთული შემადგენლობა წარმოადგენს ქერქულ მიმღებ ფარგალთა მოქმედების შედეგს, ე. ი. საბოლოოდ ის შეიცავს მხედველობის, სმენის, გემოვნების, ყნოსვის და კანის შეგრძნებებს და წარმოდგენებს. ამრიგად, როგორც ქერქულ მამოძრავებელ ნაწილთა, ისე ქერქ გარეშე მდებარე საკოორდინაციო აპარატთა აგზნება ფსიქიკის შემადგენლობაში არავითარ ცვლილებას არ იწვევს.



სუბიექტური განცდები პროპრიოცეპტულ გაღიზიანებათა გამო. არსებობს ფართო არე რეცეპტორთა, რომელთა რეცეპტორებიც კ. ნ. ს.-ში არაერთარ შეგრძნებას არ იწვევს, თუმცა მას აუცილებლად ალგუნებს, რაც პერიფერიაზე განსაზღვრული რეაქციის მოკემით მკლანდება. ასეთია შინაგან ორგანოთა, ნახევარ რკალოვან არხთა და ერთგვარად კუნთების, მყესების და სახსრების რეცეპტორები. (ეს შინაგანი რეცეპტორები გარჩევით გარეგან რეცეპტორებისაგან იწოდებიან პროპრიოცეპტორებად). სახელდობრ, გაღიზიანება გულის, ფილტვების, სკმლის მომწვებელი მილის და სისხლის ძარღვთა სისტემის, თუ კი ამ გაღიზიანებით პირობადებულია მათი ნორმული მუშაობა, სრულიად არ შეიგრძნება. ასევე არ შეიგრძნება ყურის სტატიკური ორგანოს—ნახევარ რკალოვან არხთა—თავის დახრისა და მიხრის დროს გაღიზიანება, რამდენადაც ამ გაღიზიანებით პირობადებულია სხეულის მდგომარეობა. ასე მაგალითად, სისხლის წოლის ნორმაზე ზევით მომატებისას ღიზიანდებიან აორტის რეცეპტორები (აორტა—მთავარი ძარღვია, რომელიც მიმღებლობს გულიდან სისხლს); აქედან აგუნება სპეკიალური ნერვის (n. depressor-ის) შემწეობით გადაეცემა ტვინს და იწვევს სისხლის კალაპოტის გაგანიერებას, რაც თავის მხრივ სისხლის წოლის დაცემას იწვევს. ნახევარ რკალოვან არხთა რეცეპტორების გაღიზიანება თავის გვერდზე გადახრისას იწვევს თვალის კაკლის ზევით ტრიალს, მსგავსად ბორბლის ნოდრაობისა; თავის დაბლა დაბრა ან და ზევით აწევა წარმოშობს თავის ნოდრაობას საწინააღმდეგო მიმართულებით. ყველა ეს რეფლექსი თავიდან ბოლომდე სრულიად არა ცნობიერად მიმდინარეობს. თვალის გუგის შევიწროების რეფლექსიც სავსებით არა ცნობიერად მიმდინარეობს, ვინაიდან მისი გამოვლინება სუბიექტის ნებისყოფისაგან არ არის დამოკიდებული. მაგრამ ამ შემთხვევაში რეფლექსის გამომწვევი პერიფერული გაღიზიანება შეიგრძნება. ზევით მოყვანილი დეპრესორულ რეფლექსსა და ნდებარების რეფლექსის შემთხვევებში კი—ეს გამაღიზიანებელი სრულიადაც არ შეიგრძნება.

კუნთების, მყესების და სახსრების რეცეპტორთა გაღიზიანება ზოგ შემთხვევებში განსაზღვრულ შეგრძნებას იძლევა. ასე მაგალითად, კუნთის პასიური გაჭიმვისა და ან აქტიური შემოკლების გამო მასში დამაბულობრ ოდნავ ამატებისას, წენ კუნთის მდგომარეობის ცვლილებას შევიგრძნობთ. მაგრამ ძლიერ მკირე ან ნელი გაჭიმვა და შემოკლება სრულიად არ შეიგრძნებიან, ვინაიდან სუბიექტის ნორმული გრძობელობის პირობებში მათი შემწევის საშელება არ არსებობს. «კუნთის დამაბუა, ანობს თავის ერთერთ უკანასკნელ მონოგრაფიაში რეცეპტორების გამოჩენილი სპეკიალისტი ფ რ ე ი, უმრავლეს შემთხვევაში შეუიმწეველი რჩება. მკირე დაბაბუთ მიმდინარე მოძრაობების შემთხვევებში, მაგალითად ხელსაჭმიანობის შემთხვევებში, თითქმის შეუძლებელია დამაბულების ნათელი შეგრძნების შესახებ ლაპარაკი».

ამრიგად, დიდ ჰემისფერთა ქერქის ის გრცელი ფარგალი რომელიც მიმღებლობს პროპრიოცეპტულ გაღიზიანებებს კუნთებისას, მყესებისას, სახსრებისას, ყურის სტატიკურ

ორგანოსას და აგრეთვე ყველა შინაგან ორგანოების ავ
 ზნებისას სუბიექტიურ განცდებს არ იწვევს.

ფიქრობენ, რომ მოძრაობის წარმოდგენებში ადგილზე აქვს კინესტეტურ
 შეგრძნებებს, ე. ი. კუნთების, მყესების და სახსრების პროპრიოცეპტულ გალი-
 ზიანებათა შეგრძნებებს. მაგრამ ეს არ დასტურდება საკუთარ მოძრაობით წარ-
 მოდგენებში. ასე მაგალითად, ხელის ზეით აწევის მოძრაობით წარმოუგენაში,
 მე მაქვს მხოლოდ მხედველობითი შთაბეჭდილება ხელის გაკიპული მდგომარეობის
 შესაბამ და სხვა რაიმე ელემენტს ჩემ ფსიქიკაში ვერ ვპოულობ. მართალია,
 ხელის აწევისას და მყის მის შემდეგ მე შესაძლოა შევიგრძნო კუნთთა დაძაბვა ან
 კანის გაკიპვა მოძრავი სახსარის ფარგალში, მაგრამ მოძრაობით წარმოდგენებში
 ამ გალიზიანებათა შესაბამ ფსიქიურ ელემენტებს ვერ ვნახულობ.

ამით, რასაკვირველია, მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ კუნთთა, მყესთა
 და სახსართა პროპრიოცეპტულ გალიზიანებებს ნებისმიერ მოძრაობების წარმო-
 შობაში მნიშვნელოვანი როლი არ აქვთ, არამედ ის, რომ თუშეა როგორც ამ
 ორგანოთა, ისე ნახევარ რკალოვან არხთა გალიზიანებებს დიდი მნიშვნელობა
 აქვთ ჩვენი სხეულის მოძრაობათა ხასიათსა და გრადაციაში, მაგრამ ეს მათი
 როლი შეუცნობელია. პროპრიოცეპტულ გალიზიანებათა ქერქული ელემენტებში
 მოქმედებაში მოდიან მუდამ იმ ელემენტებთან ერთად, რომელნიც მიმღებლო-
 ბენ გალიზიანებას თვალისას და აგრეთვე მოძრაობის დროს კანისასაც. ყველა
 ეს ელემენტი კავშირშია ურთიერთთან დროებითი კავშირებით და ამიტომაც
 ერთი მათგანის ავზნებისას ყველა სხვა ელემენტებიც მოდიან მოქმედებაში. ამ-
 რიგად, თუ ჩვენ გვაქვს მოძრაობითი წარმოდგენა, ე. ი. მხედველობითი წარ-
 მოდგენა რომელიმე მოძრაობისა, ცხადია მაშინ აღიგზნება დროებითი კავშირ-
 ბის საშუალებით აგრეთვე ქერქის ის პროპრიოცეპტული ნაწილიც, რომელიც
 ჩვეულებრივ თვით მოძრაობის დროს იგზნება.

ძალებზე წარმოებული ცდებით დამტკიცებულ იქნა, რომ კუნთთა, მყესთა
 და სახსართა პროპრიოცეპტული გალიზიანებანი ყოველ მოძრაობათი ინდივი-
 დური რეფლექსის გამომუშავებისას ქმნიან დროებით კავშირებს და მით
 ერთის მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეფლექსის ინტენსიობაში, და
 მეორეს მხრივ კი პირობამდებელი არიან ინდივიდურ რეფლექსთა შემდეგ-მო-
 ქმედებისა და რითმული მიმდინარეობისა. მაგალითად, თუ ძაღლის ფეხს ზე-
 დიზედ გაგალიზიანებთ ელექტრო დენით ამ ფეხის დაშვებისას (რომლის აწევა
 გამოწვეული იყო ან ელექტრული გალიზიანებით და ან ინდივიდური სიგნალით),
 რამოდენიმე ასეთი შეუღლების შემდეგ თვით მართო ფეხის დაშვება გამოიწვევს
 ისეთსავე რეაქციას, რომელსაც ელექტრული გამაღიზიანებელი იწვევს: ფეხის
 ხელახალი აწევა, გაძლიერებული სუნთქვა, თავის ძლიერი საორიენტაციო მოძ-
 რაობა, წკმუტუნნი, კუდის გაძლიერებული მოძრაობა და სხ. ცხადია ამ შემ-
 თხვევაში ფეხის დაშვების გამო კუნთთა, მყესთა და სახსართა რეცეპტორების
 გალიზიანება იქცა ინდივიდურ სიგნალად (ბერიტაშვილი *).

ამასთანავე პოპოვის³ მიერ იქნა აღმოჩენილი, რომ სხეულის კუთხური
 არათანაზომიერი მოძრაობა სიერაცეში, რომელიც იწვევს ყურის სტატიურა

ორგანოს რეცეპტორთა გალიზიანებას, შესაძლოა ნერწყვის ჯირკვლითა ამგზნებ ინდივიდურ სიგნალად იქცეს.

ცხადია, კიდურთა მდებარეობის ცვლილებისას ან მთელი სხეულის გადა-
ნაცვლებისას კიდურთა, ნახევარ რკალოვან არხთა და თვალის კუნთთა პროპრიო-
ცეპტულ გალიზიანებათა კერები დიდი ტენიის ქერქში ამყარებენ დროებით
კავშირებს ყველა სხვა იმ ქერქულ კერებთან, რომელნიც ალიგზნებიან კანისა
და თვალის გალიზიანებით ერთდროულად მათთან ან სწრაფ მათ შემდეგ. ამის
გამო, პირველკერათა აგზნება აუცილებლად უკანასკნელთა აგზნებასაც გამოი-
წვევს. ამ გარემოებაზე და მოკიდებული ის მოვლენა, რომ სუბიექტი პროპრიო-
ცეპტულ გალიზიანებათა ნიადაგზე გრძნობს კიდურთა მდებარეობის ცვლილებას
ფეხის მოხერა-გაშლის სახით და აგრეთვე მთელი სხეულისასაც—განსაზღვრულ
შიმართულებით გადანაცვლებას სახით; ამასთანავე მდებარეობათა ცვლილებას
ასეთი შეგრძნება შესაძლოა რაიმე სხვა პერიფერიულ გალიზიანებათა გარეშე სწარ-
მოებდეს. თავისთავად პროპრიოცეპტულ კერათა აგზნება არავითარ სუბიექტურ
განცდებს არ იწვევს. მაგრამ ვინაიდან მათ აგზნებას თან სდევს დროებითა კავში-
რების საშუალებით მხედველობითი და კანის კერათა აგზნება, ამიტომ ერთგვა-
რი სუბიექტური განცდები მიიწევიან წარმოიშვიან. სახელდობრ ისეთნი, რომელნიც
შეესაბამებიან ამ უკანასკნელთა აგზნებას, ე. ი. 'კანისა და მხედველობითი წარ-
მოდგენები ფეხების ან მთელი სხეულის გადანაცვლების შესახებ. «ცდები სტა-
ტიკურ ორგანოზე, ამბობს ცნობილი სპეციალისტა ვეიცი სეკერაი, მიგვითი-
თებენ იმ განსაკუთრებით საგულისხმო ფაქტზე, რომ აგრეთვე იმ ფუნქციებშიც,
რომელთაც არ სდევს შეგრძნებათა ნათელი შესაძგენლობა, შესაძლოა ყველა
სხვა ორგანოთა სივრცითი აღქმაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ». ცხა-
დია, სტატიკურ ორგანოზე ცდაში ეს გავლენა ხორციელდება თვალის კუნთთა
იმ რეცეპტორებით, რომელნიც სტატიკური ორგანოს გალიზიანებით გამოწვეულ
თვალის მოძრაობისას აგზნებიან. თვალის კუნთთა რეცეპტორები იპყრებიან
დროებით კავშირში სივრცის მხედველობითი წარმოდგენის ცენტრალურ ელემ-
ენტებთან, ვინაიდან ობიექტური სივრცით ბადური გარსის გალიზიანებას თან
სდევს თვალის განსაზღვრული მოძრაობა, ე. ი. თვალის კუნთთა განსაზღვრულ
რეცეპტორთა გალიზიანება (იხ. კარლ გრაე?).

ცხადია, შეუცნობელი პროპრიოცეპტული გალიზიანებანი ადამიანის
ინდივიდურ მოქმედებაში, მის მთელ შრომითი მოძრაობე-
ბში, რომელნიც წარმოადგენენ ინდივიდურად შექმნილ რი-
თმულ მოძრაობებს, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. სა-
ხელდობრ, ისინი გამოდიან სიგნალად ერთი მოძრაობიდან
მეორესაკენ გადასასვლელად, ამ მოძრაობათა გამაძლიერე-
ბლად და აგრეთვე დროებითი კავშირებით იმ ნერვულ პრო-
ცესთა გამოიწვევად, რომელთაც თან სდევს ცნობიერება.

აგრეთვე, ყველა შინაგან ორგანოში აღნიშნულ რეცეპტორებთა გვერდით
არსებობენ ისეთი რეცეპტორებიც, რომელნიც მიმღებლობენ დაპაზიანებულ და
საერთოდ ძლიერ გალიზიანებას. ეს გალიზიანება განიცდება, როგორც ტყვილა

გულში, ფილტვებში, მუცელში, ან როგორც ბრუს დახვევა, გულის ყრამ, კუნთის დაძაბულება. მაგრამ ყველა ამ გაღიზიანებას ჩვენ ნორმალურ მდგომარეობაში არსებითი მნიშვნელობა არ აქვს და ამიტომაც ჩვენ ფსიქიკაში თვალსაჩინო აღვლილი არ უკავიათ.

ამგვარად, დიდ ზემოქმედრობა ქერქის მათხლოდ ის ელემენტება არიან აღკუთრვილნი ფსიქიური უნარიანობათ, რომელნიც გარეგან რეცეპტორთა და აგრეთვე ძლიერი გაღიზიანების მიმღებ შინაგან რეცეპტორთა გაღიზიანებით იგზნებიან.

გარეგან გაღიზიანებაზე სუბიექტურ განცდათა არ არსებობა. როგორც ყოველდღიურ დაკვირვებიდანაა ცნობილი, ერთი და იგივე გარეგანი გაღიზიანება ხან აღიქვება და ხან კი არა. მაგალითად, კედლის საათის ხმაური ხან გვესმის ხან კი არა, ასე ემართება სმენის, ნხედველობის, კანის გაღიზიანებებს და აღბად ყველა სახის გაღიზიანებებსაც. მაგრამ თუ აღებული გაღიზიანება ისეთი სახისაა, რომ იგი საერთოდ ფსიქიკაზე მოქმედობს, მაშინ ცხადია, რომ იგი რეცეპტორს მუდამ აღიზიანებს, იწვევს მასში აგზნებას, ეს აგზნება მუდამ წარინართვის მგრძობიარე გზებით ც. ნ. ს.-კენ. და თუ მიუხედავად ამისა, ეს გაღიზიანება ხან შეიგრძნება და ხან კი არა, უნდა ვიფიქროთ, რომ აგზნება ერთ შემთხვევაში აღწევს ფსიქოგენურ ელემენტებს და მეორე შემთხვევაში კი არა.

ისინი კითხვა, სად უნდა იმყოფებოდნენ ის ცენტრალური ელემენტები, რომლებთანაც მიღიან პერიფერიული აგზნებანი სუბიექტურ განცდათა არ არსებობის შემთხვევებში; ეს ელემენტები თვით ქერქში არიან, თუ ქერქს ქვეშ სუბიექტურად განუცდელი გარეგანი გაღიზიანებანი შესაძლოა ინდივიდური მოძრაობის სიგნალიდ იქცენ. ასე მაგალითად, როდესაც ადამიანი ნაცნობი ქუჩებით მიდის, შესაძლოა ის შინ ისე მივიდეს, რომ გზაში ნახული სუბიექტურად არ განიცადოს. და თუ შემთხვევით გზას აცდება და ახალ გზაზე ახალი საგნები შეხედება, ადამიანი მას შეამჩნევს, ე. ი. სუბიექტურად განიცდის. მაშასადამე, ჩვეულ ადგილებზე გავლისას იგი თითქმის ვერაფერს ვერ ამჩნევს. ეს იმას ნიშნავს, რომ შინისაკენ წამმართველ ჩვეულ გზაზე ყოველი საგნის, სახლის და ქუჩის მოსახვევის დანახვა წარმოადგენს წინსვლის სიგნალს. მაგრამ, რადგანაც აღნიშნულ სახლთა და მოსახვევთა დანახვა სუბიექტურად არ განიცდება, ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ მათგან ბაღური გარსის გაღიზიანებამ სათანადო ფსიქოგენურ ელემენტებს მიაღწია. ასეთივე სახის მოვლენებთან უნდა გვქონდეს საჭირო პიპნოზში მყოფ ან და ზბრალო მძინარე ადამიანის შემთხვევებში. პიპნოზის ან ძილის განსაზღვრულ მდგომარეობისას შესაძლოა ვაიძულოთ ადამიანი, რომ მან სხვადასხვა მოძრაობები აწარმოოს; შესაძლოა მისგან შევითხვებზე არა რთული პასუხებიც მივიღოთ, მაგრამ მას არაფერი არ ემასხოვრება, თუ გინდ აღნიშნულ მდგომარეობიდან მაშინვე გამოვიყვანოთ. ან მაგალითად, სუსტი ქირურგიული ნარკოზის შემთხვევაში ავადმყოფი ყვირის, ლაპარაკობს ყოველივე აბდა-უბდას, იღანძღება, მაგრამ უკვე ნარკოზის შემდეგ არაფერი აღარ ახსოვს.



ღრმა ნარკოზის დროს, როდესაც კანის უძლიერეს გაღიზიანებასაც არ ძალუძა სუბიექტის გამოვლიცხება, თუ მას სახელს დაუქანებთ, იგი სწრაფად ვახშვლს და საღამზე თავის დატნევით პასუხობს (ე ბ ბ ე კ ი 7). ამ შემთხვევაშიაც გაღვიძებისას სუბიექტს არ ახსოვს რა, თუმცა მას კარგად ახსოვს ყოველივე ის მის ცხოვრებაში, რასაც ნარკოზამდე ჰქონდა ადგილი. ყველა ეს ფაქტი იმაზე მიგვიბრუნებებს, რომ პერიფერიულ გაღიზიანებას შეუძლია გამოიწვიოს ინდივიდუალად დასწავლილი მოძრაობები გარეშე სუბიექტურ განცდათა. ყოველ ექვს კარგეშეა, რომ ყველა ეს მოძრაობა ხორციელდება ქერქულ მამოძრავებელ ნაწილებთან არსებული დროებითი კავშირების შეწყობით, ვინაიდან ცნობილია, რომ უმაღლეს ბერზემოიანებს, ძალადიან ვიდრე ადამიანამდე, ყოველი ინდივიდუალური მოქმედებანი ქერქის ამოცლასთან ერთად ესობათ. ამ საფუძველზე შეიძლება დაუშვათ, რომ დიდ ჰემისფეროთა ქერქში ფსიქოგენურ მიზლებ ელემენტებთა გვერდით არსებობენ აგრეთვე არაფსიქოგენური ელემენტებიც და რომ ინდივიდუალური რეფლექსის გამოწვევისას, როგორც ერთნი ისე მეორე ელემენტები ქინიან დროებით კავშირებს ქერქის მამოძრავებელ ნაწილებთან.

დიდი ტვინის ქერქში არაფსიქოგენურ მიზლებ ელემენტთა დაშვება კარგად ეთანაშება ჩვენს წარმოდგენას ქერქის მიზლები ფუნქციის შესახებ. როგორც არაზევით აღენიშნეთ, ქერქში არის ისეთი მიზლები ნაწილი, რომელიც უმთავრესად ფსიქოგენურ ელემენტებისაგან შესდგება, სახელდობრ, პროპრიოცეპტულ გაღიზიანებათა მიზლები ნაწილი. ასეთივე ელემენტები შესაძლოა არსებობდენ ყოველ მიზლებ არეში. იხვეე როგორც ქერქის პროპრიოცეპტული ნერვული ელემენტები შედიან დროებით კავშირებში მოუხედავად იმისა, რომ ისინი არაფსიქოგენური არიან, სწორედ ასევე სხვა არეთა არაფსიქოგენური ელემენტებიც შედიან დროებით კავშირებში. აქედან გამომდინარეობს, რომ შეიძლება ინდივიდუალად შენაძენ რეაქციითა გარეგანი ინდივიდუალური სიგნალებით გამოწვევა თვით ამ სიგნალთა აღუქმელად. სხვაგვარად რომ ვსთქვათ, აქ ჩვენ გვაქვს, მსგავსად პროპრიოცეპტულ გაღიზიანებაზე ინდივიდუალური რეფლექსისა, თავიდან ბოლომდე არაცნობიერად მიმდინარე ინდივიდუალური რეფლექსი.

მაგრამ აქვე უნდა აღენიშნო, რომ არაფსიქოგენურ მიზლებ ელემენტთა დიდი ტვინის ქერქში არსებობის შტკიცება არ წარმოადგენს განსაკუთრებით საჭიროებას. როგორც ვიცით, ქერქის ფილოგენეტურ განვითარებისას შეამდებარე ტვინის ზოგი ნაწილიც (ნეოთალამუსი) საკმაოდ ვითარდება. შუამდებარე ტვინის ეს ახალი წარმოქმნა ლეზულობს მრავალკავშირებს ქერქიდან და მასშივე წყდებიან რეცეპტორებიდან ქერქში მიმავალი ყველა გზები უნოსვით სისტემის გამოკლებით (ე ბ ბ ე კ ი 9). დასაშვებია, რომ პერიფერული აგზნება აუარებს დროებით კავშირებს ქერქის მამოძრავებელ და სასეკრეციო ნაწილებთან პირდაპირ ტვინის აღნიშნულ ნაწილიდან ქერქის სათანადო მიზლებ და ამასთანავე ფსიქოგენურ ფარგალთა უმონაწილოთ. ამით შესაძლოა აიხსნას ის ფაქტი, რომ ქერქის საგრძნობი ნაწილის ამოცლისას რომელიმე თვისების გამა-

ლიზიანებელზე ინდივიდური რეფლექსის გამომუშავების უნარი საფუძვლიანად არ ისპობა. ასე მაგალითად, ძალუბს არ ეკარგვით ინდივიდუალური რეფლექსის ბგერებზე—ბგერათა გალიზიანების მიმღებ საფეთქლის წილთა ამოცლის შესაძლებლობა, ან სინათლზე—სინათლის გალიზიანებათა მიმღებ კეფის წილთა ამოცლისას და კანის მექანიურ გალიზიანებაზე საფეთქლის და შუბლის წილთა ამოცლისას, სადაც კანის რეცეპტორთა ქერქული პროექცია არის (პავლოვი²). ყველა ამ შემთხვევაში დროებითი კავშირები შესაძლოა ნეოტალამუსიდან პირდაპირ ქერქის მამოძრავებელ ან სასეკრეციო ნაწილებსაგან გამომუშავებულიყო. ეს აზრი თანხმობაშია აგრეთვე იმ ფაქტთანაც, რომ დაბალი საფეხურის ხერხეშილიანებს, ფრინველებს, დიდი ტვინის ქერქის ამოცლის შემდეგაც ინდივიდური რეფლექსი კარგად უმუშავდება დიდი ტვინის და შუამდებარე ტვინის ქერქ ქვეშა ცენტრების საშუალებით (ბერიტაშვილი¹⁰).

ეხლა გადავიდეთ საკითხზე, თუ როდის გამოიწვევა რეფლექსი ფსიქოგენურ და როდის არაფსიქოგენურ ელემენტებიდან პერიფერიული ინდივიდური სიგნალის საპასუხოდ. დაბრკოლებანი ამ საკითხის გადაწყვეტაში იოლად დაიძლევიან, თუ ჩვენ დავეფუძნებთ იმ ფიზიოლოგიურ კანონებს, რომლითაც სწარმოებს დროებით კავშირთა განვითარება და სხვადასხვა პერიფერიული გალიზიანების გამო ინდივიდურ რეფლექსთა ცვლილებანი. ც. ნ. ს. ში თითოეულ პერიფერიულ გალიზიანებათა მიმართ არსებობს განსაზღვრული ფსიქოგენური და არაფსიქოგენური მიმღები ელემენტები. მათ შორის შეიძრო ანატომიური კავშირია, აპსთანავე პერიფერიულ გალიზიანებისაგან არაფსიქოგენური ელემენტები უფრო ადრე იგზნებიან ვიდრე ფსიქოგენური. რაიმე გარეგან გამალიზიანებელზე ინდივიდური რეფლექსის გამომუშავებისას დროებითი კავშირები არაფსიქოგენურ მიმღებ ელემენტებიდან საპასუხო ქერქულ სასეკრეციო ან მამოძრავებელ აპარატებისაკენ გამომუშავდება როგორც ფსიქოგენურ მიმღებ ელემენტებით, ისე მათ გარეშე, უშუალოდ არაფსიქოგენურ ელემენტებიდან საპასუხოსაკენ. ორივე გზათა აგზნების ძირითად გალიზიანებასთან ხშირი შეუღლების ნიადაგზე, ეს მოკლე გზა უფრო მეტად განვითარდება ვიდრე ფსიქოგენურ ელემენტთა შემცველი გზა. ასე უნდა სწარმოებდეს თანახმად სხვადასხვა სირთულის დროებით კავშირთა განვითარების ზოგადი წესისა (ბერიტაშვილი¹¹). აქედან ცხადია, რომ ქერქის აგზნებულების დაწვევის ყველა შემთხვევაში (ნარკოზი, ძილი, ჰიპნოზი) ფსიქოგენურ ელემენტთა შემცველი გზები უფრო ადრე კარგავენ ფუნქციურ მოქმედების უნარს, ვიდრე მოკლე გზები. შესაძლოა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ის გარემოებაც, რომ განსაზღვრულ პირობებში ფსიქოგენური ელემენტები, როგორც უმაღლესად ორგანიზირებული სუბსტანცია, უფრო ადრე და უფრო ძლიერ კარგავენ აგზნებულებას, ვიდრე არაფსიქოგენური.

ამრიგად, გარეგანი გალიზიანებანი, მიუხედავად დიდ ქემისფერთა ქერქზე მოქმედებისა, სუბიექტურ განცდებს მუდამ ვერ იწვევენ. უნდა ვიფიქროთ, პერიფერიული აგზნება უწინარესად არაფსიქოგენურ ელემენტებს ამოქმედ-

დებს. აქედან აგზნება შესაძლოა წარიმართოს ფსიქოგენურ ელემენტებისაკენ და სუბიექტური განცდა ელემენტებისაკენ თუ კი მათ შორის არსებული ნერვული კავშირებისა და უმოკლეს გზებთან შედარებით უფრო აგზნებული აღმოჩნდებიან. მაგრამ შესაძლოა აგრეთვე, რომ აგზნება არაფსიქოგენურ ელემენტებიდან გავრცელდეს უპირატესად სხვა, არაფსიქოგენურ ელემენტებისაკენ მიმართული გზებით და ამიტომაც სუბიექტურ განცდას ადგილი არ ექნეს.

მიმღებ არაფსიქოგენურ ელემენტებიდან ქერქის სიპასუხო ნაწილებისაკენ დროებითი კავშირები უნდა მყარდებოდენ ორი გზით: ფსიქოგენური ელემენტებით და მათ გარეშე უფრო მოკლე გზით. ინდივიდური რეფლექსი აღებულ ქერიფერულ გალიზიანებაზე გამოიწვევა მოკლე გზით იმ შემთხვევაში, თუ აღებულ მომენტში ეს გზა მეტი აგზნებულების მქონე აღმოჩნდა. ვიდრე გრძელი (ნარკოზი, ძილი, ჰიპნოზი).

ემოციური მდგომარეობის სუბიექტური განცდა. ემოციურ მდგომარეობათა განცდა სხვადასხვა სახისაა. ყველასათვის ცნობილია, მაგალითად, განცდა სიმშლისა, სიმაძღრისა, სიბრაზისა, შიშისა, სიხარულისა, სიყვარულისა და სხვ. როგორც ჯერ კიდევ ჯემსმა აღნიშნა, ფსიქიური მდგომარეობა რომელიმე ემოციის შემთხვევაში, მაგალითად შიშისა—წარმოიშვის იმის გამო, რომ რომელიმე ძლიერი გარეგანი გალიზიანების გავლენით აღმოცენდება შიშის დამახასიათებელი რეაქცია: მთელი სხეულის მოკუმწევა, დამალვა, ტირილი, თმების აბურძგვლა, ოფლის გამოყოფის გაძლიერება, ფარინგალური, უნებლიე შარდვა, გულის გაძლიერებული ცემა, თვალს გუგის გაფართოება და სხვ. აი სწორედ ამ რთული და მრავალფეროვანი რეაქციის არსებობისა, და მათ მიერ თითქმის მთელ ორგანიზმში წარმოშობილ შინაგან და გარეგან გალიზიანებათა ნიადაგზე, წარმოიშვება შიშის სუბიექტური განცდა. ამრიგად, ემოციის სუბიექტური განცდა იწვევა არა უშუალოდ გარეგანი გალიზიანებისაკენ; უკანასკნელი სათანადო გარეგან რეაქციას იწვევს და ეს თავის მხრივ კი შიშის სუბიექტურ განცდას წარმოშობს.

საგულისხმოა, რომ შეუძლებელია სურვილისამებრ სიმშლის გრძობის ან სხვა რომელიმე ემოციური მდგომარეობის ვახსენება, მსგავსად რომელიმე გარეგან მოვლენისა. შიშისა ან შიშის გრძობას ჩვენ მაოლოდ იმ მომენტში განვიცდით, როდესაც სათანადო გარეგანი რეაქცია გამოიწვევა. რეაქციის შეწყვეტისას ემოციის სუბიექტური განცდა თითქმის უკუაღივს იკარგვის. ემოციურ მდგომარეობას ჩვენ ვიხსენებთ გარეგანი რეაქციის მიმღებ და ჩვენ წარმოვადგენათა კერებს შორის არსებული დროებითი კავშირების წყალობით. მაგრამ ვახსენება სათანადო ფსიქიურ შინაარსს არ შეიკავს. შესაძლოა ადგილი ექნეს სიამოვნებისა და უსიამოვნებისზოგად გრძობას, მაგრამ ნამდვილი ემოცია კი არ იქნება. ასე მაგ., სიმშლისაგან ღონემიხილილი ადამიანის დანახვაზე, ჩვენ შეგვიძლია

გავიხსენოთ სიმშვილი და კიდევ უსიამოვნო გრძნობა განვიცადოთ, მაგრამ ამასთანავე ჩვენ ფსიქიკაში სიმშვილის განცდა არ წამოიჭრება. კერძოდ, შიშისა სიბრაზისა ან სიხარულის ემოციათა გახსენებისას ჩვენ შევხვდებით სიბრაზის და სიხარულის სუბიექტური განცდა მივიღოთ, მაგრამ ესა თუ ის ემოციური მდგომარეობა არ წარმოიშევა სხვის სათანადო პოზის დანახვიდან ან საკუთარ სხეულისათვის აღნიშნული პოზის მიცემით. ემოციურ რეაქციაში მონაწილეობას იღებს არა მარტო ჩონჩხის კუნთები, არამედ შოკნეულობის, სისხლის ძარღვთა სისტემის, კანის და სხ. წყლტუ კუნთები, ე. ი. ავტონომიური ნერვული სისტემის მთელი არე, რომელიც ჩვეულებრივ ჩვენი ნებისაგან დამოუკიდებლად მოქმედობს (ქენონი¹²). მაგრამ დროებითი კავშირებათ შინაგანი ორგანოები მოქმედებაში მოდიან. მაგალითად, პავლოვის ცდებში საქმლის მონელების ჯირკვლავანი სისტემა სხვადასხვა ინდივიდუალური სიგნალებით მოღის მოქმედებაში. თუ ასეთი დროებითი კავშირები საკმაოდ ახალი და მტკიცეა, მაშინ ინდივიდუალური გზით მათი საშვალებით გამოწვეული ემოციის გარეგანი რეაქცია შესაძლოა საკმაოდ სიძლიერის აღმოჩნდეს, რათა ემოციური მდგომარეობის ნამდვილი სუბიექტური განცდა გამოიწვიოს.

ემოციის გარეგანი რეაქცია დიდი ტენიის ქერქისაგან არა პირობადებული. ცნობილია, რომ განსაზღვრულ პირობებში ქერქ მოცილილი ცხოველებიც იძლევიან ისეთსავე რეაქციებს შიშისას, სიბრაზისას, სიმშვილისას, სქესობრივ ლტოლვისას და სხ., როგორც ნორმული ცხოველები.

მაგალითად, შერიგტონმა¹³ აღმოაჩინა, რომ უდიდ ტენიო ძალის სიანჩხლის უნარს ინარჩუნებს: გალიზიანების საბასუბოდ ის ლრინავს, იკბინება, ე. ი. აჩხლდება. მანვე გვიჩვენა, რომ შუა და დიდ ტენი ამოცლილი კატა ძლიერ გალიზიანებისას ტუჩებს კუმშავს, კბილებს აკრაკუნებს, ენას შესწევს და გუგებს ფართოდ აღებს. ზელიონის უდიდპემისფერო ძალის სქესობრივ გრძნობას მოკლებული არ ყოფილა¹⁴. ჩემ ცდებში ლეკვებზე—ქერქის ამოცლის შემდეგ შემჩნეულ იქნა, როგორც სიმშვილისა და სიმადრის, ისე შიშისა, სიანჩხლის და თამაშობის ემოციური მდგომარეობანი¹⁵. უკანასკნელი მდგომარეობა აღნიშნულია ზელიონის მიერაც (საეიჩის მიხედვით¹⁶).

ამრიგად, ექვს გარეშეა, რომ ემოციური რეაქციები წარმოიშეებიან ნაწილობრივ შუამდებარე ტენიიდან და ნაწილობრივ კი თავის ტენიის უფრო ქვედა ნაწილებიდან.

არსებობს მრავალი იმის ნათელმყოფელი ფაქტი, რომ ემოციური მდგომარეობის სუბიექტური განცდები დიდპემისფეროთა ქერქის ფუნქციას არ შეადგენენ. სახელდობრ, ეს დასტურდება მით, რომ ემოციის სუბიექტური განცდას ვერ ვიხსენებთ, იმ დროს, როდესაც სხვა ყოველგვარი შეგრძნების ხელახლად აღდგენას იოლად ვახდენთ. ემოციის ფსიქოგენური ელემენტები რომ ქერქში იყვენ მოთავსებულნი, მაშინ ისინი ქერქის სხვა ელემენტებთან დროებით კავშირებს დაამყარებდენ და მათ აგზნებას ადგილი ექნებოდა არა მარტო ემოციური რეაქციებისაგან გალიზიანებათა ნიადაგზე, არამედ სხვა გალიზიანებისაგანაც დროებითი კავშირების მეოხებით. მაგრამ, ვინაიდან ამას ადგილი არ აქვს

უნდა ვიფიქროთ, რომ ემოციის ფსიქოგენური ელემენტები იმყოფებიან არა ქერქში, არამედ მის გარედ და ამიტომ მათთან ქერქი დროებით უკავშირებს არა ქნის.

ამრიგად, ჩვენ ფსიქიკაში შევგრძნობათა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მოცემული გალიზიანებების აღთქმათა გარეშე აღვილი აქვს აგრეთვე გარეგან გალიზიანებათა უკვე განცდილ შევგრძნებების წარმოდგენებს. რაც შეეხება შაშის, სიბრაზის, სიხარულის, სიმშობის და სხ. ემოციათა სუბიექტურ განცდებს, ისინი წარმოიშვებიან მხოლოდ ნამდვილ გარეგან და შინაგან გალიზიანებათა საფუძველზე.

სუბიექტურ განცდათა მრავალფეროვანობის ნერვული საფუძველში. ისმის კითხვა, როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ის შემთხვევები, რომ აგზნების პროცესს ზოგ ნერვულ ელემენტებში სუბიექტური განცდა სდევს, ზოგში კი არა; და ამასთანავე აგზნების პროცესები ფსიქოგენურ ელემენტებში სუბიექტურად ასე მრავალფეროვნად განიცდებიან? მაგალითად, ერთ შემთხვევაში აგზნების პროცესი განიცდება როგორც ბგერა, მეორე შემთხვევაში როგორც სინათლე და ამასთანავე მათ უამრავ სახიანობითა და ელფერიით და ასე. უნდა ვიფიქროთ, რომ ქერქის მიმღებ არის ყველა ნერვული ელემენტები იმოდენად ინდივიდუალური არიან, რომ ყოველ ამ ელემენტში აგზნების ფიზიკო-ქიმიური პროცესი შესაძლოა სრულიად თავისებური იყოს. აგრეთვე შესაძლოა დაუშვათ, რომ ერთსადაიმავე ფსიქოგენურ ელემენტში მის სხვადასხვა ფუნქციურ მდგომარეობისას ფიზიკო-ქიმიური პროცესიც სხვადასხვაა. მაშასადამე, ფსიქიურ მოვლენათა მრავალფერობა შესაძლოა აგზნათ თვით აგზნების ფიზიკო-ქიმიურ პროცესთა მრავალფეროვანობით. რომ საერთოდ აგზნების ფიზიკო-ქიმიური პროცესი სხვადასხვაა სხვადასხვა აგზნებად ელემენტებში და ცვალებადობს ფუნქციური მდგომარეობის მიხედვით. ეს ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. მაგალითად ცნობილია, რომ აგზნების პროცესი მამოძრავებელ ნერვულ ბოჭკოში უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე სიმპათიურში, და საერთოდ ნერვულ ბოჭკოებში უფრო აწრაფად მიმდინარეობს ვიდრე ქნთისაში და ასე. აგრეთვე ერთსადაიმავე აგზნებად ნერვული ელემენტის აგზნება სხვადასხვა ფუნქციურ მდგომარეობისას ერთგვარად არ მიმდინარეობს: დაღლილობისას, ტემპერატურის დაწვეისას, სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებათა დიდ კონცენტრაციის მოქმედებისას აგზნება ნელა და სუსტად მიმდინარეობს.

აგზნების შესახებ ჩვენი მსჯელობა უმთავრესად ეფუძნის აგზნების დროს წარმოშობილ მოქმედების დენს. მაგრამ მოქმედების დენი გვიჩვენებს მხოლოდ ელექტროლიტურ პროცესთა ინტენსიობას და არა იმ ქიმიურ პროცესებს, რომლებმაც აღნიშნული დენი წარმოშვეს. ვინაიდან ყველა სხვადასხვა სახის ქიმიური პროცესები სხვადასხვა ქიმიური ელემენტებით და რთული ქიმიური შეერთებებით იწვევენ ერთსადაიმავე ელექტრულ დენს, ამიტომაც, არსებითად მოქმედების დენი გამოხატავს აგზნების პროცესის მხოლოდ რაოდენობის და არა

მის რომელიმე მხარეს, რომელიც ისევ მრავალფეროვნებას უნდა წარმოადგენდეს, როგორც ჩვენი სუბიექტური განცდები იძლევა.

ჯერჯერობით ჩვენ ვავეცანით ჩვენი ფსიქიკის შემადგენლობის მიხედვით უფრო მეტი სიღრმის გაღიზიანებასა და აგზნების პროცესისადმი მიმართებას. ახლა განვიხილოთ თუ როგორი მიმართება უნდა იყოს ორგანიზმის რეაქციებსა და ჩვენი ფსიქიკის შორის. შესაძლოა თუ არა რეაქციების მიხედვით ფსიქიკურ შინაარსს ვცნდეთ და აგრეთვე აქვს თუ არა მნიშვნელობა ფსიქიკას ამ რეაქციითა წარმოშობაში.

ფსიქიკური შინაარსი ჩვეულ და არაჩვეულ მოძრაობათა დროს. ორგანიზმის ის რეაქციები, რომელთაც ფსიქიკური განცდა თან სდევთ, იწოდებიან ფსიქიკურად ან ცნობიერ რეაქციებად. და თუ ამივე დროს სუბიექტს წარმოებულ მოძრაობის ცნობიერი წარმოდგენა აქვს, ასეთ რეაქციას ნებრთი ეწოდება. ასეთ რეაქციითა ფიზიოლოგიური ბუნება ჩემ მიერ ხდება ადგილს ვრცლად არის განხილული (ბერიტაშვილი¹¹). აქ შევხებით მხოლოდ ზოგ განსაკუთრებით საგულესხმო მომენტებს.

ადამიანის და ცხოველთა მთელი ქერქული მოძრაობები შეიძლება დავყოთ ჩვეულ და არაჩვეულ მოძრაობებზე. მაგალითად, როდესაც ჩვენ მაღლა ვსწევთ და დაუშვებთ ჩვენ ხელებს, ან დაეღვივართ ნაცნობ ადგილებში, ან ხელებითა და ფეხებით რაიმე ნუშობას ვაწარმოებთ—მთელი ჩვენი მოძრაობები ჩვეული ხასიათის არიან. ამ მოძრაობათა დროს ჩვენ არაფითარი მოძრაობითი წარმოდგენები არ მოგვებობება. ამის დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ ჩვენ ჩვეულ ქუჩებით შინ დაბრუნებისას სრულიადაც არ ვფიქრობთ მასზე, თუ რომელ ადგილებში უნდა შეუხეიოთ, არამედ ვფიქრობთ ამ შემთხვევისათვის სრულიად გარეშე საგნებზე. აგრეთვე, როდესაც ვიოლონის დამკვრელი ვიოლონს უკრავს, მის არაფითარი მიმორავებული წარმოდგენა არ გააჩნია იმ თიფისა, რომლითაც სიმს აჭერს ან იმ ხელისა, რომლითაც ხემს სიმზე ატარებს. ვიოლონის დამკვრელი ამ მოძრაობებს სრულიად ცნობიერების გარეშე აწარმოებს. ამ მოძრაობებს იწვევს უშუალოდ განსაზღვრული ნოტის დანახვა ან განსაზღვრული ბგერის გაგონება. როგორ წარმოიშვიან ეს მოძრაობითი რეაქციები მოძრაობითი წარმოდგენების გარეშე?

ძალებზე მოძრაობითი ინდივიდუური რეფლექსის შესწავლის ნიადაგზე ჩემ მიერ იყო დადასტურებული, რომ ინდივიდუური სიგნალი იწვევს მტკიცე და სრულიად დიფერენცირებულ რეფლექსს, ამ სიგნალის მიწლებ კერისა და სათანადო ფეხის ქერქულ მაიმორავებელ წერტილებს შორის დროებითი კავშირების აღმოცენების გამო. მაგალითად, როდესაც მუშავდება ინდივიდუური რეფლექსი ტონეარიატორის ბგერასთან მარჯვენა წინა ფეხის ელექტრული გაღიზიანების შეუღლებით, დასაწყისში, როგორც ეს პირველად ბეხტერევის შკოლის მიერ იყო აღმოჩენილი, ცალკე ბგერა იწვევს ძლიერ ვრცელ რეფლექსს მტკიცეული გამაღიზიანებელი სეფექტით: განთავისუფლების საერთო მოძრაობანი (ამ ცდებში ძალი მიბმულია), გახშირებული სუნთქვა, წმებუტუნი ან ღრენა.

თავის აქეთ-იქეთ ძლიერი მოძრაობა, მაგრამ უკვე რამოდენიმე დღის მუშაობის შემდეგ, იგივე ბგერა იწყებს მხოლოდ გალიზიანებული ფეხის აწევნის რეაქციას, თავის საორიენტაციო მოძრაობას, ხოლო საერთო მოძრაობა: გაწვევითი სუნთქვა და წკმუტუნის ისპობა. ცხადია, პირველ ხანებში ბგერა ელექტრული გალიზიანების მსგავს ეფექტს იწვევდა იმ ქერქული კერის მონაწილეობის გამო, რომელიც უშუალოდ ელექტრული გალიზიანებით იგზნება. შემდეგში კი იგი რეაქციებს დროებითი კავშირებით იწვევს, რომელიც ინდივიდუური გალიზიანების მიმღებ კერასა და გალიზიანებული ფეხის ქერქულ მამოძრავებელ ნაწილებს შორის განვითარდა. ასეთივე რეფლექსის ადამიანზე გამოქვეყნებისას, თანახმად ბეხტერევის მონაცემთა, პირველად გამხოლოებულ ინდივიდუურ სიგნალზე ცდის პირი იძლევა არა მარტო კიდურის მოძრაობას, არამედ იგი ნათლად გრძნობს ტკივილსაც, თითქოს კანიც უღიზიანდებოდეს. მაგრამ ბოლოს ეს მოძრაობა ტკივილის შეგრძნების გარეშეც იწვევა (ბეხტერევი¹¹). ტკივილის გრძნობის წარმოშობა და მისი მოსპობა უნდა ცხადყოფდეს მას, რომ დასაწყისში აგზნება ინდივიდუურ გალიზიანების მიმღებ კერიდან ვრცელდება ქერქის მამოძრავებელ ნაწილებსაკენ ელექტრული გალიზიანების მიმღებ კერით, რეფლექსის გამტკიცების შემდეგ კი—ამ კერის გარეშე.

ამრიგად, ცდები ნათელყოფენ, რომ ნავარჯიშები ანუ ჩვეულებრივ რეფლექსური რეაქცია ამა თუ იმ სიგნალზე სწარმოებს მოკლე ნერვული კავშირებით: აგზნება აღებულ სიგნალის მიმღებ კერიდან გადადის პირდაპირ ქერქის მამოძრავებელ ნაწილებზე.

ახლა განვიხილოთ უჩვეულო მოძრაობანი, ე. ი. ისეთნი, რომელთა წარმოებისას სუბიექტი მამოძრავებელი წარმოდგენებით სარგებლობს. მაგალითად, როდესაც ადამიანი პირველად იწყებს ვიოლონზე დაკრის შესწავლას, მას სჭირდება მოძრაობითი წარმოდგენები შემდეგ უჩვეულო მოძრაობათა საწარმოებლად: ვიოლონის ტარზე თვალერის მისამართადად, მარცხენა ხელის განსაზღვრული თითის სიმის განსაზღვრულ ადგილზე დასადებად, მარჯვენა ხელის მოძრაობისათვის, სიმებზე ხემის გასატარებლად, ყველა ეს მოძრაობა იმდენად უჩვეულოა, რომ მათ გამოსაწვევად მარტო წაბაძვა არ კმარა. მისწავლებელი თვით ეხმარება მოწაფეს თავის სწორად დაქერაში, ვიოლონის ტარის მარცხენა ხელით სწორად დაკავებაში და მარჯვენა ხელით ხემის სწორ მოძრაობაში. ამ დროს მიღებული თვალის, კისრის, თვალთა და ხელების კუნთთა რეცპტორთა და თითების კანის გალიზიანებათა ნიადაგზე მოწაფეს უმუშავდება ხსენებულ მოძრაობათა სწორი მოძრაობითი წარმოდგენები. ამის შემდეგ, უკვე მას შეუძლია ამ მოძრაობით წარმოდგენათა საშუალებით თვით აწარმოვოს ხსენებული მოძრაობები. მაგრამ სანამ ხსენებულ მოძრაობათა წარმოებისას ეს წარმოდგენები მკაფიოდ არიან მოცემულნი, მანამ—მოწაფის მიერ ნოტის დანახვისა და სათანადო სიმის ამოძრავებამდე საკმაოდ დიდი დრო გადის, ვინაიდან მას ზუდამ სჭირდება ჯერ ნოტას შეხედოს, მერე ვიოლონსაც. მაგრამ მისწავლებლის მეთვალყურეობით მრავალჯერითი და მრავალდღიური ვარჯიშობის

შემდეგ იგი ეჩვევა სწორ მოძრაობებს ვიოლონისაკენ უხედავად და სერტოდ არაცნობიერად. ნოტის დანახვას თანსდევს მოძრაობა ყოველგვარ მუხებზე ტურ განცდათა გარეშე. მხოლოდ მკდარ მოძრაობისას, როდესაც მძღველებს ბგერა არ შეესაბამება აღებულ ნოტს, ისევ წამოიჭრება მოძრაობითი წარმოდგენების საჭიროება, ე. ი. მოცემული მოძრაობების ცნობიერი კონტროლისა თვალის საშუალებით. ცხადია, ვიოლონზე დაკვრის სწავლის პერიოდში ნოტით თვალის ბადური გარსის აგზნება გადაეცემა დიდი ტვინის ქერქში თვალის მიძღვბ არეს და აქ შეიგრძნება როგორც მისი გამოხატულება. აქედან აგზნება გადადის თავის მოძრაობის მამოძრავებელ წარმოდგენებში მონაწილე აგზნების კერებში, ამ უკანასკნელთაგან კი იგი წარიმართვის ქერქის მამოძრავებელ ნაწილებისაკენ სათანადო მოძრაობის გამოსაწვევად, შემდეგ აქედან, შესაძლოა კი ერთდროულად იმავე მხედველობითი კერიდან აგზნება გავრცელდეს თითის მამოძრავებელ წარმოდგენებში მონაწილე კერებზე, ამათგან კი აგზნება უნდა გადავიდეს ქერქის მამოძრავებელ ნაწილებზე თითების სათანადო მოძრაობისათვის; და ბოლოს აგზნება გადადის მარჯვენა ხელის მოძრაობის მამოძრავებელ წარმოდგენებში მონაწილე კერებში, ესენი თავის მხრივ ააგზნებენ ქერქის მამოძრავებელ ნაწილებს—მარჯვენა ხელის ასამოძრავებლად. წარმოშობილი მოძრაობა იწვევს ხემის სიმზე ხახუნს და მით აღებულ ნოტისადმი შესაბამი ბგერა იწვევა.

დიდიტვინის ქერქის აღნიშნული ფიზიოლოგიური პროცესის ანალახისას ამკარავდება, რომ მთელი ქერქული პროცესი წარმოადგენს მიძღვბ და საპასუხო ელემენტთა თანამიმდევრო მოქმედებას: ბადური გარსის ნოტით გალიზიანება იწვევს თავის მოძრაობის, იმავე ბადური გარსის ვიოლონის ტარის დანახვით გამოწვეული მოძღვენო გალიზიანება იძლევა მარცხენა ხელის თითების მოძრაობას, თითებით სიმზე დაქერის დანახვა (ისევ ბადური გარსის გალიზიანება) და აგრეთვე თვით დაწოლა (კანის გალიზიანება), იწვევენ მეორე ხელის საპასუხო მოძრაობას ხემის სიმზე გასატარებლად. ამ დროს მიღებული ბგერა კი თავის მხრივ სიგნალია ახალ ნოტისაკენ თავის მიხერისათვის. ამასთანავე ყოველ ელემენტარულ მოძრაობისას სათანადო მამოძრავებელი წარმოდგენაც მონაწილეობს.

ეს რთული პროცესი თანდათან მარტივდება. ყველა აგზნებულ კერას შორის დროებითი კავშირების დამყარებისა და ზოგიერთ კავშირთა სტებებთან შედარებით უფრო მეტად გამტკიცების გამო, მარტივდება აგზნების გზა ნოტის მიძღვბ კერიდან მარცხენა ხელის თითების და მთელი მარჯვენა ხელის მამოძრავებელ საბოლოო ნაწილებამდე. უპირველეს ყოვლისა ისპობა თავის მოძრაობა: ნოტის აღქმისას აგზნება გადადის არა თავის მოძრაობის მამოძრავებულ წარმოდგენებზე ან თავის მოძრაობის მამოძრავებულ ნაწილებზე, არამედ პირდაპირ თითების მოძრაობის მამოძრავებელ წარმოდგენებზე და მათი შემწეობით თითების მოძრაობის მამოძრავებელ ნაწილებზე. შემდეგში გამარტივება კიდევ წინ მიიწევს: ნოტის დანახვით გამოწვეული აგზნება გადადის პირდაპირ თითების მამოძრავებელ ნაწილებზე სათანადო მამოძრავებელ წარმოდგენათა გარეშე. ერთ-

დროულად ამისა ხდება მომდევნო პროცესის გამარტივება: დამაწყისი სიგნალს მარჯვენა ხელის მოძრაობისათვის სიმებზე თითების მდებარეობები ხედავს წარმოადგენდა, მაგრამ თავის მიხერის შეწყვეტის შემდეგ, ასეთი ხედავით მხოლოდ თითების სიმებზე დაჭერისაგან წარმოშობილი კანის გალიზიანება იქცა. მაგრამ შემდეგში, როდესაც მარჯვენა ხელის მოძრაობა სიმებზე თითების მოძრაობასთან სრულიად ერთდროულად ხდებოდა, მაშინ ცხადია, მარჯვენა ხელის მოძრაობის სიგნალად, მსგავსად მარცხენა ხელის თითების მოძრაობისა, შეიქმნა ნოტის დანახვა. ამასთანავე, რასაკვირველია, ეს მოძრაობაც აგრეთვე სათანადო მამოძრავებელ წარმოდგენის გარეშე წარმოებს. (თუ რად ხდება ერთი დროებითი კავშირის მეორეებზე უპირატესი განვითარება—იხ. ბერიტაშვილის შრომები ¹¹, ¹⁷, ¹⁸). ამრიგად, თანამიმდევარ სიგნალურ გალიზიანებათაგან და მოძრაობათაგან შემდგარი არაჩვეული რიგის მრავალჯერ განმეორებისას ადგილი აქვს მამოძრავებელ წარმოდგენათა მოსპობასთან ერთად ამ რიგიდან სხვა წევრთა გამოორიკხვას და ამასთანავე სხვა წევრთა მნიშვნელოვან გადაჯგუფებასაც; ასე, რომ მთელი რთული პროცესი დაიყვანება მარტივ რეაქციამდე, სადაც მხოლოდ ერთი გარეგანი გამაღიზიანებელი იწვევს სწრაფად მთელ რიგ მოძრაობებს.

ფსიქიურ ფენომენტთა შესახებ, რომელთაც შესაძლოა ადგილი ქონოდათ ამ დროს, უნდა ითქვას შემდეგი: სრულიად არაჩვეულებრივ მოძრაობათა შემთხვევებში სუბიექტს უნდა ჰქონდეს ერთის მხრივ აღქმა ყველა გარეგან სიგნალურ გალიზიანებათა: ნოტის სიმებზე თითების მდებარეობის ხედვის, თითებზე კანის დაჭერის და მეორე მხრივ მთელი რიგი მამოძრავებელი წარმოდგენები: თავის, მარცხენა ხელის თითების და მარჯვენა ხელის მხრის მოძრაობის. რაც შეეხება რთული ქერქული პროცესის დანარჩენ წევრებს, როგორცაა მამოძრავებელ ნაწილთა აგზნება და აგრეთვე თითებისა და მარჯვენა ხელის მოძრაობათა პროპრიოცეპტული გალიზიანებანი, არ უნდა განიკლებოდნენ.

მაშასადამე, უჩვეულო მოძრაობათა დროს ქერქულ ნერვულ პროცესთა რიგიდან ზოგი წევრი სუბიექტურად განიცდება, ზოგიც არა, ხოლო ამ რთული პროცესის გამარტივებისას ადგილი აქვს როგორც ფსიქიური, ისე უფსიქიო წევრთა გამოორიკხვას.

აგზნებისა და ფსიქიურ ფენომენტთა განუწყვეტლად მიმდინარეობის შესახებ. ჩვეულ (უნებლით) და არაჩვეულ (ნებით) მოძრაობების ფსიქოფიზიოლოგიურ განხილვიდან ნათელი გახდა, რომ ყოველ აღებულ ქერქულ პროცესში ჩვენ საქმე გვაქვს გალიზიანებული რეცეპტორიდან საპასუხო მამოძრავებელ ორგანომდე აგზნების, ე. ი. წმინდა ფიზიოლოგიური პროცესის, განუწყვეტელ მიმდინარეობასთან. ეს პროცესი არასდროსწყდება, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში გარეგან ეფექტს ვერ მივიღებდით.

რაც შეეხება აღებული ფიზიოლოგიური პროცესის გასწორებულ ფსიქიურ, სუბიექტურ განცდას, იგი, პირიქით, წყვეტილად მიმდინარეობს, ყველა ფიზიოლოგიური პროცესის ნაოლოდ დიდიტვირის ქერქის მიმღებ ფსიქოგენურ კატაბოლიტებში გატარებისას წამოიჭრება. ამრიგად, ფიზიოლოგიური პროცესი განუწყვეტლად მიმდინარეობს, გადადის რა არა ფსიქოგენურ ელემენტებიდან ფსიქოგენურზე და უკუღმა ფსიქოგენურიდან არა ფსიქოგენურზე, ფსიქიური ფენომენები კი მხოლოდ იმ მომენტებში ჩდება, როდესაც აგზნება ფსიქოგენურ ელემენტებს აღწევს.

რასაკვირველია, სუბიექტურ შთაბეჭდილებათა მიხედვით ფსიქიური მოვლენებიც განუწყვეტლად მიმდინარეობენ. ეს პირობადებულია უწინარეს ყოველისა მით, რომ სიფხილემი ყველა რეცეპტორები თითქმის განუწყვეტელ გაღიზიანებას განიცდიან. ამრიგად მომენტიდან-მომენტამდე სულ ახალ-ახალი აღქმები ჩდება. ამასთანავე რომელიმე მომენტში აგზნება ქერქის ერთ რომელიმე ნაწილით კი არ შემოიფარგვლის, არამედ, თანახმად აგზნების შეუღლებული ირადიაციის კანონისა, მუდამ ირადიაციას განიცდის ქერქის ნეირონთა მთელი კომპლექსში. ამის მიხედვით ყოველ მომენტში აგზნებიან ფსიქოგენურ და არაფსიქოგენურ ელემენტთა მთელი რიგი შერატებანი და ამიტომაც ყოველ მომენტში არაფსიქოგენურ ელემენტთა მოქმედებისას ადგილი აქვს ფსიქოგენურ ელემენტთა მოქმედებიდან წარმოშობილ რთულ სუბიექტურ განცდებს. მაგრამ თუ პერიფერულ გაღიზიანებებს ხელოვნურად შევზღუდავთ, მაშინ სუბიექტურ განცდებში თვალსაჩინო სიკარიელეს ექნება ადგილი, როგორც, მაგალითად, ძილის შემთხვევებში. ამასთანავე, რასაკვირველია, როგორც დიდიც არ უნდა იქნეს ეს სიკარიელი სუბიექტი მას ვერ შეიგრძნებს, ვინაიდან დროს შეგრძნება მუდამ სუბიექტურ განცდებთანაა დაკავშირებული. როგორც ძილის ხანგრძლიობა არ შეიგრძნება, ისე ამ შემთხვევაშიაც. ვანსხვაგვარა მხოლოდ იმაშია, რომ ძილის დროს დიდ ჰემისფეროთა ქერქი შეიძლება სრულიად მოსვენებაში იყოს, სიფხილის დროს კი ფსიქიურ განცდათა შორის სიკარიელის მიზეზი შესაძლოა იქნეს, როგორც ქერქის ნამდვილი მოსვენება, აგრეთვე რომელიმე არაფსიქიური კომპლექსის მართლად მოქმედება.

აღნიშნულის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ თანმიმდევრო და თანადროულ ფსიქიურ ფენომენტთა შორის არავითარი მიზეზობრივი ან ფუნქციური დამოკიდებულება არ არსებობს. ესა თუ ის ფენომენი აღმოცენდება არა წინამორბედ ან თანადროულ ფსიქიური ფენომენის მიზეზით, არამედ მხოლოდ-დამხოლოდ წინამორბედი ან თანადროული აგზნების ფიზიოლოგიური პროცესის გავრცელებისა გამო. მართალია, სუბიექტური შთაბეჭდილების მიხედვით ჩვენ ხანდისხან გვეჩვენება, რომ აღებული ფსიქიური ფენომენი დამოკიდებულია მეორე წინამორბედ ან თანადროულ ფსიქიურ ფენომენისაგან, მაგრამ ამას ადგილი აქვს იმტომ, რომ აგზნების პროცესი შესაძლოა მიმდინარეობდეს ფსიქოგენურ ელემენტთა განსაზღვრულ კომპლექსში მუდამ ერთსადაიმამე წესითა და თანმიმდევრობით. მაგრამ როგორც ყველასათვის ცნობილია, ადგილი აქვს ისეთ ფსიქიურ ფენომენტთა თანმიმდევრობასაც, რომელთა შორის რაიმე მიზე-

ზომრიც კავშირს სუბიექტი ვერ სჭერტს. ასე მაგალითად, ამ სტრუქტურითა წერის მომენტში ჩემს ცნობიერებაში უცერად იჭრება დიდხნის უგერდუცვლო ჩემ მშობელთა ფოტოგრაფიული სურათი. შეიძლება ითქვას, არაბა: ჩემი წერის საგანსა და ჩემ მშობელთა სურათს შორის არაერთი არ არსებობს. მაგრამ ფაქტის არსებობა--ახსნის შოითხოვს. აზრთა მოულოდნელი გადასვლების შესახებ ფიქრის მომენტში მიმდინარე აგზნების ფიზიოლოგიურმა პროცესმა აგზნების იმ ნერვული გზებით ირადიაციის გამო, რომელნიც აღებულ მომენტში დიდი აგზნებულების მატარებელნი იყენენ, მოიყვანა მოქმედებაში ნერვულ ელემენტთა ის კომპლექსი, რომელთა აგზნებას თანსდევს ჩემი მშობლების ფოტოგრაფიული სურათის ხედვის ფსიქიური ფენომენი. (ჩვეულებრივ მე ჩემ მშობლებს ვიხსენიებ ფოტოგრაფიულ სურათზე აღბეჭდილი გამოსახულებით). როგორც ამ შემთხვევაში, როდესაც ფსიქიურ ფენომენტთა შორის განსაზღვრული კავშირი არ შეიგრძნება, ისე იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთს ადგილი აქვს, მათ შორის ნამდვილ მიზეზობრივ ან ფუნქციურ კავშირს ადგილი არ აქვს. ყველა შემთხვევაში ერთი ფსიქიური ფენომენი სდევს შერორეს იმისგამო, რომ შესაბამი ფიზიოლოგიური პროცესები ურთიერთს მისდევენ განსაზღვრულ ფიზიოლოგიურ კანონთა მიხედვით.

აქედან კი გამომდინარეობს, რომ ადამიანის და აგრეთვე ცხოველთა ყოველი გარეგანი რეაქციის პირობამდებელია ფიზიოლოგიური პროცესი, როგორც სუბიექტურ განცდათა უარსებობის, ისე მათი არსებობის შემთხვევებში და ამრიგად, ფსიქიკას ამ რეაქციითა წარმოშობაში არაერთი როლი არ მიენიჭება.

გარეგანი რეაქცია არ შეიძლება შეადგენდეს ფსიქოლოგიის საგანს. შემთხვევითად გამომდინარეობს, რომ ფსიქოლოგიის საგანს უნდა შეადგენდეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ფსიქიკა, რომელიც ჩვენ სუბიექტურ განცდებში გვევლინება. გარეგანი რეაქცია კი სუბიექტურ განცდათა მაჩვენებლად ვერ ჩაითვლება. მაგალითად, როდესაც ადამიანი ხელს ამოძრავებს, ვერაინ ვერ იტყვის მართებულად, თუ რა სუბიექტური განცდები სდევს ამ მოძრაობას. ჩვენ შეგვიძლია ჩვენ საკუთარ რეაქციითა საფუძველზე ვიფიქროთ თუ რა სუბიექტურ განცდებს უნდა ექნეს ადგილი, მაგრამ ეს მხოლოდ სიყვარლისო რყევა იქნება და არა გარეგან რეაქციითა მიხედვით ფსიქიური ფენომენტის ზუსტი მეცნიერული განსაზღვრა.

რასაკვირველია ადამიანს შეიძლება გამოვკითხოთ მის სუბიექტურ განცდათა შესახებ, მაგრამ აქ უკვე საქმე გვექნება თვით დაკვირვების მონაცემებთან და არა ამ განცდათა გამორკვევასთან მის გარეგან რეაქციითა საშუალებით.

თუ გარეგან რეაქციითა მიხედვით არ შეიძლება ადამიანთა ფსიქიურ ფენომენტთა გათვალისწინება, ეს მით უფრო შეუძლებელია ცხოველთა მიმართ.

ცხოველთა გარეგანი რეაქცია ცხადია არ შეიძლება მათ სუბიექტურ განცდათა განზომბატველად მივიჩნიოთ. ამასთანავე ცხოველებს არ ძალუძთ გეგმურ თანვიანთი სუბიექტური განცდები და ამიტომაც ცხოველთა ფსიქოლოგია მუდმივ გამოცანად დარჩება.

ამრიგად ცხადია, რომ ადამიანისა და ცხოველთა ქცევა მხოლოდ ფიზიოლოგიური გზით უნდა შეისწავლებოდეს. თვითდაკვირვება ვერავითარ დახმარებას ვერ გაგვიწევს არამარტო ცხოველთა, არამედ ადამიანის ქცევის შესწავლაშიც. მას შეუძლია დაგვიხმაროს ჩვენი საკუთარი ქცევის შეცნობაში, ვინაიდან ჩვენი სუბიექტური განცდები ერთ და იმავე დროს განსაზღვრულ ფიზიოლოგიურ პროცესთა მაჩვენებელიც არიან. ზოგ შემთხვევებში კი სუბიექტურ განცდათა ცვლა სრულიად შეესაბამება ფიზიოლოგიურ პროცესთა ცვლას.

შესახებ თერმინთა: ქცევის ფსიქოლოგია, ცხოველთა ფსიქოლოგია, ობიექტური და სუბიექტური ფსიქოლოგია და ექსპერიმენტული ფსიქოლოგია. თერმინი ქცევის ფსიქოლოგია შემოღებულია ამერიკელ ფსიქოლოგთა მიერ ქცევის შესახებ მოძღვრების აღსანიშნავად. ჭეშმარიტი ბიპევიორისტი ადამიანისა და ცხოველთა ქცევას განიხილავს ფსიქიკისაგან დამოუკიდებლად, იმ სწორი მოსაზრებით, რომ შესაძლოა რაიმეს თქმა მხოლოდ ჩვენი საკუთარი ქცევის თანმსდევ ფსიქიკის შესახებ, მაგრამ სრულიად რაიმე გარკვეულის თქმა არ შეიძლება სხვა ადამიანთა და მით უმეტეს ცხოველთა ქცევის ფსიქიურ ფერმენტთა შესახებ (უოტსონი²⁰). აქედან კი გამომდინარეობს, რომ ქცევის შესახებ მეცნიერებისათვის ქცევის ფსიქოლოგიის სახელწოდების მინიჭება სრული უაზრობაა.

უფრო მეტად უმართებულოა ქცევის შესახებ მოძღვრებას ეწოდოს პირდაპირ ფსიქოლოგია, როგორც ამას სჩადის კორნილოვი²¹). იგი თავის სახელმძღვანელოს, რომელშიაც მოყვანილია ცნობები ადამიანის გარეგან რეაქციითა შესახებ, უწოდებს ფსიქოლოგიას. არსებითად კი ეს სახელმძღვანელო ადამიანის ქცევის თავისებურ რეფლექსოლოგიურ დალაგებას წარმოადგენს.

აგრეთვე უმართებულო და პირდაპირი აბსურდია გამოთქმა ცხოველთა შედარებითი ფსიქოლოგია ანუ ზოოფსიქოლოგია (ვაჯერი²²). ჩვენ შეგვიძლია მაღალ საფეხურზე მდგომ ცხოველების ადამიანებთან შვავსების ნიადაგზე მხოლოდ იმის თქმა, რომ ასეთ ცხოველებს შესაძლოა ქონდეთ ფსიქოგენური ნერვული ელემენტები. მაგრამ უფრო კონკრეტული ლაპარაკი ცხოველთა სუბიექტური განცდების შესახებ ჩვენ არ შეგვიძლია, ვინაიდან არავის არ სმენია ცხოველთაგან მათი სუბიექტური განცდების შესახებ. რაც შეეხება გარეგან რეაქციებს, მათი მიხედვით, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, შეუძლებელია სუბიექტურ განცდათა ნამდვილი ხასიათის შესახებ დასკვნების გამოყვანა.

არც სახელწოდება ობიექტური ფსიქოლოგია (ბეხტერევი²³) არის მისაღები. რამდენადაც ფსიქოლოგიას მხოლოდ სუბიექტურ განცდებთან აქვს საქმე, მას გარეშე თვითდაკვირვებისა სხვა მეთოდი არ გააჩნია. მართალია თვითდაკვირვების მეთოდი არ არის ზედმიწევნით ზუსტი განსაკუთრებით

იმის გამო, რომ თვითდაკვირვების დროს ჩვენ საქმე გვაქვს არა პირველად განცდებთან, არამედ მხესიერების საშუალებით მათ აღდგენასთან, აგრეთვე უკვე აღიქმულ განსხვავებებთან პირველთაგან, როგორც რომელიმე, აგრეთვე მსგავსი სიტუაციის გამოც. მაგრამ მიუხედავად ამისა არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ გზითაც საკმაოდ ობიექტური რეზულტატები მიიღწევა, ე. ი. ისეთი რომელიმე მიზნების აღებული გარემოს ყველა ადამიანის სუბიექტურ განცდებისათვის საერთოდ. ასე მაგალითად, თვითდაკვირვებით ერთი ადამიანის მიმართ დადასტურებული სუბიექტურ განცდათა კლასიფიკაცია და ფორმები ნიშნულთაგანია აღებული წრის და აღებული კლასის, ე. ი. ერთგვარ პირობებში მცხოვრებ ყველა ადამიანისათვის. ამ აზრით ემპირიული ფსიქოლოგიაც მსგავსად სხვა მეცნიერებათა ობიექტური მეცნიერებაა და სრული უაზრობაა მისთვის სუბიექტური მეცნიერების სახელწოდების მინიჭება.

ცნება სუბიექტური ფსიქოლოგია გაჩნდა რუსეთში იმ ნიადაგზე, რომ მრავალი ფსიქოლოგი დაწყებული ვუნდტიდან შეისწავლიდა ადამიანის გარეგან რეაქციებს და აქედან დასკვნებიდან ფსიქიურ ფენომენთა წარმართველი კანონების შესახებ. ასე მაგალითად, ებინგჰაუსისა²¹ და მის მიმდევართა მიერ განსაზღვრული რიგით უაზრო მარცვალთა დასწავლით და შემდეგ მოცემული მარცვლის საპასუხოდ მომდევნო მარცვლის გახსენების პროცესების შესწავლით იქნა გამოაშკარავებული, რომ ყოველი მარცვლი უკავშირდება უშუალოდ არა მარტო ყოველ წყის მისაღმი მომდევნო მარცვალს, არამედ ყველა მომდევნო და წინამორბედ მარცვლებსაც. ამასთანავე კავშირი ორმარცვალთა შორის მით უფრო ძლიერია, რამდენადაც ისინი რიგში ერთმანეთთან ახლო არიან. აგრეთვე ეს კავშირები წინტეგეითი მიმართულებით უფრო მეტად მუშავდებიან ვიდრე უკუტეგეით. ეს ექსპერიმენტული მასალა სავსებით შეესაბამება მას, რაც ჩემ მიერ ძალღებზე ინდივიდურად შექმნილ მოძრაობათა შესწავლისას იქნა მოპოებული. სხვადასხვა ორ ზედიზედ მომდევნო გაღიზიანებაზე ინდივიდური მამოძრავებელი რეფლექსის გამომუშავებისას აღმოჩნდა, რომ დროებითი კავშირები აღმოცენდებიან ჯერ მეორე და შემდეგ პირველ გაღიზიანებაზე. ამასთანავე მეორე გაღიზიანებაზე გამომუშავებული კავშირები უფრო მტკიცენი არიან ვიდრე პირველის. ჩემ მიერ აგრეთვე იქნა აღმოჩენილი, რომ ყოველთვის წინტეგეითი დროებითი კავშირის აღმოცენებასთან ერთად ვითარდება უკუტეგეითი კავშირიც, მაგრამ პირველთან შედარებით ნაკლებად მტკიცე. (ბერტილანდი²²).

ებინგჰაუსის ცდებში ჩვენ საქმე გვაქვს არაპირდაპირ ფსიქიურ ფენომენებთან, არამედ მსგავსად ძალღებზე მოხდენილ ცდებისა, გარეგან რეაქციებთან. განსხვავება მხოლოდ მასშია, რომ სუბიექტის გარეგანი რეაქცია სიტყვიერი რეაქციებით გამოიხატვის და ძაღლებზე კი — ფეხის მოძრაობაში. როგორც ძაღლებზე დაყენებულ ცდებში, აგრეთვე ადამიანზედაც ებინგჰაუსის მიერ შეისწავლემოდა უშუალოდ გარეგან რეაქციათა მსვლელობა. ყველა ის წესები, რომელიმე აღმოჩენილ იქნენ ებინგჰაუსის მიერ ეტებიან განსაზღვრული რიგით მარცვალთა კითხვის ან გამოთქმის დროს არსებულ ფიზიოლოგიურ პრო-

ცესებს და არა სათანადო (მათ კითხვისაგან და გაგონებისაგან წარმოშობილ) შეგრძნებებს.

ამრიგად, როგორც ებინგჰაუსის, ისე სხვა მსგავსი უცხოელებმა და ციხილავენი არა სუბიექტურ განცდებს, არამედ სუბიექტის გარეგან რეაქციებს, არსებითად შეისწავლება არა ფსიქიკა, არამედ ც. ნ. ს. ფიზიოლოგია.

ჩვეულებრივ, ფსიქოლოგთა მუშაობის ეს დარგი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის სახელწოდებით აღინიშნება. მაგრამ, ვინაიდან ექსპერიმენტატორი ცდებს არსებითად არა სუბიექტურ განცდებზე, არამედ ც. ნ. ს. გარეგან რეაქციებზე აწარმოებს, ამიტომ ცხადია არც თერმინი—ექსპერიმენტული ფსიქოლოგია არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ თერმინს აზრი მიეცემოდა მხოლოდ საკუთარ განცდათა ექსპერიმენტული კვლევის შემთხვევაში.

ამრიგად, ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება შეისწავლის ადამიანის სუბიექტურ განცდებს. ამ მიზნისათვის მას მოეპოება ერთადერთი მეთოდი—თვითდაკვირვების მეთოდი. აქიდან გამომდინარეობს, რომ ფაქტიურად არ შეიძლება არსებობდეს ადამიანის ობიექტური ფსიქოლოგია, ზანცხოველთა ფსიქოლოგია, ან ეგრედწოდებულ ქცევის ფსიქოლოგია, ან აგრეთვე ექსპერიმენტული ფსიქოლოგია. ამ სახელწოდებებით აღნიშნულ მეცნიერებათა საგანს შეადგენს არა ფსიქიკა, არამედ ცენტრალურ ნერვულ ელემენტთა გარეგანი რეაქციები, ე. ი. ნამდვილი რეზულტატები. მართალია, ამ გარეგან რეაქციებს შესაძლოა თანსდევდეთ სუბიექტური განცდები, მაგრამ თავისთავად ისინი არ გვიაშკარავენ ამ განცდათა ხასიათსა და მათი მიმდინარეობის კანონებს.

მიზეზი უკმაყოფილები საფსიქოლოგიით, როგორც მეცნიერებით. უკანასკნელ ხანებში მრავალი ფსიქოლოგი აღარ კმაყოფილდება ფსიქიურ მოვლენათა შესასწავლად თვითდაკვირვების მეთოდით. ამასთანავე ზოგი თვითდაკვირვებას უცქერს, როგორც არა მეცნიერულ მეთოდს. ამიტომაც ამგვარად ფსიქოლოგთა მუშაობა მიმართულია უმთავრესად ადამიანის გარეგან რეაქციების შესწავლისაკენ სუბიექტურ განცდებთან მათი მიმართების დამყარებით ან ამ მიმართებათა გარეშე. თვითდაკვირვების მეთოდისადმი ფსიქოლოგთა უკმაყოფილების მიზეზი შემდეგია: ფსიქიურ ფენომენტთა ჩამოყალიბება და კლასიფიკაცია შედარებით იოლად სწარმოებს, მაგრამ რაც შეეხება მათ ურთიერთობის საკითხს, თვითდაკვირვება უძლურია მის გადაწყვეტაში. ერთ შემთხვევაში ესა თუ ის ფსიქიური ფენომენი თან სდევს ან მიჰყვება რომელიმე განსაზღვრულ ფენომენს, მაგრამ მეორე შემთხვევაში კი იგივე ფენომენი სრულიად მოულოდნელად სხვა ფენომენტთან ერთად გამოივლინება. ამრიგად სუბიექტს არ ძალუძს მათ და საერთოდ მათთან შეფარდებულ გარეგან გალიზიანებათა შორის რაიმე კავშირის დამყარება. ამ ნიადაგზე შემუშავდა წარმოდგენა ისეთ ფსიქიურ ფენომენტებზე, რომელნიც არ განიცდიან. ფიქრობენ, რომ ამა თუ იმ ფსიქიური ფენომენტის ჩვენ ცნობიერებაში უცარი წამოჭრა პირობადებულია ამ შეუკნობელი, ქვეცნობიერი ფენომენტის ცნობიერ, ნათლად განცდილ ფსიქიურ

ფენომენად გადასვლისაგან, ამრიგად, იქ სადაც სუბიექტი ვერ ხელდას ბუნებრივ კავშირს მის მიერ განცდილ ფენომენტთა შორის, იქ იგეგმება კონკრეტული კონსტრუქციები, რომლებიც ფსიქიურ ფენომენტთა სამყაროს იშველიებს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ყველა ფსიქოლოგი არ აღიარებს შეუცნობელ ფსიქიურ ფენომენტთა არსებობას (ტიტჩენერი²⁵, ებინგჰაუსი²⁶).

ფსიქოლოგია და ფიზიოლოგია. მაგრამ ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება უნდა ცდილობდეს არა მარტო ურთიერთობათა დამყარებას არამედ მათ წარმოშობის ვათვალისწინებასაც. მაგრამ წარმოშობის საკითხის განხილვისას თვითდაკვირვების მეთოდის უკმარობა უფრო მეტი სიძნელით აშკარავდება. ფსიქოლოგიას არ ძალუძს ამ საკითხების ფიზიოლოგიის დაუხმარებლად გადაწყვეტა, ვინაიდან ფსიქიურ ფენომენტთა მიმდინარეობა ფსიქოგენურ ნერვულ ელემენტთა ფიზიოლოგიურ მოქმედებისაგანაა დასოკიდებული. ამიტომაც ფსიქოლოგმა ფსიქიურ ფენომენტთა ურთიერთობის პრობლემის გარკვევა ფიზიოლოგიურ მონაცემთა ნიადაგზე უნდა მოახდინოს. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვან რამოდენიმე შემთხვევას სადაც ეს პრობლემა ფიზიოლოგიური გზით გადაწყვეტილია.

ერთ-ერთ შრომაში მე გამოვაშკარავე ერთი ფსიქიური ფენომენიდან მეორეზე მოულოდნელი გადასვლის ფიზიოლოგიური ბუნება¹⁷⁻¹⁸). ძირითადი დებულებანი ჩემ მიერ იქნა მოპოებული ინდივიდუალ რეფლექსთა წარმოშობათა და ცვლილებათა ანალიზით. აგზნება ვრცელდება ქერქში აღებულ კერიდან არა მარტო დროებითი კავშირებით, არამედ მათ გარეშეც თანახმად აგზნების შეუღლებული ირადიაციის კანონისა. თუ სადმე ქერქულ ნაწილში აგზნებულება რაიმე მიზეზით აწეულია, მაშინ ეს ნაწილი შესაძლოა მოვიდეს აქტიურ მდგომარეობაში, როგორც დროებითი კავშირებით, აგრეთვე მათ გარეშეც მთელ ქერქში აგზნების ირადიაციის გამო. და ამასთანავე თუ აღებული ნაწილი ფსიქოგენურია, ცხადია სათანადო ფსიქიური ფენომენტის წარმოშობას ადგილი ექნება არა მარტო ცნობიერი ასოციაციური გზებით, არამედ მათ გარეშეც, მაშასადამე სრულიად მოულოდნელად.

როდესაც ერთი ფსიქიური ფენომენი მუდმივ სდევს მეორეს, მათ შორის ასოციაციური კავშირის არსებობას გულისხმობენ. მაგრამ ასეთი კავშირის გაჩენის მიზეზის შესახებ ფსიქოლოგს არაფრის თქმა არ შეუძლია. ეს საკითხი გამოკვლეულ და გარდაწყვეტილ იქნა წმინდა ფიზიოლოგიური მეთოდებით, სახელდობრ დიდი ტვინის ინდივიდუალად შექმნილი მოქმედების შესწავლით. (იხილეთ დაწერილ. ჩემ მონოგრაფიაში¹¹). მართალია, როგორც ზევითაც ვდინიშნეთ ებინგჰაუსის შრომებიც აგრეთვე გარეგან რეაქციათა საფუძველზე დროებითი კავშირების გამოუმუშავებას ეხებიან, მაგრამ ეს შრომები არ შეიცავენ მათი წარმოშობის ფიზიოლოგიურ ანალიზს.

ახალი ფსიქოლოგიური თეორია, რომელიც მოყვანილობათა თეორიის სახელწოდებითაა ცნობილი, ამტკიცებს, რომ უწინარეს გვეძლევა მოვლენის ანუ საგნის მთლიანი სახე და მასში შემავალი ესა თუ ის კომპონენტი კი მთლიანიდან შემდეგ გამოყოფის გზით მიიღება. ასეთი მტკიცება არაა საკმარისი

მთლიანსა და მის ნაწილებს შორის არსებულ მიმართებათა ნათელსაყოფად. საკითხი მთლიანი მოვლენის წარმოშობაში კომპონენტთა როლის შესახებ შეიძლება მხოლოდ ფიზიოლოგიური კვლევის ნიადაგზე გადაწყდეს. ჩვენ შეუძლია ამ საკითხის გადაწყვეტას ძალებზე კომპლექსურ გამოიზიანებლებზე (ოთხი ბგერა, რთული ფიგურა) კვებითი მამოძრავებელი ინდივიდური რეფლექსის გამოყენებით. ამ მუშაობათა ზოგი რეზულტატი პირველ წერილშიაც მოვიხსენიეთ. ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ აღებულ კომპლექსზე ძალების ქცევა განსაზღვრულ შემთხვევებში კომპონენტებზე აღმოკენებული დროებითი კავშირების მოქმედებათა შეჯამებიდანაა პირობადებული და ზოგ შემთხვევაში კი იმ ნერვულ ელემენტთა განსაკუთრებული დროებითი კავშირებიდან, რომელნიც იგზნებიან დამატებითად ყველა კომპონენტთა ერთდროულ მოქმედებისას (ბერიტაშვილი და ბრეგაძე²⁵). მაშასადამე, ფიზიოლოგიური გამოკვლევით ნათელი ხდება, რომ მთელი კომპლექსის ფიზიოლოგიური მოქმედება პირობადებულია შემცველ კომპონენტთა მოქმედების მთელი ჯამით და რომ ფიზიოლოგიურად უწინარესი კომპონენტებია და არა მთელი, როგორც ამას მოყვანილობათა ფსიქოლოგიური თეორია მოითხოვს.

ამრიგად, ფსიქიურ ფენომენტთა წარმოშობა და ურთიერთობა შეუძლებელია მეცნიერულად აიხსნან გარეშე ფიზიოლოგიური კვლევისა, ვინაიდან თვითდაკვირვება გამოსადეგია მხოლოდ ფსიქიურ ფაქტთა დასადასტურებლად, და არა მათ ურთიერთობისა და დროში ცვალებადობის გამოსარკვევად, რომლებიც ტვინის ქერქში აგზნების გავრცელებით არიან პირობადებულნი.

აქედან გამომდინარეობს, რომ ფსიქოლოგიას, როგორც ბიოლოგიურ მეცნიერებას, არ შეუძლია განვითარდეს ც. ნ. ს.-ის ფიზიოლოგიის გარეშე. ამასთანავე ამ ეპოქად წმინდა ფსიქოლოგიის მუშაობა არ შეიძლება ნაყოფიერი დარჩეს. ფსიქოლოგი ერთსა და იმავე დროს უნდა იყოს ფიზიოლოგიც და უნდა აწარმოოს კვლევა ერთდროულად როგორც ფსიქიკის, ისე ც. ნ. ს.-ის ფიზიოლოგიის დარგშიაც. მას შეუძლია ებინგჰაუსისა და სხვათა მსგავს ცდებს მიმართოს, მაგრამ ფსიქიურ ფენომენტთა ურთიერთობის შესახებ მსჯელობაში იგი უნდა ლებულობდეს ფიზიოლოგიურ მონაცემებს, ე. ი. უნდა ემყარებოდეს ნერვულ მოქმედების კანონებს.

მაშასადამე, აშეამად ფსიქოლოგიის განვითარება მკიდროდაა დამოკიდებული ც. ნ. ს.-ის ფიზიოლოგიის განვითარებაზე და მასზე, თუ რამდენად სარგებლობს იგი ამ უკანასკნელის კანონებით. ფსიქოლოგია მხოლოდ მაშინ შესძლებს განვითარებას, თუ იგი ც. ნ. ს.-ის ფიზიოლოგიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ივლის.

ლიტერატურა.



1. K. Goldstein. Die Lokalisation in d. Grosshirnrinde. Bethe's Handbuch d. norm. u. pathol. Physiologie. ტ. 10, გვ. 600, 1927.
2. И. Павлов. Лекции о работе больших полушарий головного мозга. 1927 Госизд.
3. M. v. Frey. Die Tangorezeptoren d. Menschen. Bethe's Handb. d. norm. u. pathol. Physiologie, ტ. 11, გვ. 94, 1926.
4. I. Beritoff. On the fundam. processes in cortex of the cerebral hemispheres. II. Brain. ტ. 47, გვ. 358, 1924.
5. И. Попов. К учению об анализаторах пространства. 1920. Новочеркасск.
6. F. v. Weizsaecker. Einleitung zur Physiologie d. Sinne. Bethe's Handb. d. norm u. pathol. Physiologie. ტ. 11, გვ. 1, 1926.
7. K. Grahe. Die Funktionen d. Bogengangs apparatus u d. Statoliten d. Menschen. Bethe's Handb. d. n. u. p. Phys. ტ. 11, გვ. 909, 1926.
8. Ul. Ebbecke. Die kortikalen Erregungen. 1919. Leipzig.
9. C. Judson Herrick. Some reflexions on the origin a. significance of the cerebr. cortex. Jour. of anim. behavior. ტ. 3, გვ. 222, 1913.
10. I. Beritoff. Ueb. d. individuell-erworbene Tätigkeit d. ZNS bei Tauben. Pflüger's Arch., ტ. 213, გვ. 570, 1926.
11. I. Beritoff. Üb. d. individuell-erworb. Tätigkeit d. Zentralnervensystems. Jour. f Psychol. u. Neurol., ტ. 33, გვ. 213, 1927.
12. В. Кеннон. Физиология эмоций. 1927. Пер. с английск.
13. A. Forbes u. C. S. Sherrington. Acoustic reflexes in the decerebrate cat. Amer. Jour. of Physiol., ტ. 35, გვ. 365, 1914.
14. В. Савиц. Основы поведения человека. 1926.
15. Г. Зеленый. Собака без полушарий большого мозга. Тр. общ. русских врачей в Петербурге. 1911.
16. ი. ბერიტოფი. უდიდებონო ძაღლის ქცევა არაა გამოკვეთიებული.
17. " კენტოვანი და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია. 1927 სახელგამო.
18. " ueb. die neuro-psychische Tätigkeit d. Grosshirnrinde. J. Mitt. Physiologie d. psychischen Prozesse. Jour. f. Psychol. u. Neurol., ტ. 31, გვ. 46, 1925.
19. В. Бехтерев. Основы рефлексологии человека, 1926. Госизд.
20. Дж. Уотсон. Психология как наука о поведении. 1926. пер. с англ.
21. К. Корнилов. Психология и Марксизм. Сбор. Москов. инст. exper. психологии. 1925.—Учебник психологии. 1926. Госизд.
22. В. Вагнер. Биологические основы сравнительной психологии. 1912. изд. Вольфа.
23. В. Бехтерев. Объективная психология. 1912-1914. Петербург.
24. Ebbinghaus. Grundzüge d. Psychol., ტ. 1, 1911. (არის რუსული თარგმანი).
25. Э. Титченер. Учебник психологии. 1914. Москва. Перев. с английск.
26. И. Беритов и А. Брегадзе, К физиологии поведения на сложный раздражитель. II, III и IV-ое сообщение. Медико-биологический журнал. 1929.

ეგნატე ნინოშვილი

(დაბადებიდან 70 წლის თავის შესრულების გამო)

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება ჩვენი ცხოვრების განვითარების ერთ-ერთ ფრიად მნიშვნელოვან საფეხურს გვისურათხატებს. რას შეიცავს ეს საფეხური და როგორ გადაგვიშალა იგი მწერალმა? მივმართოთ თითონ ნინოშვილის მოთხრობებს.

— „ჩემი ბაღნების დამკვლელი ვიყო, ივანე, თუ ერთი გროში გამაჩთეს! ქენი კაცობა, ამ კალანდის ვასტუმრება მაქალე, მერე სადმე წავალ და გადავიხდი,— შეეხვეწა ნაცვალს გოგია.

— გეყურება, შენ ზღაპარს ჩივი მგონია! რომელი საქირაოზე წავალა! ქვეყანას თბრიან და ატირებენ და შენ რას ჩივი! ფული თვარ გაქ, სხვაი რაიმე მოგვეცი,— ღორი, ქათმები და სხვა“.

ეს ადგილი „გოგია უიშვილი“-დანაა ამოღებული, ხაზგასმა მე მეკუთენის. ამავე მოთხრობაში ვკითხულობთ:

— „ავია მარინე, რომ იტყვიან გლეხი კაცი სიხარულში მოკვდებოა. ერთი ფული ყირი მელი პური ვიშონეთ საკალანდოთ და ქვეყანა ჩვენი გვერნია,— ნაღვლიანის ღიმილით უთბრა გოგიამ თავის ცოლს“.

ამ სიტყვებიდან მე ყირიმელი პურის შოენას ვუსვამ ხაზს.

„ეს კოტე მამალაძე, აგერ ათი წელი იყო, რაც ერთ მახლობელ ქალაქში, ვილაც ერთ დიდ ვაჭართან იდგა „პრიკაშჩიკათ“ და შედარებით კაი ჯამაგირსაც იღებდა. კოტე გლეხ-კაცის შვილი იყო, სოფლის ერთკლასიან სასწავლებელში ნასწავლი. „პრიკაშჩიკობის“ დროს რუსული ლაპარაკი და სავაჭრო ანგარიში ისწავლა და ამით თავი ნასწავლ კაცად მოჰქონდა თავის მეზობლებში... „შვილი ვარ და სწავლული ვარ კოტე მამალაძემ უნდა თქვას“. ამბობდენ ტევრეთელები, როცა დაინახავდენ ევროპიულ ახალ „კასტუმში“ გამოწყობულ კოტე მამალაძეს“.

ასეთ სიტყვებს ამოიკითხავთ მოთხრობა „უცნაური სენი“-ს ერთ-ერთ გვერდზე. „პალიესტომის ტბა“ კი ასეთნაირად იწყება:

„გურჩიის დასავლეთის მხრის სოფლებისათვის ქ. ფოთის დიდი მნიშვნელობა აქვს: რაც რამ გასაყადი აქვს ამ სოფლებს, ფოთში ჰყიდის. საყიდელია და კიდევ იქ ყიდულობს, როცა ამ სოფლების გლეხს გადასახადისთვის მიადგებიან

კარზედ და ფული კი არა აქვს, მაშინ ფოთია მისი თავდებობა. მაცია, ფოთის ჩავირბენ, ამოვიტან და მოგცემო, ეუბნება გლეხი „ზმორჩვეულებს“ უნაგვალს. დილიდან სალამომდე მიდინ და მიდიან ფოთის გზაზე ქათმებზედ უჩვეულებით, იხვებით, ბატებით, ლომით, სიმინდით და, ვინ იცის, რით არა, დატვირთული გურულები. ხე-ტყე ხომ აუარებელი ჩააქვთ გურიიდან ფოთს“.

თუ კარგად დააკვირდებით ზევით მოყვანილ ამონაწერებში ჩემ მიერ ხაზგასმულ ადგილებს და, ბოლოს, ამ უკანასკნელ სურათსაც ასწონ დასწონით, შემდეგ დასკვნას გამოიტანთ: ნინოწვილის დროის სოფელი უკვე ვერ ზერდება ნატურალური მეურნეობის ფარგლებში და მთელი თავისი ყურადღება ქალაქისაკენ მიუქცევია. გოგია უიწვილი სადმე წასვლით და გაჭირავებით ცდილობს გადასახადის გასტუმრებას. მის უკვე არ აკმაყოფილებს თავისი ხელით მოწეული პური და ყირიმიდან მოტანილი თეთრი ფქვილის შოვნა უდიდეს ბედნიერებად მიაჩნია. ნატურალური მეურნეობის პროდუქტს საქონლის მეურნეობა სცვლის.

კარგი მაშალად ქალაქში წასულა, იქ ვაჭრობაში ჩაბმულა და მით მთელი სოფლის თვალში პირველ კაცად გადაქცეულა. „პალიასტომის ტბის“ შესავალში კი ნინოწვილმა მოგვცა პირდაპირ ფებადგმული სოფელი, რომელსაც ქალაქის ბაზრისკენ მასიურად მიუქცევია პირი და ყველაფერი იქ მიაქვს განასუიდად. სოფელმა და მისმა წარმოებამ უკვე მოკაშა დრო, მის ადგილს ქალაქი და ქალაქური წარმოება იკვრას.

მაგრამ ვანეავრძობთ ნინოწვილის მოთხოვნებიდან ცენტრების და სურათების ამოღება, ჩვენს ახსნა-განმარტებებს თითონ მწერლის ლაპარაკი სჯობია, ხელოვანის შემოქმედების გაშუქების დროს თითონ მისი სიტყვები და სახეები უნდა იდგეს პირველ რიგში.

„ახლო-მახლო სოფლებიდან მეშა ხალხი ჩალაგდა ტყეში, ასე რომ სოფლებში ბავშებს და ქალებს გარდა, მუშა ხელი არ დარჩენილა. ვისაც თავისი ხეები ჰქონდა, ის იყო, და ვისაც არა, ისინი ქირით მიყავდათ. რა თქმა უნდა, ივანეც თავის ნიკოთი და რამდენსამე ნაჭირავების კაცით გაჩნდა თავის ხეებთან. მთელს თუთხმეტს დღეს ეზიდებოდა ხალხი ხეებს „ნოყობიდან“ „ტანწყალზე“... თუნდა ჯოჯობეთი ყოფილიყო, მეშას თავისი ხე მაინც უნდა წაელო ფოთში“. („პალიასტომის ტბა“).

ყურადღების ცენტრი აქაც ქალაქია, მთელი სოფლები ამოძრავებულა და მისკენ მიეშურება, იქ უნდა დაიკმაყოფილონ თავისი ოჯახის მოთხოვნილებანი. სხვა გამოსავალი გზა არ არის.

„განკარგულების“ მომქმედ პირს—კაცია მუნჯადეს ასეთი გვეგები აქვს:

— „ე, კალამ დამევიწყდა, სამშაბათს გამთენიეს მე და დათიამ გასაყიდი სიმინდი უნდა წავილოთ ურმით. ურემი პეტრიას გამოვართვით ქირაზე, ხარი დათიეს იქნება და ცალი ჩვენი...“

— ამ საცოდავ ბაღნებს ერთს დავმოსაფდეთ, თვარა მეტი რა მინდა...“

— აგერ, სამშაბათს, იგი სიმინდი თუ პაწია ხეირიან ფასად გავიდა, ყველას დავმოსაფ, ერთ საკაბეს შენც მოვიტან“.

უკანასკნელი იმედი ამ მოთხოვნის გლახისათვისაც ქალაქია, რადგან იქ შეუძლია მას რელიჯიაცია უყოს თავის ოდნავ ზედმეტ ნაწარმს, კიდევ უფროდ გროში შემოიტანოს ოჯახში, ნატურალური მეურნეობის მჭიდრობისთვის ეკვივალენტს—ფულს ეძიებს, ძველი სახით მისი ნივთიერება ახალ პირობებში შეუძლებელი ხდება გლახისათვის. ეს მოვლენა ვნახეთ „პალიასტომის ტბა“-შიც: შინაური ფრინველები, ხე-ტყე და სხვა ფულად გადასაქცევად მიაქვთ ქალაქისაკენ. თავიდან ბოლომდე ფულის შექმნის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს მოთხოვნა „მოსე მწერალი“-ც. მოსე ახალი დროის მექრთამეა: ძველებური ფეშქაშები და ძღვენი მას არ აკმაყოფილებს, იგი ფულზეა გამწარებული და ყველაფერ სისამაგლეს ჩადის მის შესაძენად. უნათლოშვილებმაც მშვენიერად იციან, რომ მათი დანხსნელი ეს ყოვლის შემძლე ლითონია და ამიტომაც წილებზე ფეხს იდგამენ მის საშოვნელად; რაკი სხვა გზა არ გააჩნდათ, ხარები გაჰყიდეს და ისე შიართვეს მოსეს ქრთამი. სიფელიც უკვე არ ჰგავს ძველ სოფელს. იქ მევახშეები და ჩარჩები გაჩნდნენ; აერთმა მედუქნემ, რომელიც სიმინდითაც ვაჭრობდა, მისცა სოფონას ხარებსა და ურემში ექვსი თუმანი“-ო, ვკითხულობთ „მოსე მწერალში“.

ამომრავებულ სოფელს მარტო პროდუქტების გასაღებით არ აკმაყოფილებს ქალაქი: გლეხის შვილებს, თუ სხვა წოდების წარმონადგენლებს, აქ სამუშაოს შოვნაც შეუძლიათ. უკვე ვიცით, რომ „უცნაური სენი“-ს გმირი, მამალაძე, ნოქრად იყო ქალაქში. „ცოლი და ქმარში“ ვკითხულობთ. „ოცდაათი წლის იქნებოდა ჯაჯიკაი, რაც ის დაუდგა ქალაქში ერთს ცოლშვილიან ვაჭარ ბერძენს მოჯაზაგირეთ. რამდენსამე წელს დარჩა ის ამ ბერძენთან... ფული, რომელიც ჯაჯიკას მოჯაზაგირეობით ეშოვნა, ახლა გაასესხა, სარგებელში აძლევდნენ ტირნახულს და ეს იყო ჯაჯიკას სარჩო.“

მეორე ადგილას ამავე მოთხოვნაში ნინოშვილი ამბობს:

„მელანიას გათხოვის შემდეგ სიკო რამდენიმე დღე ავით იყო. შემდეგ, როცა შორჩა, დაყიდა რაც რომ ებადა სახლკარიანათ და მიწიანათ, აილო პასპორტი და წაეიდა სადღაც, საიდანაც სოფელში მოსული არავის უნახავს“.

ქალაქი საქონელს აწეღის სოფელს, ქალაქი სოფლის მეურნეს პროდუქტებს უსაღებს, იგივე ქალაქი სამუშაოს აძლევს გაღარიბებულ გლეხს... ყოველივე ეს კარგი საქმეა და მძლავრად მიაქანებს ქვეყანას განახლებისაკენ. მაგრამ ნინოშვილმა ისიც კარგად იცოდა, რომ იმავე ქალაქის წყალობით ბევრი უბედურება შემოდის სოფელში: ავი სენი და ადამიანის ღირსების გამათახსირებელი მოვლენა—პროსტიტუცია, რომლის მსხვერპლად გადაქცეულან ქრისტიანი და სონა. ქალაქური მეურნეობა, გარდა ამისა, საშინელ ექსპლოატაციას უშვება მოსახლეობის ერთ ნაწილს—წარმოებაში ჩაბმულ სოფლიდან ჩამოსულ მუშახელს; კაპიტალისტური მეურნეობის ეს მოშენტიც მშვენიერად ჰქონდა ნინოშვილს შეგნებული, ვინაიდან ერთ დროს თითონ იგი იყო ქ. ბათომში ამ ექსპლოატაციის ობიექტი, მაგრამ ამის თაობაზე ქვევით, აქ კი ისევ ნინოშვილის მოთხოვნებზე უნდა შევჩერდეთ.

„ამ უკანასკნელს დროს კი გურიაში აღარ სჯერდებიან ზემო აღწერილს სახლებს, ვისაც ცოტაოდენი შეძლება აქვს, აზნაურია თუ გლეხი ყველა ცდილობს—ერთი ორსამ ოთახიანი სახლი მაინც გაიკეთოს და უმჯობესად დაგვარად, ევროპულად მორთოს. იქ, სადაც ხუთი ისლით დაბურული სახლი დგას, მეექვსე უქველად ყავრით დაბურული და ევროპიული კარებ-ფანჯრებით კობტად მოჩანს ხშირი ხეებით დაჩრდილულს ეზოში“. („ცოლი და ქმარი“).

ეს ახალი ყოფის ერთი სურათია, ქალაქური ცხოვრების ზედაველნას გლებთა ყოფა ცხოვრებაც განახლების გზაზე დაუყენებია, ძველი სოფელი ახალ სახეს ღებულობს. ეს განახლება მარტო სახლ-კარის გამოცვლას და ევროპულად მოწყობას არ დასტყობია, ყოველივე ამასთან ერთად თვით სოფლის ცხოვრებთა ვითარებაც შეიცვალა და გარდაიქმნა. ფულის მეურნეობის შემოჭრამ აქაც თავისებური გადატრიალება მოახდინა და ადამიანებიც სხვადასხვანაირად დააჯგუფა. ამ ძირითადი ცვლილების დამარწმუნებელ სურათს მოთხრობა „სიმონა“-ში ეხედავთ. მთელი ამ მოთხრობის სიგრძეზე აშკარად სჩანს, რომ ჩვენი სოფელი ახალი ბატონის ხელში მომწყვედვულა. ეს ბატონია დავით დროიძე, რომელსაც ხელთ უპყრია ახალი ცხოვრების მამოძრავებელი ძალა—ფული, აი, ის ლითონი, რომლის შესაძენად, როგორც ზევით ვნახეთ, მთელი გურია ამოძრავებულა და ქალიან-კაციანად ქალაქისკენ ამგზავრებულა. დავით დროიძე—ეს ფულადი მეურნეობის განახლებებია, მის წინაშე ქედს იხრიან არა მარტო გლეხები, არამედ ძველი დროის ბატონები—თავადებიც. დროიძე არც ამას ჯერდება და მთავრობასაც თავის სურვილების მიხედვით ამოწმებებს. ის უძლეველია, როგორც ეკონომიკაში, ისე მართვა-გამგეობაში, მთელი ცხოვრება მისი სურვილების მიხედვით მიიმართება, მას ემორჩილებიან ადამიანებიც და წარმოებაც.

ძველად ბატონყმობის დროს, სოფლის მშრომელ ელემენტს ბატონი სჩაგრავდა, ამ ჩაგრის მსხვერპლნი არსენა ოძელაშვილები იყვნენ; დღევანდელ ვითარებაში კი დროიძეები ბატონობენ და მათი მსხვერპლებიც სიმონა ძალაძეების სახით ჩნდებიან.

დავით დროიძეები მეფედებიან არა მარტო მეურნეობაში და მთავრობაში, ისინი და მათი შთამომავალნი ბატონდებიან აგრეთვე ხალხის სააზროვნო სფეროებშიც: დავითის შვილი სასწავლებელშია და დღეს თუ არა ხეალ ინტელიგენციის რიგებში ჩადგება, ე. ი. დაიპყრობს იმ ადგილსაც, სადაც ხალხის ფსიქიკა და იდეოლოგია მუშავდება. დავით დროიძის ვაჟი ტიტუკო ერთ ადგილას ამბობს: „ბურთი და მოედანი იმას რჩება, ვინც მქალავრია. სიმძლავრე ანუ ძალა ეხლანდელ დროში ფულია. ეს ფული თქვენ საკმაოდ გაქვთ, აიღეთ და მოიხმარეთ, რის გეშინიათ“. ამ სიტყვებიდან აშკარად გამოსჩანს ფულის იდეოლოგიის ავტორია, რომელიც, ალბად, ბურჟუაზიული ინტელიგენციის რიგებს შეაესებს. ტიტუკოს გარდა ახალ დროს მოსე მწერლის სახითაც თავისი იდეოლოგია ყავს შექმნილი. ცხოვრების ეკონომიური საფუძვლები დავით დროიძეებმა ჩაიგდეს ხელში, ზოლო მის ზედნაშენს—იდეოლოგიურ სფეროს მათი შეილება და მათთანავე მიტმასნილი ტიპები იქერენ. ორივე ეს ძალა შეუბრალებლად

დევნის მშრომელ ელემენტებს—სიმონა ძალაძეს: იჭერს, ატყუხსალებს, ოჯახს უნადგურებს. ყაჩაღად აქცევს და სიცოცხლეს უსპობს. მაგრამ მუდმივად მტკილი-ში და დაუნდობელ ბრძოლაში სიმონა ძალაძეებიც თავიანთ ვედრებებს წარმოშობენ, ამ მოვლენას „ჩვენი ქვეყნის რაინდ“-ში ვხედავთ.

ეს მოთხრობაც ახალი ყოფის ფონზეა მოცემული: ქალაქებში სასწავლებლად წასვლა, საოსტატო სემინარიები, სკოლები, სამკითხველოები, მატარებელი და სხვა ყოველივე ეს ახალი ვითარების ატრიბუტებია, ძველი ყოფა ასეთ რამეებს არ იცნობდა; სპირიტონ მცირიშვილები და მისი მშობლები, რომელნიც აგრე მიისწრაფიან სკოლისაკენ, სრულიად უჩვეულო ამბავია. სპირიტონ მცირიშვილიც, როგორც აღზრდით, ისე აზრებით და მიმართულებით ამ ახალი ვითარების შედეგია. ტიტკოების და მოსე მწერლების იდეოლოგიის გვერდით მცირიშვილების აზრთა მიმდინარეობაც უნდა წარმოშობილიყო, იმ მცირიშვილის, რომელიც ღარიბ გლეხთა ფენებიდან გამოვიდა. იგი მთელ თავის ენერჯიას მშრომელი ხალხის სამსახურს სწირავდა და მუდამ წამს ჩაგრულთა ბედის გაუმჯობესებაზე ფიქრობდა.

მცირიშვილის მაგვარი პროფილი გამოსჩანს ესკიზში „სხვამ რაც უნდა სთქვას“.

— „ბატონო, სემინარიაში ყოფნის დროსაც ეტყობოდა იმას, რაც შეილი იყო: დიდი კაცი, უფროსი, წირვა ლოცვა ფეხებზე ეკიდა; მის წინ რომ გუბერნატორს გაეულო, ქუდს არ მოუბდიდა. გახსოვს, ჩვენმა ბალაონინმა რომ ერთი უფროსი დაპატარეა სადილზე, სულ ამ მაზრის დიდკაცობა იქ იყო იმ დღეს. იქაც კი არ მოვიდა—რა მინდა, მე იქ რა ხელი მაქვსო“,—ამბობენ სოფელში პეტრე მღვდლის ვაჟის შესახებ, რომელიც მთავრობამ გადაასახლა. — ადვილად გამოიცნობთ, თუ რისთვის გადაასახლებდნენ მას.

— „გყარა ერთი ურემი წიგნი და ჰქონდა დღედაღამ შიგ ცხვირი ჩაფლული... სემინარიიდან საზაფხულოდ რომ შინ მოვიდოდა, შეკრებავდა სოფლის ბავშვებს და უფასოდ წერა-კითხვას ასწავლიდა.

— მერე რა ეწერა ნეტავ იმ წიგნებში?

— რა ეწერა და ბევრი რამ ეწერა. ყველაფერი ახლანდელი ყოფა უნდა გამოიცვალოსო“.

ასეთ ხაზებშია მოცემული ნინოშვილის მიერ სპ. მცირიშვილის დიდი ძმა, რომელიც „უმაღლესი სასწავლებლის უკანასკნელ კურსზე იყო“ და შინ დაბრუნების მაგიერ ციმბირში ამოყო თავი.

ამ პატარა ესკიზში ბურჟუაზიული ინტელიგენტის ნაკვეთი გამოსჩანს:

— „აი ჩვენი გაბრიელას სტეფანე რომ არის, კაცი იმისთანა უნდა: სწავლაშიც წყნარი და მშვიდი იყო და ცხოვრებაშიც ეგეთია. რაღაც რამდენიმე წელიწადია რაც მღვდლად ეკურთხა. მაგრამ მაინც კი ისე გახადა ლატაკი მამის დატოვებული ოჯახი, რომ მეფის სასახლე გეგონება, წვიმაში რომ მდინარეს წყალი ემატებოდეს, ისე ემატება მის ოჯახს ჭონება... გაბრიელას სტეფანეს რომ ამბობ, სტეფანე ფეხსაც კი არ გადადგამს საწყალი კაცის გულისათვის. მდიდარიყო, მე რაში მარგია მისი სიმდიდრე“!

ასეთია იმ რთული სურათის ზოგადი მოხაზულობა, რომელიც ნინოშვილ-მა მოგვცა თავის ხანმოკლე მოღვაწეობის განმავლობაში: ძველი მკვლევარების რღვევა და ახლის წიგნი, ქალაქებისკენ გამგზავრებული უწყვეტი გზების გახსნა და ქალაქებიდან სოფლად მომავალი საქონელი, ზენ-ჩვეულება და განათლება. მშრომელ ელემენტების ამოძრავების ნიშნები და მათი იდეოლოგიები: მკირიშვილი, პეტრეს ვაჟი; დავით დროიძეები და მათი აზრების მატარებლები: ტიტოვი, მოსე მწერალი და გაბრიელას სტეფანე... მაგრამ სურათი მთლიანი არ იქნებოდა, რომ ნინოშვილს ერთი საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენლებიც არ დაესურათებია, — ესაა თავად-აზნაურობა. რას შეება ამ ორომტრიალის დროს ის წოდება, რომელიც გუშინდელი ცხოვრების მეთაური და ბატონ-ბატონი იყო? ახალი ცხოვრების ყიფნა ხომ სასიკვდილო სავალბოელია მისთვის, ახალი ვითარების ყლორტები ხომ მის სასაფლაოზეა ამოსული? ქვედი მოიხარა მან, თუ ბრძოლას აპირებს? ჩვენმა მწერალმა ძველი ცხოვრების შებაიარატრე ასეთ ნაკვთებში დაგვისურათა „სოფლის გმირებ“-ში.

„თავ. მანუჩარ არწივადე კარგი სანახავია...; როცა თავის იისფერ ატლასის ახალუხში და ღვინისფერ თიფთიკის ჩოხაში გამოეწყობა, რა თქმა უნდა, ხმლითა და ხანჯლით... მედიდური, მწყრომარე სახე.., ბრძანების გამომეტყველი დიდრონი თვალები არწივის ნისკარტისებურად მოყვანილი ცხვირი... ძლიერ კარგი მონღერალია... მშვენიერად უკრავს კიანურზე და ჩონგურზე... თვალის წარმტაცად ლეკურს თამაშობს... საქართველოს ისტორია „მამაო ჩვენოსავით“ იცის“.

ერთის სიტყვით, ყველაფერი „აზნაურს მანუჩარში ძველი ქართველი არისტოკრატის ტიპს“. რა აზრები მოჰქვარა ამ ბრწყინვალე არისტოკრატს ახალმა დრომ?

„ახლანდელი წესები, — ნინოშვილის თქმით, — არ მოსწონს მანუჩარს. ის მისტირის წინაპართა ცხოვრებას და მაშინდელს წესებს. განსაკუთრებით უკმაყოფილოა მანუჩარ ბატონყმობის დარღვევაზე.. ეს არაა რიგი და წესი, ჩემი წინაპარი მეფეს უწევდა ტოლობას და ახლა ჩემი წინაყმის შვილი ჩემ გვერდით დაჯდომას აპირებს, აზობს იგი“.

მანუჩარი უშინაყმით დარჩა, ქონებაც თანდათან ეცლება; მანუჩარს კარგი მამული ხედა წილად, როცა ვაეყო თავის დებსა და ძმებს, მაგრამ ახლა კი მანუჩარის ხელში ძრიელ ცოტა დარჩენილა და ისიც კი, რაც დარჩენილია ჯერ გაუყიდლათ, სრულიად უწარმოებლად ცდება“. გულმოკლული თავადი ასეთი ლექსით იოხებს სულს:

დროსა შევესწარ ასეთსა,
გულს ცეცხლი გამოვარესდა,
აღმასით სქედენ ვირებსა
აკრავენ ოქროს ნალებსა,
ბედაურ ცხენებს კორტანს ქვეშ
სცვეთენ, ვინ შეიბრალებსა.

ასე მელანქოლიურად ერთობა თავადი არწივამდე, ხოლო მისი ღვიძლი შვილი კი—ტარიელ მკლავამდე ერთიანად ამოვარდნილა ძველი ექვთუმეზღვრე აპოტიდან, ახალს ვერ შეჭკუებია—ძველად უშრომელი იყო, მაგრამ ცხრამეტი წელიწადი სავაჭრო,—და პარაზიტად ქცეული, თავადური ინსტიტუტების წყალობით უბსოვარი დროის გმირის როლის გათამაშებას ებირება: ლოთობს, ფიზიკურ ძალის ავარჯიშებს, გარყვნილებას ეწევა, ანადგურებს ძველსაც და ახალსაც და, ბოლოს, ამ უგუნურ ბრძოლაში იღუპება.

ასეთია—ის მკვეთრი ანალიზი, რომელიც ნინოშვილმა მოგვცა თავის შემოქმედებაში, მას არ დაუტოვებია საზოგადოების არცერთი კუნძული და ყველაფერი საკუთარს თვალთ განჭვრიტა.

ეს ხანა გასული საუკუნის 90-იანი წლებია, როდესაც ქართველი ხალხის გულის სიღრმეში უდიდესი სოციალურა ცვლილებები ვითარდებოდა და ხალხის ახალ ფენებად დაწყობა იქცეულყოლი ნაბიჯით მიმდინარეობდა. ბატონყმური ურთიერთობის გადავარდნამ მხოლოდ 80—90-იან წლებში გამოიღო აშკარა ნაყოფი ჩვენს სინამდვილეში, მხოლოდ ამ ხანებში იგრძნო ფართოდ ქართველმა ხალხმა 80-იანი წლების რეფორმის შედეგები. ახალი ეკონომიური მოვლენები დღემდის ფეხაკრეფით ვითარდებოდნენ, მათი შემოქმედა ჩემად და უბნაურად მოდიოდა. მართალია, 70-იან წლებში უკვე დაიკვილა საქართველოს ტერიტორიაზე პირველმა მატარებელმა, გემებიც უფრო ადრე ზუზუნებდნენ ფოთის ნავთსადგურში, მაგრამ პატრიარქალური საქართველო და მისი იდეოლოგები სრულიადაც არ ფიქრობდნენ, რომ ამას თავად მანუშარ არწივამეზღვრის ცხოვრების მიმდინარეობიდან გარიგვა მოყვებოდა და მათ ადგილას ვიგინდარა დროიძეები წამოიჭრებოდნენ; არც მკირიშვილების გაიხნას მოელოდნენ ისინი და არც კაცია მუნჯაძეების... მაგრამ გადის 10—15 წელიწადი და ქართული ცხოვრების დიდგრენციაცია ყველასათვის აშკარად დასანახი ხდება: სოფელი ქალაქს დაუკავშირდა, ნატურალურ მეურნეობას ქალაქიდან მოტანილი საქონელი ეტოკება; სოფლის მცხოვრებნი რაღაცნაირად გამოიცვალნენ: დროიძეები და ჩარჩმედუქნეები ახალი ეკონომიური ფაქტორის წარმომადგენლებად გამოდიან, სიმონა ძალაძეები და ნიკოები თავის ადგილს მოითხოვენ ცხოვრებაში. გადახალისდა სოფელი და მისი სახლკარი, საქართველოს შორეული კუთხეები მატარებლის საშუალებით შეუკავშირდა ერთმანეთს... ერთი სიტყვით არწივამეზღვრის და მკლავამეზღვრის საქართველოს ახალი პატრონი გაუხნდა. ეს პატრონი გლეხების ქოხებიდან და სოროებიდან გამოდიან, თავადთა სასახლეები უკვე არ იძლევიან ახალ ძალებს, საუკუნოთა სიგრძეზე მოპარპაშე ბატონები ნელ-ნელა ჩამოაშორეს ცხოვრების სათავეს ვიგინდარა ნაყმევებმა; ძველად საღაოსაც რომ ვერ შეჭკადრებდნენ, ისეთი ვაჭბატონები დღეს გვერდითაც კი უსხდებიან თავად მანუშარ არწივამეს... უდიდესი ცვლილება მოხდა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში და სოციალურ ურთიერთობაში.

ეს დიადი ცვლილება ბევრისათვის დაუჯერებელი იყო ნინოშვილის დროს. ქართველი ხალხის მაშინდელი სულიერი ცხოვრების მეთაურები, სულ ცოტას გამოკლებით, ყურადღების ღირსადაც კი არ სთვლიდნენ ამ მოვლენებს და ასე



ეგონათ, რომ მათ წინაშე ისევ ძველი საქართველო იყო თავისი ეკონომიკით და სოციალური ურთიერთობით. თავად-აზნაურულ წრიდან განსაკუთრებული-გენციას არ სჯეროდა, რომ მისი წარმომშობი წოდება ცხოვრების გარეშე დარჩებოდა და ერის მეთაურობა ჩამოერთმეოდა. ფსიქოლოგიურად მიუღებელი და წარმოუდგენელი იყო მისთვის ასეთი რამე... ამიტომაც ისინი ღორბლ მო-რეულნი ეკვეთებოდნენ ყველა იმით, ვინც ასეთ რაიმეს აღმოაჩენდა ჩვენს სინამ-დვილესი და ამის მიხედვით ქართველი ხალხის ცხოვრებას ევროპისას შეადა-რებდა. ევროპა და მისი ეკონომიური ვითარება—ბურჟუაზიული წარმოება, ჩვენი პატრიოტული ინტელიგენციისათვის მიუღებელი იყო, მათის აზრით სა-ქართველოს განვითარების გზები სულ სხვა იყო, ვინემ ევროპის, ჩვენი ისტო-რია ერთის გზით მიდიოდა, ევროპის კი მეორეთი.

მაგრამ სინამდვილის განვითარება თავისას შებოდა და ჩვენს მოღვაწეთა შორისაც ახალი აზრები იკედებდა ფეხს. ინტელიგენციის ნაწილი გიორგი წე-რეთლის მეთაურობით და ზედგავლენით უკვე კარგა ხანი იდგა უმეტესობის საწინააღმდეგო თვალსაზრისზე და ბურჟუაზიის ჩვენში შექმნა ფაქტადაც მი-ჩნდა და სასურველ მოგლენადაც სთვლიდა. გიორგი წერეთლისათვის თავიდან-ვე მიუღებელი იყო ძველი საქართველოს ურთიერთობის შელახვის თვალთახე-ღვა, ამის გატარება ახალ ვითარებაში, მისი აზრით, ყოველად შეუძლებელი და მოუხერხებელი იყო. ამიტომაც ქართველ მოღვაწეს ქვეყნის იმდროინდელი გან-ვითარების გზები ბურჟუაზიულ ვითარებისთვის უნდა შეეფარდებია, სხვა გზა არ იყო.

გ. წერეთელი და მისი მომხრენი კარგა ხნის განმავლობაში ზღვაში წვეთს შეადგენდნენ, მათ მოწინააღმდეგეთა ლაშქარი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთა-ურობდა, ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყო. ამიტომაც გ. წერეთლის ხმა ერთიანად დაჩრდილული იყო. მაგრამ 90-იან წლებში გ. წერეთლის გეზმა უდიდესი დამცველი მოიპოვა ნინოშვილის სახით. ნიჭიერ ადამიანს გავლენის საშუალებაც ერთობ ბასრი ჰქონდა: მისი ნიჭიერად დაწერილი მოთხრობები შეუჩერებლივ ვრცელდებოდა და აფარებელ მკითხველებს პოულობდა. ეს კი იმის დამამტკიცებელი იყო, რომ ნინოშვილის პირით ცხოვრების სინამდვილე ლაპარაკობდა, რაიკ ერთნაირად არღვევდა იმ ძველისძველ ზღუდეს, რომელ-შიც ილია ჭავჭავაძის რაზმი ჩამჯდარიყო.

ხანმოკლე და უდღერე იყო ნინოშვილის მოღვაწეობა, სულ 4—5 წელიწადი გაგძელდა იგი (1989—94 წ.წ.), მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაშიც მან შე-სანიშნავად შეაფასა მის გარშემო არსებული ცხოვრება და მისი იდეოლოგიებიც. ჩვენ უკვე დავრწმუნდით მისი მხატვრული ნაწარების საშუალებით, თუ რაწა-იორად შეაფასა მან თავისი თანამედროვეობა. ებლა ვნახოთ როგორ აფასებდა იგი ძველი ცხოვრების იდეოლოგიებს. სტატიიში „ძველი დავა ახალ ქერქში“ ვკითხულობთ: „ის თაობა, რომელიც აღიზარდა და დაბერდა შელლინგის და ჰეგელის მეტაფიზიკაზედ, რა თქმა უნდა, ველარ შეითვისებდა ბიუხნერის, მო-ლეშოტის, ფოლტის და სხვა მისთანა ახალ მეცნიერთა მატერიალურ მიზარ-თულობის და ოგ. კონტის პოზიტიურ ფილოსოფიას; ის თაობა, რომელსაც მო-

ხუცებანდვ მტკიცედ სწამდა კოლეგის თეორია, მოხუცების დროს ველარ შეითვისებდა დარფინის ევოლიუციონურ თეორიას, რომელმაც კვლილება მოახდინა ზუნების მეტყველებაში; ის თაობა, რომელმაც მოხუცებამდე პრემატივებზე დაიწყო მალტუსის, სეის, ბასტიას და სხვა მისთანა პოლიტიკო-ეკონომების მოძღვრება, რა თქმა უნდა, მოხუცების დროს ველარ შეითვისებდა კარლ მარქსის საპოლიტიკო-ეკონომიურ მოძღვრებას, რომელმაც ძირითადი ცვლილება მოახდინა პოლიტიკო-ეკონომიურ მეცნიერებაში*. ამ სიტყვებით დაახსნათა ნინოშვილმა ილია ჭავჭავაძე და მისი ჯგუფი. ცხოვრების ანალიზის შემდეგ „ხალხის მეთაურთა“ გადაფასებაც უნდა მოხდარიყო. ნინოშვილისავე სიტყვით „ახალგაზრდობა კრიტიკის თვლით უყურებს მამა-პაპათაგან შექმნილ ზნე-ჩვეულებას, თეორიებს, ერთის სიტყვით ყოველივეს, რასაც კი ადამიანის ცხოვრებაში, ასე თუ ისე მნიშვნელობა აქვს. რაც მისი შეხედულებით ცხოვრების წარმატებისათვის მეტი ბარგი, უხერხული და დამაბრკოლებელია, უარს უოფს, აგდებს; მის მავიერ შემოაქვს ცხოვრებაში ახალი ელემენტები“.

უპირველეს ყოვლისა სწორედ ნინოშვილი იყო ის ახალგაზრდა, რომელმაც მკაცრად შეაფასა ძველი თაობა და უარყო ის, რაც „ცხოვრების წარმატებისათვის მეტი ბარგი, უხერხული და დამაბრკოლებელი“ იყო. რა იყო ძველებში ცხოვრების დამაბრკოლებელი და უარსაყოფი? ეს გახლდათ უპირველეს ყოვლისა ის თეორია, რომელიც ასე გამოთქვა ილია ჭავჭავაძემ: „ქვეყანა ვისია? ყოველივე ჩემიაო.—ამბობს ოქრო, ყოველივე ჩემიაო,—ძახის ხმალი. ორს პატიოსანს მეტოქეს დავიწყებით, რომ ქვეყანაზედ მათ გარდა არის კიდევ რალაცა, რომელსაც თუ არ პირველი, უკანასკნელი იდგილი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში... ის ერთი რალაცა გუთანია... ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანია... ჩვენ (ქართველებს) რომ დღეს მიწა გვაქვს, ადგილზე რომ ფეხმოკიდებულები ვართ, სხვათაგან არ დავიქსაქსენით, არ გადაეცვივდით აქეთ-იქით, ჩვენ რომ ამდენს დაუძინებელს მტერს გაუძელით, ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა ერს,—ეგ იმითომ, რომ ერთს ხელში ხმალი გვჭერია და მეორეში გუთანი დასამაბიდან დღემდე ესეც ვიქნებით შემდეგში, თუ ეგ ორი უძლეველი ძალღონე ერის სიმკვიდრისა ხელთ გვექნება“.*)

ეს დრომოკმული აზრები ნინოშვილისათვის ერთიანად მიუღებელი იყო. იგი სწერს: „კაპიტალიზმი და მრეწველობა ისეთი მდინარეა, რომ თუნდ კიდევ მოინდომოთ მისი შეფერხება, ვერ შეაყენებთ და უნდა მოგახსენოთ, არც სასურველია მისი შეყენება არა თუ საქართველოსთვის, არც ერთი ქვეყნისათვის“. ამ აზრს ესარჩლებოდა ნინოშვილი პუბლიცისტიკაში და ამავე იდეას შლიდა იგი მხატვრულ სახეებში, ანუ უკეთ რომ ესთქვათ—ჩვენი ცხოვრების მხატვრული სახეების საშუალებით შეგვრძნობამ მიიყვანა იგი ამ იდეის აღიარებამდე. ნინოშვილისათვის ნათელია, რომ ქვეყნის და მისი ჯგუფის თეორიების მიღება სინამდვილის უკან შებრუნების ცდა არის, ნატურალური მეურნეობა განწირულია და პირველობა საქონლის მეურნეობას უნდა დაეთმოს, ერთი-

*) ი. კ.—ტ. ტ. VI, გვ. 163—4—5.



სიტყვით, ნინოშვილი ღებულობს ბურჟუაზიულ ურთიერთობას და ქვეყნის პროგრესისათვის სასურველად შიანნია მისი დამკვიდრება; მაგრამ ქვეყნის დროს იგი შორსაა ბურჟუაზიის იდეოლოგიის თვალსაზრისიდან და ახალ ვითარებას აღიიერებს იმდენად, რამდენადაც იგი დადებითი მოვლენების მატარებელია და ქვეყნის ეკონომიური განვითარება ახალ საფეხურზე აყავს. ნინოშვილმა იცის, რომ კაპიტალიზმს ცუდი და უარყოფითი მხარეებიც აქვს: იგი იწვევს გლეხობის უმეტესობის გაღარიბებას და უზომო ექსპლოატაციას, ხელს უწყობს არა მარტო შრომის, არამედ სხეულის გაყიდვას (ქრისტიანე) და ადამიანთა ფიზიკურად განადგურებასაც („ავი სენი“). ამის სურათი მან საქართველოში პირდაპირ თავისი თვალთი იხილა და მოგვცა კიდევ, ხოლო ევროპის შესახებ სხვებისგან ისწავლა. „უთანასწოროთ განაწილებული სიმდიდრე თუ გნებავთ, ზოროტებაც გახლავს,—სწერს იგი,—ინგლისშიო,—ამბობს ელეონორა მარკს—ვევლინგი—ხუთ ადამიანში ერთი უმკველად უკმელობისაგან დასუსტებით კვდება. „აქაურ დოკების ბუშებში,—ამბობს ბ-ნი მარკსი—ძლიერ ხშირად შეჭხედებით ისეთებს, რომლებმაც მხოლოდ თავისი სახელი იცოიან და გვარი კი არა; იქ, სადაც დგას, როცა სჭირია, თითონ უნდა მიგიძღვეს, თორემ ადრესი არ იცისო“. ნინოშვილს არ უნდა, რომ კაპიტალიზმის მეოხებით ჩვენი მუშაეც ასეთ დღეში ჩავარდეს. მართალია იგი ღებულობს კაპიტალიზმს, რომელიც „მოდის ჩვენთან დაუკითხავად“, მაგრამ ამავე დროს თავის ყურადღების ცენტრში მუშაია კლასი ყავს დაყენებული. „ინტელიგენციის და მწერლობის მოვალეობა ამ შემთხვევაში ის არის,—სწერს იგი—ისე მოუშადაონ ნიადაგი სიმდიდრეს, რომ მუშას თავისი ნაშრომი რჩებოდეს, ქუჩაში ადამიანი შიმშილით არ კვდებოდეს და მდიდრის ძალს ამ დროს დღეში თუმანი არ ჰქონდეს. ამიტომ გვჭირია მივმართოთ იმავე ევროპას, საიდანაც მრეწველობა მოდის და გაეცნოთ—რანაირ სოციალურ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცვლილება თვლიან იქ საჭიროთ „უმცროსნის ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის“.

ასეთი იყო ნინოშვილი, როგორც მხატვარი და მოაზროვნე. მან ნათლად შეიგნო თავის ეპოქის მამოძრავებელ ძალთა ვითარება, შეძლებისდაგვარად ფართოდ მოხაზა თავის მიერ ნახული და მოწავალი განვითარების გზები გვიჩვენა. ბურჟუაზიული წარმოების აუცილებლობა და პროლეტარიატის შეკავშირება კაპიტალიზმის ექსპლოატაციისაგან თავის დასაღწევად, — ასეთი იყო მის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი, რომელიც იმავე დროს დიდი ბრძოლების გარეგანი იყო. ნინოშვილი — ეს უპარველეს ყოვლისა ქართველი ინტელიგენციის გათიშვის ემბლემაა, იმ გათიშვის, რომელიც ისტორიულმა მსვლელობამ გამოიწვია 90-იან წლებში. ეკონომიურად განახლებული ქვეყანა იდეოლოგიურადაც უნდა განახლებულიყო, ძველ ცხოვრებას ძველი მოღვაწეებიც თან უნდა წაეყვანა. ახალი ცხოვრების პირველი ყვაფილი ეგრეთწოდებული „მესამე დასის“ ინტელიგენცია იყო. ნინოშვილიც სული და გულია ამ ინტელიგენციის, რომლის მიერ წარმოთქმული პირველი სიტყვა ბრძოლა იყო, ბრძოლა წარმოტაცი და იდეურა, განმახლებელი და უდიდესი მორალური ძალის მატარებელი. მესამე დასის წარმომადგენლები შეგნებულად აჩაღებდენ ამ ბრძოლას, ძველი

თაობა კი შეგნებულადვე გაურბოდა შეილებთან შეტაკებას, მაგრამ განმთავს-
 ლებელი ბრძოლის სიღრმადემ ისიც ჩაითრია და უდროოდ დაქარაღობი ნინო-
 შვილის საფლავზე ისიც სხეებთან ერთად წამოაჩოქა.

ამ ფაქტის მთავარ მიზეზად მაინც ეგნატე ნინოშვილის ძლიერი ნიჭი,
 უძწიკლო და მოწამებრივი ცხოვრება უნდა მივიჩნიათ. სულ რამდენიმე წე-
 ლიწადი შერჩა იგი მწერლობას, მაგრამ ამ მოკლე დროის განმავლობაშიც
 ბრწყინვალე ვარსკვლავად გამოანათა და მტერიც და მოყვარეც ერთნაირად
 დააინტერესა. დღეს უფრო ბრწყინვალედ და კაშკაშად ანათებს ნინოშვილის
 ვარსკვლავი და ეს იმიტომ, რომ მისში იდებამ გაიმარჯვა, უკვე დაეუფლა ჩვენი
 ცხოვრების სათავეებს ის მშრომელი ხალხი, რომლის სვე-ბედზე ასე თავგამო-
 დებით ზრუნავდა იგი ამ ორმოცი წლის წინად. მუშათა კლასი არასოდეს არ
 დაივიწყებს მისი გზის გამკაუვებს და ნისტვის დავდადებულ მებრძოლებს.

ლენინი როგორც დიალექტიკის თეორიტიკოსი¹⁾

შ ე ს ა ვ ა ლ ი

უკანასკნელ წლებში მარქსისტული ლიტერატურის საგანძურს ორი მსოფლიო მნიშვნელობის და პროლეტარიატის მსოფლმხედველობისათვის კლასიკური ხასიათის ნაშრომი შეემატა. პირველია ფრ. ენგელსის „ნატურდიალექტიკა“, მეორე — ლენინის „კონსპექტი ჰეგელის წიგნისა: ლოგიკის მეცნიერება“.

ერთი და იგივეა მიზანი ამ ორი სხვადასხვა ავტორის მიერ სულ სხვადასხვა დროს დაწერილი წიგნის — ეს არის ცდა მარქსისტული ფილოსოფიის მეთოდოლოგიურ სისტემად ჩამოყალიბებისა.

მარქსისტული ფილოსოფიის პრობლემებით დაინტერესებულისათვის დღეს ნათელია ის უდიდესი როლი, რაც ფრ. ენგელსის „ნატურდიალექტიკამ“ იქონია, მან ნამდვილი რევოლუცია მოახდინა მეთოდოლოგიისა და ზოგად ფილოსოფიურ საკითხებში. ეს რევოლუცია, რასაკვირველია, ახალი ქვეყნების აღმოჩენისაკენ არ იყო მიმართული, ის ძველი განძის გაწმენდას და დღის სინათლეზე გამოტანას, ე. ი. მარქსისტული მსოფლმხედველობის სისრულეს და უნაკლოდ გადმოცემას, ემსახურებოდა.

სწორედ ეს ორგანიული სახე მარქსისტული ფილოსოფიისა და მეთოდოლოგიისა უჭეველო და უცხო აღმოჩნდა ზოგი მარქსისტისათვისაც და შეიქნა ბრძოლა იმ პრინციპების წინააღმდეგ, რომლებიც სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო ნამდვილი და სწორი მარქსისტული ფილოსოფიისათვის. ენგელსის წიგნმა ერთხელ და სამუდამოდ დაამტკიცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა მარქსის მიერ გადმოსროლილი დებულება, რომ ისტორიული და აუცილებელი ერთიერთობა არსებობს ფილოსოფიას და პროლეტარიატს შორის, რომ „ისე, როგორც ფილოსოფია პროლეტარიატში თავის მატერიალურ იარაღს ნახულობს, ასე პროლეტარიატი ფილოსოფიაში თავის სულიერ იარაღს“.

ენგელსის წიგნმა ისიც ნათელჰყო, რომ მარქსისტული ფილოსოფიის ქვაკუთხედი, მისი, ასე ვსთქვათ, ისტორიული მასალა ჰეგელის დიალექტიკურ მსოფლგაგებაში იყო მოცემული; ამ „მასალას“ სჭირდებოდა ახალი გადაბუხება და მატერიალისტური გაგება და გადაფასება.

¹⁾ ამოღებულია ავტორის მიერ დასაბუქდათ გამზავებული წიგნიდან: „ლენინი, როგორც ფილოსოფოსი“.

ცხადია, რომ ეს არის ერთად ერთი გზა მარქსისტული ფილოსოფიური ძიებისათვის, მაგრამ სწორედ ამ გზამ გზა აუხნია ბევრ მარქსისტულ სტეპანოვის მეთაურობით ამხედრდა ეს ანტიფილოსოფიური მარქსისტული პოზიტივიზმიდან აღებული სიბრძნით შეეცადა დიალექტიკური მსოფლგაგება მექანიკურით (თუ მაშინისტურით) შეეცალა. თავისთავად, რასაკვირველია, ეს გარემოება ახალი რამ არ ყოფილა, ის რეციდივი იყო იმ „ფილოსოფიური გულგრილობისა“, რომელსაც იმთავითვე გერმანიის სოციალ-დემოკრატიის კ. კაუტსკის Neue Zeit-ი უქადაგებდა.

ტყუილად ჰგონიათ რუსს მექანიკებს, რომ ისინი ახალ სიტყვას ამბობენ; თანამედროვე მეცნიერების გიგანტური მიღწევების პოპულარული ფრაზებით გამგორება, არამც თუ არავითარი მსოფლმხედველობა და ფილოსოფია არ არის, არამედ ის არც მეცნიერებისათვის არის ხელსაყრელი გარემოება. ეს ხელს უწყობს იმ უპრინციპო ემპირიზმის გამეფებას მეცნიერთა ბანაკში, რომელსაც ასე გააფრთხილებით ებრძოდა ფრ. ენგელსი და მასთან ერთად არამც თუ მარქსიზმის მთელი კლასიკური ტრადიცია, არამედ წარსული აზროვნების თვითვეული გიგანტიც. სავალალო ის იყო, რომ ამ გზააბნეულთა ბანაკს მიუახლოვდა მარქსიზმის რიგებში ერთხელ „ფილოსოფოსი“ ლ. ი. აქსელროდი და უფრო ბუნდოვანი პოზიცია დაიჭირა, ვიდრე მექანიკებს ეჭირათ.

მეორეს მხრივ, ე. წ. „დიალექტიკოსები“ ა. დებორინის მეთაურობით არამც თუ აწარმოებდნენ მარქსისტული დიალექტიკის მექანიკების თავდასხმიდან დაკეის საქმეს, არამედ ამ მეთოდზე დაყრდნობით აგრძელებდნენ ძიებას ფილოსოფიის, როგორც სისტემატიურ, ისე ისტორიულ პრობლემების სფეროში. სწორედ ამ გაცხოველებული შრომისა და ბრძოლის დროს გამოდის ლენინის „კონსპექტი“. სულ რამოდენიმე თვეა ეს წიგნი გამოსულია და ცხადია, მისი უდიდესი მნიშვნელობა ჯერ კიდევ ყველასათვის ნათელი არ არის. მაგრამ დროთა მსვლელობაში ის ითამაშებს უდიდეს როლს მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის ჩამოყალიბებაში და მარქსისტული მეთოდოლოგიის სრულქმნისა და განმტკიცების საქმეში.

მეცნიერებისათვის და ფილოსოფიისათვის უცნობია ერთ ადგილზე ტექნა, ამიტომ მარქსიზმი მარქსის ნააზრევის განვითარებას ნიშნავს და არა მის განმეორებას; რასაკვირველია, ორგანიული და ბუნებრივი მაშინ იქნება ეს განვითარება, თუ მისი გზები იქნება მონოლიტური, მონისტური და მეთოდოლოგიურად იგივე, როგორც ეს იყო თვით მარქსთან, ე. ი. დიალექტიკური. სრული შეგნებით აქ გამოთქმული დებულების სისწორისა მიუთითებს ლენინი მარქსისა და ჰეგელის საქმის გაგრძელების აუცილებლობაზე: „ჰეგელისა და მარქსის საქმის გაგრძელება—ვიითხულობთ ერთ-ერთ შენიშვნაში—ადამიანთა აზრისა და ტენიკის დიალექტიკურ ვადამუშავებაში უნდა მდგომარეობდეს“.

ლენინი არამც თუ პრაქტიკაში აგრძელებდა „ჰეგელისა და მარქსის საქმეს“, არამედ თეორიაშიც და ფილოსოფიაშიც. ამ „გაგრძელებისათვის“ მას აუცილებელად მიაჩნდა ჰეგელის საფუძვლიანი შესწავლა, ანუ, როგორც

თეთონ ამბობს ჰეგელის დიალექტიკური ლოგიკის „მატერიალისტურე წყვეტება“. ლენინის ეს „კონსპექტი“ ჩინებული ცდაა ჰეგელის მატერიალისტური სკიოტხისა. ვერ კიდევ ფრ. ენგელსი სწერდა თავის „ლიუდვ. ფოიერბახში“, რომ საბოლოო ანგარიშით ჰეგელიანიზმი ყირამლა მდგარი მატერიალიზმი იყო¹⁾. ლენინს ბოლომდე მიჰყავს ეს აზრი და მატერიალისტურად კითხულობს ჰეგელს. მარქსისტული ნეთოდოლოგიისათვის საერთოდ და დიალექტიკური მატერიალიზმისათვის კერძოდ მატერიალისტურად წაკითხული ჰეგელის დიალექტიკური ლოგიკით უდიდესი სამოქმედო პერსპექტივები იშლება. ის დასკვნები, რომლებსაც ლენინის „კონსპექტიდან“ უსათუოდ გამოიყვანს მარქსისტული ფილოსოფია, არამც თუ გამანადგურებელი იქნება მეჭანისტების პოზიტივიზმისა და უბრინციპო ემპირიზმისა, არამედ ის იქნება აგრეთვე მტკიცე საფუძველი მატერიალისტური დიალექტიკური ლოგიკის შესაქნელად. ლენინის ნაშრომი უსათუოდ საშუალებას მისცემს მარქსისტულ ფილოსოფიურ აზრს უდიდესი ვანძი ამოკრიბოს ჰეგელის „ლოგიკიდან“ და მისი მატერიალისტური გადამუშავებით ჩამოაყალიბოს საკუთარი, ე. ი. ნარქსისტული ფილოსოფიური ლოგია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლენინის კონსპექტის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ლენინმა საუცხოვოდ ვაუგო თვით ჰეგელს და ის ინტერპრეტაცია, რომელსაც ლენინი აქ გვაძლევს, საუკეთესო ვაგებაა ჰეგელის დიალექტიკური ლოგიკისა. ჩემი აზრით მარქსისტული ფილოსოფიის უდიდესი საკითხია ჰეგელთან დამოკიდებულების საკითხი, ლენინის „კონსპექტი“ მთელი სიგრძე სიგანით სუამს ამ საკითხს და უდიდესი მნიშვნელობის აზრებს გამოთქვამს მის შესახებ. დიდი ნაწილი ჩვენი გამოკვლევისა სწორედ რომ ამ საკითხს შეეხება ჩვენ გვინდოდა პირდაპირ „კონსპექტის“ განხილვით, მისი შენიშვნების შეფასება—ჰეგელის ლოგიკის შესაფერ ადგილებთან შედარებით, დავეწყო ეს წერილები. მაგრამ, რადგან ქართულად ლენინის ფილოსოფიური მსოფლგაგების შესახებ თითქმის არაფერი დაწერილა, ამიტომ აუცილებლად დავინახეთ მოკლეთ თვალი გადაგვევლო იმ გზისათვის, რომელიც ლენინმა გაიარა ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების“ საფუძვლიან შესწავლამდე და ამ „კონსპექტის“ შედგენამდე.

თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინი ჰეგელს, თუ რამდენად მას ჰეგელის ფილოსოფია მარქსიზმის საფუძვლად მიაჩნდა, ეს ჩვენ ვიცოდით „კონსპექტის“ გამოქვეყნებამდე. ეს ვიცოდით ჩვენ იმ წერილიდან, რომელიც ლენინმა ვაუგზავნა ეურნალ „Под знаменем марксизма“-ს რედაქციას. წერილის სათაურია „О значении воинствующего материализма“. ლენინი მიუთითებს, რომ აუცილებელია მკიდრო კავშირი თანამედროვე ბრძნბათმეცნიერებასთან, იმ მოვლენას, რომ აინშტაინის თეორიას ვამოყარაზლა ბურჟუაზიული ინტელიგენციის ყველა ფენა და იქ თავისი მათელმზედვლობის ვამართლება დაინახა, ლენინი აინშტაინის თეორიის რაიმე სპეციფიური თვისებით კი არ ხსნის, არამედ პირდაპირ ამბობს, რომ ეს ეხება არა მარტო აინშტაინს,

¹⁾ იხილ: L. Feuerbach von Fr. Engels, fünfte Auflage, 1910, გვ. 17.

არამედ, თითქმის ყველა დიდ მოვლენას, რომელსაც ადგილზე ვეჭვობდით ბუნებათმეცნიერებაში მე-19 საუკუნის ბოლოდან. იდეალისტურმა ფილოსოფიებმა თვითუფლ დიდ მოვლენას ბუნებისმეტყველებაში თავისი კონცეპციის გამართლებად აცხადებდა. ლენინის აზრით დიალექტიკური მატერიალიზმი მოვალეა წინ აღუდგეს იდეალისტური ფილოსოფიის ამ უკანონო ინტერპრეტაციებს. «ასეთ მოვლენებს რომ მოუშაბდებელი არ შეეხედეთ—სწერს ის—ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ საფუძვლიანი ფილოსოფიური დასაბუთების გარეშე არაერთი ბუნებათმეცნიერება და არაერთი მატერიალიზმი საკმარისი არ იქნება ბურჟუაზიულ იდეებთან და ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობასთან საბრძოლველად (ნათქვამი საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ მექანიკები ამოდ ცდილობენ კავშირი დაამყარონ ლენინთან. მ. გ.)».

«ამ ბრძოლის ბოლომდე მისაყვანად და ბრძოლაში გამარჯვებისათვის, ბუნებისმეტყველი თანამედროვე მატერიალისტი უნდა გახდეს, ის შეგნებულ მიმდევარი უნდა იყოს მარქსის მიერ მოცემული მატერიალიზმისა, ე. ი. დიალექტიკური მატერიალიზმისა. ამ მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია, რომ ყურნალი „Под знаменем марксизма“-ს თანამშრომლებმა ჰეგელის დიალექტიკის სისტემატიური შესწავლის საქმე მოაწყონ, ის უნდა შეისწავლონ მატერიალისტური თვალსაზრისით...»

რასაკვირველია, ჰეგელის დიალექტიკის ასეთი შესწავლა და განმარტება, მისი ასეთი პროპაგანდა ძალიან ძნელი საქმეა. უეჭველია, რომ პირველი ცდები თავისუფალი არ იქნება შეცდომებისაგან. დაყრდნობილი იმაზე, თუ როგორ ხმარობდა მარქსი მატერიალისტურად გაგებულს ჰეგელის დიალექტიკას, ჩვენ შევსძლებთ ამ დიალექტიკის ყოველმხრივ დამუშავებას, ამისათვის ყურნალში უნდა ებეჭდებინათ ნაწყვეტებს ჰეგელის მთავარ შრომებიდან, მატერიალისტურად უნდა განემარტოთ ყველაფერი ეს, საილუსტრაციოთ მოვიყვანოთ მარქსის მიერ დიალექტიკის მოხმარების მაგალითები და აგრეთვე ის საუცხოო ნიმუშები დიალექტიკისა, რომლებსაც უხვად იძლევა ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა უახლოესი ისტორია, განსაკუთრებით, რასაკვირველია, მაგალითები მსოფლიო ომისა და რევოლუციის ხანიდან. ყურნალ „Под знаменем марксизма“-ს რედაქტორებისა და თანამშრომლების წრე, ჩემი აზრით, ერთგვარ ჰეგელის ფილოსოფიის მატერიალისტურ მოყვარულთა საზოგადოებას უნდა შეადგენდნენ¹⁾.

ეს გრძელი ამონაწერი ნათელ პასუხს შეიცავს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეპყრობოდეს მარქსისტული ფილოსოფიური აზრი ჰეგელს. გ. პლენანოვიცმა მარქსიზმს სპინოზიზმის სახეობა უწოდა. პრობლემა შეეხებოდა მატერიალიზმს. პლენანოვის განცხადება ნიშნავს, რომ მარქსიზმი, როგორც მატერიალისტური მსოფლმხედველობა ერთ-ერთი სახეა იმ თავისი ბუნებით მატერიალისტური კონცეპციისა, რომელსაც სპინოზიზმი ეწოდება. ლენინის შეხედულება ჰეგელზე სრულ უფლებას გვაძლევს ჩვენ, იგივე განაცხადოთ ჰეგელისა და მარქსის დამოკიდებულების შესახებ. მარქსიზმი, როგორც მეთოდოლო-

¹⁾ იხილეთ ყურ. „Под знаменем Марксизма“, № 3, 1922 წ. გვ. 9—10.

ვიი და როგორც ფილოსოფიური მეთოდი, ენჯანჟუაჟორც დიალექტიკა ჰეგელიანური დიალექტიკის ენჯანჟუაჟორც-ობაა.

რამდენადაც მე ვიცი, ეს დებულება ასე გარკვევით ჯერ მარქსისტულ ლიტერატურაში არავის წამოუყენებია. ორგინალობის პრეტენზია მას მაინც არ აქვს, რადგან მისი შინაარსის არსებითი მხარე უკვე გამოთქმულია მარქსის, ენგელსის, პლენანოვის და სხვების უფრო ნათლად ლენინის მიერ.

ჩვენ ვამბობთ: მარქსიზმი, როგორც დიალექტიკა ჰეგელიანური დიალექტიკის ერთ-ერთი სახეობაა. ეს განცხადება ისე კი არ უნდა გაეგოთ, ვითომც მარქსიზმი ჰეგელიანიზმი იყოს, არამედ იმ აზრით, რომ ჰეგელის აზრთა წყობაში იყო ერთი უდიდესი ნაკადი, საიდანაც შეიძლება და მატერიალისტური დიალექტიკის გამოცხადება. რასაკვირველია, ჰეგელიანიზმი სხვა რამესაც ვულისხმობდა, იდეალიზმი ჰეგელის ფილოსოფიისათვის მარტო ზეწარი კი არ ყოფილა, არამედ მის ბუნებასაც შეადგენდა, მაგრამ ეს იდეალიზმი საკუთარი შესაძლებლობის იმ უკანასკნელ საზღვარზე იყო მიყვანილი, საიდანაც ის თავის „სხვა გვარად ყოფნად“ უნდა ქცეულიყო. იდეალიზმის „სხვაგვარად ყოფნა“ არის მატერიალიზმი. ის კი, რაც ჰეგელის იდეალიზმს მის „სხვაგვარად ყოფნის“ ჩიხში მიერეკებოდა, იყო ის სისტემა დიალექტიკისა, რომლის მიხედვით აშენებული იყო მთელი მისი ფილოსოფია. შინაარსის მხრივ ჩვენი თეზისი ნიშნავს შემდეგს: თავისი სტრუქტურების ფორმის მიხედვით მარქსისტული დიალექტიკა არის ჰეგელიანური ტიპის. მაგრამ თავისი შინაარსით არის ის დიალექტიკა ჰეგელისებური დიალექტიკის საწინააღმდეგო. შინაარსებულად ჰეგელის დიალექტიკა იყო იდეალისტური, მარქსისა კი მატერიალისტური.

ე. წ. ჰეგელის ტიპის დიალექტიკის სტრუქტურული ფორმები, მარქსმა რომ რეალურ მასალაზე გამოსცადა, რომ ჰეგელის მიერ აღმოჩენილი დიალექტიკური კანონები მატერიალიზმს იდეალიზმზე ვაცილებით უკეთესად შეეფერებოდნენ, რითაც დამტკიცდა, რომ უკვე ჰეგელის დიალექტიკის თავისებურ შენობაში ჰეგელის მიერვე მოცემული იყო მატერიალისტური საწყისები და მარქსმა — თანამხად მისი ისტორიული განცხადებისა — იმისათვის ვადმოტრიალა ჰეგელის დიალექტიკა, რომ მისი ვადმოტრიალება შეიძლება და დიალექტიკა, როგორც უნივერსალური მეთოდი მზად იყო, შესაძლებლობა მისი მატერიალისტურ (ე. ი. თვით დიალექტიკისათვის უფრო შესაფერ) საფუძველზე დაყრდნობისა, იყო მოცემული. ვადმოტრიალება აუცილებელი იყო. მარქსმა ეს მოიყვანა სისტულეში, ამაშია მისი ფილოსოფიური საქმიანობის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა.

ლენინი აგრძელებს მარქსის მიერ დაწყებულ გზას. ზემოდ მოყვანილი ციტატა პროგრამაა ამ გზის გაგრძელებისათვის: ლენინის განცხადება, რომ ფილოსოფიურად დანტერესებული მარქსისტები „ჰეგელის დიალექტიკის მატერიალისტურად მოყვარულთა საზოგადოებას“ უნდა შეადგენდნენ, საუცხოო

ვაშობატაა ამ პროგრამის შინაარსისა. ლენინის „კონსპექტი“¹ კვარაცხელიძის პროგრამის ფაქტიური განხორციელებისა.

იმდენად, რამდენად მარქსიზმი არის და დარჩება რევოლიუციონური ფილოსოფია, ის ჰეგელიანური დიალექტიკის ერთი სახეობა იწყება და ჰეგელის ფილოსოფიას, როგორც შემცველს დიალექტიკის კლასიკური სისტემისა, როგორც პირველ აღგებრას რევოლიუციის, ის არას დროს არ უღალატებს. ამიტომ მარქსიზმის ფილოსოფიაში, თეორიაში და საერთოდ მეთოდოლოგიაში არც წინ წასვლა შეიძლება და არც უკან, თუ წინასწარ ჰეგელიანიზმის გზა არ გაიარე, მაგრამ ჰეგელიდან თუ გარკვეულად წინ არ წადი. ჰეგელიდან წინ წასვლა კი მისი იდეალიზმის აუცილებელ დატოვებას და ფილოსოფიური თვალსაზრისის მატერიალურ საფუძვლებზე დაყრდნობას ნიშნავს.

ოცდა ათ წელიწადზე მეტია, რაც უტყუარი სისწორით მეორდება ერთი გარემოება: მოშორდება თუ არა მარქსისტულ აზრთა წყობის ნაკადს რომელიმე ჯგუფი თუ ცალკე პიროვნება, ის იწყებს იქიდან, რომ ებრძვის მარქსის „ჰეგელიანისტურ ცოდვებს“, ე. ი. მის დიალექტიკურ მეთოდს. ყველა რევიზიონიზმი მარქსიზმში ჰეგელის უარყოფით უნდა დაიწყოს, ეს ბუნებრივი გზაა რევოლიუციონური მსოფლმხედველობის დასატოვებლად. ჰეგელი, ისე როგორც მარქსი, სათავეა რევოლიუციის. ამიტომ ჩინებულად უნდა ჩაითვალოს ლენინის დიალექტიკაზე ნაწერების ის თავისებური სტილი, რომელიც ჰეგელისა და მარქსის საქმეს ერთმანეთიდან არ ამოარებს და მათზე ერთად მსჯელობს. მარქსიზმი, როგორც ფილოსოფია და თეორია, დაუშორებელია ჰეგელიანიზმიდან. თუ როგორ და რა გზებით მარქსისტული ფილოსოფიური მსოფლგაგება ჰეგელის ფილოსოფიიდან გამოსული საკუთარი საწვალელებით უნდა ვითარდებოდეს, ამის ჩინებული დოკუმენტია ეს „კონსპექტი“.

ლენინის ფილოსოფიური განვითარების გზები და წყაროები

1.

პარადოქსი როდი იქნება თუ ვიტყვით, რომ მარქსის მოძღვრებიდან ლენინმა ყველაზე ორგანიულად ე. წ. შეთრთმეტე თეზისი შეითვისა. ფოიერბახისა და შექანიეური მატერიალიზმის კრიტიკისათვის შედგენილ 11 თეზისში მარქსი საკუთარი ფილოსოფიის საფუძვლებსაც იძლევა. დასახელებული შეთრთმეტე თეზისი ამბობს: „ფილოსოფოსები მსოფლიოს სხვადასხვა ახსნა-განმარტებას იძლევიან, მაგრამ საქმე ის არის, რომ მსოფლიო შეიცვალოს“. ეს მსოფლიოს შეცვლის რევოლიუციონური ფილოსოფია, უპირველეს ყოვლისა, თვით მარქსიზმი იყო, მაგრამ ის მთლიანობა რევოლიუციონური პრაქტიკისა რევოლიუციონურ თეორიისთან, რომელიც მარქსმა პროლეტარული მსოფლმხედველობის სახით მოგვცა, შეიძლება თვით მარქსსაც არ გამოეხატოს ისე საფუძვლიანათ, რელიეფურად და ხელშესახებლად, როგორც ეს ლენინმა გამოხატა. საერთაშორისო სოციალიზმის ისტორიაში ძნელად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ

მეორე პიროვნება, რომელიც ასეთი გატაცებით—და ხშირად გადაჭარბებული უკიდურესობითაც,—ასეთი სისწორით გაპყვოლადეს იმ გზას, რეჟიმულ მშრომელთა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლენინმა გააჩვენა განცხადებით: „ჩვენ უკიდურესი თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციონური მოძრაობა“.

უნდა ითქვას გადაჭრით: ცენტრი ამ დებულებისა არის მეორე ნახევარი, ე. ი. რევოლუციონური მოძრაობა. ლენინი, როგორც პიროვნება და მსოფლიო ისტორიული მოვლენა, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკოსია. პრაქტიკა გამოართლებულია მხოლოდ რევოლუციით, ეთიური მომენტი აქ თავისთავად კოლექტიური და სოციალურია; ვთიკა, რასაკვირველია, იქ იზადება, სადაც „მე“ მეორე „მე“-სთან რაიმე მიმართებას იწყებს, სადაც ინდივიდი კოლექტივთან ვარკვეულ თანხობაში (თუ კონფლიქტში) იმყოფება; მაგრამ ეთიურობა მხოლოდ მაშინ დაკმაყოფილდება, როცა ინდივიდი თავის მისწრაფებას თავისუფლებისაკენ კოლექტიური აუცილებლობის სახით განიცდის, როცა აუცილებლობა კოლექტივის შიგნით მისთვის საკუთარი მოქმედების თავისუფლებად გადაიქცევა. ყოველივე ამ გზით წინ მიმავალი მოძრაობა უსათუოდ ეთიური და მასთან ერთად რევოლუციონური მოძრაობაა. რევოლუცია კაცობრიობის წინსვლის თავდება, წინსვლა კი წარმოუდგენელია არა ეთიური იყოს საზოგადოების წევრის მიმართ, ამიტომ რევოლუციონური მოძრაობა კაცობრიობის პროგრესის ყოველმხრივ დასაბუთებული და ისტორიულად ერთად-ერთი საფუძველია.

რევოლუციონური მოძრაობისათვის მუშაობა კაცობრიობის პროგრესისათვის მუშაობაც არის. მაგრამ ამ მუშაობის წარმოების აუცილებელი პირობაა, რომ თვითელი წინ მიმავალი ნაბიჯი თეორიულად დასაბუთებული იქნება, რევოლუციონური მოძრაობის კანონიერება რევოლუციონურმა თეორიამ უნდა უზრუნველყოს. სწორედ ამიტომ ახალი ქვეყნის მოციქული, რევოლუციონერი და სოციალისტი უსათუოდ ვარკვეულ, ჩამოყალიბებულ და მტკიცე რევოლუციონურ მსოფლმხედველობას უნდა ადგეს. თუ მან აქ კომპრომისი დაუშვა და კოჰლობა დაიწყო, ვერც რევოლუციონური პრაქტიკის გზაზე გამოდგება. ლენინმა იმ თავითვე ასეთი რევოლუციონური თეორია მარქსიზმში დაინახა და ისტორიაში მეორე მაგალითის არ მქონე სწორხაზოვანებით ემსახურა მის ცხოვრებაში და მეცნიერებაში გატარების საქმეს. მარქსიზმი, როგორც მოქმედების ფილოსოფია, შეიქნა მთელი მისი საქმიანობის ქვაკუთხედი.

ის განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ინდუსტრიალური პროლეტარიატის კლასობრივ საქმედ ჩამოყალიბდა, უსათუოდ იმით განიჩნევა ისტორიაში არსებულ ყველა სხვა მოძრაობისაგან, რომ ის მარტო საკუთარი კლასის საქმეს კი არ აკეთებს, არამედ კლასთა უკუღმართობის საბოლოო მოსპობით, საკაცობრიო იდეალებს ემსახურება. ამიტომ პროლეტარიატის მოსვლას ისტორიაში თეორიისათვისაც სულ თავისებური მნიშვნელობა ჰქონდა. მისი მსოფლმხედველობა არ შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ წინინდა შემეცნება არსებული

სინამდვილისა. ის სინამდვილის შემეცნებასთან მისი შეცვლის ფილოსოფიაც იყო.

იდეოლოგია ანტოგონისტური საზოგადოების (ბურჟუაზიული-ფეოდალურის და სხვ.) ყოველთვის დუალისტური იყო. შემეცნებას იქ ყოველთვის შენდობა თან ახლდა. ამიტომ იყო, რომ განვითარებული ბურჟუაზიის წმიდა მეცნიერება და მაღალი ფილოსოფია ყოველად დაბალი რელიგიური პრიმიტივით იყო აღსავსე. ამიტომაც, რომ ანტოგონისტურ საზოგადოებაში ძეგორია და პრაქტიკა ყოველთვის ერთმანეთისაგან დაშორებულია. ამ გაორებას თეორიისა პრაქტიკის შინაგან აზრში თან ახლავს გაორება ინდივიდის აზროვნებასა და მოქმედებაში, ყოველთვის და ყოველ დროს გაბატონებული კლასების მორალური ემოციები ასეთი დუალიზმის გამოშატეული იყო; ერთის ცოდნა და მეორეს კეთება და მთელი შინაგანი სიკალებე ანტოგონისტური საზოგადოების, როგორც ინდივიდუალური ისე სოციალური მორალისა, პირდაპირი გენიალობით გამოთქმულია ოვიდის ლექსით:

«Video meliora proboque.

Deteriora sequor!»

ანტოგონისტურ საზოგადოებას გარეშე ასეთი შინაგანი გაორებისა და სიკალებისა, ცხადია, არავითარი საშუალება არ აქვს გაბატონებული კლასის სოციალური ინტერესები მორალურ და საკაცობრიო საქმეთ გაასაღოს.

ეს დუალიზმი თეორიისა და პრაქტიკის, ცოდნისა და ცხოვრების სინამდვილეს შორის ბურჟუაზიულ იდეოლოგიაში გადასულია ე. წ. წმიდა შემეცნებაშიც და გველენება აქ როგორც ორი შემეცნების ქვეყანა: ბუნება ერთის მხრივ, საზოგადოება მეორეს მხრივ. ბურჟუაზიულ კულტურას ორივე ამ ფენომენისათვის მეცნიერული განმტკიცება და ფილოსოფიური დასაბუთება სჭირდება, მაგრამ ერთი მეთოდოლოგიური და ფილოსოფიური ხიდი მათ შორის სასტიკად ეწინააღმდეგება ბურჟუაზიის კლასობრივ შეგნებას.

მარქსიზმმა პირველად ყოველმხრივ და საუფლებლიანათ დაანგრია ეს დუალიზმი, მან პირველად აღადგინა უნაკლო მთლიანობა თეორიისა და პრაქტიკის, მორალს და მოქმედებას, ცოდნასა და კეთებარბებას შორის. მარქსიზმის მთელი ისტორია წარმოადგენს შეუპოვარ ბრძოლას ამ მონიზმის და თავისებური პროლეტარული ჰუმანიზმის შესანარჩუნებლად.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული სხვადასხვა რევიზიის სახით ებრძვიან ამ თავისებურებას მარქსისტული მსოფლმხედველობისა. და სწორედ ეს ბრძოლები თავის მხრივ გადააქვს ლენინს მთელი თავისი სიცოცხლის განწავლობაში. მგონია, იმის გახსენებაც არ არის საჭირო, თუ რას წარმოადგენს მისი პრაქტიკული საქმიანობის ისტორია; თეორიის არეშიც ლენინი ისეთი იყო, როგორც პრაქტიკის: შეუვალი, კრიტიკული მხოლოდ საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ წინასწარ დარწმუნებული იმაში, რომ საქმე, რომელსაც თვითონ უძღობა და მართავს, ეს „მისი საქმე“ კი არ არის, არამედ პროლეტარიატის. ამიტომ უკვე წინასწარი რწმენით, რომ ეს საქმე შეუძლებელია



შემცდარი იყოს. ისტორიულ არენაზე საშოქმედოთ გამოსული პროლეტარიატი შეუმცდარია, როგორც კლასი. მთელ იმ ისტორიულ საქმეებში, რომლებშიც ლენინმა გააქეთა, მკლევარი ვერ შეამჩნევს, რომ ლენინი თავის თავს და თავის მოქმედებას ხედავდეს, ის ხედავს ისტორიის ახალი ეტაპის მსვლელობას და ახალ კლასს, რომელმაც ქვეყანა უნდა დაიპყროს. ამიტომ იყო, რომ არც ერთი მოქმედების დროს მას არც ერთხელ მამლეტის აჩრდილი არ ასდევნებია.

ჩვენს საუკუნეს მეორე ასეთი პიროვნება არ ყოფებია. სწავლობ მისი ცხოვრების და მოღვაწეობის ისტორიას, გაკვირვებული რჩები: მხოლოდ და მხოლოდ ურყევი რწმენა, გრანატისებური სიმტკიცე და ერთი გზის გაყოლა. ლენინმა არ იცის ნერყეობა, ის „ქეშმარიტებას“ არ დაეძებს, ყოფნა არ ყოფნის საკითხი მისთვის არ არსებობს, მას მხოლოდ ყოფნა წამს, ყოფნა პროლეტარიატის, ყოფნა ისტორიის. შეიძლება გვითხრან, რომ ეს უკიდურესობაა, მაგრამ ლენინი უკიდურესობის გენიოსია. გარეშე ამისა, ნამდვილად, შეუძლებელი იყო იმ საქმის გაკეთება, რომელიც მან გააქეთა.

2.

ნათქვამი ცხადია. მაგრამ სად არის ლენინი ფილოსოფოსი? სად იწყება ჩვენი თემა. მასების გენიალური ბელადი, პრაქტიკოსი საკაცობრიო მანტაბით, რევოლუციონერი!

მთლიანად და ზოგადად ლენინი ფილოსოფოსია უკვე აქ. მისი ფილოსოფიური ინტუიცია პრაქტიკულ მოქმედების დროს სწორი ტაქტიკის გამოჩენაში იდგომარობს. ჰეგელი ასწავლიდა, რომ გამარჯვებული ისტორიის სარბიელზე, არის აგრეთვე გამართლებულიც. ლენინს, შეთვისებული კი არა, პირდაპირ შესასხლბორცებული აქვს დიალექტიკის ეს სიბრძნე.

დიდი ისტორიული გამარჯვების მოსაპოვებლად, ცხადია, უდიდესი ტაქტი და მოქმედების სწორად განსაზღვრაა საჭირო. ამის შესრულება თავისებური ცხოვრების ფილოსოფიაა. ეს ის ფილოსოფიაა, რომლის საწყისები სოკრატეს გააჩნდა. ამ თვალსაზრისით მთელი ლენინის საქმიანობა ერთგვარი პრაქტიკის ფილოსოფიაა, ლენინი დიალექტიკოსია არა მხოლოდ მაშინ, ფილოსოფიურ წერბრებს რომ სწერს, არამედ გაცილებით უფრო, როცა რევოლუციონერი მოქმედების გასამართლებლად თეზისებს ადგენს! ა. დებორინი შემდეგი საუცხოვო სიტყვებით ახასიათებს მოქმედი პიროვნების ცხოვრების ფილოსოფიის ამ მხარეს:

„ოდესღაც საბერძნეთში ფილოსოფოსად იწოდებოდენ სახელმწიფოს გამოჩენილი დამაარსებელი. ჩვენს დროში ფილოსოფოსად სისტემის „დამაარსებელი“ და ფილოსოფიური თემების მწერალი მიაჩნიათ. მაგრამ ცხადია, რომ პროლეტარული ვაგებით, ნამდვილი ფილოსოფოსი ის არის, ვინც რაიმე არსებითს აკეთებს კაცობრიობის პროგრესისათვის და რაც მთავარია, კაცობრიობის მონობისაგან განთავისუფლებისათვის აკეთებს რაიმეს. ე. ი. ის, რომელიც ისტორიისა და ბუნების შესახებ მართო აზროვნებით არ კმაყოფილდება,

არამედ ისტორიას ქნის და ამით მსოფლიო პროცესის მონაწილე ხდება. რადგან ორგანიზაცია მქნილი და გაერთიანებული შრომა გაანთავისუფლებს კაცობრიობას მონობისაგან და მისცემს მას საშუალებას ბუნების ძალეზე დაჯიჯღმეობისათვის, ცხადია, რომ ყოველი ამისაკენ მიმართული საქმიანობა არის ყველაზე კეთილშობილი და ამალღებული. და ვინც ადამიანთა საზოგადოების უკეთესი ორგანიზაციისათვის მუშაობს, ვინც მას ცვლის, ის ქმნის კულტურას, ის შე-
მომქმედია ცხოვრების, ე. ი. არის მოაზროვნე ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნე-
ლობით¹⁾.

ამ გაგებით, რომ ლენინი უდიდესი ფილოსოფოსი იყო თავის დროისა, ამაზე დავა შეუძლებელია. თავისებური შინაგანი კავშირი ჰქონდა მას დემოკრიტთან სოკრატესთან, სპინოზასთან, ლაიბნიცთან, პოლმანთან, ფიბტესთან და მარქსთან, მაგრამ სწორედ ეს მხარე ცხოვრების ფილოსოფიისაა, ეს გენიალური პოძოლა კაცობრიობის მომავლისათვის, ეს უცნაური უნარი რთულ ისტორიულ სიტუაციებში გარკვევისა, ეს მოაქვრებისა და მოქმედების მთლიანობა, საკუთარი საქმისათვის ტრადიციის შექმნა, ირგვლივ მომუშავე ხალხის ამანავობით, მაგრამ რკინისებური ავტორიტეტით, დაპყრობა ყველაზე რელიეფურად ახასიათებს ლენინს, ვიდრე დასახელებულ გიგანტებს კაცობრიობის ისტორიისა. და თუ ფიხტე პრაქტიკის პრომატის ფილოსოფოსი, დიდი რევოლიუციის მესიტყვე, პროფესიონალური ფილოსოფოსია, რატომ არ უნდა იყოს ლენინი ფილოსოფოსი!

მაგრამ როდესაც ჩვენ ამ გამოკვლევის სათაური ავირჩიეთ, ლენინის პიროვნების ეს მხარე არ გვეკონებია მხედველობაში, აქ მოცემული ორიოდე ხაზი შეეხება თემის საესებას და არა მის შინაარს. წინამდებარე გამოკვლევაში ჩვენ ლენინი გვაინტერესებს მხოლოდ იმდენად, რამდენად ის ფილოსოფოსია თეორიაში, რამდენად ფილოსოფიურია ის რევოლიუციონური თეორია, რომელსაც ლენინი იმთავითვე იმუშავებდა, რათა რევოლიუციონურ მოძრაობაში მიმართულების მანენებელი, ერთი და გარკვეული ჰქონოდა. ანუ, ა. დებორის ის სიტყვით რომ ვთქვათ, ლენინს ჩვენ აქ შეეხებოთ იმდენად, რამდენად ის ფილოსოფიურ სისტემას „აარსებს“, რამდენად ფილოსოფიურ თემებზე სწერს.

აქ არის ჩვენი თემის შინაარსი მოცემული: ის ლენინს-ფილოსოფოს შემოფარგლავს ვიწრო ჩარჩოებით. ე. ი. შეისწავლის მის ნააზრევს იმდენად, რამდენად იქ ვიწრო ფილოსოფიური, გნოსეოლოგიური და მეთოდოლოგიური პრობლემებია მოცემული. ლენინის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებული მასალა, რომლებიც დიალექტიკის პრობლემებს შეეხება, ნათლად ამტკიცებს, რომ მისი ავტორი ფილოსოფოსი იყო ვიწრო თეორიული გაგებითაც. ლენინი თეორიის სფეროში, რასაკვირველია, რაიმე ახალი ფილოსოფემის ავტორად არ გამოდის. მისი საქმიანობა დიალექტიკური მატერიალიზმისათვის საფუძვლების განმტკიცებით შენოიფარგლება.

ორჯერ სცადა ლენინმა მარქსისტული ფილოსოფიის ასეთი განმტკიცება და ორივეჯერ მან მარქსიზმი არამც თუ გაამაგრა, არამედ განავითარა და წინ

¹⁾ იხ. А. Деборн: „Ленин, как философ“. გვ. 70.

წასწია. პირველი ცდა „მატერიალიზმის და ემპირიოკრიტიციზმის“ ვარშემო ტრიალებს, მეორე კი ჰეგელის ლოგიკის „კანსპექტის“. პირველი ნაშრომებში მან მარქსისტული ფილოსოფიის შინაარსეული გამდიდრებას მხარს უჭერს ბუნებათმეცნიერების სწორი ფილოსოფიური ინტერპრეტაციის გზით; მეორე შემთხვევაში კი ჰეგელის დიალექტიკური ლოგიკიდან იმ განძის ამოკრებით, რომელიც იქ იყო და რომელიც მარქსის მატერიალისტური დიალექტიკის იმანენტურ მასალას შეადგენდა. ორივეჯერ ლენინმა სრული კონვენიენლობა დაამტკიცა. მან არამც თუ სწორად გაიგო, თუ საით მიდიოდა გზები მეოცე საუკუნის ბუნებათმეტყველებისა, არამედ იშვიათი ფილოსოფიური ინტელიცია გამოიჩინა ჰეგელის გაგების დროს. ჩვენი აზრით, მან ჰეგელი გაიგო ისე ორგანიულად და საფუძვლიანად, რომ თვით მარქსსა და ენგელს შეიძლებოდა პირველობის პრეტენზიაში ჩასცილებოდა.

3.

როგორც ირკვევა წმიდა ფილოსოფიური, გნოსეოლოგიური და მეთოდოლოგიური საკითხებით ლენინი დაინტერესებული ყოფილა თავისი მოღვაწეობის პირველივე დღიდანვე. ერთხელ, არსებობდა ყოველად შეუწყნარებელი ლეგენდა. ვითომც პარტიულ მუშაობაში ჩაბმულ ლენინს მარქსისტული ფილოსოფიისათვის არ ეცალა და მხოლოდ რეაქციის დროს, ე. ი. 1906—8 წ., რათა საკუთარ ბოლშევიკურ ბანაკში ევროპული ფილოსოფიის მახიზმის სახით გაერკვლები-სათვის ხელი შეეშალა, ფილოსოფიურ წიგნებს მიუჯდა და თავისი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ დასწერა. ასეთი ცნობა მე ერთხელ, მაგალითად, ამოვიკითხე ერთ ფრიალ სერიოზულ გერმანულ გამოცემაში.

ღღეს კი უკვე საკმაო მასალა მოგვეპოება იმისთვის, რათა ეს ლეგენდა საბოლოოდ ვაფანტოთ. პირიქით, მასალებიდან ირკვევა რომ ლენინს თავისი მოღვაწეობის დროს სამჯერ შეუსწავლია ფილოსოფიური ლიტერატურა 1895—9 წ., 1906—8 წლებში და 1914—15 წლებში. ყველა იმის შესწავლა, რაც ლენინს ფილოსოფიის ვარშემო კერძო წერილებში, თავის აღრინდელ სხვა თემებზე დაწერილ წიგნებში, თუ სპეციალურ ფილოსოფიურ ნაშრომებში მოუცია, გვარწმუნებს იმაში, რომ მას ფილოსოფიური განვითარების სამი სტადია გაუვლია. პირველი სტადია ეკუთვნის 1895—99 წლებს. აქ ლენინი სწავლობს, კითხულობს არა მარტო მარქსისტებს, არამედ კანტს, ჰუმს და შეიძლება ჰეგელსაც¹⁾. აქ ლენინი პლენანოვის მოწაფეა. დამოუკიდებელ ფილოსოფიურ თემებზე არ სწერს, რადგანაც თავის თავს ამისათვის მომზადებულად არ სთვლის. ერთ-ერთ მის წერილში 1899 წ. აი ჩას სწერს ლენინი ა. ნ. პოტრესოვს:

„ძალიან კარგად მესმის ჩემი ფილოსოფიური გაუნათლებლობა და არ ვფიქრობ რაიმე დაესწერო ამ თემაზე, თუ წინასწარ კარგათ არ ვისწავლე. ახლა სწორედ ამას ვაკეთებ. დავიწყე პოლბახით და ჰელვეციუსით და მზათ ვარ გადავიდე კანტზე. ფილოსოფიის მთავარი კლასიკოსების უმთავრესი შრომები ვიშოვე, ნეოკანტიანლების წიგნები არ მაქვს (გამოვიწერე მხოლოდ ლანგე).

¹⁾ იხილეთ აღორატსკის ცნობა: „Вестник Вост. Академии“ ტ. 32, გვ. 202.

მაინოზე, ვეთაყვა, ხომ არ გაქვს თქვენ, ან თქვენს ამხანაგებს და არ შეიძლე-
ბოდა თქვენ ისინი ჩვენთვისაც დაგეთმოთ.“¹⁾

როგორც წერილიდან ჩანს, ამ დროს ლენინის ფილოსოფიური მუშაობები
ჯერ კიდევ სუსტია, სამაგიეროდ ძალიან ძლიერია მისი ფილოსოფიური ინტელი-
ცია. ეს ნათლად ჩანს ამავე წერილიდან, კერძოდ იმ პოზიციიდან, რომელიც
ლენინმა დაიჭირა მომარქსისტო და წმიდა ნეოკანტიანელების წინააღმდეგ. „მე
წავიკითხე და დიდი სიაზოვნებით გადავიკითხე—სწერს ის პოტრესოვს—„Beit-
räge zur Geschichte des Materialismus“ („ნარკვევი მატერიალიზმის ისტორი-
იდან“ გ. ვ. პლუხანოვისა). წავიკითხე ამავე ავტორის სტატია Neue Zeit-ში
ბერნშტაინისა და კონრად შმიდტის წინააღმდეგ (N. Z. № 5, 98—99 წლების
სხვა ნომრები არ მინახავს, წავიკითხე აგრეთვე ჩვენი კანტიანელების მიერ ასე
შეკებული Stammler-ის Wirtschaft und Recht („მეურნეობა და სამართალი“)
და გადაჭრით მონისტის (გ. ი. პლუხანოვის მ. გ.) მხარე დავიჭირე. ყველაზე მე-
ტად მე შტამლერმა აღმაწვოთა. მე უარს ვამბობ მასთან რაიმე შინაარსიანი
და ახალი დავინახო... თავიდაც ბოლომდე erkenntnistheoretische Scholastik
(შემეცნების თეორიული სქოლასტიკა)“.²⁾

ეს წერილი ამტკიცებს იმას, რომ ფილოსოფიაში ჯერ კიდევ გაუწვრთნე-
ლი ლენინი სწორი ინტელიციის შემწევობით საუცხოოთ გარკვეულა შედარებით
რთულ ფილოსოფიურ საკითხებში.

ერთ წერილში მ. გორკისადმი თითქმის ამასვე იმეორებს ლენინი
1908 წელში, რუსეთის მახისტების კრებულის გამოსვლის გამო: წიგნმა: „Очерки
по философии марксизма“ ძალიან გააღრმავა აზრთა სხვადასხვაობა ფილოსო-
ფიურ საკითხებზე ბოლშევიკებს შორის. მე ჩემს თავს ამ საკითხებში იმდენად
კომპეტენტურად არ ვთვლი, რომ წერილობით გამოვიდე. მაგრამ უნდა ითქვას,
რომ ყველა პარტიულ კამათს ფილოსოფიურ საკითხებზე ძალიან უურადლებით
თვალს ვადევნებდი—დაწყებული პლუხანოვის ბრძოლით 80-ანი წლებიდან
1895 წლამდე და შემდეგ მის ბრძოლას ნეოკანტიანიზმთან 1898 და მის მომ-
დევნო წლებში, (აქ მე არა მხოლოდ თვალს ვადევნებდი, არამედ როგორც
„Мая“-ს რედაქციის წევრი, ნაწილობრივად მონაწილეობასაც კი ვღებულობდი
ამ კამათში).³⁾

დასახელებულ პირველ პერიოდში, როგორც ვთქვით, ლენინი პლუხან-
ოვის მოწაფეა, ის მასთან ერთად არის დიალექტიკური მატერიალიზმის რე-
ფორმისტებიდან დაცვის საქმეში. ლენინს ამ პერიოდში თუმცაღა ცალკე ფი-
ლოსოფიურ თემაზე არაფერი დაუწერია, მაგრამ სხვა თემაზე დაწერილ წერი-
ლებში ძალიან ბევრია ადგილები, რომლებიც მოწმობენ, რომ მის ავტორს მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდი, განსაკუთრებით იმ ინტერპრეტაციით,
რომელსაც იმ დროს პლუხანოვი იძლეოდა, სასებრით შეთვისებული ჰქონია და
მის მოხმარებაში სოციალურ-ეკონომიურ მოვლენათა ანალიზის დროს დახელო-

1) იხილ: Ленинский сборник IV, № 38.

2) იქვე № 33.

3) იხილ: Ленинский сборник, I, № 98.

ნებულიც ყოფილა. ამის საუკეთესო დოკუმენტიცა ლენინის აღნიშნული წიგნის მოხაზულობაა: „Что такое дружба народа“.

იმის დასამტკიცებლად, რომ ამ პერიოდში ლენინი წინებულად ერკვეოდა ყველა თეორიულ საკითხებში და პლენანოვის ბრძოლას ფილოსოფიურ ფრონტზე არამც თუ სავსებით იზიარებს, არამედ თვითონც რომ მონაწილეობას ლე-ბულაობს ამ ბრძოლაში, ჩვენ მოვიყვანთ კიდევ ერთ პატარა ამონაწერს ლენინის ერთი ადრინდელი ნაშრომიდან: საკითხი შეეხება სტრუვეს და მის კანტიანლობას. ლენინი სწერს: „სტრუვე, ცხადია, იმეორებს მის სატრფიალო აზრს მარქსიზ-მის „კრიტიკული ფილოსოფიით“ განაყოფიერების შესახებ. მე აქ, რასაკვირველია, არც სურვილი მქვებს და არც შესაძლებლობა მარქსიზმის ფილოსოფიურ რაობაზე ლაპარაკისათვის. ამიტომ აქ დაეკმაყოფილდები შემდეგი შენიშვნით. მარქსის ის მოწაფეები, რომლებიც გვიძახიან: „უკან კანტიანსკენ“, დღემდე არაფერს არ იძლევიან ისეთს, რაც ასეთი უკანდაბრუნების გამართლებას შეიცავდეს და რაც ნათლად გვიჩვენებდეს, თუ რას მოიგებს მარქსიზმი ნეოკანტიანისმის მიერ განოყიერებისაგან. მათ მათი უმთავრესი მოვალეობაც კი დაავიწყდათ — ე. ი. მათ დაავიწყდათ იმ დებულებების გარჩევა და უარყოფა, რომელთა ძალით ენ-გელსი ნეოკანტიანისმს ეწინააღმდეგებოდა. ამის და საწინააღმდეგოდ კი, ის მოწაფეები, რომლებიც უკან დაუბრუნდნენ არა კანტს, არამედ მარქსამდე არ-სებულ ფილოსოფიურ მატერიალიზმს ერთის მხრივ, და დიალექტიკურ იდეა-ლიზმს მეორეს მხრივ, იძლევიან საუცხოვო მწყობრ და ღირსეულ დალაგებას დიალექტიკური მატერიალიზმისა; ამითმა დაამტკიცეს, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი აუცილებელი და კანონიერი შედეგია ფილოსოფიის და საზოგადოებათ-მეცნიერების უახლოესი განვითარებისა. საქმარისია დავასახელოთ ბელ-ტოვის ცნობილი წიგნი რუსული ლიტერატურიდან და Beiträge zur geschichte des Materialismus* (Stuttgart 1896) გერმანული ლიტერატურიდან. ¹⁾

ორივე აქ დასახელებული წიგნი ერთსა და იმავე ავტორს ეკუთვნის, გ. ვ. პლენანოვს. ამ დროს ენგელსი უკვე გარდაცვლილი იყო და მსოფლიო მარქსისტულ ლიტერატურაში პლენანოვზე უკეთესი წარმომადგენელი დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიისა არავინ ყოფილა. ლენინი აქ პლენანოვთან არის და თავს მის უერთგულეს მოწაფედ სცნობს. საქიროა ითქვას, რომ 90 წლებიდან ახალი საუკუნის დაწყებამდე პლენანოვის მიერ გაწეული მუშაობა მარქსისტული ფილოსოფიის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე იყო მარქსიზმის მსოფლიო ლიტერატურისათვის საერთოდ პლენანოვის აზროვნებას თვალსაჩინო ნაკლიც ჰქონდა, ის ჩერნიშევსკის ნააზრვის არსენალიდან აღებული არგუმენტებით ებრძოდა ევროპის ფილოსოფიის ზოგ ისტორიულ პრობლემებს, მაგრამ ეს ნაკლი იმ დროს სრულიად წიომ თვალსაჩინო არ ყოფილა, შეიძლება თვითონ პლენანოვიც არ გრძნობდა მშობლიური წინაპრების გავლენას თავის მარქსისტულ აზროვნებაზე; პირველ პერიოდში არც ლენინს შეუშინებია ეს. და ამიტომ ამ ხანაში პლენანოვი იყო ის ერთად-ერთი მოაზროვნე, რომელიც ენგელსის მსოფლგაგებას ავრძელებდა და მარქსიზმის ნამდვილ

¹⁾ იხ. ლენინი: „Сиб. сочва.“ ტ. II, გვ. 486.

ტრადიციებს შემკვიდრებდა. ამიტომაც ლენინი იყო პლენანოვთან შემდეგ ლენინისათვის გაირკვა (და ჩვენთვისაც ნათელია დღეს), რომ მარქსის ფილოსოფიური ძიება საქმარისი არ იყო მარქსისტული მსოფლმხედველობის და მეთოდოლოგიის სრული დასაბუთებისათვის. თუ რა მიმართულებით უნდა წარსულიყო პლენანოვის ინტერპრეტაციის შეცვლა, ამას იძლევა ის ფილოსოფიური ცდები და აზრები, რომლებიც ლენინს მოუტია 1914—1915 წლებში. ამ მუშაობის განხილვამდე ორიოდ სიტყვა ე. წ. მეორე პერიოდზე.

7 ლენინის ფილოსოფიური პრობლემებით მუშაობის მეორე პერიოდი ეხება 1906—09 წ. უკანასკნელი სიტყვა ამ მუშაობისა იყო 1909 წელს გამოშვებული „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. ლენინი ახლა აქტიურ მონაწილედ გამოდის ფილოსოფიურ ბრძოლებში და მარქსიზმს იცავს იმ ახალი რევიზიზმიდან, რომელსაც ა. ბოგდანოვი მეთაურობდა. პლენანოვის ბრძოლა მარქსისტო ნეოკანტიანელებთან ამ უკანასკნელთა სრული დამარცხებით დამთავრდა. ყოველ შემთხვევაში, პლენანოვმა დამაჯერებელი არგუმენტებით დაამტკიცა ერთი რამ: თუ ვინმე თავს კანტის მოწაფედ გრძნობს, ის ამით მარქსის მოწაფეობისაგან განთავისუფლებულია და შეუძლია წაეიდეს. ბევრი მათგანი მართლაც, საბოლოოდ წავიდა მარქსიზმიდან. ახალი ფილოსოფიური ბრძოლა, რომელიც ეხლა რუსეთში გაიმართა სულ სხვა სახის იყო. ესენი თავისთავს რევიზიონისტებათ კი არ გრძნობდნენ, არამედ მარქსის გამგრძობლებლად და აგრძობდნენ მარქსისა და ენგელსის ნააზრევს მახისა და აევნაროუსის დამატებით.

ლენინს, ამ ხანაში უამრავი პრაქტიკული და რევოლუციონური საქმეებით დატვირთულს, შეიძლება ამ ბრძოლაში მონაწილეობაც არ მიეღო, რომ: ერთი მისთვის უმნიშვნელოვანესი გარემოება არ დაბრუნდა საქმეს. ლიდერი ამ ახალი რევიზიონიზმისა ა. ბოგდანოვი და თითქმის ყველა თვალსაჩინო მისი წარმომადგენელი ბოლშევიკები იყვნენ. ა. ბოგდანოვი, შემქმნელი ე. წ. ემპირიონიზისტული ფილოსოფიის, იმ ხანებში ლენინს შემდეგ უთვალსაჩინოესი პოლიტიკური პიროვნება იყო ბოლშევიკების ბანაკში¹⁾. მენშევიკებმა მიმართეს სერხს და ემპირიონიზმი, ემპირიონიზმი და ყველა სხვა „ემპირიო“ ბოლშევიკების ფრაქციულ ფილოსოფიად გამოაცხადეს. ლ. აქსელროდის ქალი გააფთრებული ამტკიცებდა, რომ ეს „ემპირიო“-ს რევიზია და ბოლშევიზმი (როგორც პოლიტიკური ტაქტიკა) ერთი და იგივე წყაროდან საზრდოობსო. როდესაც საკითხი ასე დაისვა, ლენინისათვის გაჩუმება შეუძლებელი იყო. აუცილებელი იყო საკუთარ „ემპირიო“ ამხანაგების უღონებელი განადგურება და მენშევიკებისათვის იმის დამტკიცება, რომ არავითარი ფრაქციული ფილოსოფია არ არსებობს.

¹⁾ თუ რა უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა ლენინი იმ დროინდელ ბოგდანოვთან საერთო პოლიტიკურ მუშაობას ეს ნაშ 1908 წ. მ. გორკისადმი მიწერილი წერილიდან: „1904 წ. ზაფხულსა და შემოდგომაზე ჩვენ საბოლოოდ შეუთანხმდით ა. ბოგდანოვს, როგორც ბოლშევიკები და დაეამყარეთ ის ჩემი,—და ფილოსოფიის, როგორც ნეიტრალური მოვლენის, ჩემთავე შემნახველი,—კავშირი, რომელმაც მოელი რევოლუციის დროს გასტანა და რომელმაც ჩვენ მოგვცა საშუალება რევოლუციონში ერთად ვაგვეტარებია ის ტაქტიკა რევოლუციონური სოციალ-დემოკრატიისა (ბოლშევიზმისა), რომელიც ჩემი უღრმესი რწმენით იყო ერთად-ერთი და სწორი“. იხ. Ленинский сборник I. გვ. 99.

რომ მარქსისტული ფილოსოფია არის დიალექტიკური მატერიალიზმი, ვისაც მარქსისტობა სურს ეს უნდა მიიღოს, ვისაც არა, შეუძლია წაეგვიტყუოს. თუ რას აცეთებს ლენინი ამ წლებში ნათლად ჩანს შემდეგ: მარქსისტობადგებიდან: „რევოლუციის ქართველში ფილოსოფიაში მუშაობისათვის დრო არ მქონდა. 1906 წ. დასაწყისში, ციხეში, ბოგდანოვმა კიდევ ერთი შრომა დასწერა, მგონია, ემპირიომონიზმის შესამე ნაწილი. 1906 წ. ზაფხულში მან მე ის გადმომიგზავნა, და მე ძალიან ყურადღებით მიუჯექი მას. წავიკითხე, აეგნთე და დაერჩი საშინლად გულმოსული: ჩემთვის მთლად ნათელი გახდა, რომ მისი გზა იყო სულ მთლიანად შეცდარი, არა მარქსისტული. მე მას მივსწერე მაშინ „სიყვარულის ახსნა“, ფილოსოფიური წერილი, რომელიც სამ რვეულს შეიცავდა. იქ მე მას ეწერდი, რომ მე, რასაკვირველია, უბრალო მარქსისტი ვარ ფილოსოფიაში, მაგრამ სწორედ ეს მისი ნათელი, პოპულიარული და მშვენიერად დაწერილი შრომები მარწმუნებენ საბოლოოდ, რომ ჭეშმარიტება არა მის, არამედ პლენანოვის მხარეზე იყო. ეს რვეულები მე ზოგ მეგობარსაც ვაჩვენე, (მათ შორის* ლუნინარსკისაც) ვფიქრობდი აგრეთვე მათ დაბეჭდვას სათაურით: „Заметки рядового марксиста о философии“, მაგრამ ვერ მოვახერხე, ახლა ძალიან ვნაღლობ, რომ ის წერილები იმ წამსვე არ დაებეჭდებ.“¹⁾

დასახელებული „სიყვარულის ახსნა“ ბოგდანოვისადნი არ დაბეჭდილა არც შემდეგ. მაგრამ როცა ბოგდანოვმა, ბოზაროვმა, ლუნინარსკიმ, იუშკევიჩმა და სხვ. თავიანთი ცნობილი კრებული გამოსცეს, ლენინს მოთმინების ფილა აეგვო. წერილებში გორკისადმი სასტიკად ილაშქრებს კრებულის ავტორების წინააღმდეგ. ლენინი ახლა იწყებს ინგლისის ემპირიზმის შესწავლას ერთის მხრივ, თეორიული ბუნებათმეცნიერების, განსაკუთრებით ფიზიკის, მეორეს მხრივ, ემპირიოკრიტიციზმთან და ემპირიომონიზმთან სერიოზული კამათისათვის ეს გზა იყო ერთად ერთი. ინგლისელი ემპირისტები, განსაკუთრებით ჰაუმე და ბერკლი მახისა და ავენარტუსის სკოლაში შემუშავებული ფილოსოფიის სულიერი მამამთავრები იყვენ, მეორეს მხრივ ე. მახი მარტო ფილოსოფოსი არ ყოფილა, ის იყო ძალიან ცნობილი ფიზიკოსი, მისი ფილოსოფია, რასაკვირველია, გავლენას მის ფიზიკაზედაც ახდენდა და რაც მთავარია, იმ ხანებში მახის აზრების გავლენა ემწინეოდა მთელი ევროპის ფიზიკალურ ლიტერატურას. სწორედ ამიტომ ლენინიც, თეორიული ფიზიკის შესწავლას ჰკიდებს ხელს.

პირველ ცნობას იმის შესახებ, რომ ლენინი სერიოზულად ემზადება ემპირიოკრიტიციზმის წინააღმდეგ გამოსასულელად ჩვენ ენახულობთ 1908 წ. გამოსულ პატარა კრებულში: „კარლ მარქსი“,²⁾ ამ წიგნაკის უკანასკნელ სტატიას: „მარქსიზმი და რევოლიონიზმი“ ახლავს შემდეგი შენიშვნა: იხ. წიგნი «Очерки философии Марксизма» ბოგდანოვის, ბაზაროვის და სხვ. აქ ადგილი არ არის ამ წიგნის გარჩევისათვის, ამიტომ უნდა დავკმაყოფილდეთ განცხადებით, რომ ახლო მომავალში მთელი რიგი სტატიებით ან ცალკე წიგნით დავამტკიცებთ, რომ აქ

¹⁾ იხ. Ленинский сборник 1, გვ. 98-100.

²⁾ ეს წიგნაკი გარეთელადაც არის გამოცემული.

გამოთქმული მოსახრებანი ნეოკანტიანელი რევიზიონისტების შესახებ არსებობდა ამ ნეოპლათონურ და ნეობერკლიანურ „ახალ“ რევიზიონისტებსაც კი.

ამ შენიშვნაში დაპირებული წიგნი გამოვიდა შემდეგ წიგნების კრებულში მის და ემპირიოკრიტიციზმის სახელწოდებით. ეს წიგნი, რომელსაც თანამედროვეობაზე ფართო გავლენა არ მოუხდენია—არ მოუხდენია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის მხოლოდ 300 ცალის რაოდენობით გავრცელდა, დანაწილები ექსემპლიარები რევოლიუციამდე დაკრებილი იყო სარდაფში, —ერთის მხრივ იყო დაცვა და განმტკიცება დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიისა, მეორეს მხრივ ის შეიცავდა ახალს ელემენტებს და წარმოადგენდა ერთგვარ გარდატეხას არამც თუ ლენინის ფილოსოფიური განვითარების თვალსაზრისით, არამედ თვით მარქსისტული ფილოსოფიის განვითარების თვალსაზრისითაც. აქამდე პლენანოვის მოწაფე ლენინი, ამიერიდან წინ უსწრობს მასწავლებელს და ზოგ გადამწვევტ პუნქტებში გაცილებით უფრო კარგად და უფრო თანადროულად იცავს მარქსიზმის ფილოსოფიის საფუძვლებს, ვიდრე მისი მასწავლებელი.

მთავარი მიზანი ამ წიგნისა რჩება იგივე, რაც პლენანოვის ნაწერების მიზანს შეადგენდა: დაცვა დიალექტიკური მატერიალიზმისა ყოველგვარი რევიზიონიზმისა და ეკლექტიკურად შევსება-შეკეთებისაგან. პლენანოვი ამ პროგრამას თითქმის არას დროს არ ვასცილებია, ის ცდილობდა დარწმუნოყო დიალექტიკური მატერიალიზმის იმ სფეროში, რომელიც მან მიხაილოვსკისთან და ნეოკანტიანიზმთან ბრძოლის დროს გამოიმუშავა. ისიც უნდა ითქვას, რომ პლენანოვი, როგორც ფილოსოფოსი, ერთგვარ ზეგავლენას განიცდიდა, როგორც ჩერნიშევსკის ნააზრევისა, ისე ფოიერბახის ფილოსოფიისა. დღეს, როდესაც პლენანოვს კითხულობ უნებლიედ გებადება აზრი: ხომ არ გამოპარვია პლენანოვს ის გარემოება, რომ თუმცაღა ფოიერბახმა მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიური შოფლმხედველობის გამომუშავებაში უდიდესი როლი ითამაშა, მაგრამ როცა ეს შოფლმხედველობა მზათ იყო, ფოიერბახს აღარ აღმოაჩნდა ძალა (ეს ძალა არ ჰქონია არც ფოიერბახის მატერიალიზმს) მარქსის აზრების მომბლანზე ასაფრენათ, ჩვენ ვიცით, რომ მარქსი რამოდენიმეჯერ შეეცადა „დაბმარებოდა“ ფოიერბახს, მაგრამ ამაოდ! ასე იყო თუ არა, ის კი ცხადია, რომ მარქსისა და ფოიერბახის დამოკიდებულების პრობლემა საშინლად აწუხებდა პლენანოვს. მან რამოდენიმეჯერ შეიცვალა აზრი ამ დამოკიდებულების შესახებ, ერთ-ერთ საკითხში ლენინის „მატერიალიზმის და ემპირიოკრიტიციზმისა“ ზეგავლენით, როგორც ეს დამაჯერებელი არგუმენტით დაამტკიცა ა. დ ე ბ ო რ ი ნ შ ა. ¹⁾

მოკლეთ: მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში პლენანოვმა მოგვცა ჩინებული ნიმუში ჰეგელის და მარქსის დამოკიდებულების გაგებისა, ²⁾ მან მაინც ნათლად ვერ მისცა მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურას ის გზა, რომლითაც ჰეგელიდან მარქსამდე უნდა წამოვსულიყავით.

¹⁾ იხილეთ Вестн. конун. Аладеж. № 32 (2) გვ. 199.

²⁾ მხედველობაში გვაქვს პლენანოვის გამოკვლევა: „К шестидесятой годовщине смерти Гегеля“.

დღეს ჩვენ უკვე ძალიან ნათლად ვიცით, რომ პლენანოვის ეს ნაწერი პირველად ლენინმა შეამჩნია და მისი შესწორება საჭიროდ დაინახა. „ემპირიოკრიტიციზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ პლენანოვის თვალსაზრისიდან ასეთი ნაწერი უნდა იქნებოდა, როგორც არ ჩანს, მაგრამ სწორედ იმ საკითხების და პრობლემების დაცვის დროს, რომლებიც პლენანოვის მიერ იყო ჩამოყალიბებული, ლენინი წააწყდა მთელ რიგ პრობლემებს, რომლების დაცვა-დასაბუთებია დამატებითი დებულებები არ აღმოჩნდა. როდესაც ლენინი ამ ნაკლულოვანებას „თავისებურად“ ასწორებს, გამოდის რომ ის პლენანოვს (მეტნაწილად ჩემათ და რამოდენიმეჯერ ხმა მალლაც) ასწორებს და ანეთარებს. პლენანოვის ამ განვითარებაში მდგომარეობს „ემპირიოკრიტიციზმის და მატერიალიზმის“ დადებითი შინაშენლობა მარქსისტული ფილოსოფიის განვითარებისათვის. ეს გზა იყო პლენანოვის შეცდომების გასწორების საცნ და მარქსისტული ფილოსოფიის დასაბუთებისათვის ახალი საშუალების გამოჩენისაკენ, რასაც ლენინი თავისი ფილოსოფიური მუშაობის შესამე პერიოდში იძლევა და რომლის შედეგები საცნებით უცნობი იყო მისი არქივის გამოცემის დაწყებამდე.

ლენინის ფილოსოფიური მოღვაწეობის პროგრამა შესამე პერიოდში შეიძლება ორი ლენინისე მიერ წამოყენებული დებულებით გამოვხატათ. თავის შინაშენებში „ფილოსოფიის ისტორიის“ შესახებ ლენინი სწერს: „დასამეშველებლია, — პლენანოვს ფილოსოფიაზე (დიალექტიკა) ნამდვილად ათისვეჯერდამდე დაუწერია: ბელტოვი, ბოგდანოვის წინააღმდეგ, კანტიანლების წინააღმდეგ, ძირითადი საკითხები და სხვ. და სხვ. მათ შორის „დიდი ლოგიკის“ შესახებ, ან მის გამო, მის აზრებზე (ე. ი. დიალექტიკაზე, როგორც ფილოსოფიურ მეცნიერებაზე) — არათერი“. ამ ლენინის საკუთარი პროგრამა. სჭირია იმის დამეშვეება, რაც პლენანოვს აკლია, ე. ი. ჰეგელის დიალექტიკური ლოგიკა უნდა გახდეს მარქსისტული დამეშვეების საგანი. მარქსისტულმა ფილოსოფიამ ჰეგელის „ლოგიკიდან“ უნდა აიღოს დიდი რამ საგანძური. მაგრამ როგორ? იმ სახით, რა სახით ჰეგელს ეს მოცემული აქვს? არა. ამავე შინაშენებში ვკითხულობთ: „ჰეგელის ლოგიკა არ შეიძლება ავიღოთ მისი ახლანდელი ფორმით, მისგან უნდა ამოვიკრიბოთ ლოგიკური და „გნოსეოლოგიური“ ნაწილები, გავსწმინდოთ ის .Ideenmystik — იდეათა მისტიკისაგან. ეს უკვე ძალიან დიდი შრომაა“.

თავისი ფილოსოფიური მუშაობის შესამე პერიოდში ლენინი ამ „ძალიან დიდ საქმეს“ ჰკიდებს ხელს. მიზანი ნათელია: იმის გაკეთება, რაც პლენანოვმა ვერ შესძლო. ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების“ საფუძვლიანი შესწავლა და მის გადამეშვეებით დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიური საფუძვლების საბოლოო გამაგრება. ლენინი იწყებს ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების“ საფუძვლიან შესწავლას. ჰეგელის დიალექტიკური ლოგიკა, უპირველეს ყოვლისა, ცნების დიალექტიკა იყო, მაგრამ ჰეგელის მთელი გენიალობა იმაში მდგომარეობს, რომ დიალექტიკური კანონები და დიალექტიკური მოძრაობა ისეა აშენებული, რომ მათ უკან (ე. ი. ლენინისათვის მათ წინ) საგნებისა და მოვლენების დიალექტიკა ჩანს. კონკრეტიალობა ლენინის გაგების კი ის არის, რომ ლენინი ისე ვკითხავს ჰეგელის ლოგიკას, რომ იქიდან მხოლოდ საგნებისა და მოვლენების

დიალექტიკა ისმის. ანუ როგორც თვით ლენინი ამბობს: მატერიალისტურად კითხულობს ჭეგელს.

რაც შეეხება ლენინის ლიტერატურულ მუშაობას ფილოსოფიის სფეროში მებზე დასახლებულ მესამე პერიოდში, ამის შესახებ დღეს არსებული მასალებიდან გამორკვეულია შემდეგი: მუშაობა იწყება 1914 წ. 10 რვეული ლენინის ხელთაწერის, რომელიც დაცულია ლენინის ინსტიტუტში და ფილოსოფიურ საკითხებს შეეხება ვ. ადორატსკის¹⁾ ცნობის თანახმად შეიცავს შემდეგი ცნობილი ფილოსოფიური შრომების კონსპექტებს და შენიშვნებს მათ შესახებ. მარქს-ენგელის „წმიდა ოჯახი“, ჭეგელის „მეცნიერება ლოგიკისა“, ჭეგელის „ფილოსოფიის ისტორია“ I და II ტომი, ლასალის „პერაკლიტე“, არისტოტელის „მეტაფიზიკა“, ფოიერბახის „ლაიბნიცი“ და ფოიერბახის „ლექციები რელიგიის არსების“ შესახებ. არის შენიშვნები ბუნებათმეცნიერების ისტორიის შესახებ და სხვ. ამათ შორის ერთი რვეული, რომელიც მარქსის „წმიდა ოჯახის“ კონსპექტს შეიცავს შედგენილია 1895 წ., ე. ი. პირველ პერიოდში; ფოიერბახის „ლექციების“ კონსპექტი შედგენილი უნდა იყოს 1910 წ., დანარჩენი ყველა ეკუთვნის 1914-15 წლებს. ეს წლები უნდა ჩაითვალოს ლენინის ფილოსოფიური ძიების საუკეთესო ხანად. ძირითადი და გადამწყვეტი მნიშვნელობის ამ ხელნაწერებს შორის არის ის სამი დიდი რვეული, რომელიც უკვე ლენინის მეტბრე კრებულის სახით გამოვიდა და რომელიც ჭეგელის წიგნის „ლოგიკის მეცნიერება“ კონსპექტსა და განხილვას შეიცავს.

როგორც ამ ფართოდ გაშლილი პროგრამიდან ჩანს ლენინის აზრით უნდა ჰქონებოდა არა მარტო დიალექტიკური აზროვნების კლასიკების შესწავლა, არამედ ამ შესწავლის ნიადაგზე მატერიალისტური დიალექტიკის სახელმძღვანელოს შედგენა. ე. ი. იმ ამოცანის შესრულება, რომელიც მარქსსაც ესახებოდა და აუცილებლად მიიჩნდა, მაგრამ სისრულეში არ მოუყვანია. როგორც მარქსს სურდა ჭეგელის დიალექტიკიდან ამოეკრიფა ის რაციონალური და გასაგები. ის რაც ჭეგელის დიალექტიკაში ფილოსოფიური განძი იყო და ეს გასაგებად დაეღაგებია, ასე მიზნათ ჰქონია ამ საქმის შესრულება ლენინსაც. ასეთი ნაშრომი არც ლენინს დაუტოვებია, მაგრამ სქემა იმისა, თუ საით უნდა წასულიყო მატერიალისტური დიალექტიკის ლოგიკა, აქ მოცემულია. როგორც ეტყობა ლენინს დიალექტიკის თეორიის საკუთარი კონსპექტიც კი შეუდგენია. ლასალის „პერაკლიტეს“ კითხვამ ლენინი დაარწმუნა, რომ აეტორი მოწაფესაგეთ ეტყეოდა თავის საგანს და ნამდვილი დიალექტიკა ლასალისათვის უცნობი რჩებოდა. ამ კრიტიკულ აზრთა წყობის კონტექსტში ლენინს შეუფუშავებია ის საკუთარი სქემატიური პროგრამა დიალექტიკის თეორიისა, რომელიც შეიცავს ლენინის ცენტრალურ თეზის დიალექტიკის ბუნების ვაგებისათვის, ე. წ. „დაპირისპირებულთა ერთიანობას“ единство противоположностей. ლენინის ეს საინტერესო ცდა გამოქვეყნებულია პირველად ჟურნალ „ბოლშევიკში“ № 5-6 1925 წ. სათაურით: „К вопросу о диалектике“, მისი შინაარსის განხილვას ჩვენ შევებებით ქვემოთ.

¹⁾ იხ. ვ. ადორატსკის სიტყვის კონსპექტი დაბეჭდილი „Вест. коммунист. академии“ № 52(2). გვ. 198-210.

მთლიანად აღებული, თუ რა კონკრეტული და წმიდა ფილოსოფიური გამჭრიახობით გაუთვალისწინებია ლენინს განვითარების ის გზები, რომელიც ანტიური აზროვნების პერსპექტივიებიდან კანტზე გადასვლაში მთავრდებოდა, ნათლად ჩანს დიალექტიკის ისტორიის იმ იმანენტურ სქემიდან, რომელსაც ლენინი იძლევა ჰეგელთან ერთად ჰეგელის „ფილოსოფიის ისტორიის“ კითხვის დროს და რომელიც მოყვანილია ადორატსკის დასახელებულ სიტყვაში ჰეგელი არჩევს დიალექტიკის განვითარების სამ დიდ პერიოდს. სამივე პერიოდში მიღებულია ლენინის მიერ, ხოლო შეცვალა ნათი მნიშვნელობა. პირველია სუბიექტიური დიალექტიკა, დიალექტიკა სოფისტების აზროვნებაში, ის მსჯელობათა ხლართულებით თავს გვაჩვენებს დიალექტიკათ, სინამდვილეში სუბიექტიური, დიალექტიკის გარეგნულად მსგავსი მოჩვენებაა და არა ნამდვილი დიალექტიკა; მეორეა ძენონის დიალექტიკა, ძენონის დიალექტიკის შინაარსს ჰეგელი შემდეგი მოკვითილი სიტყვებით იძლევა: „საგნის იმანენტური დიალექტიკა, შესული სუბიექტის მსჯელობაში“, ლენინი შემდეგ საუბროვო და ნათელ განმარტებას იძლევა ჰეგელის დასახელებული დებულებისა: „საგნში არის დიალექტიკა, მაგრამ მე ვერ არ ვიცი, შეიძლება ეს მხოლოდ მოვლენაა“, ეს პირდაპირ ჩინებული დახასიათება დიალექტიკის იმ აბორეტიული მდგომარეობისა, რომელიც პირველად ძენონის აზროვნებაში ჩაისახა და რომელიც შემდეგ კანტის ანტიტეტიურ დიალექტიკის სახით ჩამოყალიბდა. მესამე და უმაღლესი ფორმა დიალექტიკისა ჰეგელის სიტყვებით არის ის „დიალექტიკა, რომელიც გაგებულა თვითონ პრინციპად“, ლენინი ამ დებულებას განმარტავს ასე: „საგნებით ობიექტიური დიალექტიკა, როგორც პრინციპი ყოველი არსისა“, ეს დამთავრებული სახე დიალექტიკისა მოცემულია ჩანასახის სახით პერაკლიტის აზროვნებაში, დამთავრებულად და ამოწურულად ჰეგელის მიერ.

დიალექტიკის შესასწავლად განვითარების ეს გზა აუცილებლად და სავალდებულოდ მიაჩნია ლენინს. დიალექტიკის ის უმაღლესი ფორმა, რომელიც მოცემულია მარქსის ნააზრევში, სადაც დიალექტიკა საბოლოოდ თავისუფალია Ideenmystik-ისაგან და რაციონალური მარკველი მისი შემეცნებისა მოცემულია უნაკლოთ, შეუძლებელია გაგებულ იქნას, თუ წინასწარ მოაზროვნემ არ გაიარა ეს გზა, თუ მან საფუძვლიანად და სისტემატიურად არ ავიდა დიალექტიკური აზროვნების იმ სიმაღლეზე, რა სიმაღლეზედაც ჰეგელის დიალექტიკური ლოგიკა იყო ასული. ლენინისათვის უბრალო სიტყვები კი არ ყოფილა ამ „კონსპექტებში“ მოცემული განცხადება, რომ მარქსის კაპიტალის ნამდვილი გაგება შეუძლებელია, თუ წინასწარ ჰეგელის „ლოგიკის გეცნიერება“ არ შეგისწავლიაო, არამედ ეს იყო ღრმა ფილოსოფიური მუშაობის შემდეგ მიღწეული ურყევი შეშეცნება.

ამით თითქმის ყველაფერი თქმულია, რაც ამ მესამე პერიოდის ბიბლიოგრაფიასა და ლენინის ფილოსოფიურ აზროვნებაზე უნდა თქმულიყო. ამ თითვე ნათელი და ცხადია ერთი გარემოება: ენგელსს შემდეგ არც ერთ მარქსისტს (თვით პლენანოვსაც არა) ასე ღრმით არ გაუგია ფილოსოფიის და კერძოთ დიალექტიკის მნიშვნელობა, არც ერთი არ მიზევდარა ასე ღრმად, თუ რა დამოკიდებულება იყო ჰეგელსა და მარქსს შორის.

ლენინისათვის იწინადად ნათესაური აღმოჩნდა ჰეგელისა და მარქსის აზროვნება, რომ როგორც ამ გამოკვლევის დასაწყისში მოყვანილნი ვინაიდან ჩანს, ჰეგელისა და მარქსის საერთო საქმეზე და მის გაგრძელებასთან დაკავშირებით ლაპარაკობს. ლენინი არ შემცდარა არც ისტორიულად და არც სისტემატიურად, ჰეგელი და მარქსი ორივე რევოლუციის პროგრამა იყო, პირველი მისი ალგებრა, ხოლო მეორე, ალგებრის ფორმულებში რეალური შინაარსის ჩანდები. მარქსიზმის სრული გამარჯვება პრაქტიკაში, ჰეგელის გამარჯვებას ნიშნავს თეორიაში.

რევოლუციონურ ეპოქებში ჰეგელს, რომ მატერიალისტურად კითხულობენ (ე. ი. ისე, როგორც მას ლენინი კითხულობდა) ეს არ ცვლის საქმის მდგომარეობას, ეს იძლევა იმ იმანენტურ რევოლუციონურ სფეროს ნამდვილი ჰეგელისა, რომელიც ინდივიდუალურად, თუ სუბიექტიურად უცნობი იყო თვითონ პრუსიელი პროფესორი ჰეგელისათვის. მარქსიზმის მანტიაში გამოხვეულმა ჰეგელმა შეიძლება თავისი თავი ვერ იცნოს, მიუხედავად ამისა, ეს არის ნამდვილი ჰეგელი.

მარქსიზმისათვის ნამდვილი ჰეგელია ის, რომელიც მოცემულია ლენინის კონსპექტში, ამიტომ გვერდია, მისი საფუძვლიანი შესწავლა დღეს ყოველ მხრივ გამართლებული საქმიანობაა.

ლიალეატიკის თეორია

1.

„მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ ლენინი არამც თუ ამტკიცებს, რომ ახალს ფიზიკაში კრიზისი არსებობს, რომ ფიზიკის მეცნიერული შენობის სიმტკიცე შერყეულია, არამედ დასახელებული კრიზისის საფუძვლებსაც ნახულობს. ახალი ფიზიკა თავისი პრობლემების განვითარების იმ საფეხურზე ავიდა, სადაც არც ერთს ნამდვილს შემეცნებას არ შეუძლია ფენომენების უბრალო აღწერა-განმარტებით დაკმაყოფილდეს, სადაც ანალიტიური გზა მასალის ძიებისა მის შიგნით წამოჭრილ შემეცნებითი პრობლემებს ვეღარ უვლის, ფიზიკის სჭირდება აღმოჩენილი კავშირებისა და დამოკიდებულებათა ახალი პრინციპები. როცა ფიზიკოსებმა ამ მეთოდოლოგიურსა და შემეცნებით თეორიულს პრინციპებს ძებნა დაუწყეს, მაშინ წამოიჭრა კრიზისისა და დაუძლეველი წინააღმდეგობის არდილი შათ მეცნიერებაში. ლენინი ნათლად ხედავს, რომ კრიზისი ფიზიკაში ფილოსოფიური საფუძვლების გაგებაში წარმოიშვა. მართალია, რომ ე. წ. ფენომენალისტური ფიზიკის ფილოსოფიური განწყობილება ამ საფეხურზე უკვე დაძლეული იყო, თეორიული ფიზიკის წარმოადგენლები თვით დაიქმნდნენ ფილოსოფიურ პრინციპებს, მაგრამ ენგელსის მოხდენილი თქმის არ იქნოს ახლა ისინი (ვინც ერთხელ ფილოსოფიას მიღლიდან უყურებდნენ და დასცინოდნენ) უკუდესი ფილოსოფიის, უკუდესი და ვულგარული ნარჩენების მონები გახდნენ. ¹⁾

¹⁾ იხილეთ „Naturdialektik“, „Архив К. Маркса и Фр. Энгельса“ ტ. II, გვ. 36-38 ნოსტოვი, 1925.

ფილოსოფიის ეპიგონების ნააზრევმა არამც თუ ხელი შეუწყო თეორიული ფიზიკის მიერ წამოყენებული შედეგებითი პრობლემების გადაწყვეტაში, არამედ გზა აუბნია თვით ფიზიკას. ლენინი ებრძვის ამ ფილოსოფიურ გზას, მისი მიზანია ფიზიკაში, და ამ მეცნიერებისათვის შევუბნულს და მისაღებს მეთოდოლოგიურ დისციპლინის დამუშავებას მოითხოვს. ასეთი მეთოდოლოგიური დისციპლინა, ლენინის აზრით, იყო დიალექტიკის თეორია. თუ ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკის თეორია მატერიალისტური დიალექტიკის თეორიად იქნებოდა გადამუშავებული, მაშინ ახალი მეცნიერების მეთოდოლოგიური მოთხოვნებმა უნაკლოთ იქნებოდა დაკმაყოფილებული და კრიზისიც—თავიდან აცილებული. ზუსტი მეცნიერება დიალექტიკური მეთოდოლოგიის სახით მოიპოვებდა ახალს კლავა-ძიების მეთოდს და ახლო კავშირით ფილოსოფიასთან ჩამოაყალიბებდა თავისი თეორიის მტკიცე შენობას.

ასეთი ალტერნატივის სრული შეგნებით იწყება ლენინის ფილოსოფიური მუშაობის მესამე პერიოდი, ე. ი. გაგრძელება მეორე პერიოდში წამოჭრილი პრობლემების დამუშავებისა. ალტერნატივა ფიზიკის მეცნიერებისათვის მდგომარეობდა იმაში, რომ ის ან დიალექტიკას შეითვისებდა ანდა დაუძლეველი კრიზისების მსხვერპლი გახდებოდა. ლენინი რატონისტურად უყურებს მეცნიერების მომავალს, თვითველი თეორიული მეცნიერება უსათუოდ მატერიალისტურ დიალექტიკასთან მივა, მაგრამ რადგან ის მიდის ნელა, უცნობი გზებით, ვაუკვევლი პრინციპებით, ამიტომ ლენინს უდიდეს საქმეთ მიანია მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის საბოლოო ჩამოყალიბება და მეცნიერებაში მისი შეგნებული გადატანა. მატერიალისტური დიალექტიკა ლენინის აზრით არის ის ერთად ერთი ნამდვილი მეთოდოლოგიური დისციპლინა, რომელიც უნაკლოთ დაკმაყოფილებს თანამედროვე ბუნებათმეცნიერების მიერ წამოყენებულ გნოსეოლოგიურ პრობლემებს. მართალია, რომ განვითარებულმა მეცნიერებამ ბევრი ისეთი პრინციპი წამოაყენა, რომლის თავისებურება გათვალისწინებული არ ყოფილა ე. წ. „ჯანსაღი აზროვნების“ და მისი რეფლექსის, ფორმალური ლოგიკის მიერ; გნოსეოლოგიური აზრი ამ ახალი პრინციპებისა ერთგვარ ფორმალურ წინააღმდეგობაში მოიქცა ზვენი აზროვნების ე. წ. ფორმალ-ლოგიურ კანონებთან. ამან გამოიწვია, ის, რომ თვით მეცნიერთა ბანაკში გაისმა ხმები შემეცნების რაციონალური ფესვების წინააღმდეგ, ერთის მხრივ იდეალისტური მისტიციზმი და მეორეს მხრივ უპრინციპო ემპირიზმი დაეფუძლა ამა თუ იმ მეცნიერის ნააზრევს. ჯერ კიდევ დრ. ენგელსი აღნიშნავდა ამ გარემოებას და ბუნებათმეცნიერებს ურჩევდა ხელი მოეყიდათ სერიოზული ფილოსოფიის შესწავლისათვის, განსაკუთრებით კი გერმანული იდეალიზმის, რომლის უმაღლესი განვითარების შედეგი, დიალექტიკური მეთოდი, წინებული იარაღი იყო წამოჭრილი წინააღმდეგობების გადასაღებად და მეცნიერების პროგრესის გასაგრძელებლად.

დრ. ენგელსის კაპიტალური მუშაობა ამ მიმართულებით ლენინისათვის ცნობილი იყო ნაწილობრივ, ე. ი. იმდენად, რამდენად ეს მუშაობა დაწყებულია „ანტი-დიურინგში“, მაგრამ ენგელსის გენიალური აზრები „ნატურდიალექტიკისათვის“ უცნობი იყო ლენინისათვის. მით უფრო საინტერესოა ჩვენთვის ის

გარემოება, რომ ენგელსის „ნატურდიალექტიკის“ და ლენინის „კონსპექტის“ მიზანი ერთიდაიგივეა. მაგრამ მიზნის ერთნაირობით არ შეიძლება განიხილოთ ინტერესი. ერთდაგვარია ის გენერალური აზრთა მსვლელობა, რომელიც ეს ორი ნაშრომი დაწერილია. რატომ დაიწყო ლენინმა ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების“ სერიოზული შესწავლა? მხოლოდ იმიტომ, რომ შეედგინა მატერიალისტური დიალექტიკის თეორია. შენიშვნები, კვებები, სქემები, გეგმები და სხვ., რომლებითაც აჭრულებულია ლენინის ფილოსოფიური რეკლამები უდავოდ ამტკიცებენ იმას, რომ ლენინს აზრათ ჰქონებია შეედგინა დიალექტიკის თეორიის ერთგვარი სახელმძღვანელო. ლენინს უსათუოდ აზრათ ჰქონდა დეფინიტურად ჩამოყალიბებულია მატერიალისტური დიალექტიკის ის სახელმძღვანელო, რომელიც მისი აზრით აუცილებელი იყო თვითული თანამედროვე თეორიული მეცნიერებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ მარქსი თვით ატარებდა აზრს დიალექტიკის ასეთი სახელმძღვანელოს შექმნისათვის. ამ მიზნის შესასრულებლად მარქსს საკმარისად მიაჩნდა ჰეგელის დიალექტიკის გაწმენდა, მისგან მისტიური სამოსელის ჩამოგლეჯა და იმ რაციონალური საფუძვლების დამკვიდრება, რომლებიც შეადგენდნენ ნამდვილ არსებას ჰეგელის დიალექტიკისა.

საბოლოო ანგარიშით ეს იყო უმთავრესი მიზანი ენგელსის „ნატურდიალექტიკისა“: ლენინი აგრძელებს თავისი დიდი მასწავლებლების გზას. ლენინმა ყველა სხვა მარქსისტზე უფრო ნათლად შეიგნო ორი რამ: ერთი ის, რომ შეუძლებელია თეორია და სერიოზული მეცნიერება გარეშე ფილოსოფიური დასაბუთებისა; მეორე კი ის, რომ მარქსისტული დიალექტიკა, მატერიალისტური დიალექტიკის თეორია, შეუძლებელია ჰეგელის გარეშე ან ჰეგელის დაიწყებით განვითარდეს. ამიტომ იყო რომ მან ასე სერიოზულად მოჰკიდა ხელი ჰეგელის შესწავლას. ლენინს თვითონ არა ერთხელ განუცხადებია, რომ მას ფილოსოფიის სისტემატიური სკოლა არ გაუფლია; მაგრამ ისტორიული სინარაღე მოითხოვს ითქვას, რომ ფილოსოფიაში ამ „აეტრადიქტატმა“ ფილოსოფიის ისტორიის ყველაზე უფრო ძნელი და რთული პრობლემის გაგებაში, ე. ი. ჰეგელის ფილოსოფიის გაგებაში, კონგენიალური აზრთა მსვლელობა გამოიჩინა. ლენინმა ჩინებულად გაიგო, რომ ჰეგელის დიალექტიკის სახით მიღწეული იყო შემეცნებითი ოპერაციის ის უკანასკნელი საზღვარი, რომლის მიღმა, შემეცნების რაციონალური დასაბუთებისათვის არაფერი რჩებოდა, რომ ჰეგელის დიალექტიკა იყო უგანვითარებულესი ლოგიკური ოპერაციის რეფლექსი. ჰეგელთან ლენინს აღფრთოვანებდა დიალექტიკური მსვლელობა აზროვნებისა, გრანტიცისებური სიმტკიცით გაჭედლი, დიალექტიკური შეთოდი და რასაკვირველია, არა იდეალიზმი ჰეგელის აზროვნებისა. ჰეგელის იდეალიზმიდან მას ერთი ანბანიც კი არ მიუღია; ბირიქით, ლენინი იმ შეგნებით იწყებს ჰეგელზე მუშაობას, რომ დიალექტიკა უნდა განთავისუფლდეს იდეალისტური ზეწარისაგან, უნდა აღმოჩნდეს, რომ ჰეგელის უდიდესი მსოფლიო-ისტორიული საქმე არის დიალექტიკა და არა იდეალისტური მისტიკა. ამიტომ იყო რომ ლენინი ასე ადვილად და თითქმის ხუმრობით მიერეკება ჰეგელის ტექსტიდან ამსოლიუტებს, ლმერთებს, იდეებს, სულებს და მათ ადგილს იჭერს რეალური საგნებით. მოვლენებით და პროცესებით.

ერთ ერთ უძლეველ დოკუმენტად იმისა, რომ ლენინმა კონგენიალურად გაიგო ჰეგელი, რომ მას სიტყვის არ ეშინოდა იქ, სადაც ცნებებს უძლეველად ჩნდა, ჩვენ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ უმთავრესი და უღმრთესი კონცეპტები ლენინის მოსვლია ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების“ მესამე წიგნის, ე. ი. ე. წ. სუბიექტიური ლოგიკის კითხვის დროს. ჰეგელის დიალექტიკის ძალაც და გენიალობაც იმაში იყო, რომ ის იყო დიალექტიკა ცნების და კონგენიალობა ჰეგელის გაგებისა სწორედ იმაშია, რომ ცნების დიალექტიკაზე დაყრდნობით მისგან გამოვიდეთ და საგნებთან მიხვდიდეთ. ლენინმა ჩინებულად გვაჩვენა ერთი რამ: სახელდობრ ის, რომ ვისაც სურს დიალექტიკის პირველ ნაკადს ეზიაროს, ვისაც ჰეგელის გაგება სურს, მან სიტყვებს არ უნდა შეუშინდეს, მან არ უნდა შეუშინდეს იმ გარემოებას, რომ ხშირათ დიალექტიკური კატეგორიები ჰეგელთან ღმერთის სამფლობელოში შეტრას ლამობენ, მან უნდა გაიგოს, რომ მიუხედავად აბსოლუტებისა და ღმერთებისა, ჰეგელმა ცნების დიალექტიკაში საგნების დიალექტიკაც შეამჩნია. ამ წერტილთან გვმართებს სიფრთხილე, ლენინიც გვაფრთხილებს: „შოლოდ შეამჩნია.“¹⁾

ჩვენი აზრით ლენინის ეს დებულება ცენტრალური მნიშვნელობის მქონეა არა მარტო იმის გასაგებათ, თუ როგორ ესმის ლენინს ჰეგელი, არამედ იმის დასამუშავებლად, რაც მატერიალისტური დიალექტიკის საგანს უნდა შეადგენდეს. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ეს ადგილი მოვიყვანოთ აქ ისე როგორც ის მოცემულია „კონსპექტში“.

ჰეგელმა ცნებათა დიალექტიკაში გენიალურად შეამჩნია საგნების დიალექტიკა (მოვლენების, ქვეყნის, ბუნების).

სახელდობრ, შეამჩნია და არა სხვა რამე.

თავსივითაა მოვლენისა და სინამდვილის ყველა მხარისა და მათი (ერთი-ერთ) დამოკიდებულებისა—ი ის, რისგან შეკრებილა შემართება. დამოკიდებულებანი („გადასვლანი“ წინააღმდეგობანი) ცნებებისა უმთავრესი შინაარსისა ლოგიკისა, ამასთან ეს ცნებები (და მათი დამოკიდებულებანი გადასვლანი, წინააღმდეგობანი) მოცემულია, როგორც გამოხატულებანი ობიექტიური ქვეყნისა. საგანთა დიალექტიკა ჰეგელის იდეათა დიალექტიკის და არა პირველი.

ეს აფორიზმი უფრო პოპულიარულად უნდა გამოეთქვას, სიტყვა დიალექტიკის დაუსახელებლად: მაგალითად ასე: ჰეგელმა გენიალურად შეამჩნია ცელაში, ყველა ცნების ურთიერთ დამოკიდებულებაში, მათი დაპირისპირებათა იგივეობაში, ერთი ცნებისა მეორეში გადასვლაში, მარად ცელაში, ცნებათა მოძრაობაში—სახელდობრ, ასეთი დამოკიდებულება საგნებისა, ბუნებისა.²⁾

ეს ობიექტივისტური გაგება ცნების დიალექტიკის ფილოსოფიისა არის ის უძირითადესი პრინციპი, რეზილთაც ხელმძღვანელობს ლენინი ჰეგელის გაგების დროს. სრულიად სამართლიანათაღნიშნავს ლენინი, რომ თავისებურება

¹⁾ იხილეთ: „Ленинский Сборник“ IX. გვ. 223.

²⁾ IX. 228.

ჰეგელის დიალექტიკისა იყო მისი ობიექტივივისტურობა. რისაკვირველია, ჰეგელის დიალექტიკა ცნების დიალექტიკა არის, მაგრამ „ცნება“ (რომელიც დიალექტიკური ლოგიკის მსჯელობაში გამოდის სუბრექტის სახით) განთავისუფლებულია გნოსეოლოგიური სუბიექტის უკანასკნელი აზრდილისაგან, ის არის ობიექტიური და ამიტომ ქეშმარიტიც. ლენინის ეს აზრთა წყობა მოცემულია „ლოგიკის მეცნიერების“ მე-243 გვ. (III) კითხვის დროს, სადაც ლაპარაკია იდეაზე, როგორც ქეშმარიტების იდეაზე. ლენინს მოჰყავს შესაფერი ადგილი ენციკლოპედიიდან, რომელიც უფრო რელიგიურად გამოხატავს ჰეგელის აზრს. მოვიყვანოთ ჩვენც ეს ადგილი და ვნახოთ, რამდენად სწორად გაუგია ჰეგელის რთული აფორიზმები ლენინს და რამდენად ჰქონდა მას უფლება განეცხადებია, რომ ცნებათა დიალექტიკაში ჰეგელმა საგანთა დიალექტიკა შეამშინაო. „ენციკლოპედიის“ მე-213 პარაგრაფის განმარტებაში სწერია:

„იდეა არის ქეშმარიტება; ქეშმარიტება კი არის ის, რომ ობიექტიურობა უდრის ცნებას. (არა გარეგანი საგნები უდრიან ჩემს წარმოდგენებს; ესენი არიან ის სწორი წარმოდგენები, რომლებიც მე-ამას მაქვს. იდეები არ გულისხმობენ არც ამას, არც წარმოდგენებს და არც გარეგან საგნებს). მაგრამ აგრეთვე ვოველივე ნამდვილი, რამდენად ის ქეშმარიტია, იდეაც არის, (არის იდეა და აქვს ქეშმარიტება მხოლოდ და მხოლოდ იდეის ძალით). კერძოული არსი არის იდეის რომელიმე მხარე, ამისათვის კი მას სჭირია კიდევ სხვა სინამდვილე, რომელიც აგრეთვე თავისთავად არსებულის სახით იქნება მოელენილი; მხოლოდ მათ ერთათმყოფობაში და მათ მიმართებაში ვარეალიზირებულია ცნება; კერძოული თავისთვის არ უდრის თავის ცნებას; ეს შენოფარგლულობა მისი არსებობისა არის საფუძველი მისი დაბოლოებულობისა და მისი დაღუპვისა“).

ვინც ჰეგელის კითხვის დროს ჰეგელის სიტყვებს კითხულობს და არა აზრებს ნამდვილად იფიქრებს: საიდან სადაო, წმიდა საბაო, სად ეს და სად ის, რაც ლენინს ამის გამო დაუწერია. ჩვენ კი გვგონია, რომ კონვენციულტორია სწორეთ ის, რომ ლენინს ზემოთმოყვანილი დებულებანი ჰეგელის ამ ადგილების წაკითხვის დროს ჩამოუყალიბებია. ის რაც უნდა ლენინს ნათელი და ცხადია. ეს არის მატერიალისტური დიალექტიკის შემდეგი თეზების ჩამოყალიბება: არც ერთი კერძო მოვლენა და საგანი თავისთავად აღებული არ არის ქეშმარიტება, ქეშმარიტება არის ამ საგნებისა და მოვლენების მიმართების ნიადაგზე მიღებული ურთიერთობა, ე. ი. ის გადასვლები და კავშირები, რომლებიც საგნებს და მოვლენებს შორის არსებობს, ცნებათა ენაზე გადათარგმნილი ეს კავშირები და გადასვლები წინააღმდეგობათა სახეს ლებულობენ. ამიტომ იდეების, ე. ი. ცნებების დიალექტიკის დასაბამი მოცემულია საგნების დიალექტიკაში. დედა აზრი საგნების დიალექტიკის კი იმაშია, რომ ქეშმარიტება არ არის არც ერთი კერძო და ცალკეული საგანი. არამედ მთლიანობა მათი ურთიერთობისა, კავშირებისა, გადასვლებისა ერთის მეორეში და სხვ.

ეხლა ვნახოთ რას ნიშნავს, ანუ რა აზრი აქვს ჰეგელის ზემოთმოყვანილ სიტყვებს: ჰეგელის მაღალ და ძალიან თავისებურ სტილს ჩვეულებრივი გამოთქმებით თუ ვიტყვით, მივიღებთ შემდეგ სურათს: სრული ქეშმარიტება არის მხოლოდ იქ,

1) იხილეთ: G. Hegel: „Encycl der philosoph. Wissenschaften“, ლასონის გამოცემის 190 გვ. 1920. ურჩხილბში აღებული ადგილები გამოტოვებულია ლენინის მიერ.



სადაც მოცემულია არა მხოლოდ ცალკეული არსი (Das einzelne Sein), არამედ, ერთის მხრივ, საჭიროა მეორე ასეთი ნაგლეჯი სინამდვილისა, მეორე მხრივ ერთი არსი, მეორეს მხრივ კი მიმართება, კავშირი და სხვ. ამ საგნებს — მარქსის აზრით — უნდა ჰქონდეს მათი კონკრეტულობა და სინამდვილე როგორც თავიანთი კერძო არსისა (საგნების) მოცემულია. ის ობიექტიური სინამდვილე კი, სადაც ერთი მთლიანი ერთადმყოფობის სახით გაერთიანებულია ყველა საგანი და მოვლენა, არის ცნება სწორეთ ამიტომ ჰგონია იდილისტს ჰეგელს, რომ სინამდვილე ცნებას უდრის, ე. ი. იმით რომ ცნების საშუალებით დაკავშირდა მან ეს კერძო სინამდვილე. ჰეგელმა იცის, რომ უბრალო ჯამი სინამდვილის ყველა საგნისა სინამდვილე არ არის, სინამდვილე მეტია, ვიდრე ყველა ის საგნები, რომლებიც მას შეადგენენ. ეს დიალექტიკური „მეტი“ მოცემულია სწორეთ იმ კავშირებში, ურთიერთობაში, გადასვლებში და სხვ. რომლებიც საგნებს შორის არსებობს და ურომლისათ ეს საგნები ობიექტიურობას ვერ ეხიარებიან. სინამდვილის საგნებს თავიანთი ობიექტიურობა რომ მაგ. სუბიექტის (აზროვნების) შემოქმედების ნიადაგზე მიელოთ, მაშინ სინამდვილე სუბიექტის ნამოქმედარი იქნებოდა და ცხადია ასეთ დოქტრინას მატერიალისტური დიალექტიკა ვერაფრად ვერ მოიხმარდა. მაგრამ არაფერი არ იქნებოდა ისე უკანონო ჰეგელის მიმართ, რომ ვინმეს მისი ცნების ობიექტიურობაში სუბიექტის რომელიმე სიკეთის ნაყოფი დაენახა, პირიქით, ჰეგელმა ეს ე. წ. ცნება სუბიექტიურობის უკანასკნელი არღილიდან განათავისუფლა. აქედან მოდის ის, რომ მარქსისტული საგნებით ობიექტივისტურ დილექტიკისათვის ვხე ვახსნილია.

ლენინის კონკრეტულობას შეენსწორეთ: იმაში ვხედავთ, რომ მან სიტყვებს არ შეუშინდა, — სხვა ვინმე შეშინებული ამ „იდეით“, „ცნებით“, „კერძო საგნის დაღუპვის“ არღილით და სხვა ვერაფერს ვერ ნახავდა აქ მატერიალისტური დიალექტიკისათვის საჭიროს — პირიქით, მან ჰეგელის „სიტყვები“ შილო, ისინი განცხრილა და აღმოაჩინა, რომ უდიდესი უნივერსალური კანონი ყოველივე განვითარებისა, კანონი საგნებით ობიექტივიზმის საფუძვლებზე დამყარებული, აქ მოცემული იყო; მატერიალისტური დიალექტიკის თეორიისათვის ეს კანონი თავიდან ბოლომდე მისაღები იყო, საჭირო იყო მხოლოდ მისი „გადატრიალება“, ე. ი. მისი ფაქტიური შინაარსის გამოკვლა. ჰეგელმა ობიექტიურობა მიიღო იმით, რომ ცნების საშუალებით სინამდვილის ყველა ელემენტი ერთმანეთს დაუკავშირა, ლენინი ასწორებს მას და ამბობს: „ცნების ადგილი უნდა დაიჭიროს თვით იმ დიალექტიკურმა კანონმა, რომელიც ცნების საშუალებით აღმოაჩინა ჰეგელმა. ამით იდეალიზმი თავიდან მოშორებული იქნება, ხოლო ობიექტივიზმი კი გაცილებით უფრო შესაფერი მასალით განმტკიცებული. ამიტომ აცხადებს ლენინი, რომ ჰეგელმა ცნების დიალექტიკაში საგნის დიალექტიკა შეამჩნია. ამიტომაც ის

დარწმუნებული იმაში, რომ მატერიალისტური და დიალექტიკის თეორიისათვის საჭირო კანონები ჰეგელის დიალექტიკაში მოცემულია, ამიტომ, ვინც იტყვას, რომ მატერიალისტებმა ჰეგელი.

ჩვენ ლენინის აზრების სისტემატიურ მსვლელობას, რასაკვირველია, ვერ კიდევ არ ვხეხვით. დასაწყისშივე ეს კლიტრალური დებულება იმითმ ვანემარტეთ, რომ საქმის მკოდნე მეთხველისათვის გვეჩვენებია, თუ რა საინტერესო ფილოსოფიურ მუშობასთან ექნება მას საეზე, თუ ლენინის აზრების შესწავლას ზვენთან ერთად ვააგრძელებს. რასაკვირველია, ყველაფერი ის რაც აქ ლენინს მარქსისტული ფილოსოფიისათვის ვაკეთებული აქვს, ისე კი არ უნდა ვავიგოთ, ვითომც მას ერთხელ და სამუდამოთ მატერიალისტური დიალექტიკის კომპენდიუმი მოეცეს. პირიქით, ის რაც გვაქვს, ლენინის მიერ სხვისთვის წასაკითხავად დაწერილი არ ყოფილა, ეს იყო მასალა, რომლისაგან შემდგეში შრომა უნდა გამოსულიყო. ასეთი შრომის დაწერა მას არ მოუწურია და ჩვენ შევგეძლია მხოლოთ იმ აზრთა თანმიმდევრობას ვაგვეთ, რომელიც ლენინს ჰქონია ჰეგელის კითხვის დროს — en lisant Hegel, მაგრამ საესებით სამართლიანია ა. მ. დებორინის განცხადება, რომ „ამიერიდან არცერთს მეთოდოლოგიური საკითხებით დაინტერესებულ მარქსისტს, არ შეეძლება იმათ გვერდით ვანიაროს (ე. ი. ლენინის „კონსპექტში“ მოცემული შენიშვნებეს გვერდით მ. გ.), არ შეუძლია ინიტომ რომ, ისინი იძლევიან ვარკვეულ მიმართულებას და სახელმძღვანელო ნითითების მიუღ რიგს იმისათვის, თუ რა მიმართულებით უნდა სწარმოებდეს მომავალში მატერიალისტური დიალექტიკის დამუშავება“¹⁾.

ლენინის ამ ფილოსოფიური ნაშრომების დიდი მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ამიერიდან საბოლოოდ დაძლეულად უნდა ჩაითვლოს მარქსისტების წრეში ხშირათ გამეღებული „ანტიფილოსოფიური“ განწყობილება. ის სასიკვდილო ლახვარს შეიცავს მექანისტებისათვისაც. ზოგი მექანისტის განცხადება, რომ ისინი მატერიალისტურ დიალექტიკას ლებულობენ, ხოლო არ სკნობენ მასში კვლევაძებითი იარაღს აგრეთვე პასუხგაცემულია ლენინის მიერ. ლენინი დიალექტიკის თეორიას სწორეთ იმიტომ იმუშავებს, რომ კვლევაძებითი იარაღთ ვამოიყენოს ის და თეორიული მეცნიერების ზოგი მონაპოვარი მისი საშუალებით ვადაამუშაოს. „კონსპექტის“ უბრალო ვადაკითხვაც საეწარისია იმაში დასარწმუნებლათ, რომ ლენინი ჰეგელის განყენებულ ლოგიკურ რეფლექსებს და კატეგორიებს ხშირათ თანამედროვე მეცნიერების ცნებებათ სთარგმნის. ენგელსის „ნატურდიალექტიკამ“ იმით ითანაში უდიდესი როლი, რომ მან მთელი სივრძე-სიგანით ვაამათრახა ყულგარული მატერიალიზმი, ამის რეაქციათ მიგვანია ჩვენ ის, რომ მარქსიზმის შიგნით მექანისტური მატერიალიზმი მიმდინარეობის სახით ჩამოყალიბდა; ლენინის „კონსპექტის“ მნიშვნელობა სწორეთ იმაში უნდა იყოს, რომ მისი საშუალებით დიალექტიკური მატერიალიზი საბოლოოდ ვაიწმინდება მექანისტური და ყოველგვარი ყულგარული მატერიალიზისაგან.

¹⁾ იმ. ა. მ. დებორინის წინასიტყვაობა „კონსპექტისა“, .I. ს6. IX.

2

საქართველო

„საერთოდ მე ვცდილობ, ჰეგელი მატერიალიზმის (ენგელსის მიხედვით) ჰეგელი არის ყირამალა მდგარი მატერიალიზმი—ე. ი. მე შეტნაწილად უფურადღებოთ ესტოვებ ღმერთს, აბსოლიუტს, წმიდა იდეას etc.“¹⁾ ამას აცხადებს ლენინი „ლოგიკის მეცნიერების“ პირველ ნაწილში შესვლისთანავე. პირველი შეზღუდვით ეს შეიძლება უცნაურ რაიმეთ მოგვეჩვენოს. როგორ შეიძლება ჰეგელის მატერიალისტური წაკითხვა? სად იდეალიზმის უდიდესი შესიტყვე და სად მატერიალიზმი? რამდენად წინ მივდივართ ლენინის „კონსპექტის“ შესწავლაში, იმდენად ვრწმუნდებით, რომ გადაწყვეტი ადგილები ჰეგელის „ლოგიკისა“ ლენინს სწორეთ რომ მატერიალისტურათ წაუკითხავს. თუ რომელი ფილოსოფიური უფლებების ძალით ასეთად გაიგო მან ჰეგელი, ეს ჩვენ უნახეთ ზემოთმოყვანილი მიგალითის განხილვის დროს. ეს არის ობიექტივიზმის ცნება ჰეგელთან, ე. ი. ის გარემოება, რომ საგანთა ობიექტიური არსება ჰეგელის გაგებით არის ცნების ნამდვილობა; მაგრამ ცნება არ არის არც ემპირიული და არც ტრანსცენდენტალური სუბიექტის ცნება, საერთოდ ის სულ არ არის სუბიექტის მხარეზე მოთაქსებული, არაშეუდრის არის რაღაც თავისთავად და სინამდვილედ არსებული ობიექტი. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი ცნების ნამდვილობიდან აზრი რეალურ სინამდვილეზე გადადის ჰეგელთან გახვეულია მისტიურ სამოსელში. თუ მის აზრთა წყობას მისტიურსა და იდეალისტურს პირსაფარს აეხდით, დავკრძებთ უბრალო ხალასი დებულება: ცნების დიალექტიკური მოძრაობა, რომელზედაც ლაპარაკია ჰეგელთან, არის რეალური სინამდვილის მოძრაობის კანონების რეფლექსი. რასაკვირველია, თვით ჰეგელს შეგნებულად არაფერი ასეთი არ მოუცია, ის იყო და დარჩა თავიდან ბოლომდე იდეალისტი. მაგრამ მისი იდეალიზმი იყო დიალექტიკური, მიუხედავად იმისა, რომ ჰეგელი იდეალიზმის დახმარებით ასაბუთებდა დიალექტიკის კანონიერებას, თვით დიალექტიკა თავისი ბუნებით წარმოადგენდა იდეალიზმის უარყოფას და რადგან ჰეგელთან შემოპრუნებით იდეალიზმშიც დიალექტიკის ზეგავლენა განიცადა, ამიტომ კანონიერია ლენინის დებულება, რომ ჰეგელმა ცნების დიალექტიკაში რეალური საგნების და სინამდვილის დიალექტიკაც შეამჩნია. ასეთი დებულების მიღებიდან ჰეგელის მატერიალისტურად წაკითხვამდე უკვე დიდი მანძილი აღარ არის. ქვემოთ ჩვენ უფრო დეტალურად გივცნობით ამ საკითხს და უნახავთ ნიმუშებს ჰეგელის დიალექტიკის მატერიალისტური გადაშეფხვანისა. რომ იდეალიზმი ჰეგელის სისტემაში ერთგვარ გარდატეხამდე მიყვანილი იყო, რომ მეოთხედი სისტემასთან წინააღმდეგობაში იმყოფებოდა—ყველა ეს დებულება მარქსისტულ კლასიკურ ლიტერატურაში ლენინამდეც იყო წამოყენებული. მაგრამ ლენინამდე არაფერ ცდილა ჰეგელის კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით დამტკიცებია ეს აზრი.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ იდეალისტური ფილოსოფიის ბანაკშია იქა-აქ უკვე შემწივარი იყო რომ ჰეგელის იდეალიზმი ზოგ გადაწყვეტ წერტილზე იდეალიზმს დაღატობდა. ტრენდლენბურგს, მაგალითად, ეს იდეალიზმისადმი დაღატი (ის ლაპარაკობს ამოსავალ წერტილზე ჰეგელის ფილო-

¹⁾ IX გვ. 58.

სოფიისა) ჰეგელის ლოგიკის არათანმიმდევრობითი მანერით მიიჩნედა, ამანზე უფრო საინტერესოა ჰერმან კოჰენის აზრი ამ მიმართულებებში. კოჰენმა მხოლოტეზად და იდეალიზმისადმი ღალატად მიიჩნია ის გარემოებები, რომლებთან პირველსაწყისში არსია მოთავსებული და არა აზრი; შეცდომები, რომელიც დაუშვია ჰეგელის დიალექტიკას, თუმცე გამოწვეული ყოფილა არსის ასეთი წინდასმით დასაბამის პრობლემაში ¹⁾ კიდევ უფრო საინტერესო მაგალითი ჰეგელის დიალექტიკის „წინააღმდეგობა“ მოძღვრებათ გამოცხადებისა მოჰყავს ა. მ. დებორინს ²⁾

და მართლაც, რაღაც თავისებური და ყველა დანარჩენი იდეალისტური კონცეპციიდან განსხვავებული რომ არ ყოფილიყო ჰეგელის იდეალიზმი, როგორ შეეძლო მისგან მარქს-მატერიალისტური მსოფლმხედველობის სრულმქმნელს და დამთავრებელს—ამოსულიყო. ეს თავისებურობა ჰეგელის ფილოსოფიისა, რასაკვირველია, იყო თავისებურობა მისი დიალექტიკისა და არა იდეალიზმის, იდეალიზმმა ჰეგელთან შინაგანი მარცხი სწორეთ იმიტომ განიცადა, რომ ის დიალექტიკური იდეალიზმია. მართალი უნდა ითქვას, რომ დიალექტიკა საუკუნეთა განმავლობაში იდეალისტურმა ფილოსოფიამ ასაზრდოვა, ჰეგელის იდეალიზმშივე მიიღწია მან უმწვერვალეს განვითარებას, მაგრამ აქვე გამოიჩინა, რომ იდეალიზმი დიალექტიკისათვის იყო მხოლოდ ბეღელი და არა მისი მშობელი და პატრონი. დიალექტიკის განვითარებამ, მისი კანონების ყოველმხრივმა და უნაკლო შესწავლამ ჰეგელის მიერ ნათელჰყო, რომ იდეალისტური ფილოსოფიის ჩარჩოები ძალიან ვიწრო ბინა იყო დიალექტიკური აზროვნებისათვის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დიალექტიკამ, ასე ესთქვათ, შიგნიდან გახეთქა ჰეგელის ლოგიკის იდეალისტური შენობის კედლები და „ლოგიკის მეცნიერება“ იმის მაგივრათ, რომ იდეალიზმის უდიდესი ნაწარმოებე ყოფილიყო, იდეალისტურ სისტემასთან წინააღმდეგობაში ჩაგარდნილი დიალექტიკური მეთოდის უძლიერესი საყრდენი აღმოჩნდა.

არავის ისეთი გარკვეულობით და თვალნათლივი სისწორით არ გამოეთქვამს ეს გარემოება, როგორც ის ლენინმა გამოთქვა „კონსპექტის“ ერთ-ერთ უკანასკნელ და თან მთელი მარქსისტული ფილოსოფიისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე განმარტებაში. „საინტერესოა—ეკითხულობ ლენინთან—რომ მთელი თავი „აბსოლიუტურ იდეაზე“ თითქმის არაფერს არ ლაპარაკობს ლმერთის შესახებ (ვითომ ერთხელ საფესვით შემთხვევით შემოპარულა გამოძებრალა „ლეთებრივი“, „ცნება“ (და ამის გარდა—ეს მ. მ.—თითქმის სულ რომაა სპეციფიურად იდეალიზმის არ შეიცავს, თავის უმთავრეს საგნათ აქვს დიალექტიკური მეთოდი. ჯიბი და რეზუმე, უკანასკნელი სიტყვა და არსება ჰეგელის ლოგიკისა არის დიალექტიკური მეთოდი—ეს ძალიან საინტერესოა. და ერთი კიდევ: ჰეგელის ამ ყველაზე უფრო იდეალისტურ ნაწარმოებში ძალიან მკიცრეა იდეალიზმი, ძალიან დიდია მატერიალიზმი. „წინააღმდეგობა“, მაგრამ ფაქტია“ ³⁾ (ხაზგასმა ყველგან ლენინისა).

¹⁾ იხ. Herm. Cohen: „Kantstheorie der Erfahrung“ 2. Aufl. S. 792.

²⁾ იხილეთ: Гегель Сочинения, том. I. 1929. გვ. XXVIII—IX. შენიშვნა ვეგნი შმიტტის შესახებ ა. მ. დებორინის მოწინავე წერილში.

³⁾ XI—300.

სწორედ რომ ძალიან ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან აზრებს შეიცავენ ეს დებულებები. უპირველეს ყოვლისა ის ჩინებული დამატებითი მისი დასამტკიცებლათ, რომ ლენინს წაუკითხავს და გაუგია ჰეგელის „აბსოლიუტური ფილოსოფიით დაინტერესებულს პუბლიცისტს, არამედ როგორც ფილოსოფოსს. ფილოსოფოსის ასეთი გაგება მხოლოდ ფილოსოფოსს შეეძლო ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების“ უკანასკნელი თავი ატარებს სახელწოდებას: „აბსოლიუტური იდეა“. ჰეგელის ფილოსოფიური პროგრამის დაახლოებით მკოდნემ უნდა იფიქროს, რომ ეს იქნება იდეალიზმის უკანასკნელი და უდიდესი მანიფესტაცია, საკუთარი თავის გაგება აბსოლიუტური ლოგოსისა აქ იქნება აბსოლიუტური იდეათ მოვლინებული. მაგრამ! მაგრამ ეს ასე არ არის. ბოლოსდაბოლოს ამ თავში იდეალიზმზე სრულიად არ არის საუბარი. ჰეგელს ვითომცდა დავიწყებია მიზანი თავისი ფილოსოფიისა და იმის დამტკიცების მაგიერად, რომ ფილოსოფიის უკანასკნელი მიზანი სულის მიერ აბსოლიუტის დაუფლებაა, მას მოუცია გენიალური ტრაქტატი ამ მიზნის განხორციელების იარაღად ხმარებული დიალექტიკური მეთოდისათვის. დიალექტიკურ მეთოდს ჰეგელმა უსათუოდ იმიტომ მიმართა, რომ იდეალიზმისათვის უკანასკნელი გამარჯვება მოეპოვებია, მაგრამ შედეგი ის იყო, რომ მეთოდმა გაიმარჯვა სისტემაზე, იდეალიზმი დაირღვრა და დიალექტიკამ ცენტრალური ადგილი დაიჭირა. იშვიათი ძლიერი ინტუიციით ვაიგო ლენინმა ეს თავისებურობა ჰეგელის ფილოსოფიისა.

აქედან ერთი ნაბიჯი იყო მოყვანილ აფორისტულ მენიშვნებში გამოთქმულ მეორე დებულებამდე. ეს მეორე დებულება ამბობს, რომ „ლოგიკის მეცნიერება“, რომელიც მიზნულია ჰეგელის ყველაზე უფრო თვალსაჩინო იდეალისტურ ნაწარმოებად, იდეალიზმზე გაკილებით მეტს მატერიალიზმს შეიცავს. რატომ? იკითხავს განცვიფრებული ფილისტერი; იმიტომ, რომ „ლოგიკა“ აბსოლიუტური იდეის უკანასკნელი გამარჯვებისა და მანიფესტაციის მაგიერად, დიალექტიკური მეთოდის აბსოლიუტური გამარჯვებით დამთავრდა. ფილოსოფიური ფილისტერის საყურადღებოთ უნდა ითქვას, რომ ლენინის განცხადება იმას კი არ ნიშნავს. ვითომც მას ჰეგელთან იდეალიზმის მაგიერად მატერიალიზმი მოჩვენებოდეს ლენინმა ძალიან კარგათ იცოდა, რომ ჰეგელი იდეალისტი იყო და ის კი არა გაუსწორებელი იდეალისტიკა—არამედ მხოლოდ იმას, რომ მან ჰეგელში მეთოდის უნივერსალობა დაინახა. ლენინმა ძალიან კარგათ იცოდა რომ ჰეგელთან იდეალისტური თვალსაზრისი გადაჯაჭვული იყო დიალექტიკურ მეთოდზე, მაგრამ მან დაინახა შესაძლებლობა მეთოდის თვალსაზრისიდან განთავისუფლებისა და რადგან თვით ჰეგელთან კონცეპცია მეთოდის უნივერსალობის გამარჯვებით მთავრდებოდა, ამიტომ ჩასთვალა ეს მატერიალიზმის გამარჯვებათაც. მისი ღრმა რწმენით უნივერსალობას ნაზიარევი დიალექტიკური მეთოდი, თავისი მკვლელობის გზაზე დამრღვევი ყოველივე აბსოლიუტისა, საბოლოოდ ამლდგენი ჰეგელის მიერ ნაგრძნობი ობიექტივიზმისა და მოძრაობისა და განვითარების კანონების შემცველ ხელსაწყოთ გადაქცეული, მხოლოდ და მხოლოდ მატერიალისტური შეიძლება ყოფილიყო.

ჰეგელთან ასეთი რადიკალური მისვლის ნაყოფია მთელი ეს „საუკუნისპერიოდი“. უნდა ითქვას, რომ ამ ფილოსოფიური რადიკალიზმით ლენინმა ახალ ასპექტში აყენებს მარქსისტული ფილოსოფიის ერთ ძველ პრობლემას, სახელდობრ მარქსისა და ჰეგელის დამოკიდებულების პრობლემას. რასაკვირველია, მარქსისა და ჰეგელის დამოკიდებულებაზე აქ ლაპარაკი იქნება იმდენად, რამდენად საკითხი შეეხება მათ დიალექტიკურ მეთოდს. ჰეგელის ზოგი ისტორიული შეხედულება, რომლის გამო ის ერთგვარი წინამორბედი შეიქნა თვით ისტორიული მატერიალიზმის, ჩვენი გაგებით, ადვილათ მოთავსდება მეთოდის დამოკიდებულების საკითხში და მას სპეციალური გარჩევა ამ კონტექსტში მაინც არ ესაჭიროება. რასაკვირველია, მარქსისა და ჰეგელის დამოკიდებულების საკითხს ჩვენ აქ შევეხებით გაკეცილ და მხოლოდ იმდენად, რამდენად ის მარქსისტების არამც თუ სხვადასხვა ჯგუფებს, არამედ სხვადასხვა პიროვნებას შორისაც სხვადასხვანაირად შუქდებოდა. და როდესაც ლენინი გადაკრით აცხადებს აქ, რომ „შეუძლებელია სავსებით გაიგოს მარქსი, განსაკუთრებით მისი პირველი თავები, თუ არ შეგისწავლია და თუ არ გაგიგია ჰეგელის მთელი ლოგიკა. ამრიგად, არც ერთს მარქსისტს არ გაუგია მარქსი $\frac{1}{2}$ საუკუნის შემდეგაც!“¹⁾ ცხადია, რომ ამ პრობლემას თუ ანგარიში არ გაუწიეთ, ისე წინ ვერ წავალთ ლენინის უკანასკნელი სიტყვები თუმცა აფორისტულად არის ნათქვამი, მიუხედავად ამისა, ისინი სიმართლეს შეიცავენ. მარქსისტებს ყველა ქვეყანაში ძალიან ხშირად არ ესმოდათ, თუ რას ნიშნავდა ფრ. ენგელსის განცხადება, რომ უჰეგელათ წარმოუდგენელია მეცნიერული სოციალიზმის არსებობა. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე საფუძველმდებელი რუსული მარქსიზმისა, პლენაროვი და ლენინი, ერთგვარ გამოჩაქოსის შეადგენდნენ ამ მიმართულებით. თეორიული მარქსიზმი რუსეთის ლიტერატურაში პლენაროვმა ჰეგელის გათვალისწინებით და სრული მიღებით დაასაბუთა. ზოგ ფილოსოფიურ ნაკლს, რომელიც პლენაროვის გაგებას თან ახლდა, მისთვის ხელი არ შეუშლდა, გაშლილ ისტორიულ პერსპექტივებში ჰეგელის მნიშვნელობა მარქსიზმისათვის სწორად აღენიშნა და დამაჯერებლად დაესაბუთებია. ლენინის მუშაობა ჰეგელზე უფრო ნოყიერი და სისტემატიურია, ამიტომ ის მარქსისა და ენგელსის ნააზრვეის პირდაპირ გაგრძელებათ უნდა მივიჩნიოთ ამ დარგში.

რაც შეეხება თვით მარქსისა და ენგელსის დამოკიდებულებას ჰეგელთან, ამის შესახებ ბევრია თქმული და დაწერილი; სადაო არ არის, რომ მარქსი და ენგელსი როგორც დიალექტიკოსები ჰეგელის მოწაფეებათ გრძნობდნენ თავიანთ თავს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ და მარქსის ის ფრაზა გავიხსენოთ „კაპიტალის“ ბოლო სიტყვაობიდან, რომელიც ძალიან ბევრი ქვეყნისაგან თითქმის გაცვეთილია, ისიც ნათელჰყოფს ამ დამოკიდებულობის თვებისებურებას. რატომ ამბობს მარქსი, რომ მან ყირაბალა მდგარი დიალექტიკა გადმოაბრიალა და ფეხებზე დააყენა. ცხადია მხოლოდ იმიტომ, რომ მისი გადმოტრიალება შეუძლებოდა. შეიძლებოდა მარქსს ასეთი ოპერაცია მოეხდინა პროკლის და პლოტინის, ფიხტეს და კანტის დიალექტიკისათვის? რასაკვირველია, არა! ფილოსო-

1) IX. 198.



ფიის ელემენტების ცოდნა საკმარისია იმისათვის, რათა საბოლოოდ უარყოფილი ასეთის შესაძლებლობა. მარქსის წინამორბედ ფილოსოფიაში მარქსის მიერ შემოღებული ერთი მოახროვნი იყო, რომლის „გადმოტრიალებით“ თავის მარქსის მკაცრი დისათვის საჭირო ყველა კანონი მზათ იქნებოდა. ეს იყო ჰეგელი და ეს ფაქტი ძალიან ბევრის მოქმედი. უნდა ითქვას რომ მარქსმა მთელი თავისი კოლოსალური კვლევა-ძიება დიალექტიკური მეთოდის საშუალებით მოახდინა, დიალექტიკის კანონები იყო ის ანატომიური ხელსაწყო, რომლითაც მარქსმა განკვეთა საკაცობრიო ისტორიის სხეული და მის ზედაპირზე ამოტივტივებულ იდეოლოგიურ სურნელობის რეალურ საფუძველს შეეხო. მაგრამ მარქსს არც ერთი ახალი კატეგორია დიალექტიკისა არ წამოუყენებია, არც ერთი ახალი ფორმა დიალექტიკური მოძრაობისა არ აღწერესაგან, პირიქით მან გარკვეულათ განაცხადა, რომ მიუხედავად ჰეგელის დიალექტიკის მისტიური სამოსელისა, დიალექტიკური მოძრაობის ფორმები ჰეგელის მიერ შეგნებულად, უნაკლო და ამოწურულად დალაგებულია. მხოლოდ იქ, სადაც ჰეგელის იდეალიზმი მის დიალექტიკის შინაარსში იყო ჩარეული, მარქსი ახდენს ლოგიკურ ოპერაციებს და ხელს უწყობს დიალექტიკური ბაზის გამოსწორებას; ამის საუცხოვო მაგალითებს უკვე „ფილოსოფიის სილატაკეში“ ვნახულობთ.

„კაპიტალის“ დასახელებულ ბოლოსიტყვაობაში, მარქსი ამბობს, რომ მისი „დიალექტიკური მეთოდი ჰეგელის მეთოდის პირდაპირი წინააღმდეგობაა“; ეს წინააღმდეგობა, რასაკვირველია, შეეხება საფუძველს და შინაარსს მათი მეთოდისა და არა მის ფორმას, შეეხება იმ უბრალო გარემოებას, რომ ჰეგელისათვის დიალექტიკური პროცესი აზრისა და ცნებების პროცესი იყო, ხოლო მარქსისათვის რეალობისა და მატერიალური საგნებისა. ამ მიმართულებით, ე. ი. შინაარსისა და მსოფლმხედველობრივი დაფუძნების მხრივ მარქსისტული დიალექტიკა, ცხადია, რომ ჰეგელის პირდაპირი წინააღმდეგობაა. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმ გარემოებისათვის, რომ ფორმა დიალექტიკური კანონებისა მარქსთან თითქმის იგივე იყო რაც ჰეგელთან.

სრული და უნაკლო სურათი ჰეგელისა და მარქსის დამოკიდებულების მოცემულია ფრ. ენგელსის მიერ იმ რეცენზიაში, რომელიც მან ერთ-ერთ პატარა ლონდონელ გერმანულ გაზეთში 1859 წ. მარქსის „Zur kritik“-ის გამოსვლის გამო გამოაქვეყნა. „ჰეგელის აზროვნება—ეკიბნულობით ჩვენ აქ—ყველა სხვა ფილოსოფიის აზროვნებისაგან განირჩეოდა იმ უდიდესი ისტორიული აზრით, რომელიც მას საფუძვლად ედო. თუმცა მისი ფორმა ფრიალ აბსტრაქტული და განუყვებელი იყო, მაგრამ მისი აზრების მსგეულობა მაინც პარალელურად მისდევდა მსოფლიო ისტორიის განვითარებას და ეს უკანასკნელი არსებითად პირველის შემოწმება უნდა ყოფილიყო...

ეს, მეცნიერებაში ეპოქის შემქნელი გაგება ისტორიისა, პირდაპირ თეორიული წინამძღვარი იყო ახალი მატერიალისტური შეხედულებისა (ე. ი. მარქსისა, მ. გ.), და მარტო ამ გარემოების წყალობით გამოსავალი წერტილი ახალი ლოგიკური მეთოდისათვის. თუ ამ მივიწყებულმა დიალექტიკამ უკვე „წმიდა აზროვნების“ თვალსაზრისით ასეთ შედეგებამდე მიგვიყვანა, თუ მან გარდა ამი-

სა, იოლათ ბოლო მოუღო მთელს წინანდელს ლოგიკას და მეტაფიზიკას, ჩანს. მასში რაღაც უფრო მეტი ყოფილა, ვიდრე უბრალო სოფისტეკედ წყლის ნაკეცა. მაგრამ კრიტიკა ამ მეთოდისა, რომლისაჲც დღემდე ეწინაა: მარქსი კრიტიკალურს ფილოსოფიას, ადვილი საქმე როდი იყო.

მარქსი იყო და არის ერთად ერთი ადამიანი, რომელმაც შესძლო ჰეგელის ლოგიკიდან გამოეყო ის მთავარი, რაც ამ დარგში ჰეგელის ნამდვილ აღმოჩენას შეადგენდა: მარქსმა აღადგინა დიალექტიკური მეთოდი მისი მარტივი ფორმით, განათავისუფლა იგი იდენტურ (იდელისტური) გარსისაგან, აღადგინა ის ისეთი ფორმით, რომელიც აზროვნების განვითარების ერთად ერთი მართებული ფორმაა. * 1)

სად გააყვითა მარქსმა ეს საქმე? იქ, სადაც დიალექტიკური მეთოდი მის მიერ მოხმარებული ყველა-ძიებითი იარაღით, ე. ი. პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკაში. გადაკარბებული როდი იქნება თუ ვიტყვით, რომ მარქსის „კაპიტალის“ მიხედვით ისეთივე რაციონალური სახელმძღვანელო დიალექტიკური მეთოდისა შეიძლება შედგეს, როგორც შედგენა შესაძლებელია ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების“ ნიადაგზე. როგორც ჰეგელთან, ისე მარქსთან ლოგიკურ ცნებაში ისტორიის ელემენტის შეტანით შეიძლება უზრუნველყოთ დიალექტიკური მოძრაობის აუცილებლობა. ენგელსი გვიჩვენებს, რომ დაახლოებით ერთნაირი ისტორიული წყაროთი საზრდოობდა ორი მოზროვნის აზრთა მსგეღლობა, ამიტომ ერთდაგვარი იყო მათი მეთოდიც. ლენინი ათასჯერ მართალია, როცა ლაპარაკობს, რომ „კაპიტალის“ სრული და მეცნიერული გაგება შეუძლებელია თუ წინასწარ ჰეგელის „ლოგიკა“ არ გაგივიაო. ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ ძალიან ბევრი მეთოდოლოგიური პრობლემები „კაპიტალში“ უკვე დამუშავებულად მიჩნეულია ჰეგელის ლოგიკის მიერ და იქიდან აღებული.

მაგრამ ყველაფერი ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ ჰეგელისა და მარქსის დიალექტიკას შორის განსხვავება არ იყოს. ჩვენი აზრით მარქსის დიალექტიკა ერთ-ერთი სახეობაა დიალექტიკისა საერთოდ და ჰეგელის დიალექტიკა კერძოთ. ამ მიმართულებით სავსებით სწორი უნდა იყოს ამ შრომის შესავალში ჩვენს მიერ გამოთქმული აზრი, რომ მარქსის სტრუქტურული დიალექტიკა ჰეგელიანური ერთ-ერთი სახეობაა. გვეონია, საქმარისად განმარტებულია ამ დებულების აზრი და ცხადია, რომ აქ გამოთქმულია ნათესაობა დიალექტიკის ფორმალური კანონების შენების და არა მათი საფუძვლისა და შინაარსის, ერთ-ერთ წერილში კუგელმანისადმი მარქსი თვით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ჰეგელის დიალექტიკა ძირითადი ფორმაა ყოველივე დიალექტიკისა; საჭიროა მხოლოდ მისგან მისტიური სამოსელის ჩამოშორება, დიალექტიკის მარქსისტული ფორმა რომ მივიღოთ და სხვ. ლენინს თუმცაღა ფაქტიურად ასეთი დებულება არ წამოუყენებია, მაგრამ ის არსებითად ამაზე მეტს ამბობს, როცა მარქსისა და ჰეგელის მსოფლიო ისტორიულ საქმეს ერთმანეთზე აკავშირებს.

1) იხილეთ ჩემს მიერ ქართულად გამოცემული „ისტორიული მატერიალიზმის ტრესტო-ტიაში“ ამ შესანიშნავი წერილის სრული ტექსტი მ. კოგინიძის: „ისტ. მატერ.“ ტფ. 1927 წ. 72-83.

ჯერ „ენციკლოპედიის“ და შემდეგ „ლოგიკის მეცნიერების“ სერიოზულმა შესწავლამ ლენინი დაარწმუნა იმაში, რომ მარქსისტების მიერ ჰეგელის მნიშვნელობის საკითხი დამუშავებული არ იყო. თვით მარქსისა და ენციკლოპედიკეები ამ დარგში მათი სკოლის მიერ ჯეროვნათ დაფასებული და გამოყენებული არ ყოფილა. არამც თუ სხვადასხვა ჯურის ოპორტიუნისტები და რევოლუციონისტები, რომლებიც, როგორც ცნობილია, მარქსიზმიდან დაშორებას ჰეგელის მკაცრი კრიტიკით იწყებენ, არამედ თვით ორტოდოქსი მარქსისტებიც კი ხშირათ აღმატრად უყურებდნენ ფილოსოფიას და განსაკუთრებით ჰეგელს. ლენინი დაბოლოს იმაშიც რწმუნდება, რომ თვით, პლენანოვთანაც საქმე მთლად რიგზე არ იყო. რასაკვირველია, პლენანოვს ვერჯინ ბრალს იმაში ვერ სდებდა, ვითომც მას ჰეგელის დიდი მნიშვნელობა არ გაეთვალისწინებოდა, მაგრამ ლენინი ამბობს, რომ პლენანოვი ჰეგელს საფუძვლებში არ შეხებია, ჰეგელის „ლოგიკა“ მას არამც თუ ძირითად საგნად თავისი დიალექტიკური ძიებისა არ გადუქცევია, არამედ ერთი სიტყვაც კი არსად დაუბარჯავს „ლოგიკის მეცნიერების“ უდიდესი მნიშვნელობის შესახებ. ე. ი. ლენინის აზრით დიალექტიკოს პლენანოვს დიალექტიკის პრობლემა საჭირო სიმაღლეზე არ აღუვანია, ამით ხსნის ლენინი პლენანოვის მთელ რიგ სხვა ხასიათის ფილოსოფიურ შეცდომებს. ახლა ლენინს უკვე ემჩნევა პლენანოვისაგან გამიჯვნის სურვილები. თუ მეორე პერიოდში თავის ფილოსოფიური მუშაობისა ლენინი მხოლოდ ასწორებს პლენანოვის, შეიძლება, უნებლიე შეცდომებს, ახლა ის გარკვეულათ იძივნება პლენანოვის შეცდომებისაგან და დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფია წინ მიჰყავს წმიდა მეთოდოლოგიურ-ფილოსოფიური ხასიათის პრობლემების ახალი დამუშავების კდით. „კონსპექტი“ ენახულობთ ორ ადგილს, სადაც ლენინი ისე გარკვეულათ წინ მიდის პლენანოვისაგან, რომ მათი გზების გამიჯვნის დასაწყისზე შეიძლება ლაპარაკი.

ერთ-ერთ ასეთ შენიშვნაში ლენინი სწერს: „1. პლენანოვი აკრიტიკებს კანტიანისმს (და აგნოსტიციზმს საერთოდ) უფრო ვულგარულ-მატერიალისტური, ვიდრე დიალექტიკურ-მატერიალისტური თვალსაზრისით, ის მეტ ნაწილათ a limine უარჰყოფს მათ მსჯელობებს და არ ასწორებს მათ (ისე როგორც ჰეგელი ასწორებდა კანტს) არ აღრმავებს და არ აზოგადებს, არ აჩვენებს კავშირებსა და გადასვლებს ყველა მსჯელობებისა და ცნებებისა.“

2. მარქსისტები (მეოცე საუკუნის) დასაწყისში აკრიტიკებდნენ კანტიანელებს და ჰიუმისტებს უფრო ფოიერბახისა (და ბიუნზერის) მიხედვით, ვიდრე ჰეგულურათ“¹⁾.

უნდა ითქვას, რომ აქ წამოყენებული უძძიძვის ბრალდებები თავიდან ბოლომდე პლენანოვის მისამართით არის გამოთქმული. ჰეგელის სერიოზულმა შესწავლამ ლენინი დაარწმუნა იმაში, რომ პლენანოვის ფილოსოფიურ კრიტიკას ბევრი რამ აკლდა. ჰეგელთან პირველად ნახა ლენინმა იმის ჩინებული ნიმუში, თუ რა გზებით უნდა ეწარმოებია დიალექტიკის აგნოსტიციზმის და კრიტიციზმის უარჰყოფა. ლენინი უსათუოდ გააკვირვა იმ გარემოებამ, თუ რატომ პლე-

¹⁾ იხ. IX 196—198.

ხანოვმა კანტიანიზმთან ბრძოლის დროს ჭეგელის არგუმენტები არ დაიხმარა და ჭეგელის გენიალური არგუმენტაციის ნაცვლად პოპულარული ფიქციური პოზიტივიზმის არგუმენტები ამოქმედდა კანტის წინააღმდეგ. ტუნხანაშვილმა კომ კანტის უარპყოფა საერთოდ ძნელი საქმე არ იყო, მაგრამ უბრალო უარპყოფა საკმარისი არ იყო, არამედ ჭეგელისებური უარპყოფა, ე. ი. გასწორება გაღრმავება და შემდეგ კი ზოგი დადებითი შედეგის მიღება. ლენინი ბრალს დებს პლუხანოვს კანტისა და ზოგი სხვა ფილოსოფიური პრობლემისადმი ზერეულ მიდგომაში. ათივე თითით გვინდა ჩვენ ხელი მოვაწეროთ ლენინის ამ აფორიზმის სისწორეს!

ამრიგად, თითქმის ყველა ის პრინციპი აღნიშნულია, რომლითაც ლენინი მიუღდა თავის ფილოსოფიურ მუშაობას დასახელებულ მესამე პერიოდში. ხაზგასმულია აგრეთვე ის პრობლემები, რომლებიც ლენინის ცნობიერებაში გამოიწვია ჭეგელის შესწავლამ და რომლებიც ახლა ლენინს სჭირდებოდა მატერი-ალისტური დიალექტიკის თეორიის ჩამოყალიბებისათვის. თუ როგორ ეხატებოდა ლენინს დიალექტიკის ეს ახალი თეორია ამის უნაკლო სურათს იძლევა „კონსპექტში“ მოცემული ინტერპრეტაციები, შენიშვნები, აფორიზმები და საკუთარი ფორმულების ჩამოყალიბების ცდები. ყველა ამ მასალის განხილვა საკმარისი იქნება იმისათვის, რათა შევადგინოთ სრული წარმოდგენა ლენინზე, როგორც ფილოსოფოსზე. მაშ, in medias res!

კოლგაურანოვსა და მოკრაოვის უსახელო

ლენინი, თავის შესანიშნავ წიგნში — „ამერიკელების“ საყმაწვილო სენი კომუნისტში სწერდა:

„კლასების მოსაპობა ნიშნავს არა მარტო შემამუღებობისა და კაპიტალიზმის განდევნას (ეს ჩვენ შედარებით ადვილად მოვახდინეთ), არამედ წერილობით და პრაქტიკულად მოსპობასაც. მათი გაანადგურება, დასწობა შეუძლებელია; საჭიროა მათთან შეთავსება. მათი გარდაქმნა, ხელახალი აღზრდა შეიძლება (და საჭიროც არის) მხოლოდ ბანგრძლივი, ნელი და ფრთხილი ორგანიზაციული მუშაობის საშუალებით. ისინი ყოველ მხრივ ეკვივან გარს პროლეტარიატს წერილობით და პრაქტიკულად სტიქიის სახით, იტყვიან მასში, ბრწყინან მას და იწყებენ პროლეტარიატის შიგნით, წერილობით და პრაქტიკულად უზსიათობის, მოშლილობის, ინდივიდუალიზმის და სპლიტინგის რეკვირებს. საჭიროა უაღრესად მკაცრი ცენტრალიზაცია და დისციპლინა პროლეტარიატის პოლიტიკური პარტიის შიგნით, რომ მას გაუმჯობესდეს, რომ პროლეტარიატის ორგანიზაციული (ეს კი მისი მთავარი როლია) გაერთიანოთ სწორად, წარმატებით და ძლიერდეს“.

ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი ჩვენ ყველამ ზეპირად ვიცით; დღეს კი იგი განსაკუთრებულად ბევრის მოქმედება თვითნებური ჩვენთაგანისათვის.

ამ შემთხვევაში მთავარია, ყურადღება მივაქციოთ უკანასკნელ ფრაზას:

საჭიროა უაღრესად მკაცრი ცენტრალიზაცია და დისციპლინა პროლეტარიატის პოლიტიკური პარტიის შიგნით, რომ მას გაუმჯობესდეს, რომ პროლეტარიატის ორგანიზაციული (ეს კი მისი მთავარი როლია) გაერთიანოთ სწორად, წარმატებით და ძლიერდეს“.

სიტყვა „ორგანიზაციული“ და „მთავარი“ ხაზგასმულია თვით ლენინის მიერ.

ლენინის შენიშვნა, ისე როგორც არასოდეს, შეიძლება გამოყენებული იქნეს მიმდინარე, სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში. ლენინის მითითებებს იმის შესახებ, რომ პროლეტარიატმა უმთავრესად ორგანიზაციის როლი უნდა ითამაშოს, დღეს უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა აქვს. იმ პერიოდში, როცა გლეხურ მეურნეობათა ნამდვილი მასიური კოლექტივიზაცია ფართოდ იშლება, პროლეტარიატის ორგანიზაციული როლი განსაკუთრებით დიდია. კოლექტივიზაციის სწრაფი ტემპით ზრდამ დააყენა ჩვენს წინაშე მრავალი რთული საკითხი, რომელიც ზოგჯერ დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს. ამასთან და-

*) თბულებათა კრებ. ტ. XVII. გვ. 135—136.

კავშირებით არ შეიძლება არ ითქვას, რომ დღევანდელი დღის საკითხებს, რომლებიც აბსოლუტურად მომწიფდნენ, მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყობას და გადამწყვეტ ზომებს ჩვენის მხრივ, ჯერ ჩვენ კიდევ ნაკლებს ვაქცევთ. ამას კი შეუძლია ცუდად იმოქმედოს კოლმეურნეობათა მოძრაობაზე უახლოესი დროის განმავლობაში. ამიტომ, მომავალში ჩვენთვის აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ამ გადაუღებელ, დღევანდელი დღის მიერ წამოჭრილ საკითხებს.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ კოლექტივიზაციის ტემპის შესახებ. ყველა აღიარებს, რომ ეს ტემპი განსაკუთრებით სწრაფია. ამასთანავე, არ უნდა დაგავიწყდეს ისიც, რომ კოლექტივიზაციის ტემპს არ ჩამორჩნის ჩვენი მუშაობის ტემპიც. დღემდე კი ამას ადგილი აქვს. ლარები და საშუალო გლეხი კოლექტივიზაციის საქმეში ჩვენ ორგანიზაციებს ბევრად უსწრებს წინ. ბიუროკრატიზმი ჩვენი ორგანიზაციების მუშაობაში, აქაც თავს იჩენს. რადგან კოლმეურნეობათა მოძრაობაში ფართოდ არის ჩაბმული სოფლის ფართო მასები, ჩვენთვის აუცილებელია გადაჭრით მოვკიდოთ ხელი ბიუროკრატიული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლას ჩვენი ორგანიზაციების მუშაობაში, დაწყებული კოლმეურნეობებიდან და კოლპროდუცტებამდე, ვათავებულები სამიწათმოქმედო ორგანიზაციებით, საბჭოებით, პროდუქციონერებით და დასასრულ თვით პარტიული ორგანიზაციებით. ბიუროკრატიზმი, რომელსაც ფართოდ აქვს ვადგმული ფეხები ჩვენს ორგანიზაციებში, განსაკუთრებით უშლის ხელს იმ მშენებლობის ნამდვილ დაძლევას, რომელიც სოფლად იწოდება. აგრეთვე, იგი დიდთ აფერხებს გლეხურ მეურნეობათა სოციალისტურად გარდაქმნას.

მაგრამ ჩვენ ტყვილა, კი არ დაგვიწყია გამძაფრებული ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. ტყვილა არ გავიძებით იმას, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა მუშათა კლასის გადაუღებელი ამოცანაა.

სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში მონაწილეობის მიღება ეხლანდელ პირობებში როგორც ნამდვილი ხელმძღვანელის, როცა იქ ყოველივე ძველი სწრაფად ირღვევა, შეუძლებელია ჩვენი ორგანიზაციების მუშაობაში ყოველგვარი ბიუროკრატიული ზღუდეების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის გარეშე. კაპიტალისტური ელემენტების (კულაკების) წინააღმდეგ გაშლილი შეტევის წარმოებას, მილიონიან მასების კოლმეურნეობათა მოძრაობის სათავეში ყოფნას, ჩვენ შევძლებთ მხოლოდ მაშინ, თუ ძირულად შევცვლით და გავაუმჯობესებთ ყველა ჩვენი ორგანიზაციების მუშაობას, თუ გადამწყვეტ ბრძოლას ვაწარმოებთ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და მტკიცედ დავსძლევათ ბიუროკრატიულ დამახინჯებებს მათ პრაქტიკაში, დავეყრდნობით რა მთელ ამ მუშაობაში, შრომელთა ნამდვილ ფართო მასებს.

გადავიდეთ უშუალოდ კოლექტივიზაციის ტემპის საკითხებზე.

ჩვენი მსჯელობა კოლექტივიზაციის ტემპის შესახებ უნდა ეყრდნობოდეს პრაქტიკას, ფაქტებს. ყოველთვის ეს ჩვენ არ გამოგვიდის და ამიტომ უმრავლეს შემთხვევაში ჩვენ ძლიერ ვრჩებით ცხოვრებას. ჩვენთვის უდავოა, რომ კოლექტივიზაცია უაღრესად სწრაფი ტემპით ვითარდება, რომ ეს ტემპი

სულ უფრო და უფრო ძლიერდება, რომ ეს მართლაც გაათვრებული ტემპია. საილიუსტრაციოდ ავიღოთ ჩრდილოეთ კავკასია.

ქართული

გასულ წლის ნოემბრის პლენუმზე ამხ. ანდრეევი დასაბამისად რომ ჩრდილოეთ კავკასიაში კოლმეურნეობებში ჩაბმულია გლეხურ მეურნეობათა 8% ყველანი ამას დიდ მიღწევად სთვლიდენ. ეხლა კი ჩრდილოეთ კავკასიაში კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებულია უკვე მეურნეობათა 25-30%, ამგვარად, ერთი წლის განმავლობაში, კოლმეურნეობებში დამატებით გაერთიანდა დაახლოებით გლეხურ მეურნეობათა 20%, ამის შემდეგ ვის შეუძლია შეეჭედეს იმაში, რომ უახლოესი წლის განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიაში კოლმეურნეობებში გაერთიანებული არ იქნება გლეხურ მეურნეობათა 20% მეტი. თუ ეს ასეა, მაშინ მახლობელი წლის განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიის გლეხურ მეურნეობათა უმეტესი ნაწილი ჩაბმული იქნება კოლმეურნეობათა მოძრაობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კავკასია არსებითად კოლექტივიზაცია ქმნილი იქნება უკვე 1930 წლის განმავლობაში.

ჩრდილოეთ კავკასიას, კოლექტივიზაციის ტემპში არ ჩამორჩება ქვედა ვოლგის მხარე, კოლმეურნეობათა მოძრაობისათვის თავისი დადებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე, უახაზობის წინანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურ ჩვეულებათ. ისინი ამ ოლქებში გლეხობის მცირე პროცენტს არ შეადგენდენ. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ამ ოლქებიდან ძლიერ ცოტანი რჩებიან. ისეთი რაიონებიც კი, როგორცაა უკრაინა (განსაკუთრებით ველი), ურალი. შუა ვოლგის სანაპიროები და ცენტრალური შვენიადავიანი ოლქი (440). როგორია ჩვენი პერსპექტივები კოლექტივიზაციის დარგში?

ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ კოლმეურნეობათა მოძრაობა ცალკე ოლქებისა და რესპუბლიკების წინაშე უკვე აყენებს ერთიანი კოლექტივიზაციის პრობლემებს. ჩვენ ამას უნდა შეურიგდეთ, თუ არ გვინდა დიდი მანძილით ჩამოვრჩეთ ცხოვრებას. ეს განსაკუთრებით უნდა ახსოვდეთ მათ, რომლებიც ეხლა ამუშაებენ კოლექტივიზაციის გეგმებს მთელი რიგი წლებისათვის. კონფერენციის მიერ მიღებული ხუთწლიანი უდიდესი საქმეა. მაგრამ ამ ხუთწლიისაც ჩვენ ვასწორებთ თითქმის ყველა ძირითად ნაწილებში და კარგადაც ვასწორებთ. მაგრამ, როცა კარგი საქმის მიბაძვისათვის ეხლა მუშავდება კოლექტივიზაციის ხუთწლიდები, ამ აზნაგების ასეთ მოქმედებას ვერ ჩავთვლით მისაბამ მაგალითად. მართლაც, როგორ შეიძლება ეხლა ლაპარაკი კოლექტივიზაციის ხუთწლიდის შესახებ ჩრდილოეთ კავკასიისათვის? როგორ შეიძლება ლაპარაკი ხუთწლიდის შესახებ, თუ ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ (მე კი ამაში ეჭვი არ მეპარება), რომ 1930 წლის ზაფხულზე ჩრდილოეთ კავკასიის კოლექტივიზაციას არსებობდა ჩვენ დავამთავრებთ. მომავალ შემოდგომაზე ჩვენ უმკველად ვიტყვით, რომ არსებითად კოლექტივიზაცია დასრულებული იქნება არა მარტო ერთ ოლქში, და ჩრდილოეთ კავკასიაში. ცხადია, ეს უნდა გავიგოთ იმ აზრით, რომ მხოლოდ ისეთ ოლქებში, როგორცაა ჩრდილოეთ კავკასია, უკვე 1930 წელს შესძლებს გაიმარჯვოს გლეხური მასების სოციალისტური კოლმეურნეობათა მოძრაობის ფორმამ. კოლმეურნეობათა მოძრაობის, როგორც სოციალისტური მშენებლობის

ფორმის გამარჯვებას თან მოყვება კიდევ მთელი რიგი წლები უძნებელი ზეშაობისა კოლმეურნობათა გარდასაქმნელად სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ამის დავიწყება ყოფილად შეუძლებელია; მაგრამ დღევანდელ პირობებში ლაპარაკი კოლექტივიზაციის ხუთწლედის შესახებ, ნიშნავს ზედმეტი საქონლის ხელის მოკიდებას. ძირითად სასოფლო-სამეურნეო რაიონებისა და ოლქებისათვის, მათი კოლექტივიზაციის ტემპების განსხვავებასთან ერთად საჭიროა ეხლა არა ხუთწლედზე, არამედ უახლოეს წელზე ფიქრი. ერთხელ კიდევ უფრო მეტი ყურადღება დღევანდელი დღის მოთხოვნილებებს და ამოცანებს, 1929 წლის დასასრულის და 1930 წლის დასაწყისის ამოცანებს, აი რა არის ჩვენი მთავარი ამოცანა. ასე, იმის მიხედვით, რომ შევადგინოთ გვემა ათას სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შესახებ, უყუთესი იქნება თუ დავებმარებით სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოწყობის საქმეს ცენტრალურ შავნიადგვიან ოლქში, და სხვა რაიონების სატრაქტორო კოლონიებიდან. სატრაქტორო ცენტრმა უახლოესი გახაფხულისათვის შეადგინა გვემა, რომელშიდაც გათვალისწინებულია 102 სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობა. ამავე დროს ვერ შენიშნა, რომ უკვე, ეხლა არსებობს ჩვენში რამდენიმე ასეული სატრაქტორო სადგური იმ განსხვავებით, რომ ისინი მხოლოდ არსებობენ ერთ ადგილას სატრაქტორო სადგურის სახელწოდებით, მეორე ადგილას კი—სატრაქტორო კოლონიების სახით. ბოლოს და ბოლოს ეს ერთი და იგივეა. მართლაც ვის შეუძლია მთ შორის, პრინციპიალური განსხვავების დანახვა—სატრაქტორო სადგურებსა და სატრაქტორო კოლონებს შორის? არის ორგანიზაციული განსხვავება, მაგრამ ჩვენ ბოლშევიკები იმით ვარსებობთ, რომ ცუდი კოლმეურნობა გადაფაქციოთ კარგ კოლმეურნობად. ცუდი სატრაქტორო სადგურიდან შევქმნათ ნამდვილი სამანქანო-სატრაქტორო სადგური. დღეს იგი სატრაქტორო კოლონია, ხვალ კი ის იქნება სამანქანო-სატრაქტორო სადგური. ნუ თუ ჩვენ ქალაქის სადგურები გვიანტერესებს, თუნდაც მათ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები ეწოდოს; ამავე დროს კი დაგვაფიწყდეს ნამდვილი სადგურები, რომლებიც ვერ კიდევ ჩანასახ ფორმებში სატრაქტორო კოლონიების სახელწოდებას ატარებენ! ნუ თუ ჩვენ უგულვებელს ვყოფთ კოლექტივიზაციის ცოცხალ ფაქტებს და გაგვიტაცებს ქალაქის გვემები!

როგორ შეიძლება ეხლა ხუთწლედი იქნეს მთელი კოლექტიური მოძრაობის შემცველი, როცა სოფლად ყოველივე ძველი ძირფესვიანად ირღვევა და იგი მართლაც აბოპოქრიფულ ზღვას ემსგავსება. ჩვენ მხოლოდ შეიძლება გვიხარადეს ის, რომ კოლმეურნობათა მოძრაობა ხშირად განზე სტოევებს შოკერთ ჩვენ ქალაქის გვემებს. უმთავრესი ჩვენი ამოცანაა, ახლის მივიღეთ ცოცხალ საქმესთან და პრაქტიკულად მოვიცილოთ ხელი კოლმეურნობათა მშენებლობის ორგანიზაციას.

ჩვენი წარმატება სოციალისტიური მშენებლობის საქმეში დიდია. ამ გარემოებაში, როგორც ცნობილია, იძულებული ვახდა ჩვენი შემარჯვენები ნაბეურად დათმობაზე წასულიყვნენ. უნდა ითქვას, რომ მათი ასეთი ნაწილობრივი კამპულისაცია, თავისი შემცდარი პოზიციის აღიარება გამოწვეული იყო ფაქ-

ტებით. მაგალითად კოლექტივიზაციის საკითხში ისინი განაგრძობენ პარტიის ხაზისადმი თავისი სავსებით ანტილენინური, ოპორტიუნისტული, სეპარატისტული პირებას (ისინი ამ ხაზს ტაქტიური მოსაზრებით უწოდებენ არა განსაკუთრებულ ხაზს, არამედ „პარტიის გენერალური ხაზის გატარების სხვა კონკრეტულ მეთოდს“). შემარჯვენე ოპორტიუნისტები იძულებული არიან უკან დაიხიონ, თუ-მცა უკრ კიდევ სცდილობენ, როგორც იტყვიან „შინარჩუნონ თავისი სახე“.

ეს უკან დახევა გამოწვეულია, სხვათა შორის, ისეთ მნიშვნელოვანი ფაქტების ზეგავლენით, როგორცაა კოლექტივიზაციის წარმატებით განვითარება და მიღწევები პურის დამზადების ფრონტზე. ამ უკანასკნელის შესახებ უნდა შევჩერდეთ განსაკუთრებულად.

საქმე იმაშია, რომ ჩვენ ამ წელში უკვე შევქმენით ხელუხლებელი პურის ფონდი 90 მილიონი ფუთის როდენობით. ეს ერთ-ერთი გამოსავალი მომენტი მთელი ჩვენი მუშაობისა უახლოესი წლისათვის. რომ ჩვენ 90 მილიონი ფუთი პური გვაქვს ხელუხლებელი მარაგი, ის რომ უკრაინამ და მთელმა რიგმა სხვა რაიონებმა უკვე დაამთავრეს პურის დამზადება, ის რომ მახლობელ თევებში ჩვენ ვანაორციელებთ პურის დამზადების გეგმას მთელი 100% უკვე განსაზღვრავს მთელი ჩვენი სოციალისტური მშენებლობის პერსპექტივებს ამ წელიწადში. რას მოასწავებს ეს კოლექტივიზაციის საქმისათვის? ეს იმას ნიშნავს, რომ გაზაფხულზე, სავაზაფხულო თესვითი კამპანიის ჩატარების დროს, ჩვენ გვექნება ორგანიზაციულის მხრივ სოფლის მეურნეობის და კოლექტივიზაციისათვის უაღრესად ხელსაყრელი პერიოდი, ისეთი პერიოდი, რომელიც ჩვენ არ შეიძლება გვეკონებოდა.

თუ ჩვენ მთელ ძალღონეს თესვითი კამპანიისაკენ წარვმართავთ, თუ ბოლშევიკური პარტია ნამდვილად დარაზმავს თავის ძალებს გაზაფხულის თესვითი კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად, მაშინ, უტყველია, დიდ წარმატებებს მივაღწევთ. ეს იქნება ნამდვილი ბოლშევიკური თესვითი კამპანია, რომელსაც შეუძლია საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებს გადაწყვეტი გამარჯვება არგუნოს. ასეთია ამ თესვითი კამპანიის მნიშვნელობა, ამ თესვითი კამპანიის ჩატარების დროს, როცა ჩვენი ძალები მიმართული იქნება სოფლის სამეურნეო აღორძინებისა და კოლექტივიზაციის ორგანიზაციისაკენ იმ რაოდენობით, ისეთი მაშტაბით და საქმის ცოდნით, როგორც არასდროს—გადაწყდება საკითხი მთელ რიგ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო რაიონების ერთიანი კოლექტივიზაციის შესახებ და სრულიად ახლად დაისმება საკითხი მთელი საბჭოთა კავშირის კოლექტივიზაციის შესახებ მთლიანად.

მაგრამ თუ საქმე ასეა, მაშინ კოლმეურნობათა მოძრაობის ამოცანების განხილვისას, საჭიროა ვიფიქროთ არა ზოთწლედის შესახებ, არამედ 1929—30 წ. ზამთრის რამდენიმე თვეზე. ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი და მარტი, აი რა გვრჩება ჩვენ სავაზაფხულო თესვითი კამპანიის მოსამზადებლად. ამ ოთხ ნახევარ თვის განმავლობაში ჩვენ უნდა ჩავატაროთ უდიდესი მუშაობა. მთელი ჩვენი მუშაობა და განსაკუთრებით იმ ორგანიზაციების მუშაობა, რომლებიც უშუალოდ არიან სოფელთან დაკავშირებულნი, ჩვენ უნდა მოვაწყოთ

ისე, რომ საქმით დაეცხმარათ ღარიბ და საშუალო გლეხობას, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს, მაქსიმალურად გამოვიყენოთ საგანგებო უსუსვითი კამპანია სამეურნეო აღორძინებისა და კოლექტივიზაციისათვის, რასდენადაც ვერ ჩვენზე ვერ ბედავენ თავდასხმას იმპერიალისტები, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მომენტი გადამწყვეტი გადატეხისათვის სამეურნეო აღორძინებაში და მილიონ გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციაში. ამიტომ, უახლოესი თვეები, კვირები და დღეები ჩვენ უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ხელიდან არ გაუშვათ ის საქმე, ის ახალი ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე სდგას ესლა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით.

გადადიდეთ კოლმეურნეობათა ამოცანებზე. ცაკის პლენუმის რეზოლიუცია ხაზს უსვამს შემდეგ სამ საკითხს:

1) კოლექტივიზაციის ტენიკური ბაზა, 2) შრომის ორგანიზაციის საკითხები კოლმეურნეობებში და 3) კოლმეურნეობათა კადრები. უპირველეს ყოვლისა ტენიკური ბაზის შესახებ.

ამ მხრივ არსებითი გარდატეხა უკვე მომზადრია ც.კ.—სა და მთავრობის დადგენილებით, რომლის თანახმად ამ წელიწადში ჩვენ უნდა შევედგეთ ორი გიგანტის—სატრაქტორო ქარხნის აგებას: ჩელიაბინსკში და უკრაინაში. ორივე ეს ქარხანა დაამზადებს ტრაქტორებს, ჩელიაბინსკში—ორმოცდათ ძალიანს, უკრაინაში კი—ოცდაათ ძალიანს. მაშინვე იყო გადაწყვეტილი, ერთი თვის შემდეგ განეხილათ საკითხი ტრაქტორების მშენებლობის შემდეგი გაშლის შესახებ. ამასთანავე ერთად გადაწყდა, დაუყონებლივ შევედგაოდიით ორი ქარხნის კომბაინების აგებას. ერთი დონის როსტოვში (მხედველობაშია ამასთან „სელმაშტროის“ შეგუება) და მეორე კიმიბირში. გარდა ამისა, უკვე მიღებულია გადაწყვეტილება სპეციალური ქარხნის აგების შესახებ მოტორების დასამზადებლად ტრაქტორებისათვის; ესეც ქარხანა-გიგანტი იქნება.

ყველაფერი ეს დასაწყისია სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ფართოდ გაშლისა, მაგრამ მხოლოდ დასაწყისი. ჩვენ, მაგალითად, სრულიად ვერ წავეჩეთ წინ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის საქმეში. ცნობათა შეკრების დროს გამოიარკვა, რომ „გოელროს“ გეგმის მიხედვით სოფლის მეურნეობისათვის წინასწარ დასახული იყო მოცეათ ელექტრო-ენერგია ერთი მილიონი კვლოვატის ძალით. ამ ამოცანის შესრულების პროცენტის შესახებ დაპარაკიც ზედმეტია, რადგან იგი მეტად მცირეა. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ ცუდია ის, რომ სრულიად არა დამაკმაყოფილებლად დაიწყო დასახული ხუთწლედის განსახიერება (პირველი წლის მიხედვით). აქედან ის გამომდინარეობს, რომ დღის წესრიგში სდგას უდიდესი მუშაობა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის. უმჯველია, რომ ელექტრო-მანქანები ითავაშებენ უდიდეს როლს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. უმჯველია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასამუშავებლად (განსაკუთრებით მესაქნეობა და ტენიკური კულტურები) მოთხოვნილება ელექტრო-ენერგიაში ისეთი სისწრაფით გაიზრდება, რომ უკვე უახლოეს წლებში სოფლის მეურნეობისათვის საჭირო იქნება რამდენიმე დიდი ელექტრო-

სადგური. დასასრულ, აღნიშნავთ კიდევ გადაწყვეტილებას სატრაქტორო ცენტრის შეტანის შესახებ ქოლმეურნეობათა სისტემაში, როგორც სატრაქტორო ცენტრის ავტონომიური ცენტრის. ეს განამტკიცებს ქოლმეურნეობათა სისტემის ტექნიკურ ბაზას.

ამგვარად, მსხვილი კოლექტიური მეურნეობისათვის ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, ჩვენ უკვე საკმაო მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებთ, მაგრამ აქ ჩვენს წინაშე სდგას გაცილებით უფრო მეტი იმაზე, რაც უკვე დასახულია. ტრაქტორების, რთული სამეურნეო მანქანების, ქიმიისა და ელექტრო-სადგურების ფართო გამოყენების გარეშე, ჩვენ არ გვექნება მტკიცე ბაზა ქოლმეურნეობათა მოძრაობისათვის. ქოლმეურნეობებისათვის ნამდვილი ძლიერი ტექნიკური ბაზის შექმნა, ჩვენი უპირველესი ამოცანაა.

მეორე საკითხი შეეხება შრომის ორგანიზაციის კოლმეურნეობებში.

ჩვენ აქ ვიმყოფებით უაღრესად ცუდ მდგომარეობაში. ამავე დროს შრომის ორგანიზაცია ქოლმეურნეობებში, სწორი გამოყენება ქოლმეურნეობაში ჩამოვლილი დიდი სამუშაო ძალის, ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია. შრომის ორგანიზაცია, ე. ი. კოლექტივების მეურნეობათა ორგანიზაცია, დაკავშირებულია უდიდეს სიძნელეთა დაძლევათთან. ბევრ შემთხვევაში კოლმეურნეობებში უნდა ისწავლონ კარგად მოწყობილ საბჭოთა ფაბრიკისაგან, მაგრამ პირობების მრავალფეროვანება და ქოლმეურნეობათა მოძრაობის განვითარების საფეხურების სხვადასხვაობა ცალკე რაიონებში, მოითხოვს კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის ფორმებისა და მეთოდების განსაკუთრებულ მოქნილობას. აქედან ცხადია, რამდენად რთულია კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხი. სერიოზული მიდგომა ამ საქმისადმი, სამწუხაროდ ქოლმეურნეობათა მოძრაობის ხელშეშლანელ ცენტრებს, ჯერ კიდევ არ ჰქონია.

ქოლმეურნეობათა სისტემის მთელი მომავალი მუშაობის სისუსტე მოსჩანს ამ საკითხში. ქოლმეურნეობათა სისტემის შემოზღუდვის სისუსტე, ქოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხების გადაწყვეტაში, მინერებელია იმისი, თუ რამდენად ვებუშაობდით ჩვენ დღემდე სოფლის კოლექტივიზაციის საქმეში. მაშასადამე, ქოლმეურნეობათა ცენტრს და ქოლმეურნეობათა კავშირებს აწევთ უდიდესი პასუხისმგებლობა თავისი მუშაობის გამოსასწორებლად ამ დარღვივებულ ქოლმეურნეობათა მოძრაობის ხელშეშლანელ ორგანოებში უცუთესად უნდა შეისწავლონ ქოლმეურნეობათა შინაგანი ცხოვრება, განვითარება და გაზრდილი გამოცდილების საფუძველზე, ენერგიულად უნდა დაეხმარონ ქოლმეურნეობებს ამ საქმეში. არა მარტო ქოლმეურნეობებში, კოოპერაციაში და სამიწადმოქმედო ორგანოებში, რომლებმაც (სამიწადმოქმედო ორგანოებში) უნდა გააძლიერონ თავისი როლი მთელ ქოლმეურნეობათა მოძრაობაში, არამედ მთელმა პარტიამაც უნდა ვააძლიეროს მუშაობა შრომის ორგანიზაციის საკითხებზე, ე. ი. წარმოების ორგანიზაციის საკითხებზე ქოლმეურნეობებში. ჩვენ უნდა გამოვთქვათ სურვილი, რომ სოფლის ორგანიზაციებში უფრო მეტი ყურადღება მიექცეოდნ ამ საკითხს.

შუალბათა მობილიზაციის დიდ შესაძლებლობათა შესახებ, აშკარა უსაფუძვლოა. მართალია, გლეხობის საშუალებათა მობილიზაცია აქ ისეთი გზაა, რომელიც არ სწარმოებს, როგორც ეს წინადასახული — კრედიტის საშუალებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს გლეხობის საშუალებათა ნამდვილი მობილიზაციაა დიდი მასშტაბით.

ებლა უკვე ცხადია და ჩვენც უნდა დავრწმუნდეთ საბოლოოდ, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გლეხობის საშუალებათა მობილიზაცია ძველი, ბურჟუაზიული წყობილების დამახასიათებელი მეთოდების საშუალებით შეუძლებელი შეიქნა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს პირობებში, ეს საესეებით დამტკიცებულია. რევოლუციამდე კრედიტებს შეეძლოთ გლეხობის საშუალებათა გაცილებით უფრო მეტი მობილიზაცია, ვიდრე ეს მათ ჰქნეს მთელი ა. ე. პ.-ს პირველ წლებში და აღდგენით პერიოდში. ამას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ და მიზეზებიც, ებლავე უნდა იქნეს გარკვეული.

კრედიტმა წარსულში, რევოლუციამდე სოფლად მრავალ საშუალებათა მობილიზაცია მოახდინა. ეს იყო უმთავრესად კულაკებისა და წერილ-ბურჟუაზიულ მოსამსახურე ელემენტის საშუალებები. ჩვენს საბჭოთა პირობებში კულაკს თავისი დაგროვება კრედიტში არ მოუკია. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ანგარიში ფულად დაგროვებაზე სოფლის კრედიტებში უშედეგო იყო. და ეს გასაგებია არის. ჯერ ერთი ამიტომ, რომ ჩვენი პოლიტიკა განუწყვეტლოვ მიმართული იყო კულაკობის წინააღმდეგ, მათ ექსპლოატატორულ მისწრაფებათა შესაზღუდათ, სამოქალაქო უფლებათა წასართმევად და სხ. კულაკს ჩვენს კრედიტებში არ შემოჰქონდა თავისი დაგროვება და ამით აძლევდა ტონს იმას, ვისაც კი დაგროვება ჰქონდა სოფელში. მხოლოდ მას შემდეგ, როცა მუშათა კლასმა ღარიბ და საშუალო მასებზე დაურდობით, განავითარა კულაკზე შეტევა და სოფლად შეიქნა პირობები გარდატეხისათვის ნამდვილ მასიურ კოლმეურნეობათა მოძრაობის ხაზით, ჩვენ კოლმეურნეობათა მეობებით გლეხობის საშუალებათა საბჭოთა მობილიზაციისათვის ხელსაყრელი პირობები შეგვექმნა. აი, ჩვენ ეს უნდა გავიგოთ.

ებლა, მრავალს შეიძლება შეხედოთ ისეთს, რომელსაც ექვი შეაქვს, შევძლებთ თუ არა ჩვენ რამდენიმე ათეულ მილიონ გლეხების საშუალებათა მობილიზაციას უახლოეს წელში. ეს ძლიერ უადგილო ეჭვებია. მაგრამ აქაც უადგილოა რაღაც ხუთწლეულზე ვილაპარაკოთ. არა, ჩვენ არ ძალგვიძს ამ მომენტში, ხუთწლეულის საკითხს ამ საქმეში, სერიოზულად უპასუხოთ. ჩვენ სხვა რამ უნდა გავიგოთ. ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ გლეხის დოვლათი, რომელიც თავისუფლად შეიძლება შეფასებული იქნეს მრავალ ასეულ მილიონ მანეთად, ებმება კოლმეურნეობაში და თავის დიდ ნაწილში განსაზოგადოებულ ფონდათ იქცევა, ამისაგან კოლმეურნეობები ქმნიან „განუყოფელ ფონდებს“. ეს განსაზოგადოებული ფონდები კი, გლეხობის საშუალებათა მობილიზაციაა. პირველ რიგში მასში შედის ესა თუ ის ინვენტარი. მართალია, ეს არ წარმოადგენს ფულის მობილიზაციას, რომელიც ღარიბსა და საშუალო გლეხს ისედაც ცოტა აქვს. მაგრამ, ეს გლეხობის მატერიალურ საშუალებათა ნამდვილი მობილიზაციაა. ეს

მოპილიზაცია არა თუ ნაკლებია ფულად მოპილიზაციაზე, არამედ უფრო მეტია მასზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, წარმოების საშუალებათა მოპილიზაციაა, მართალია, მრავალ შემთხვევებში უმნიშვნელო და ზოგჯერ უფერულსავე დარჩებულს. მაგრამ მათი შეერთება მოგვცემს დიდ ოდენობას. მართალია ისიც, რომ მასიურ კოლმეურნობათა მოძრაობისათვის, როგორც მატერიალური ბაზა, იგი სრულიად უმნიშვნელოა და უკიდურესად მცირე, მაგრამ მიუხედავად ამისა, წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ საშუალებათა ასეთი მოპილიზაციის გარეშე შეუძლებელი იქნება მასიური კოლმეურნობათა მოძრაობა. პროლეტარული სახელმწიფო უწყვედა და მომავალშიც გაუწყვეს ყოველმხრივ დახმარებას კოოპერაციაში საწარმოო გაერთიანებას და კოლმეურნობათა მოძრაობას. სახელმწიფოებრივი დახმარებით, მასიურ კოლმეურნობათა მოძრაობის უზრუნველყოფა შეუძლებელია. ბოლოს და ბოლოს ის, რასაც სახელმწიფო ამ საქმისათვის იღებს, სრულიად არ არის საკმარისი, სახელმწიფომ მთავარი თავისი რესურსები შემდეგშია უნდა მოახმაროს ინდუსტრიის, მეტალურგიის განვითარებას, ტრაქტორების, კომბაინების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების მშენებლობას, ქიმიის აღორძინებას, ელექტრო-სადგურების მოწყობას და სხ. კოლმეურნობათა მოძრაობა, როგორც მასიური საქმე, შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მაშინ, თუ პროლეტარული სახელმწიფოს დახმარებასთან ერთად, იგი გააერთიანებს ასეულ მილიონ და მილიარდ გლეხობის საშუალებებს (მატერიალურ ღირებულებათ) თავის განსაზოგადოებულ ფონდებში. კოლექტივიზაცია სოფლად, არსებითად ამ განსაზოგადოებულ ფონდების ზრდაში მდგომარეობს. თუ კოლმეურნობებში განსაზოგადოებული ფონდები ერთი წლის განმავლობაში ორჯერ გაიზარდა, ეს იმას ნიშნავს, რომ კოლექტივიზაციის ტემპიც გაორჯუცდება; თუ ეს ფონდები ამ პერიოდის განმავლობაში ათჯერ გადიდდა, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ კოლექტივიზაციის ტემპიც გაათჯუცდება. უპირველეს ყოვლისა, კოლმეურნობებში განსაზოგადოებული ფონდების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ზედმიწევნით შევაპოწმოთ კოლექტივიზაციის ნამდვილი ტემპი. კიდევ უნდა დაუმატოთ, რომ კოლმეურნობებში გლეხობის საშუალებათა განსაზოგადოება ჰქმნის ყველაზედ უფრო ხელსაყრელ პირობებს მათი შემდეგი ზრდისათვის. ცხადია, თუ კოლმეურნობა სათანადო დონეზე დააყენებს თავის ტექნიკურ ბაზას, მოაგვიარებს თავის საზოგადოებრივ მეურნეობას და სწორად გამოიყენებს მასში არსებულ სამუშაო ძალას. რომლისთვისაც ასე აუცილებელია ეხლა კოლმეურნობათა ორგანიზატორები, ტექნიკები, აგრონომები და სხვადასხვა სპეციალისტების ინჟინერები. უშუალოდ კოლმეურნობათა საკითხებიდან შეეჩერდეთ კიდევ ორ განიზაციაზე საკითხზე. ზაფხულზე ე. კ. მიიღო გადაწყვეტილება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში კონტრაქტაციის ახალ დაყენებაზე. ეს გადაწყვეტილება სავსებით გამართლებულია ცხოვრების მიერ და ეხლანდელ პირობებში უნდა გადაიქცეს კოლმეურნობათა მუშაობის ბაზათაც.

ამასთან დაკავშირებით, შეეჩერდეთ კოლმეურნობათა დამოკიდებულების შესახებ კოოპერატიულ სისტემასთან მილიანად.

განსაკუთრებულ უსუსურად უნდა ჩაითვალოს ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც კომუნისტურნიგობანი უპირისპირდებათ კოპერაციას, ეს ლენინური კოპერატიული გეგმის არ გაგების ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულებაა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვალაჩოთ, რომ სწორედ კომუნისტურნიგობათ მოძრაობის საშუალებით კოპერაციას მივაგვს გლეხობის მასა სოციალიზმისაკენ, მსხვილ განსახოგადოებულ მეურნეობისაკენ უმაღლესი ტექნიკისა და ელექტროფიკაციის საფუძველზე. პრაქტიკულ საქმიანობაში ბევრი ჩვენი ამანაგები უპირისპირებენ კოპერაციას კომუნისტურნიგობებს და პირიქით. სამწუხაროდ, თვით კომუნისტურნიგობათა სისტემაში აქვს ადგილი „უწყებრივ“ განწყობილებებს. თავის თავად კომუნისტურნიგობათა სისტემაში მუშაობის დროსაც არა ვართ დაზღვეული პოლიტიკური პოზიციონტის სიფიწროვისაგან. კომუნისტურნიგობათა სისტემაში ზოგიერთ მუშაკებს აქვთ პრეტენზია (ცხადია მოუფიქრებელი და გამომხატველი განუღილი პერიოდის) დაუმორჩილონ უშუალოთ მთელი კომუნისტურნიგობათა მოძრაობა კომუნისტურნიგობათა კავშირებს—კომუნისტურნიგობათა მეთაურობით. ამ ამანაგებმა ვერ შენიშნეს პატარა ამბავი; მათ ვერ შენიშნეს, რომ თვით კოპერაცია თავის მხრივ თანდათანობით კომუნისტურნიგობათა სისტემად იქცევა.

კოპერატიული ორგანიზაციების—უმაღლეს ტიპად, კომუნისტურნიგობათა სისტემად გადატყვევა, უკვე ჩვენს თვალწინ ხდება. სხვადასხვა კოპერატიულ სისტემებისათვის ეს გარდაქმნის პროცესი გამსაღებ - მიმწოდებელ ორგანიზაციიდან საწარმოო-კოლექტიურ ორგანიზაციათ, სხვადასხვა გვარად მიმდინარეობდა. მაგრამ, როგორ შეიძლება არ დავინახოთ ის, რომ „ხელმოცენტრი“ თავისი მემინდერეობის სისტემით უკვე ეხლა აღარ წარმოადგენს ძველი ტიპის კოპერატიულ ორგანიზაციას. მრავალი ათასი ქვედა საწარმოო ტიპის მარკეტის დამამზადებელი კოპერატივისა და 61 სატრაქტორო კოლონიის არსებობა, სოფლად მრავალ კომუნისტურნიგობებზე უკვე პრაქტიკული ხელშეწყობის განხორციელება ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ „ხელმოცენტრი“ უკვე აღარ წარმოადგენს ძველი მნიშვნელობით კოპერატიულ სისტემას, არამედ იგი არის, კოპერატიულ—კომუნისტურნიგობათა ორგანიზაცია. კოპერატიულ ცენტრიდან იგი ვადაიქცა კოპერატიულ—კომუნისტურნიგობათა ცენტრად; ხვალ კი იგი მარკეტოვან მეურნეობისათვის ვადაიქცევა კომუნისტურნიგობათა ცენტრად. კოპერაციის თანდათანობითი გარდაქმნისათვის კომუნისტურნიგობათა მოძრაობად ეხლა უკვე დღითი დღე იქმნება ხელსაყრელი პირობები. კოპერაცია, რომელიც ლენინის სიტყვებით რომ ესთქვათ „გვაქვს უფლება განსაკუთრებულის მხრივ აბუნად ავიგდოთ ა. ე. პ.—ს დროსაც, როგორც „სივანში“, უკვე უმაღლესი ტიპის, ნამდვილ საბჭოთა-კოპერაციის, საწარმოო-კომუნისტურნიგობის კოპერაციის სახეს იღებს. სოფლის მასიურ კოლექტივიზაციისათვის კოპერაცია იყო წერილ მესაკუთრეთა ორგანიზაცია. კოპერაცია არ ეხებოდა წერილ-ბურჟუაზიულ წარმოებას სოფლად. მასიურ კოლექტივიზაციამდე კოპერაციამ ვაიერთიანა წერილი მეურნეობანი თითქმის მხოლოდ და მხოლოდ მათი პროდუქტების ვასაღებისათვის და მათი სამრეწველო პროდუქტებით მომარაგებისათვის. კოპერაციის საფუძველს კიდევ შეადგენდა წერილ ბურჟუაზიული მეურნეობა.

მაგრამ, საბჭოთა ხელისუფლებისა და მაშასადამე, პროლეტარიატის დიქტატურის ხელმძღვანელობის გამო, მიმწოდებელ-გამსაღებელმა კომპერატაში, თავისი ათეული ათასი კოოპერატივებით გლეხობის მასების მომსახურებაში კოოპერაციაში და კოლმეურნეობებში საწარმოო გაერთიანებისათვის სოფლად დიდი როლი ითამაშა. ამგვარად, მიმწოდებელ-გამსაღებელმა და საკრედიტო კოოპერაციამ, ძირითად საწარმოო ტიპის კოოპერატივების მომეტებით, ოქტომბრის რევოლიუციის პირველი წლების კოლმეურნეობათა მოძრაობის პიონერთა გამოკვდილებაზე დაყრდნობით, მოამზადა ნიადაგი წინანდელი კოოპერაციის საკოლმეურნეობო კოოპერაციად გადაქცევისათვის, ე. ი. მოამზადა ნიადაგი გლეხობის მილიონი მასების კოლმეურნეობებში გაერთიანებისათვის. ეს კი არის ლენინის კოოპერატიული გეგმის განხორციელება. ცხადია, რომ კოოპერაციისა და კოლმეურნეობათა დაპირისპირება არა თუ დასაშვებია, არამედ პირდაპირ უაზროა ჩვენს პირობებში. ე. კ.-ს პლენუმის რეზოლიუცია ხაზს უსვამს ამას, კერძოთ იმ პრაქტიკული წინადადებით, რომლითაც კოოპერატიულ ცენტრებში იქმნება კოლმეურნეობათა ავტონომიური სექციები. გარდა ამისა, რეზოლიუციაში დაპარაკია იმის შესახებ, რომ აუცილებელია გაძლიერებული იქნეს სასოფლო-სამ. კოოპერაციის კავშირთა კავშირის მუშაობა, როგორც მთელი კოოპერაციის ხელმძღვანელი ცენტრის, კოლმეურნეობათა სისტემის ჩათვლითაც. ცხადია, დროთა განმავლობაში კავშირთა კავშირი და კოლმეურნეობათა ცენტრი დაუახლოვდებიან ერთმანეთს თავის მუშაობაში, შემდეგ კი სავსებით შეერთდებიან. კოოპერატიული სისტემების მუშაობის გადახალისებისათვის და მისი დაკავშირებისათვის კოლმეურნეობათა სისტემასთან, დიდი მნიშვნელობა ექნება საკავშირო მიწსახკომის შექმნას. ამ უკანასკნელის აუცილებლობა, ეხლა უკვე ეტყვას აღარ იჭევს.

კიდევ რამდენიმე შენიშვნა კოლმეურნეობათა როლის შესახებ პროლეტარული დიქტატურის სისტემაში და ამასთან დაკავშირებით მუშათა კლასის მოვალეობათა შესახებ.

ლენინის ციტატაში, რომელიც ჩვენ დასაწყისში მოვიყვანეთ, აღნიშნული იყო, რომ მუშათა კლასი რევოლიუციაში ორგანიზატორულ როლს ითამაშობს. პროლეტარიატი მშრომელთა მასების ორგანიზატორია კაპიტალთან ბრძოლის, კაპიტალიზმის დანგრევისა და სოციალიზმის შენების საქმეში. მასიურ კოლმეურნეობათა მოძრაობაში დიდია მუშათა ორგანიზატორული როლი. განსაკუთრებით ეს შეეხება იმ პერიოდს, როცა ჩვენ აქაც ნამდვილად მოგვიდებთ ხელს მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობის ორგანიზაციას, მალალი ტენიკის გამოყენებით. მუშათა კლასის ხელმძღვანელობა კოლექტივიზაციის საქმეში წარმოადგენს აუცილებელ დახმარებას ჩამორჩენილ, წერილი მეურნეობის პირობებში აღზრდილ გლეხობის მასებისათვის.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამბ. ანდრეევს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც უმრავლეს რაიონებში გლეხურ მეურნეობათა დაახლოებით მესამედი უკვე ჩამოშლია კოლმეურნეობათა მოძრაობაში, კოლექტივიზაციის დასრულებას, ყოველ შემთხვევაში, ძირითადად გვეკარნახებს მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო



წარმოების მეტი ნაყოფიერების ინტერესები. ამით ერთხელ კიდევ მეტი ცდებია უბრალო ქეშმარიტება, რომ კოლმეურნეობათა მოძრაობეზე შედეგად ეხლოებისათვის, მუშათა კლასი უნდა იმყოფებოდეს მის სათავეში. მეტიად სასაცილოა ცდები, შეიერონ მისიური მოძრაობა იმ საშიშროების ვაშო, რომ თითქოს ეხლა იქნება სუსტი, არა მყარი კოლმეურნეობები. ჩვენ უბიზლად უნდა შევხედოთ სუსტ მხარეებს და ნაკლულევიანებებს, ზოგჯერ კი ეხლანდელი კოლმეურნეობათა მშენებლობის აშკარა არა მყარ ხასიათს. მაგრამ ეს ჩვენ გვჭირდება არა იმისათვის, რომ სასოწარკვეთილება ჩამოვადგოთ, არამედ იმისათვის, რომ დავრახმოთ მუშათა კლასის ძალები კოლმეურნეობათა დასაცავად, მათი ზრდისათვის, კოლმეურნეობათა მოძრაობის ყოველმხრივ განსამტკიცებლად.

არ უნდა დაგვაიწყვიტოს, რომ კოლმეურნეობებში ეხლა ებმება წვრილ მესაკუთრეთა სრულიად გაუწვრთნელი მასა. აქედან ჩვენ უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ წვრილ-ბურჟუაზიულ განწყობილებათა გავლენა, ზოგჯერ კი კულაკობის პირდაპირი გავლენაც კოლმეურნეობებში ეხლა კიდევ უფრო ძლიერი იქნება. ამ გავლენათა წინააღმდეგ მოგვიხდება სერიოზული და ხანგრძლივი ბრძოლა, კოლმეურნეობათა მშენებლობის ირგვლივ სწრაზობებს გააფთრებული კლასობრივი ბრძოლა. კულაკი მიმართავს ყოველგვარ ცდებს გადაუჭრის კოლმეურნეობებს ვხა, სადაც ეს შეუძლებელი ხდება, შეიჭრას კოლმეურნეობაში და გახრწანს იგი შიგნიდან. კლასიური ბრძოლის ელემენტები თვით კოლმეურნეობებში ძლიერ საგრძნობი ხდება, თითქმის ყოველ ნაბიჯზე. ბრძოლა კულაკურ გავლენებთან კოლმეურნეობებში უმთავრესი საჭედა და ამაში საჭირო იქნება დიდი დახმარება გარედან, მუშების მხრივ. ამასთან დაკავშირებით—ორიოდე სიტყვა კოლმეურნეობაში კულაკის დაშვების საკითხში არსებულ მერყეობათა შესახებ.

მერყეობა ამ საკითხში დაუშვებელია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ კოლმეურნეობები ჯერ კიდევ სუსტია, მათ ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს ფეხზე დადგომა. კულაკის დაშვება ეხლანდელ კოლმეურნეობებში ჰბადებს მრავალ მათგანის გახრწნის საფრთხეს. მაგრამ ხანდახან აყენებენ საკითხს, რა უქნათ კულაკს? სამწუხაროდ აყენებენ მაშინაც კი, როცა ნამდვილად ჯერ კიდევ ბოლომდე არ მოუახრებიათ ძირითადი საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა უყოთ მოჯამაგირეს და ღარიბს, როგორ დავრახმოთ კოლმეურნეობაში მოჯამაგირეთა და ღარიბთა აქტივი. ეს საკითხი კი უნდა დაისვას პირველ საკითხად კოლმეურნეობათა ორგანიზატორებისათვის, რომლებიც საჭმეს პროლეტარულად, კომუნისტურად აკეთებენ. მაგრამ უნდა უპასუხოთ საკითხსაც იმის შესახებ, თუ რა ვხას უნდა დავადგეთ კულაკის მიმართ? პასუხი ამ კითხვაზე გამოიძინარეობს იქიდან, რომ ჩვენ ეხლა კაპიტალისტურ ელემენტების მიმართ გადავდივართ შეტყეაზე გაშლილი ფრონტით. ამიტომ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვექცეთ კულაკს, ჩვენ შეიძლება ერთი პასუხი გავსცეთ. კულაკს მოეპყარი როგორც უბოროტეს და ჯერ კიდევ საბოლოოდ დაუმარცხებელ მტერს. რომ იგი უბოროტესი მტერია, ამის შესახებ ნათლად ლაბარაკობს კულაკური ტერორის, კულაკური თავდასხმების, გადაწვის და ჩენი მუშაკების, კოლმეურნეობებში აქ-

ტიურ მომუშავეთა, რევოლუციისადმი ერთგულ მოჯამაგირეებისა და ღარიბთა მკვლელობის უამრავი ფაქტები. რომ ეს მტერი საბოლოოდ დასრულდება, ამის შესახებაც მეტად მრავალი მაგალითები მეტყველებენ. კულაკი განაგრძობს მავნებლობას კოლმეურნეობათა მიმართ არა მარტო აშკარა ბრძოლაში მათ წინააღმდეგ, არამედ კოლმეურნეობაში და ზოგჯერ მართველობის ორგანოებში შეპარეითაც, ამიტომ ის ღონისძიებანი, რომლებიც გამომდინარეობენ კულაკისადმი ასეთი დამოკიდებულებისაგან, როგორც უზოროტეს და ჯერ კიდევ საბოლოოდ დაუმარცხებელ მტრისადმი, სწორი და აუცილებელი იქნება. კულაკობისადმი ასეთი დამოკიდებულების გარეშე ჩვენ ვერ დავიპყრობთ კოლექტივიზაციის საქმეს. ჩვენ ვერ აუვლით გვერდს ისეთ ფაქტებსაც, როცა კოლმეურნეობანი არ ასრულებენ ელემენტარულ ვალდებულებათ საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ. განა ჩვენ არ ვიცით ისეთი შემთხვევები, როცა კოლმეურნეობანი არ ასრულებენ პურის დამზადების შესახებ დავალბებებს? განა ეს არ არის საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის პირდაპირი ჩაშლა? განა ეს ფაქტები არ გამოხატავენ იმას, რომ კულაკები, შემძვრალნი კოლმეურნეობებში, იყენებენ თავის გავლენას საბჭოთა სახელმწიფოს კოლმეურნეობათათვის დასაპირისპირებლად? აირატომია საქირო განვლდევნათ კულაკები კოლმეურნეობებისაგან და მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება მოჯამაგირეებისა და ღარიბების ორგანიზაციულად დარაზმვის საქმეს, მოჯამაგირეთა და ღარიბთა ჯგუფების შექმნას კოლმეურნეობებში, განსაკუთრებით უმარტივესი ტიპის კოლმეურნეობებში. პარტია შოლოდ იმ შემთხვევაში გაუწევს კოლმეურნეობათა მოძრაობას ნამდვილ ხელმძღვანელობას, თუ ენერგიულად გაშლის მუშაობას გლეხობის მასებში და თვით კოლმეურნეობებში ღარიბთა პოლიტიკური აღზრდისათვის, მათი კულტურული ღონის ასაწევად, ორგანიზატორებისა და მოჯამაგირეებისა და ღარიბებისაგან სხვადასხვაგვარი სპეციალისტების შექმნისათვის. პროლეტარიატის დიქტატურის ყველა ორგანოებმა მთავარი ყურადღება ამ მხრივ უნდა მიაქციონ.

შემარჯვენეების ლიდერებმა ამ პლენუმზე, განსაკუთრებულად შევეცადნენ იმის მტკიცებას, რომ კოლმეურნეობანი ებლა წარმოადგენენ „ხელმძღვანელ ძალას“ მთელ სოფლის მეურნეობაში. მაგრამ აქაც, მათ ერთის მხრივ დაიგვიანეს და მეორეს მხრივ, შეიტანეს არევიდარევი.

ცხადია, კოლმეურნეობანი, როგორც ეს უნდა იყოს, ინდივიდუალური გლეხის წინ მიდიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების აწევის საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში მათეენ გლეხობის მასების ასეთ ლტოლვასთან არ გვექნებოდა საქმე. მაგრამ მას შემდეგ, როცა კოლმეურნეობებმა მთელ ოლქებში ჩააბეს გლეხურ მეურნეობათა ერთი მეოთხედიდან დაწყებული—ერთი მესამედი (ჩრდილოეთ კავკასია), ხელ კი მათში ჩაბმული იქნება გლეხურ მეურნეობათა თითქმის ნახევარი და კიდევ მეტი, რაღა „ხელმძღვანელ ძალასთან“ გვექვს საქმე? ამ შემთხვევაში, კოლმეურნეობანი იმეტომ არ შეიძლება წარმოადგენდენ ხელმძღვანელ ძალას, რომ მათში შევიდა არა მარტო მშრომელ გლეხობის ავანგარდი, არამედ ფართო მასა, ხელ კი შეეა ამა თუ იმ რაიონის (ოლქის) გადამწყვეტი უმეტესი ნაწილიც. მაშასადამე, თუ კი ამ მხრით მიუდგებით კოლმეურნეობათა

როლის საკითხს, მაშინ არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ მემარჯვებულებმა დაიგვიანეს თავისი დეკლარაციებით კოლმეურნეობათა შესახებ, რეალურად ხელმძღვანელი ძალის*.

მეორეს მხრით, მათ ამ საკითხში შეიტანეს არაე-დარევა. ხელმძღვანელ ძალად სოფლის მეურნეობის მიმართ იყო და რჩება სოციალისტური ინდუსტრია, პროლეტარიატი. ესეც კი, როცა კოლმეურნეობათა მოძრაობა ფართოდ იშლება, ჩვენ არ უნდა დაგვივიწყდეს ამის შესახებ. ჩვენ არ უნდა გავითქვიფოთ წერილ-ბურეუაზიულ ფრაზებში კოლმეურნეობათა შესახებ, როგორც „ხელმძღვანელი ძალის“, არამედ მთელი გარკვეულობით უნდა განუმარტოთ გლეხობის მასას ერთ ერთი ძირითადი ბოლშევიკური დებულებათაგანი: სახალხო მეურნეობაში ხელმძღვანელ სოციალისტურ როლს თამაშობენ, თამაშობენ და შეუძლიათ ითამაშონ მხოლოდ თანმიმდევარ სოციალისტური ტიპის წარმოებებს, ე. ი. ჩვენ საბრეწველო წარმოებებს და საბჭოთა მეურნეობებს. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოებრივი ძალაუფლება ჩვენს ქვეყანაში იმყოფება მუშათა კლასის ხელში, რომელიც ეყრდნობა ღარიბ გლეხობას და კავშირს სოფლის საშუალო მასებთან. ჩვენი მოვალეობაა მუდამ უნმარტავდეთ მშრომელ გლეხობას, რომ მხოლოდ ამ პოლიტიკის საფუძველზე ჩვენ საბოლოოდ და ერთხელ და სამუდამოთ განვთავისუფლებით კაპიტალიზმის აღდგენის საშიშროებისაგან და უზრუნველყოფთ კომუნისმის გამარჯვებას მსოფლიო მასშტაბით.

შემდეგ, საჭიროა შეფერდეთ საბჭოთა მეურნეობებზე. საბჭოთა მეურნეობების დიდი როლი კოლექტივიზაციის საქმეში გასაგებია. საბჭოთა მეურნეობების უზენებლობა და მათი წარმატება დიდ გავლენას ახდენს მახლობელ გლეხობის მოსახლეობაზე. საბჭოთა მეურნეობის მაგალითზე გლეხები რწმუნდებიან მსხვილი სოციალისტური წარმოების უპირატესობაში. ამასთანავე, საბჭოთა მეურნეობანი ხშირად გამოდიან როგორც კოლმეურნეობათა ორგანიზატორები მათ მახლობელ რაიონებში. შემდეგში საბჭოთა მეურნეობების ეს როლი კიდევ უფრო გაიზრდება.

მაგრამ საქმე მარტო ამაში როდია. უკვე ჩამოყალიბებულმა კოლმეურნეობებმა ბევრი უნდა ისწავლონ საბჭოთა მეურნეობებისაგან, განსაკუთრებით საუკეთესო მათგანისაგან. ჩვენ პირდაპირ უნდა ვთქვათ: კოლმეურნეობებმა თავის საზოგადოებრივი წარმოების მოწყობაში კურსი უნდა აიღონ საბჭოთა მეურნეობებზე. ჩვენ ყოველმხრივ უნდა შეუწყოთ ხელი იმ აზრის პოპულიარიზაციას, რომ კარგად მოწყობილი საბჭოთა მეურნეობა მაგალითია კოლმეურნეობისათვის.

ამ მომენტში განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას საბჭოთა მეურნეობების როლს კოლმეურნეობებისათვის კადრების, ორგანიზატორების და სპეციალისტების მომზადების საქმეში. ჩვენ ბევრ დროს ვკარგავთ რეზოლიუციების შედგენაში და აგიტაციაში, საუკეთესო დროს კი ვკარგავთ. ამასთანავე, კოლმეურნეობისათვის ეხლა მთავარია არა აგიტაცია, არამედ ორგანიზაციული მუშაობა; სასოფლო-სამეურნეო წარმოების კარგი ორგანიზატორები და სპეციალისტები, საჭირო კოლმეურნეობათათვის, ჩვენ არ ვცუვავს მომარაგებული. და ჩვენ უკვე არ უჩქარით ამ საქმეს, კოლმეურნეობებისათვის აუცილებელი კადრების შექმნის საქმეს.

აი რატომაც ვადაუღლებელი ამოცანა—ყველა შესაძლებლობათა გამოყენება კოლმეურნეობებისათვის ახალი ძალების მოსამზადებლად და არა მარტო კოლმეურნეობებისათვის, არამედ თვით საბჭოთა მეურნეობებისათვისაც, რომელთა მშენებლობა ასე სწრაფად მიდის წინ. აი რატომ თვითთელი მოწყობილი საბჭოთა მეურნეობა ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გადავაქციოთ სკოლად ახალი მუშაკების მოსამზადებლად და კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობათა ზოგიერთ ძველი მუშაკების გადასამზადებლად. და აქ საჭიროა ყოველშრივ ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ეს საქმე ჩვენ უნდა გავშალოთ იმ ტემპით, რომელიც აუცილებელია მოახლოვებული სავაჭარო თესვითი კამპანიის მოსამზადებლად. დარჩენილი ზამთრის თვეები, კვირეები და დღეები ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მაქსიმალურად. თვითთელი საბჭოთა მეურნეობა და აგრეთვე კარგად მოწყობილი კოლმეურნეობა ჩვენ უნდა გადავაქციოთ სკოლად კოლმეურნეობათა მუშაკების მოსამზადებლად. ჩვენი კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა სწორედ ამ საქმეს უნდა მოკიდონ ხელი. დროა ამ საქმეს ბოლშევიკურად მოკვიდოთ ხელი.

დასასრულ, სამრეწველო მუშების შესახებ. ც.კ.ს პლენუმის რეზოლუცია წინადადებას იძლევა კოლმეურნეობებისათვის მობილიზაცია უყოთ 25 ათას სამრეწველო მუშას. ეს პლენუმის მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. სოფლისათვის 25 ათასი მუშის მობილიზაცია არ შეიძლება ჩატარდეს სრულიად უმტკივნელოდ სამრეწველო წარმოებებისათვის, ამის შესახებ ებღვე უკვე უნდა იფიქრონ ამხანაგებმა ს. მ. უ. ს-ან და პროფ. საფ. კ. საკ. ს-ან და ჩვენ მაინც ყოველ მიზეზს ვარეშე უახლოეს თვეებში კოლმეურნეობებში უნდა გავგზავნოთ არა ნაკლები 25 ათასისა პოლიტიკურად მომზადებული და აქტიური ამხანაგებისა ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან. ეს იქნება ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი გლეხობის მასის დახმარებისა მუშათა კლასის მხრივ. სოფლის ამ დახმარებას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება.

ამას კიდევ მიუმატეთ მუშათა ბრიგადების გაგზავნა ქალაქიდან, ცალკე დავალბათა შესასრულებლად, პურის დამზადების ჩასატარებლად, გლეხობის ინჟინტარის შესაკეთებლად და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუშათა შეფობას სოფელზე. ებღა ეს შეფობა იღებს ახალ ფორმებს; ქარხნები და ფაბრიკები ამყარებენ უშუალო კავშირს და შეფობას ცალკე კოლმეურნეობებზე; იწყება სხვადასხვა ფორმებში შეჯიბრება მუშებსა და კოლმეურნეობის მუშაკებს შორის; სოციალისტური შეჯიბრება უკვე ედება სოფელსაც. კარგი იქნება, თუ 25 ათასი მუშის გაგზავნას კოლმეურნეობაში ორგანიზაციულად დაუკავშირებთ მუშათა ქარხნებისა და ფაბრიკების შეფობას მსხვილ კოლმეურნეობებზე და ერთიანი კოლექტივიზაციის რაიონებზე. მუშათა კლასის კავშირი მშრომელ გლეხობასთან მტკიცდება, იღებს დაუძლეველ ხასიათს.

არა მარტო ცალკე ქარხნებმა, არამედ პროფკავშირებმაც მთლიანად, უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ კოლექტივიზაციას. თითქმის ამ მხრივ დადებით გარდატეხას აქვს ადგილი. კარგი იქნება მისი განმტკიცება და წინ წაწევა.

დიდი არის წითელი ჯარის როლი კოლექტივიზაციის საქმეში. უკანასკნელი კვირების განმავლობაში სწარმოებდა და კიდევ იწაურებენ მთელსა-მიელთა საშემოდგომო გამოშვება. მრავალი მათგანი სოფელში წასვლას მსურვალე მისწრაფებით კოლექტივიზაციისადმი. წითელარმიელები სოფელში იყვნენ და ებლა განსაკუთრებით არიან კოლმეურნეობათა მშენებლობის აქტიური მონაწილენი. შეიძლება, შემდეგში წითელარმიელთა განსაზღვრული ნაწილისათვის, საშახურის ვადის გათავების შემდეგ, 2-3 თვის განმავლობაში საჭირო იქნეს სპეციალური სწავლება იმისი, თუ რაა მათთვის აუცილებელი სოფელში დაბრუნებისას, იმ სოფლის, რომელიც კოლექტივიზაციის ფართო გზაზე დგება.

ნათქვამიდან აშკარაა, თუ როგორია საბჭოების როლი კოლმეურნეობათა მოძრაობაში. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში კოლმეურნეობებს შეუძლიათ იარსებონ და განსაკუთრებულ პირობებში კი გადაიქცენ მილიონ გლეხობის მოძრაობად სოციალიზმისაკენ. საჭიროა, რომ საბჭოებმა გააძლიერონ თავისი ხელმძღვანელობა კოლმეურნეობათა მშენებლობაზე. საბჭოები ხომ პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი საგანია, რომელიც უზრუნველყოფს გლეხობის ძლევამოსილ მსვლელობას კოლმეურნეობათა მეოხებით სოციალიზმისაკენ. ამასთანავე ერთად საჭიროა დავრწმუნდეთ იმაში, რომ მასიური კოლექტივიზაცია ქმნის ახალ და ამასთანავე არანახულ მტკიცე ბაზას საბჭოებისათვის სოფელად.

რამდენიმე სიტყვა პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობის შესახებ კოლმეურნეობის მოძრაობასთან დაკავშირებით. კომკავშირელები კოლმეურნეობათა მოძრაობის ავანგარდში უნდა იყვნენ. სათანადოთ ჯერ კიდევ არ გამოუხიზლებულან კომკავშირის ხელმძღვანელი ორგანოები. ამისი დრო უკვე დადგა. პარტიულმა უფრედებმა სოფლად უნდა გამოაცოცხლონ თავისი მუშაობა, რომ განახორციელონ ხელმძღვანელობა კოლმეურნეობათა მშენებლობაზე. პარტიას აწევს უდიდესი პასუხისმგებლობა და აუცილებლად საჭიროა მისების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის მთელი გამოცდილება, რომ მართლაც დავიპყრათ კოლექტივიზაციის ხელმძღვანელობის საქმე.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა ეგრედწოდებულ სიძნელეთა შესახებ, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ კოლმეურნეობათა პრაქტიკული მშენებლობის სიძნელეები განსაკუთრებით დიდია. კოლმეურნეობებს წვრილი და მტკად მკირე მურნეობანი გადაეყვით მსხვილი საზოგადოებრივი წარმოების ნიადაგზე მალალი სამანქანო ტენიკით. კოლექტივიზაცია სწვევტს სოციალიზმის ძირითად პრობლემას სოფლად. ამიტომ არ შეიძლება გადაჭარბება იმ ნამდვილი სიძნელებისა, რომელთაც ჩვენ გვიხდება და კიდევ მოგვიხდება შეტაკება.

მაგრამ, ლაპარაკით „სიძნელეთა“ შესახებ ზოგჯერ მიისწრაფიან დაფარონ ოპორტიუნისტული შიში უდიდეს ნამდვილ რევოლიუციონურ მასიურ მოძრაობის წინაშე. შემარჯვენეთა ბანაკიდან ებლა ხშირად ისმის აშკარა და კიდევ უფრო ხშირად დაფარული წინადადებები იმის შესახებ, რომ ხომ არ არის საჭირო ამ მოძრაობის შეჩერება. ოპორტიუნისტებს ყოველთვის ახასიათებდა შიში მისების წინაშე. ეს შიში იმის არ გაგებიდან გამომდინარეობდა, რომ მილიონების მონა-

წილეობა სოციალისტურ მშენებლობაში ნიშნავს რევოლუციის ძალების, საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ფორმათა შემოქმედების უდიდესი საქმის შესრულებისათვის გაუგებრობა დამახასიათებელია ყოველგვარი ჯურის ოპორტიუნისტებისათვის, როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენეებისათვის“. ოპორტიუნისტების ეს თვისება ერთ-ერთი საუკეთესო მარქენებელია იმისი, რომ ოპორტიუნისტი შეიძლება იყოს დაკავშირებული ამა თუ იმ ჯგუფთან, ამა თუ იმ საზოგადოებრივ ფენასთან, მაგრამ იგი მოწყვეტილია მასას, მუშებს, შრომელთ. „სიძნელეების“ შესახებ მსჯელობა, როცა იგი ხდება იმისათვის, რომ დაფარული იყოს მასების რევოლუციონური მოძრაობა წინ, უცხოა ბოლშევიკებისათვის. ასეთი განწყობილებებით არ შეიძლება მასების სათავეში ყოფნა, მუშებისა და სოფლის შრომელთა წაყვანა გამარჯვებისაკენ. ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ რევოლუციონური სიფხიზლე სოფლის შრომელთა მასების ეხლანდელ განწყობილებებისადმი. უნდა გავიგოთ, თუ რას ნიშნავს კოლმეურნეობათა მისიური მოძრაობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ღარიბ და საშუალო გლეხობამ დაინახა დაბოლოს, ნამდვილი გამოსავალი თავისი ცხოვრებიდან. ისინი მიდიან კოლმეურნეობებში და ხშირად არ აძლევენ ანგარიშს თავის თავს იმაში, თუ საით მიჰყავს მათ ეხლანდელი კოლმეურნეობათა მოძრაობა. ისინი უმრავლეს შემთხვევებში კოლმეურნეობებში მიდიან იმიტომ, რომ ხედავენ და რწმუნდებიან, რომ მსხვილი საზოგადოებრივი სასოფლო-სამეურნეო ადიდებს მოსავლიანობას და აფართოებს სათეს ფართობს, ამსუბუქებს შრომას და აუმჯობესებს სოფლის შრომელთა მატერიალურ პირობებს. საშუალო გლეხი და მასზე უფრო ადრე ღარიბი გლეხი დაიძრება ძლიერ ნაკადით კოლმეურნეობებისაკენ არა იმიტომ, რომ იგი უკვე გახდა შეგნებული სოციალისტი, არამედ იმიტომ, რომ მან ნახა გამოსავალი და ხშირად, ჯერ მხოლოდ სინათლე გამოსავლისაკენ, სიღარიბიდან, მძიმე შრომიდან, საუკუნოებრივი სოფლის ველურობიდან. ამასთანავე, ეს მოძრაობა კოლმეურნეობებში ნიშნავს გარდატეხას გლეხობის მასების განწყობილებაში: საბჭოებისადმი ნდობიდან, როგორც შრომელთა ხელისუფლების, საშუალო გლეხი იმსჯელებს ნდობით საბჭოთა ხელისუფლებისადმი, როგორც სოციალიზმის მშენებელის. საბჭოთა ხელისუფლების მთელი პოლიტიკის, მატერიალურ მიღწევათა და პოლიტიკური განათლების გამო, რომელიც ჩვენ გვაქვს 12 წლის განმავლობაში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, სოფლის შრომელთა წინაშე სულ ფართოდ იშლება წვრილი მეურნეობის განვითარების განსაზღვრული შესაძლებლობანი და ამასთანავე ერთად, უკვე მილიონებისათვის გასაგები ხდება მსხვილი სოციალისტური წარმოების უპირატესობანი. აი საიდან მოდის გლეხობის მასების ასეთი გადაამკრელი ლტოლვა კოლმეურნეობებში.

სოფლად მოუვამაგირეთა, ღარიბებისა და საშუალო გლეხობის ეს განწყობილებანი მრავალს მხრივ უცხოა მემარჯვენე უკლონისტებისათვის, რომლებიც მოწყვეტილნი არიან ნამდვილ მასებს და არც კი გრძნობენ მას. მათთვის ახლოა ოპორტიუნისტული ეჭვები და მეშინების დამახასიათებელი ანტირევოლუციონური უნდობლობა; ისინი, წვრილ-ბურჟუაზიულ განწყობილებათა ტყვედ იქცნენ.

„კომუნისტებიდან“ შეშინებს, არ ძალუძთ გაიგონ ღარიბი და საშუალო გლეხობის მასა, რომელიც ჩაება კოლმეურნეობებში. მაგრამ ეს უკვე დაადგა გლეხობის მეურნეობაში საუკუნოებით გამოჩენილი წესობათა რევოლუციონური რღვევის გზას, ვერ გაიგებს მათ.

ვინ, თუ არა ღარიბი და საშუალო გლეხი არ ხედავს კოლმეურნეობათა მშენებლობის უდიდეს სიძნელეებს? და მაინც კოლმეურნეობათა მშენებლობის სიძნელეები ვერ აჩერებენ გლეხობის მასას, არამედ ამტკიცებენ მის ნებას. ზრდიან მოთხოვნილებათ ხელმძღვანელთაგან, საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიისადმი. კოლმეურნეობათა მოძრაობის გზაზე წამოჭრილ სიძნელეთა პასუხად შეიძლება იქნეს მხოლოდ მუშათა კლასის ყურადღების გაძლიერება ამ საქმისადმი, ძალებით უზრუნველყოფა, პრაქტიკული ორგანიზატორებითა და პოლიტიკური ხელმძღვანელებით გაძლიერებული დახმარება. როცა ხედები ამხანაგს, ჩამოსულს სოფლიდან, კოლმეურნეობიდან და საბჭოთა მეურნეობიდან, ხედავ, რომ მრავალი მათგანის გარდაქმნა ეხლა ხდება. ისინია ხშირად ის ხალხი, რომლებიც ანთებული არიან გამარჯვების იმედით. სოციალისტური მეურნეობის მშენებელთა ლაშქარი ეხლა სწორადად იზრდება, აღვიძებს მრავალ ათას ახალ შემოქმედებით ძალებს ხალხის მასაში. ეს ახალი ძალები მკვიდრ საფუძველს უყრიან სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში.

დასასრულ მოვაგონებთ იმას, რასაც ლენინი სწერდა ბროშურის „პროდნალოგის“ გეგმაში 1921 წ., აბ. ე. პ-ზე გადასელის დროს: „10—12 წელი სწორი დამოკიდებულება გლეხობასთან და უზრუნველყოფილია კომუნისმის გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით (პროლეტარული რევოლუციების, რომლებიც იზრდებიან დაგვიანების დროსაც კი), სხვაგვარად 20—40 წელი თეთრგვარდიელთა ტერორის ქვეშ წაშლება.“¹⁾

ჩვენ ვცხოვრობთ ოქტომბრის რევოლუციის მე-13 წელში. ლენინის მიერ აღნიშნული ვადა 10—12 წელი, ჩვენ უკვე ნახევარზე მეტი გავიარეთ. კოლმეურნეობათა მოძრაობის მასიურობა განსაკუთრებული ძალით ააშკარავებს, რომ ჩვენ მართლაც მოვნახეთ გზა გლეხობასთან სწორი დამოკიდებულების დასამყარებლად. ჩვენს მუშაობაში მილიონ სიძნელეთა და ნაკლულოვანებთა მიუხედავად, მაინც ძლევა მოსილად მივიღივართ წინ. მილიონ გლეხობის ჩაბმა კოლმეურნეობათა მოძრაობაში ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ იმ გზით, რომლითაც ჩვენ მივიღივართ და რომელსაც უფრო და უფრო მკვიდრობს ექსპლუატაციის-ტური ქვეყნების მასების რევოლუციონური აღტყინება, უზრუნველყოფილია ჩვენი გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით.

სვანეთი სხანის უზანგიდან

I

ქუთაისის რომ ვასცდეთ ოციოდე ვერსით, უკვე ლეჩხუმში ამოყოფთ თავს. ლეჩხუმი სვანეთის მოსახლერეა. მის მეზობლობას თითქოს დალიც დაუსვამს ლეჩხუმის ბუნებაზე. ბუნება აქ იმერეთისაზე უფრო ქუში და მრისხანეა, რიონის ქალა ჯიშიერ მწვეარივითაა შეწყურული, ჩამორღვეული შავი კლდოვანი ნაპირები შეებულადაა ჩაშეებული მდინარეში. მათ აერთებს მავთულეებზე გაბმული წნული ხიდები, რომელიც მგზავრის ფეხებ ქვეშ აკვანივით ირწყევა. სამხრეთ-ოსეთის ვიწრო გზა მინიატურულ სათრეველა ურმებივითაა გაქედლი. ზოგი ბარიტს ეზიდება, ზოგიც თლილ ქვას რიონგვისისათვის.

ალპანაში სამხრეთ-ოსეთის გზიდან გადავუქციეთ. იმ დღეს ორბელში ავედით, მეორე დღით ცაგერში.

ცაგერს იქით სვანეთის გზა იწყება. გზას სვანურად შუკა ჰქვიან. ჩვენში შუკას ორლობეს ეძახიან, სადაც დაუღლული ღორი გაეტევა დიდის გაჭირვებით. სვანეთის გზაზეც, თუ ფრთხილად არ იქენ, კლდე ან ხურჯინს შემოგაბეებს, ან კანქებს შეგავლევს, უარეს შემთხვევაში კი ცხენის წყლისაკენაც დაგაგორებს.

სვანეთის შესავალში მურის ხიდი სდგას სემაფორივით. მისი საძირკვლები კლდის ორ გამობერილ მტკელს შორის გაწვდილ ხელებსა ჰგავს. ბურჯი ან ჯებირი აქ ცხენის წყლის ტყვიისფერ ტალღებს ვერ დაუმაგრდება. ასეთი გაკიდული ჩიდეები ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილს აქვს მოხსენებული თავის გეოგრაფიაში.

გზის მშენებლობისათვის ტეხნიკაც, როგორც სხანს, აქ ისტორიულად მომდინარეობს. კლდე მაგარი. ბირი და წერაქვი მას ბევრს ვერას აკლებს. ადამიანიც კომპრომისზე მიდის. კლდის გასწვრივ ხის მორებისაგან ხიდებს აშენებენ, კლდეს თითქოს ავსებენ, მაგრამ მასზე ცხენით გავლა დიდ ჯამბაზობას ზოითხვს.

გზა აღმართს მისდევს, ნახტომებით. ცხენი ჯერ წინა ფეხებით მოსინჯავს ნიადაგს, დალილ კუნთებს მოსწურავს და ნახტომს აკეთებს, მგზავრს ერბოს სადღეებ გუდასავით შეანჯღრევს და შემდეგ მიდის ჩაქჩაქით დავაკებაზე.

გაეიარეთ პირველი სვანური სოფლები—დოლურაში, ნალომარი, რცხმელური, ყვედრეში. სვანური სოფლები ცხენის-წყლის ქალებსა და მთის ბორცვებზე არის შეთესილი. სვანების განიერი, მტკიცედ ნაშენი სახლები ზვარში

არის გახვეული. ვაზი თითქმის მთელს ქვემო სვანეთში ხარობს. მებატონეობა და მებოსტნეობა კი ეხლა იკიდებს ფეხს.

ცხენის-წყლის ზურგი თეთრად არის დასერილი ფიჭვის მარცხენა მხარეზე. ვისაველელები გატენილია მათი ჯორგებით, რომელთაც გაბრაზებით ეხეტებოდა ველურ ტახის ჯაგარივით აყრილი ტალღები. ზოგ ადვილას იმდენი მორია დაგროვილა, რომ წყლის ზედაპირი საეგებით დაფარულია. ათი-ხუთმეტრი საფენის სიგრძეზე თავისუფლად შეიძლება ფეხდაუსველებლად ისერიანო გაშმაგებულ მდინარის ზურგზე, რომელიც უილაჯო სობრაზისაგან იხრჩვება თქვენს ფეხქვეშ.

ხეზე მომუშავეები—მეჯოგეები შლიან ამ უდროვოდ შეკრულ ტიეს ჩანგლებით და კეტებით და მიერეკებიან ქვევით, დანიშნულების ადგილისაკენ.

ჩვენ კი ზევით და ზევით ვიწვეთ. მივალწივით პირველ თემის—ლენტეხის ცენტრს—ლექსურს. აქ არის ხე-ტყის დამუშავებელი არტელის კანტორა. წინად აქ ხე-ტყის დამუშავება იტალიელების ხელში იყო, შემდეგ ვინმე მოიჯარადრე—სორებრიაკოვის ხელში გადავიდა, ეხლა კი სვან გლეხების არტელის ხელშია. არტელი რკინისგზის სამმართველოს აწვდის ხე-ტყეს. ეხლა მუშაობის მიწურულია, წყალზე და ტყეში 600-მდე მუშა მუშაობს, გაზაფხულზე კი მათი რიცხვი 1.000 კაცამდის აღწევს.

ლენტეხში ოთხწლიანი შრომის სკოლაა, კოოპერატივი ქობ-სამკითხველო. ეხლა საფერზლო პუნქტის გახსნასაც აპირებენ. ღამე ლექსურში გავათიეთ. ისეთი სეტყვა მოვიდა, რომ ღამის სახურავი ჩამოგვიღეწა. მაგრამ დილით გადაიღო და გვალვით დამქნარ სიმინდის ყანებს ისევ შვის აღმური მოედო. შეეყვით ზევით, ცხენის-წყლის ნაპირს, მალე სოფელს გავსცილდით.

აქა იქ მთის ფერდობზე მაინც მოკრავთ თვალს ორიოდ მოსახლეს. სახნავ-სათესად გამოსადეგი ნაკვეთები ამ კლდეებში ოაზისებევითაა გაფანტული და გაჭირვებული კაცი საცა მოახლებს, იქ იწყებს ბინადრობას. მაგრამ ამ უღრან ტყეში, სოფლისაგან დაშორებით ცხოვრება ვერაფერი სასიამოვნოა. აქ დათვი ხშირი სტუმარია ყანების თუ ბოსლის. მათგან თავდაცვა არც ისე ადვილი საქმეა. მაგრამ „გაჭირვება მაჩვენე და გაქცევის გიჩვენებო“. სვანებსაც მოუხერხებიათ დათვებთან ბრძოლის საქმის მექანიზაცია. თითქმის ყველა ასეთ განმარტოებულ ყანისაგან ან ეზოდან მოისმის რაღაც მონოტონური რაბა-რუბი: ეს მექანიკური საფრთხობელია—სირახუნა, რომელიც წისქვილის მგზავსად წყლის ძალას მოჰყავს მოძრაობაში.

შუალღისას ჩოლურის თემში ჩავდიეთ. სოფლები წყლის გაღმა-გამოღმა ბორცვებზეა გაშენებული. აქა-იქ გზის პირას თითო ოროლა კოშკია ამართული. უფრო განაპირებულ სოფლებში კოშკების რიცხვი იზრდება. იქ, როგორც სჩანს, უფრო ძნელად მიუწვდებოდა მებატონეს ხელი. სწორედ აქაურ ყოფ. მებატონეების—გარდაუხაძეების სოფელზე მივდივართ. მოხუცი უხუტე ლიპარტიანი გვიყვება გარდაუხაძეების გვარის გენეოლოგიას.

გარდაუხაძეების წინაპარი—პატარა ბავში—გოდრით მოწყვანია აქაურ გლეხს ზურაბიანს აფხაზეთიდან სვანეთ-აფხაზეთის ომის დროს. მისი ნაწიერი გამძღავრებულა და სოფელზე გაბატონებულა. ამ გოდრით მოტანილ ფეოდა-

ლიზმის უღელი ჩოლურელებს მხოლოდ 1917 წელში გადაუგდიათ. სასრფლო კრებაზე მოწვეული გარდაუხაძეები, რომელთაც უარი სთქვენიცხადმანხადების მოხსნაზე და გლებებთან მშვიდობიან ცხოვრებაზე—თითქმის ერთიანი—სმოუელეტიბათ, სასახლეები კი ურთ-ერთში დაუნაწილებიათ.

ერთ ეზოში შეუხვეით წყლის დასალევაჲ. ჩამონგრეულ კოშკზე მიდგმულ ფარდულში სანიავებელი მანქანა სდგას, კალოზე კი პურს ნიჩბებით ანიავებენ. ოჯახის უფროსი კომკავშირის უჯრედის მდივანი აღმოჩნდა. მანქანა კოლექტიურად შეუძენიათ სოფელეებს, ეხლა სახელური მოსტეხია და უქმადა დგას. სეანეთის სოფელში ხომ ზელოსანს ვერ ნახავ.

ეს ერთად ერთი მანქანაა მთელს სოფელში და ისიც უმოქმედოთ სდგას. სხვა არაფერი გაკეთებულა სოფლის მეურნეობის გარდაქმნისათვის. სოფელში მზადაა ნიადაგი მეფუტკრეობის კოლექტივის ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ ლაშხეთის რაიონული აგრონომი არავითარ ზომებს არ იღებს ამ საქმის ორგანიზაციისათვის. სოფელმა ორი დღიური მიწა გამოჰყო საცდელ მინდვრის ქვეშ. 1926 წლიდან ეს მიწაც უქმად სდგას, აგრონომს ორჯერაც არ ვაუელია თავის რაიონში. თემში 2 ოთხწლედია და 4 წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა. ჩოლურში სამკითხველოც არის, მაგრამ გამოწერილი ეურნალ-ვაზეთები ან იკარგება, ან ორი კვირის დაგვიანებით მოდის. ფოსტა საერთოდ მთელს სვანეთში კუს ნაბიჯით დადის. სამაზრო პოლიტვანი ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას სამკითხველოებს. ჩოლურელებისათვის რადიოაპარატი უჩუქებიათ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რელიზაციის კამპანიის ვარჯად ჩატარებისათვის. მაგრამ აპარატს რაღაც ნაწილები აკლია. საამისო ფულიც შეუგროვებით შაბათობაზე, თბილისში გადაუგზავნიან, მაგრამ ამაოდ ელოდებიან რადიოს ამუშავებას აგერ ერთი წელიწადია.

ჩოლურიდან ცხენის წყლის ქალა ოღნავ იშლება, გზა წყალს შორდება და მგზავრს აღარ აყრუებს მდინარის განუწყვეტელი შხელი. ლაშხეთი ქვემო სეანეთის უკანასკნელი თემია. ის შორს არის გაფანტული მდინარე ცხენის წყლის ნაპირზე და ათი თუ თორმეტი სოფლისაგან შესდგება. ლაშხეთი რაიონული ცენტრია ქვემო სეანეთის სოფლებისათვის. აქ არის აგრონომიული, საექიმო პუნქტები, სახელმწიფო დაზღვევის კანტორა, კოოპერატივი და სხვ. შენობების სიწიწროვის ვამო დამზღვევი კანტორა სამკითხველოს შენობაშია მოთავსებული, შიგ კი არც სკამია და არც მაგიდა. სამედიკროდ სასკოლო შენობა მშენივრად არის მოწყობილი. ლაშხეთში სულ 3 ოთხწლედია, ამდენივე წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები. რადიო, როგორც ყველგან, მოშლილია.

სვანეთი არაჩვეულებრივი მდიდარია მინერალურ წყლებით. მდინარე ცხენის წყალს მარჯვენა მხრიდან ერთეის რადიო-აქტიური მდინარე ფიშყორი, რომლის ძალა იმდენად დიდია, რომ სპეციალისტების გამოკვლევით ამ რადიოაქტიურობას ცხენის წყალიც ინარჩუნებს რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ფიშყორის შესართავიდან.

ცხენის წყლის მარცხენა ნაპირზე, მაღლა ბორცვზე, ივარაკი მოაშია. ის ვანთქულია თავის მგავე წყლით. ავარაკს ირველივ მშენიერი ფიქვნარი აქ-

რავს. აქ საექიმოდ მიდიან საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. ამქაშად აგარაკზე მხოლოდ ლეჩხუმელები და ზემო-სვანეთიდან ჩამოსულნი და დარჩენილი. აქაური შეავე წყალი მეტად მსუბუქი სასმელია და ალბად ამქაშა ზოგჯერ კრამ მოავარაკები მას განუზომელად ბევრს სვანენ.

სალამოს ცეცხა-თამაში გვიმართა, ზემოსვანები და ლეჩხუმელები ერთმანეთს ვაეჯობრნენ ცეცხაში. დილით მზის ამოწვევამდის ლატვარის გზას შეუდევით. ჩემი გამყოლი იდგილობრივი მცხოვრებია, მაგრამ მისაც გზა აებნა. აქაური გზები წვიმისაგან მარილივით დნება. მთელი სამი საათი ვიხეტიალეთ ლობე-ყორებში და ცხენის წყლის ქალაში, სანამ სოფელს თავს დავალწევდით და მთის მუცელზე მოვექცევოდით. გზაზე გამოგვიყვანა ასოცი წლის მოხუცია—მიქეონიანმა. ასე ამბობენ სხვები მის შესახებ: მოხუცებმა კი თავისი ჰასაკი არასოდეს არ იციან. მიქე თავის წლოვანებას პირველ „დიდ დაღამებიდან“ (მზის დაბნელებიდან) სთვლის. იმ დროს ახალგაზრდა, მწვეში ბიჭი ყოფილა. მას ახსოვს, თუ ხონიდან როგორ ეზიდებოდნენ მარილს ზურგით სვანეთში. მის ისიც ახსოვს თუ რა სენსაცია გამოიწვია სვანებში მის იქ ყოფნისას ჩამოსულ რუს ჯარისკაცების ქუდმა. ის ეხლაც ქარმაგათ გამოიყურება. ტანში ოდნავადაც არ არის მოზრილი. მისი ღრმად ჩამქდარი და ოდნავ გაწყვილებული თვალები ჯერ კიდევ ცოცხლად გამოიყურებიან. წალდი ქამარში გიურია, მხრებზე ვარდი-ვარდო გადავლებულ ღვედზე სვანური ყმა-ხანჯალი ჰკიდია, ყალიონს ამოლებს და თავისუფლად მოალაჯებს გაცოფებულ მთის მდინარეზე გაგდებულ ხის მორზე, სადაც ახალგაზრდასაც კი მუხლები აუკანაღდება. მესხურება მთის წყაროსავით წმინდა აქვს. მინდა საუბარში შევეყუე, მაგრამ თითონვე მაწყვეტინებს—ადრინადად შეუდევით, თორემ ლატვარზე დავისიცხებთ, ცხენის ბუზი შეგაწუხებთ. წალდის ტარით ჩამორუცხილ ბილიკის დასაწყისზე მივვითითა და თითონ ხაჩებ ბუჩქნარში შეუხვია.

ბილიკი ხან არყის ხის ბუჩქნარში, ხან სათიბებს შორის მოიკლავნება, ერთ ხანს ჩვენს წინ იშლებად ცხენის წყლის ქალა და მისზე გაბნეული ქვემო სვანეთის სოფლები, შემდეგ კი ისე მაღლა ამოვედით, რომ მხოლოდ მოპირდაპირე მთის მწვერვალები გვისწორებს თვალს. აქ კი ნამდვილ მთის ტყვეთ გრძნობს კაცი თავს. ამდენი მწვერვალი, ამდენი მთა, კაცს სული შეეხუთება. ეს პატარა ბილიკი, მთის ზურგს რომ მისდევს, მოგონილი რაღაც გგონია, თითქოს აქედან არ სჩანს ხსნა და გამოსავალი. ერთმანეთზე მიდგმული მწვენი მთა-გრებილები ჩრდილოში წამოწოლილ ფანტასტიურ ჯოგის ზურგებსა ჰგავს, თოვლით და ყინულით დაზინული კავკასიონის მთავარი ქედი თითქოს თოქუა იცმული და ჰაერში გამოკიდებული გასაშრობათ. რომ აღმართის სიმძაფრე შეანელოს გზა დაუბოლავებელი გველივით იკლავნება. ჩვენს შესახვედრათ ცხენოსანთა ჯგუფი ეშვება თავქვე. ისინი გზის შესამოკლებლად პირდაპირ მოექანებიან დაკიდულ დაღმართზე. ქალაქიდან მომავლად გვიცნეს და ცხენება შეაყენეს. ერთი მათგანი, უფრო ახალგაზრდა თბილისში მიეშურება მუშუაქში შესასვლელად. ვადისთვის გადაუცდენია და ეშინია თავისი ჰერი არ დაჰკარგოს. თბილისის მისამართები მივე. ცხენის ტახტზე წერილები დაუწერე და შეუხვით ისევ

აღმართს. ჯერ ლატფარის გზით მივდივართ. ლატფარის გადასავალიდან გზა სოფ. კალაზე მიდის. მე კი უშგულში მინდა შეხვედრის უშგული ყველაზე უფრო განაპირა სოფელია ზემო-სევანეთის, ლატფარის სიახლოვეში გაჩხირული, ყველაზე უფრო დამახასიათებელი ძველი სევანეთისათვის. ამიტომ ლატფარს გვერდი აუქციეთ. მარჯვნივ აუწყევით გორგაშის გადასავლი-საკენ.

მთაში თვალზომას ვერასოდეს ვერ დაენდობა. გორგაშის მწვერვალი თით-ქოს ცხვირ-წინ მოსჩანს, მაგრამ ამ „მოკლე“ მანძილს ორი საათის ქშენით ძლივს დაღვეთ. გორგაშის მთა გადავიარეთ და მთაგრეხილის ზურგს დაუყვეით. ცო-ტა ხნის შემდეგ გადასავალს მივაღწეით. ცხენის წყლის ბეობა, ქვემო-ს-ანეთი უკვე უკან მოვართოვით ჩვენ წინ ინგურის ბეობაში გაბნეული ზემო-სევანეთის პანორამა იშლება. ჯერ სოფელი არსად სჩანს, მაგრამ ქოსა შევდგების მთის დაბლა კალთებზე უკვე ყვითელ მწვანეთ მოქსოვილი ფარდავი გადაიშალა. ყვითლად ქერის ყანები გამოიყურებიან, მუქი მწვანე კი მეორედ შემოსული სა-თიბებია. ბილიკი შეეულად დაკიდულ თავდაღმართზე მიემართება. მალე კოშ-კების ტყე აიშრათა ჩვენს წინაშე. ეს უშგულის თემის სოფლებია—ჩაქაში, ბურ-ყმელი, ყიბიანი—ქარაგანივით წაბნული ერთმანეთზე. სოფლებს ქუში, მრისხანე გამომეტყველება აქვთ. მე მაგონდება მუხეუნებში ნახული საშუალო საუკუნე-ების რაინდების მანკეენები. ვერსად ერთ წერტილს ვერ უნახეთ, რომ შუბის ან ისრის წვერი დაუმიზნოთ. აქაც სოფელი დრო-გასულ რაინდივით შავი-ქვის აბჯარ-მუხარადში ჩააჯდარა. უშგულს ირგვლივ ტიტველა მთები ახლავს, სიცივის გამო შვერის მტეი აქ არაფერი ხარობს. ხე-ტყის მოზიდვა კი შორი-დან, სევანეთის გზებით, წარმოუდგენელ სიძნელეს წარმოადგენს. საშენ მასალად აქ შავ ფილაქანს—შიფერს ხმარობენ, შვიშის უქონლობის გამო შვერის წინესს და საქონლის პატვის სწვავენ, მათი მური კიდევ უფრო ქუშ, მიუჯარებელ სა-ხეს აძლევს სოფელს. ხუთი კილომეტრი თავიკვე მივდივართ. გზა უშგულის შუა სოფელ მურყანზე მიდის. მურყანი სევანურად კოშკსა ჰქვია. ეს სოფელი მართ-ლაც ერთის არქიტექტორის გეგმის აგებულ ციხე-კოშკსა ჰგავს. სახლები ერთ-მანეთზეა მიკრული, ხეს ან ბოსტანს აქ ვერ დაინახავთ. ყოველ სახლთან 4—5 სართულიანი გიგანტია იმართული. თვით სევანებსაც ანციფერებს მათი კოშკების სიდიდე. ეხლა ცალკე მოსახლეს უბრალო სახლის აგებაც უძნელდება. ორი-სამი საუკუნის წინად კი თითოეულ გლებს თავისი ციხე-დარბაზი აუგია. სახლებიც ხოა აქ უძველესი დროის ნაშენია, შიგ ერთ ნამკვე ხესაც ვერ ნახავთ, საძირ-კვლები, კარის მოაჯირები ციკლოპიურ სიდიდის ქვებით არის ამოყვანილი. სახლი ერთობ ფართე და დამტეგია—ის უმეტეს შემთხვევაში ორსართულიანია და ხშირად ექვსი ან რვა ფართე ოთახისაგან შესდგება. ოთახები კიბეებით არის ერთმანეთთან შეერთებული. აქ ხამთრობით თავისუფლად თავსდება სვანის მთე-ლი ოჯახი. მისი საქონელი და მათი საკვები. სახლის მოწყობილობა სევანეთში ძალიან მარტივია. რამდენიმე დაბალი, გრძელი სკამი, ერთი ხელსაყრდენიანი რალაც ტახტის მაგვარი სკამი ოჯახის უფროსისათვის, რამდენიმე თივით ან ჩა-ლით გატენილი ხის ტახტი, ქურქლეულობა და იარაღი. შეიძლება დარბაზის

სიფართოვრის გამო გამოიყურება სვანის საზღვრულ სადგომი ასე ცარილად. სახლს კომსთან ვიწრო გვირგვინს მსგავსი ვისავალი აერთიანებს, ხანაც კაცო ფორთხვით ძლივს გაეტევა. კომსის პირველი სართული მასწავლებლის, ხანაც სართულები კი დაწინულ კიბეებით არის ერთმანეთთან შეერთებული; ვიწრო სათოფურები სინათლეს ძუნწად უშვებს, ასე რომ მოშლილ კიბეებზე ფორთხვა ამ სიბნელეში ერთობ სახიფათო საქმეა.

სოფელ ვიბიანში სახკინძრეწვის კინოექსპედიციის გადაწყვიტა. აქ მუშაობენ ახალგაზრდა რეჟისორები მ. კალატოზიშვილი და ლ. ესაკია. უშგულში არც კოოპერატივია, არც საექიმო პუნქტი, არც ავროპუნქტი. კინო-ექსპედიცია სკოლაშია დაბანაკებული. მეც მათთან შევაფარე თავი. უკვე საღამოა. უშგულს თავს დაკუთრებს შაჰრის მუნჯარები. ინგურის სათავემდე აქედან ხუთი ვერსია. საღამოთი ისეთი სუსხია, რომ ნაბადშიაც ატანს. დილით რეჟისორის სასტვენმა გამომიღვიძა, სოფლის დასათვალისწინებლად გავემართე. უშგული ერთობ მოწყვეტილია საშაზრო ცენტრს და უკუთრდებოდაც არის მიტოვებული. ზამთარში მიმოსვლა შესტიამდის გაძნელებულია. მთელს ოთხ წლებში ერთად ერთი მასწავლებელია. სწავლა ზემო-სვანეთში ერთობ სეზონურ ხასიათს ატარებს. სამოსწავლო წლის დასაწყისში თითო ჯგუფში 25—30 მოწაფეა. გასაზრდულზე კი, როცა სეზონური საშუალები იწყება, მასწავლებელს თურმე შეჭრით უბედება მოწაფეების მიზიდვა სკოლაში, თვისაიჭო სუსტად მუშაობს. აღმასკომის თავმჯდომარე, ახალგაზრდა მოუშაადებული და გაოუცდელი კომკავშირელი, ვერ სარგებლობს სათანადო ეტორიტეტით. კომკავშირელები თითონ გრძობენ, რომ მომზადება ესაკირობათ. მაგრამ მშველელი არეინ არის. კომკავშირის ხამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობა აქ სუსტია. მაზრიდან ორჯერაც არ მოვა კომკავშირის ინსტრუქტორი. პოლიტსკოლა უჯრედთან არ მუშაობს, სამკითხველო აქ არ არის, რომ თვით-განვითარების გზით მიანიც შეეძლოს სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდას თავისი ცოდნის ოდნე გაფართოვება. საშუალო კი ერთობ ბევრია, უშგული, როგორც ვსთქვით, ყველაზედ მივიარდნილი და ჩამორჩენილი კუთხეა ზემო-სვანეთის. ძველი ყოფა-ცხოვრება ძველი ზნე-ჩვეულებანი აქ ჯერ შეურყვევლად სდგანან.

მეორე დღეს უშგულის განთქმული „ლეთის-მშობლის“ ეკლესია დავათვალიერეთ. უშგულის ეკლესიასთან არის დაკავშირებული გადმოცემა ფუთა და დიშქელიანის მკვლელობის შესახებ. ეს გადმოცემა თავისი შინაარსით ძალიან წიაგავს ლოპედე-ვეგას პავსის „ცხერის წყაროს“ ფიბულის, გადმოცემით უშგულს კოლექტიურად მოუკლავთ თავისუფალ სვანეთზე გაბატონების მოსურნე ფეოდალი. ცალთვალა მნათე იღვქსი ეზლაც გვიჩვენებს სკივრში ჩაობებულ ფუთას ტანსაცმელს. ეს რაღაც ბიზანტიურ სტილზე შეგვრილი ფარჩის მოსახამია, ეკლესიის საკლენაოში შენახულია ძველებური საკაცე, ბორკილები და სათემო დროშები. აქვე ვებერთელა ჭვები, რომელშიაც მთელი ხარი მოიხარშება.

მეორე დღეს მესტიისაკენ გავემგზავრეთ. ჩვენი გუნდი საკმაოდ კრედი შემიადგენლობისაა. აქ არის მესტიის აბანოს გამგე მურზაყან და დეშქელიანი, კინო-ექსპედიციის სამეფრნეო ნაწილის გამგე სიმზო იაკობაშვილი, სვანეთის

მომღერალთა გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი სიმონ ასეიანი დაერთი რუსი მხატვარი ქალი.

გზა ქერის ყანებზე მიდის. გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე სხივანური ნამგლის წკრიალი ისმის. დაქარწყანებული, თხისაგან დაშვარი სვანის ქალები მამაკაცებს ტოლს არ უგდებენ მუშაობაში. ბავშვებს საგნალი მოაქვთ მომკვლევასათვის—უმარილოდ მოხარშული ქართოვლი და არაყი.

სვანები ჩინურის პრიმიტიულობით, მაგრამ ჩინურივე გულმოდგინებით ამუშავებენ თავიანთ პატარა ნაკვეთებს. მოკილი ნაკვეთები ახალ მოპარსულ ყბასა ჰგავს. პატარა ძნები ცხენის ძეშავით არის გაოსკენილი თავში. მკის დროს დაბნეულ თავთავეს პატარა ბალუბა აგროვებენ. ლეწვის დროს ბარებს ტურები აქვთ აკრული, რომ თავთავს უკბად პირიარ წამოჰკრან, აქ თვითველი მარცვალი ძვირად ფასობს. უკვე სექტემბრის დასაწყისია, მაგრამ ქერის ყანები ჯერ კიდევ კარგად არ არის შემოსული. თუ თოვლა ან სეტყვამ მოუსწრო, მთელს მოსავალს გაინადგურებს.

მომკელთა ერთი ჯგუფი გზის პირას საღებობს, არაყზე მივიპატროვს. ერთი მომკელთაგანი კალის თემის სკოლამ მასწავლებელი იღმონდა. თავის ნათესავებს ეშველება სამკალში. კალია სკოლის ამბები გააუკეთებ. ისიც ცენტრსაგან მოწყვეტილობას და უყურადღებობას უჩივის. კალის თემში ორი ოთხწლედი—ერთი ლალბორში და ერთი ხალღში. მაგრამ თითო ოთხ წლედისათვის მახრა თითო მასწავლებლის მტეს არ იმერებს. მაშინ როცა ქვევითა თემებში—ოთხწლედებში 2—3 მასწავლებელია. წ. უ. სალიკვიდაციო სკოლის ხელმძღვანელობა და სხვა ყოველგვარა საზოგადოებრივი მუშაობას წარმოება მასწავლებლის კისერზე გადადის. მასწავლებლის ხელძღვებლობით სოფელს გამოუწერია 25 გუთანი და 15 ფარები. სკოლასთან მოუწყვათ საცდელი ბოსტანი სათბურებით. ასეთი დატვირთვის პირობებში მასწავლებლისათვის ძნელია უკვე საკუთარ ცოდნის შეესებაზე ფიქრი, ისიც ისეთ პირობებში, როცა თემში სამკაობელო არ არის, როცა გიზეთებია ორი კვირის დაგვიანებით მოდის. ასეთ პირობებში დიდი საშუალებაა რადიო, მაგრამ რადიო ცენტრი ვერ აქცევს ამ საქმეს სათანადო ყურადღებას. აქ თითქმის ყოველ თემში სდგას რადიო აპარატი, რომელიც ტექნიკისის უყოლობის გამო ტყველა ეანგდება. ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიაც ისეთივე მდგომარეობაა. თუ ქალაქში საჭიროა ხმამაღალი შოლაჩარაყ ყოველ ბ.ღ.ში და ყოველ მოედანზე, ერთი ასად იზრდება რადიოს მნიშვნელობა ასეთ მივიარდნილ კუთხეებში, სადაც ქალაქის ამბები ხუთმეტრი დღის დაკვიანებით იღწევს. ამის შესახებ ერთხმად გაიძახის ყველა საზოგადოებრივი მუშაკი სოფლად. ფაქტსა და ეყრნალ-გაზუთების მიწოდებაშიც უნდა მოხდეს ძირითადად გარდატეხა, თორე ჩვენი სოფლის ინტელიგენციას ასეთ მივიარდნილ კუთხეებში სრული გადაგვარება და დაქვეითება მოეღის.

II



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

კალაში ცნობილია წმ. კვირიკეს ეკლესია. ტყით დაბურვულ მთის სიმაღლე-რეალოზე აღმართულს, მას მხოლოდ ერთი ბილიკი მიუღას. მაგრამ ამ ბილიკითაც არ შეიძლება მასთან თუნდ სათოვფეხედაც მიახლოვება. დღე დაღამე ეკლესიას ოცი შეიარაღებული კაცი იცავს. აქ ინახება მთელს სვანეთში თავის „ძალით“ განთქმული „შალიანის“ ხატი.

ინგურის მარჯვენა ნაპირზე, მდინარე ხალდეშის ღრმა ხეობაში, სოფ. ხალდეაა გაშენებული. ეს ისტორიული სოფელია. 1876 წლის აჯანყების დროს ის მიწასთან გაასწორა რუსის ჯარმა სვანეთის თავადაზნაურობის ხელმძღვანელობით და დახპარებით. ამიტომ აქ ვერსად ნახავთ კოშკებს. საერთოდ, მათი რიცხვი შესამჩნევად კლებულობს კოშკების ნამდვილ სანერგე—უშგულს ქვევით. სოფელი უფრო მშვიდობიან სახეს იღებს. სვანურ ნაგებობებში აქა-იქ იშვრულ ყაიდაზე აშენებული ხის ან ქვის ოდა გამოიჩევა. იმას ხე-ტყის მასალის სიხალრვეც უწყობს ხელს. რაც უფრო შორდება უშგულს, მით უფრო მდიდარი ხდება ზემო-სვანეთის ბუნება.

კალიდან თორმეტი ვერსის დაშორებით მდინარე ინგური ერთბაშად მოდრეკება დასავლეთისაკენ და ტყით დაბურვულ გაუქალ კლდეებში იკვალავს გზას. ამ მოსახვევში, ინგურის ორსავე ნაპირზე, გაფანტულია იფარის თემის სოფლები.

იფარის თემში 4 ოთხწლედია და ორი საღაკეიდაცია სკოლა. სკოლების რიცხვი საკმაოა, მაგრამ მუშაობა მათში, როგორც სხანს, ხათანადოდ ვერ არის დაყენებული. სამოსწავლო წლის მიწურულში მთელს სკოლაში ერთი ან ორი მოწაფე რჩება და მასწავლებელს უხდება მთელი დღეუფაკიის გაგზავნა ამ ორ მოწაფესთვის, რომ რვეზიის დროს სკოლაში გამოცხადდენ. დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს აგრეთვე რაიონული 7 წლედისა და ცხრაწლედის უქონლობა.

კეშირი მაზრასთან, მიუხედავად სიხალრვისა, სუსტია. პარტიის უჯრედი 13 წევრ-კანდიდატისაგან შეესდგება, კომკავშირის კი 30-საგან. მუშაობა მათ შორის სუსტად მიმდინარეობს. კომკავშირის უჯრედის მდივანი ერთდროულად კოოპერატივის ნოქარიც არის და აღმასკომის მდივანიც, ეს ძალების უყოლობის გამო. საერთოდ ადგილობრივი ინტელიგენცია, ისედაც მცირერიცხოვანი, გაურბის სვანეთში მუშაობას. თუ სადმე ფეხი მოიკიდა ქალაქში, პირს ძვირად თუ იბრუნებს სვანეთისაკენ.

გზა იფარში ინგურის ნაპირებს შორდება—ჩრდილოეთით უხვევს უღვირ-ზაგარის ვადასავლისკენ. უღვირ-ზაგარის მალლობი ინგურის ხეობას ჰყოფს მულახის წყლის და მესტიის წყლის ხეობისაგან.

ვადასავლიდგან მგზავრის თვალწინ იშლება მულახის წყლის ხეობა, გარშემორტყმული ორსართულიან მწვეანე და თოვლით შევსებულ მთებით — გზა შევეულად ჩამორბის ჭალისაკენ და შემდეგ მდინარის მარცხენა ნაპირს მისდევს. მუქალი განზე დაეტოვებ, მულახის სოფლები — ქოლაში, კამუში, ლახირი მდინარის მარჯვენა ნაპირზეა შეფენილი. გზის პირას რამოდენიმე ადგილას

მინერალური წყლები გამომდინარეობს. მათი მიდამოები თხებით არის საეკსპლუატაციო გზაში ჩვეულებრივ წყალზე უარი სთქვამს. აქ კარგად ნაპოვნი იქნა მინერალური წყლები, რომლებიც მთელი წელიწადი მთელს მსოფლიოს მსოფლიო მნიშვნელობის მქონე წყლებად ითვლება.

შეზინდება. მესტიის თემის ცენტრში—სეტში შევედით. ამ ადგილას თავისი მულახის და მესტიის მდინარე. ორთავეზე, თვალმოპყროლ სიმაღლეზე გადებულია სვანურ კონსტრუქციის უჯებირო ხიდი. ხიდზე სვანურ „სასწრაფო დახმარების“ ეტლმა შეგვაჩერა. ეს ჩვეულებრივი სათრეველა — მარხილია. ამით ეზიდებიან აქ ყველაფერს — პურს, სიმინდს, თივას, ჯანმრთელსა და ავადმყოფს.

საექსპლუატაციო ბაზის, ან როგორც აქ ეძახიან „რუსების სადგომი“ ს წინ მზისაგან დაბრალული ექსპლუატაციის დგანან. შუა-ქუჩაში სამოვარს ახალბენ.

სამაზრო ცენტრი — მესტია დიდით არაფრით გამოირჩევა სხვა სვანური სოფლებიდან. ვაჭრობა და ალემ-მიცემობა აქ არასოდეს არ ყოფილა განვითარებული. ამიტომაც აქ არ არის ბაზარი. მხოლოდ აღმასკომის შენობა და საავადმყოფო გამოიყოფა სხვა სახლებისაგან: მესტიაში ადმინისტრაციულ ცენტრის გადმოტანასთან დაკავშირებით ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც იწყეს ევროპიული სახლების აგება. სვანები ამ შემთხვევაში დიდ წამბაძველობას იჩენენ. მაგრამ ვაი ასეთ მშენებლობას: სვანეთში არასოდეს არ ყოფილა განვითარებული ხელოსნობა. წინედ სვანები ცხენის დასაქედად ცაგერს მიდიოდენ. ასე რომ ცხენს შინ მისვლამდე დასცივდებოდა ნალები. ნებრხავე რაა, სვანეთი ხომ ასე მდიდარია ტყით, სვანეთში ბის ხერხეც კი უცნობია მცხოვრებთათვის. ამიტომ საშენი მასალა აქ ტფილისზე ძვირი ჯდება. მაგრამ ცხოვრებას თავისი გააქვს და ასეთ დღეში პირობებშიც კი ძველი სვანეთის სოფელი იერს იცვლის. აქ ხშირად ნახავთ ძველ კოშკში შეზრდილ ორსართულიან ევროპიულ ყაიდაზე აგებულ სახლს. ზოგჯერ მოსახლეს ორივე ტიპის სახლი აქვს — ახალი ევროპიული და ძველი სვანური. მაგრამ ტრადიციის ძალა დიდია. ზამთარში მაინც სვანურ სახლში ცხოვრებას არჩევენ.

მესტიაში არის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა და ოთხწლიანი. პირველი მოელს რაიონს ემსახურება. მისაღებ გამოცდებს დაეესწარით. სვანი ბავშვები ნიჭიერი ჩანან. მაგრამ ასაკთან შეუფერებლად დინჯი და ჩაფიჭებული გამომეტყველება აქვთ.

დასასვენებელი და გასართობი ადგილი მესტიაში არ არის. ზამთარში აქ მოძრავი კინო ჰქონიათ და ახლა ისიც მოშლილა. აღმასკომის შენობაში მოთავსებული კლუბის ოთახი მხოლოდ ნარდის სათამაშოდ თუ გამოდგება. ვერც რადიო მოქმედობს წესიერად.

მეორე დღეს სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ, ამხ. ნაგერიანმა ახალი მშენებლობა დაგეგმილია ჩვენსად. საბჭოთა მშენებლობა აქ არსებითად 1924 წლიდან იწყება, უგზობის და ტრადიციის უკონკრეტობის სახით მას დიდი დაბრკოლებათა გადალახვა უხდება. მაგრამ მიუხედავად ამისა, მშენებლობის ყველა დარგში ბევრი რამ არის უკვე გაკეთებული. მაგ. სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში — 1921 წლიდან მთელს მარხიში მხოლოდ ერთი საფერწლო

პუნქტი არსებობდა — სოფელ ბეზოში და ერთი საივედმყოფო სოფ. მესტი-
აში — 6 საწოლის, 1 ექიპით და ერთი ექიმის თანაშენწიფი, 4 დე ვრჯი ბები-
ქალით. 1924—25 წლიდან აქ იხსნება ჯანმრთელობის განსწავლვის საექიმო
პუნქტები კალიაში და ლახამულაში. მესტიაში გაიხსნა კბილის სამკურნალო
კაბინეტი, საივედმყოფოში საწოლების რიცხვი გადიდებულ იქნა 15-მდის. მო-
ემატა საივედმყოფოს შტატსაც. იხლა საივედმყოფოში 1 თერაპევტი, 1 ქირუ-
რგი, 2 ბებიქალი და 4 მომუშავე მუშაობს.

საივედმყოფო მანც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას.
ამკამად მესტიაში შენდება საივედმყოფოს ახალი შენობა 35 ოთახისაგან. შე-
ნობის აგება ჯდება 72000 მანეთი. აქვე შენდება დედათა და ბავშთა სახლი
და საექიმო პუნქტი ლახამულაში.

განათლების დარგშიც ბევრი რამ არის გაკეთებული. სენეთში სულ მუ-
შაობს 21 ოთხწლელი, ორი გლებთა ახალგაზრდობის სკოლა. მოწაფეთა რიცხ-
ვი შრომის სკოლებში უარის 914-ს და გლებთა ახალგაზრდობის სკოლებში
123. მაგრამ გლებთა ახალგაზრდობის სკოლები ვერ აკმაყოფილებს მოთხო-
ვნილებას და მრავალი ოთხწლელ დამათარებელი სკოლის გარეშე რჩება.
1927 - 28 წელს მაზრაში გახსნილი იყო 15 წ. კ. უკოდინარობის სალიკვიდაციო
სკოლა. ამ სკოლებში წერა-კითხვა შეისწავლა 226 მსმენელმა. აქედან 150 მა-
მაკაცმა და 76 ქალმა. გარდა ამისა, გასულ წელს მუშაობდა 2 პროფესიონა-
ლური სკოლა.

სკოლების შენობები ყოველგან ცუდ მდგომარეობაშია. წელს სწარმოებს
სკოლების შეკეთება 15 სოფელში. შენდება აგრეთვე ათწლედის შენობა ლენ-
ჯერში და ოთხწლელი ლახამულაში.

უწყულში ელახან დაარსებულ მებროხეთა არტელის გარდა ჯერ-ჯერო-
ბით სენეთში არ არსებობს სხვა კოლექტიური ან საბჭოთა მებროხობა. მებ-
როხობის გასანვითარებლად, რომელიც საესებით უცნობია სენეთისათვის, წელს
ბეზოს რაიონში წარმოებულ იქნა ცდები ვაშლისა და მსხლის დამყნისა რე-
სეთიდან შემოტანილ სანერგებზე. მესაქონლეობის გასანვითარებლად სამაზრო
აგრო-განყოფილებამ მიწათმოქმედების საბ. კომისარიატის ზოოტექნიკურ ინ-
სტიტუტის დახმარებით ზაფხულის პერიოდში გახსნა კურსები, რომელშიც კარ-
გი შედეგი გამოიღო.

სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე აქ, ისე როგორც ყველგან, დიდი მო-
თხოვნილებაა. დღემდე შექენილ იქნა 40-მდე გუთანი, 15 ფარეხი და 1 ხანია-
ვებელი მანქანა. მოქავალი წლისათვის მიწისაგომი დაპირდა 45 გუთნის გადი-
გზუნას.

საერთოდ გაგრელებულია შეხედულება სენეთზე, როგორც ჩვენი ქვე-
ნის უღარიბეს კუთხეზე. ეს საესებით სწორი არ არის. მართალია, ზოგიერთი
სოფელი, როგორც მაგ. კალა-უშგული, ერთობ ცუდ გეოგრაფიულ პირობებში
იმყოფება, მაგრამ საერთოდ სენები დიდათ არ ჩამოუვარდებიან ბარის, ყოველ
შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს მებროხებთან. მიუხედავად მიწის სიმცი-
რისა, სენეთი მანც ახერხებს საკუთარი პურით გამოკვებას. ერთობ ცუდ

მდგომარეობაში იყო სევანეთი ამ რამოდენიმე ათეული წლის წინანდ, როდესაც სევანები ჯერ კიდევ არ იცნობდნენ ქართოფილის კულტურას. მათი ქართოფილმა, როგორც ერთ ღროს საფრანგეთში, მთელი რევოლუციის მანძილზე სევანეთის სოფლის მეურნეობაში. ქართოფილი აქ მშვენიერ მოსაეაღს იძლევა, დღიურზე 200—300 ფუთამდე, მაშინ როდესაც იმავე ნაკვეთზე 15 ფუთი ქერი ძლივსლა მოდის. წვრილი და მსხვილფეხა საქონლითაც სევანეთი ბევრ სხვა კუთხეს არ ჩამოუვარდებია.

სევანურ სოფელში ადგილი აქვს ღრმა დიფერენციაციას. გზები და საშუალებები სოფლის ფენებად დაცოფისა აქ მრავალგვარია. მევახშეობა—ფულის გასესხება ზოგჯერ 100%ით, პურის გასესხება ახალ მოსავლამდე, ორმაგად გადახდის პირობით, ოსეთიდან და ყარაიხიდან ჩამოყვანილი საქონლის ყიდვა-გაყიდვა, საქონლის საკვების გასესხება ზამთარში ასევე ორმაგად გადახდის პირობით და სხვ. მიწაც არათანაბრად არის განაწილებული. ადგილ-მამულ-ლი და შემოსავალი აქ აღრიცხული არ არის, გადასახადით არაიენ არის დაბეგრული. როდესაც რამე დახმარებაზე მიდგება საქმე (სასწავლებელში გაგზავნა, უფასო საეჭიმო დახმარება და სხვ.) ყველა, ერთნაირად იწვედის ხელს დახმარებისათვის და შეუძლებელია იმის გამოორკვევა, თუ ვინ არის დახმარების ღირსი და ვინ არა.

შეიძლება აქაურ გადასახადებზე ზოგიერთს ისეთი შეხედულება ჰქონდეს, რომ „ჩიტი ბღღენად არ ღირდაო“, მაგრამ გარდა წმინდა ეკონომიურ მნიშვნელობისა, ჩვენს საგადასახადო სისტემას უაღრესად პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ამაში შეღავნდება ჩვენი დამოკიდებულება სოაქლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისადმი. უამისოდ ღარიბ გლეხობის შეუგნებელ ნაწილში ვერასოდეს ვერ აღმოვეყვებით მურვან-ყრუს დროინდელ შეხედულებას, რომ მდიდარი და შეძლებული მისი შენწე და ქომაგია, გარეშე ასეთი გამოიჯენისა შეუძლებელია მათი ფენებრივი შეკავშირება-შამოყალიბება, მათი დარაზნევა სოფლის ექსპლოატატორულ, კულაქურ ნაწილის წინააღმდეგ.

არაფერი არ ელოდება წინ სევანეთში სავალდებულო სამხედრო ბეგარის შემოღებასაც. არც სევანები არიან ამის წინააღმდეგი. ამ რამოდენიმე ხნის წინანდ სევანეთის მახრას დაუთმეს შვიდი ადგილი სამხედრო სკოლებში. აუარებელი მსურველი აღმოჩნდა სამხედრო სკოლაში შესვლისა. აქაურ კომკავშირელებში და პარტიულელებშიც დიდია წყურვილი სამხედრო საქმის შესწავლისა. თუ გაყვანა არა, ყოველ შეთხვევაში შესაძლებელია ტერიტორიული ნაწილების ადგილობრივ შექმნა ათას ექნება მნიშვნელობა არა მარტო ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უზარაანობა განმტკიცებისათვის, არამედ ადგილობრივი მუშაკების მომზადებისათვისაც.

8 აგვისტოს, მზემ ამოჰყო რა თავი თეთრად შესუღრულ თვეთნულდზე, მესტიიდან თავქვე დავეშვიტ ჯვარის გზით. ნახევარ საათში ლენქერის თემში შევედით. აქ ათწლედის წენობას იგებენ, ამისთვის აგურის ქარხანაა გამართული. ეს ალბათ პირველი აგურის ქარხანაა სევანეთში და ამიტომაც არის საესტ-ბით პირველყოფილი წესით გამართული. ქარხანას ქურა არ აქვს და აგურებს წაბლავით პირდაპირ შუა-ცეცხლში სწვავენ.

ლატალი უკანასკნელი სოფელია ყოფილი თავისუფალი სენიანის, მის სა-
დარაჯოზე დგას და ამიტომაც დაურქმევიათ ისეთი სახელი, ^{სენიანი} სენიან-
რად დარაჯს ნიშნავს. მულახ-მუთალის მსგავსად ლატალი ულამაზესი სოფელია
სენიანთში. ის რამდენსამე ბორცვზეა შეფენილი. აქ ერთდება შხარიდან გაპომ-
დინარე ინგური და მულახის წყალი. სულ ათიოდე კილომეტრით გაეკლდით
მესტიას და ბუნება უკვე საგრძნობლად შეიცვალა. სოფლები ხეებშია გახვეული.

ლატალი გავიარეთ. ბალის გადასავალს შეუდევით. ბალი სენიანის ყო-
ფილ სადამდეშქელიანო და თავისუფალ სენიანთად ჰყოფს.

ბეჩო პირველი საზოგადოებაა სადამდეშქელიანო სენიანის. სოფელს თავს
დაპყრუებს ნამკრებისაგან გვერდებ ჩამოგლეჯილი, ცაში აზიდული ორთოვიანი
უშმა. ისე ახლო დგას, რომ თითქოს ხელითაც შევიძლია მისწედე, მაგრამ ისე-
თი მკისე და მიუკარებელია, რომ უმაღ ათჯერ მოუვლო დედა-ძიწას და ისევ
ბეჩოში ჩაძობვალ, ვიდრე მის წყერს მოუქცევი.

ბეჩო ყოფილი ადმინისტრაციული ცენტრია სენიანის სამოქალაქოსი. აქ
სოფელ დოლა-სეფში იყო მოთავსებული სენიანის ხელისუფალთა და შათი
დამქაშების სადგომები.

ბეჩოში არის ოთხწლიანი, გლეშთა ახალგაზრდობის სკოლა, რომელიც
დიდ მუშობას ეწევა სენიანისათვის უცნობ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა
მოსამსწებლად და გასავრცელებლად. სკოლასთან ინტერნატიც არის, სადაც
სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოსული სენიანი ბავშვები ცხოვრობენ. აქვე არის სა-
ეკიმო პუნქტები, საავადმყოფო, რაიონული სასამართლო, მუშა-მოსამსახურეთა
ინიციატივით მოწყობილი კობ სამკითხველო და სხვ.

ბეჩოს ქვევით, ინგურის ორივე ნაპირზე, დადმშქელიანების ყოფილი სა-
ბუნავო, ეტერის თემია გაშენებული. შათ მოსავლობარად ძალიან დაზარეული ცი-
ხე-დარბაზებია დარჩენილი. საფულ ლაჭლაში ჩამოვედით. აქ პირველად გვხვდება
ვაზი, ლახანულაში კი მთელი ნიგვზის ხის ხეივანი.

ლაბამულას გავიდით და დაუსახლებელ ადგილებით მივდივართ. ხეობაში
უკვე შეზინდა, მაგრამ ცაში აწვდილი მწვერვალები ჯერ კიდევ ჩამავალი
მზის სხივებით არის მოვარაყებული. არც დღისითაა წაღმართი და შეღამებისას
ხეობა უფრო მკისედ გამოიყურება. ჩახმაზე შემდგარი კლდეები მდინარეს სალ-
ტესავით უგმორტყნიან. ვეებერთელა ქვის გოდრები, მთის მწვერვალიდან მო-
გლეჯილი, თითქოს გაღვებრობით შეჩერებულან გზის პირად. ერთი რომ ფე-
ხი დავისხლტეს, ამ ინგურის ხეობის კერეტის სურვილს ერთბაშად დავიკარგავს
გზა კლდეშია შეხეხილი და გზის დანაკლისი ხის მორგებით ამოვცებული.

ჯვარიდან მომავალი ჩალვადრები შემოგვხვდნენ ნათითა და მარლით და-
ტვირთული ცხენებით. მესტიამდე სამი დღე უნდა გზას. გასაგებია, რომ სეა-
ნეთში ნათის ცეცხლი ეკიდება არა მარტო ფიზიკის, არამედ პოლიტიკურ ეკო-
ნომიის თვალსაზრისითაც და ალბად მარლიც ჩვეულებრივზე ერთი ორად
მწუთება.

გზა არის ერთად ერთი გზა სენიანის ეკონომიური და კულტურული
აღორძინებისათვის.

ნაკრას ხეობაში ტყეს ცეცხლი უკადია. მაგრამ აქ ეს არაიქნება აფეთქება. სტიქიურად წარმოშობილი, ის სტიქიურად თუ ჩაქრება.

უკვე საფრთხით დაბნელდა. ხეობა თითქოს დაყრუვდა. მხოლოდ მტკვარის წვილი და ცხენის ფეხის ხმის გამოძახილი არღვევს სიჩუმეს. დიხის სამგზავრო სახლამდე მივალწვით. ქვევით აღარ წაისვლება. სახლის იატაკსა და კედლებს ღებავენ. შიგ არ დაიდგომება. ისევ გარედ, სუფთა ჰაერზე სჯობს ღამის გათევა. ჯერ მარტონი ვართ, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ მთიდან კიდევ ორი ჩრდილი ჩამოილანდა. ეს რაიონის მილიციის უფროსის თანაშემწეა, ბოდლო ზერეაშიძე მხლებელი მილიციელით.

დილა აღრანად გზას შეუდგკით. ინათა, როცა გზის სამუშაოებზე მივდივით. მუშები ყრიამულით იშლებიან თავიანთ სადგომებიდან. გზის სამმართველოს მათთვის სახლები აუგია, მაგრამ რწყილების რიდით სუფთა ჰაერზე ან ხის ტოტებით გადახურულ კარებში უჩვენივით მათ დგომი.

სადგომებთან ქურები გუგუნებენ. წერაქვსა და ქვის სამტრევე რკინის კეტებს ლესავენ. სამუშაოდ ემზადებიან. ცოტა ქვევით გუნდი უკვე შესვვია კლდეს. მუშები თოკებზე ჰკიდიან და ისე ამტრევენ პიტალო კლდეს. მორღვეული კლდე ენგურისკენ მიგქანება გრიალით. ფრთხილად თუ არ იქნა. მომწინავესაც თან გადაიტანს. წელს იყო კლდეც ასეთი შემთხვევა. მგზავრების მოახლოების დროს გუნდის უფროსი ნიშანს იძლევა: მუშაობა წყდება. რის ფაი-ფაგლახით გავიარეთ ეს ადგილი. ქვის ნამსხვრევებმა ფეხსაცმლები აგვიფსო, ტერფები დაგვიგლიჯა. სამაგეროდ. სადაც გზა მოთავებულა, მარულაც შეიძლება გაიმართოს. გზის განი მ შეტრია, ორი მანქანა თავისუფლად აუელის გვერდს ერთმანეთს, რასაკვირველია იმ შემთხვევაში, თუ შოფერს თვალები გახელილი აქვს.

მალე ჯორკვალში ჩავედით. აქ გზის სამუშაოებს კანტორაა, რამოდენიმე ახლად გაშართული შენობა სასაიდლოს კოოპერატივის და საექიმო პუნქტს წარმოადგენს. აფარებული ხალხი ირევა. ზოგი ახლა ჩამოსულა სამუშაოებზე, ზოგიც უკან წასასვლელად აბარგულა. ვის არ ნახავთ აქ. აღბულალებს, გორკლებს, იმერლებს, მეგრელებს, სამურზაყანოელებს, სხვადასხვა ხელობის ხალხს: მზურღავეს, ანთეთკებლებს, ქვის მტრეველებს, ქვის მწყობთ, გვირაბზე მომუშავეებს, კალატოზებს, მკედლებს. გზის სამუშაოებში ყველაზე უფრო დახელოვნებული გორკლებია. სამუშაოები ნარდათ იცემა და ყველაზე მეტის გამოიმუშავებას ისინი აებრებენ — დღეში 4—5 მანეთამდე გამოჰდით. მეგრელები და სამურზაყანოელები კი ხშირად ოთხ აბ. ზაპდე ვერ აღწევენ. გზის სამმართველოს უბდება მათთვის დღიური მინიმუმის მიცემა. აღსანიშნავია, რომ პურს ვერ შეკვეთა და ყოველ კრებაზე საკითხს სვამენ სადილად ფქვილის ღომის ხმარების შესახებ. საერთოდ კვების საქმე ვერ არის კარგად დაყენებული. აქ მუშაობს სვანეთის კოოპერატივის „უშბას“ კონტრაგენტი, მაგრამ მათ სავაჭროში ყველაფერს ნახეთ, კონიაკს, ტკბილეულობას, პირველი მოთხოვნილების საგნებს კი ვერა.

ამეამად გზაზე 430 კაცი მუშაობს, ამითში 7 ტექნიკური პერსონალი. სამუშაოების დასაწყისში კი მუშების რიცხვი 1500 აღწევდა. მიუხედავად უღელტეხილის ცდისა, მშენებელთა კავშირის ცენტრალურ გაყვების უზრუნველყოფის გამო კოლექტიურ ხელშეკრულების დადება დღემდისაც ვერ მოხერხდა. ჯანმრთელობის დაცვის საქმეც ვერ არის რაღაცე. აპოდენა ხალხს, ასეთ საბიფათო სამუშაოებში ერთი ექიმის თანაშემწე ჰყავთ, რომელიც იმავე დროს მთელს რაიონს ემსახურება. მუშები ფულის დროზე მიუღებლობასაც უჩივიან.

გზის მშენებლობას გზატკეცილების სამმართველო ხელშეკრულებას. სამუშაოებს ასრულებს გერმანული საკონცესიო ფირმა „ალტებაუ“. გზის გაყვანა სამწელიწადში უნდა დასრულდეს. ამეამად გაყვანილია მეტრის სივანის გზათორმეტრი კალამეტრის მანძილზე. მუშაობა წარმოებს სორმელის (მესტიის მხარე) და ზენტარის (ჯვარის მხარე) კლდეებს შორის. ამ კლდეებში უნდა გაიჭრას გვირახი 300—300 მეტრის სიგრძისა. გზის დანარჩენი ნაწილი დაგეგმილია და პროექტი ხარჯთაღრიცხვით მუშავდება. თუ კრედიტების გაცემა არ შეფერხდა, მუშაობა გაგრძელდება ზამთარშიაც (ჯვარის მხრიდან, სადაც შეიძლება სურსათ-სანოვანის მიწოდება).

გზის სამუშაოებს ვაცვდივთ. საბუთომობილო გზა, რომელიც თითქოს უდაბნოს მირატი იყო, კლდის მუცელზე გაქლიბულ ბილიკით შეიკვალა. ისევე და ისევე თვალწარმტაცი და გულშეშხარავი პანორამა—სიბი კლდე ცხვირით ცის ებჯინება, ფეხებს კი ენგურის მაქრის ფერი ტალღები ჰანას და უხუბავს.

ისევე კარები, ფქვილის ღამით სავსე ქვაბები, თოკები, ჩანგლები, ბოგირები, ეს უკვე ხეტყებე მომუშავე გუნდა. მეჯორგეებს ქვეშა გამზირული მორები გამოაქვთ მდინარიდან, რომ ისევე თავქვე დაუშვან შამგონისაკენ. მაგრამ ამაზე თვლს კაცი ვერას მოიგონებს. უფრო ადვილია ნიანგს პირიდან ლუკმა გამოსტაცო, ვიდრე ენგურის გაშმაგებულ ტალღებს მორი გააცალო.

სამუშაოებს სატყუო ტრესტი აწარმოებს. კანტორა ზაიშთშია მოთავსებული. ეს ვებერთელა წამოწყებაა. წლიურად ის ტრესტს 3 მილიონ კუბიკურ ხეტყეს აწვდის. აქ მზადდება საუკეთესო ხარისხის საექსპორტო ხეტყე. ელასტონის მიწურულია და მთელ მანძილზე 800 მდე მუშა მუშაობს, გაზაფხულზე კი, როცა წყლის ძალა ერთი-ორად დიდია, მუშების რიცხვი 1500-მდე აღწევს.

მუშები გუნდებად არიან დაყოფილი სპეციალობის მიხედვით. აქ არიან ხის მჭრელები, ჩამომყრელები, წყლამდე გამოქრანები, მეჯორგეები. ეს უკანასკნელები აქ უმაღლეს სპეციალისტებათ ითვლებიან. ისინი შლიან ქვებს შორის გამზირულ ჯორგებს. ეს ხელობა ყველაზე საბაფათოცაა. წელს უკვე ორი კაცი იმსხვერპლა ენგურის ტალღებში.

ზაიშთის ქვეით მთის წვერიდან ვებერთელა დარია დაშვებული. აქწყლის ნაცვლად მორების მდინარე მოდის. ელვის სისწრაფით დაქანებული მორი კისრით ესობა მიწაში, ყირაზე დგება და იმედგაწყვეტილი ტლამუნით ეშვება მდინარეში.

სიანეთი თანდათან იწურება. გზაში გვხვდება ქუთაისიდან მომავალი პატარა ბოკები. ესენი გზის სამუშაოებისკენ მოდიან. ბარჯეთის მხარეში მოაქვთ ამ ციცაბო კლდეებზე. ოფელში იწურებიან.

ჩამოვდით სიანეთის უკანასკნელ სოფელში თოთანში. მზე უკვე გადაწვერვანია, მაგრამ საღამომდე როგორმე ჯვარში უნდა ჩავიდეთ.

მივექანებით თავქვე. ენგურის ჭალა ოდნავ გაიშალა. განოჩნდა ოდიშის პირველი სოფელი ხულონი, გაქრა მთის წყაროები. ქვევიდან თხელბა ნიაენაც მოატანა.

ენგური დიეტოვით და ჯვარისკენ გადაუხვიეთ, ძლიერ თავისუფლად ამოვისუნთქეთ. სული შემოწება მისმა შუბლმა. ძარღვებით ტიწრო გზა თოკივით ჰკიდია მის ნაპირებზე. ცხენი დაიღალა და ბორძიკობს და არ ვიცე როდის დამაგორებს მის ტალღებზე.

შებინდებისას ჯვარში ჩამოვდით.

დილაექტიკის პრობლემა

და მ. გომიზაძის „ნაბიძიანის და დილაექტიკის პრობლემების გან-
ვითარება მარქსიზმში“¹⁾

ფილოსოფიურ ლიტერატურაში მატერიალიზმისა და მატერიალიზმის ისტორიის საკითხები საკმაოდ არის გაშუქებული. გარდა სპეციალური მონოგრაფიებისა მატერიალიზმზე და მატერიალიზმის ისტორიებისა, არსებობს მრავალი ფილოსოფიის ისტორია, სხვადასხვათა ფილოსოფიურ განვითარებასთან ერთად მოცემულია მატერიალიზმის ისტორიაც. შეუძლებელია იგივე ითქვას დიალექტიკაზე და მის ისტორიაზე. ჰეგელის სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა მხოლოდ რანოდენიმიე ადამიანი, რომელმაც შეითვისა და ნაყოფიერად გამოიყენა დიალექტიკური მეთოდი. პოზიტიურ მეცნიერებათა განვითარების ხანაში ჰეგელის დიალექტიკური მეთოდი, მისტიურ სამოსელში გახვეული, მიუღებელ, აბსურდულ მეთოდთან იქმნა აღიარებული. ჰეგელის იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა დიალექტიკური მეთოდის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმებს იღებს. პერბარტი, ტრენდელენბურგი, მაქტაგარტი, ედ. ჰარტმანი და სხვ.— ყველა ებრძვის ჰეგელს და მის მიერ გამოიყენებულ მეთოდს. ცხადია, თუ მათ აინტერესებთ დიალექტიკური მეთოდი ეს მხოლოდ მისი უარპყოფის მიზნით; თუ ვინმე დასწერს დიალექტიკის ისტორიას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისტორიულადაც დაამტკიცოს ამ მეთოდის „აბსურდობა“; ასეთია მაგალითად, E. V. Hartmann-ის დიალექტიკური მეთოდის ისტორია.

მე-XX საუკ. კი, როდესაც შესაძინევი გახდა ჰეგელისადმი ინტერესის ზრდა, მეფობს შეხედულება, რომ ჰეგელის ნააზრევში ღირებულია არა დიალექტიკური მეთოდი, არაზედ მისი იდეალისტური სისტემის მთლიანობა. ჯერ კიდევ ვინდებლანდი ვაისეს მაგალითს ბაძაეს და ფიჭრობს, რომ დიალექტიკური მეთოდი ხელს უშლის ჰეგელის სისტემის გაგებას, რომ ჰეგელის ნააზრევის დალაგება ამ მეთოდის გარეშე უფრო მოსაბერებელია. ათიოდე წლის წინად გამოქვეყნებული Ильин-ის გამოკლევა „Философия Гегеля, как учение о бытии и человеке“, ჰეგელის ნააზრევის დალაგების მხრივ პრინციპიულად ვაისეს მეთოდს იზიარებს, და ცდილობს დაამტკიცოს, რომ დიალექტიკური მეთოდი არ არის მთავარი და არსებითი მომენტი ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემაში.

¹⁾ წერალი იმეჭდება დისკუსიის წესით. რ. ე.

ცხადია ამიტომ, რომ დიალექტიკის ისტორია აქამდე არ დაწერილა და არც ფილოსოფიის ისტორიის კურსებში არის ეს ისტორია განვიხილავდით. ერთადერთი გამოწვევის არის თვით ჰეგლის ფილოსოფიის ისტორია J. Cochin-ის „დიალექტიკის თეორია“-ში მოცემული დიალექტიკის ისტორია (სულ რაღაც 20—25 გვერდი) არც არის მისაღები მხედველობაში.

სპეციალურად დაიწყო მუშაობა დიალექტიკაზე და დიალექტიკის ისტორიაზე სულ უკანასკნელ დროს. საბჭოთა კავშირში დებორინი აღნიშნავდა რომ ჩვენ არა გვაქვს აქამდე დიალექტიკის მთლიანი ისტორია.

თვითონ დებორინი მუშაობს ამ საკითხზე, მაგრამ ჯერ მხოლოდ კანტისა და ფიხტეს დიალექტიკა აქვს განხილული. ასმუსი სწერს კომპილაციურ შრომას დიალექტიკის ისტორიაზე კანტიდან ლენინამდე.

მით უფრო საინტერესოა ანხ. მ. გოგიბერიძის წიგნი: „მატერიალიზმის და დიალექტიკის პრობლემების ისტორია მარქსამდე“, ვინიდან ეს პირველი წიგნია ფილოსოფიურ ლიტერატურაში, რომელსაც მიზნად დაუსახავს მარქსისტული თვალსაზრისით გაეშუქებია მატერიალიზმის ისტორიასთან ერთად დიალექტიკის ისტორიაც.

მ. გოგიბერიძის შრომა ორს, ურთიერთისაგან თითქმის დამოუკიდებელ ნაწილს შეიცავს: პირველი ნაწილი მატერიალიზმის ისტორიას წარმოადგენს (გვ. 36—198), ხოლო მეორე დიალექტიკის ისტორიას (გვ. 198—323). 105 გვერდზე მოცემულია დიალექტიკის მთელი ისტორია პერაკლიტადან ჰეგელამდე. 20 გვერდი დათმობილი აქვს პრინციპიულ საკითხების გარჩევას: დიალექტიკური მეთოდის პრობლემა, დიალექტიკა და ლოგიკა და სხვ.

პირველ ნაწილს ჩვენ არ შევყვებით: ავტორი ორიგინალზე დაკრძობით საუბრობდა, გასაგები ენით ახასიათებს თვითოეული მატერიალისტის მსოფლხედველობას, მატერიალისტური აზრის თანდათანობით განვითარებას. დიდ დამსახურებად უნდა ჩანთვალოს ავტორს ის გარემოება, რომ მან მიაქცია დიდი ყურადღება მეცნიერების აღორძინების ფაქტის ზედღეულობას მატერიალისტური აზროვნების განვითარებაზე (გალილეო გალილეო, ისააკ ნიუტონი).

დამახასიათებელია მთელი წიგნისათვის ის ზუსტი მარქსისტული-დიალექტიკური მიდგომა, რომლითაც განხილულია ყველა ფილოსოფიური მიმართულება: ყოველი მიმართულება დაკავშირებულია სხვა მიმართულებებთან და შესაბამის ეპოქის სოციალ-ეკონომიურ ვითარებასთან.

ზოგიერთი გატყუარობანი წყრილმანი შეცდომებით (უმთავრესად კორექტიურული შეცდომებით) იბრუნება. ამისთანაა მაგალითად ის შეცდომა, რომლის გამო ერთ-ერთმა რეცენზენტმა ჩვენს ავტორს ჰელფციუსის პრინციპების უკოდინარობაში ბრალი დასდო. გვ. 189 ანხ. გოგიბერიძე სწერს, რომ ჰელფციუსის აზრით „ადამიანი ბუნებიდან კეთილგონიერი არიან“... ხოლო გვ. 190, სადაც ის დაწვრილებით მოგვითხრობს ჰელფციუსის ნაზრევს ამის შესახებ, ის ამბობს, რომ ჰელფციუსის აზრით „ადამიანი თეთრი ქალღმერთი იბადება,

ის შემდეგ შეიქმნება კეთილი, თუ ბოროტი, ჰქვიანი თუ სულელი, ზრდილი თუ უზრდელი, ბატონი თუ ყმა (სადაც ზველმა წიგნის პირველ ნაწილში მოლოდ ამგვარ შეცდომებს თუ ვინაჲთა წიგნის მეორე ნაწილს— დიალექტიკის ისტორიას მარქსამდე— აქ ბევრი რამ იწვევს გაუკებრობას შინაარსის მხოვ და ბევრიც პრინციპულად სადაოა.

ეს ნაწილი დიალექტიკის პრინციპული საკითხების გარჩევით იწყება. ჩვენც ამ საკითხების გარჩევით დავიწყებთ.

1. „ჰეგელის ხელში დიალექტიკამ მისტიფიკაცია განიცადა... ჰეგელის დიალექტიკა ყოიამალა დგას, საჭიროა მისი გადმოტრიალება და ამით მისტიურ სამოსელში გახვეული რაციონალური მარცვალი იქნება აღმოჩენილი“. ანხ. მ. გოგბერძის მოჰყავს მარქსის ეს სიტყვები და შემდეგ კომენტარობს უკეთეს: „დიალექტიკის გადმოტრიალება ნიშნავდა დიალექტიკისათვის ახალი შინაარსის გამოჩახვას, ეს ახალი შინაარსი მარქსმა ისტორიულ ფენომენებში აღმოაჩინა; ამით კი დიალექტიკა, როგორც აბროვნების მეთოდი და გნოსეოლოგია ვანოყიერდა“ (გვ. 201).

რამდენად შეეფერება სინამდვილეს ანხ. მ. გოგბერძის ასეთი ინტერპრეტაცია? მართლაც, ეს გადატრიალება იმაში მდგომარეობდა, რომ მარქსმა „ახალი შინაარსი ისტორიულ ფენომენებში აღმოაჩინა“?

ისტორიული ფენომენების იდეალისტური ახსნაც არსებობდა. თვითონ ჰეგელმა კანტის, ფიხტესა და შელინგისაგან განსხვავებით „ისტორიული ფენომენები“ ვახადა თავისი დიალექტიკის შინაარსად. იი რას ანბობს თვით ავტორი ამის შესახებ: „განვითარების იდეა ნაგრძნობი იყო აგრეთვე ფიხტეს ფილოსოფიის მიერ. მაგრამ ფიხტესთან განვითარების იდეა ცალიერი ფორმების დიალექტიურ დედუქციაში დაიღრა. მან განვითარების მსვლელობას შინაარსი ვერ გამოუნახა და ამიტომ მისთვის უცნობი დარჩა, როგორც ბუნების ფილოსოფია, ისე ისტორიის ფილოსოფია. ჰეგელმა კი განვითარებას არამც თუ შინაარსი გამოუნახა ფაქტიური ისტორიის მსვლელობის სახით, არამედ ისტორიის ფენომენოლოგიური შესწავლის გზით მან აღმოაჩინა ის კანონიც, რომელიც ასაბუთებდა არა მარტო ისტორიას, არამედ ყველა იმ ობიექტებსაც, სადაც საქმე განვითარებას ეხებოდა“ (აქ ხაზი ჩვენია, გვ. 297 და ბევრი სხვ.).

აქედან ცხადია, რომ დიალექტიკისათვის ახალი შინაარსის აღმოჩენა „ისტორიული ფენომენების“ სახით ყოფილა ვერ კიდევ ჰეგელის საქმე. და ამიტომ მარქსის მიერ მოხდენილი გადატრიალება დიალექტიკის ამ მომენტს კი არა, არამედ სრულიად განსხვავებულს შეხებოდა. გადატრიალება შინაარსს კი არა, არამედ ამ შინაარსის გაგებას ეხება. „ისტორიული ფენომენი“ შინაარსია როგორც ჰეგელის, ისე მარქსის დიალექტიკის. ამ შინაარს ჰეგელი ახსნის იდეის, სუბიექტის პრინციპის საშვავლებით, მარქსი მატერიის პრინციპის საშვავლებით. ანხ. გოგბერძემ კარგად იცის, თუ რაში მდგომარეობდა ჰეგელის დიალექტიკის გადატრიალება. რა საჭირო იყო ახალი ინტერპრეტაციის გამო-

გონება, რომელიც ერთის მხრივ სინამდვილეს არ შეეფერება და მეორეს მხრივ მისივე (ავტორის) აზრებს ეწინააღმდეგება.

2. უფრო რთული საკითხია შემდეგი: დიალექტიკისა და სწავლობის ერთობისათვის. ავტორი ცდილობს ამ საკითხს გადაწყვეტას ორმხრივად; ერთის მხრით ის აღიარებს ლოგიკის საგანს დიალექტიკის საგანს და ამით მათ შორის გარკვეულ განსხვავებას აღმოაჩენს; ხოლო მეორეს მხრივ ამ ორი მეცნიერების ურთიერთობას უფრო ღრმა ანალიზისათვის გამოიყენებს აზროვნების კანონების ანუ პრინციპების თავისებურ ინტერპრეტაციას. განვიხილოთ პირველი და მეორეც.

ა. დიალექტიკა, წინასწარი განმარტებით, არის აზროვნების მეთოდი. მაგრამ „აზროვნების კანონებს ძველის-ძველად სწავლობდა ლოგიკა“. განსხვავება ამ ორ მეცნიერების შორის მდგომარეობს იმაში, რომ „ლოგიკა სწავლობს აზროვნების ფორმებსა და კანონებს განსაზღვრულ მდგომარეობაში, სახელდობრ მაშინ, როცა ეს კანონი და ფორმა კონკრეტულად და საგნობრივად (ხაზი ჩვენია კ. ბ.) არის მოცემული, როცა აზროვნების ორ აქტს შორის წინააღმდეგობის არსებობა გამორიცხულია“. ხოლო „აზროვნებას ფორმებისა და კანონების შესწავლა მათ წარმოშობასა და განვითარებაში, მათ მქნადობასა და დინამიურობაში, აზროვნება იმ შემთხვევაში, როცა კერძო სააზროვნო აქტებს შორის წინააღმდეგობა ნაგულისხმევია, მაგრამ შეშუტდება არ წყდება—აი ეს იქნება საგანი დიალექტიკისა“ (გვ. 203).

განმარტების ერთი მომენტი ცოტა არ იყოს ბუნდოვანია: აზროვნება, თუ მასში წინააღმდეგობის არსებობა გამორიცხულია, ლოგიკის საგანია; თუ კი წინააღმდეგობა ნაგულისხმევია, მაგრამ ამით შეშუტდება არ წყდება, ამგვარი აზროვნება დიალექტიკის საგანია. ასეთი განმარტება სრულიად არ სჭრის საკითხს და არაფერს არ გვანმარტავს: მთავარი საკითხი ხომ იმაში მდგომარეობს, გამორიცხვას აზროვნება წინააღმდეგობის არსებობას თუ წინააღმდეგობა არსებითი მომენტია შეშუტებითი აზროვნების. ამხ. გოგიბერიძეს აქვს ერთი ადგილი, სადაც ეს საკითხი თითქოს გადაწყვეტილია. გვ. 204—ის სწერს: „თუ მივიჩნევთ, რომ ლოგიკა აზრის მეცნიერებაა, ის ყოველ შემთხვევაში ცოცხალი და მოქმედებაში მყოფი აზროვნების მეცნიერება არ არის, არამედ ის არის მეცნიერება უკვე მომხდარი შესრულებული ან და უკვე მკვდარი აზროვნებისა“. შთაბეჭდილება იქნება ასეთი: თითქოს კეშმარტების ძიებისას აზროვნება დიალექტიკურია, მაგრამ იმ მომენტში, როდესაც შეშუტდება შესრულდა და კეშმარტება აღმოჩნდა იქნა, აზროვნება მხოლოდ ლოგიკური შეიქმნება. ავტორმა კარგად იცის, რომ ეს ასე არ არის, რომ ეს დიალექტიკის ერთ მთავარ მომენტს ეწინააღმდეგება, სახელდობრ იმას, რომ რეზულტატში მთელი ისტორიული პროცესია ნაგულისხმევი და შენახული; ამიტომ დასძენს ავტორი: ნამდვილ დიალექტიკურ თვალსაზრისს, რასაკვირველია, არც ეს განმარტება აკმაყოფილებს“-ო (გვ. 204).

შეგვიჩვენოს ხშირად ლაპარაკობს ცოცხალ და მკვდარ ცნებაზე, აზროვნებაზე და ამით სურს ლოგიკისა და დიალექტიკის სფეროები განსაზღვროს; მაგრამ



ჭეველი გარკვევით მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს „ცოცხალი“ და „მკვდარი“. ამ. მ. გოგბერიძეს თავისებურად ეს ცნებები, და საკვირველი არ არის, რომ „ნამდვილ დიალექტიკურ თვალსაზრისს... არც ეს განპარტება აქმაყაყილებს“.

რა არის მკვდარი (და არა მომხდარი, შესრულებული, როგორც ამბობს მ. გოგბერიძე) და ცოცხალი აზროვნება? დიალექტიკის აზრით ეს არის აბსტრაქტული და კონკრეტული აზროვნება; მით უფრო ვასაკვირია, რომ ავტორი ლოგიკის საგნად ისახელებს კონკრეტულსა და საგნობრივ აზროვნებას (გვ. 203).

დიალექტიკური შემეცნების მიზანი არის ნამდვილი, კონკრეტული საგანი; საგანი მთელი თავისი ნიშნების სიმდიდრით და მრავალფეროვანებით. როგორ ექცევა ამ საგანს ფორმალ-ლოგიკური აზროვნება? ის გათიშავს იმ მთლიანობას, რომელიც საგანს წარმოადგენს, აბსტრაქტულ, ურთიერთისაგან დამოუკიდებელ ნიშნებზე. კონკრეტული, მთლიანი საგანი ფორმალ-ლოგიკური ანალიზის შემდეგ ნიშანთა სიმრავლეს წარმოადგენს, იმ „das Auch der Materien“, რომელზედაც ლაბარაკობს ჭეველი თავის „ფენომენოლოგიაში“.

ცნებები, რომელიც საგნის ნიშნებს აბსტრაქციაში წარმოადგენენ მკვდარი ცნებებია, ვინაიდან მათი კავშირი ერთმანეთთან მხოლოდ იგივეობისა და წინააღმდეგობის დამოკიდებულებით განისაზღვრება.

აბსტრაქტული აზროვნება გამოპყობს რომელიმე საგანში A ნიშანს. ცხადია ამგვარი აზროვნებისათვის ყველა ის ნიშანი, რომელიც A-ს ვარდა საგანს შერჩენია, ამ A-საგან საცხებით განსხვავებულად წარმოუდგენია, და ამიტომ აღინაშნება ისეთი ნიშნით, რომელიც გვიჩვენებს, რომ ის A არ არის: ე. ი. ნაშთი, რომელიც რჩება საგანში A ნიშნის გამოარჩევით არას „არა-A“ (иже А).

საგანი, რომელიც მთლიანობას წარმოადგენს, დაშლილია აბსტრაქტული აზროვნებით ორ მომენტზე: A-ზე და არა-A-ზე.

რა დამოკიდებულებანი შეუძლია აღმოაჩინოს აბსტრაქტულ აზროვნებას ამგვარად დაშლილ, გათიშულ სინამდვილეში? როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ეს დამოკიდებულება არის ან იგივეობის ან წინააღმდეგობის: A არის A, და A არ არის არა-A. ასეთია მდგომარეობა, რომელსაც ჰქმნის ფორმალურ-ლოგიკური, ე. ი. აბსტრაქტული აზროვნება.

აბსტრაქტული აზროვნების ალტერნატივას ან A ან არა A დიალექტიკური, კონკრეტული აზროვნება უპირისპიროებს A-სა და არა-A-ს, არა თუ ერთად არსებობის შესაძლებლობას, არამედ მათი კავშირის აუცილებლობას, ვინაიდან ნამდვილი და კონკრეტული საგანი არის არა მხოლოდ A და არა მხოლოდ არა-A—ეს ორთავე მომენტებია ერთისა და ოგივე საგნის—არამედ A-სა და არა-A-ს კავშირი, სინთეზი.

ფორმალურ-ლოგიკური, აბსტრაქტული აზროვნების მიხედვით A და არა-A საზოგადოთ განსხვავებულნი არიან. დიალექტიკური, კონკრეტული აზროვნების თვალსაზრისით არა-A გარკვეულად არის A-საგან განსხვავებული: არა-A არის A-სთან შედარებით არა საზოგადოთ რაღაც სხვა, არამედ იმავე საგ-

ნის სინამდვილის სხვა მომენტი, A-სთან კავშირში მყოფი, ამის გამოსთქვამდა პეველო, როდესაც მან ახალი ტერმინი შეიმუშავა ამ მდგომარეობის განმარტავად: „თავისი სხვა“ (Sein Anderes). არა-A A სთან შედარებით „მისი სხვა“, ის „სხვაა“, ვინაიდან ის A-საგან განსხვავდება, მაგრამ ის „მისია“, ვინაიდან ის A-სთან ერთად ერთი მთლიანობის მომენტის გამოშავებულია.

წინააღმდეგობის ცნებას პეველის დიალექტიკაში უფრო ღრმა აზრიც აქვს ჩვენ ეს ჯერ არ გვანტერესებს. საკითხი აქ ეხება ჯერ-ჯერობით ლოგიკისა და დიალექტიკის ურთიერთობას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძირითადი განსხვავება ამ ორ მეცნიერებას შორის არის თვით მათ საგანში: ლოგიკის საგანი აბსტრაქციის სფერო, ხოლო დიალექტიკის კონკრეტული არსისა და აზრის სფერო.

საცემბით მიუღებელია ამბ. მ. გოგბერიძის განმარტება, რომ ლოგიკა შეისწავლის „აზროვნების ფორმებსა და კანონებს განსაზღვრულ მდგომარეობაში, სახელდობრ ნაშინ, როცა ეს კანონი და ფორმა კონკრეტულად და საგნობრივად არის მოცემული“ (გვ. 203).

ამისთანა განმარტებიდან გამოსული, ავტორი ცხადია, ვერ მოაგვარებს საკითხს ლოგიკისა და დიალექტიკის საზღვრების შესახებ. თქმა იმისა, რომ ლოგიკისა და დიალექტიკის ერთსა და იგივე საგანთან აქვს საქმე (გვ. 215), რომ დიალექტიკა შეისწავლის აზროვნებას არა მის სტატურობაში და უცვლელობაში, არამედ მის განვითარებაში (გვ. 216) და რომ ლოგიკა არ არის უარპყოფილი დიალექტიკის მიერ, არამედ „დიალექტიკის სისქეში ფორმალური ლოგიკის არე მოცემულია, როგორც ერთი შესაძლებელი შემთხვევა, როგორც ერთი ნაწილი“ (გვ. 215)—არ არის საკმარისი ამ ორი მეცნიერების საზღვრების გასარკვევად. ზოგადი დებულებებით დაკაყოფილება შეუძლებელია, მით უმეტეს სხედამძღვანელოში: უნდა იყოს კონკრეტულად ნაჩვენები სად, როგორ შეინარჩუნებს ფორმალური ლოგიკა არსებობის უფლებას დიალექტიკის სისტემაში. ფორმალური ლოგიკა დიალექტიკის სისტემაში მოცემულია, „როგორც ერთი შესაძლებელი შემთხვევა“. თუ ვრცლად არა, ერთ მაგალითზე მაინც უნდა ეცადა მ. გოგბერიძეს ამ დებულების ილუსტრაცია!

არა ნაკლებ გაუგებრობას შეეხედებით ჩვენ აზროვნების პრინციპებისა და დიალექტიკის პრობლემის ურთიერთობის საკითხის გარჩევისას.

ბ. ამბ. მ. გოგბერიძე ცდილობს აზროვნების პრინციპების გარჩევით გაარკვიოს ლოგიკისა და დიალექტიკის დამოკიდებულება. ავტორი ეხება მხოლოდ იგივეობისა და წინააღმდეგობის პრინციპს.

სამართლიანად აღნიშნავს ავტორი, რომ დიალექტიკური ლოგიკის თვალსაზრისით იგივეობის კანონი ტავტოლოგიით გვეყვინება, რომ ცოცხალი, კონკრეტული აზროვნება ამ კანონს არ ექვემდებარება. მაგრამ ავტორი ცდილობს მეტი დამატაციოს ვიდრე საჭიროა. ავტორი ამტკიცებს, რომ პრინციპი A არის A არც ფორმალურ ლოგიკაში არის გამოსაღვეი. „ამრიგად იგივეობის პრინციპის მთავარ ნაკლს ჩვენ იმაში ვი არ ვხედავთ, რომ ის ჩვენი აზროვნების დიალექტიკურ მოთხოვნილებას ვერ ამართლებს, ასეთ რაიმეს მისგან არა-

ვინ მოელოდა, არამედ იმაში, რომ ის ვერ აკმაყოფილებს ვერც ფორმალური ლოგიკის მოთხოვნილებას* (გვ. 207).

ეს არ არის დიალექტიკური ლოგიკის შეხედულება იგივეობის პრინციპზე. ანხ. მ. გოგობერიძე ამტკიცებს, რომ ფორმალური ლოგიკა არის ნაწილი დიალექტიკის სისტემაში; და ამ ნაწილში მას, ცხადია, უნდა ჰქონდეს არსებობის უფლება. მისაღებია თუ არა აი ამ ნაწილში იგივეობის პრინციპი? უსათუოდ უნდა იყოს მისაღები! იმაზე ხშირად ლაპარაკობს ვრცლად ჰეგელი თავის „ფენომენოლოგიაში“ და იმეორებს მოკლედ იგივე აზრს „ლოგიკაში“ და „ენციკლოპედიაში“. რომ იგივეობის პრინციპი ფორმალურ ლოგიკაში მისაღებია და მის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, ამას თვით დიალექტიკური ლოგიკა ამტკიცებს. დიალექტიკური ლოგიკის თვალსაზრისით ფორმალურ ლოგიკის საგანი არის აბსტრაქციის სფერო, ხოლო ამ სფეროში, როგორც ჩვენ ზემოდ დავინახეთ, შესაძლებელია მხოლოდ იგივეობისა და წინააღმდეგობის მიმართება არსებობდეს. თვითონ ავტორმაც კარგად იცის, რომ ფორმალური ლოგიკა ნაბიჯს ვერ გადადგამს ამ კანონის გარეშე. გვ. 209 ავტორი სწერს: „აზროვნების ლოგიკურ საქმიანობაში მართლაც არის მომენტები, სადაც ეს კანონი ძალაშია, ეს არის აზრის ის ფორმალური ხვეულები, სადაც აზროვნება ერთ რომელიმე სტატიურ და განსაზღვრულ ვითარებას გამოხატავს“. ავტორი ამას წინააღმდეგობის კანონზე სწერს. მაგრამ შემდეგი სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ აქ საქმე იგივეობის პრინციპს ეხება. ავტორი განაგრძობს: „ასეთია უპირველეს ყოვლისა, სილოგისტური დასკვნა...“, სადაც, მისი აზრით, დასკვნის კანონიერება ემყარება ე. წ. terminus medius-ის იგივეობას, $M=M$.

იგივეობის პრინციპი ფორმალური ლოგიკის უსათუოდ მომენტიცა, მისთვის დამახასიათებელიცა; ასეთია დიალექტიკური ლოგიკის აზრი ამ საკითხზე.

მაგრამ მოავარი, და ჩვენთვის საინტერესო საკითხი, ეხება არა ფორმალურ ლოგიკას, არამედ დიალექტიკას. დიალექტიკა უარყოფს იგივეობის პრინციპს; იგივეობის პრინციპს ის მიუჩნევს გარკვეულ სფეროს, აბსტრაქციის სფეროს; სინამდვილე, ბუნება არასოდეს არ არის აბსტრაქტული, ის ყოველთვის კონკრეტულია და ამიტომ იგივეობის პრინციპი არ არის სინამდვილის კანონი.

დიალექტიკა უარყოფს ე. წ. „აზროვნების კანონებს“, ვინაიდან ისინი არ არიან კონკრეტული სინამდვილის კანონები. საკითხი ამით სრულიად არ არის გადაწყვეტილი. დიალექტიკური ლოგიკა უარყოფს რა სინამდვილის დაჭედილობას აზროვნების ფორმალურ კანონებისადმი, აღმოაჩენს ახალ კანონებს, რომელნიც კონკრეტულ სინამდვილეში მეფობენ. ანხ. მ. გოგობერიძე ამის შესახებ სრულიად არაფერს არ ამბობს. როდესაც ის წინააღმდეგობის უფუძლებლობის კანონს უარყოფს დიალექტიკის თვალსაზრისით, სავსებით გასაგებია და მისაღებია, წინააღმდეგობის შესაძლებლობის კანონის დამყარება, რომელმაც უნდა დაიკავოს დიალექტიკაში უარყოფილი კანონის ადგილი. რატომ აბს არის მოკლებული დიალექტიკის ის კანონი, რომელიც იგივეობის პრინციპის ადგილზე იკავებს. არც აქ და არც შემდეგ ჰეგელის დიალექტიკის გარჩევასა მ. გოგობერიძე არ ჩამოაყალიბებს ამ კანონს. დიალექტიკის პრობლემისათვის, რასა-

კვირველია, საინტერესოა ის, რომ ეს ახალი ლოკია იგივეობის პრინციპს უარყოფს; მაგრამ გაიკლებით უფრო საინტერესო და საკვირველი კანონის აღმოჩენა და გაცნობა. ავტორი ვერ გვისაყენებია, რომ ამისთანა პრინციპი დიალექტიკურ ლოგიკას არ გააჩნია, და ამიტომ არ შეეძლო მას ამ პრინციპის გაშუქება. იქვე, სადაც ჰეგელი იგივეობის პრინციპს „სისულელეს“ უწოდებს, იმავე თავში აქვს მას ამ პრინციპის ნაცვლად ახალი დიალექტიკური პრინციპი გამოთქმული. ჩვენ აქ არ შევეიძლია იმ მ. გოგაბერაძის წიგნის შევსება, ამისათვის ადგილი სრულიად არ გვაქვს. მოკლედ ვიტყვი მხოლოდ: ჰეგელი გაარჩევს აბსტრაქტულ, ფორმალურ იგივეობას ირანებათი, კონკრეტული იგივეობისაგან. პირველია მხოლოდ ფორმალური ლოგიკის პრინციპის საფუძველი და ამიტომ დიალექტიკაში სრულიად გამოუსადეგარი და მოსახსნელი. კონკრეტული იგივეობა არის განსხვავებულ მომენტების (რომელნიც ურთიერთისათვის „თავის სხუას“ წარმოადგენენ) იგივეობა. განსხვავებული და იგივეობრივი მთლიანობის მომენტები არიან, ჰეგელის თქმით: დაღვენილნი არიან (Gesetzseln). კონკრეტული იგივეობის კანონი იკავებს აბსტრაქტულ იგივეობის პრინციპის ადგილს დიალექტიკაში. ეს კანონი ჩამოყალიბებული აქვს ჰეგელს; ამ კანონზე მსჯელობს ენკელსი, როდესაც ამტკიცებს, რომ იგივეობაში განსხვავებული არის ნატურასხევი (Диалект. природы გვ. 15), რომ „конкретное тождество содержит в себе различие“, „абстрактное тождество годится лишь для домашнего употребления“ და სხვ. გვ. 37). ეს არის ახალი კანონი; კანონი იგივეობისა და განსხვავების „ურთიერთში შეჭრის“ (Durchdringen).

გადვიდეთ მეორე კანონზე: წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონზე. ავტორი სწორედ გადმოგვეყვას ამ კანონის შინაარსს: „ყოველი საგნისა და მოვლენის შესახებ აზროვნებას შეუძლიან რაიმე ან აპტიკოს, ან უარყოს; ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: „აღამიანი არის კეთილი“, ან „აღამიანი არ არის კეთილი“. წინააღმდეგობა, რომელაც გაშლილია ამ ორ წინადადებას შორის, შეუძლებელია ერთად მოთავსდეს აზროვნებაში და სწორედ ეს გამოხატავს წინააღმდეგობის პოსტულატს ანუ წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს“ (გვ. 208). ცოტა ქვემოთ ავტორი ამბობს: „წინააღმდეგობა შეუძლებელია აზრის კონკრეტ ფორმებს შორის“. მაგრამ სადაც ფორმას შინაარსი შეეცვლის, იქ წინააღმდეგობა უკვე შესაძლებელი ხდება.

ავტორს მოჰყავს არისტოტელის განპარტება წინააღმდეგობის პრინციპისა: „ერთი და იგივე ერთსა და იმავეს, ერთსა და იგივე დროს, ერთისა და იმავე მხედვით არ შეიძლება ეკუთვნოდეს და თან არ ეკუთვნოდეს“ (გვ. 211). ამ ფორმულაში ოთხი უცვლელი პარობა არის; ამ ოთხი პარობის დაცვისას შეუძლებელია წინააღმდეგობის მოაზრება. მაგრამ საკმარისია შეეცვალოთ ერთი ამ პარობათაგანი და „შეუძლებელი შესაძლებელი გახდება“ (იქვე). ავიღოთ უბრალო აღქმითი მსჯელობა: „თამარი არის ლამაზი“. ორმოცდაათი წლის შემდეგ, როდესაც თამარი სამოცდაათი წლის გახდება ეს მსჯელობა აღარ იქნება კეშმარიტი. „დროთა მსვლელობა სცვლის აღქმითი მსჯელობის შინაარსს სილამაზის

შესახებ“ (გვ. 212). ამგვარიად ამა. მ. გოგინბერიძე ფიქრობს, რომ ჩვენ გვაქვს ორი საწინააღმდეგო, მაგრამ მაინც ქვეშაირიტი მსჯელობა: „ფიქციური ფაქტის ლამაზი“ და „თამარი არ არის ლამაზი“. ამისთანა ორი საწინააღმდეგო მსჯელობა მ. გოგინბერიძეს დიალექტიკურ ლოგიკის ნიმუშად მიანიხილავს კურიოზულ შთაბეჭდილებას სტოევის მ. გოგინბერიძის მტკიცება, რომ საქმის ასეთი ვითარება არისტოტელის მიერ ნაგრძნობი იყო“ (გვ. 211). საინტერესოა ვიცოდეთ, არა თუ ვის მიერ იყო ნაგრძნობი ეს, არამედ ვის მიერ არ იყო ცნობილი ასეთი ტრივიალური აზრი? ყოველმა ნორმალურმა ადამიანმა იცის, რაც „არისტოტელის მიერ ნაგრძნობი იყო“, რომ ადამიანი ჯერ ახალგაზრდაა და შეკვდა მოხუცი, ჯერ ცოცხალია და რამოდენიმე ხნის შემდეგ მოკვდება და სხვდასხვ. მართლს ამბობს მ. გოგინბერიძე, რომ „დრო უაღრესად დიალექტიკური კატეგორია არის“, მაგრამ მისი დიალექტიკური საზრისის ასე გამარტივება სრულიად დაუშვებელია. ფორმალური ლოგიკა ყოველთვის იმ აზრის იყო, რომ ერთსა და იგივე საგანს სხვადასხვა დროს შესაძლებელია საწინააღმდეგო პრედიკატები ჰქონდეს, მაგრამ ამით ის არასოდეს დიალექტიკურ ლოგიკათ არ გადაქცეულა. დიალექტიკური ლოგიკა იმას კი არ ამტკიცებს, რომ რომელიმე საგანს განსხვავებულ დროში განსხვავებული ან საწინააღმდეგო ნიშნები ახასიათებენ, არამედ იმას, რომ ერთსა და იგივე საგანს, ერთსა და იგივე დროს განსხვავებული და საწინააღმდეგო ნიშნები აქვს. ამას ამტკიცებს ჰეგელი თავის ლოგიკის ყოველ გვერდზე, ამას ამბობდნენ მარქსიცი და ენგელსიცი, როცა ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებას ამ საზოგადოების ნიშნების გარდა იმავე დროს მისი საწინააღმდეგო ნიშნები ახასიათებენ. რასაკვირველია, „დრო უაღრესად დიალექტიკური კატეგორია არის“, დროში ხდება ამ საწინააღმდეგო მომენტების ბრძოლა, პირველების დამარცხება და მეორეთა გამარჯვება, რასაკვირველია, დროში ხდება ის მოვლენა, როდესაც ადამიანი მოკვდება და ლამაზი თამარი მოხუცდება და აღარ იქნება ლამაზი, მაგრამ ვინმეორებთ არა ამაშია დიალექტიკის შინაარსი, არამედ იმაში, რომ ლამაზი თამარის და ცოცხალი ადამიანის სილამაზისა და სიცოცხლის დროს (ე. ი. იმავე დროს) არის მომენტები, რომელნიც მათი სილამაზისა და სიცოცხლის საწინააღმდეგოა, რომელნიც მათ ებრძვიან და ძირს უთხრიან.

ამა. მ. გოგინბერიძე სცდება, და ამ შეცდომის ბრალი ალბათ „მომენტის“ ცნების გაუგებრობაში უნდა მოეძებნოთ. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება კიდევ მსჯელობა, მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ ის მომენტი (das Moment) რომელიც დიდ როლს თამაშობს დიალექტიკურ ლოგიკაში არ არის დროის მომენტი (der Moment). ამას ჩვენ დაწვრილებით შევხებით ჰეგელის დიალექტიკის გარჩევისას.

3. დიალექტიკის ისტორიას ამა. მ. გოგინბერიძე იწყებს პერაკლიტედან, განიხილავს ძენონს, პლატონს, არისტოტელს და პლატონისა და პროკლეს სისტემებით ამთავრებს ანტიურ დიალექტიკას. ეს ნაწილი საერთოდ კარგად არის შესრულებული; სამწუხაროდ, აქაც არის გაუგებრობანი და უხეირო გამოთქმები. ასე მაგალითად, მ. გოგინბერიძე პლატონის ნაზრევში დიალექტიკურ მო-

მენტს იმაში ხედავს, რომ პლატონი უარყოფს გრძნობას როგორც „შემეცნების იარაღს, ვინაიდან „უარპყოფა პირველი კატეგორიაა დიალექტიკურ ფორმების“ (გვ. 223). პლატონის აზრი, რომ გრძნობას არ ძალუძს ჭეშმარიტების მძიწევა, რომ ჭეშმარიტებას მხოლოდ გონება მისწვდება, მ. გოგობერიძემ დიალექტიკურ სამოსელში გაახვივა: „გრძნობის ნეგატიურობა ვადიექტევა გონების პოზიტიურობად“. რასაკვირველია, არის პლატონის ნააზრევში დიალექტიკის ელემენტები. მაგრამ ეს ელემენტები სრულიადაც არ ჰგვანან გრძნობის ნეგატიურობის ვადექტევის გონების პოზიტიურობად.

უხეირო გამოთქმებით ახასიათებს ავტორი სტოელების როლს დიალექტიკის პრობლემის განვითარებაში. სტოელების დიალექტიკაზე (?) სულ ორი ფრაზაა ერთი მეორის საწინააღმდეგო: „სტოელების სკოლა მოეპყრო სეროზულად და ორიგინალურად (ხაზი ზენაი კ. ბ.) დიალექტიკის პრობლემას“ (გვ. 227). „...მაგრამ არც მას (სკოლის მთავარ თეორეტიკოსს ხრიზპოსს კ. ბ.) და არც სხვა სტოელს დიალექტიკური მეთოდის განვითარებისათვის ახალი ელემენტი არ მიუმატებიათ“ (გვ. 227), ძალიან საეკვია ამ ორი წინადადებაიდან გაიგოს მკითხველმა რაში მდგომარეობს სტოელებას სერიოზულობა და ორიგინალობა დიალექტიკის საკითხში, მით უნეტეს, რომ ავტორი კიდევ ერთ წინადადებას უმატებს თავის დახასიათებას, სადაც ამბობს, რომ ხრიპოსის დიალექტიკა დარჩა ანტიტეტურ მეთოდზე დამყარებული აზროვნების წესი და ამიტომ არისტოტელის შემდეგ ორიგინალობის პრეტენზიას მოკლებული (გვ. 228). რასაკვირველია, ეს წვრილმანია, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, ვინაიდან წიგნში ბლომად არის გაბნეული ამგვარი დახასიათება.

4. ამ წვრილმანებიდან გადავიდეთ მთავარ მომენტებზე. ეს მთავარი მომენტები შეეხებიან კანტის, ფიხტეს, შელინგისა და ჰეგელის დიალექტიკას, ე. ი. გერმანული იდეალიზმის დიალექტიკას.

წინააწარ ერთი ზოგადი ხასიათის შენიშვნა. ფილოსოფიური აზრის განვითარება კანტიდან ჰეგელამდე არის იდეალიზმის თანდათანობითი განვითარება. იდეალიზმის უკიდურესი ფორმა გვაქვს ჰეგელის სისტემაში, რომლის ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ სუბიექტი არის ყველაფერი. (შეად. მარქსის: „Для Гегеля процесс мысли, который он под названием идеи превращает даже в самостоятельный суб'ект, есть демиург действительности, представляющей лишь его внешнее проявление“). მეორემს ხრით არსად იდეალიზმი ისე არ დაახლოებულა თავის საწინააღმდეგო მიმართულებასთან, მატერიალიზმთან, როგორც ეს მოხდა გერმანულ იდეალიზმში და კერძოდ ჰეგელის სისტემაში.

გერმანული იდეალიზმის თანაშემწეოვე მკვლევარს ორი მთავარი მიზანი უნდა ჰქონდეს: პირველი—იდეალიზმისა და იდეალისტური დიალექტიკის საფუძვლების გამორკვევა და მეორე—ამ იდეალისტურ დიალექტიკაში მატერიალისტური ელემენტების—ბევრ შემთხვევაში ანტიცილებელი მატერიალისტური ელემენტების—აღმოჩენა.

ამხ. მ. გოგობერიძეს უსათუოდ ჰქონდა ეს ორივე მიზანი გათვალისწინებული, მაგრამ ვერც ერთი მათგანი საესებით ვერ შეასრულა.

ავტორი ვრცლად მოგვითხრობს კანტის, ფიბტესა და ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემებზე, მაგრამ არსად არა აქვს სპეციალურად განუყოფელად სისტემის ის ძირითადი მომენტი, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა სისტემის იდეალისტურ მეთოდი. ამის გარეშე ვაუტყვებარ რჩება ყველა ის მომენტები, რომელნიც იდეალისტურ დიალექტიკას ახასიათებენ, და რომელნიც ავტორს ჩამოთვლილი აქვს. საქმე ისაა, რომ გერმანული იდეალიზმი, როგორც აღვნიშნეთ, სუბიექტის ფილოსოფიას წარმოადგენს. ამ დებულებას ამა. გოგიბერიძეც იზიარებს; ის რამოდენიმე ადგილას სწერს; ჰეგელის ფილოსოფია „იდეალისტური არის იმიტომ, რომ სინამდვილე, სწესებითი სისტემის სახით წარმოადგენილი, არის სუბიექტი“ (გვ. 300). სწორედ ამ მომენტიდან, როგორც საფუძველიდან უნდა იყოს ახსნილი იდეალისტური დიალექტიკის თავისებურება. ერთად-ერთი დასაწყისიდან—სუბიექტიდან—მთელი სინამდვილის აგება შესაძლებელია მხოლოდ დიალექტიკურად. ამიტომ არის, რომ მარქსიზმის მონისტური მსოფლმხედველობაც დიალექტიკური მეთოდის გარეშე წარმოუდგენელია. მაგრამ გერმანულ იდეალიზმში სუბიექტია დასაწყისი და არა ნატურია. ცხადია ის თავისებურება, რომელიც უნდა ახასიათებდეს იდეალისტურ დიალექტიკას: სუბიექტი თავის თავის შემეცნების მიზნით, თავის თავის განზოციელებისათვის—ენიდან ის იმავე დროს თავის თავის მიზანია („დასაწყისი მიზანია“—აქვობს ჰეგელი), თავის თავს გახდის შემეცნების ობიექტად. სუბიექტი თავის თავთან დაპირისპირებული, ეს არის ის მომენტი, რომელსაც იდეალისტური დიალექტიკა თეზისისა და ანტითეზისის სახით იცნობს. სუბიექტის მიერ თავის თავის შექნაბა, ეს ის სინთეზია, სადაც სუბიექტი ობიექტში თავის თავს დაინახავს და შეიცნობს. ასეთია სულ მოკლედ და პოპულარულად იდეალისტური დიალექტიკის ამოსავალი. ამ კონცეფციით აიხსნება ყველა დანარჩენი მომენტი იდეალისტურ დიალექტიკაში.

ამისათვის უნდა მიექცია ავტორს ყურადღება და მაშინ ბევრი გაუგებრობა მის წიგნში აცდენილი იქნებოდა, და ბევრი სიძნელე, რომელიც ახლანდეს შემთავრესად ჰეგელის სისტემის დალაგებას, გადალახული.

ავტორი ხშირად ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ გერმანული იდეალისტები, მეტადრე ჰეგელი, უახლოვდებიან ისტორიული მატერიალიზმის მსოფლმხედველობას. ასე მავალითად, გვ. 321 ავტორი სწერს: „...ნიუბედავად თავისი იდეალიზმისა, ჰეგელის გენიალური აზროვნება ისტორიის რეალური მოვლენების გაცნობის დროს, ისტორიის მონისტურ საფუძველსა და მის მამოძრავებელ ძალებს ნახულობდა და ის კი არა ეკონომიური ფაქტორის ვადამწყვეტ მნიშვნელობაზე მიუთითებდა“. და მართლაც აუარებელი მავალითები შეიძლება მოვიყვანოთ ჰეგელის „მსოფლიო ისტორიიდან“, „ფილოსოფიის ისტორიიდან“, რომელნიც ამ დებულებას ამტკიცებენ.

სამწუხაროა მხოლოდ, რომ ამა. გოგიბერიძე მხოლოდ ამ ერთი ფრაზით კმაყოფილდება. მ. გოგიბერიძეც, რომელმაც თავის წიგნის უკანასკნელ თავში „ფენომენოლოგიის“ საკითხს თითქმის რვა გვერდი დაუთმო, არც ერთი სიტყვით არ მოიხსენია ის რეალისტური და მატერიალისტური აზროვნების ძე-

რითადი ნაკადი, რომელიც ჰეგელის ფენომენოლოგიის ახასიათებს. ფენომენოლოგიის პრობლემა არის ცნობიერების განვითარების პრობლემა; ორე მომენტია ძირითადი ამ შრომაში; საგანი და ცნობიერება. ცნობიერების განვითარება ხდება იმ საშუალებით, რომ საგანი იცვლება და ამით სცვლის თვით ცნობიერებასაც; ცნობიერება არსით განისაზღვრება. იდეალისტური დიალექტიკის გადატრიალების ცდა პირველად ჰეგელმა აწარმოვა თავის ფენომენოლოგიაში. ჰეგელი იდეალისტია, მაგრამ „ფენომენოლოგიაში“ ცნობიერების განვითარების ისტორია სწარმოებს ჰეგელის გამოთქმით „ცნობიერების ზურგს უკან“. ეს იყო პირველი ცდა იდეალიზმის მატერიალიზმად გადაქცევისა, რაც პრინციპიულად მარქსმა და ენგელსმა დაასაბუთეს. ჩვენ ავტორს უსათუოდ უნდა მივუცია ამ მომენტისათვის დიდი ყურადღება; თუ ის „ფენომენოლოგიის“ მთელ შინაარსს ვერ გადმოგვცემდა, ეს მისი ძირითადი ტენდენცია მაინც აღენიშნა და საილუსტრაციოდ იმ თავის შინაარსი მოცეა, რომელსაც ეწოდება: „მატრონა და მონოზა“—ეს ჰეგელის დიალექტიკის შედევრი.

მ. გოგობერიძე ამტკიცებს, რომ იდეალისტების სისტემებში „იდეალიზმში შინაგანი მარცხი განიცადა და მისი „სხვაგვარად ყოფნა“ აუცილებელი შეიქმნა. იდეალიზმის „სხვა გვარად ყოფნა“ კი მატერიალიზმი იყო“ (გვ. 319—20). ეს საფუძვლით მართალია! მაგრამ ამის თქმა არ არის საკმარისი. უნდა იყოს ნაჩვენები ის აუცილებლობა, რომელმაც იდეალისტური სისტემა და დიალექტიკა მატერიალიზმამდე მიიყვანა. ასეთი დიალექტიკური აუცილებლობა თვით იდეალისტების სისტემაში იყო მოცემული. სახელმძღვანელოში ილუსტრაციის სახით მაინც უნდა მოცეა ავტორს ერთი-ორი მაგალითი ამ გვარი აუცილებლობისა. შესანიშნავ მაგალითად გამოდგებოდა თუნდაც ლეთაების ცნება, რომელსაც იდეალისტური სისტემის მიხედვით ცენტრალური იდეალი უნდა ეკავოს და უკავია კიდევ, მაგრამ დიალექტიკური აუცილებლობით ეს ლეთაების ცნება ამავე სისტემის ფარგლებში მატერიალისტურ ინტერპრეტაციას შიილებს. ჩვენ არ გვაქვს აქ არც დრო და არც ადგილი, ამ პრობლემას ვრცლად შევიხათ. გერმანული იდეალიზმის მკვლევრები ისიც იცის, რომ იდეალიზმის დასკვნა ამ საკითხში სწორედ ისეთია, როგორც ჰეგელის შემდეგ გააკეთეს ჯერ ფოიერბახმა, და მერე მარქსმა და ენგელსმა. ჩვენ შეიძლება აქ ბრალი დავდინ, რომ ჩვენ იდეალიზმის მატერიალისტურ ინტერპრეტაციას ვაწარმოებთ და საქმის ვითარებას ობიექტურად არ ვაღმოვცენთ. საკმარისია ამიტომ მოვიყვანოთ ისეთი მკვლევარის აზრი, როგორც N. Hartmann-ია, რომელმაც ვერაფერი იფიქრებს, რომ მას იდეალისტების „გამამტერიალისტება“ სურს.

აი რას სწერს მარქსმა გერმანულ იდეალიზმის ერთ-ერთ სისტემაზე. „ლეთაების აქტუალობის, ე. ი. მისი სინამდვილისა და არსებობის მიზეზი ვართ ჩვენ ცნობიერი სუბიექტები“ (D. Philosophie d. deutschen Idealismus I. გვ. 162). აქედან სულ მცირე ნაბიჯია მატერიალისტ ფოიერბახამდე და შემდეგ მარქსამდე. ასეთია დასკვნა გერმანული იდეალიზმის და აქ



არის ერთ-ერთი მომენტი იდეალისტური დიალექტიკური სისტემის დანგრევისა და მის ნანგრევებზე ახალი მატერიალისტური დიალექტიკის (დიალექტიკის) აღმშენებლობა.

5. კანტის ფილოსოფიის გარჩევის დროს ავტორი სამი ძირითადი საკითხი-ჩვენს დიალექტიკურ მეთოდის მომენტებს. უპირველესად ყოვლისა, „კანტის ბუნებათმეცნიერულ ნაშრომებში“, შემდეგ სინთეზის ცნებაში და სინთეტურ მსჯელობაში და საბოლოოდ „წმინდა გონების მალალ რეგიონებში“. იმას და მიუხედავად, რომ კანტის ნააზრევში არის კიდევ ბევრი სხვა მომენტები სადაც დიალექტიკური მეთოდის ელემენტები ნათელია, ჩვენ მიიწვევართ მიუხედავად; ავტორის მიერ განოტოვებულ მომენტებს შემდეგ აღვნიშნავთ. „დიალექტიკური ნაკადი“ ბუნებათმეცნიერულ ნაშრომებში ავტორს კარგად აქვს გამოაშკარავებული. გაუგებრობას იწვევს მხოლოდ ის გარემოება, რომ ამ. გოგბერძენს არ სკოდნია ერთი რამ: აზრები შრომიდან „უაპყუფითი სიდიდეთა შესახებ“ კანტის ნიერ გამოვლენულია „წმინდა გონების კრიტიკაში“, ამიტომ შემსუბუქობა ავტორი, თუ ის ფიქრობს, რომ კანტის ფილოსოფია პირველ შრომაში კრიტიკული იყო, ვინაიდან მან აქ აზრის დიალექტიკური ნაკადი აღმოაჩინა, ხოლო აღარ იყო კრიტიკული „წმინდა გონების კრიტიკაში“.

დიალექტიკის მომენტებზე სინთეზის ცნებაში ვერ შევჩერდებით: ზოგიერთი გაუგებრობა, რომელსაც აქვს აქ ადგილი, აიხსნება, იღბად, იმით, რომ ავტორი სახელმძღვანელოს სწერდა და არა საუკეთესო გამოკვლევას. მით უფრო სინტეტურსა მესამე ადგილი: „დიალექტიკა გონების მალალ რეგიონებში“; ამ სათურში ავტორი გულისხმობს „კრიტიკის“ იმ ნაწილს, რომელსაც კანტი უწოდა (და ჩვენსებრვად ეწოდება) „ტრანსცენდენტალური დიალექტიკა“. ჰეგელი დიდად იფასებს კანტის კრიტიკის ამ ადგილებს სწორედ დიალექტიკური მეთოდის განვითარების თვალსაზრისით. მკითხველი ვერ გაიგებს „ნეგატიურ დიალექტიკის“ აზრს, რომელსაც კანტი „კრიტიკის“ ამ ნაწილში განვითარებს. მ. გოგბერძენს მხედველობიდან გამორჩა ის ძირითადი მომენტი კანტის „ტრანსცენდენტალურ დიალექტიკის“, რომელიც, შესაძლებელია ითქვას, დიალექტიკისათვის ერთადერთ ღირებულებას წარმოადგენს. ეს არის „აუცრლებელი წინააღმდეგობის“ ცნება, რომლის გარეშე „კრიტიკის“ ამ ნაწილს თითქმის არავითარი ღირებულება არა აქვს ჩვენი პრობლემისათვის. კანტის ტრანსცენდენტალური დიალექტიკა მიჩვენების ლოგიკაა, კანტის თქმით, ვინაიდან აზროვნება ამ სფეროში წინააღმდეგობაში ვარდება. მაგრამ ეს წინააღმდეგობა არ არის გონების ჩვეულებრივი შეცდომა: აქ გონებას არ შეუძლიან ამ წინააღმდეგობის გარეშე აზროვნება, ის გონებისათვის აუცილებელია, აქ არის ის ახალი ნომენტი, რომლითაც გაამდიდრა კანტი დიალექტიკა. გარდა ამისა, სრულიად გაუგებარია მ. გოგბერძენის განცხადება, თითქოს ჰეგელი უსაყვედურებს კანტს, რომ ის წინააღმდეგობას აზროვნებაში კი არ აღმოაჩენს, არაფერ „გონების რეგიონებში“. ჰეგელი უსაყვედურებს კანტს, რომ მან მხოლოდ აზროვნებაში აღმოაჩინა ეს აუცილებელი წინააღმდეგობა და სინამდვილეში, ბუნებაში ვერ გადაიტანა. ჰეგელი სწერს მაგ. „ლოგიკის მეცნიერებაში“ (იგივეს იმეორებს „ფილოსოფიის ისტორიაში“), რომ კანტი ნაზად მოუპყრო

სინამდვილეს, როცა მასში წინააღმდეგობის არსებობა გამოირიცხა, და ეს წინააღმდეგობა სულში, გონებაში გადაიტანა.

ჩვენ აღარ შევხვებით ცალ-ცალკე ფიქტეს, შელინგს; ^{წინააღმდეგობა} ^{წინააღმდეგობა} ^{წინააღმდეგობა} პირდაპირ ჰეგელის დიალექტიკაზე და მის გარჩევისას გვიქნება საშეალება ხელახლად დაუბრუნდეთ კანტსაც და ზოგიერთ ადგილას ფიქტესა და შელინგსაც შევხვით.

ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ ამთავითვე. მკითხველისათვის, მით უმეტეს სტუდენტობისათვის, ამ წიგნში ბევრი რამ გაუგებარი უნდა დარჩეს. გაუგებარი არა მ. გოგბერძინის შეკლომების გამო, არამედ იმ სიძნელის გამო, რომელიც თან ახლავს უმთავრესად უკანასკნელ თავს: „დიალექტიკის კლასიური სისტემა“. ავტორი ისეთ მძ-მე და გაუგებარ წინადადებებში ჩამოუყალიბებს ჰეგელის აზრებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში თვითონ ჰეგელის წაკითხვა უფრო გაუადვილებოდა მკითხველს. ვინც ჰეგელს არ იცნობს, ის მ. გოგბერძინის წიგნიდან ბევრს ვერაფერს შეითვისებს. უკანასკნელი თავის მე-4-ე პარაგრაფი ისეთი ბუნდოვანია, რომ თვითონ ავტორი სწერს შენიშვნაში: ეს პარაგრაფი წიგნის პირველ გადაკითხვის დროს შეიძლება საბუთებით გამოტოვებული იქნას. მაგრამ არა მხოლოდ პირველ გადაკითხვის დროს, არამედ მეათე გადაკითხვის დროსაც ეს პარაგრაფი მაინც გაუგებარი დარჩება. საინტერესოა ის გარემოება, რომ ეს პარაგრაფი ეხება... „დიალექტიკურ ლოგიკას“, ე. ი. მთავარ ნაწილს ჰეგელის სისტემაში!

მაგრამ დავანებოთ ამას თავი და გავსინჯოთ შინაარსის მხრივ ჰეგელის დიალექტიკის ანალიზი. ავტორი რამოდენიმე მომენტს აღნიშნავს ჰეგელის დიალექტიკურ მეთოდში.

7. ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის ერთი ძირითადი მომენტთაგანი ძიაში გამოიხატება, რომ დიალექტიკური წინსვლა იმავე დროს უკან დაბრუნებას ნიშნავს. ამ. მ. გოგბერძინს ეს მომენტი უსათუოდ აქვს მოხსენებული. მას ჰეგელის „ლოგიკიდან“ ციტატაც კი მოჰყავს იმის შესახებ, რომ „თვითოულში წინსვლის ნაბიჯი გარკვეულობის ხაზზე...—მას შემდეგ რაც ის მოშორდა გარკვეულ დასაწყისს,—არის იმავე დროს უკანსვლა და ასე მისკენ (ე. ი. დასაწყისისაკენ, მიახლოვება...“ (გვ. 331). ამ მომენტთან დაკავშირებულია დიალექტიკური მეთოდის უდიდესი აღმოჩენა: განვითარება წრის დაგვარ სისტემას წარმოადგენს (გვ. 312). „დიალექტიკური განვითარება წრისებურია“ (გვ. 307). ყველაფერი ეს სწორია. მაგრამ: ა. დიალექტიკის ამ მომენტს დასაბუთება სჭირდება; ამ მომენტს იდეალისტურ დიალექტიკაში სუბიექტის ცნება ფდევს საფუძვლად, სახელდობრ სუბიექტის ის ასპექტი, სადაც ნათელია, რომ სუბიექტი—დასაწყისი არის იმავე დროს მიზანიც. მ. გოგბერძინე არაფერს ამზობს ამის შესახებ, და დიალექტიკის ეს ძირითადი მომენტი დაუსაბუთებელი რჩება. ბ. საკვირველია ის გარემოება, რომ, მ. გოგბერძინე დიალექტიკის ამ მომენტს მხოლოდ ჰეგელის ფილოსოფიაში აღმოაჩენს. დებულება, რომ ყოველი წინსვლა უკან, საფუძვლებისაკენ დაბრუნებას ნიშნავს, ეს ჯერ კიდევ კანტმა აღმოაჩინა. კანტის ფილოსოფიის განხილვის დროს ამის აღნიშვნა საკმარისი იყო.

დიალექტიკურის ეს მომენტი უსათუოდ ელემენტია ტრანსცენდენტალური/მეთოდის. მ. გოგბერიძეს არა თუ არა აქვს განხილული ტრანსცენდენტალურობა და დიალექტიკური მეთოდების შედარება, არამედ ტრანსცენდენტალური მეთოდზე ერთი სიტყვაც არა აქვს მოხსენებული. კანტის ტრანსცენდენტალური მეთოდი კი პირველი საფეხურია დიალექტიკური მეთოდის. ც. რაც შეეხება განვითარების წრისებურ ხასიათს—ეს შედეგია ზემოთ აღნიშნულ მომენტისა, და ჩანასახი სახით ისიც კანტის სისტემაში გვაქვს მოცემული. ყოველ შემთხვევაში უკუ ფიხტეს დიალექტიკაში ამ მომენტს ცენტრალური ადგილი უკავია, თავი რომ დაეანებოთ თვით ფიხტეს სისტემას, რომელიც ცდილობს განახორციელოს ეს მომენტი, საკმარისია გაიხსენოთ მისი „über den Begriff der Wissenschaftslehre“, სადაც დიალექტიკური განვითარების წრისებური ხასიათი საუცხოვოდ არის დახასიათებული. მ. გოგბერიძე ერთ ადგილას სწერს კიდევ: „ფიხტე გენიოსია ცალმხრივობაში. განვითარების სათავეში მოქცეული «აბსოლუტური მე» ამართლებს როგორც დიალექტიკური მსვლელობის დასაწყისს, ისე მის დასასრულს“. აქ გამოთქმული აზრი განვითარების წრისებურ ხასიათს შეეხება. საკვირველია მხოლოდ: რაც ჰეგელის სისტემაში უდიდეს აღმოჩენად არის მიჩნეული (საესეხით სამართლიანად!) იგივე ფიხტეს სისტემაში ცალმხრივობად არის აღიარებული.

მ. ავტორი ამტკიცებს, რომ დიალექტიკური განვითარების ტრიადული ფორმა ნოიპლატონიზმის შემდეგ ფიხტემ განაახლა. კანტს არ უცდია ამ გზით სვლა, მაიშონი ასწორებს კანტის ნაკლს, „ფიხტე კი ტრიადულ დიალექტიკური სინთეზით აწესრიგებს მდგომარეობას“ (გვ. 275). „ტრიადის ხერხებს ჰეგელი მიმართავდა, როგორც აზრის ზედმეტ სიღამაზეს, მაგრამ მისი დიალექტიკური განვითარების დღედაბოძს ეს აღარ შეადგენდა“ (გვ. 276). ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც ერთი ამ დებულებათაგანი არ შეესაბამება სინამდვილეს. მ. ნუ თუ ამხ. მ. გოგბერიძეს არ ახსოვს კანტის რა დიდ დამსახურებად თელიდა ჰეგელი ტრიადის აღმოჩენას. „ლოგიკაში“, „ენციკლოპედიაში“, „ფილოსოფიის ისტორიაში“ ყველგან იმეორებს ჰეგელი, რომ დიდად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, და კანტის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ პითაგორეელებისა და ნოიპლატონიზმის შემდეგ კანტმა ხელ-ახლად აღმოაჩინა ტრიადული სისტემა, რომელიც აბსოლუტური ფორმის მატარებელია. კანტი, რომელიც კატეგორიების ტრიადულ ტაბულის ქვემოთ სწერს, რომ ეს ტრიადული ფორმა მეცნიერების უნაღლეს ფორმად გადაიქცევა („კრიტიკაში“), რომ ყოველი აპრიორული გაყოფა უსათუოდ ტრიხოტომიური უნდა იყოს („ლოგიკაში“) და საბოლოოდ ამტკიცებს, რომ ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის არსებიდან გამომდინარეობს ტრიხოტომიის მეთოდი („მსჯელობის უნარის კრიტიკა“ შესავალი). ამ საინტერესო გარემოებას არ მიაქცია დიალექტიკის არც ერთმა მკვლევარმა ყურადღება; ამას გვერდს უვლის აგრეთვე ჩვენი ავტორიც. ხ. ჩვენ არ დაუწყებთ მ. გოგბერიძეს კამათს იმის შესახებ, რომ მან ტრიადული დიალექტიკის „მაესტრობა“ ფიხტეს მიაკუთვნა. მან თვითონ იცის ალბათ კარგად რა უშინოდ და უნიჭოდ აქვს გამოყენებული ტრიადა ფიხტეს

ძალიან ბევრს შემთხვევაში თავის „Wissenschaftslehre-ს“ საფუძვლებში, სადაც ერთი დებულება ხან თეზისის, ხან ანტითეზისისა და ხან სინთეზის როლში გამოდის, სადაც ტრიადის წევრები ერთმანეთთან ხშირად სწორიად დაუკავშირებელი არიან, ხოლო კატეგორიების დედუქცია ტრიადული განვითარების ხასიათს მოკლებულია.

ც. საინტერესოა უკანასკნელი განცხადება, რომ „ტრიადის ხერხებს ჰეგელი მიმართავდა, როგორც აზროვნების ზედმეტ სილამაზეს“. შესაძლებელია, ჰეგელი ზოგიერთ შემთხვევაში გვერდს უხვევს ტრიადას, და ერთ ადგილას ამის შესახებ თვითონაც ამბობს, — ეს, ყოველ შემთხვევაში, ძალიან საკამათო საკითხია და ადგილების სწორი გავების შესახებ აქ ვერ ვიმსჯელებთ. ცხადია მხოლოდ ერთი: ჰეგელი პითაგორელების, ნოიპლატონიზმის, კანტის, ფიხტეს დამსახურებას დიალექტიკური მეთოდის წინაშე სწორედ განვითარების ტრიადულ სისტემას ასახელებს; ჰეგელის მთელი სისტემა: იდეა — ბუნება — სული (Geist) ან: ansich — sein Anderes — für sich — ტრიადული განვითარების მაჩვენებელია; ყოველი მომენტი, ყველა პარტიები მის შრომებში ტრიადულად არის აგებული (როგორც აღნიშნეთ, ჩვენ არ ვეხებით იმ საკამათო ადგილებს, სადაც თითქოს ტრიადა უარპყოფილი უნდა იყოს). გერმანული იდეალიზმის დიალექტიკა უსათუოდ ტრიადულია თავისი საფუძვლებით, თავის მიზნებით: სუბიექტი, რომელმაც თავისი თავი უნდა შეიცნოს, თავის თავში ობიექტს ჰქნის (ბუნებას, როგორც „თავის სხვას“) და ამ ობიექტში თავის თავს შეიცნობს, ე. ი. თავის თავს დაუბრუნდება, სუბიექტი = an sich ბუნება = Sein Anderes, სუბიექტი, რომელმაც თავის თავი განახორციელა და შეიცნო = für sich. განვითარების ასეთი სახე ყველაზე ცხადად ჰეგელის სისტემაში გვაქვს და ცხადია ამიტომ, რომ ამხ. მ. გოგიბერიძეს განცხადება: „ტრიადის ხერხებს ჰეგელი მიმართავდა როგორც აზრის ზედმეტ სილამაზეს“ — საყვარელით შემცდარია, საბოლოოდ: რის მაჩვენებელია ნეგაციის ნეგაცია, რომელსაც ავტორი დიალექტიკის დედაბოძად თელის თუ არა ტრიადული სისტემის?! იი რა აზრისა არის მარქსი ჰეგელის ტრიადაზე („Нищета философии“) „В чем состоит движение чистого разума? В том, что он ставит себя, противопоставляет себя самому себе и соединяется с самим собой, в том, что он формируется в тезис, антитезис и синтезис или, наконец, в том, что он себя полагает, отрицает и отрицает свое отрицание“. როგორც უხედავთ მარქსისათვის განვითარების ტრიადული სისტემა აუცილებელი მომენტი იყო ჰეგელის დიალექტიკის.

9. ამხ. მ. გოგიბერიძე საბართლიანად აღნიშნავს, რომ ჰეგელის დიალექტიკის ერთ-ერთს მთავარ მომენტს წინააღმდეგობის შესაძლებლობის კანონი შეადგენს. ამ კანონის გარშემო შეიქმნა ბურჟუა, რომლის გაფანტვა სურს ავტორს (გვ. 315). ავტორს მოჰყავს ჰეგელის სხვადასხვა გამოთქმები, რითაც ნათლად მტკიცდება, რომ წინააღმდეგობა „ქვეყნის მიმომრავებელი ძალი“ ყოფილა.

ყველაფერი ეს მართალია. მაგრამ მ. გოგბერიძე არსად არ ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ „თავის თავად ყველა საგანი წინააღმდეგობაში არის“. ამას ამბობს ჰეგელი, ამასვე იმეორებს მ. გოგბერიძე (გვ. 133-134). ამას თქმა არ არის საკმარისი, მ. გოგბერიძის წიგნის მკითხველი მაშინვე მოიყვანს მაგალითს, რომელიც არსებითად წმენდავს, მაგრამ წიგნში მოცემულ წინააღმდეგობის შესაძლებლობის (თუ აუცილებლობის?) კანონის ინტერპრეტაციას გააქარწყლებს. რომელიმე ქვა, ქუჩაში რომ გდია, არის ეს საგანისთვის თავად წინააღმდეგობა? სად არის ის წინააღმდეგობა, რომელიც ამ ქვას თავის თავში უნდა ჰქონდეს. ან თუ არის, რა ხასიათის არის ეს წინააღმდეგობა? ამხ. მ. გოგბერიძეს ყურადღება რომ მიექცია წინააღმდეგობის ხასიათისათვის, წინააღმდეგობის სხვადასხვა ასპექტისათვის, ამგვარ მაგალითს მას არავინ მოუყვანდა! ხომ ვერ გვიპასუხებს ჩვენი ავტორი, რომ ქვა დღეს ასეთია და რამოდენიმე ხნის შემდეგ ის აღარ იქნება ასეთი, ის დაიშლება და სხვა, და ჩვენ მივიღებთ ორ ურთიერთის საწინააღმდეგო მსჯელობას: „ეს არის ქვა“ და „ეს არის ქვა“. ეს ხომ „ლამაზი თამარის“ დიალექტიკა იქნებოდა, რომელზედაც ჩვენ ზემოდ გვქონდა საუბარი. სინამდვილეში აქ არის უსათუოდ წინააღმდეგობა და არა ერთ ასპექტში, არამედ რამოდენიმე ურთიერთთან დაკავშირებული სახის. მ. გოგბერიძეს „მომენტის“ ცნებისათვის და ურთიერთში შეჭრის კანონისათვის (Durchdringen, „взаимное проникновение“) ყურადღება რომ მიექცია, წინააღმდეგობის ხასიათიც მთელი ვახდებოდა. ვერ კიდევ შელინგი სწერდა: „ბუნების ყოველი პუნქტი არის ბუნების პროდუქტი და ყოველ ამ პროდუქტში ბუნება დაუბოლოვებელია. ყოველ ამ პროდუქტში არის მთელი უნივერსის ჩანასახი“. „რატოაში მოგზაურმა შენიშნა, რომ რომის დიდ ობელისკზე შესაძლებელია მსოფლიოს მთელი ისტორიის დემონსტრირება; იგივე ითქმის ბუნების ყოველ პროდუქტზე, ყოველი მინერალი არის დედამიწის ისტორიის ფრაგმენტი. მისი ისტორია ჩაქსოვილია ბუნების მთელს ისტორიაში“.

ასე ლამაზად ამ აზრს შემდეგში ჰეგელიც ვეღარ იტყვის. ყოველ მომენტში ჩაქსოვილია მთელი მსოფლიო, რეალობა ყოველი მომენტი არის ის რაც არის რეალობა და ამავდროს არის მთელი მსოფლიოს ჩანასახი, მისი ისტორიის, როგორც წარსულის ისე მომავლის, ე. ი. ის არის ის, რაც არის და ამავდროს მისგან განსხვავებულიც. წინააღმდეგობის ცნება მომენტსა და ურთი ერთში შეჭრის კანონების ნიდაზე ვაირკვევა. ამ კანონების გარეშე წინააღმდეგობის ცნება დიალექტიკაში სავსებით გაუგებარია. მ. გოგბერიძემ კარგად უნდა იცოდეს ეს: ის ლამაზად გაკვირით ზოგიერთ ადგილას ურთიერთ კავშირის შესახებ, მომენტის შესახებ (სხვათა შორის, ხშირად ურევს დროის მომენტს მომენტის დიალექტიკურ გაგებასთან), მაგრამ წინააღმდეგობის ცნების გასარკვევად არც ერთსა და არც მეორეს არ მოიხმარს.

10. „წინააღმდეგობა საფუძველია ყველაფრისა... მაგრამ ეს არის მთლიანად მეტის თქმა არ შეიძლება ჰეგელის დიალექტიკაში წინააღმდეგობის პრინციპის?“. მ. გოგბერიძეს აზრით, ვინც ასე ფიქრობს, მას ვერაფერი გაუგია ჰეგელის დიალექტიკაში. „ეს რომ ასე იყოს, მაშინ ხომ ფიხტესა და ჰეგელის, გინდ შელი-

ნგისა და ჰეგელის შეთოდს შორის არაერთგვაროვანი განსხვავება არ იქნებოდა" (გვ. 316). მაგრამ ეს ასე არ არის: „ჰეგელის დიალექტიკური მეთოდი მარტო იმას კი არ აჩვენებს, რომ ყველაფერი საესეა წინააღმდეგობით, არამედ ის წინააღმდეგობის დაძლევის საშუალებასაც იძლევა" (გვ. 317).

ერთ გაუგებრობას უნდა პქონდეს აქ ადგილი: ნუ თუ იმით განსხვავდება ფიხტეს დიალექტიკა ჰეგელისაგან, რომ ჰეგელი წინააღმდეგობათა გადალახვის საშუალებას გვაძლევს, ხოლო ფიხტე არა? წინააღმდეგობათა გადალახვის მომენტი ჯერ კანტის კატეგორიითა ტაბულაში გვაქვს. წინააღმდეგობის დაძლევის შეუძლებლობა შეიძლება მხოლოდ კანტის ანტინომიებში დავადასტუროთ. რაც შეეხება ფიხტეს, მის პრინციპიალურად აქვს წინააღმდეგობათა დაძლევის შესაძლებლობა კი არა, არამედ აუცილებლობა აღარჩებული და დადასტურებული. Über den Begriff-ში წინააღმდეგობის დაძლევის თეორიაა მოცემული. „Grundlage den gesamten Wissenschaften"-ში ის პრაქტიკულად არის განხორციელებული. ამავე შრომაში (Zweiter Teil § 4) მოცემულია სულ მარტო გამოთქმებში ეს თეორია ხელ-ახლად: ფილოსოფიის მეოთხე წინააღმდეგობათა დადგენის შემდეგ ეძებს იმ წვერს, რომლის საშუალებით ხდება წინააღმდეგობის დაძლევა. ამ უკანასკნელ წვერში ხელ-ახლად იჩენს თავს წინააღმდეგობა, ისევე ამალი წვერი გამოინახება და ისევე იქნება წინააღმდეგობა გადალახული, ისე მიმდინარეობს პროცესი, მანამ არ იქნება მიღწეული სუბიექტი იდეაში.

ნუ თუ ეს არ იცოდა ამხ. მ. გოგბერძინი? რისაკვირველია უნდა სკოდნოდა! წინააღმდეგ წემთხვევაში, რას ნიშნავს მისი აზრი იმის შესახებ, რომ ფიხტე ტრიადის ხელოვანი იყო, რას მოწმობს 278 გვერდზე მოყვანილი მაგალითი თეზისის, ანტითეზისისა და სინთეზის: სინთეზში ხომ უნდა მოიხსნას წინააღმდეგობა! აბსოლუტური „მე" რომელიც სისტემის დასაწყისში ორიად გაითიშება, რომ უნდა აღსდგეს თავის მთლიანობაში პროცესის დასასრულს (ე. ი. წინააღმდეგობა დასძლიოს!). ამას ამხ. მოსე თვითონ ასაბუთებს: „აბსოლუტური მე ამართლებს როგორც დიალექტიკური მსვლელობის დასაწყისს, ისე მის დასასრულს" (გვ. 277).

ცხადია, აქედან, რომ წინააღმდეგობის დაძლევის თეორიაში არ ყოფილა ფიხტესა და ჰეგელის დიალექტიკის პრინციპიალური განსხვავება.

თვით წინააღმდეგობის დაძლევის წინაარსზედაც უნდა ვთქვა ამხ. გოგბერძინის რამოდენიმე სიტყვა. წინააღმდეგობა მოხსნილია დიალექტიკურად, ე. ი. პროცესის საბოლოო ეტაპი მაინც განსხვავებულ მომენტებს შეიცავს და წინააღმდეგობათა ბრძოლის მთელ ისტორიას. დიალექტიკურ იგივეობის კანონით, წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ მაინც რჩება განსხვავებული იგივეობა.

არის კიდევ რამოდენიმე საკითხი, როგორც მაგალითად უარყოფისა და ორმაგი უარყოფის კანონი, გონებისა და განსჯის (разум, разумок) დამოკიდებულების საკითხი, დაუბოლოებელი აზროვნების პრობლემა და სხვ. რომელნიც დეტალურ ანალიზს მოითხოვენ და რომელნიც ამხ. გოგბერძინის წიგნში

გაუგებრობას იწვევენ. ამ საკითხებზე ჩვენ აქ ველარ შეფერვებით ვერ ერთი, ამისათვის აღარც ადგილი გვაქვს, და მეორე ის არის, რომ შესაძლებელია ეს გაუგებრობა ავტორის არ იყოს: მეტად სპეციალური და რთული საკითხების პოპულარიზაციას სახელმძღვანელოში ხშირად მოჰყვება ასეთი გაუგებრობანიც. შესაძლებელია ისიც, რომ ზოგიერთს ჩვენ მიერ აღნიშნულ ნაკლს სწორედ ამგვარი საფუძველი ჰქონდეს.

ჩვენ მიუთითეთ იმ ზოგიერთ შეცდომებს, რომელთაც ადგილი უნდა ჰქონდეთ მ. გოგიბერიძის წიგნში. რასაკვირველია, ამ ნაკლთან ერთად მის წიგნს გაცილებით მეტი დადებითი მხარე ახასიათებს, ჩვენ აქ ამ დადებით მხარეებზე სრულებით არ გვიმსჯელია. ჩვენი მიზანი იყო მხოლოდ შეცდომების აღნიშვნა. რაც შეეხება მის დადებით მხარეებს, საკმარისია იმის თქმა, რომ მთელ სამკითხველთა კავშირში ამგვარი სახელმძღვანელო ჯერ არ არსებობს, და ფილოსოფიურ ლიტერატურაში ამა. მ. გოგიბერიძის წიგნი პირველი ცდაა — და ამასთანავე აღსანიშნავია, ეს ცდა კარგად არის შესრულებული — რომელიც მარქსისტულ ფილოსოფიის შესავალს წარმოადგენს.

გასაღები ქართული აზროვნების ისტორიისათვის

გიორგი წაჩითლის წერილები

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად ინტერესი ქართული აზროვნების ისტორიის შესწავლისა შეტად გაცხოველებულია ჩვენში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას გარკვევით, რომ ამ ინტერესის რეალურად განაღდებას ბევრი რამ დამბრკოლებელი მიზეზი ეღობება წინ: პირველი ის, რომ დღემდე ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლის საქმეში ძალიან მცირედი რამ იყო გაკეთებული, ხოლო გასაკეთებელი კი ერთობ ბლომად არის; მეორედ ის, რომ დიდძალი მასალები ამ დარგიდან არამც თუ გამოქვეყნებული არ არის, არამედ სრულიად უცნობია და ბევრი მათგანი ან არქივის მტვერით არის დატვირთული, ან ოჯახებში არის გაფანტული, ანდა, რაც უფრო სამწუხაროა, ბაზარზე საპარკე ქაღალდებამდე იყიდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენში დღესაც არ არის გამოცემული ნაწერების სრული კრებული, თუ გინდ ერთი რომელიმე ჩვენი პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოღვაწისა. ეს დიდი დანაკლისი და სამწუხარო ფაქტი არის. მაგრამ ამას დაძლევა ესაჭიროება და ეს შესაძლებელია მხოლოდ კალექტიურის გზით. ამ მხრივ აღსანიშნავია და საყურადღებო სახელგამთან ა. წ. კლასიკოსთა სექციის დაარსება, რომლის მიზანია გამოსცეს თუ სრული არა, ყოველ შემთხვევაში, რჩეული ნაწერები ჩვენი მწერლებისა და პუბლიცისტების. უკვე მუშავდება ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით სქემა ამ გამოცემისა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ სახელგამი უკვე შეუდგა გ. წერეთლის პუბლიცისტური ნაწერების ბეჭედას, მზადდება დასაბეჭდათ ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერები და დიმიტრი ყიფიანის „მემუარები“, უნდა აღინიშნოს აგრეთვე სახელგამისავე განზრახვა ე. ნინოშვილის ნაწერების აკადემიური გამოცემისა; აკაკი წერეთლის, ოთხი ტომი რჩეული ნაწერების გამოცემა, ილია ჭავჭავაძის ათი ტომი სრული ნაწერებისა და სხვა. ამ რიგად, საქმე უკვე დაწყებულია და სასურველია მისი უფრო ენერგიული საშეალებით გაფართოება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ დიდ მუშაობას საკმაოდ დახმარებას გაუწევს, თუ პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე დრო გამოშვებით გამოქვეყნებული იქნება ჩვენი პუბლიცისტებისა და მწერლების მიწერ-მოწერა და ლიტერატურული

ხასიათის დოკუმენტები. თქმა არ უნდა, რომ ამ საშვალეებით ძლიერ გაფართოვ-
 ლებთ გამომცემლობასაც და მკვლევართ თავიანთ შეშაობის საქმეებსაც. ქსეი-
 თის მასალები და დოკუმენტები, ერთი მხრივ იძლევა საინტერესო ბიოგრაფიულ და
 მიბლიოგრაფიულ ცნობებს, გვაძლევს ძლიერ ხშირად მასალებს ისეთს საიდუმ-
 ლო მოვლენებისათვის, რომელთა გამოშუქება შეუძლებელი იყო ოფიციალურ
 დოკუმენტებში; მეორე მხრივ, იგი აუცილებლად იწვევს ინტერესს თვით საზო-
 გადოებაში, — წაახალისებს მას და მასთანვე ხელს შეუწყობს ცალკე ოჯახებში
 უხვად გაბნეულ საინტერესო დოკუმენტებისა და მასალების თავის მოყრის სა-
 ზოგადობრივ ორგანიზაციების ხელში.

სწორეთ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი წერილების საერთო სათაური — მა-
 სალები ქართული ინტელიგენციის ისტორიისათვის.

პირველ რიგში ჩვენ ვაქვეყნებთ გიორგი წერეთლის კერძო წერილებს.
 იანვარში სრულდება 30 წელი მისი გარდაცვალებიდან (1900—1930 წ.), ხოლო
 მშ წელი მისი დაბადებიდან (1842—1930 წ.). ეს საიუბილეო დატები აუცი-
 ლებლად იწვევს ინტერესს ჩაიხედეთ გ. წერეთლის ინტიმურ ცხოვრებაში
 და გადავშალოთ მისი კერძო მიწერ-მოწერანი.

გ. წერეთელი ჩვენში საქმაოდ ცნობილი მწერალია; მაგრამ უნდა ითქვას,
 რომ იგი არ არის შესაფერისად დაფასებული: მისი ლიტერატურული და საზო-
 გადობრივი მოღვაწეობა ჯერ ჯერობით არ ყოფილა გაშუქებული. მას ჩვენი
 მკითხველი საზოგადოება უფრო იცნობს როგორც ბელეტრისტ მწერალს. ხო-
 ლო მისი საზოგადობრივი პოლიტიკური და ეკონომიური სოფლმშენებლობა
 სრულიად არ არის შესწავლილი. გიორგი წერეთელი მრავალფეროვანი მწე-
 რალი იყო; მას, ისე როგორც სხვა ჩვენ მწერლებსა და მოღვაწეებს, მრავალ-
 გვარ სარბიელზე უხდებოდა მოღვაწეობა. იგი ერთდა იმავე დროს რედაქტო-
 რიც იყო და მრეწველიც, მუბლიცისტიც და დრამატურგიც, პოეტიცა და ის-
 ტორიკოსიც, ბელეტრისტიცა და არქეოლოგიც, საზოგადო მოღვაწეცა და ბუ-
 ნებისმეტყველიც, და უნდა ითქვას, რომ გ. წერეთლის ბრძოლას ამ მრავალ-
 გვარ ფრონტზე უნაყოფო არ ჩაუვლია. მისი ღვაწლი ამ მხრივ აუცილებლად
 აღსანიშნავია და ქართული აზროვნების ისტორიაში გიორგი წერეთელს აუცი-
 ლებლად საპატიო ადგილი უჭირავს.

გ. წერეთელი 60-იანი წლების მოღვაწეთა გუნდს ეკუთვნოდა. მან სხვა ჩვენ
 მწერლებთან ერთად მძლავრად განიცადა რუსეთის სამოციან წლების მოაზროვ-
 ნეთა გავლენა. ის ღრმა დემოკრატიული ნაკადული, რომელიც ასე საგრძნობლად
 მოსწაქვს გიორგი წერეთლის პირველ ნაწერებშივე, თავის სათავეს ჩერნიშევ-
 სკის, დობროლუბოვისა და 60-ანი წლების სხვა მოღვაწეთა ნაწერებიდან ლე-
 ბულობს. გაზ. „დროება“ პირველსავე ნომერში (№ 1, 1866 წ.), რომლის რედაქ-
 ტორი და სულის ჩამდგმელიც ის იყო. გ. წერეთელი სწერდა, რომ იგი თავი-
 სი მოღვაწეობის მთავარ დანიშნულებას ბატონ-ყმაობის მოსპობაში ხედავდა. გ.
 წერეთელმა, აღზრდილმა განმათავისუფლებელ ეპოქის რადიკალურ-დემოკრა-
 ტიული აზროვნების ნიადაგზე, ნათლად შეიგნო ბრძოლის აუცილებლობა იმ
 დახვესებულ წყობილების წინააღმდეგ, რომელიც გაბატონებული იყო მაშინ სა-

ქართველოში. „საქართველოს მოამბის“ ფურცელზე მწერლის მოვალეობას გ-წერეთელი შემდეგნაირად განსაზღვრავდა: „მწერალი არის ებრაძე¹⁾ ხნიძის საზოგადოების მწვერთავანი, ერთი იმ პირთავანი, რომლებსი კრებულს შეადგენს საზოგადოებას. ეს არის საზოგადოების ტანჯვის და შვების თანაგრძობელი. რაში მდგომარეობს მისი ღვაწლი საზოგადოების წინ?—აჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი ამ ნაკულევენების შესახებ, უჩვენოს იმ გვარი საშვალეებზე, რომლებიც მისი ფიქრით საუკეთესო არიან ამ ნაკულევენების მოსახლობლად.“²⁾ მწერლობა უნდა ემსახუროს საზოგადოებას, ხელი შეუწყოს ცხოვრების განახლებასა და წინსვლელობას,—ასეთი არის ის ძირითადი უტილიტარული პრინციპი, რომელიც შეითვისა გ. წერეთელმა 60-იანი წლების რუსეთის აზროვნებიდან და რომელსაც იგი გულმოდგინეთ ემსახურებოდა მთელი თავისი ხანგრძლივი საზოგადოებრივი-ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდში.

მაგრამ მართო ამ მომენტით არ ამოიწურებოდა გ. წერეთლის მთელ-მხედველობა: იგი მტკიცედ იდგა 60-ანთა „განმანათლებლის“ თვალსაზრისზე და რაციონალისტის საზომით იბილავდა საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატების საქმეს: განათლება და აზრდენება ქმნის წინსვლელობის საქმეს—ასეთი იყო ამ რაციონალისტური სოციალოგიის ძირეული საფუძველი. „რადგანაც კაცის გონიერებას—სწერდა გ. წერეთელი—მოსდგამს მუდამ სისრულეში მომავალობა, არაოდეს არც ხალხის ცხოვრება არ დარჩება მუდამ ერთ და იგივე მდგომარეობაში; აღიძვრის თუ არა ცხოვრებაში იმდენი ძალა, რომ საქმა იქნება ახალ საშუალების მოსაპოვებლად და ძველი ფორმის გადასადგებლათ, იმავე წაშს ცხოვრების წინ მსტელლობაც აღიძვრის და ატყდება გამწარებული ბრძოლა ძველ წყობილების და ახალ მოთხოვნილების შუა“.³⁾ აქ უკვე ნათლად მოჩანს ევოლიუციონური პრინციპი, რომელიც იმავე 60-იან წლების მწერლების არსენალიდან არის გადმოღებული. მაგრამ ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მოძღვრებიდან გ. წერეთელმა არა მართო ევოლიუციონური თეორია შეითვისა, არამედ ერთგვარი რევოლიუციონური სოფლმხედველობაც. მას კარგად ესმოდა რომ „ბრძოლა ძველ წყობილებასა და ახალ მოთხოვნილების შუა“ დაუცხოვრებელი და სასტიკია, რომ გადასვლა ერთი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან მეორეში—არ შეიძლება მოხდეს მშვიდობიანი გზით და საშუალებით.

ეს პრინციპები მტკიცედ შეითვისა გ. წერეთელმა 60-იან წლებში და მთელი თავისი მოღვაწეობა მის რეალურად განაღდებას შეაღია. ის უკვე თავიდანვე ფიქრობდა, რომ ჩვენი ცხოვრების სიღრმეში მოწინავე ინტელიგენციის მეთაურობით მომხადდა ახალი ძალა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი არის ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განმტკიცება.

მაგრამ როგორი საზოგადოებრივი ურთიერთობისაა იმის წინაფიქრი გ. წერეთელი, როგორი იყო მისი სოციალ-პოლიტიკური იდეალები?

¹⁾ გ. თელი (გ. წერეთელი) : „ცისკარს რა აკანებდა?“ ჟურ. „საქართველოს მოამბე“ № 6, გვ. 15. 1863 წ.

²⁾ იქვე, გვ. 47.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ჩვენ ისტორიულ-ამბიქტურ პრობებში გ. წერეთლის მიერ შეთვისებულმა რუსეთის 60-იანი წლების ინტელექტუალურ-აზიულ-დემოკრატიული შინაარსი მიიღეს. გ. წერეთელი ბურჟუაზიულად შობა-როვნე რადიკალი და დემოკრატი იყო. არავის ეს რადიკალ-დემოკრატიული და ბურჟუაზიული სოფლმშენებლობა ისე სწორად და ნათლად არ გაუტარებია ჩვენში, როგორც გ. წერეთელს. შეიძლება ითქვას, რომ იგი 60-იან წლებიდან ამ ახალი საწარმოო ძალის მეზარაზტრე იყო. იგი ერთი მხრივ ებრძოდა ძველ დაბანებულ წყობილების ფორმებს, ხოლო მეორე მხრივ ოცნებობდა და ქადაგებდა საქართველოს ეკონომიურ აღორძინებას კაპიტალიზმის გზით. 1873 წ. იგი სწერდა: „ჩვენი თავად-აზნაურობის დასუსტება, დაქვეითება და მუშა ხალხის სულის ჩადგმა, მისი წინ წამოწევა, იმ ერთი დიდათ სანუგეშო ნიშანთაგანი ამ დროებისა. მაშ გაუმარჯოს მშრომელს ერს და იმის მოთავე მშრომელს, განათლებულს ახალგაზრდობას! ჩვენი ქვეყნის ბედნიერება შემდეგში მათს ერთმანეთთან დაკავშირებაზე და დამეგობრებაზე დამოკიდებულია.“¹⁾ ეს ბრძოლა ძველი წყობილების ნაშთების წინააღმდეგ და ინტელიგენციასა და მშრომელ მასაზე დაყრდნობა გარკვევით ამაჟიარავენს გ. წერეთლის დემოკრატიულ-პოლიტიკურ მისწრაფებებს.

მაგრამ როდესაც ჩვენ გადავშლით გ. წერეთლის ეკონომიური პროგრამის შინაარსს, ნათლად დავინახავთ, რომ იგი მრეწველობის, ალემ-მიცემობის, ეაქრობისა და ეკონომიური წარმატების მქადაგებელი იყო ჩვენში. თავიდანვე გ. წერეთელი ალტაკებით ხვდებოდა ჩვენში ეაქრობა-მრეწველობის განვითარებას. იმავე წერილში სწერდა: „ისინი (სოფლებიდან ჩამოსული ხალხი) დღიდან დღეზე მრავლდებიან ტფილისში და ტფილისის ბაზარზე ამრავლებენ საქართველოს მიწა-წყლის ნაწარმოებს და აღიღებენ საქართველოს ხალხის ალემ-მიცემობას.“²⁾

უნდა აღვნიშნათ ისიც, რომ გ. წერეთელი 60—70-იან წლებში მომხრე იყო ეაქრობა-მრეწველობის განვითარებას ზეენში ერთგვარი კოლექტიური სახე და ფორმა მიეღო. ე. ი. იგი ფიქრობდა საქართველოს სინამდვილეში კაპიტალიზმის განვითარებისათვის დეკარვა თავის ჩვეული მეცარი სახე და ბანკების, კოპერაციების, ასოციაციებისა და არტელების გზით წასულიყო ჩვენი ეკონომიური ცხოვრება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თავიდანვე გ. წერეთელი ამიერკავასიის ერთა სოლიდარობის პროგრამით გამოდიოდა და ცდილობდა სომხების, ქართველების და თათრების დამოზილებას. 1879 წ. იგი სწერდა: „ჩვენ საქართველოს ხალხს და იმათს დაწინაურებულს კაცებს დღეს ბაიარაღზე ეს უნდა გვეწეროს: ერთმანეთთან დახმარება, ერთმანეთის პატივისცემა, სამივე ერის (სომხების, ქართველების და თათრების ს.ხ.) გულისათვის ერთად ზრუნვა, ძმური კავშირი და საერთო ძალით იმ შინაური ცუდის გასწორება, რომელიც ასე ამერებს ჩვენს კეთილ-მდგომარეობის გზაზე წინ წისვლას.“³⁾

¹⁾ გ. წერეთელი: „ამ დროის მოძრაობა“—„კრებული“ № 3, გვ. 231. 1873 წ.

²⁾ იქვე, გვ. 214—215.

³⁾ გ. წერეთელი: „ჩვენ და ჩვენი დროება“. გვ. „დროება“ № 16. 1879 წ.

უკვე ფაქტია, რომ გ. წერეთელი 70-იან წლებში მომხრე იყო ამიერ-კავკასიის დემოკრატიულ-ფედერატიული რესპუბლიკის დაარსებისათვის. 1874 წ. ენციკლოპედიაში მოწვეულ კავკასიის მოღვაწეთა კონგრესზე, მან სწორედ ამ რესპუბლიკის დაუჭირა მხარი.

ამრიგად, გ. წერეთლის სახით ჩვენში შეტყვევებდა პროგრესული ბურჟუაზია. მან საუცხოვოთ ასახა ამ კლასის პროგრამა და რადიკალური მიზნარეულობა.

მაგრამ ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუხვევს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ 90-იან წლებში გ. წერეთელმა მხარი დაუჭირა ს.-დემოკრატიულ მიმდინარეობას, რომელიც მან „მესამე დასელთა“ სახელწოდებით მონათლა. როგორ უნდა აეხსნათ გ. წერეთლის ეს პოლიტიკა.

1899 წ. ვახ. „ივერიის“ სამასუხოთ იგი სწერდა: „მარქსის თეორიას ეკონომიური მატერიალიზმისას პოლიტიკო-ეკონომიურ მეცნიერებაში იგივე ადგილი უჭირავს, რაც დარვინის თეორიას ბუნების მეცნიერებაში და ბიოლოგიაში. ეს არის უკანასკნელი მეცნიერული დასკვნა პოლიტიკო-ეკონომიაში და სოციოლოგიაში.“¹⁾

ნუ თუ უნდა ვიფიქროთ, რომ გ. წერეთელმა სავსებით შეითვისა მარქსის მოძღვრება და გახდა მეცნიერული სოციალიზმის მიმდევარი?—რასაკვირველია, არა. იგი ბოლომდე დარჩა პროგრესიული ბურჟუაზიის მემბირადტრედ. როგორც რუსეთში „ლეგალური მარქსიზმის“ წარმომადგენლებმა მოინდომეს მუშათა მოძრაობისა და ს.-დემოკრატიის გამოყენება თავიანთ ბურჟუაზიული ინტერესებისათვის, ისე გ. წერეთელიც შეეცადა ამ ახალი ძალების გამოყენებას ბურჟუაზიული ურთიერთობის ინტერესებისათვის. იგივე გ. წერეთელი 90-იან წლების დასაწყისში სწერდა: „ჩვენ უნდა გავხსნათ ჩვენი საკუთარი სამრეწველო და სამეურნეო ბანკები, უნდა დაეაარსოთ სამეურნეო და სამრეწველო ასოციაციები, უნდა ვისწავლოთ ვაჭრობა და ალემ-მიცემობა, გავხსნათ ჩვენივე საკუთარი მოთხოვნილების დუქნები.“²⁾ კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: 1899 წ. გ. წერეთელმა „კვალში“ მოათავსა საინტერესო წერილები: „ქუთაისის საადგილმამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები“ (იხ. № 11, 12, 13, 1899 წ.) ამ წერილის შესახებ ა. წულუკიძემ „კვალში“-ვე მოათავსა ღია ბარათი გ. წერეთლისადმი, რომელშიაც იგი სხვათა შორის სწერდა: „ბატონო გიორგი, მაგრამ მითხარით როგორ მოვათავსოთ ერთად: ერთის მხრით ცნობილი მეცნიერის (ე. ი. კ. მარქსის. ს. ხ.) მოძღვრება კლასიურ ანტაგონიზმზე, რომლის მომხრეთ თქვენ თავს სახაეთ და მეორე მხრით თქვენივე მფარველობითი კლასი „ახლად აღორძინებულ ვაჭარ-მრეწველის კლასის“ შესახებ?“³⁾

ამ შეკითხვაზე გ. წერეთელი იმავე ნომერში უპასუხებს: „აქ არ არის არავითარი წინააღმდეგობა. ძველ, დროგადასულ წყობილების წინააღმდეგ ახალ წყობილების (ე. ი. კაპიტალისტურს. ს. ხ.), რომ ვიცავდეთ, ეს წინააღმდეგობა კი არა, ეთანხმება თვით „მოძღვრებას.“⁴⁾

¹⁾ გ. წერეთელი: „ვახ. „ივერია“ და მისი საპილენიკო ხასიათი“. „კვალი“ № 5, 1899 წ.

²⁾ გ. წერეთელი: „კვალის თარი წლის ნაღვაწი“. „კვალი“ № 3, 1895 წ.

³⁾ ა. წულუკიძე: „ღია წერილი ბ-მ გიორგი წერეთელს“. „კვალი“ № 16, 1899 წ.

⁴⁾ იქვე.

აქედან უკვე ნათელი არის, რომ 90-იან წლებში გ. წერეთელი ცდილობდა პროგრესულ ბურჟუაზიული აზროვნება შეეუღლებია მარქსისტულ აზროვნებასთან. რასაკვირველია, ასეთი ცდა მარცხით უნდა დამთავრებულიყო.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ გ. წერეთლის პიროვნების, აზროვნებისა და სოციალ-პოლიტიკური მისწრაფებების შესწავლა მეტად საინტერესო თემას წარმოადგენს. გ. წერეთელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა გასული საუკუნის ჩვენ ინტელიგენტთა შორის. მან თავისი ხანგრძლივი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ფართო კვალი დააჩნია ჩვენი აზროვნების განვითარების საქმეს.

ქვემოთ მოყვანილი გ. წერეთლის კერძო წერილები შეეხება მისი მოღვაწეობის ორ მნიშვნელოვან ხანას: 70-იან წლებში გ. წერეთელი უმთავრესად საზოგადოებრივ-კულტურულ მუშაობას ეწეოდა, იგი რაზმავდა ახალგაზრდობას, ადგენდა პარტიებს და ამუშავებდა მათთვის სამოქმედო პროგრამას. 80-იან წლებში გ. წერეთელი გაიტაცა პრაქტიკულმა საქმიანობამ — სამრეწველო საქმეებმა. აქაც იგი თავგამოდებით ადგენდა ჯგუფებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინებისათვის და იწვევდა უცხოეთის კაპიტალისტებს. დიდი უმეტესობა წერილებისა აღმოჩნდა ნ. ნიკოლაძის არქივში (აქედან ჩვენ მხოლოდ ნაწილს ვბეჭდავთ), ხოლო რამოდენიმე წერილი ს. მესხის საქმეებში.

70-იანი წლების წერილები

1. წერილები ნიკო ნიკოლაძესთან

წერილი პირველი

16 ოქტომბერს (1873 წ.).*)

საყვარელო ძმაო ნიკო. ქუთაისში ძალიან ამბებია დღე და ღამე სულ ჩვენზე ლაბარაკობენ და ჩვენს უსინდისობაზე. ეინ იცის, რამდენს მოუსაზრებელს საძაგლობას არ გვახევევენ თავზე. „დროებაში“¹⁾ რომ ბესარიონს ლოლობერიძესა²⁾ და შენს შუა პოლემიკა იყო,³⁾ ჩვენ როგორც ვევეგონა, ისეთი კარგი ვაგლენა არ ქონებია. ყველანი იბახიან, რომ რაც უნდა იყოს, პირველათ ბეს. ლოლობერიძეს რომ არ გამოუწვევებართ გასალანძღავათო. თქვენ დაიწყეთ თავითგანვე იმისი ლანძღვა, ლანძღვით კიდევ და ლანძღვითაც ვაბთავეთო. ამას გარდა ლოლობერიძეებიც⁴⁾ თუ კი რამეს ხელის მოსაღებელს ჩაიგდებენ ხელში, რომ ტალახი გვესროლონ, არას ზოგვენ. მაგალითად თუნდ „ტფილისის ვესტნიკი“⁵⁾ ავიღოთ, როდესაც წაუკითხავთ იქ პოლემიკა შენს და ტფ. ვესტნიკის რედაქციას შუა, აი როგორ უსარგებლიათ. რომელ ნომერშიაც იყო ბებუთოვის სტიტია, სადაც გვეწამებოდა პიროვნების პოლემიკას, ის ნომერი ლოლობერიძეებს

*) თარგმანში ჩასმული წელია აღრიცხვა ვეფოვის წერილების რედაქტორის.

თითქმის ზეპირათ დაესწავლათ და დაქონდათ თურმე კარდაკარ და იძახოდნენ „აი რუსული ვაზეთი როგორ ვონიერთ სჯის „დროების რედაქციის“ უხინდი-სობაზეო“, როდესაც შენი პასუხი გამოვიდა, ის ნომერი, საცა ეს სტატია იყო დაბეჭდილი, თურმე მიმაღეს და არაგის წააკითხეს. აგრეთვე მოიქცენ, როდესაც დ. ერისთავის*) „კომპრაჩიკორული“ მხილება იყო დაბეჭდილი თურმე, ეს ნომერი შეიღეს ქუთაისში ჩამოატარეს, და ის ნომერი, რომელშიაც ჩვენი წიგნი და რედაქციის პასუხი იყო დაბეჭდილი მიმაღეს. თურმე კაცს თვალით აღარ უნახავს. თვითონ ლოლობერიძესთან შენს პოლემიკას არც მაზრებში ჰქონია კარგი ვაეღენა. ბევრი ახალგაზდა ყმაწვილი კაცები, რომელნიც თითქმის „დროებით“ იყვნენ გაღვიძებულნი და „დროებისაგან“ იღებდნენ მხოლოდ გონების საზღოსა, დღეს თურმე ისინიც ამბობენ: „არ გვეგონა, თუ „დროება“ პიროვნების მხილებას გამოუდგება და, არ გვეგონა, თუ „დროება“ რამდენსამე ნომერს იმის კითხვებით ვაავსებდა თუ ლოლობერიძემ რა თქვა და „დროების“ რედაქციის წევრებმა რა თქვესო, რაც უნდა თქვათ, რა პირობაც უნდა დაედეთ იმათ ერთმანეთში, ჩვენთვის სულ ერთია, შავითი ჩვენი ბანკის საქმე წინ არ წაიწვია; ჩვენ ვფიქრობდით რომ „დროება“ გველაზე პირველად ბანკის პროექტის გარჩევას შეუდგებოდა, დაგვანახებდა ნათლათ, რა იყო საგრძობელი და სამძიმო ნაკლულევიანება ლოლობერიძის პროექტში, რომ ამ ნაკლულევიანების მითითებით ხელში გვეჭონოდა საბუთი რომ გვეყვირა აი ამა და ამ მიზეზით პროექტი არ ვარგა და ხელმოკრეთ კამისიას განვხილვინოთ, ვარჩევინოთ და ნაკლულევიანი მუხლები გამოვაცლევინოთო, დღეს ჩვენ არ ვიცით რა ნაკლულევიანება აქვს ბეს. ლოლობერიძის პროექტს. ამას არც „დროება“ გვეუბნება და ვართ ორთა შუა დარჩენილი, ხმაც ვერ ამოგვიღია საწინააღმდეგონი და იმასაც ვშიშობთ, ვაი თუ მართლა რამე დიდი ნაკლულევიანება სჭირდეს ბესარიონის პროექტს და შემდეგში ცუდათ წაგვებართოს ჩვენი საუკეთესო საქმეებიო“. ამნაირი უკმაყოფილება მეორე გვარ იტენულობასაც ბადებს ჩვენი საზოგადოების გულში: „იქნება მართლა „დროების“ რედაქციას თვითონ უნდოდა ხელში ჩაგდება ამ საქმისა, სარგებლობა და მხოლოდ იმისთვის დაუწყო ლოლობერიძეებს ჩხუბი, თორემ სხვა მიზეზი არა უქნიათ რაო“. როდესაც ამნაირს მოსაზრებებს ავსხნით, არ შემიძლია არა ვთქვა, რომ ჩვენ მრავალი წერილმანი გარეშე საქმეების თავის თავზე მიღებით უმთავრესი საქმე გვაფიწყდება ხოლმე და ამითი ჩვენს მომავალს საქმეებს და მდგომარეობას რომ ვნება არ ეძლეოდეს არ იქნება. მართლაც, მე ახლა როგორც ვატყობ ყველაზე უპირველესი ჩვენი საქმეები იყო:

1. ლაფრონისაგან კითხვებზე საქართოთ საფუძელიანი პასუხების შეკრება და გაგზავნა.

2. ლოლობერიძის პროექტის საფუძელიანათ შესწავლა, იმისი საფუძელიანათ გარჩევა და ჩვენი საზოგადოების მომზადება ბანკის ოპერაციის გაგებისათვის.

3. ჩვენი საკუთარი საქმეების კარგათ დაწყობა: საზღვარ გარეთ ზელის მიწვდენა,⁷⁾ საკორესპონდენციო კანტორების დაარსება ჩვენი ქართული წიგნე-

ბის და ჟურნალების გასაერცლებლათ, სასოფლო ბანკების მასალების (დაშნადება და სასოფლო განეთის¹⁰) ფეხზე დაყენება; ბიბლიოთეკის გაქვადეფუქსი¹¹ პირველი ორი მუხლი რომ შეგვესრულებია აღრევე, მესამე მუხედუქვადეფუქსი კარგათ მოვაწყობდით. ყველა ესენი შენი მიუცილებელი მოვალეობა იყო შენ შეგვესლო ამათი აღრევე ასრულება განსაკუთრებით, კიდეც მოახერხებდრ, მაგრამ არ იქნა, — რატომ? — კითხე შენ თავს. ახლა, ძმომ სამეგრელოში ასეა თურმე საქმე: „ეაი ნეტავი ერთი დროებაში წაგვეკითხა ბანკის ნაკულუღევანებაზეო, რომ ფულულების შეერთებაზე ხელი არ მოგვეწერა, სინამდის კამიისას არ დაეანიშენინებდით და არ შეეასწორებინებდით უმთავრესს ნაკულუღევანებებსაო. ახლა რა? სულ არაობას ცალი უღელი ხარი სჯობია; ისეც ისა სჯობს, შევეუერთდეთ, ვინემ არ იქით ვიყოთ, არ აქეთ, თუმცა იქნება ეს შეერთება შემდეგ ჩვენთვის კარგათ არ დარჩესო“ ამ შემთხვევაში მე დიდ ნაკულუღევანებათ ვთელი იმას, რომ მაზრებში ისეთი კორესპონდენტები არა გვეყავს, რომელთაც აღევინო ყური ხალხის ხმას, აზრს, და ტყინას; და მომენტალური მიდრეკილება, იმისი შინაგანი დღიური ტოკვა და წადილი, მაჯის ფეთქა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, გადმოგვეყენ ხოლმე განეთში — ამისთანა კორესპონდენტების შოვნა ძალიან საჭიროა ჩვენთვის — მე დარწმუნებული ვარ, ამისთანა კორესპონდენტი რომ გვეყოლოდა, ბანკის პროექტის გარჩევა აქამდის არ გადაიდებოდა. ნუ იფიქრებ, რომ ბანკის პროექტის გარჩევა ახლაც არ იყოს სასარგებლო. ძალიან საჭიროა ახლაც, ძალიან.

მეტი რა გზაა, ჩვენ კვირამდის დაერჩით. ეკადე ფული ოთხშაბათამდის იშოვნო, ჩემი და შენი სახლობის წასასვლელი, თორემ ცუდათ მოგვივა საქმე.¹² დედა შენი ამბობს, რომ ახლა არ წაეიდე, ცოცხალი არ დაერჩებო. მოიხმარე ყოველი შენი გამჭირაობა და ეს საქმე აისრულე. ამაში ჩემი რჩევა და სიტყვები არ გჭირია თვითონ იცი, რა დედათ საჭიროა ჩემი წასვლა, ამ დღეებში უსათუოდ გელი, იმ დღეს რომ იყავი აღელვებული და მოწყენილი, ისე რომ აღარა ხარ? მაგრამ რას ეამბობ, შენ ისეთი კაცი არა ხარ, რომ დარღმა დაგხაგროს. ჩემის აზრით, ყველაზე უფრო კარგი თვისება შენი ეს არის. დარდი რას გარგებს? საქმეს მხნეობა, სულის სიმტკიცე და მოსაზრება უნდა, შენ არც ერთი ეს არ გაქლია. შენი გიორგი.

კირილე¹³ ხელ მიდის შინ და ხეთშაბათს ქალაქს წამოვა. სტატისა გიგზაენი.¹⁴ კრებულის¹⁵ გარჩევაც მოვივა. ახლა რომ სტატისა გიგზაენი, ეს და წინანდელი ერთად უნდა დაიბეჭდოს.

აკაკის სტატია გამოგზავნე.

პირველი წერილის შენი შენებო.

¹⁰ გაზ. „დროება“ დაარსეს 1866 წ. ე. თელაშვილმა, ნ. ლაღობერიძე და ს. ნელიქშილიმა. რედაქტორად მოიწვიეს გ. წერეთელი. 1869 წ. შესდგა ახალი სარედაქციო წრე ნ. ნიკოლაძის, ს. მუსხისა და გ. წერეთლის შემადგენლობით. ოფიციალური რედაქტორობა გადაეცა ს. მუსხს. ეს წრე განაგებდა რედაქციის საქმეს 1873 წლამდე. 1853 წლამდე განეთს რედაქტორობდა იგივე ს. მუსხი. 1883—85 წლებში — ივ. შაჩაბელი. განეთი დემოკრატიული მიმართულების იყო. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ჟურნალისტიკისა და ქართული ახროვნების განვითარების ისტორიაში. 1885 წ. იგი მოაჯრობის ვანკარგებლებით დახტოული იქნა.

*) ბესარიონ ლოლობერიძე ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე იყო მხიანე წლებში. მას უახლოესი კავშირი ჰქონდა „სოციალური“ ჯგუფთან და პირადად იცნობდა მის მეთაურს. 1861 წლის სტრუქტურით მოძრაობის მეთაურთაგანი იყო, რისთვისაც რამდენიმე წლის კონსტიტუციური იყო დასაჯებული. საქ-ში დაბრუნების შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ხოლო ბოლო ხანებში ქუთაისის ბანკის თავმჯდომარე იყო. გარდაიცვალა 1879 წ.

*) 1873 წელს დაიწყო პოლემიკა საბანკო საკითხების გარშემო. ერთის მხრივ, ბ. ლოლობერიძესა და, მეორე მხრივ, „დროებას“ ჯგუფს შორის ნ. ნიკოლაძის მეთაურობით. გამთმა მუტად მწვეფე ხასიათი მიიღო.

*) აქ იგულისხმება ნიკო, გიორგი და ბესარიონ ლოლობერიძეები.

*) „Тифлисский Вестник“ დაარსდა ბებუთივის რედაქტორობით 1873 წ. 1875-77 წ. ვახლოვს თანამშრომლობას ეწეოდა ნ. ნიკოლაძე. 1878 წ. რედაქტორობდა და ერთსავე. 1879 წლიდან უახლოესი თანამშრომელი იყო გ. წერეთელი, რომელმაც თავი დაანება „დროებას“.

*) დავით ერისთავი—შეიღი გიორგი ერისთავისა—ფურნალისტი და დრამატურგი.

*) აქ ლაპარაკია საზღვარგარეთ (ციურბია, ვენეცია და სხვ.) გაგზავნილ ახალგაზრდათა შესახებ, რომელთა უმეტესობა ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის ხელმძღვანელობით წავიდნენ საზღვარგარეთ 70-იან წლების დასაწყისში. მატერიალურ დამხმარებასაც ისინი უწყვეტად აღნიშნულ ახალგაზრდებს. მათ საზღვარგარეთ შეადგინეს საზ-ბა „უცხო“ 1873 წელს მათში ბლომად იყო ქალებიც. ამით შესახებ 1895 წ. გ. წერეთელი იღონებდა: „...იმან (პროფ. ა. თარხნიშვილმა—ბენებისმეტყველმა ს. ხ.) შექმნა მიწილი ეპოქა მოძინებულს თფილისის საზოგადოებაში. იმან აღძრა უმაღლესი სწავლის სურვილი მიიღეს ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით დედათა სტესში. უმეტეს ნაწილათ თ. ივ. თარხნიშვილის მძღვრ-მეტყველებას და ცოცხალ მეცნიერულს სიტყვას უნდა დაბრადდეს ის მოძრაობა, რომელიც აღმოჩნდა 1873 წელს თფილისის ახალგაზრდობაში. პირველი მატალიზი იყო, რომ ამ წელს ერთმა გუნდმა ახალგაზრდა ინსტიტუტ-ხავედნიის დასრულებულმა ქალებმა მიიზიდინეს საზღვარგარეთ წასვლა უმაღლეს სწავლა-მეცნიერების მისაღებათ (იხ. „კვალი“ № 12, გვ. 10, 1895 წ.) შემდეგ წერილებში ამ ჯგუფის შესახებ ხშირად იქნება საუბარი.

*) „სასოფლო გაზეთი“ დაარსდა 1868 წ. გ. წერეთლის რედაქტორობით. გამოდიოდა თრკირაში ერთხელ და უმთავრესად გლეხობასა და სასოფლო მეურნეობის საკითხებს ეძებოდა. 1873 წლიდან რედაქტორობდა პ. უმიკაშვილი. დაიხურა 1880 წ. იგი პირველი სასოფლო საგლეხო გაზეთი იყო. 1881 წლიდან „ციურბის“ დამატებებ გამოდიოდა „გეთინის დედა“, რომელიც უმთავრესად თავიდა-აზნაურობას ემსახურებოდა.

*) „დროებას“ წრეს ტფილისში გახსნილი ჰქონდა ბიბლიოთეკა, რის საშუალებითაც აკრელებდა ახალგაზრდობაში ახალ იდეებს.

*) იმ ხანებში გ. წერეთელი უკვე გამზადებული იყო საზღვარგარეთ წასასვლელად.

*) კირილე ლორთქიფანიძე—60-იანი წლების საზოგადო მოღვაწე და მწერალი. გარდაიცვალა 1917 წ. გ. წერეთლისა და ს. მესხის საზღვარგარეთ წასვლის შემდეგ (1873 წ.) იგი რედაქტორობდა „დროებას“ და „კრებულს“.

*) „კრებული“ დაარსდა 1871 წ. გიორგი წერეთლის რედაქტორობით. უმთავრესი ხელმძღვანელი და თანამშრომელი იყო ნ. ნიკოლაძე. დაიხურა 1873 წ. იგი „დროების“ ლიტერატურულ დამატებას უფრო წარმოადგენდა.

წერილი მეორე

(1873 წ.: ბოლო რიცხვები)

საუვარელო მშაო ნიკო, თითქმის ეს ორი კვირაა, რაც ციურბისში ვარ. ამ დროს განმავლობაში ეწევევც მოვიარე. ყმაწვილები ენახე და მეტი არ შეიძლება ისე ყმაყოფილი დავიჩი, ყველანი! კარგათ არიან. ითმენენ ბევრს გაქი-

რებას უფულობის გამო, მაგრამ წარმოიდგინე, ისე მხიარულათ არიან, თითქოს ეს მუდამი გაჭირება იმათ უფრო ახალისებს, თითქოს ასე ამბობდნენ ნესტის გაჭირებაა ჩვენთვის, ჩვენ გახურებულ საკირეში რომ ჩავყვარდნენ, მაშინვე მისი გაჭირებულ ყმაწვილებსავე ვივალდებოდეთ, რომელნიც ნაუჭოდონსორომა ჩაყარა გავარვალბულს საკირეში თავის აზრებზე მტკიცედ დამყარებისათვის, ჩემის აზრით ყველანი სამავალითონი არიან. ვერ წარმოიდგენ კატო¹⁾ როგორ გამოცვლილა, ვაჭებულა, იმას საკვირველათ ეტყობა კაბუკობის ცეცხლის აღმშული და ის ვაუხრელი სულის ღონე, რომელიც ყოველს დღიურს გაჭირებას და დიდს შევიწროებას ხით-ხითით დასცინის, თითქოს ამ გულ მარტივი სიცილით გიმტკიცებდეს, მე ამისთანა გაჭირება სულაც არაფრათ ვამევირო, გურამოვა, გურამოვა...²⁾ ოპ, რა არსებია! მე მარტო ამ პირველი ნახვაზე წარმომიდგა იმისი ზღვასავე მოუღვეელი კარგი თვისებები. ორჯერ სამჯერ დავაკვირდი იმის წარბებს და თვალებს, იმის გაბუსტულს ცხვირს და იცი ვისი სახე წარმომიდგა? როდესაც ვეფხვი (ნაპც) პირველ გამოვა სანადიროთ და ყოველ ბუჩქს დაწერილებით გადაავლებდის თავის თვალების შუქს, რომ არა გამოეპაროს რა, რომ თავის სხეერპლი ხელითვან არ წაუფიქდეს, სწორეთ ამგვარივე შთაბეჭდილება ჰქონდა ჩემზე გურამიშვილის ქალს. მე ვფიქრობ, თუ ნორმალურათ წავიდა იმისი გონების წერტანა, ის უნდა ვახდეს რამე კარვათ მოზრდილს საქმეში მოთავეთ და ძალის შემეფრთებლათ. ამასთან რა გულჩვილია, რა მხურვალე გრძნობის არის! ამასთან რა გამბედავი და თავგამეტებით ხელ ამოღებია იმაზე, ვისაც სცნობს უღირსად დარწმუნდება, რომ იმისთვის ერთდროს მახლობელი და ძვირდასი გვაში აღარ ვარგაო; რამდენათაც მხურვალე გრძნობისა არის თავისიანისათვის, იმდენათვე გულგამებებული და შეუწყალბებული იმ თავისიანისათვის, რომელიც იმის აზრით საქმისთვის დაკარგულა. ეს მე იმის და კრიკანოვსკის დამოკიდებულებაში შევინახე. ამ უკანასკნელზე რაღა ვითბრა! ის ჩემს თვალში დაკარგულია, გული მიკვდება იმისთვის, მე ის საშინლათ შეწყინება, მაგრამ ვერც ერთი ჩვენთაგანი იმას ვეღარ დაუახლოვდება. ჩვენ იმას ვხუღვართ, როგორც კირი. ის გულგამებებული ყველაზე ჩვენზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ მას თუ მოაქცევს, ისეც დამბროვსკის ქალის გული და მაგისი შეგობრობა, სხვა არავინ. ზიმიანსკი—ეს მართლაც, რომ ნამდვილი კლერბენ ყოფილა; იმის მეტად ნახის მგრძობულობით, თავგანწირული სიყვარულით, ეს მხოლოდ მანამდის იქნება აყვავებული, ღონიერი სურნელოვანი, ედემის ყვავილი, მაისის ვარდი, სანამდის მას მაისის მზე თავის ბრწყინვალე შუქს არ მოაკლებს. ღმერთმან ნუ ქნას, რომ დაღრუბლოს და ამ ღრუბელმა მას მოკაცბუბელი შხის შუქები მოაკლოს, მაშინ ეს ნახი სურნელოვანი ყვავილი უცბათ თავს დასკიდებს, დილას ცვარს ცრემლათ ჩამოღვრის, დაქნება და საღამომდის მოწყდება თავის ღერზე, მაგრამ თუ თავისი მზე ზიმიანსკის არ მოეშალა ის მხნეთ იქნება, ის ბევრს ყთილს შესძლებს.

ყმაწვილებზე რა ვითბრა, ისინი არიან ორი წრისანი: ენევიშია ჯაფარიძე³⁾ მეტად მოსაწონი ყმაწვილია მტკიცე და მაგრათ შეთვისებული აზრებითა. ის თავის გონების ძალით დგას მხოლოდ მაგრათ, ის აზრში და მოქმედ-

ბაში დამოუკიდებელი ახალგაზდა კაცია, ის სხვისი ტენით და აზრებით არ დადის, მაგრამ არ ვიცი, საქმეში როგორი მხნე გამოდგება. პასსიურტაძის აქტს, მაგრამ აქტიურები ძალა რამდენადაა დიდია იმაში, არ ვიცი, ისინი მსახურებელი ფლევმა არ იქნება ცხოვრების ასპარეზზე მოქმედების დროს, სხვა არა უჭირს რა. ციურების ყმაწვილები ყველანი კლავები, ჯერ უმწიფრნი და მოუწყველნი არიან. რა გამოვა, იმათგან არ ვიცი შემდეგში. მხოლოდ იმათში ერთი ციციანი (1) არის საიმედო ახალგაზდა. ეს ყმაწვილი მაგარი ხასიათის უნდა იყოს და ევონებ, მოსაწონი დადგება. ივანე მესხი (2) კარგი გულის კაცია, მაგრამ ავადმყოფია და როგორც მოქმედი გვაში ევონებ შესანიშნავი არა გამოვიდეს რა, მაშასადამე ჩვენი იმედი არის ქალები და ზოგიერთი ახალგაზდა ვალები, რომელნიც აქ არიან. ჩვენი საზრუნავი ესეთი უნდა იყოს და დღე და ღამე იმას უნდა ვკვიდლობდეთ, რომ ამათ მატერიალურის მხრით არა გაუჭირდესთ რა და ვავათავებინოთ თავისი სწავლა. რა უნდა ამას? მატერიალური ლონის ეკონომია. მე როგორც ვატყობ შენი მატერიალური საშუალება იქნება ამათი დეზზე დამყენებული და ამათი შემწე თავეიანთი განზრახვის ასრულებაში. მით უფრო დიდი მოსაზრება და ჩაფიქრება გმართებს რომ შენი მოქმედების სისტემა გამოიკვალო, ჩემის აზრით შენი მატერიალური ძალა მარტო ამ საზღვარ გარეთელ ახალგაზდობის აღზრდაზე უნდა დაკავშიროს [და იმ ქართულ ლიტერატურულ გამოკვებების ძირის გამაგრებაზე, რომელნიც დღეს ხელში ვვაჭვს, სხვა ახალი პლანების და საქმეების გამოწყება შეუძლებელი უნდა იყოს შენთვის იმ საშუალებით, რაც ხელში გექნება დღეს თუ ხელ თუ რომ არ გინდა ყველა საქმეები გაბნეულ მოქმედებით არ დაღუბო. ჩემის აზრით „ტფილისის ეესტინის“ მუდამი ხელის გაწყობა ასე გასინჯე ბიბლიოთეკის მუდამ მოხმარება, თუ ბიბლიოთეკა თავის საშუალებით თავს ვერ გაიტანს, ვაღამეტებელი უნდა იქნეს შენ მატერიალურ საშუალებაზე და ამ სახით შეიძლება ყოველივე ჩვენი საქმე დრე კლდეზე ვადაეშვას, ჩემის აზრით ძალიან საჭიროა ამნაირათ მატერიალური ძალის ეკონომია, იმისი ორ სამ საგანზე დაკავშირება. მოგროვება და არა გასწევს საქვეყნო მრავალგვარ საქმეების გამოწყებაში. ამ ნაირი მიღებ-მოღებებითი მოქმედებით ის პაწაწაც დაგვიკარგება, რომელიც არის ჩვენი მონაქალი იმედი და დიდება.

ციურების უღლის (3) შეკრებილებაში ერთი წინადადება შევიტანე, რომ შეგვედგინა მთარგმნელების კამისია ხელ სამძღვანელოების გამოსაცემათ ქართულ ენაზე, სხდომამ მზიარულათ მიიღო ეს წინადადება, ვენველ წვერებსაც მოეწონათ ეს ამბავი და ახლა შეუდექით კიდევ ერთი წიგნის შედგენას, სახელათ „სწავლის წყარო.“ იმედი ვვაჭვს რამდენსამე თვეს ვავათავებთ, მაგრამ თუ ძმა სარ სანამ წიგნი არ მოვიციდესთ და ხელში არ გექნესთ, სანამდის ამ საგანზე ნუ რას ვამოაცხადებთ „დროებაში“.

იწერები ოცდახუთ დეკემბერს აქ უნდა იქნე. ნუ თუ მანამდის მოასწრებ ტყბულის საქმეებს (4) და რედაქციების საქმეების გაწყობას. არა, არა მჯერა. და ეს საშინელს მწუხარე თქვრებს სძრავს ჩემში. მე აქ ვხედავ დიდ საქმეების მი-



ფურცლებს-მოფურცლებს კვალს, ვაიმე, ვაიმე... თუ რამე უფრო მეტი დაბრკოლებათე წაამტერიოს ფეხი ჩვენმა საქმემ ამნაირ მიფურცლებს-მოფურცლებს.

კატო. ზიმიანსკი, ვურამიშვილის ქალი და მელიქიშვილის ქალი¹⁾, აგრეთვე კრიეანოვსკისა, ახლა ეწევაში არიან. ეწევაში საზოგადოების ცხოვრება ბევრათ უფრო მაღალი და პროგრესული ყოფილა ციურინისაზე. იქ საზოგადოება ქალებს პატივისცემით უყურებს. ეწევის აკადემია უნივერსიტეტათ გადაუკეთებიათ და ჩემის აზრით ჩვენი ქალებისთვის ეს ადგილი საუკეთესო სასწავლებელი ადგილი უნდა იყოს. თუმცა უნივერსიტეტი პროფესორების შედგენილობით კოკლობს, მაგრამ ამ პირველ სემესტრში არა უჭირთ რა ქალებს და მერე ხომ ეიფიქრებთ მანამდის ხომ ბევრი დროა. ციურინში მართლაც რომ არ შეეძლოთ ჩვენ ქალებს დარჩენა, რათგან საზოგადოებაც და სტუდენტებიც საშინლათ დევნიდენ. ახლა მარტო ოლიმპიადა²⁾ და კოწია³⁾ არის ციურინში, ფული რომ მრუა ოლიმპიადას იქნება ისიც გადავიდეს იქ. მაგრამ ამ საქმის ჯერ განსაზღვრული კადეე არა ვიცი რა. მე აქამდისაც უნდა წაესულიყავი ლეიბციგში, მაგრამ წარმოიდგინე მე და ჩემ დას კაბეიკი არა გვაქვს და სანამდის ფულს არ მივიღებთ შენგან აქ ციურინში უნდა დავრჩეთ ძალია უნებურათ. თუ მოვახერხებ ჩემ დას გავისტუმრებ ეწევაში. მე დარწმუნებული ვარ, ეს და კატო რომ ერთად იქნებიან ამათი საქმე სწავლაში ერთი ორათ უკეთ წივა კოწია, როგორც ქართულ ისე ლაპარაკობს ნემეცურსაც, ასე გაშინჯე ციურინელი პატიეიც უსწავლია ძალიან ცოცხალი და მკვირცხილე გონების ყმაწვილია. სხვა მომწერე მადაური ამბები დაწერილებით როგორ მიდის საზოგადოათ ჩვენი საქმეები, როდის აპირებ ნამდვილათ წამოსვლას.

შენი ძმა გიორგი.

მეორე წერილის შენიშვნები

- 1) კატო ნიკოლაძე, ნიკო ნიკოლაძის და.
- 2) ლაპარაკია ოლ. ვურამიშვილის ქალზე შემდეგში ნ. ნიკოლაძის მეუღლე.
- 3) ბესაბიონ ჯაფარიძე—1871-74 წლებში ბ. ჯ. ფსევდონიმით წერილს ათავსებდა ეწევიდან ვაზ. „დროებაში“. 1869 წ. მან მონაწილეობა მიიღო პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობაში, რის გულისათვის ის ადმინისტრატორული წესით გადაასაზღვეს თავის სოფელში რაჭაში. 1875-76 წლებში უაბლოეს თანამშრომლობას ლეზელიბდა იმავე „დროებაში“. გარდაიცვალა 1877 წ. (იხ. „ივერია“ № 44, 1877 წ.).
- 4) ალ. ციციშვილი—ცნობილი რევოლუციონერი, რომელც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ივ. ჯანაძართან, გ. ზდანოვიჩთან, ან. გამყრელიძესთან და ჩიკოტიძესთან ერთად რუსეთის რევოლუციონერ მოძრაობაში. გაასამართლეს „მის პროცესთან“ ერთად. გვანახილი იქნა ციზირში და იქ გარდაიცვალა 1884 წ. (?) თვისი დიდი მამული გარის მახარაში შესწირა „ნაროდნიკა ვოლისკა“ პარტიას.
- 5) ივ. მესხიე—ძმა ვლ. მესხისა, „დროებაში“ თანამშრომლობდა ი. მის ფსევდონიმით. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სახ. „ფელიოს“ დაარსებაში. ამჟამად ცოცხალია.
- 6) საზოგადოება „ულელი“—ეს საზოგადოება დაარსდა ახალგაზრდების ციურინში 1873 წელს და მთავარ მიზნად ისახავდა სწავლა-განათლებისა და ცოდნის გავრცელებას ურთიერთ-შორის. ამჟამად ჩვენ ბელთ არის სამი ოქმი ამ საზოგადოებისა (№ 1, 2, 3) და სხვადასხვა კრძოა მიწერ-მოწერები მათ შესახებ. უცდებთ შეფუტვისათვის გამოვაქვეყნოთ ისინი.
- 7) ნ. ნიკოლაძე იმ ხანებში პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა ტყეზულის მაღაროების დამუშავების მიზნით.

- *) მელიქიშვილის ქალი, და პრიფ. პ. მელიქიშვილისა და გაზ. „დროების“ გამომცემლის მ. მელიქიშვილის, შემდეგში მუშაობა ს. მესხისა, გარდაიცვალა 1928 წელს.
- **) ოლიმპიადა ნიკოლაძე, გ. წერეთლის მეუღლე.
- ***) შეიძლება ნიკო ნიკოლაძის ძმა იყოს.

საქართველო
საქართველო
საქართველო

წერილი მესამე

ენგვა, 27 მარტს. (1874)

საყვარელო ძმაო ნიკო. ძალიან საჭიროა ჩემთვის, საკუთრათ რაც მე გე ლაპარაკე ჩემი და სერგეი მესხის უკმაყოფილებებზე ან მელიქოვის ქალზე, რომ შევიტყო და ამისთვის გთხოვ ეს ცნობები დაწერილებით მომწერო საქპაროთ. ვეთაყვანე ნუ დაიზარებ. ჩვენ კარგათ ვართ მხოლოდ უფულობისაგან თანდითან უფრო გვიჭირდება საქმე.

როგორც შენი ან სერგეი მესხის წიგნებისგან სიანს, შენი მანდ ნალაპარაკევი ჩვენ უკმაყოფილებების შესახებ სრულებით არ მომწონს, ნეტაი ერთი სერგეი მოვიდოდეს მალე, რომ პირის-პირ გვექნეს ლაპარაკი და ყოველივე უკმაყოფილება, თუ კი არის რამე, საქპაროთ მოვსპოთ. მე როგორც ვატყობ ჩვენი უკმაყოფილების მიზეზი სულ ამგვარი გადასხვაფერებული ლაპარაკი არის.

მიმიკითხე სერგეი, ¹⁾ იზმაილოვი ²⁾ და დადიანი. ³⁾

შენი გ. წერეთელი.

მესამე წერილის შენიშვნები

1) ს. მესხი „დროების“ რედაქტორი, ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. მის მრავალსახოვან პუბლიცისტურ წერილებში გატარებულია დემოკრატიული პრინციპი. 1904 წ. გამოიყა მისი წერილის 1-ლი ტომი, გარდაიცვალა 1881 წ. მისი მოღვაწეობის შესახებ ცალკე ნარკვევს მოვათავსებ „შინათოზში“.

2) პ. იზმაილოვი—ტფილისელი სომეხი, რომელიც 80-იან წლებში ნ. ნიკოლაძესთან და გ. წერეთელთან ერთად მუშაობდა. 1873 წ. ნ. ნიკოლაძის, და მიქელაძისა და იზმაილოვის შეთაურებით პარიზში გამოვიდა გეტოგრაფიული გახვთი „დროში“—საქილისტური მიმდინარეობის. 90-იან წლებში იზმაილოვი ქალაქისთავათ იყო არჩეული.

3) ეს უნდა იყოს დიმი. დადიანი—1881-83 წ. რედაქტორი გაზ. „შრომისა“

წერილი მეოთხე

ეს წიგნი მარტო შენ წასაკითხავად არის

ენგვა 1-ს აპრილს 1874.

საყვარელო ძმაო ნიკო. შენი წიგნი მივიღე და ვერ წარმოიღვენ, რა ნიშნით გამეხარდა, რომ შენ აგრე მალე გამოგიჩვენე ყოველივე საქმე და განსაკუთრებით ის შინაგანი თავი ხასიათი. ანუ უკეთ ვთქვათ, თვისება ჩვენი მომავალი ახალგაზღვრებისა, რომელიც აქვე, ბევრათ აღრე უკებ გულათ მომხვდა თავში. რომ იცოდე, რა გამოწევა ამ ახალში, იმან დადავა ჩემი გული და გული

გვამი: პირველიდ ყოველივე ჩემს თავს დაეაბრალებ, ჩემს უფარვისობას, ჩემს ხსენებით გარყვნილობას, აბა როგორ ვაფიქრებდი იმას, რომ რუცკისმცოდნე და ლექსის კვალი ჩვენს საზოგადოებაში ჩვენს მოპირდაპირებს ეტყინა: „მე მისამს და უკეთეს გარემოებაში ჩაყენებულს ჩვენს მომეტებულს ნაწილს, ახალგაზღვობას დაპირობებულს საქონილსავეთ ტანში ედგმებოდა. დრო იყო, როდესაც ჩემი თავის გაიციხვამ ისეთს ცუდს გარემოებაში სულით ჩამაყენა, რომ წყალწილებულით მიმანდა ჩემი თავი და ვაპირებდი წასულას, სად რომ იცოდეთ... უკანვე შინ გამგზავრებას, რომ ჩემის აქ დგომით ჩემი გასვრილი ზნეობა სხვებს არ მოედოს-შეთქი, მაგრამ რაც უფრო უკვირდებოდი იმ პირიანობას, ჩუროულით ლაპარაკს და ჩურჩულით მიწერ მოწერას, რომელიც გამართა ჩვენმა სახლვარ გარეთელმა ახალგაზღვობამ ერთმანეთში, მაშინ როდესაც ამისთვის არავითარი საბუთი არ ჰქონდა, მე უფრო შეშფეიქრა, ჩემი თავის იმედი უფრო მომეცა, მით უფრო რომ აქ ჩემს თავს სრულებით დანაშაულათა არ ვხდიდი, მხოლოდ ერთი დანაშაულობა იყო ჩემი, ის, რომ მე ჩემს აზრს ვიცავდი შეკრებილებებში ყოველთვის მაგრათ და ჩემი მოპირდაპირენი აზრში შეჭვენებოდენ ძალიან სუსტით და წრებშიაც იკიცებოდენ, რომ ამ მხრით გამომხდნენ ისინი ძაბუნნი მერე სხვა რიგათ დაიწყეს ბრძოლა, იმ წესით, როგორც ჩვენ გვებრძოდენ და გვებრძვიან ჩვენი ზნეობა ამხდარი და ყოველად უმაქნისი თაობის წარმომადგენელნი ჩვენი ქვეყნისა. ესე იგი ისინი აზრში საზოგადო სარგებლობას კი არ აქცევდენ ყურადღებას, ისინი ამ შემთხვევაში უფრო ყრძობითის სარგებლობისათვის ქველმოქმედობდენ. „რაკი წერეთელი მოვიდა, საქმე აგვირიაო, ერთმანეთს დაგვამტერაო, შფოთი და ვაი უშველებელი ჩამოგვივლოვო. წინათ ძალიან კარგი მეგობრობა გვქონდაო, არც შფოთი, არც დაეიდარაბა, ვეყავით ძმურათ და ერთმანეთის პატივისცემით გამოედოდიოთო.“ ამას ამბობენ ისინი, რომელთაც ეგონათ, რომ ჩვენს სახლვარგარეთელ ამხანაგობებზე აქეთ გავლენა, არიან იმათი წინამძღოლნი, მოთავენი და რასაკვირველია იმათგან პატივცემულნი. თუმცა ამის საბუთი ბევრი არა ჰქონდათ რა, მაგრამ რადგან ყოველივე მშვილობიანათ მიდიოდა და თავის თავს ანუგეშებდენ უპირატესობის ქონვით, ამისთვის იყენენ სრული კმაყოფილნი თავის მდგომარეობისა, მაგრამ, აი მოვიდა, გ. წერეთელი, შემოიტანა წინადადება, მომეტებული ნაწილი ახალგაზღვობისა დათანხმდა ამ აზრზე. ამითი ცხადათ დაუმტყცდათ იმათ, რომელთაც თავის თავები ოლიმპიის ლმერთებათ ეგონათ, პატივი მოგვეკლოვო, ჩვენს აზრს აღარ აფასებენო, ან ეს სულ იმ გაიძვერა წერეთლის ბრალიაო და ამის შემდეგ შეიქნა მიწერ მოწერა, რომელშიაც ჩემს პიროვნებას, როგორც შენსას, სვრიდენ ტალახში და საკეთარი საბუთი რადგან არ ჰქონდათ, მიჰმართეს ღოღობერიძეებისაგან ¹⁾ და ანტონ ფურცელაძისაგან ²⁾ წარმოდგენილს საბუთებსა, ის, როგორც ანტ. ფურცელაძემ მიჰმართა „მოსკოვის ვედომოსტებსა“, ახლა წარმოდგინე ახალგაზღვობა, რომელიც ასე მცირე პირადი სარგებლობის დასაცავათ, როგორც ამხანაგობაში უპირატესობის შექენა, თუ ამდენს საძვგლობას მოახერხებს, რაღა იქნება მაშინ, როდესაც ისინი ცხოვრებაში ჩადგებიან და მატერიალურს კეთილმდგომარეობის სიტკბობებს ვაიცნობენ. მერწმუნე, ესენი კიდევ უარესები იქნე-

ბიან ჩვენს წარსულს თაობაზე და უარესს სამაგლობასაც გამოიჩინენ. ესენი ნიქია და ენერჯით ლოლობერიძეებზე ნაკლებნი არიან და მოთხუჯუნდულ ევროპის ბურჟუაზიის შემცქერლებს უფრო მეტი ექნებათ. მაშასადამე: ცხატყა საძავლობასაც მეტს უნდა მოელოდეს კაცი ამითგან, ყოველი დაბალი და სუსტი არსების თვისება ეს არის. ამის პირადი მოთხოვნილება ცხოვრებისათვის უფრო გაღვაწებული აქვს და ამ მოთხოვნილების მისაღწევით ხს უფრო ადრე მიაღდება ყოველსავე უზნეო საშუალებას, რომ როგორმე თავი გაიტანოს. ვითომც ის, რომელიც თავის ბუნების ძლიერების გამო სრულებით არ საჭიროებს ამ საშუალებას ყოველს სუსტს არსებას უფრო ეშინია თავის სიკვდილისა, უფრო ძვირფასათ მიაჩნია თავის სიცოცხლე, მაშასადამე ის ვერ დაინდობს იმაზე ძლიერს არსებას, იმისი ეშინია, როგორც შიშვერილი ძალისა, როგორც იმაზე უძლიერესისა და ცხადია იმას ვერც დაუახლოვდება და თუ მოშორებულია, მაშინ მხოლოდ იმის ვნებისათვის ფიქრობს, თუმც რომ სრულებითაც დარწმუნებული იყოს იმის კეთილგანწყობილებაში. იქვიანობა სისუსტის მიზეზია და იქვიანობაც ბედებს ყოველსავე სისაძაგლეს ცხოვრებაში. ამ მოსაზრებებში ახალი არა არის რა და მე და შენ რომ უფრო დახელოვნებული ვყოფილიყავით ცხოვრებაში, რომ უფრო ხბოები არ ვყოფილიყავით, ყოველის უსაბუთოთ ერთი შეხედვით უნდა დავრწმუნებულიყავით ამ საქმეში, რომ თავი ასე წინ არ წაგვეშეა იმათთან დაახლოვებაში, როგორც ჩვენ ეს ვკენით; მოშორებით უნდა ვყოფილიყავით და იმათვე გაუშფოთებლათ, იმათვე სასარგებლოთ და ჩვენი ძალის შესამატებლათ გვეკეთებინა საქმე. ჩვენ ამაში შევეცდით, ამიტომ რომ წარმოვიდგინეთ, ყოველ სოკოსგან მუხა გაიზდება, თუ კი ის კარგ ნებვიანს ნიადაგზე დარგესოკო რაც უნდა აკეთო მაინც სოკო იქნება, თუმცა სხვა სოკოებს კი ეშვობინება სიკეთით. ამ კერძო მოკლე ანალიზის შემდეგ ავიწერ ორიოდ სიტყვით ჩვენ საზოგადოების მდგომარეობას. თუმცა ეს შენ უკეთ იცი ჩემზე, მაგრამ შე მაინც სურვილი მაქვს შენთან სიტყვა გავაბა ამ საგანზე, რადგან ჩემი უკინასენელი გამის ფიქრები სულ ამ ერთს კითხვაზე ტრიალებს.

ჩვენმა საზოგადოებამ იმ მდგომარეობამდის მიაღწია, როდესაც მას უმთავრესი ბურჟის იმედი დაეკარგა და სცნო მტკიცეთ თავისივე ხელით თავის ბედის წარმოება. იმას დაეკარგა რუსეთის ჯამაგირის იმედი, იმისგან ლუკმის ძლევის იმედი და ახლა თვითონ აპირებს თავის ლუკმის მოპოებას. ეს პერიოდი იმ ხალხის ცხოვრებაში, რომელიც გარემოებით უფრო ძლიერ ხალხის ხელში ჩაგარდნილა, ნამდვილათ აღდგინების პერიოდია, ჩვენი ახალგაზღობა მოცილდა ჩინოვნიკობის გზას, ის დაადგა თავისუფლათ მოსაპოებელ ლუკმის გზას. ეს პერიოდი აღინიშნა იმითი, რომ ახალგაზღობამ განათლების ძიებაში გზა შესცვალა, ესე იგი ჩრდილოეთისკენ მიმავალი გზა დაავადო და დასაფლეთისკენ გაიკვეთა. რასაკვირველია ამითი განათლების და მოქალაქობის წარმატებამ ერთი ორათ იმატა ჩვენ საზოგადოებაში; მაგრამ ამ მიმართულებას ჩვენი ქვეყნის ბუნება ხომ არ გამოუცვლია, ორგანიზმები იგივე დარჩენ. ნაციის ინდივიდუალობა, იმისი ბუნებითი ძალა ჯერ იგივეა, რამდენი ძველსა და ახალგაზღობაში უწინ აუო მეტნაკლებობა ღირსებით, ახლაც ის არის. უწინაც ყოფილან ჩვენს

ცხოვრებაში გიგი დონკიხოტები და ახლაც არიან, მაგრამ მასსა, როგორც ყოველს ხალხში საკუთარი პირადი სარგებლობის მაძიებელი სანჩო უფრო მეტად უნდა ევროთია. ეს მასსა არის საშუალო ნაციის ძალა, იმისი ინტენსიურობის მქონე ზეგანი სიმამრე, ჩვენ თუ გვინდა ჩვენს ქვეყანის სარგებლობა იმდენი მოუტანოთ, რამდენიც შეგვიძლია, კარგათ უნდა ვიცნობდეთ ამ მასსას. ეს მასსა თავის საუკეთესო კაცებს სდევნის. ასეა იმისი კანონი, იმას არ უყვარს გაპირებაში ჩაყარდნა, იმას უყვარს შეუშფოთებელი ცხოვრება და ვინც გაბედავს ამ ცხოვრების აშფოთებას უფრო დიდი მომავალი ბედნიერებისათვის, ის ამ მასსას მტრათ მიიჩნდა. ამ მასსას ახლა ევროპის ქვეყნებში შქვია ბურჟუაზია, უწინ ერქვა არისტოკრატია და სულ ძველათ ინდოეთში ბრამინის წოდება. ჩვენში კი ამ მომავალი მასსის ყვერცები გახლავთ ჩვენი ახლანდელი ახალგაზდობა, რა კუთხეშიაც კი არიან, ჩვენში იყო თუ რუსეთში, თუ საზღვარს გარეთ სულერთია, ესენი ცხადათ ხედვენ თავის ცხოვრების გზას, რომელიც მდგომარეობს ჩვენი ქვეყნის თავისუფალი ძალის ექსპლოატაციაში თავის სასარგებლოთ. რასაკვირველია, რომ ეს მასსა შენისთანა ქვეყნის აშფოთებელს—მტერს დაუძახებს, რომლისთვისაც სანდო ამ ქვეყანაში არა არის რა.

ეს რომ გვიკვირდეს, ან ამაზე გავბრაზდეთ, ჩვენის მხრით მიუტევებელი იქნება, მაგრამ ათასათ უფრო მიუტევებელი ის იქნება, რომ ჩვენ ამ მასსას იმავე თვლით დავუწყოთ ყურება, როგორც აქამდის ვუყურებდით, იმავე ნაირათ გვჭამდეს ის, იმავე ნაირათ გული გვჭონდეს იმაზე დანდობილი, როგორც აქამდის ვფიქრობდით. ს. მესხი ძალიან გარკვევით ლაპარაკობს ამ შემთხვევაში და იმისი სიტყვები სწორეთ ამ მასსის გულითგან ამოღებულ სიტყვებია: „მართალია გ. წერეთელი და ნიკოლაძე ორივე მივხედულნი არიანო, მაგრამ დრომდის რა გზა გვაქვს რომ არ მოვითმინოთო“. ჩვენ იმათთვის საშიშნი ვართ და, თუ ჩვენთან რაზე საქმის დაჭერა უნდათ, მხოლოდ იმისთვის, რომ იმათ იარაღათ შევიქნეთ და პირველსავე მომარჯვებულს შემთხვევაშივე კი მოგვიშორონ თავითგან: ჩავწვან ცეცხლში, დიახ, ჩვენ იმათ შესახებ ასე უნდა ვუყურებდეთ ჩვენს თავს. ჩვენ უნდა ჩავრაცხოთ ჩვენი თავი მარტოთ მარტო, გულ დაუნდობლათ მასსაზე, რომელიც თუ კი ჩვენი ქვეყნის სასარგებლო საქმეზე მოგვიწოდებს დიდის სიამოვნებით უნდა მივუყვით ხოლმე იმათ, თუმცა არაოდეს თავითგან არ უნდა ამოვიცილოთ, რომ ჩვენ იმათთან საერთო არა გვაქვს რა გარდა იმ საზოგადო საქმეებისა, რომლებშიაც ჩვენცა და ისინიც ერთად ვიქნებით საზოგადო სენის მოსასპობათ. როდესაც ამნაირათ დავიჭერთ საქმეს, ეს მოგვემს ჩვენ საკმაო გაფრთხილებას ურომლისოთაც ჩვენ ისეთნაირათ წავამტკრეთ ფეხს, რომ ზეზე ვეღარ ავდგეთ. რაკი ამნაირათ დაუპირდაპირდით ჩვენს ახალგაზდობას, საჭიროა თვალითაც გავზომოთ ჩვენი და იმათი ძალა, რამდენი ვართ ჩვენ და რამდენი არიან ისინი? ჩვენი რიცხვი თითოობით დაითვლება, იმათი რიცხვი ასობით და ათასობით, მაშასადამე ჩვენ იმათ რაოდენობაში (в количестве) მოპირდაპირობას ვერ გაუწყვეთ. იმათ ქულებიც რომ გვესროლონ, ამითაც გავგეჟყლებტენ, თუ ასეა ჩვენ უნდა გავადიდოთ ღირსებითი ძალა. ისინი თუ რიცხვით ასი ჩვენი დონი არიან, ჩვენ ღირსებით ასი იმათი

დონი უნდა ვიყოთ, თუ გვინდა რომ გაქირებულს საზოგადო მდგომარეობაში, ესე იგი საზოგადო კრიზისში ჩვენს საქმეს გაეცაინინოთ. ამ საზოგადო მდგომარეობებში ჩვენი თავისა და ჩვენ გულითადად ამხანაგებს თავიხმით თავი უნდა ვიყავინოთ, რაც შეიძლება დიდი წყურთინა: ცოლნის შეძენაში და წერის შეთევისებაში, საკვირველი ეს არის, რომ როცა კაცი თან სწავლობს და თან მწერლობასაც ერგევა მაშინ იმისი აზრიც უფრო მწიფდება და რასაც იძენს, უფრო ბეჯითად იძენს. ვინ არის დღეს ჩვენი ამხანაგი, რომელიც ჭირში და ლხინში ჩვენთან იქნება?—ძალიან ცოტანი საზოგადოთ, მაგრამ განსაკუთრებით უფრადღების მისაქცევი არიან შემდეგ ქალები: ო. ნიკოლაძისა, ო. გურამიშვილისა, კატონიკოლაძისა და მამიკო წერეთლისა²⁾, ამათ კარგა ძალი ბუნებითი ნიჭი და კეთილ აქეთ და, თუ საპოლიტიკო მეცნიერების საგნებში კარგათ განვითარდენ, და ამასთანავე მწერლობასაც მიეჩვიენ, სწორეთ ჩვენ ამათ მეტი ამხანაგებიც რომ არა გვეყვდეს, მაინც არა გვიჭირს რა. ამას ერთს კიდევ მიუღმატებ: იმ ახალგაზრდაში, რომელიც ახლა არის და შემდეგ გამოჩნდება, ვინც კი გონებით და ნიჭით ღონიერია და ღონიერს ვარჯიშობასაც მისცემია, ისინი ჩვენსკენ იქნებიან უმჯობესად და რომელნიც კი გონებითა და ნიჭით სუსტნი არიან, ისინი, რასაკვირველია, მასსა შეადგენენ და ჩვენსკენ არ იქნებიან, მაგრამ ან კი რათ გვინდა ამისთანები, ისინი, თავში ტყაბა-ტყუბით უნდა გავდევნოთ ჩვენი-გან, თუ კი რომ კიდევ მოგვეყვდეს, აქეთვან ცხადათ სინანს, რომ ჩვენ ცხოვრებაში სანამდის დავიღუბებოდეთ, ყოველთვის გვექნება იმდენი ძალი, რომ ვაკიფელობა და პირფრობით მასსის მოპირვა ჩვენსკენ არ დავიწყოთ, არა ეს ჩვენ არ უნდა ვიკადროთ, ეს მივანდოთ იმ მასსას, რომელიც უჩვენათ ვერ გაძლებს და გაუწვდინოთ ხოლმე ხელი სიფრთხილით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იმათი წადილი, ჩვენს მიმართულებას ეთანამება. ჩვენ თუ ჩვენი ამხანაგებიანა ის სრულათ შევიძინეთ, რაც ჩვენი ბრძოლისთვის მიუცილებლათ საქიროა, ესე იგი ცოდნა და ცოდნის ხერხიანათ გამოთქმა, როგორც სიტყვიით, ისე კიდევ უფრო მწერლობაში, მეტი არა გვინდა რა. ამასთანავე დრო არის ძალის ხარჯვაში ეკონომიზაცია მოეახდინოთ. საცა რომ გვეგონია, რამე არ გამოდნება, იქ კაპეიკი არ დავხარჯოთ, ტყულა ხელი არ გავანძროთ, არამედ იქ დავხარჯოთ, რაშიაც ბეჯითად დარწმუნებული ვართ, რომ სარგებლობა და ჩვენი საქმის წარმატება გამოვა. როდესაც ნამდვილათ ათი კაპეიკის ღონე გვაქვს ას პანეთიანს საქმეს არ მოვიკლოთ ხელი ჯერ ჯერობით. ეს არის ჩემი მოკლეთ და ჯერ კიდევ საკმაოთ ვაურყვეველი მოსაზრება ჩვენს ახლანდელს და შემდეგს მდგომარეობაზე. იმედი მაქვს შეოორეთ კიდევ უფრო დაუწვრილმანდები ამ საგანს.

შენი გიორგი.

P. S. ამ წიგნს რომ ვათავებდი, შენი მეორე წიგნი მივიღე. იმედი მაქვს ამჟორითვან ჩვენს მიწერ-მოწერას ექნება მხედველობაში ჩვენს საზოგადო საქმეებზე ბეჯითი აზრის გარკვევა, მტკიცე პროგრამის შედგენა შემდეგ მოქმედებისათვის. ამ შემთხვევაში საჭიროა შენგან გაუწვეტლათ ამბების მიღება რომ შეკ ვეროთ დაახლოვებით შენს საქმეში და ჩემი აზრი გავიზიარო, მაგრამ ეს

მიწერა-მოწერა უნდა იყოს შენშუა და ჩვენს წრეს შუა, სანამდის წრეში აქ ერთად ვართ. ეს ჩემი წიგნი რომ ეისმე ახალგაზდას აიწუნო, ძეგრი რა მოიხდება?.. სულ ეს აზრები, რაც აქ არის გამოყვანილი მარტო პროექტების აზრებით უნდა ვეგნენბოდეს და სანამ აქ გამოთქმული აზრები ცხოვრებაში არ გამართლდება უფრო ცხადათ, მანამდის ეს წიგნი არავის საივენებელი არ არის, თორემ ამას შენ თვითონ მიხედები, როცა წაიკითხავ.

მეორე წერილების შენიშვნები

1) აქ იგულისხმება ბესარიონ, ნიკო და გიორგი ლოლობერიძეები, რომელთა წინააღმდეგ 70 იან წლებში ნ. ნიკოლაძე გ. წერეთელთან ერთად ცხარე კამათს აწარმოებდა ვახ. „დროების“ ფურცლებზე საბანკო საკითხების შესახებ.

2) ცნობილი ბელეტრისტი და პუბლიცისტი ანტ. ფურცელაძე, რომელიც სხვადასხვა საკითხებზე წერდა ცხარე კამათს აწარმოებდა „დროების“ გვერდთან—ნ. ნიკოლაძესთან, გ. წერეთელთან, ს. შესთან და სხვ. 1872 წ. ამ კამათმა არასასურველი ხასიათი მიიღო. (იხ. ამ ხანების დროება.—ქრებული—შეათობი).

წერილი მეხუთე

ფენევა 2 აპრილი. (1874 წ.)

საყვარელო ძმაო ნიკო, მართლაც რომ საჭირო იყო მე კატეგორიულად შეკითხნა შენთვის თუ რა ელაპარაკე სერგეის, ან რანაირი ბაასი გქონდათ მას შემდეგ, რაც მე საკუთრათ შენ და შენ შესაგნებლათ გელაპარაკე¹), ვადმოგეცი ჩემი დაკვირვება და შენიშვნები საზოგადოთ იმ პარტიის კვერცხებზე, რომელიც შემდეგში ჩვენი ქვეყნის მოასპარეზე იქნება. ამ ლაპარაკს ჰქონდა მნიშვნელობა მხოლოდ როგორც აზრების და უკანასკნელი გამოკვლევის ვადჭევი ორ სულით და გულით შეკავშირებულს ამხანაგს შუა, რომელთაც შეუფიცნიათ ერთმანეთისთვის ერთი პრინციპის მიღეცნაზე. მაშასადამე ეს ვადასაცემი არ იყო, მით უფრო რომ აქ უფრო მოსაზრება და იკვიანობა იყო გამოცხადებული ახალ შესანიშნავ მოვლენის შესახებ და არა ისეთი ვადაქრილი გამოკვლევა, რომელიც დაფუძნებულია ცხადს ფაქტებს და აღარავისთვის დამალული აღარ არის. შენ კი ამ ლაპარაკის გამო შევიდგენია მთელი სისტემა მოქმედებისა ერთმანეთზე უკმაყოფილო ამხანაგების შესარიგებლათ და ამით წავიხთენია საჭმე-ერთი რომ სრულებით ის არ ვადაგიცია, რაც იყო, მეორე რომ საჭმე ერთობ ვაგიდიდებია, ალბათ ესეც იმისთვის რომ მეორე მხარეზე მოგედიდინა დიდი შთაბეჭდილება, შეგეშინებინა თუ შეიძლება ასე ეთქვათ, და ამითი საჭმე ისეც ვამოგეყეთებინა. მაგრამ ძალიან შემეცდარხარ და ჩემის აზრით ეს იმის პრაღია, რომ ჯერ კიდევ კარგათ ვერ ვაგიგია და ავიწონია მომავალი პროგრესიულ მასის ხასიათი და იმის მიმართულება, ამ შენში მოლაპარაკებამ ერთხელ კიდევ აილაპარაკა ჩვენი უმაწვილები და უწინდელი ნაგავი კიდევ ვაჩხრიკა. სერგეი რომ მოვიდა, მეორე დღეს აღრიანათ მოვიდა ჩემთან და მაშინვე აქოჩვილ მამალი-სავით ვადგა ვანზე და მითხრა. „რა ამბავი, რაზე მენდურებიო. ნიკომ ასე მი-თხრა, გიორგი ისე ვაპრაზეებულია შენზე, რომ იქ ყოფილიყავ, მეონია, მოგ-

კლავდაო და სხვადასხვა.... მე გამიკვირდა და შენი წიგნი რომ მივიკითხე, იმან კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ საქმე ძალიან გავიდიდებია, ჩვენს წინააღმდეგობრივ ბევრათ გადაგისხაფერებია და ამას ერთი რგოლი კიდევ უღელსაღმარებელია ჩვენს დამოკიდებულებაში. მართლაც, რა საღაპარაყო იყო როგორც, შენს წიგნში იწერები, სერგეისთვის რომ ვითქვამს: „ვითომ შენ მის (გ. წერეთლის) წინააღმდეგ კი არ მოქმედებდე, მთელი მისი მოქმედების და წარსული ცხოვრების დამხობას ცდილობდე და სხვ. მე ამას არაადებს არ ვიტყვოდი, ესე იგი არ ვიკადრებდი ამის თქმას, რადგან მე სრულებით არ ვთვლი, სერგეის ისეთ გვამათ, რომელსაც შეეძლოს ჩემი წარსული მოქმედების დამხობა და არც ვფიქრობ ამას, რადგან სერგეისთვისაც სასარგებლო არ იქნება, ამისი მოხდენა რომ კიდევ შესძლებოდა ეს. მე მხოლოდ ზოგიერთ ნიშნებზე გიჩვენე, რომ ჩაფიქრებულიყავი და ამ ახალ მოვლენისათვის ანალიზი გაგეკეთებინა. შენ სულ სხვა ნაირათ მოიქეცი. საზოგადოთ ეს მხოლოდ გეიმტიკებს ჩვენს ჯერ კიდევ გამოუცდელობას პარტიომის მოქმედებაში. ამ ასპარეზზე გადაცემ-გადმოცემა სრულებით გამოუდევარია, პარტიის მომხრე კაცი სხვა პარტიებს უნდა ადევნებდეს თვალყურს, ან კიდევ ახალი პარტიის დაარსებას შეისწავლიდეს და მოქმედებდეს მხოლოდ იმის და შესადარათ. რაც შეეხება მოსაზრებას და ლაპარაკს ყოველგვარს, ეს თავის პარტიაში უნდა იყოს ან სხვაგან გარეშე სულ სხვა ფორმით უნდა გამოითქვას ეს, უფრო რბილათ და ფთხილათ და არა ისე როგორც ჩვენ გეჩვენია ეს. თუ რომ დიდი უკმაყოფილება აღიძრია ამ ჩვენს ამხანაგობაში ან უკეთ ვთქვათ, ახლანდელს საზღვარს ვარგეთელ ახალგაზღობაში, ამის მიზეზი მომეტებულ ნაწილათ მართლაც რომ ჩვენი სულ მოკლეობა, კაცის უღირსი გადამეტებული თავმოყვარობა, რომელიც გვაფიქრებს და უგუნურათ გვამოქმედებს თუ ვინცობა ჩვენზე ვინმე ერთი ცახე ლანძღვა, ან ცუდი აზრი გამოთქვა. მე მგონია, ეს ჩვენი სისუსტის ნიშანიც არის, რომ გვეგონია თუ ვინმე რამე ცუდი გამოთქვა ჩვენზე, ასე გვეგონია იმან ჩვენი ღირსება ნამდვილათ დაამდაბლა და ჩათქირა ტალახში ყოვლად უმიზეზობათ, ჩვენ მაშინვე აღვიჭურვებით ყოველნაირ იარაღით მრუდენი და მართლით და ამ გაკიცხვაში იმავე იარაღს და საშუალებას ვხმარობთ, რომელიც უხმარია ჩვენს მოპირდაპირებს, ეს ან სულმოკლეობის ნიშანია, ან იმის რომ მართლაც ჩვენ თავს ვერ ვსცნობთ ხეობით მაგრათ და რაშიაც ცოტაც არის დამნაშავე ვართ, იმისი შით უფრო გავბრაზებს. შენ კიდევ გაგიკვირდება ასე დაწვრილებით რათ ვაღვიარებ და თავის გვემაში (самничестве) რათ გავერთობი და სხვებს ჩემს ამხანაგებსაც რათ ვიტან ამში, მაგრამ მართლაც რომ დრო არის ამისთანა უბირო თვისებისაგან განთავისუფლდეთ პასუხი არ ვუგინე გაბრაზებას და მძვინვარებას არ მივეცეთ ჩვენი გაკიცებისათვის და მივანებოთ ყოველივე ჩვენს საქმეს და სულგძელობასაც მეორე მიზეზი ამისთანა უკმაყოფილებისა არის გადასხაფერებულათ ლაპარაკის გადაცემა, თავის საკუთარი თავის ამ შემთხვევაში ცხვირის წინ წაყენება, მოსამართლეთ, უმაღლეს არსებათ გამოყვანა და თავის ამხანაგების დანაშაულათ შერაცხვა, იმათი დასჯა და ჯვარს ცმა. ეს მეორე თვისებაც საკვირველია იმავე გვართ სულმოკლეობათ, მეტიწარაობათ და კუდაბზიკობათ ჩაითვლება, რო-

გორც პირველი. სანამ ჩვენ ამისთანა თვისებები გვექნება რომელშიც სიანს ამხანაგის დაუფასებლობა, კაცის ღირსების დაზავება, მანამდის ჩვენ ნაშრომის მოქმედება არ შეგვეძლება, მანამდის ჩვენ უბრალო რიტორიკის და მკაცრე ქველები ვიქნებით, რომელთაც მუდამ მშვენიერი შეტყველება აქვთ და საქმით კი ულონონი არიან.

ამის შემდეგ მე გზავაგრობ ჩემს უწინდელს საუბარს. მართლაც რომ შენ მართალი ხარ, როცა ამბობ, ჩვენს განხეთქილების მოსპობას მეტი არა გშველება რა, რომ ახლავ დავიფანტოთ. ჩვენს სწავლას შეუდგეთ და ერთი მიზნისა და ერთი პრინციპების, ერთი აზრის მიმდევებმა ერთმანეთი მოენახოთ. ეს სწორეთ ასე უნდა იყოს. შემდეგში თუ გახსოვს ჩემს პირველ წიგნში რომ გამოთქმული აზრი იყო ჩვენ უნდა მოვიქცეთ სიფთხილით ჩვენი ღირსების დაცვით და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებით ყოველ საქმეში იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ მატერიალური საშუალება არ გვექნება და მხოლოდ გონებითი იარაღით ვიქნებით აღჭურვილნი; მასსა კი ხელში ექნება მატერიალური საშუალება, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ კარტინა შეიცვალა. ჩვენ გონებითს საუნჯესთან მატერიალური საშუალება ჩავვივარდა ხელში. მაშინ როგორ უნდა მოქცევა? თუ კი ვაიხსენებ ჩვენი მომავალი პროგრესული მასის თვისებას, რომელიც შე ორი სიტყვით მოვიხსენე, იმის წადილს ჩვენი ქვეყნის თავისუფალი ძალის ექსპლოატაციისათვის, მაშინ ადვილათ შეგიძლია თუ რა დამოკიდებულებაში იქნება ის ჩვენთან, იმავე დამოკიდებულებაში, როგორც წარსული ახალგაზდობა, მთავრობის ლუკმის შემყურე. ამ პროგრესულ მასსას ყოველსავე გააკეთებინებს კაცი, რაც რომ იმასგან შესაძლო იქნება, მაშასადამე ჩვენს ახლანდელს განხეთქილებას საკუთრათ არავითარი მნიშვნელობა არ ექნება მომავლისათვის, თუ გვექნება მატერიალური შეძლება, ეს მასსა ჩვენი მატერიალური და მომხრე იქნება, თუ არ გვექნება და მაშინ რაც უნდა ახლა ვეფეროთ და გულჩეილობა გამოუჩინოთ, მაინც იმის თვალში ჩვენ არ ავმალდებით და ისე მოგვექცევა, როგორც ახლა და როგორც კიდევ აცხადებენ ამ მასის წარმომადგენელნი. მაშ ჩვენი დაახლოებისათვის იმგვარი გულჩეილობა, როგორსაც შენ იზენ, შეუფერებელია და არაფერს სარგებლობას არ მოგვიტანს, გარდა ჩვენი თავის დამცირებისა ?).

ჩვენი გარემოება ახლა თითქმის სულ შემსუბუქდა იმის გამო, რომ შენგანაც ფულები მოვიდა და ოლიმპიადასაც მოვიდა. შემსუბუქება რას ნიშნავს? — ესე იგი ვალები თითქმის სულ გავისტუმრეთ და ჩვენ სახტათ დავრჩით, სული ამოვითქვით სწორეთ. ამ ცოტახანში გელით შენ და იზმილოცს.

შენი ერთგული მია გიორგი.

P. S. ახალი კონსტიტუციის მიღებაზე შევიცარიაში ავიტაცია თანდათან დიდდება, მე მგონია, კენჭის ყრის დროს აქ მუშტიკრივი გაცხელდეს და აქ დასწრება თქვენი სწორეთ კარგი საქმე იქნება, უქველათ მოდით ცხრამეტე აპრილისთვის, მაშინ იქნება კენჭის ყრა. შენი საქმეები როგორ მიდის? თუ მია ხარ ნურაფერს ამბავს დამაკლებ შენი მოქმედებისას.

მენტუთე წერილის შენიშვნები

1) 1874 წ. ს. მესხი და ნ. ნიკოლაძე სახლვარ გარეთ იმყოფებოდნენ.

2) უნდა ეთიქტოთ, რომ გ. წერეთელს, როგორც წინა წერილში, ისე ამ წერილშიც მხედველობაში უნდა ჰქონდეს საქართველოს განთავისუფლება რუსეთის ტერიტორიაზე. აქვე უნდა დაუმატოთ რომ 1874 წელს ენევაში მოწვეულ კონგრესზე, რომელსაც დაესწრენ სომხეთისა და დაღესტნის წარმომადგენელნიც, გ. წერეთელი იცავდა ანთერ-კავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის პროექტს. ამ საკითხს ცალკე შევხებით გ. წერეთლის საზრუნების გამოჩვენებისათვის დაკავშირებით.

წერილი შეექცა

ენევა 9 აპრილს. (1874 წ.).

საყვარელო ძმაო ნიკო. ჩემი წიგნი რომ შრისხანე წიგნათ მიგიღია, ამითი დავრწმუნდი, რომ საზოგადოთ ჩემი კილო ლაპარაკისა, ისე არ გესმის, როგორც მე მინდა, მე შენთან თუ საქმემ არ მოითხოვა, ისე მიწერ-მოწერა არა მაქვს, როგორც იმისთანა კაცთან რომლისაც ყველაზე უფრო მწამს, რომ ხერიანს საქმეს გააკეთებს. ჩემს წიგნებს შენთან შოლოდ ერთი ხასიათი აქვს: ეს არის საქმეზე და ჩვენს შეუფერებელს თვისებებზე გულმხურვალედ ლაპარაკი ერთმანეთს შორის და არა ვარეშე პირთან, ისეთს ვარეშე პირთან, რომელსაც შეუძლია ამ ლაპარაკით ცუდათ ისარგებლოს. უნდა გაგიმეორო როგორც პატიოსანმა კაცმა, როცა იმ წიგნს ვწერდი და შენგან მოყვანილს სიტყვებსა ვხმარობდი, მე მაშინ ჩემი თავიც მჭონდა შენთან ერთად მხედველობაში რადგან წარსულში მეც ბევრჯერ შემთხვევია ამგვარი მოქმედება. ამის შემდეგ ერთს ვთხოვ, ჩემს წიგნებს, როცა ნაკლულეუანებაზე, და საერთოდ უხეირო მოქმედებებზე ვწერ, ნუ მიიღებ ისე თითქოს მე შენ გლანძღავდე, და შენი დამკირება მინდოდეს; რომ დაფიქრდე, გულდამშვიდებით განიხილო ის მოქმედებები, რომლებზედაც მე მოვწერ ბოლმე ის კი მინდა სწორედ.

ბოტიამ მითხრა, ამ შაფათს მოდიხარ, კარგი იქნება, ახალი ამბების გადკემით და აზრის გაბმით გაემხიარულდები, ერთ მინუტს მაინც სისხლს აეაჩქეფებ, ისიც კარგია, შენი საქმეები როგორ მიდის?... გამბეტას გაეცანი?—პაი, თუ როგორმე ბელლის თავისავეთ იმის ოთახში შეიპარე და აქ რომ მოხვალ ყურებს გამოავიჭეჭავ, რომ მთელი საფრანგეთის რესპუბლიკელი პარტია ხელში შეაგსო... მაგრამ აჰ, დავანებებ თავს ამისთანა ოხუნჯობას... ვინ იცის იქნება კიდევ წამოიძახო, ეს რა პაღლევობაა, ტრაბახობასაც მეწამებო. ამ ჩვენი ენეველების გულფიცხოება და ბუტიაობა ვგონებ შენც ვადავდებია. შართლაც მაქნობე, როგორი ვიზიტები გააკეთე. მე დარწმუნებული ვარ პერნოლე გზას კარგათ გაგიკვრავდი წარჩინებულ პირებთან.

აქ არაფერი ამბავია მაგდენი, ივანე მესხი მოვიდა ციურხითვან.

შენი ვიორჯი.



წერილი მეშვიდე

12 მებტყი (1824წ.)

ნიკო. შვეიტცვე, რომ ფული მოგსვლია და გთხოვ რაც *სანაქმინდის* იმ ფულებითგან, რომელიც ზარათოვმა გასესხა, მალე გამომიგზავნოთ. შენ კარგათ იცი, რომ მე შეგ ფულის იმედით წამოვედი, თორემ ასე ხეპრულათ არ გადმო-
ქარდებოდი ამ უცხო ქვეყანაში შიმშილით თავის მოსაკვლელათ.

გთხოვ პასუხი მალე შემატყობინო

გიორგი წერეთელი

იმ ფულებითგან, რომელიც მე ზარათოვმა მასესხა, ექვსასი მათგანი კავ-
კასიაში გამოგართვი და ცხრაას ორმოცი ფრანკი (940) აქ მივიღე, დარჩა 1040
ფრანკი, რომელიც გთხოვ მალე გამომიგზავნო.

გიორგი წერეთელი

წერილი მერვე

23 სექტემბერი.

ძმაო ნიკო. თუ ძმა ხარ, მე რომ ახლა სტატიას ვგზავნი, თუ ღირსი
იყოს, მალე დააბეჭდვინე, ჩვენ აქ უფულობით სული ამოგვდის. წარმოიდგინე,
სხვათა შორის მაგ სტატიის იმედიც გვაქ, ცოტათ ხელ მოგვითამბს. შენ იცი,
როგორი ადვოკატი გავვიხდები, რომ კარგი კუში (?) გვერკოს. შემდეგში მე
შინდა აკაკისთან ერთათ ორგანიულათ დავიწყათ შრომა როგორც ქართულში
ისე მაგ თქვენს გაზეთში *). ვერ წარმოიდგენ, რა მდიდარი მასალაა აქაურს მი-
ძინებულს და მიგდებულს საზოგადო გამეგობაში; ღმერთო რამდენი ლექი და
საძაგლობაა აქ დაგროვებული და ვიხეთებიც, განსაკუთრებით ტფილისის ვესტ-
ნიკი ვინ იცის, რამდენს სარგებლობას მოიტანს, თუ რომ შევიძლებთ ორგანი-
ულათ და სისტემატიურათ გამოაშკარავება ყოველგვარ საძაგლობის, რაც აქ
ხდება მთავრობასა და საზოგადოებაში.

შენი გიორგი.

მერვე წერილის შენიშვნები

*) ეს წერილი დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით 1878 წ. გ. წერეთელი 1878 წლიდან
თითქმის ველარ მუშაობდა გაზ. „დროებში“. რამოდენიმე წელი იგი საზღვარ-გარეთ იყო, ხო-
ლო ოსმალეთთან იმის დროს რუსული გაზეთის სამხედრო კორესპონდენტად იყო გაგზავნილი
ფრონტზე. 1878 წ. ნ. ნიკოლაძემ დაიწყო რუსული გაზეთის „Отеч-ის გამოცემა. 1878 წ.
3. წერეთელი კვლავ თანამშრომლობს გაზ. „დროებში“, ხოლო ამა წლის ბოლოს, რედაქციას-
თან უთანხმოების გამო, გადადის „ტფილისის ვესტნიკში“ უახლოეს თანამშრომლად.

წერილები ს. მახსთაძე

წერილი მეცხრე

6 თებერვალი. (1874 წ.)

ძმაო სერგეი. გაჯავრებული იქნები, რომ აქამდის წიგნი ვერ მოგწერე, იმ
შენი წიგნის პასუხათ. მას შემდეგ რაც უმაწვილებს თვითონვე ეფიქრნათ ფუ-
ლის გამოგზავნა, მე მაინცა და მაინც ჩემი წიგნი არ დამიჩქარებია. უმთავრესი
საგანი შენ წიგნის მიღებამდის რამდენიც შესაძლებელი იყო ავისრულეს. შარ-
თლაც რომ ძალიან ბევრი ვალი ჰმართებთ აქ. ამათ მოუვიდათ ორმოცდახუთი

თუმანი და ჯერ ნახევარი ვალი არ გაუსტუმრებიათ. ნიკოს ¹⁾ ტელეგრაფში მოვიდა, ჩვენი საქმე ძალიან კარგათ მიდისო, მხოლოდ ცოტა დამატებას სჭიქვალ. წიგნი და დაწერილებითი ამბავი არა არის რა. ჩვენები ყველსნი მსკინს ქართულნი არიან თავთავიანთს საქმეში. მე ენებს ესწავლობ და უფულობისა გამო ალაგადგან ვერ დავტრულვარ. ნიკოს რომ შესძლებოდა ჩემი ფულის გამოგზავნა ახლა გერმანიაში ვიქნებოდი და დარწმუნებული ვარ უფრო ჩქარა წავიდოდა ჩემი ნემეცურის სწავლა. ახლა მე იმედი არა მაქვს რომ ნიკომ ასე მალე მოახერხოს თავის საქმეები ისე, რომ მომეტებული ფული ექნეს, ამ გარემოებაში შეიძლება მე ძალიან ვაჭირება მომადგეს. ამისთვის რადგან შენ კარგი პირდაპირი დამოკიდებულება მაქვს ზარადოეთან, გეცნობებინა იმისთვის ეს ჩემი გარემოება, რომ ამ წლის ფული გამოგზავნა; მერე კი ჩემი ფული შინიდან მომივიდოდა და საქმე ჩარხივით წავიდოდა, თორემ ამისთანა მდგომარეობას შენც იცი დროს დაკარგვის მეტი არა მოაქვს რა. ენევაში ძალიან სიჩუმეა. არავითარი პოლიტიკური მაგის ცემა არ ეტყობა.

ჩემის აზრით ტფილისში უფრო ვაცოცხლებულია შედარებით ყოველგვარი გონებითი და ვაქრობითი მოძრაობა, ვინემ აქ. ლიპიანი ბურჯუას მეტს და იმის „თავიქნდრულს“ შემოსავალს-გასავალის ანგარიშის მეტს ვერას ამჩნევ. ის ყოველთვის კმაყოფილია თავის ჯიბისა და მუცლისა, დანარჩენი კი თუნდ წყალსაც წაუღიას, ასე ამბობს, ყოველი აქაური მცხოვრები.

ჩემი განზრახვა იყო ერთი თვის შემდეგ რაკი მივედი, ლეიბციგს წავსულვიყავი. იქ ნემეცური ენა შემესწავლა ექვს თვეს და მერე პარიჯს წამოვსულვიყავი, ²⁾ იქ გამეთია ფრანციულში გასავეთარებლათ. მეორე წელს მივეყოფითი გულდაგულ ჩემს სპეციალურს საგანს ზელს და იმედიც მქონდა მალე მოუღებდი ბოლოს. ახლა კი ჩემი მატერიალური მდგომარეობა ისე დაიფუშა, რომ არც კი ვიცი როგორ წავა. მე იმის შიში მაქვს, ვაი თუ ამ ენევაში სულაც ვამრიყოს ამ ერთს წელიწადს. სწორეთ კარგი ხუმრობა იქნება! ახლა მიიღე შედეგობაში ეს გარემოება და როგორც ამჯობინო ისე მისწერე ზარადოეს.

ჩვენ აქ უღელის გადაკეთების პროექტი შევადგინეთ და იმის მოლაპარაკებაზე და განსჯაზე გვაქვს კრებები. როცა სულ გათავდება ბაისი, რასაკვირველია პირს გამოვიგზავნი. „დროება“ ჯერ არ მოგვევლია, არც „კრებული“. არ ვიცი ტფილისის საქმეები რა მდგომარეობაშია, ლმერთმა იცის ან „სასოფლო გაზეთი“, ან „კრებული“ გამოვლენ თუ არა. თუ ღმერთი გწამს, შენ თუ რაზე იცი მომწერე. წარმოიღვინე, ორი წიგნი მიეწერე კირილეს ³⁾ და ჯერ პასუხი არც ერთის არ მომსვლია. ვინ არიან მშრომელნი ან რას იწყებენ, ან როგორ უნდა წაიყვანონ საქმე, კაცმა არ იცის?

იხმაილოვი მომიკითხე, მაგისი კარრიკატურა ჩემზე შეთვისებულია. იმედა, მომავალში ჩვენს სატირიულს გაზეთს ნიჭიერი კარრიკატურისტი ეყოლება. უთხარი ჩემ მაგიერ, რომ ჩემი სტატია რომ წამოიღო მაგან ტფილისითგან ქართულ და სომხურ ენის სწავლებაზე, გამომიგზავნოს. ჩემთვის ძალიან საჭიროა.

პაპოვი მომიკითხე.

შენი გიორგი.

თუ პასუხს არ დააგვიანებ კარგი იქნება. შე უერ არ დამიწყებოთ ჩემი-ვერტმ-
რატურისათვის და არ ვიცი დავიწყებ თუ არა: საკეთებელი კისმდრე მისება

მეტეტრე წერილის შენიშვნები

1) ნიკოლაძე.

2) სერ. მესხი იმ ხანებში პარიზში იმყოფებოდა.

3) ლაოთქიფანიძე.

წერილი მეათე

(1874 წ.)

მთა სერგეი. წუხელის შეკრებილება გექნდა, რომელშიაც კეკელი იყო და იმან მითხრა, ვითამც შენ წიგნი მოგეწეროს და ჩემგან პასუხს ელოდე. მე ძალიან გამიკვირდა ეს ამბავი, რადგან წიგნი არ მიმიღია. არ ვიცი, როგორ უნდა დაკარგულიყო. რაც უნდა იყოს, ვთხოვ იმ წიგნის შინაარსი მეორეთ მომწერო. ალბათ ჩემი შესახები საქმე ეწერებოდა. ან გენდომებოდა გადმოცემა. ამას წინეთ ნიკომ ზიშინსკი დაიბარა და ფულიც ემაწვილებს გამოუგზავნა. ალბათ მე არ გავახსენდი, მაშინ როდესაც მე საშინლათ გაკირებული ვარ. წიგნი მოგწერე ამ საგანზე და არ ვიცი, რას შემომითვლის. ალბათ მომწერს ფული არა მაქვს და ვექსელს მოგცემო. შიიღე შედეგობაში ეს ამბავი, თუ ასე მოიქცა. მე კი არ გამიკვირდება, რადგან მაგან შენთანაც ეს მითხრა.

ტფილისითგან დობროვისკის ქალითგან მივიღე ეს ამბავი, ვითომც ტფილისში ახალი ქართული გაზეთის გამოცემას აპირებდნ და იქ მონაწილეობა უნდა მიიღონო დავით ერისთავმა, გიორგი ჩიქოვანმა 1) და აკ. წერეთელმაო. როგორ მოგწონს ეს ამბავი, ჩემის აზრით მოსაფიქრებელია. შენ ხომ არ იცი რამე ამბებში? თუ მომწერ, ძალიან მადლობელი ვიქნები.

კომედიას ამ თვეში მგონია გავათავებ. მერე მიუყვები შევიცარიაზე წიგნების წერას. თუ ოქტომბრამდის ამით გარდა ისტორიული სურათებიც მოვასწრე, მეტს ველარას გავაკეთებ ჩვენი ლიტერატურისათვის.

თუ შეიძლება ლუი ზლანის ისტორია რევოლიუციისა გამოგზავნე, წაკითხვა მინდა. გუშინ საღამოს შეკრებილებაში 2) კეკელ 3) მოიტანა ქართული პოლიტიკური განხილვა საფრანგეთზე. დაწერილი კარგათ იყო, მაგრამ შინ არ წეეკითხა და ამისთვის ჩქარა ვერ წაიკითხა. მე შეენიშნე და შენც მისწერე, რომ რაც დასწეროს, იმის კითხვაც კარგათ ისწავლოს, მართლაც, რომ ამ მხრით ჩვენი საქმეები კარგათ წივა. კრიტიკოსკიმაც მოიტანა დაწერილი და რიგიანათ იყო ღერბის სიტყვის აზრი ქართულათ გადმოცემალი. აგრეთვე ჯაფარიძემ ილაპარაკა ისპანიის საქმეებზე და მე გერმანიაზე, ასე რომ წუხანდელი საღამო ცოცხლათ წავიდა. მომიკითხე იხმაილოვი. შენი გიორგი.

მეათე წერილის შენიშვნები

1) გ. ჩიქოვანი იყო ლიტერატორი-მთარგმნელი, თანამშრომლობდა დაიწყო „საქართველოს მოამბეში“, შემდეგში თანამშრომლობდა „კრებულში“.

2) ნახ. „ტფილისის“ კრებაზეა ლაპარაკი.

3) მელიქიშვილის ქალმა.

წერილი მეთერთმეტე

გარკინულში

9 ივნისს 1874 წ.

სერგეი. ჩემი კომედია გავითავუე. ¹⁾ სულ რომ არ ვარგოდეს „ჯიბრს“ ²⁾ მაინც ხუთჯერ სჯობია. მინდა ამ დღეებში ტფილისს გავგზავნო, ესე იგი საკონკურსოთ წარუადგინო. ჩემს ახლანდელს მდგომარეობაში ოცი თუმნის საჩუქრათ მიღება კარგი საქონელია; მაგრამ მე მაინც იმედი არ მაქვს, რადგან კომედისთვის დანიშნული ფული აქამდის სხვას რასმე მოხმარდებოდა, რადგან „დროებაში“ იყო გამოცხადებული, თუ აპრილის გასულს არავენ წარმოადგინა კომედია, მერე ფული სხვა საქმეს მოხმარდებოდა.

სერგეი, თუ ძმა ხარ, თუ შეგიძლია როგორმე ფული მიშოვნე ერთი ორასიან სამასი ფრანკი მაინც, ძალიან მიჭირს. შინითგან უსათუოდ მომიყა ფული, მაგრამ შგონია ცოტა კიდევ დააგვიანდეს და მანამდის თითქმის ვერ მოვიცდი. ამ დღეებში თუ დობროვსკიანნი მოვიდენ, და მანამდის ფული არ მომივიდა. უძველათ იმათგან ვისესხებ ფულს და შენს ფულს დაგიბრუნებ.

ჩვენი საღამოები კარგათ მიდის. კეკე და კრიეანოვსკის ქალი ყველანზე უფრო შრომობენ ამ საღამოებისათვის. საზოგადოთ ჩვენი საღამოები ძალიან კარგათ მიდის, სწორეთ თავი შეგვაყვარა ამ საღამოებმა. ტფილისიდან თუ რამე იცი მომწერე. ახლა ნაციონალურს კრებაში დიდი ამბავია, როგორც სჩანს, და, თუ შეიძლება, შესანიშნავი ამბები შემატყობინე. გამეტყვას სიტყვითგან სჩანს, რომ ბონაპარტის პარტია ძლიერდება, უკანასკნელი ამორჩევიც ამას ამტკიცებს, რა მიზეზია მომწერე.

იზმაილოვი მომიკითხე. მე რომ ჩემს რუსულს ბელნაწერს ვთხოვდი, რატომ არ გამომიგზავნა?

შენი მეგობარი გიორგი წერეთელი.

მეთერთმეტე წერილის შენიშვნები

¹⁾ შეიძლება ეს იყოს კომედია: „ოჯახის ასული“, რომელიც ბელნაწერში დარბა გ. წერეთელს. ეს კომედია მართლაც ყოფილა წარდგენილი, როგორც „დროების“ ნომრებიდან სჩანს. 1880 წ. დრამატულ საზოგადოებაში.

²⁾ კომედია „ჯიბრი“ გ. წერეთელს კლუბების და დაბეჭდილი არის „კრებულში“ № 2. 1871 წ.

³⁾ მელიქიშვილი.

დასასრული იქნება.

1929 წ. ქართ. „მნათობრი“ დაგეგმილი მანუსკრიპტი

პ რ ი ზ ი ა

- ბოზობიძე კალ.: „პოეტი მხედარი“ № 1.
გაბიხიძე ვ.: 1) „საქარჯიშო მოედანი“ № 1; 2) „მოგონებანი“ № 8—9.
გორგაძე ვ.: „გლეხი პოეტი“ № 7.
გვეტაძე რ.: „მუშათა ახალი სახლი ქონქაძის ქუჩაზე“ № 7.
ეული ხ.: „ზღაპარი და სინამდვილე“ (პოემა) № 8—9.
ზომლეთელი ნ.: 1) „ჩვენი რწმენა“ № 8—9; 2) „სოფლისსია ხლე“ № 4.
იაშვილი პ.: „პოეზიის ინჟინრებს“ № 2—3.
ლევონიძე ვ.: 1) „სიმღერა პირველი თოვლისა“ № 1; 2) „ზამთრის მუხამზაზი“ № 2—3.
ლიხაშვილი იაკ.: „გლეხკორის ნაამბობიდან“ № 5—6.
ლორთქიფანიძე კ.: „ერთი მათგანი“ № 2—3.
მოსაშვილი ილ.: „ქალ-ვაჟიანი“ № 1.
ნადირაძე კ.: „შოტლანდიელი ცეცხლფარეში“ № 4.
ნაროუშვილი: ორი მისამართი № 11—12.
რუხაძე ვარ.: „ტფილისი“ № 4. „ახალი სოფლის სურათი“ და „ლეკსა ჯორჯიაში“ № 11—12.
ტაბიძე ვალ.: „ლეკსი დაწერილი „მნათობის“ ხუთი წლის არსებობის გამო“ № 2—3.
ტაბიძე ტიცი.: 1) „გულდაგულ“ № 5—6; 2) „პოემიდან „თერამეტი წელი““ № 8—9.
სამხონიძე პ.: 1) „წერილი კომკავშირელთ“ № 4; 2) „პოემა ხუთწლიან კვებაზე“ № 7 და № 10.
შანშიაშვილი ხ.: „წყემსი გოგო“ № 4.
ქუჩიშვილი გ.: „ლეგენდა ჩადრზე“ № 2—3.
ქუთათელი აღ.: „ლენინგრადი“ № 5—6.
ცეცხლაძე გრ.: „ოქტომბერი“ № 11—12.
ჩიქოვანი ხიმ.: „ბულბულიანი“ № 1.
ყიფიანი ივ.: „უკვდავ კომუნარს“ № 1.
ყურული ვარ.: 1) „მანიფესტი მკითხველებს“; 2) „ნიკო ფიროსმანს“; 3) „სამძიპარი მყინვარს“ № 5—6; 4) „ჩვენი ქვეყნის გაზაფხული“ № 4.

პ რ ი ზ ი ა

- ბარნოვი ვ.: „წოდებული“ № 7.
გარიყული მ.: „დონა“ № 7.
გვეტაძე რაფ.: „თეო“ № 8—9, № 10, № 11—12.
ზომლეთელი ნ.: „ბეჯანა დაბრუნებულა“ № 1, № 2—3, № 4.
კლდიაშვილი ხერგო: „ლიპი“ № 8—9.



- დამთავრებული პოეზია: „აქრე სინათლე აქრე, შე მაინც ავანთებ მას“ № 8/9.
 მრეველიშვილი მ.: „ხავსმოღებული ნაფორები“ № 2-3.
 მიწიშვილი ნ.: „კამათელი და სახარება“ № 1.
 მებრეველი ლ.: „საზღვარზე“ № 4.
 ნიფრაძე ვ.: „ორი დაბადება“ № 5-6.
 ნინოშვილი ევგენატე: „დაუბეჭდავი მოთხრობა“ № 2-3.
 ქორქია როდ.: 1) „დარეჯანის ნაჩუმარი“ №1; 2) „ვარდი და ცოცხი“; 3) „დაფი-
 ონა“ № 5-6; 4) „ყველაფრის უფლება“ № 10.
 რობაქიძე გრ.: „უღვეა“ № 5-6 და № 7.
 ხავეარელიძე პ. მ.: „დაფანტული ფურცლები“ № 10, № 11-12.
 ტატიშვილი იოსებნი: „იალლუჯა“ № 1, № 2-3, № 4, № 8-9.
 შიბ. ჯავახიშვილი: 1) „წითელი ღილი“ № 1; 2) „ფინჯანი“ № 2-3; 3) „არ-
 სენა მარაბდელი“ № 5-6.
 ჭუმბაძე არ.: „ცხოვრების ქარავმა“ № 4.

თარგმნილი ლიტერატურა

- ბაგრიცკო ედ.: „ფიქრი ათანასზე“ № 1.
 ბეზერი ი.: 1) „ორი ათასი“ № 4; 2) „მასსები“ № 10.
 მ. გორკი: „არტამონოვების საქმე“ № 2-3; № 4.
 გრინოედიოვი: „ქართული ღამე“ (გადმოკეთებული შ. დადიანის მიერ).
 ზალკა მათე: „დროშა“ № 10.
 კეხერი შერ.: „შტრასენზან“ № 5-6.
 მარტინი: „მენავთე სიმონა“ № 7.
 მანველიანი: „ერთი ქუდის აშავეი“ № 8-9.
 როშენ თიულ: „Ode Genoise“ № 2-3.
 პუშკინი: „სადგურის ზედაზედელი“ № 7.
 შარკლი: „ლალატის ფასი“ № 7.
 ერინ შარია რეპარქ: „დასაუღეთის ფრონტი უცვლელი“ № 10, № 11-12.

პრიტიკა, მხატვრობა, კუბლიცისტია

- ალხაზიშვილი შ.: „შენიშენები კინოს შესახებ“ № 1.
 დარჯიშ კ.: „მხატვრული ცხოვრება სომხეთში“ № 2-3.
 დევდარიანი ხ.: „ახალი ძიება ბურჟუაზიულ იდეოლოგიაში“ № 4.
 დულუჩავა: „თანამედროვე ქართული მხატვრობა“ № 8-9.
 გუგუშვილი პ.: „ქართული წიგნის ბეჭდვის 300 წლის გამო“ № 4.
 კახიანი შიბ.: „იდეოლოგიური ფრონტი“ № 7.
 ლუპოლი ივ.: „მემარჯვენე გადაბრის ბიორ. საფუძვლების საკითხისათვის“
 № 10.
 მუშიშვილი გრ.: 1) „ისტორიული ცტიულები“ № 1; 2) „ქართული ლიტერატურის მნათობი“ № 2-3.

- მიწიშვილი ნ.: „ინგლისის ხელი შუა აზიაში და ავღანისტანის ამბები“ № 2—3.
 შოლოხოვი: „კოლმეურნეობითი მოძრაობის შესახებ“ № 11—12.
 რადიანი შ.: „დანგრეული ბუდეების მწერალი“ № 8—9.
 ხუროძე ვარ.: 1) „ორი სტილი“ № 4, № 8—9; 2) „ევნატე ნინიძის მწერლობის შესახებ“ № 11—12.
 პლ. კიკოძე: 1) „ანგარიში და კრიტიკა 1928 წ. ლიტერატურის შესახებ“ № 1; 2) „ვის ხელშია კლასიკოსები“ № 5—6.
 ხუნდაძე ხ.: „გ. წერეთლის მწერილები“ № 11—12.
 ტაბიძე ტიცი.: „ქართული მწერლები სომხეთში“ № 7.
 კეიშვილი: „სვანეთი ცხენის უზანგიდან“ № 11—12.
 ჯავახიშვილი მიხ.: „ახალი სალიტერატურო ქართული“ № 1.

ფილოსოფია და მცენიერება

- ბაქრაძე კ.: „დიალექტიკის პრობლემა და მ. გოგიბერიძის „მატერიალიზმის და დიალექტიკის განვითარება მარქსამდე“ № 11—12.
 ბერიტაშვილი ივ.: „ქვეყანმეცნიერება და ფსიქოლოგია“ № 10, № 11—12.
 დებორინე ა.: „მარქსიზმის ფილოსოფიის თანამედროვე საკითხები“ № 8—9.
 ვაშაყმაძე ივ.: „კრიტიკული შენიშვნები მ. გოგიბერიძის წიგნის გამო“ № 7.
 გოგიბერიძე მ.: „ლენინი როგორც დიალექტიკის თეორეტიკოსი“ № 11—12.
 გორდეღაძე კ.: „სპინოზას მატერიალიზმი“ № 4, № 5—6, № 7.
 კეკელიძე კ.: „ქართულ კულტურის ორი დღესასწაული“ № 5—6, № 7.
 ნათაძე გ.: „შავშეთ-კლარჯეთის გეონომიური მდგომარეობა მე-9 და მე-10 სა-
 ტყუნ.“ № 2—3, № 4.
 მუშიშვილი გ.: „მონოპოლისტური კაპიტალიზმი“ № 5—6, № 7.
 უზნაძე დ.: 1) „ტფ. ტრამევის ვატმანების ფსიქო-ტექნ. გამოცდა და მისი შე-
 დგებები“ № 1; 2) „მუშაობის შეთოვდა რაციონალიზაციისათვის“ № 5—6.
 ხურგულაძე ირ.: „კარლ კაუცკის ახალი მოძღვრება სახელმწიფოზე“ № 10.
 ფანცხავა: „მარქსისტული მსოფლმხედ. თუ ლექ. გ. ნანიშვილის აბდალები, № 10.
 შარია მ.: „ეკლექტიზმის ახალი სახე“ № 8—9.

ბიბლიოგრაფია

- ხ. ანდრიაძე: კარლო კალაძის: „როგორ“. № 8—9.
 დ-ნის: მოსე გოგიბერიძის: „მატერიალიზმისა და დიალექტიკის განვითარება მარქსამდე“ № 2—3.
 გუგუშვილი: 1) მიხ. ზანდუკელის: „თერგდალეულ და ხალხოსნ. ქართ. ლიტერატურა № 1, 2) გრ. გიორგაძის: „საზოგადოებრ. ურთიერთობანი საქართველ.“ № 2—3, 3) კარიკაშვილის: „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“ № 4.
 გ. შ.: პლენანოვის: „მარქსიზმის ძირითადი საკითხები“ № 4.
 Grumar: სტენდალის: „იტალიური ქრონიკები“.

ვ. პერბ. უელსის „ვილიამ კლისოლდის ქვეყანა“ № 2—3.

ი. 1) Письма Маркса к Кугельману, № 7. 2) Маркс и Энгельс, „Сочин.“ т. II, № 10.



იორდანიშვილი: 1) სულხან საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ (1812) ტომ. მეცხრედიანი: „გერმანულ ქართული ლექსიკონი“.

ეკონომისტი: Фин-Еностаевский. Финанс. капитал и производитель.

კე: ა. ფადეევის „განადგურება“ № 4.

ღენინელი: ვ. ი. ლენინის „თხზულებანი“ ტ. I და XX ქართულად.

მოსკოველი: 1) ფ. მახარაძის: „1905 წ. ამიერ-კავკასიაში“; 2) პერ. რემელეს.: „საით მიდის ევროპა“ 3) ვლადკოვის: „ცემენტი“ № 4; 4) პ. ისტრატის: „ქოჩორა თურინჯი“ № 7. 4) მოსე გოგიბერიძის: „მეცნიერება და რელიგია“.

მ.-ლი გ.: გ. ქუჩიშვილის „ლექსები“.

მ. ნ.: ნ. ბუხარინის „ისტორიული მატერიალიზმის თეორია“.

ვ. ხურთაძე: გ. წერეთლის „გულქანი“ № 10.

ურდოელი: ნ. მიწიშვილის „ეპოპეია“.

პ. ქიქოძე: 1) იონა ვაკელის „ლექსები“ ნაწ. II, № 7; 2) ლეო ქიაჩეძის „სისხლი“ № 7.

დ. შენგულაია: კ. კიკინაძის „რუსთაველის ვარშეშო“ № 5—6.

შინაარსი

1. შალ. კოროშელიძე—50 წლის იუბილარი.

მხატვრული ლიტერატურა

2. გრ. ცეცხლაძე—ოქტომბერი	83
3. ვარ. რუხაძე—ახალი სოფლის სურათი და ლექსი ჯორჯიაშილზე	5
4. ფრიდონ ნაროშვილი—ორი მისამართი	7
5. შაგ. ხაყვარელიძე—დაფანტული ფურცლები (ვაგროძელ)	9
6. რადდენ გვეტაძე—თეო (დასასრული)	30
7. ფრიხ მარია რემარკ—დასავლეთის ფრონტი უცვლელია (თარგმანი ვერ- შან. უ. ურდოელისა)	81
	112

კრიტიკა, შეხვედრება, პუბლიცისტიკა

✓ 8. პარფ. ი. ბერიტაშვილი — ქვევთმეცნიერება და ფსიქოლოგია (ვაგროძელზე)	132
✓ 9. ვარ. ხუროძე—ევნატე ნინოშვილი	156
✓ 10. მოხე გოგიბერიძე—ლენინი როგორც დიალექტიკის თეორეტიკოსი	167
11. ვ. შილოტაძე—კოლმეურნეობათა მოძრაობის შესახებ	201
✓ 12. ა. ჭეიშვილი—სეანეთი ცხენის უზანგიდან	220
✓ 13. ჯ. ბაქრაძე—დიალექტიკის პრობლემა და მ. გოგიბერიძის „მატერიალიზ- მის და დიალექტიკის პრობლემების განვითარება შარქსამდე“	235
✓ 14. ხამონ ზუნდაძე—მასალები ქართული აზროვნების ისტორიისათვის	254
✓ 15. ფურ. „მნათობის“—1929 წლის გენერალური სარჩევი	279